ევროპის

ეთნოლოგია

Roland A. Topchishvili

The Ethnology of Europe

Ethnic History, Ethnic Culture

Textbook for Students

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რ ო ლ ა ნ დ თ ო ფ ჩ ი შ ვ ი ლ ი

ევროპის ეთნოლოგია

ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა

სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

„ევროპის ეთნოლოგია: ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა“ განკუთვნილია სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული ფაკულტეტების ისტორიული, ეთნოლოგიური, ფილოლოგიური მიმართულებების სტუდენტებისათვის. წიგნი გარკვეულ დახმარებას გაუწევს მათ, ვისაც პოლიტოლოგია, დიპლომატია, ხალხთა შორის ურთიერთობები, დასავლეთის ხალხების ეთნოგენეზისი, ეთნიკური ისტორია და ტრადიციული კულტურა აინტერესებს, მით უმეტეს დღევანდელ დღეს, როდესაც საქართველოს დასავლურ სტრუქტურებში აქტიური ჩართვა მიმდინარეობს.

The following textbook, ‘The Ethnology of Europe: Ethnic History, Ethnic Culture,’ is intended for the students of historical, ethnological and philological directions of the Humanities Faculty. The book will be of certain help for those who are interested in political science, diplomacy, international relations, the ethnogeny of European peoples, ethnic history and traditional culture. These issues are particularly important nowadays, especially in the context of Georgia’s integration in European structures.

რედაქტორები: პროფესორი ქეთევან ხუციშვილი
პროფესორი მიხეილ ქურდიანი

რეცენზენტები: პროფესორი აკაკი გეთიაშვილი
დოქტორი როზეტა გუჯეჯიანი
პროფესორი თინათინ ღუდუშაური
დოქტორი ინგა ღუტიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009

ISBN 978-9941-13-025-0

წინათქმა

წინამდებარე წიგნის ავტორმა 2003 წელს **ევროპისა და ამერიკის ხალხების სალექციო კურსი** დაბეჭდა, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის სტუდენტები ისმენდნენ. 2006 წლიდან **ევროპისა ეთნოლოგია** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს ეკითხება. მოცემული სახელმძღვანელო აღნიშნული სალექციო კურსის გადამუშავებული, ფაქტობრივად, ხელახლა დაწერილი ვარიანტია. წიგნში განხილულია ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში წარმოშობილი ხალხები; შეიცვალა ნაშრომის სტრუქტურაც.

სახელმძღვანელო ეყრდნობა მრავალრიცხოვან ისტორიულ და ეთნოლოგიურ ლიტერატურას, ენციკლოპედიებს, რომლებიც ხალხებს, რელიგიებს, ლინგვისტიკას, დემოგრაფიას, ანთროპონიმებს ეხება. ავტორს მიაჩნია, რომ წიგნი „**ევროპის ეთნოლოგია**“ მკითხველის წინაშე სრულყოფილი სახითაა წარმოდგენილი იმ თვალსაზრისით, რომ მასში ამ კონტინენტზე მცხოვრებ თითქმის ყველა, დიდ თუ პატარა, ეთნოსზეა საუბარი, თუმცა ის ამომწურავი არაა (ასეთი წიგნი საერთოდ არც არსებობს).

ქართველ ხალხს დასავლეთისადმი ინტერესი, მისწრაფება და დაახლოების სურვილი მთელი მისი არსებობის მანძილზე ჰქონდა. ქართველობამ დასავლურ ორიენტაციაზე განაცხადი დიდი ხნის წინ, IV ს-ის დასაწყისში, გააკეთა, როდესაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. საქართველოსა და ქართველი ხალხის მთელი შემდეგდროინდელი ისტორია აღმოსავლური სამყაროსაგან თავდახსნისა და დასავლეთისაკენ მისწრაფების სურვილით იყო განპირობებული. ქართველებმა კი დასავლეთისკენ კურსი სულ ახლახან, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აიღეს; საქართველო ევროპულ სტრუქტურებში გაერთიანდა. ევროპელები დიდი კულტურისა და ცივილიზაციის შემქმნელები არიან, თუმცა, იმ დროს, როდესაც ქართველი ერი ჩამოყალიბდა და ჩვენმა ხალხმა ქრისტიანობა მიიღო, დღევანდელი ევროპის ხალხების უმეტესობა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ბევრი ევროპელი ხალხი (კელტების დიდი ნაწილი, თრაკიელები, ილირიელები, ეტრუსკები, პიკტები, იბერიელები...) გადაშენდა, სხვებს შეერწყა. ძველი, დიდი ევროპული კულტურის შემქმნელთაგან თავი მხოლოდ ბერძნებმა და იტალიელებმა (ძველმა რომაელებმა) შეინარჩუნეს, თუმცა ამ ეთნოსებმა შუა საუკუნეებში საკ-

მაო ტრანსფორმაცია განიცადეს. მათმა ეთნიკურმა კულტურამ ბევრი ცვლილება განიცადა. IV-IX საუკუნეების ევროპაში ხალხთა დიდმა გადასახლებებმა ახალი – დღევანდელი ეთნოსების წარმოქმნას ჩაუყარა საფუძველი. წიგნში ნაჩვენებია ევროპელი ხალხების ეთნოგენეზი და ეთნიკური განვითარების პროცესი; დახასიათებულია თითოეული ხალხის ეთნიკური კულტურა (ყოფა-ცხოვრება, წეს-ჩვეულებები როგორც მატერიალური კულტურის, მეურნეობის, ისე სოციალურ ურთიერთობათა და სულიერი კულტურის სფეროში), ანთროპოლოგიური ტიპი, რელიგიისადმი და ენათა ოჯახისადმი მიკუთვნებულობა, დემოგრაფიულ-სტატისტიკური მონაცემები. ამდენად, წიგნი საინტერესო უნდა იყოს არა მარტო სტუდენტებისათვის, არამედ ყველა განათლებული ქართველისათვის, ვისაც ევროპა და იქ მცხოვრები ეთნოსები აინტერესებს, მით უმეტეს დღეს, როდესაც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ქართველებს პირველად მოგვეცა დასავლეთის სამყაროსთან უშუალო კონტაქტისა და ურთიერთობის საშუალება.

მართალია, საქართველო ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს, მაგრამ ზოგიერთი გეოგრაფი საქართველოს (და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიას) ევროპის ნაწილად მიიჩნევდა და მიიჩნევს (მაგალითად, ჰომეროსი ევროპის და აზიის საზღვრად მდ. რიონს ასახელებდა). წინამდებარე წიგნში ქართველები და კავკასიის სხვა ხალხები წარმოდგენილი არაა. ავტორმა საქართველოსა და კავკასიის ხალხების ეთნოლოგიის შესახებ ცალკე სახელმძღვანელოები დაბეჭდა **(I. საქართველოს ეთნოლოგია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008; II. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია: ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, თბ., 2007).**

ავტორი დიდ მადლობას უხდის პროფესორებს: ქეთევან ხუციშვილს, მიხეილ ქურდიანს და დოქტორ ინგა ღუტიძეს, რომლებმაც წიგნის ხელნაწერი ვარიანტი წაიკითხეს და საყურადღებო შენიშვნები და სურვილები გამოთქვეს.

ნაწილი I

ეთნოსთა კლასიფიკაციის საფუძვლები

1.1. ხალხები (ზოგადი მიმოხილვა)

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში მსოფლიოს მოსახლეობა ხუთ მილიარდზე მეტ ადამიანს ითვლიდა. ეს ხუთი მილიარდი ეთნიკური, ენობრივი, რასობრივი და რელიგიურ-კონფესიური თვალსაზრისით ფრიად ჭრელ სურათს ქმნის. მიიჩნევენ, რომ დედამიწაზე ცხოვრობს დაახლოებით 6 ათასამდე ეთნოსი.

ტერმინი – „ხალხი“ გულისხმობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებულ ადამიანთა ერთობას, რომელსაც ახასიათებს სტაბილური კულტურული თავისებურებანი (ენის ჩათვლით), ფსიქიკა, თვითშეგნება. ყველა ეს ნიშანი საფუძველია იმისა, რომ ამა თუ იმ ხალხმა საკუთარი ერთობა სხვა ანალოგიური ერთობებისაგან განასხვავოს. ხალხის აღსანიშნავად მეცნიერებაში გამოიყენება ტერმინი „ეთნოსი“ (ძვ. ბერძნული – ხალხი, ტომი), აგრეთვე ეთნიკური ერთობა, მაგრამ ძველი ბერძნები იყენებდნენ აგრეთვე სიტყვა „დემოს“, რაც მოსახლეობის ძირითად მასას აღნიშნავდა. „დემოსისაგან“ მომდინარეობს ისეთი ტერმინი, როგორიცაა მაგალითად „დემოკრატია“, რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „ხალხის ხელისუფლება“; მომდინარეობს „დემოგრაფია“, როგორც მეცნიერების სახელწოდება (სიტყვასიტყვით „ხალხის აღწერა“), რომელიც სწავლობს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობას (რაოდენობას), მის სოციალურ, სქესობრივ და ასაკობრივ შემადგენლობას, შობადობას, ქორწინებას, სიკვდილიანობას, მოსახლეობის ბუნებრივ მატებას და მის მიგრაციებს (გადასახლებას). თუმცა ამ პრობლემათაგან ზოგიერთის მიმართ ინტერესი ისტორიასა და ეთნოგრაფიასაც აქვს.

ჩვენი ინტერესის საგანს კი წარმოადგენს ხალხები „ეთნოსის“ გაგებით; ხალხები, რომლებმაც საუკუნეთა მანძილზე დამოუკიდებელი ეთნიკური კულტურა შექმნეს.

ბევრი ხალხისათვის, განსაკუთრებით კი დიდი ხალხებისათვის, რომლებიც განსახლებულნი არიან ვრცელ ტერიტორიასა და რთულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში, დამახასიათებელია ეთნოგრაფიულ (და დიალექტურ) ჯგუფებად დაყოფა (რუსულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ასეთ ჯგუფებს ხშირად „სუბეთნოსებსაც“ უწოდებენ). ეთნოგრაფიული ჯგუფების წარმოქმნის მიზეზები სხვადასხვაა.

ისინი წარმოიქმნება ერთი ხალხის ტერიტორიული განცალკევების შედეგად (გეოგრაფიული ფაქტორი), ანდა ერთი ეთნოსის მიერ მეორე ეთნოსის, ანდა მისი ნაწილის ასიმილაციის შედეგად. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აგრეთვე სოციალური სტატუსი (კაზაკები რუსებს შორის) და რელიგიურ-კონფესიური მდგომარეობა.

მეცნიერებაში გამოყოფენ აგრეთვე მეტაეთნიკურ ერთობებს, მაგალითად, აღმოსავლეთ სლავებს, ლათინოამერიკელებს. მათი ასეთი სახით გამოყოფა გენეტიკური და ენობრივ-კულტურული სიახლოვითაა განპირობებული. მეტაეთნიკურ ერთობებად მიიჩნევენ აგრეთვე ბალტიისპირელებს, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს. ამ მეტაეთნიკურ ერთობათა ჩამოყალიბება კი ერთიან ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქში ხანგრძლივმა ცხოვრებამ და კულტურულმა ურთიერთგავლენამ განაპირობა.

ეთნოსის უმაღლესი ფორმაა ნაცია (ერი). ერების ჩამოყალიბებამდე ეთნოსის ფორმას ტომი, ტომთა კავშირები წარმოადგენდა. მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება ნაციის (ერის) ისეთ განსაზღვრებას გვთავაზობდა, რომელიც არასდროს გაუზიარებიათ დასავლურ მეცნიერებაში. დასავლეთში ნაციის (ერის) თითქმის იმდენი განმარტებაა, რამდენიც მეცნიერი, მაგრამ მთავარი, რაშიც ისინი თანხმდებიან, ისაა, რომ ნაციად (ერად) მიიჩნევა ის ეთნოსები, რომელთაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა გააჩნიათ. ზოგიერთი ნაცია (ერი) წარმოიქმნა ერთი ხალხის ტრანსფორმაციის, ზოგი კი რამდენიმე ხალხის შერევის შედეგად.

1.2. ენა – ეთნოსის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი

მსოფლიოს ხალხები (ეთნოსები) ერთმანეთისაგან რამდენიმე ნიშნით განსხვავდებიან. პირველ რიგში ერთ-ერთ ასეთ მთავარ ნიშნად ენას ასახელებენ. როდესაც ერთი ხალხის ორი უცნობი წარმომადგენელი თავისი ქვეყნის გარეთ ხვდება, ისინი უპირველეს ყოვლისა ერთმანეთს ენით „ამოიცნობენ“. ასე რომ, ენა ხალხთა (ეთნოსთა) უმნიშვნელოვანესი ნიშანთაგანია. ერთი ხალხისადმი (ეთნოსისადმი) მიკუთვნებული ყველა ადამიანი, როგორც წესი, ერთ ენაზე ლაპარაკობს, რომელიც მათთვის მშობლიურია, ე.ი. რომელიც ბავშვობაში შეითვისეს მშობლებისა და სხვა პირებისაგან. ზემოთქმული იმას არ ნიშნავს, რომ დედამიწაზე იმდენივე ენაა, რამდენიც ხალხია. გასათვალისწინებელია ის, რომ ზოგჯერ დედამიწაზე განსახლებული დამოუკიდებელი ეთნოსები ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ, რაც კაცობრიობის ისტორიაში, განსაკუთრებით მის ახალ პერიოდში მო-

მხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების (მაგალითად ევროპიდან ახალ სამყაროში ხალხთა დიდი გადასახლებების) შედეგია. ინგლისურ ენაზე ლაპარაკობენ არა მხოლოდ ინგლისელები, არამედ სხვა ხალხებიც: ამერიკელები, ანგლო-კანადელები, შოტლანდიელები, ოლსტერელები, ანგლო-ავსტრალიელები, ანგლო-ახალზელანდიელები... **ევროპაში, სადაც ინგლისური ენა წარმოიქმნა, ამ ენაზე მოლაპარაკეთა მხოლოდ 17% ცხოვრობს**. ესპანური ენა დედაენაა არა მხოლოდ ესპანელებისათვის, არამედ აგრეთვე ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის უმეტესი ხალხებისათვის (კუბელები, მექსიკელები, კოლუმბიელები, არგენტინელები, ვენესუელელები, ჩილელები, პერუელები, ურუგვაელები...). **ევროპაში, სადაც ესპანური ენა წარმოიქმნა, ესპანურ** ენაზე მოლაპარაკეთა დაახლოებით 12% მკვიდრობს. გერმანულ ენაზე გერმანელების გარდა ლაპარაკობენ აგრეთვე ავსტრიელები, გერმანო-შვეიცარიელები, ელზასელები (საფრანგეთში), ლუქსემბურგელები. პორტუგალიური, პორტუგალიელების გარდა, დედაენაა ბრაზილიელებისათვის. ამავე ენაზე ლაპარაკობენ აგრეთვე ესპანეთის ჩრდილოეთში მცხოვრები გალისიელებიც. ფრანგულ ენაზე ფრანგებს გარდა ლაპარაკობენ: ფრანკო-კანადელები, ფრანკო-შვეიცარიელები, ბელგიელი ვალონები. იტალიური ენით სარგებლობენ იტალო-შვეიცარიელები და კორსიკელები.

აზიის სამხრეთ-დასავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში დიდი ხანია გავრცელებულია არაბული ენა. მასზე ლაპარაკობენ არაბულენოვანი ხალხები, რომელთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანია: ეგვიპტელი არაბები (ეგვიპტელები), ალჟირის არაბები (ალჟირელები), მაროკოელი არაბები (მაროკოელები), ერაყის არაბები (ერაყელები), სუდანის არაბები (სუდანელები), სირიის არაბები (სირიელები), ტუნისის არაბები (ტუნისელები), საუდის არაბეთის არაბები...

ამრიგად, ნათელია, რომ დედამიწაზე არის ენები, რომლებიც მშობლიურია არა მხოლოდ ერთი ხალხისათვის, არამედ ეთნოსთა მთელი ჯგუფისათვის. ცალკეულ ხალხთა განსახლების საზღვრები და ენათა გავრცელების არეალები ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა. ენა ეთნიკურობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია, მაგრამ ის ეთნოსისათვის დამახასიათებელ ერთადერთ ნიშნად არ შეიძლება ჩავთვალოთ. საერთოდ, თუ ზემოთქმულს დავაკვირდებით და გავიხსენებთ თითოეული ხალხის (ეთნოსის) ისტორიას, დავინახავთ, რომ სხვა ხალხის მიერ ამა თუ იმ ევროპული ენის დედაენად აღიარება შედარებით ახალი მოვლენაა. თავდაპირველად, განსაკუთრებით კი ხალხთა (ეთნოსთა) წარმოქმნის საწყის სტადიაზე, ენა მართლაც იყო ეთნოსის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი და ყველა ეთნოსი მისთვის დამახასიათებელ ენაზე ლაპარაკობდა.

მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ხალხები, რომელთა ცალკეული ჯგუფები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. ცნობილია, რომ დღეს შოტლანდიელთა დიდი უმრავლესობა სალაპარაკო ენად იყენებს ინგლისურს, მაგრამ შოტლანდიის მთებში მკვიდრობს მოსახლეობის პატარა ჯგუფი, რომლის წარმომადგენლები თავს შოტლანდიელებად მიიჩნევენ და ყოფაში ინგლისურთან ერთად კელტური ჯგუფის განსაკუთრებულ ენაზე (ე.წ. გელურ ენაზე) ლაპარაკობენ, რომელიც წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ქვეყანაში. დღეისათვის მთიელ შოტლანდიელებს ანუ გელებს დაახლოებით 100 000-მდე ითვლიან. დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს კელტური ენობრივი ჯგუფის სხვა ხალხიც – ვალიელები ანუ უელსელები, რომლებიც ორენოვანნი არიან, ე.ი. ლაპარაკობენ როგორც ინგლისურ, ისე საკუთრივ ვალიურ ენებზე. იგივე შეიძლება ითქვას ირლანდიელთა შესახებაც.

ლინგვისტები დღეს ენათა ოცამდე ოჯახს გამოყოფენ, რომელთაგან ყველაზე კარგადაა შესწავლილი ინდოევროპულ ენათა ოჯახი და რომელზეც ევროპისა და ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა მეტყველებს. **ინდოევროპულ ენებზე მსოფლიოს მოსახლეობის 45% ლაპარაკობს**. ინდოევროპული ენები, ევროპისა და ამერიკის გარდა, გავრცელებულია აგრეთვე აზიის მნიშვნელოვან ნაწილში. მხედველობაში გვაქვს ინდური (ჰინდი, ურდუ, ბენგალი, მარატხი...) და ირანული ჯგუფის ენები.

აფროაზიური ანუ სემიტურ-ქამიტური ენების ოჯახი გავრცელებულია აფრიკის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში და აზიის სამხრეთ-დასავლეთში. ის შედგება ხუთი ჯგუფისაგან – სემიტური, ეგვიპტური, ბერბერული, ყუშიტური და ჩადური. ეგვიპტურ ენათა ჯგუფი XVII ს-ში გადაშენდა. ეგვიპტური ენის გვიანდელი ფორმა – კოპტური გამოიყენება ეგვიპტელი ქრისტიანების მიერ დვთისმსახურებისას.

ევროპაში, ინდოევროპული ენების გარდა, გავრცელებულია ურალურ ენათა ოჯახის ენები (უნგრეთი, ბალტიისპირეთი, ფინეთი, სკანდინავიის ჩრდილოეთი).

1.3. ენათა კლასიფიკაცია

მეცნიერები მსოფლიოს ხალხთა კლასიფიკაციისათვის სხვადასხვა კრიტერიუმებს იყენებენ. ეთნოლოგიაში მიღებულია გეოგრაფიული, ანთროპოლოგიური, სამეურნეო-კულტურული და ენობრივი კლასიფიკაცია. ხალხთა ეთნიკური ისტორიის შესასწავლად ენობრივი კლასიფიკაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კლასიფიკაციაა, რადგან თავ-

დაპირველად ენა და ეთნოსი ერთმანეთს ემთხვეოდა, ისინი იდენტურნი იყვნენ. ენა კონკრეტულ წარმოდგენას იძლევა ხალხების ეთნიკური ნათესაობის შესახებ. თანამედროვე მსოფლიოს ენობრივი პანორამა მრავალფეროვნებით ხასიათდება. როგორც აღვნიშნეთ, ლინგვისტები დაახლოებით 6000 ენას ითვლიან. მხოლოდ ერთ ენაზე ძალზე მცირე რაოდენობის ქვეყნებში საუბრობენ. ასეთ ქვეყნებს ძირითადად ევროპის ქვეყნები მიეკუთვნება. ზოგიერთ ქვეყანაში ათეულობით ენაზე მეტყველებენ, მათ შორის ნიგერიასა და რუსეთში ასზე მეტი ენაა გავრცელებული. ზოგი ენა „დიდი“ ენაა, ზოგიც – „პატარა“. **ყველაზე „დიდი“ ანუ გავრცელებული ენებია: ჩინური, ინგლისური, ჰინდი და მასთან ახლოს მდგომი ურდუ, ესპანური, რუსული, ბენგალური, ინდონეზიური, არაბული, პორტუგალიური, იაპონური, გერმანული, ფრანგული**. ჩამოთვლილ ენებზე კაცობრიობის ორი მესამედი ლაპარაკობს. ენათა ერთი ნაწილი სახელმწიფო, ოფიციალური ენაა; ენათა მნიშვნელოვანი ნაწილი კი მხოლოდ საოჯახო სამეტყველო ენას წარმოადგენს. მსოფლიოში არის ისეთი ენებიც, რომლებზედაც არა მარტო რამდენიმე ასეული, არამედ მხოლოდ ერთი ასეული კაცი მეტყველებს. მაგალითად, **ლატვიაში დაახლოებით 130 კაცი ლაპარაკობს ლივურ ენაზე, რუსეთში კი მხოლოდ ასი კაცია კერკთა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი**. დღეს საერთაშორისო ურთიერთობის ენის ფუნქცია ინგლისურ ენას აქვს მოპოვებული, რაც, უდავოდ, მსოფლიოში აშშ-ის პოლიტიკური, ეკონომიკური დაწინაურების შედეგია. XVIII საუკუნეში ასეთი ენის ფუნქცია ფრანგულს ეკისრებოდა. **მსოფლიოს 6000 ენიდან მხოლოდ ას ენას აქვს დამწერლობა**.

ენათა კლასიფიკაცია ენათა ისტორიულ-ნათესაურ ურთიერთობას ემყარება. ისტორიულ-ნათესაური ურთიერთობების თვალსაზრისით, მსოფლიოში არსებული ენები ოჯახებადაა დაჯგუფებული. ენათა ოჯახებში მეტ-ნაკლებად ურთიერთმონათესავე ენები შედის. ენათა ოჯახი კი საკმაოდ ბევრია. მხოლოდ ამერიკის კონტინენტზე ინდიელთა შორის ასამდე ენათა ოჯახს გამოყოფენ. მეცნიერ-ლინგვისტთა გამოთვლით კი მხოლოდ თორმეტ ენათა ოჯახში შემავალ ენებზე მსოფლიოს მოსახლეობის 96% მეტყველებს. თითქმის ყოველი ენობრივი ოჯახი იყოფა შტოებად ანუ ჯგუფებად, ჯგუფებში კი ხშირად ქვეჯგუფებს გამოყოფენ.

მსოფლიოში გავრცელებულ ენათა ოჯახების გეოგრაფიული საზღვრები ხშირად იცვლებოდა. უკანასკნელი თორმეტი–ცამეტი საუკუნის მანძილზე ძალიან გაიფართოვეს არეალი არაბულმა, თურქულმა, ინგლისურმა, ესპანურმა ენებმა. VII საუკუნემდე არაბული ენით მხოლოდ არაბეთის ნახევარკუნძულის ცენტრალური და სამხრეთი

ნაწილის მოსახლეობა საუბრობდა. შემდეგ ის სამხრეთ-დასავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკის დიდ ნაწილში გავრცელდა. მნიშვნელოვნად გაიფართოვა თავისი არეალი თურქულ ენათა ჯგუფმა, რომელიც დღეისათვის გავრცელებულია ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ციმბირის ჩრდილო-აღმოსავლეთამდე. ინგლისური ენა XVI საუკუნემდე მხოლოდ ბრიტანეთის კუნძულებზე იყო გაბატონებული, მოგვიანებით კი ის თითქმის ყველა კონტინენტზე შეიჭრა.

მანამ, სანამ მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციას შევეხებით, უნდა აღინიშნოს, რომ **რამდენიმე ენა გენეალოგიური კლასიფიკაციის გარეშე რჩება, რადგან მათი ნათესაობა რომელიმე სხვა ენასთან დამტკიცებული არაა. ესენია: ბასკური, კეტური, ნივხური, აინური, კორეული, იაპონური, იუკაგირული, ბურუშული...**

ყველაზე კარგად შესწავლილია ინდოევროპულ ენათა ოჯახი. ამ ოჯახის ენებზე მსოფლიოს მოსახლეობის 45% ლაპარაკობს. ევროპის გარდა, ინდოევროპულ ენათა ოჯახის ენები გავრცელებულია აზიაში (ირანი, ავღანეთი, ინდოეთის სუბკონტინენტის ჩრდილოეთი), ამერიკის ქვეყნებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში. ინდოევროპული ენები ახლოს მდგომი დიალექტებისაგან მომდინარეობენ, რომელზე მოსაუბრენიც ძვ.წ. III ათასწლეულში სამხრეთ-დასავლეთ აზიიდან, შავი და კასპიის ზღვების მიმდებარე ტერიტორიებიდან სხვადასხვა მიმართულებით განსახლდნენ. ინდოევროპულ ენათა დამწერლობის უძველესი ძეგლი ძვ.წ. II ათასწლეულით თარიღდება. ესაა მცირე აზიაში ნაპოვნი ხეთური ლურსმული დაწერილობანი. ამავე დროის ინდოევროპულ ენათა ოჯახის ბევრი ენა დღეს მკვდარია. მათზე აღარავინ ლაპარაკობს.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის **რომანულ ენათა ჯგუფში** შედის: **იტალიური, ფრანგული, პროვანსალური, სარდინიული, ესპანური, პორტუგალიური, კატალანური, რეტორომანული, რუმინულ-მოლდოვური** ენები. პორტუგალიურთან ძალიან ახლოს დგას **გალისიური** ენა. ამ ჯგუფის მკვდარი ენებია: ლათინური, ოსკური, უმბრიული ენები. ლათინური ენა საფუძვლად დაედო ყველა რომანულ ენას. ლათინური ენის უძველესი წერილობითი ძეგლები ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება. ლათინური ენა კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური ენაა.

გერმანულ (გერმანიკულ) ენათა ჯგუფი სამ ქვეჯგუფად იყოფა. პირველი ქვეჯგუფი (ჩრდილოგერმანული ანუ სკანდინავიური) აერთიანებს **დანიურ, შვედურ, ნორვეგიულ, ისლანდიურ და ფარერულ** ენებს. დასავლურგერმანულ ქვეჯგუფში შედის **ინგლისური, გერმანული, ჰოლანდიური, ფრიზული** ენები. ამავე ქვეჯგუფში შედის **აფრიკანსი და იდიში.** აღმოსავლურგერმანულ ქვეჯგუფში ორი მკვდარი ენა შეაქვთ. ესენია ვესტგუთური (ე.ი. დასავლურგუთური ენა) და

ოსტგუთური (აღმოსავლურგუთური ენა). ვესტგუთური ენა ყველაზე ძველი გერმანული დამწერლობის მქონე ენაა. IV საუკუნეში გუთური ანბანით დამწერლობა შექმნა ეპისკოპოსმა ვულფილამ. მანვე თარგმნა სახარება. ოსტგუთურმა ენამ შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსა და ყირიმში XVI-XVII საუკუნეებამდე იარსება.

სლავურ ენათა ჯგუფიც სამი ქვეჯგუფისაგან შედგება. აღმოსავლურ სლავურ ენებს მიეკუთვნება **რუსული, უკრაინული და ბელორუსული.** სლავური ენების დასავლურ ქვეჯგუფში შედის: **ჩეხური, სლოვაკური, პოლონური** და მასთან ახლოს მდგომი **ქაშუბური, ლუჟიური** ენები. სამხრეთული ქვეჯგუფი წარმოდგენილია **ბულგარულ-მაკედონიური, სლოვენური და სერბულ-ხორვატული** ენებით. სლავურ ენათა ჯგუფის მკვდარი ენებია ძველი სლავური (ანუ ძველი საეკლესიო სლავური) ენა, პოლაბური ენა, სლოვინური ენა, პომორული ენა.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის **კელტურ ჯგუფში** ორ ქვეჯგუფს გამოყოფენ. **გელური (ირლანდიური ენა, შოტლანდიური ანუ გელური ენა, მენური ენა) და ბრიტული (ბრეტონული ენა და უელსური ანუ ვალიური ენა).** გადაშენებული კელტური ენაა გალური, რომელზედაც საფრანგეთის ტერიტორიაზე მცხოვრებნი მეტყველებდნენ.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის **ბალტიურ ჯგუფში** მხოლოდ ორი ცოცხალი ენა – **ლიტვური და ლატვიური** შედის. ამ ჯგუფის მკვდარი ენაა **პრუსიული**. პრუსიული ენის წერილობითი ძეგლები XIV-XVII სს-ით თარიღდება. ინდოევროპულ ენათა ოჯახში შედის **ინდურ ენათა ჯგუფი.** ძველინდურ ენათა პირველი ძეგლები ძ.წ. I ათასწლეულით თარიღდება. ამ ენათა ოჯახში შედის: **ჰინდი და მასთან ახლოს მდგომი ურდუ, ბენგალური, მარათჰი, ფანჯაბური, რაჯა-სტანი, გუჯარათი, ორიია, ნეპალი, ლაჰნდა, სინდიჰი, ასამი, ქაშმირი** და სხვა ენები. ინდურ ენათა ჯგუფში შედის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს მოდებული **ბოშათა ანუ აწინკანთა** ენა. ინდოევროპულ ენათა ოჯახის ინდურ ენათა ჯგუფის გადაშენებულ ენებს მიეკუთვნება ვედების ენა და სანსკრიტი, პალი და პრაკრიტები.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის **ირანულ ენათა ჯგუფში** შედის **სპარსული (ფარსი) ენა, ტაჯიკური ენა, ავღანური ანუ პუშტუ ენა, ბელუჯური ენა, ქურთული ენა, ოსური ენა, თათური ენა, თალიშური ენა, იაღნობური ენა, პამირული ენა.** მკვდარი ენებია: ძველი სპარსული, ფალაური, მიდიური, პართიული, სოგდიური, სკვითური, ხორეზმული, საკური ანუ ხატაური.

ინდოევროპულ ენათა ოჯახში ცალკე ჯგუფებს ქმნიან ახალი **ბერძნული, ალბანური და სომხური ენები.** არსებობდა ძველბერძნული და საშუალობერძნული ანუ ბიზანტიური ენები (ფუნქციონირებდა

როგორც ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენა VI-XIV საუკუნეებში).

აფრაზიური ანუ სემიტურ-ქამიტური ენათა ოჯახი გავრცელებულია აფრიკის ჩრდილოეთსა და აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ენათა ეს ოჯახი ხუთი ჯგუფისაგან შედგება: **სემიტური, ეგვიპტური, ბერბერული, ყუშიტური და ჩადური.** სემიტურ ენათაგან დღეს ყველაზე გავცელებულია არაბული ენა (20-მდე სახელმწიფოში). ის მუსლიმთა საერთაშორისო, კულტის ენაა. არაბული დამწერლობის უძველესი ძეგლი ახ. წ. IV ს-ით თარიღდება. ბერბერული, ყუშიტური და ჩადური ენები აფრიკის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთს მოიცავს. ბერბერული ენა შემონახულია მხოლოდ მაღრიბის მთიან ოლქსა და საქარის ოაზისში. ბერბერულ ენაზე მოლაპარაკენი არაბულადაც ლაპარაკობენ. ცოცხალი სემიტური ენებია: ამჰარული, თიგრე, თიგრინია (სამივე ენა ეთიოპიაშია გავრცელებული), აისორული ენები (ეს უკანასკნელი არამეული ენის შთამომავალია).

მკვდარი სემიტური ენებია: აქადური (ასურულ-ბაბილონური) – ამ ენაზე შესრულებულია ლურსმული წარწერები ძვ.წ. 2800-650 წლებში; უგარიტული, ძველებრაული ენები. დღეს ეს უკანასკნელი გარკვეული ცვლილებებით აღდგენილ იქნა ისრაელის სახელმწიფო ენად – ივრითის სახელწოდებით; არამეული ენა (წინა აზიაში გავრცელებული იყო ძვ.წ. III –ახ.წ. IV სს-ში. ის ბიბლიის გვიანდელი წიგნების ენაა); ფინიკიური ენა (ფინიკიური თანხმოვანი ანბანით; დამწერლობის უძველესი ძეგლი ძვ.წ. XIII ს-ით თარიღდება), რომელიც ფაქტობრივად ბიბლიის ებრაულთან ერთად, ერთი, ქანაანური ენის დიალექტს წარმოადგენდა.

ურალურ ენათა ოჯახი განფენილია ერთმანეთისაგან დაშორებულ გეოგრაფიულ არეალში. ის ორი ჯგუფისაგან შედგება: ფინურ-უგრული ანუ უგრო-ფინური და სამოიდური. ფინურ-უნგრული ჯგუფი მოიცავს შემდეგ ქვეჯგუფებს: ა) ბალტიისპირული **(ფინური, კარელიური და ესტონური ენები);** ბ) პერმიაკული **(კომი-ზირიანული, კომი-პერმიული და უდმურტული ენები);** გ) ვოლგისპირული **(მარი ენა, მორდოვული ენა)** და დ) უნგრული **(უნგრული ანუ მადიარული, მანსი და ხანტი ენები).** აღნიშნულ ენათა ოჯახის სამოიდური ჯგუფის ენებიდან შეიძლება დავასახელოთ: ნენცური, ევენკური, იგანანსური და სელკუპური.

ალთაურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება: თურქული, მონგოლური და ტუნგუსურ-მანჯურიული ჯგუფის ენები. თურქულ ენათა ჯგუფში შედის: **ჩუვაშური, თურქული, აზერბაიჯანული, თურქმენული, სალარიული, გაგაუზური, თათრული, ბაშკირული, ყაზახური, ყირგიზული, ყარაყალფაქური, ყარაჩაულ-ბალყარული, ყუმუხური, ნოღაური, კარა-**

იმული, უზბეკური, უიღურული, იაკუტური, დოლგანური, ალთაური, ხაკასური, თუვიური და სხვ. ენები. მკვდარი თურქული ენებია: ორხონული, პაჭანიკური, ყივჩაღური, ძველი უიგურული, ჩაღატაური, ვოლგისპირა ბულგარული, ხაზარული.

თანამედროვე **მონღოლურ ენებს** მიეკუთვნება: საკუთრივ **მონღოლური, ბურიატული, ყალმუხური, ოირატული.** ტუნგუსურ-მანჯურიულ ენებში შედის მანჯურიული (ჩინეთში, რომელიც სულ უფრო იშვიათად იხმარება), ევენკური, ევენური და სხვ.

ადრე ენათა ერთ ოჯახად იყო წარმოდგენილი **იბერიულ-კავკასიური ენები.** ცნობარებსა და ენციკლოპედიებში დღეს ცალ-ცალკეა შეტანილი ქართველურ და ჩრდილოკავკასიურ ენათა ოჯახები. ეს უკანასკნელი შემდეგი ჯგუფების სახითაა წარმოდგენილი: აფხაზურ-ადიღეური და ნახურ-დაღესტნური.

სამხრეთ ინდოეთში გაბატონებული **დრავიდული ჯგუფის ენები** შვიდი ჯგუფისაგან შედგება.

საჰარის სამხრეთით აფრიკის მოსახლეობა ძირითადად სამი ოჯახის ენებზე ლაპარაკობს.

ამერიკის კონტინენტზე ასეულობით ენა იყო გავრცელებული. დღეს ბევრი მათგანი გადაშენებულია. ამერიკელ ინდიელთა შორის დღეს ყველაზე გავრცელებული ენებია: **კეჩუა (**პერუში, ეკვადორში, ბოლივიაში, ჩილეში, კოლუმბიაში, არგენტინაში), **გუარანი** (პარაგვაი, ბრაზილია, ბოლივია, არგენტინა) და **აიმარა** (ბოლივია, პერუ). ამერიკის ადგილობრივი მოსახლეობის ენები სუსტადაა შესწავლილი და მათი ლინგვისტური კლასიფიკაცია არგუმენტირებული არაა.

1.4. ტერიტორია – ეთნოსის ერთ-ერთი ნიშანი

ეთნოსები (ხალხები) წარმოუდგენელია ტერიტორიის გარეშე. ყველა ხალხი (ეთნოსი) გარკვეულ ტერიტორიაზე ყალიბდებოდა. ტერიტორიის არსებობა აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ნებისმიერი ეთნოსის წარმოქმნისათვის. ჩვეულებრივ, ეთნიკური ტერიტორიები, ე.ი. ხალხთა საბინადრო ადგილები ისტორიულად ხშირად იცვლებოდა. მაგალითად, რუსების ეთნიკური ტერიტორია განუწყვეტლივ ფართოვდებოდა. იგივე შეიძლება ითქვას სხვა დიდი ხალხების ეთნიკური ტერიტორიის შესახებ. მაგალითად შეიძლება არაბები და ჩინელები დავასახელოთ. ქართველთა ეთნიკური ტერიტორია კი პირიქით – დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიკვეცა. ამა თუ იმ ხალხის განსახლებისას თუ მისი ცალკეული ჯგუფები გეოგრაფიულად გაეთიშება ერთმანეთს, რაც ჩვეულებრივ საზღვაო გზით ხდება, მაშინ ძირითადი („დედისეული“) ხალხიდან (ეთნოსიდან) გამოცალკევ-

დება ახალი დამოუკიდებელი ეთნოსი. ასე დაემართათ ინგლისელებს, ფრანგებს, ესპანელებს, პორტუგალიელებს და ზოგიერთ სხვა ხალხს კოლონიურ პერიოდში (XVI-XIX სს.) ამერიკაში, აფრიკასა და ავსტრალიაში განსახლებისას.

ეთნიკური ტერიტორია ხშირად მცირდებოდა დაპყრობითი ომების, ეპიდემიების, შრომისა და ყოფის მძიმე პირობების შედეგად, მაგრამ ძირითად როლს ეთნიკური ტერიტორიების შემცირებაში მაინც ასიმილაციური პროცესები თამაშობდა. ისტორიამ შემდეგი მაგალითებიც იცის: ამა თუ იმ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ხალხი (ეთნოსი) ნაწილობრივ, ზოგჯერ კი მთლიანად, ტოვებს მას და განსახლდება სხვადასხვა მიმართულებით. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ებრაელების ისტორია. ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე ებრაელი ხალხი ბინადრობდა თანამედროვე პალესტინაში. ეგვიპტესთან, ასირიასთან, ბაბილონთან, სპარსეთთან ომების შედეგად ძვ.წ. VII-II სს-ში ებრაელთა მნიშვნელოვანი მასები თავისი სამშობლოდან მიგრირდნენ. დაახლოებით ამავე დროს **ებრაელთა სალაპარაკო ენა – ივრითი შეიცვალა სხვა სემიტური ენით – არამეულით.** გვიან, ძვ.წ. II ს-ში პალესტინა რომაელებმა დაიპყრეს. ახ.წ. 69 წელს, რომაელთა ხელისუფლების წინააღმდეგ ებრაელთა რიგი აჯანყებების შემდეგ, პალესტინის დედაქალაქი იერუსალიმი დაანგრიეს და ებრაელთა დიდი ნაწილი რომის იმპერიის სხვადასხვა ნაწილში განსახლდა. ჩვენი ერის პირველ საუკუნეებში ებრაელები განსახლებულნი აღმოჩნდნენ დიდ სივრცეში: ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის ქვეყნებში (ძირითადად ქალაქებში) როგორც რომის იმპერიის ფარგლებში, ასევე მის გარეთაც, სასანიდების სპარსულ სახელმწიფოსა და ინდოეთშიც კი. ევროპელი ებრაელები, რომლებიც იდიშზე ლაპარაკობდნენ, **აშქენაზებად** იწოდებოდნენ. ებრაელთა სხვა ჯგუფები, რომლებიც განსახლებულნი იყვნენ ესპანეთში, პორტუგალიაში, თურქეთში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიაში, სირიაში, ნაწილობრივ, ირანსა და ჩრდილო აფრიკაში და რომლებიც ლაპარაკობდნენ სახეშეცვლილ ძველესპანურ ენაზე (სპანოლი), იწოდებოდნენ **სეფარიდებად**. ძველებრაული ენა, რომელზედაც შექმნილია მდიდარი ლიტერატურა, შემონახული იყო როგორც საკულტო ენა. დღეს ის აღიარებულია ისრაელის სახელმწიფოს ოფიციალურ ენად.

თავდაპირველი ეთნიკური ტერიტორიის დაკარგვის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბოშები, რომლებიც ჩრდილოეთ ინდოეთიდან გამოსულთა შთამომავალნი არიან. აქედან დაიწყეს მათ განსახლება დასავლეთის მიმართულებით ახ.წ. I ათასწლეულის დასასრულს და XIV ს-ში მიაღწიეს ევროპას, სადაც ორი გზით მოხვდნენ – მცირე

აზიის გავლით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ეგვიპტისა და ჩრდილო აფრიკის სხვა ქვეყნების გზით – ესპანეთში. დღეისათვის მთელ მსოფლიოში 1,5 მილიონ ბოშას ითვლიან, რომელთაგან 21,5% ცხოვრობს ჩეხეთში, 17,7% - რუმინეთში, 20% - ბულგარეთში, 16% ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. საკმაოდ ბევრი ბოშაა ყოფილ იუგოსლავიასა და უნგრეთში. სხვა ქვეყნებში ბოშათა რაოდენობა დიდი არაა, მაგრამ მათი ცალკეული ჯგუფები ყველგან გვხვდება. ბოშებმა შეინარჩუნეს თავიანთი ენა, აგრეთვე ცხოვრების მოხეტიალე წესი.

თავიანთი თავდაპირველი ეთნიკური ტერიტორიიდან განსახლებულნი არიან თათრები და სომხები. ერთგვარად ცალკე დგანან ლიტვასა და პოლონეთში მცხოვრები თათრები, სადაც მათ დაივიწყეს დედაენა, ლაპარაკობენ ადგილობრივ ენებზე, მაგრამ შენარჩუნებული აქვთ ეთნიკური თავისთავადობა ძირითადად მუსლიმური რელიგიის საშუალებით.

1.5. ეთნიკური კულტურა – ხალხთა ერთ-ერთი ნიშანი

ეთნოსთა ერთმანეთისაგან გამმიჯვნელი უმნიშვნელოვანესი ნიშანია აგრეთვე კულტურული თავისებურება, რომელსაც ცალკეული ხალხები (ეთნოსები) ისტორიული განვითარების პროცესში ქმნიან, ავითარებენ და შემდეგ თაობიდან თაობას გადასცემენ. ასეთი ტრადიციები, რომლებსაც მეცნიერებაში „ეთნიკურ ტრადიციებს“ უწოდებენ, ყალიბდება ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში. ეთნიკური ტრადიციები განპირობებულია აგრეთვე ეთნოსის სოციალ-ეკონომიკური განვითარებითა და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით. წარმოქმნის შემდეგ ისინი მნიშვნელოვან მდგრადობას იძენენ და შემოინახებიან დიდხანს, მაშინაც კი, როცა ხალხის (ეთნოსის) ცხოვრების პირობები რადიკალურად იცვლება.

კულტურული იერსახის თავისებურება იმ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს, რითაც განსხვავდებიან ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხები (ეთნოსები), რომლებიც დიდი ხანია საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობენ და ეკონომიკურადაც მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ყოფილ იუგოსლავიაში მცხოვრები სერბები, ხორვატები, ჩერნოგორიელები და ბოსნიელები ლაპარაკობენ ერთსა და იმავე სერბიულ-ხორვატულ ენაზე, მკვიდრობენ მოსაზღვრე ტერიტორიებზე, ჰქონდათ საერთო ეკონომიკური ბაზა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავიანთი თვითმყოფადი კულტურებით დამოუკიდებელ ეთნო-

სებს წარმოადგენდნენ. თითოეული მათგანის კულტურის თვითმყოფადობა კი ძირითადად რელიგიური ფაქტორებითაა განპირობებული. ჩინეთში ჩინელები და ხუეიელები ლაპარაკობენ ერთ ჩინურ ენაზე, განსახლებულნი არიან „ზოლებრივად“ ქვეყნის სხვადასხვა რაიონში (ხშირად ერთსა და იმავე ქალაქსა და სოფელში), მაგრამ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი კულტურულ-ყოფითი თავისებურებებით, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია იმით, რომ ხუეიელები მუსლიმები, ჩინელები კი სხვა რელიგიების (ბუდიზმი, დაოსიზმი, კონფუციანიზმი) მიმდევარნი არიან.

ხალხი (ეთნოსი) თუ კარგავს თავის კულტურულ სპეციფიკას, ის, როგორც დამოუკიდებელი ეთნოსი, არსებობას წყვეტს. ასე დაემართა არაერთ ხალხს, რომლებიც ბიოლოგიურად თუმცა არ გადაშენდნენ, მაგრამ ისტორიის არენიდან გაქრნენ, რადგან კულტურული თვალსაზრისით მთლიანად შეერწყნენ მეზობელ ეთნოსებს. მაგალითად, აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე არაერთი დასავლეთ სლავური მოდგმის ხალხი მდინარეების – ელბისა და ოდერის აუზებში გერმანელთაგან ასიმილირდა და მათ შემადგენლობაში შევიდა. ენობრივ-კულტურული ასიმილაციის ნათელ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ძველი ეგვიპტელების არაბიზაცია, ბალტიურენოვანი პრუსების გერმანიზაცია, კავკასიელი ალბანელების არმენიზაცია, თურქიზაცია და სხვა.

ეთნოსთა გამიჯვნის, ეთნიკური თვითშეგნების ერთ-ერთი განმსაზღვრელია აგრეთვე ამა თუ იმ ხალხისათვის დამახასიათებელი სოციალური ურთიერთობები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დაღესტნის მაგალითი. მართალია, დაღესტანში 30-ზე მეტი ხალხი (ეთნოსი) მკვიდრობს, რომლებიც ერთმანეთისთვის გაუგებარ (თუმცა მონათესავე) ენებზე ლაპარაკობენ, მაგრამ მათ აქვთ საერთო, რაც დაღესტნის საერთო სახელწოდებაში მოქცევის განმაპირობებელია. მხედველობაში გვაქვს ქორწინების სისტემა – ენდოგამიური ქორწინება. ახლა ჩაჩნები და ინგუშები ავიღოთ, რომლებიც ერთი ენის ორ დიალექტზე მეტყველებენ, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან გამიჯნულნი არიან სოციალური ურთიერთობების განსხვავებული ფორმებით. ამ თვალსაზრისით ჩაჩნური და ინგუშური ტრადიცია, რომელიც ეთნიკური ტრადიციის სახითაა წარმოდგენილი, დიამეტრალურად განსხვავებულია. ინგუშებს თუ მტკიცე ოჯახი აქვთ, ჩაჩნური ოჯახი ამის საპირისპიროა. ჩაჩნებში მეუღლესთან გაყრა, ანუ ქმრის მიერ ცოლის გაშვება, პრობლემა არაა. ასე რომ, ჩაჩნებში ქალი შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე რამდენიმე მამაკაცის ცოლი იყოს და მან პირველი ან მეორე მეუღლის ოჯახში დატოვებული შვილები აღარც კი ნახოს.

ამრიგად, ეთნიკურ თვითშეგნებას არა მარტო ენა, არამედ ეთნიკური კულტურაც განსაზღვრავს. ეთნოსს (ხალხს) ადამიანთა მხოლოდ ის ერთობლიობა წარმოადგენს, რომელიც თავს შეიმეცნებს როგორც ასეთს, რომელიც მას სხვა ანალოგიური ერთობებისაგან განასხვავებს. ეთნოსის წევრების ჯგუფური ერთობის შემეცნებას ეთნიკურ თვითშეგნებას უწოდებენ, რომლის გარეგანი გამოხატულებაა თვითსახელწოდება (ეთნონიმი). ასე რომ, ეთნოსის (ხალხის) წევრების თვითშეგნება ფოკუსირდება წარმოდგენებში საერთო ტერიტორიის (სამშობლოს), ენის (დედაენის), კულტურის შესახებ და ფსიქიკის ნიშანდობლივ თავისებურებებში. აგრეთვე ეთნოსის (ხალხის) წევრებს საერთო წარმოდგენა აქვთ წარმოშობის შესახებ და ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან საერთო ისტორიული ბედით.

1.6. ხალხთა სახელწოდებანი - ეთნონიმები

დედამიწაზე ისტორიულად არსებულ ყველა ხალხს (ეთნოსს) საკუთარი სახელი ჰქონდა. ხალხთა (ეთნოსთა) სახელებს მეცნიერები ეთნონიმებს (ბერძნ. **ethnos–ხალხი** და **onyma–სახელი**) უწოდებენ. ეთნონიმი ხალხის ეთნიკური თვითშეგნების, ცნობიერების, იდენტობის გამოხატულებაა. რადგან ეთნონიმის წარმოქმნა მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ისტორიასთან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეთნიკურ ისტორიასთან, ამიტომ ხალხთა საკუთარი სახელების შესწავლა გვეხმარება გავარკვიოთ მათი წარმოშობის საიდუმლოებანი და სხვადასხვაგვარი ეთნიკური კავშირები. ეთნონიმების ისტორიული სემანტიკის გარკვევა მხოლოდ ლინგვისტური ანალიზითაა შესაძლებელი, მაგრამ ეთნონიმიკურ კვლევაში საუკეთესო შედეგის მიღება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ეთნონიმების ლინგვისტურ ანალიზთან ერთად მკვლევრები იყენებენ ყველა ხელმისაწვდომ ისტორიულ მონაცემსაც (ეთნონიმების ერთი ნაწილი ისტორიულ წყაროებში ძალიან ბევრჯერაა მოხსენიებული; ზოგიერთი მხოლოდ ერთხელაა დაფიქსირებული. უამრავი ეთნონიმი კი მხოლოდ ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ ტექსტებში შეიძლება მოვიძიოთ). თავდაპირველად ეთნონიმების მნიშვნელოვანი ნაწილი გარკვეული ხალხის სახელის აღმნიშვნელი არც იყო. ისინი საზოგადო სახელები იყო. ამავე დროს, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბევრი ეთნონიმის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „ადამიანები“, „ხალხი“. ამგვარი მნიშვნელობა ჰქონია თავდაპირველად გერმანელთა თვითსახელწოდებას „დოიჩეს“, „ნოხჩოის“, „ნენცს“, „ნივხს“, „აინუს“ და ა.შ.

ეთნოსის სახელწოდება (ეთნონიმი) შეიძლება მომდინარეობდეს ტერიტორიის სახელიდან (ტოპონიმიდან), რომელზეც ის ცხოვრობს. მაგალითად, კავკასიელი ჩაჩნებისა და ინგუშების სახელწოდებანი დასახლებული პუნქტების – „ჩაჩანაულის“ და „ანგუშტის“ (თანამედროვე კაზაკთა სოფელი „ტარსკაია“ ოსეთში) სახელწოდებებიდან მომდინარეობს (ორივე ეს ეთნონიმი ხალხთა გარე სახელწოდება ანუ ეგზოეთნონიმია. პირველი თავის თავს „ნოხჩოის“ უწოდებს, მეორე – „ღალღაის“, შესაბამისად ქართულ წყაროებში „ძურძუკები“ და „ღლიღვები“. მათივე აღმნიშვნელი ქართული ეთნონიმია „ქისტიც“). უკრაინელთა სახელი ყოფილი რუსეთის იმპერიის ისტორიული ტერიტორიის სახელიდან მომდინარეობს (Окраина – გა-ნაპირა მხარე). ეს სახელი უკრაინელებს რუსებმა შეარქვეს. თვით უკრაინელები თავიანთ თავს ჯერ კიდევ XVII ს-ში „რუსებს“ უწოდებდნენ და ძველ რუსთა ნამდვილ შთამომავლებად მიიჩნევდნენ. მაშინ „უკრაინელს“ ეთნიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა და ის უბრალოდ მხოლოდ განაპირა მხარის მკვიდრთ აღნიშნავდა. ტოპონიმი უდევს საფუძვლად რუსთა უკრაინულ და პოლონურ სახელწოდებას „მასკალ“(ე.ი. მოსკოველი). ეთნონიმი „აზერბაიჯანელი“ კი ძველი ირანის პროვინციის ატროპატენის სახელწოდების სახეცვლილი ფორმიდანაა მიღებული. ისტორიაში დადასტურებულია პირიქითი ფაქტებიც: გეოგრაფიული სახელწოდება (ქვეყნის სახელი) მიღებულია ეთნონიმებისაგან. შორს რომ არ წავიდეთ, ამ რიგის მაგალითად „საქართველო“ შეიძლება დავასახელოთ: „ქართვ-ელი“ → „სა-ქართვ-ელო“, თუმცა „ქართველი“, როგორც ეთნონიმი, ქვეყნის სახელიდან (გეოგრაფიული სახელწოდებიდან) – „ქართლი“ იყო წარმოქმნილი. ისტორიაში ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როდესაც ამა თუ იმ ეთნოსმა სახელწოდება ცნობილი მმართველების საკუთარი სახელებიდან მიიღო. მაგალითად შეიძლება ეთნონიმები „**უზბეკი**“ და „**ნოღაელი**“ დავასახელოთ. ისინი მომთაბარე ტომობრივი ჯგუფების ხანთა საკუთარი სახელებიდან მომდინარეობს. როგორც მეცნიერებაში აღიარებულია, ნოღაელები ერთ დროს ძლიერი თურქულენოვანი ხალხის „გუზების“ შთამომავალნი არიან, რომლებიც ჯერ კიდევ X-XI სს-ში კასპიის ზღვის ჩრდილოეთით, მდინარეებს, ვოლგასა და ურალს შორის ვრცელ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ.

მოფლიოს ძალიან ბევრ ხალხს რამდენიმე სახელი აქვს. სამართლიანადაა შენიშნული (შ. აფრიდონიძე), რომ „ეთნონიმია“ საკუთარ სახელებს შორის (ტოპონიმები, ანთროპონიმები, ზოონიმები, კოსმონიმები) ერთადერთია, რომელიც აუცილებელი პარალელიზმით ხასიათდება. ეთნონიმთა შორის ორი ჯგუფი გამოიყოფა. ერთი მათგანი აუცილებლად თვითსახელწოდებაა (ენდოეთნონიმია), მეორე კი გა-

რესახელწოდება (ეგზოეთნონიმია). მაგალითად, ქართველები ქართველს მხოლოდ ჩვენ თავს ვუწოდებთ. ამ სახელით საქართველოს ტერიტორიის გარეთ არავინ არ გვიცნობს. სომხებისათვის „ვრაც“-ები ვართ (ძველსომხურად „ვირკ“), რუსებისათვის – „გრუზინ“-ები, ირანელებისა და თურქებისათვის (აგრეთვე მაჰმადიანი ჩრდილოკავკასიელებისათვის) – „გურჯ“-ები, ფრანგებისათვის – „ჟეორჟიენ“, ესპანელებისათვის – „ხეორხიანოს“, ინგლისელებისათვის – „ჯორჯიან“. ყაბარდოელებისათვის ქართველი „სონე“-ა, ბალყარელისათვის – „ებზე“. გერმანელთა თვითსახელწოდებაა (ენდოეთნონიმია) „დოიჩ“, რუსები მათ „ნემეც“-ს უწოდებენ, ინგლისელები – „ჯიომენ“-ს, ფრანგები „ალემან“-ს, იტალიელები – „ტედესკო“-ს, ფინელები – „საქსალაინენ“-ს, სერბები – „შვაბ“-ს. რაც შეეხება ეთნონიმს „გერმანელი“, ის სხვადასხვა ხალხში კელტებიდან გავრცელდა. ამრიგად, ეთნონიმებიდან აშკარად ჩანს, რომ ამა თუ იმ ეთნიკური სახელის მატარებლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ეთნიკური ჯგუფის ერთიანობა და რომ სხვა ეთნოსებს ისინი სახელით (ეთნონიმით) უპირისპირდებიან (ფორმულა „ჩვენ“ – „ისინი“). ყველა ეთნოსი სახელით გამოარჩევს თავის თავს სხვა ეთნიკური ერთობებისაგან.

საისტორიო ტრადიციით ეთნონიმთა ნაწილი წინაპრის სახელთანაა დაკავშირებული. მაგალითად, სომეხთა თვითსახელწოდებაა **„ჰაი“**. სხვები სომხებს ძირითადად **„არმენ“**-ების სახელით იცნობენ (თურქულენოვანი ხალხები მათ **„ერმენლი“**-თ მოიხსენიებენ). სომხური საისტორიო ტრადიციითაც სომხები ორი ძმის, „ჰაიკის“ და „არმენიკის“ შთამომავალნი არიან. გადმოცემით ყაბარდოელების მამამთავარს სახელად ერქვა „ყაბარდა“, რომელმაც თავისი ხალხი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მიიყვანა. ეთნონიმიც აქედან მომდინარეობს. ქართული საისტორიო ტრადიციითაც ეთნონიმი **„ქართველი“** ეთნარქიდან – ქართლოსი მომდინარეობს, თუმცა ეს მხოლოდ ლეგენდაა და ამდენად დამაჯერებლობას მოკლებულია.

ეთნონიმთა უმეტესობა დროთა განმავლობაში გავრცელების არეს იცვლიდა. თავდაპირველად ესა თუ ის ეთნონიმი მხოლოდ ხალხის ერთი ნაწილის, პატარა ჯგუფის აღმნიშვნელი იყო. შორს რომ არ წავიდეთ, ისევ ეთნონიმის – „ქართველი“ შესახებ შეიძლება ვთქვათ. „ქართველი“ თავდაპირველად საქართველოს ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – ქართლის მკვიდრებს აღნიშნავდა. შემდეგ ეს ეთნონიმი საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებზე გავრცელდა – ის მიეკუთვნა იმერელსაც, მეგრელსაც, სამცხელსაც, ტაოელსაც, აფხაზსაც, დვალსაც, სვანსაც, კახელსაც, ჰერსაც, ფხოველსაც..., რადგან ქართული ტომების არა მარტო ერთ პოლიტიკურ ორგანიზაცი-

აში (სახელმწიფოში), არამედ ერთ კულტურულ-ისტორიულ არეალში გაერთიანება ქართლისა და ქართლელთა გარშემო მოხდა. ასე გაიფართოვა გავრცელების არეალი ეთნონიმმა **„ფრანგი“**. თავდაპირველად ის დღევანდელი საფრანგეთის ერთი პროვინციის, მეფის დომენის, ილ-დე-ფრანსის მაცხოვრებლებს მიეკუთვნებოდა. შემდეგ, აღნიშნული ეთნონომი სხვა პროვინციების, ნავარას, ბეარნის, ბურგუნდიის, აკვიტანიის, ელზასის, ლოტარინგიის, პროვანსის მკვიდრებზედაც გავრცელდა. IX ს-მდე „ჩეხები“ დასავლეთ სლავების ერთ პატარა ტომს ეწოდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ მრავალი სლავური ტომი გააერთიანეს, ახალმა ეთნიკურმა ერთობამ გამაერთიანებელი ჩეხების სახელწოდება მიიღო, გაერთიანებული ტომების სახელწოდებანი კი გაქრა. სხვა მაგალითები რომ არ მოვიყვანოთ, უნდა დავასკვნათ, რომ ხშირად ამა თუ იმ ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელწოდება მთელ ხალხებს გადაეცემა. იგივე შეიძლება ითქვას ეგზოეთნონიმებზეც. მაგალითად, ფრანგებისათვის გერმანელები „**ალემანები**“ არიან, ლატვიელებისათვის რუსები – „**კრივიჩები“**. ალემანები გერმანელთა ერთ-ერთი ტომობრივი გაერთიანება იყო, რომელთანაც ფრანგებს ხშირი კონტაქტი ჰქონდათ. კრივიჩები კი ლატვიელებთან ახლოს განსახლებული ერთ-ერთი აღმოსავლეთ-სლავური ტომი გახლდათ.

რადგან ეთნოგრაფიული ჯგუფები ვახსენეთ, ორიოდე სიტყვით მათი სახელწოდების შესახებაც უნდა აღვნიშნოთ. ხალხთა (ეთნოსთა) უმეტესობა ეთნოგრაფიულ ჯგუფებად იყოფა, რომელთა წარმოქმნა განპირობებულია ამა თუ იმ ეთნოსის ისტორიული ცხოვრებით, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით. ერთი სიტყვით, ეთნოსთა ეს დანაყოფები ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ყოფა-ცხოვრებით, წეს-ჩვეულებებით, სპეციფიურობით ხასიათდება. ამავე დროს ყველა ეთნოსის ეთნოგრაფიული ჯგუფისათვის დამახასიათებელია შესაბამისი დიალექტი, კილოკავი ანდა ენობრივი განსხვავებულობაც კი. *ესპანელების ეთნოგრაფიული ჯგუფები არიან კასტილიელები, ასტურიელები, ლეონელები, ესტრემადურიელები, არაგონელები, ანდალუსიელები, ვალენსიელები... იტალიელებისა – ვენეციელები, ლიგურიელები, კალაბრიელები, ლომბარდიელები, პიემონტელები, ტოსკანელები, სიცილიელები.* დასახელებული **ეთნოგრაფიული ჯგუფების სახელწოდებანი ეთნონიმები არაა (ზოგჯერ არასწორად მათ ეთნონიმებად წარმოიდგენენ)**. ეთნონიმებია მხოლოდ ზემოთ დასახელებული ჯგუფების გამაერთიანებელი სახელწოდებანი – ესპანელები, იტალიელები. იგივე შეიძლება ითქვას ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფების სახელწოდებებზეც (ქართლელი, კახელი, იმერელი, აჭარელი, გურული, მეგრელი, სვანი, მესხი, ჯავახი).

მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური ისტორიის გაცნობა გვარწმუნებს, რომ **ხშირად ეთნონიმი არა მხოლოდ ფონეტიკურად იცვლებოდა, არამედ ობიექტსაც იცვლიდა**. დადასტურებულია არაერთი შემთხვევა ეთნიკური კონტაქტების შედეგად ეთნონიმის ერთი ხალხიდან მეორე ხალხზე გადაცემისა. ასეთ შემთხვევაში ხშირად ეთნონიმების: ბულგარელის, ფრანგის, რომაელის და სხვათა მაგალითები მოჰყავთ. დღეს ბულგარელები სლავები არიან. თავდაპირველად კი ეთნონიმი „ბულგარელი“ თურქულენოვანი ხალხის სახელწოდება იყო, რომელიც ვოლგისპირეთისა და სამხრეთ რუსეთის სტეპებში მომთაბარეობდნენ. თრაკიაში სლავი ტომები თურქმა ბულგარელებმა დაიპყრეს. მათ აქ სახელმწიფოც შექმნეს და ზედა ფენასაც ისინი წარმოადგენდნენ. ქვეყანას ბულგარეთი ეწოდა და ქვეყნის მკვიდრნიც ბულგარელებად იწოდნენ (მოსული ბულგარელები სლავებში გაითქვიფნენ). ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ბულგარელთა ეთნონიმმა განვითარება პოვა აგრეთვე სხვა თურქულენოვან ხალხში – ბალყარელებში, რომლებიც დღეს ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის მკვიდრნი არიან. გერმანულენოვანმა ფრანკებმა რომანიზებული გალია დაიპყრეს. რომანიზებული გალების თვითსახელწოდება (და ეგზოეთნონიმიც) **„ფრანსე“ („ფრანგი“)** გახდა. მაკედონიელები დღეს სლავები არიან, მაგრამ ოდესღაც დღევანდელი მაკედონიის ტერიტორიაზე სხვა ხალხი – მაკედონიელები ცხოვრობდა (ალექსანდრე მაკედონელი ამ ეთნოსის წარმომადგენელი იყო), რომელსაც არავითარი საერთო არც ეთნიკური კულტურის, არც ენობრივი თვალსაზრისით არ ჰქონდა დღევანდელ მაკედონელებთან. მაკედონიის ტერიტორიაზე VI ს-ში მოსულმა სლავებმა აქ ანტიკურ პერიოდში მცხოვრები ხალხის ეთნონიმი საკუთარ ეთნონიმად აქცია. ბალტიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ბალტიელი ხალხი – პრუსები (ლიტველებისა და ლატვიელების მონათესავენი) მკვიდრობდნენ. XII-XIII სს-ში მათი ტერიტორია გერმანელებმა დაიკავეს. პრუსების ნაწილი გერმანელებმა გაანადგურეს, ნაწილი კი ასიმილირებულ იქნა. პრუსიის მიწაზე შექმნილი გერმანული სახელმწიფო პრუსიად იწოდა და აქ მცხოვრები გერმანელები – პრუსიელებად. დადგენილია, რომ ეთნონიმი **„რუსი-როსი“** არასლავურია. სხვადასხვა ჰიპოთეზებს შორის დღეს რუსულ მეცნიერებაში უმეტესად გაზიარებულია თეორია, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ეთნონიმი თავდაპირველად ირანული ტომების საკუთრება იყო და ადგილობრივი ირანულენოვანი მოსახლეობის სლავიზაციის შედეგად მათი ეთნიკური სახელწოდება სლავების მიერ იქნა შეთვისებული (ვ. სედოვი). როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, ეთნონიმის შინაარსის კარდინალური შეცვლა ძველი ისტორიის პერიოდშიც ხდებოდა. მაგალითად, მცირე აზიაში თავდა-

პირველად **ხათები** მკვიდრობდნენ. მათი ეთნიკური რაობის და ენის შესახებ არაფერია ცნობილი. ძვ.წ. II ათასწლეულისა და I ათასწლეულის დასაწყისში ისინი ინდოევროპელებმა დაამარცხეს. გამარჯვებულებმა დამარცხებულთა ეთნონიმი „ხეთ“-ის ფორმით მიიღეს.

ამრიგად, აშკარაა, რომ ეთნონიმები საუკუნეების განმავლობაში არსებობდნენ, მაგრამ ისტორიის ერთ ეტაპზე ესა თუ ის სახელწოდება თუ ერთ რომელიმე ხალხს აღნიშნავდა, მეორე ეტაპზე – მეორეს, შესაძლებელია, მესამე ეტაპზე მესამე, სრულიად სხვა ხალხი აღნიშნოს. აქედან გამომდინარე, მკვლევრებს დიდი სიფრთხილე მართებთ საისტორიო წყაროებში ამა თუ იმ ეთნონიმის ამოკითხვისას. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურა, რომელშიც ეთნონიმი **„აფხაზი“** გვხვდება არა დღევანდელ აფხაზთა აღსანიშნავად, რომელთა თვითსახელწოდება **„აფსუაა“**, არამედ ის სინონიმია ეთნონიმისა **„გურჯი“**, ე.ი. ქართველის.

ეთნონიმის შინაარსი მისი ობიექტის შეცვლისაგან დამოუკიდებლადაც შეიძლება შეიცვალოს. ხშირად ერთი ხალხის ეთნონიმი მეორე ხალხზე გადაჰქონდათ. შავიზღვისპირეთში XIX ს-ში მოლდოველებს ზოგჯერ ბერძნებისა და ციგნების სახელებით მოიხსენიებდნენ. XX ს-ის 20-იან წლებამდე რუსეთში ეთნონიმი **„ყირგიზი“** აღნიშნავდა არა ყირგიზებს (მათ ყარაყირგიზებს უწოდებდნენ), არამედ ყაზახებს. VIII ს-ის შუა აზიაში ტერმინი **„ტაჯიკი“** არაბს (ე.ი. ხალიფას მეომარს) აღნიშნავდა, შემდეგ კი ის აქაური სპარსულენოვანი ხალხის ეთნონიმად იქცა. უეჭველია, რომ ეთნონიმების ერთი ხალხიდან მეორეზე გადატანა უფრო ხშირი იყო დამწერლობის შექმნამდე, უდამწერლობო ხალხებში და ის ძირითადად მეზობელი თუ შორეული ხალხების ისტორიის არასაკმარისი ცოდნით იყო განპირობებული. რაღა შორს წავიდეთ, XVIII ს-ში რუსეთში **„ნემეცი“** აღნიშნავდა არა მხოლოდ გერმანელს, არამედ სხვა გერმანიკული მოდგმის ხალხსაც, მაგ., ჰოლანდიელსაც, დანიელსაც და ა.შ. **„ლიტვანი“** ბელორუსსაც მიესადაგებოდა; პუშკინის მიხედვით, პოლონელსაც. ფრანგი ბევრ ხალხში (და მათ შორის, ქართველებშიც) ევროპელთა, უფრო სწორად, ევროპაში მოსახლე სხვადასხვა კათოლიკე ხალხთა სინონიმიც იყო. ძველი ისტორიკოსები ხშირად სხვადასხვა ხალხთა ნაკრებს ერთი ეთნონიმით, ყველაზე ძლიერი და დიდი ხალხით ასახელებდნენ, მაგალითად, ელინიზმის ეპოქაში. ამის მაგალითად **„ხაზარები“** და **„სკვითები“** შეიძლება დავასახელოთ. ელინიზმის ეპოქაში ეთნონიმს „სკვითი“ შავიზღვისპირეთიდან თითქმის შუა აზიამდე განსახლებულ მომთაბარე ტომებსაც მიუსადაგებდნენ. მეცნიერი ხშირად შეცდომაში შეიძლება შეიყვანოს ძველ წყაროთა

ჩვენებებმა. გვიანდელი ისტორიკოსები ზოგჯერ, როდესაც აღწერენ დაახლ. ათასი წლის წინანდელ მოვლენებს ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულზე, სადაც ეთნოსი შეცვლილია, ძველი ეთნოსის სახელწოდების აღსანიშნავად მის დროს მცხოვრები ხალხის ეთნონიმს იყენებენ. მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“, როდესაც აღწერს ჩრდილოეთ კავკასიურ მოვლენებს V საუკუნისათვის, ხშირად ახსენებს ოსებს, სინამდვილეში კი ჰუნები იგულისხმება.

ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში შეიცვალა, გაფართოვდა, სხვა ხალხებს მიეკუთვნა ეთნონიმები: **„თურქი“, „თათარი“, „რომაელი“**. თავდაპირველად რომაელი („რომეი“) თუ აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ლათინურენოვან ეთნოსს მიესადაგებოდა, შემდეგ ეს ეთნონიმი ბიზანტიურმა ეთნოსმა მიისაკუთრა და **„რომეი“** მათ თვითსახელწოდებად იქცა („ურუმს“ უწოდებდნენ თავიანთ თავს თურქეთიდან 1830-იან წლებში საქართველოში, თრიალეთში გადმოსახლებული თურქულენოვანი ბერძნები). თუმცა, სინამდვილეში ისინი რომისა და რომაელთა მესაფლავენი იყვნენ და მომდინარეობდნენ მცირე აზიის, სირიის, ეგვიპტის პოლიეთნიკური ქრისტიანული თემებიდან. შემდეგ სახელწოდება „რომაელი“ რუმინელებზეც გავრცელდა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთ ხალხში ეთნონიმი **„ფრანგი“** ევროპის მკვიდრ სხვადასხვა კათოლიკე ხალხის სინონიმი იყო. თითქმის იგივე შეიძლება ითქვას ეთნონიმის – **„თათარი“** შესახებაც. ამ ეთნონიმმა განვითარების რთული გზა გაიარა. თავდაპირველად აღნიშნულ ტერმინს ჩინელი მემატიანეები ჩინეთის ჩრდილოეთით მცხოვრებ ყველა „სტეპნიაკს“ მიუსადაგებდნენ. უხეშად რომ შევადაროთ, მას თითქმის ისეთივე შინაარსი ჰქონდა, როგორც ევროპელს, რომელშიც იტალიელსაც ვგულისხმობთ და დანიელსაც, პოლონელსაც და უნგრელსაც. სინამდვილეში ეთნონიმი „თათარი“ მრავალრიცხოვანი სტეპური ტომებიდან ერთ-ერთის სახელწოდება იყო. თათრები მონღოლებთან მტრულ განწყობილებაში იყვნენ, მაგრამ მალე ისინი საერთო მონღოლურ სახელმწიფოში შევიდნენ. მონღოლებმა როგორც სხვა ტომების, ისე თათრების ასიმილირება ადვილად მოახდინეს. მას შემდეგ მონღოლებმა მეორე სახელწოდება „თათარი“ მიიღეს. გვიან ეს ეთნონიმი მაჰმადიანური სარწმუნოების რამდენიმე თურქულენოვანმა ხალხმა მიიღო (ყირიმის თათრები, ყაზანელი თათრები, ასტრახანელი თათრები). ქართველთათვის (საერთოდ ქრისტიანთათვის) „თათარი“ იყო ყველა მუსლიმური სარწმუნოების ხალხი, მათ შორის, მაჰმადიანი ქართველიც ამ ეპითეტის მატარებელი ხდებოდა (ანალოგიურ ვითარებასთან გვქონდა საქმე, როდესაც ბიზანტიის იმპერიაში მცხოვრები ოცამდე სხვადასხვა მართლმადიდებელი სარწმუნოების ეთნოსი ბიზანტიელად, ე.ი. ბერძნად

(თვითსახელწოდება „რომეი“) იქცა. ამ მხრივაც ხდებოდა ხალხების (ეთნოსების) მიერ სახელების შეცვლა. მაგალითად, ხაზართა შთამომავლების გარკვეული ნაწილი ოქროს ურდოს ეთნიკურ კონგლომერატში გაითქვიფა და მუსლიმური სარწმუნოების გამო ისინი მექანიკურად თათრებად იქცნენ. ასევე თათრებად იწოდნენ დონისპირეთის ყივჩაყები, რომლებიც ადრე თათარ-მონღოლთა დაუძინებელი მტრები იყვნენ.

ეთნონიმებთან მიმართებაში მეცნიერებს შემჩნეული აქვთ შემდეგი გარემოებაც, ესაა რამდენიმე ხალხის მიერ ერთი სახელწოდების ტარება, რაც ძირითადად გარესახელწოდებაზე (ეგზოეთნონიმებზე) ვრცელდება. მაგალითად, ანტიკური წყაროები იბერიელებს უწოდებენ აღმოსავლეთ ქართველებს და პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ მოსახლეობას – ესპანეთის ძველ მკვიდრებს. ალბანელები ეწოდებოდათ ქართველთა მეზობელ, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მკვიდრ ეთნოსს და ალბანელებს უწოდებენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ხალხს, რომელთა თვითსახელწოდებაა „**შკიპტარ**“. **„ავარები“** ერქვა ერთ-ერთ თურქულენოვან ხალხს, რომელიც VI ს-ის შუახანებში დუნაისპირეთში შეიჭრა და პანონიაში დასახლდა. მემატიანეებს მათ თავი იმით დაამახსოვრეს, რომ ისინი თარეშობდნენ გერმანიის, იტალიის და ევროპის სხვა ქვეყნების სიღრმეებში. მხოლოდ VIII ს-ის ბოლოს შეძლეს კარლოს დიდის მხედართმთავრებმა ავარების განადგურება და მას შემდეგ, როგორც ეთნოსი, ისინი გაქრნენ. რა თქმა უნდა, თურქულენოვან ავარებთან არავითარი საერთო არა აქვს დაღესტნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ეთნოსს **„ავარიელებს“** (ქართულად „**ხუნძებს**“. ავარიელთა ქართული სახელწოდება „ხუნძები“ ტოპონიმიდან, სოფლის სახელიდან – „ხუნძახი“ მომდინარეობს), რომლის თვითსახელწოდებაა „**მაარულალ**“, რაც მათ ენაზე მთიელს ნიშნავს. ეს საერთო ეთნონიმი მხოლოდ შემთხვევითია. როგორც აღვნიშნეთ, ძველი ავარები თურქები იყვნენ, კავკასიელი ავარიელები (ხუნძები) კი კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ერთ-ერთ ენაზე ლაპარაკობენ.

ეთნონიმებთან დაკავშირებით მოკლედ უნდა აღინიშნოს ერთი მოვლენის შესახებ, რომელიც ბოლო დროს შეიმჩნევა. ესაა ადრინდელი სახელწოდების (მკვდარი ეთნონიმის) თანამედროვე ეთნოსებისათვის მიკუთვნება. ამის ნათელი მაგალითია ოსების მიერ თავიანთი საცხოვრებელი ტერიტორიისათვის (ოსეთისათვის) მეორე სახელის – ალანეთის და, შესაბამისად, ეთნონიმის – ალანების მისაკუთრება. სამართლიანადაა შენიშნული (შ. აფრიდონიძე), რომ ადრინდელი სახელების თანამედროვე თაობებისათვის თავს მოხვევას

„აზრი არა აქვს არა მარტო როგორც უბრალოდ ანაქრონიზმის აღორძინების, არამედ რიგ (და უმეტეს) შემთხვევაში ეს ეთნიკურადაც გაუმართლებელია, რამდენადაც პრაქტიკულადაც ვნებს ხალხთა შორის ურთიერთობას“. ეთნონიმი „**ალანი“** ოსებისათვის უცნობი იყო. ის მათი არც ენდოეთნონიმი და არც ეგზოეთნონიმია. იმ თვალსაზრისითაცაა მიუღებელი ოსების თვითსახელწოდებად „ალანების“ გამოყენება, რომ ისინი, როგორც ეთნოსი, კავკასიაში ადგილობრივი კავკასიური ტომების და მოსული ირანულენოვანი ეთნიკური ერთეულის შერევის შედეგად ჩამოყალიბდნენ. ამასთანავე, ცნობილია, რომ სახელწოდება „ალანი“ I-IV სს-ში ევრაზიის სტეპებში მცხოვრებ ყველა ნომადზეც ვრცელდებოდა, თუ ისინი წეს-ჩვეულებებით, ცხოვრების ველური წესითა და შეიარაღებითაც მათ ჰგავდნენ. სხვათა შორის, მეგრულ მეტყველებაში ალანები ეწოდებოდა ჩრდილოეთკავკასიელ თურქულენოვან ხალხს – ყარაჩაელებს. ასევე გაუმართლებელი იქნებოდა ქართველებს საქართველოსათვის „იბერია“ და ქართველებისათვის „იბერიელები“ გვეწოდებინა, რადგან ამ სახელწოდებებმა ისტორიას, დროს ვერ გაუძლო, ხოლო დღევანდელი ეგზოეთონონიმები კი ტრადიციულადაა ჩამოყალიბებული. წარუმატებელი აღმოჩნდა XVIII ს-ში საქართველოს და ქართველების აღსანიშნავად მკვდარი სახელწოდების „**იბერიის“** და **„იბერიელების“** („**ივერიისა“** და „**ივერიელების“** ფორმით) აღორძინება.

მსოფლიოში დღეს 6.000-მდე ეთნოსს ითვლიან, მაგრამ ეთნონიმთა რაოდენობა ბევრად დიდია, რადგან ხალხთა უმეტესობას ენდოეთნონიმთან ერთად რემდენიმე ეგზოეთონონიმიც აქვს. კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ბევრი ეთონიმი გაქრა, ეთნიკურ სახელთა შედარებით მცირე რაოდენობამ კი დროს გაუძლო და დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს. ბევრმა ეთონიმმა ჩვენამდე საერთოდ ვერ მოაღწია. ზოგიერთი აწ არარსებული ხალხის ეთონიმი კი შეიძლება სადმე რომელიმე ხალხის მეტყველებაში ახლაც აღმოვაჩინოთ. მაგალითად, ანტიკურ წყაროებს ევრაზიის სივრცეში, დაახლოებით კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე ფიქსირებული ჰყავთ **სავირები** (ფიქრობენ, რომ ისინი ჰუნთა ერთ-ერთი ტომი იყო. სხვა მოსაზრებით, მადიარებს ანდა თურქებს ენათესავებოდნენ). დასავლეთ საქართველოს მთიელთა – სვანთა მეტყველებაში დღეს სავირებს ჩრდილოეთ კავკასიის თურქულენოვან ბალყარელებს უწოდებენ (ზოგჯერ ოსებსაც). ეს მასალა კი უდავოდ გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ დღევანდელი ბალყარეთის ტერიტორიაზე ოდესღაც სავირებსაც უცხოვრიათ, რომელთა სახელი ჯერ აქ მოსულ ირანულენოვან ხალხზე, ოსებზე გადავიდა, შემდეგ

კი თურქულენოვან ბალყარელებზე. მეგრულ მეტყველებაში თურქულენოვანი ყარაჩაელების აღმნიშვნელი ეთნონიმი, როგორც აღვნიშნეთ, არის „ალანები“, რაც ასევე იძლევა საშუალებას დანამდვილებით დავასკვნათ, რომ ყარაჩაელების მიწა-წყალზე მათ მოსვლამდე ოსთა ახლო მონათესავე ალანები მკვიდრობდნენ (რომლებიც კავკასიის ველებში ჰუნთა შემოსევების შემდეგ გამოჩნდნენ) და ადრინდელი მოსახლეობის სახელი შემდეგ მოსულებს მიეკუთვნა.

მეცნიერები ხშირად სვამენ კითხვას: როდის წარმოიქმნა ეთნომიმები? პასუხი მარტივია: როდესაც ეთნოსები (ხალხები) ჩამოყალიბდნენ, რომლებსაც გამოკვეთილი ეთნიკური თვითშეგნება ჰქონდათ. ეს კლასობრიობამდელ საზოგადოებაში მოხდა. თუმცა ეთნონიმთა წარმოქმნა, ახლის შექმნა, დავიწროება თუ გაფართოვება მუდმივი მოვლენა იყო, რადგან ეთნოსები (ხალხები) ისტორიის ყველა ეტაპზე ფორმირდებოდნენ. ერთი რამ კი აშკარაა – შეიძლება ერთი ენობრივი ერთეული ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ ერთი ეთნიკური თვითშეგნება არ ჰქონოდა და არც ერთი ეთნონომის მატარებელი იყო. ამის დამადასტურებელი მაგალითები დაღესტნიდან შეიძლება მოვიყვანოთ: «Известно, что в прошлом, даже вплоть до Октябрской революции, у многих дагестанских народов, в том числе и наиболее крупных, не было своих единых этнических имен, как например, в настоящее время – аварцы, даргинцы, табасаранцы, лезгинцы и др. А. Дир писал: «У некоторых народностей Дагестана мы встречаем странное явление: у них не существует общего названия для обозначе-ния народа и области, в которой распространен язык данного народа» (И.Х. Абдулаев, К.М. Микаилов. К истории дагестанских этнонимов лезг и лак – Этнография имен, М., 1971, с. 16). ნიშანდობლივია, რომ და-ღესტნურ ენებში ეთნონიმი და ტოპონიმი ერთი და იგივე სიტყვით გამოიხატება. მაგალითად, სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ლაკებში ყოველი სოფლის სახელწოდება აღნიშნავს როგორც აულს, ისე მასში მცხოვრები ხალხის ერთობლიობას. ლაკური აულის სახელწოდება ერთდროულად ეთნონიმურიცაა და გეოგრაფიულიც. არ ჰქონდათ საერთო სახელწოდება აგრეთვე ოსებს, თუმცა მეზობელი ხალხები მათ ერთიან ხალხად აღიქვამდნენ. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში დადასტურებული აღნიშნული მოვლენა, როგორც ჩანს, ამ ხალხების იზოლაციური ცხოვრების შედეგი იყო. ამავე დროს აშკარაა, რომ საერთო ენის ჩამოყალიბების პროცესი წინ უსწრებდა ერთიანი ეთნიკური თვითშეგნების, იდენტობის გამოხატულებას და შესაბამისად საერთო ეთნონიმის წარმოქმნასაც, რისთვისაც საჭირო იყო საერთო ისტორიული ბედი და პოლიტიკური

ორგანიზაციის შექმნა. ამასთანავე, ერთიან ენობრივ კოლექტივს საერთო ეთნონიმისათვის (ენდოეთნონიმისათვის) აუცილებლად სჭირდებოდა სხვა ეთნოლინგვისტურ ჯგუფთან დაპირისპირება.

ამრიგად, ასეთია მხოლოდ ზოგიერთი მონაცემი ეთნონიმების შესახებ. ერთი სიტყვით, ეთნონიმები ისტორიის შესანიშნავი მოწმეები არიან, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც გაუშიფრავია.

1.7. მოსახლეობის მიგრაციები და ეთნოსები

თანამედროვე მსოფლიოს ეთნიკური რუკა განსხვავდება ძველი მსოფლიოს ეთნიკური რუკისაგან. ხალხები (ეთნოსები) მთელი ისტორიის მანძილზე იცვლებოდნენ, რაზედაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა დაპყრობები, მიგრაციები... ეთნოსები ერთმანეთს ერწყმოდნენ, დიდი ეთნოსები პატარა ეთნოსების ასიმილირებას ახდენდნენ. დროდადრო იცვლებოდა მსოფლიოს ეთნიკური რუკაც. არ შევუდგებით იმის აღწერას, თუ როგორი იყო მსოფლიოს ეთნიკური შემადგენლობა ძველად, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ძველ ხალხთა (ეთნოსთა) მხოლოდ მცირე რაოდენობამ მოაღწია ჩვენამდე.

ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ეთნიკური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ე.წ. ხალხთა დიდ გადასახლებებს, რომლებიც IV-IX სს-ში მიმდინარეობდა. ამ გადასახლებებს, განპირობებულს პირველყოფილი საზოგადოების დაშლით, მოსახლეობის მატებით, ექსტენსიური მეურნეობით, წინ უსწრებდა ევროპის ჩრდილო-დასავლეთიდან გუთების შავიზღვისპირეთში გადასახლება (II ს. დასასრული – III ს. დასაწყისი) და სხვა მიგრაციები. ძველი იმპერიების ნანგრევებზე ქვეყნების უმეტესობაში ჩამოყალიბდა ფეოდალური სახელმწიფოები და მასთან ერთად დაიწყო ახალ ეთნოსთა ჩამოყალიბების პროცესი, რომელთაგან ბევრი დღესაც არსებობს. სწორედ ამ დროს მოხდა სლავების განსახლება აღმოსავლეთ ევროპაში და თითქმის მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულის ათვისება მათ მიერ; გერმანელების დასახლება ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში და მათი შეღწევა ბრიტანეთის კუნძულზე, სადაც ადრე კელტები ცხოვრობდნენ. ამავე დროს მოხდა რომის ყოფილი იმპერიის სხვადასხვა პროვინციაში ლათინიზირებული მოსახლეობის შერევა ბარბაროს ტომებთან და რომანული ენებისა და, შესაბამისად, ეთნოსების ჩამოყალიბება.

IV ს-ში ჰუნებმა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადანაცვლებით მიაღწიეს ევროპას, სადაც მათ დუნაის აუზში ეთნიკურად ძალზე შერეული საკმაოდ დიდი, მაგრამ არამტკიცე სახელმწიფო დაარფუძნეს. **ჰუნების ნაკვალევზე მოვიდნენ აღმოსავლეთ ევროპაში სხვა**

თურქული ტომები – ხაზარები, ავარები, ბულგარელები, პაჭანიგები, ყივჩაყები და სხვ. ბულგარელთა ერთმა ჯგუფმა ვოლგის აუზში გადაინაცვლა. მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თათრებისა და ჩუვაშების ეთნოგენეზში. ბულგარელების მეორე ჯგუფი 679 წელს დუნაიზე გადავიდა, სამხრეთით მცხოვრებ სლავებში გაითქვიფა და თავისი სახელწოდება გადასცა დღევანდელ ბულგარელ ხალხს. VIII-IX სს-ში სამხრეთ ურალიდან შუა დუნაიზე გადასახლდნენ უნგრელები (მადიარები), რომლებიც ენობრივად მონათესავენი იყვნენ დასავლეთ ციმბირელი უგრებისა – ხანტებისა და მანსებისა. თურქული მოდგმის ხალხების მასობრივი გადასახლება მოხდა სამხრეთ ციმბირში, ცენტრალურსა და შუა აზიაში, სადაც ახ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში ჩამოყალიბდა ერთმანეთის შემცვლელი სატომო გაერთიანებები და სახელმწიფოები, რომლებშიც სხვადასხვაგვარი ეთნიკური ერთობები შევიდნენ. VI საუკუნესა და VII საუკუნის დასაწყისში დაიწყო არაბთა დაპყრობები, რასაც თან ახლდა არაბთა განსახლება წინა აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში და მათ მიერ ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაციის პროცესი.

წყაროებით გადასახლებებში მონაწილე ხალხების ზუსტი რაოდენობის დადგენა გაძნელებულია. ზოგიერთი მონაცემით, ვესტგუთები, რომლებმაც რომის პროვინცია – მეზია დაიკავეს, 376 წელს 15 ათას კაცს ითვლიდნენ. ვანდალები, რომლებიც 406 წ. იტალიისაკენ მიემართებოდნენ, 200 ათასიდან 400 ათასამდე იყვნენ. ბალკანეთში გადასახლებული სლავები 100 ათასის ფარგლებში იყვნენ.

ხალხთა დიდი მიგრაციები ფრანგულ ისტორიოგრაფიაში „გერმანელთა თარეშებადაა“ სახელდებული. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ **ამ მიგრაციებმა თუ თარეშებმა ევრაზიის ვეებერთელა სივრცე მოიცვა და რადიკალურად შეცვალა სამყაროს ეთნიკური, კულტურული და პოლიტიკური იერსახე**. ხალხთა დიდი გადასახლებები იყო გარდამავალი ეპოქის უნიკალური ისტორიული ფენომენი. ეს ფაქტობრივად იყო ძველი ცივილიზებული სამყაროს – რომისა და ბარბაროსული გერმანული, თურქული, სლავური, ირანული ეთნოსების ჭიდილი. შვიდსაუკუნოვან მიგრაციებს, თარეშებს დიდი სისხლის ღვრა და ახალი ცივილიზაციების წარმოქმნა მოჰყვა. წარმოიქმნა ახალი სახელმწიფოები, ახალი ხალხები, ახალი სოციალ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, მორალი, ფასეულობები, სულიერი სამყარო.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ხალხთა დიდ მიგრაციებს ანტიკურობასა და შუა საუკუნეებს შორის დროებით „ღრიჭოს“ უწოდებენ** და მას სამ ეტაპად ყოფენ: პირველი (II-IV საუკუნეები) – **„გერმანული“**, მეორე (IV-V საუკუნეები) – **„ჰუნური“**, მესამე (VI-VII საუკუნეები) –

„სლავური“. მაგრამ ამ სამ ეტაპს აუცილებლად მეოთხე (VIII-IX საუკუნეები) – **„თურქულ-მადიარული“** უნდა დაემატოს, რადგან ის თურქთა და მადიართა მიგრაციებს არ ასახავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, VIII–IX საუკუნეებში ევროპაში აღმოსავლეთის ხალთა მიგრაცია-თარეშები მადიარებმა (უნგრელებმა) დააგვირგვინეს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რამ გამოიწვია ხალხთა დიდი გადასახლებები? ხალხთა დიდი გადასახლებების წინ გერმანულ და სლავურ ტომთა ცხოვრებაში თვისობრივი ცვლილებები მოხდა (საზოგადოებრივი ქონებისა და ნაყოფიერ შრომაში დაუსაქმებელი ადამიანების რაოდენობის ზრდა). სატომო ელიტა ქონების დაგროვებისკენ მიისწრაფოდა. ქონების მოპოვებისა და დაგროვების საშუალებას კი იმპერიის ტერიტორიაზე ლაშქრობები წარმოადგენდა. ეს ლაშქრობები, თავის მხრივ, რომის სახელმწიფოს ფარგლებში გადასახლებებისათვის ნიადაგს ამზადებდა. ამასთანავე, რომის იმპერიაც ხშირად ბარბაროსების მიგრაციას უწყობდა ხელს. ჰუნების ცენტრალურ ევროპაში გამოჩენამ მიგრაციული პროცესები მკვეთრად დააჩქარა და ადგილობრივი ეთნოსები აამოძრავა. ჰუნების გადასახლების მიზეზი რამდენადმე სხვა ფაქტორებით იყო განპირობებული, ვიდრე ბინადარი ხალხებისა. ბუნებრივი ფაქტორები კი ნომადთა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე უფრო დიდ გავლენას ახდენდა, ვიდრე მიწათმოქმედებზე. „მომთაბარულმა ფაქტორმა“ და გერმანულ და სლავურ საზოგადოებებში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურმა ძვრებმა და რომის იმპერიის კრიზისმა ევრაზიის სივრცეში ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან IX საუკუნემდე შეუჩერებელი მიგრაციული პროცესები გამოიწვია.

ახ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში აზიისა და ევროპის ეთნიკურ ისტორიაზე დიდი გავლენა მოახდინა მონღოლთა დაპყრობებმა. მათ სხვა, უპირატესად თურქული მოდგმის ხალხები დაიპყრეს, რომლებიც XIII ს-ში ჩინგის-ხანისა და მის მემკვიდრეთა ფართო, თუმცა ეფემერული იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ. ვრცელ ტერიტორიაზე მონღოლთა დაპყრობებს თან ახლდა მთელ რიგ ეთნიკურ ერთობათა გადაადგილებანი, რასაც შედეგად მოჰყვა სრულიად სხვადასხვა წარმოშობის ხალხების ერთმანეთთან შერევა და შეიქმნა წინაპირობები ცენტრალური, შუა და წინა აზიის, კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ახალი ეთნოსების ფორმირებისა. ამ ეთნიკური პროცესების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თათრების სხვადასხვა ჯგუფის გამოჩენა ციმბირში, ვოლგა-კამასა და ყირიმში. მონღოლ-თათართა კვალდაკვალ კავკასიასა და მცირე აზიაში, ოდნავ მოგვიანებით კი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, შეიჭრა თურქული მოდგმის ხალხების ახალი ჯგუფი – ოღუზები, რომლებიც

თანამედროვე შუააზიელი თურქმანების მონათესავენი იყვნენ. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ და არსებითი როლი ითამაშეს ახალი ეთნოსების ჩამოყალიბებაში, მათ შორის აზერბაიჯანელებისა და თურქ-ოსმალებისა, რომლებმაც XV ს-ში გაანადგურეს ბიზანტია და რამდენიმე საუკუნით დაიპყრეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის ბევრი ხალხი. XV ს-ში აზიაში, ევროპასა და აფრიკაში ჩამოყალიბდა თითქმის ყველა ეთნოსი, რომელიც დღევანდლამდე არსებობს.

მთელი მსოფლიოს ეთნიკური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვასა და განვითარებას, რასთანაც დაკავშირებულია XVI-XIX სს-ში ევროპელთა დიდი ჯგუფების ამერიკაში, ავსტრალიაში, ოკეანიასა და სამხრეთ აფრიკაში გადასახლება. ამ გრანდიოზულ მიგრაციებში მთავარი და წამყვანი როლი თავდაპირველად ესპანელებმა და პორტუგალიელებმა ითამაშეს. ამერიკის კონტინენტზე მიგრირებულმა, მშობლიურ ეთნოსებს მოწყვეტილმა ევროპელებმა უცხო საბინადრო ადგილებში ახალ ეთნიკურ ერთობებს მისცეს დასაბამი. ახალი ეთნოსების ჩამოყალიბებაში ერთ შემთხვევაში მთავარი როლი ითამაშა კოლონიური ქვეყნების ადგილობრივმა აბორიგენმა მოსახლეობამ, მეორე შემთხვევაში კი – ევროპიდან გადასახლებულთა შთამომავლებმა, რადგან ადგილობრივი, აბორიგენი მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში თითქმის მთლიანად გაანადგურეს, ხელოვნურად იზოლაციაში მოაქციეს და თავიანთი ეთნიკური ტერიტორიიდან გააძევეს. პირველი გზით მოხდა მექსიკის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ბევრი ხალხის ფორმირება. ეთნიკური განვითარების მეორე გზა დამახასიათებელი იყო კანადელებისათვის, აშშ-თვის, არგენტინისათვის, ურუგვაისათვის, ავსტრალიისათვის, ოკეანიის ბევრი კუნძულისათვის (ახალი ზელანდია, ჰავაი და სხვ.). ანალოგიური გზით სამხრეთ აფრიკაში ჰოლანდიიდან გადასახლებულთა შთამომავლებისაგან (ე.წ. ბურები) ჩამოყალიბდა ახალი ეთნოსი – აფრიკანერები, რომლებიც ლაპარაკობენ „აფრიკანსის“ განსაკუთრებულ ენაზე (6 მლ. მეტი). ის ახლოსაა ჰოლანდიურთან და ამავე დროს მისგან ბევრი თავისებურებით განსხვავდება. ზოგიერთ ამერიკულ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი კარიბის ზღვის აუზის კუნძულებზე, ვენესუელის, ბრაზილიისა და გაიანის ეთნიკურ ისტორიაში ევროპელების გვერდით დიდი როლი ითამაშეს ინდიელებმა და აფრიკული წარმოშობის მონათა შთამომავლებმა.

ამა თუ იმ ეთნოსში სხვა ხალხთა (ეთნოსთა) წარმომადგენლების შეღწევა მოხდა ანტიკური სამყაროს მონათმფლობელური საზოგადოებრივი ურთიერთობების დროს. ამ საზოგადოების

მოსახლეობის უმეტესობა, როგორც წესი, თავისუფალი მეთემეებისაგან შედგებოდა, რომლებიც უპირატესად მიწათმოქმედნი იყვნენ. ძირითადი ექსპლუატირებული კლასი, მონები, მონათმფლობელებისა და თავისუფალი მეთემეებისაგან ეთნიკური მიკუთვნებულობით განსხვავდებოდა. მონები უცხო ეთნოსთა წარმომადგენლები იყვნენ და, ბუნებრივია, თავდაპირველად არ შედიოდნენ არც ბერძნულ და არც რომაულ ეთნოსში. რომის იმპერიაში მონათა უმეტესობა სხვადასხვა ხალხის (ეთნოსის) წევრი იყო, რომელთანაც რომაელები დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ. მონებად ჰყავდათ ათასობით სამხედრო ტყვე: თრაკიელები, ილირიელები, გალები (კელტები), გერმანელები, სლავები და ბევრნი სხვანი, რომელთა მიწები ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და დასავლეთ აზიაში რომაელთა ჯარების მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ იყო დაპყრობილი. მონათა ყველაზე დიდი აჯანყების ბელადი სპარტაკი (ძვ.წ. I ს.) წარმოშობით თრაკიელი იყო. ახალი ერის პირველ საუკუნეებში, როდესაც რომის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება თანდათანობით დასუსტდა, ბევრმა შორსმჭვრეტელმა რომაელმა მონათმფლობელმა თავისი მონების მიწაზე დასმა დაიწყო. ამასთანავე, მათ ნებას რთავდნენ დაქორწინებულიყვნენ და შეექმნათ ოჯახები. თავისთავად ცხადია, ამ მონათა შთამომავალნი შედიოდნენ იმ ხალხის (ეთნოსის) შემადგენლობაში, რომელთა გარემოცვაშიც ცხოვრობდნენ.

1.8. რელიგია და ხალხები

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე თითქმის ყველა ხალხის ცხოვრებაში რელიგია არსებით როლს თამაშობდა. რელიგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა არა მარტო მატერიალურ კულტურაზე, საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფაზე, არამედ ეთნიკურ განვითარებაზეც. პირველყოფილ საზოგადოებაში ყველა ტომს მისთვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენები ჰქონდა. იმ დროისათვის ეს იყო **მაგია, ტოტემიზმი, ანიმიზმი, შამანიზმი**, **წინაპართა კულტი, ბუნების კულტი, ფეტიშიზმი, სატომო ბელადების კულტი, სხვადასხვაგვარი სამიწათმოქმედო და მეცხოველეობასთან დაკავშირებული კულტები და მრავალი სხვა**.

ძველი მსოფლიოს ცალკეული რელიგიები პოლითეისტურ და მონოთეისტურ რელიგიებად იქცნენ. ასეთი რელიგიებიდან აღსანიშნავია ძვ.წ. II ათასწლეულში ებრაელებში წარმოშობილი და ჩვენამდე მოღწეული **იუდაიზმი**. სხვა ძველი რელიგიის – **ზოროასტრიზმის** საფუძველი, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ძველ ირანელთა შორის წარმოიშვა და ტრანსფორმირებული სახით დღეს შე-

ნარჩუნებულია ფარსებში, გებრებსა და იეზიდების ეთნოკონფესიურ ჯგუფებში, იყო დუალიზმი, ე.ი. წარმოდგენა კეთილი და ბოროტი საწყისის ურთიერთბრძოლის შესახებ. აზიაში არაერთი სხვა პოლითეისტური რელიგია წარმოიშვა, მაგრამ ისინი მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიებად ვერ იქცნენ. მსოფლიო მნიშვნელობის მონოთეისტური რელიგიებია: **ბუდიზმი, ქრისტიანობა** და **ისლამი**. ბუდიზმის შესახებ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ის ძვ.წ. VI-V სს-ში წარმოიშვა სამხრეთ აზიაში და ორი ძირითადი მიმართულებისაგან შედგება.

ახ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში წარმოიშვა ქრისტიანობა (ახალი წელთაღრიცხვა ქრისტეს შობიდან აითვლება). XI ს. შუა ხანებში ქრისტიანობა ორ მიმართულებად – მართლმადიდებლობად და კათოლიკობად დაიყო. XVI ს-ში, რეფორმაციის შედეგად, კათოლიციზმს გამოეყო პროტესტანტიზმი, რომელიც რამდენიმე თვითმყოფად მიმდინარეობას მოიცავს, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია **ანგლიკანიზმი** (ყველაზე ახლოს დგას კათოლიციზმთან), **ლუთერანიზმი** და **კალვინიზმი**. კალვინიზმი სამ ძირითად განშტოებად იყოფა: **რეფორმატიზმი, პრესვიტერიანიზმი, კონგრეგაციონიზმი**. ანგლიკანიზმიდან არის გამოსული **მეთოდიზმი.** მეთოდიზმთან კი მჭიდროდაა დაკავშირებული სექტა **„ხსნის არმია“**, რომელიც სამხედრო ყაიდაზეა მოწყობილი. კალვინიზმთან გენეტიკურადაა დაკავშირებული **ბაპტიზმი**. ბაპტისტთა რიგებს გამოეყო **50-იანელთა სექტა;** გამოეყო აგრეთვე **ადვენტიზმი,** ადვენტიზმს **იეღოვას მოწმეების სექტა.**

ქრისტიანობის სამ ძირითად მიმდინარეობასთან ერთად (**მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი**) არსებობს აგრეთვე ორი ნაკლებად გავრცელებული მიმართულება, რომელიც ახ.წ. V ს-ში წარმოიშვა: **მონოფიზიტობა (მას მიეკუთვნებიან სომეხი გრიგორიანელები, ეთიოპიელები, კოპტები) და ნესტორიანობა (ნესტორიანელები არიან ასირიელები. ლიტურგია სრულდება ძველ ასირიულ ენაზე**. ნესტორიანულ ტაძრებში არაა ხატები და ქანდაკებანი. საქართველოში ცხოვრობს 6 ათასი ნესტორიანელი). რელიგიური წესჩვეულებებით ნესტორიანობა და, განსაკუთრებით, მონოფიზიტობა ძალზე ახლოს დგას მართლმადიდებლობასთან.

ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო რელიგიაა **ისლამი**. ის წარმოიშვა ახ.წ. VII ს-ში არაბებში. წარმოშობისთანავე ისლამი დაიყო სამ მიმართულებად: **სუნიზმი, შიიზმი და ხარიჯიზმი**. ფართოდ გავრცელდა მხოლოდ პირველი ორი. სუნიზმიდან და შიიზმიდან წარმოიშვა მთელი რიგი სექტები. სუნიზმიდანაა გამოსული **ვაჰაბიზმი**. ძირითადი შიიტური სექტაა **ზეიდიზმი.**

სხვადასხვა რელიგიის, მათი მიმართულებების, მიმდინარეობების და სექტების გავლენა ერთნაირი არაა. ზოგიერთი მათგანი ითვლის ასეულ მილიონობით მიმდევარს, სხვები კი აერთიანებენ მხოლოდ რამდენიმე ათას, ანდა ასეულ კაცს.

1996 წლის მონაცემებით მსოფლიოში ითვლებოდა 1 მილიარდ 955 მილიონი ქრისტიანი (მსოფლიოს მოსახლეობის 36%); მუსლიმები – 1 მილიარდ 126 მილიონი (მთელი მსოფლიოს მოსახლეობის 19%), ინდუისტები – 793 მილ., რაც მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 14% შეადგენს; ბუდისტები – სხვადასხვა მონაცემებით 500 მილიონი და 325 მილიონი (მსოფლიოს მოსახლეობის 6%); კონფუციანელები და დაოისტები – 203 მილ.; იუდაისტები – 14 მილიონი; სიკხები – 19 მილიონი. ქრისტიანებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან კათოლიკეები – 900 მილ.; პროტესტანტები – 600 მილ.; მართლმადიდებლები – 182 მილიონი. პროტესტანტებიდან ლუთერანები არიან 100 მილ., 50-იანელები – 51 მილ., ანგლიკანები – 51 მილ., ბაპტისტები – 75 მილ., რეფორმისტები (პრესვიტერელებთან ერთად) – 46 მილ., იეღოვას მოწმეები – 5 მილ., ადვენტისტები – 5 მილ., „ხსნის არმიის“ მიმდევარია 4 მილიონი. მუსლიმებს შორის ჭარბობენ სუნიტები.

მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი რელიგია ქრისტიანობაა. ქრისტიანთა უმეტესი ნაწილი თავმოყრილია ამერიკასა და ევროპაში; მცირე ჯგუფები ცხოვრობენ აფრიკასა და აზიაში. ევროპის მხოლოდ სამ ქვეყანაში (ალბანეთი, ბოსნია და თურქეთის ევროპული ნაწილი) და ამერიკის ერთ ქვეყანაში (სურინამი) ქრისტიანები არ შეადგენენ უმრავლესობას. ავსტრალიასა და ოკეანიაში ყველა ქვეყანა უმეტესად ქრისტიანულია, გარდა ფიჯისა, სადაც ქრისტიანობას მხოლოდ მოსახლეობის ნახევარი მისდევს. აზიაში ქრისტიანები მცირე რაოდენობით მოსახლეობენ. ისინი ჭარბობენ მხოლოდ კვიპროსში და ფილიპინებში (კათოლიკეები), ლიბანში კი მოსახლეობის დაახლოებით 2/5-ს შეადგენენ.

ლათინური ამერიკის მოსახლეობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა კათოლიკეა. კათოლიკეა აგრეთვე კანადის მოსახლეობის 46%, ამერიკის მოსახლეობის 27%. კათოლიციზმის მიმდევრები ცხოვრობენ იტალიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ავსტრიაში, ირლანდიაში (მოსახლეობის უმეტესობა). კათოლიკეები არიან აგრეთვე პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, უნგრელები, ხორვატები. გერმანიის, ნიდერლანდების, შვეიცარიის მოსახლეობის ნახევარი კათოლიკეა.

მართლმადიდებლები არიან: ბერძნები, ქართველები, რუსები, რუმინელები, მოლდოველები, ბულგარელები, სერბები, მაკედონიელები, ჩერნოგორიელები, ესტონელების ნაწილი.

პროტესტანტიზმის ბურჯია ჩრდილოეთი და ცენტრალური ევროპა. სკანდინავიის ქვეყნებსა და ფინეთში ის გაბატონებულია ლუთერანიზმის ფორმით, დიდ ბრიტანეთში – ანგლიკანიზმის ფორმით. პროტესტანტიზმს მისდევს გერმანიის მოსახლეობის ნახევარი (ლუთერანები), ნიდერლანდიელები და შვეიცარიელები. აშშ-ში მოსახლეობის 64% პროტესტანტია.

მონოფიზიტები არიან სომხები და ეთიოპიელები. მონოფიზიტებს მიეკუთვნებიან ეგვიპტელი კოპტები, სირიელი იაკობიტები. ნესტორიანელობა გავრცელებულია ასირიელებს შორის ძირითადად ირანში (13 ათასი), ერაყში (82 ათასი), სირიაში (40 ათასი), ინდოეთში (15 ათასი).

ისლამის მიმდევრები ძირითადად აზიაში ცხოვრობენ, განსაკუთრებით არაბულ ქვეყნებში. ბევრი მუსლიმი ცხოვრობს აფრიკაში. ევროპაში ისლამის მიმდევრები არიან თურქები, ალბანელები, ბოსნიელები და ბულგარელთა უმნიშვნელო ნაწილი. უმეტეს ქვეყნებში ისლამი გავრცელებულია სუნიზმის ფორმით. საუდის არაბეთში გაბატონებულია სუნიზმის მიმდინარეობა ვაჰაბიზმი. შიიზმი მკვეთრად ჭარბობს ირანელებში. ერაყში, ბახრეინსა და იემენის არაბთა რესპუბლიკაში შიიტები მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ.

იუდაიზმის მიმდევრები ყველა კონტინენტზე ცხოვრობენ. ამ რელიგიის მიმდევრები მხოლოდ ებრაელები არიან. ისტორიაში იყო ერთადერთი სხვა ეთნოსი – თურქულენოვანი ხაზარები, რომლებიც ასევე იუდაიზმის მიმდევრები იყვნენ.

1.9. ადამიანთა რასები

ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები არა მხოლოდ ენით, კულტურითა და რელიგიით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ ფიზიკურადაც. ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილებით ვხედავთ, რომ ეთნიკური სხვაობის გარდა ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფიზიკურადაც (სხეულებრივად). საერთოდ, ფიზიკურად (სხეულებრივად) ორი ერთმანეთის სავსებით მსგავსი ადამიანი არ არსებობს და არც შეიძლება იყოს. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის ფიზიკურ ტიპს, მის ცვლილებებს, ანდა როგორც მათ უწოდებენ – ფიზიკური ტიპის ვარიაციებს, ცნობილია „ანთრო-

პოლოგიის“ (ბერძნ. „ანთროპოს“–ადამიანი) სახელწოდებით. ადამიანთა განსხვავებულ ფიზიკურ ტიპებს რასები ეწოდება.

ადამიანთა რასები, ესაა ხალხთა იტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან წარმომავლობით, რაც გამოიხატება მემკვიდრეობითი და ფიზიოლოგიური ნიშნებით. ყველა ძირითადი მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მახასიათებლებით ადამიანთა რასებს შორის მსგავსება დიდია, განსხვავება კი გამოხატულია შედარებით მცირე ნიშნებით. ნებისმიერი რასის ქორწინების შედეგად იბადება სრულიად სიცოცხლისუნარიანი და ნაყოფიერი შთამომავლობა. ანთროპოლოგიის, პრიმატოლოგიისა და პალეონტოლოგიის მონაცემები ადასტურებს, რომ ადამიანთა ყველა რასა მომდინარეობს ერთი ან რამდენიმე ახლოს მდგომი ნამარხი ჰომინიდიდან.

Homo Sapiens-ს შორის პირველ რიგში გამოიყოფა უფრო მსხვილი დანაყოფები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, დიდ რასებს უწოდებენ. ესენია **ევროპეიდული (ევრაზიული)**, **მონგოლოიდური (აზიურ-ამერიკული) და ნეგრო-ავსტრალოიდური (ეკვადორიალური**). ბევრი მკვლევარი ერთიანი ეკვადორიალური რასის ნაცვლად გამოყოფს ორ დამოუკიდებელ რასას **– ნეგროიდულს (აფრიკულს)** და **ავსტრალოიდურს (ოკეანურს**). მეცნიერებაში უფრო გაზიარებულია თვალსაზრისი ოთხი დიდი რასის არსებობის შესახებ.

დიდი რასების საკონტაქტო ზონებში არსებობს გარდამავალი და შერეული რასობრივი ტიპები. შერეული და გარდამავალი რასობრივი ტიპები ჩამოყალიბდა არა მარტო ძველად, შუა საუკუნეებში, არამედ ყალიბდება დღესაც მეტისაციის გზით. მაგალითად, აფრიკის აღმოსავლეთში გარდამავალ რასად მიიჩნევა ეთიოპური რასა. ის ნეგროიდებსა და ევროპეიდებს შორის გარდამავალია. ცხვირის ფორმითა და სახის ჩონჩხით ეთიოპიელები თითქმის არ განსხვავდებიან ევროპეიდებისაგან, მაგრამ კანი მათ ისეთივე მუქი აქვთ, როგორც ზანგებს. შერეული ტიპის ტიპური წარმომადგენლები არიან ამერიკის მეტისები და მულატები. დიდი რასების შიგნით გამოყოფენ უფრო დანაწილებულ რასობრივ ერთეულებს.

ნეგროიდებისათვის დამახასიათებელია ხუჭუჭი შავი თმა, თაფლისფერი თვალები, სუსტად ან საშუალოდ განვითარებული მესამეული თმის საფარი, ზომიერად გამოწეული ღაწვის ძვალი. ნეგროიდებს აქვთ ძალიან მუქი (შოკოლად-ყავისფერი) კანი. სახე, როგორც წესი, აქვთ ვიწრო და დაბალი. ნეგროიდული ტიპი გამოირჩევა საკმაოდ განიერი ცხვირით, იმდენად, რომ ზოგჯერ სიგანე სიმაღლის ტოლია. ისევე როგორც ევროპელებს, თვალები აქვთ ფართოდ გახსნილი, განლაგებული ჰორიზონტალურად. ნეგროიდებს ახასიათებთ სქელი

(მსხვილი) ტუჩები. ზედა ქუთუთოს ნაკეცი (ნაოჭი) უმეტეს შემთხვევაში დიდი არა აქვთ. რაც შეეხება სახის ყბის ნაწილს, ის უმეტეს შემთხვევაში წინ წამოწეულია (პროგნატიზმი – პრო-წინ).

ევროპეიდები გამოირჩევიან სხვადასხვა შეფერილობის ტალღოვანი და სწორი რბილი თმებით, ღია ან შავგვრემანი კანით, თვალის გარსის ნაირფერადი შეფერილობის დიდი სხვადასხვაობით (თაფლისფერი, ღია ნაცრისფერი, ცისფერი). ევროპეიდებს მესამეული თმის საფარი ძლიერ განვითარებული აქვთ, კერძოდ, მამაკაცებში – წვერი. მათთვის დამახასიათებელია ღაწვის ძვლის სუსტად ან საშუალოდ გამოწევა, ყბაც უმნიშვნელოდაა წინ წამოწეული (ორტოგნატიზმი). ევროპეიდებს ახასიათებთ ვიწრო და ოდნავ წამოწეული ცხვირი, თხელი ან საშუალო სისქის ტუჩები. ევროპეიდების ფორმირების კერაა სამხრეთ-დასავლეთი აზია, ჩრდილოეთ აფრიკა, სამხრეთ ევროპა. ევროპეიდთა სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: სამხრეთის (შავგვრემანი კანით, უმეტესად მუქი თვალებითა და თმით), ჩრდილოეთის (ღია ფერის კანით, ცისფერი თვალებით, ქერა თმებით) და გარდამავალი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საშუალოდ ინტენსიური პიგმენტაცია. სამხრეთ ევროპელებს, მათი განსახლების არეალიდან გამომდინარე, ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას უწოდებენ.

ევროპეიდები თავისი არეალის აღმოსავლეთ საზღვრებზე უძველესი დროიდან მონგოლოიდებთან ურთიერთქმედებდნენ. ადრეულ ხანაში მათი შერევის შედეგად, რომელიც ჯერ კიდევ მეზოლითის ეპოქაში დაიწყო, ციმბირის ჩრდილო-დასავლეთსა და ევროპის უკიდურეს აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა ურალური რასა (ხანტი, მანსი და სხვ.), რომელთათვისაც დამახასიათებელია მონგოლოიდურ-ევროპეიდული თავისებურებების შუალედური შეთანაწყობა. ურალურთან ბევრი ნიშნითაა ახლოს ლაპონოიდური რასა ძალიან დაბალი სახით (საამები). ზოგიერთი ანთროპოლოგი ამ ორ რასას ერთ – ურალო-ლაპონოიდურ რასაში აერთიანებს, რომლის თავისებურებანი უფრო იშვიათი ფორმებით გამოხატულია უდმურტებში, კომი-პერმელებში, მარიელებში, მორდოველთა ზოგიერთ ჯგუფში. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ურალური რასის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღო ძველი მონგოლოიდური რასის დეპიგმენტირებულმა (დეპიგმენტაცია – კანის ბუნებრივი ფერის დაკარგვა) პოპულაციამ. გვიან (ახ.წ. I ს-დან) ურალსა და ენისეის შორის არსებულ სტეპურ ზოლში მონგოლოიდებისა და ევროპეიდების შერევის პროცესში ჩამოყალიბდა სამხრეთ ციმბირული რასა ძალიან ფართო სახითა და მოკლე თავით. შუა საუკუნეებში შუა და ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა შერეული ევროპეიდულ-მონგოლოიდური ახალი პოპულაციები (უზბეკების ნაწილი, უიღურები, სალარები).

მონგოლოიდებისათვის დამახასიათებელია სწორი, ხშირად უხეში მუქი თმა და მესამეული თმის საფარის სუსტად განვითარება, კანის მოყვითალო შეფერილობა, თაფლისფერი თვალები, შემჭიდროებული სახე ძლიერად გამოწეული ღაწვის ძვლებით, დაბალი და საშუალო სიგანის ცხვირი. მონგოლოიდ მამაკაცებს წვერ-ულვაში გვიან აჩნდებათ და იშვიათად აღწევს დიდ სიხშირეს. მათ აქვთ ფართო, მაღალი სახე, ვიწრო თვალები და ძლიერ განვითარებული ზემო ქუთუთო. ამ ანთროპოლოგიური ტიპისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ეპიკანტუსი – განსაკუთრებული კანის ნაკეცი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად ფარავს საცრემლე ბორცვს თვალის შიდა კუთხეში. სახის ყბის ნაწილი გამოწეული აქვთ სუსტად ან საშუალოდ. მონგოლოიდების (მონღოლების) შესანიშნავ დახასიათებას გვაწვდის ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი: „ხოლო იყვნეს ტანითა სრულ, გუამითა ახოვან და ძლიერ ფერჭითა, შუენიერ და სპეტაკ ჭორცითა, თუალითა მცირე ჭურიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო, თავით დიდ, თმითა შავ და ჭშირ, შუბლ-ბრტყელ, ცხჳრითა მდაბალ ესოდენ, რომელ დაწუნი უმაღლს იყვნიან ცხვირთა და მცირედნი ოდენ ნესტუნი ჩნდიან ცხვირთა; ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ, ყოვლად უწუერული, ესევითარი აქუნდა უმსგავსო სახე“.

ბევრი ნიშან-თვისებით მონგოლოიდებთან ახლოს დგანან ამერიკელი ინდიელები. აზიელი მონგოლოიდები ორ ძირითად ჯგუფად იყოფიან – კონტინენტური და წყნაროკეანური. კონტინენტური მონგოლოიდები წყნაროკეანელებისაგან გამოირჩევიან ნაკლებად ინტენსიური პიგმენტაციით, ჩონჩხის უფრო მასიურობით, უფრო ფართო სახითა და უფრო თხელი ტუჩებით.

რასობრივი განსხვავებანი, ჩვეულებრივ, კარგად შეიმჩნევა ერთმანეთისაგან შორს მდგომ ჯგუფებს შორის. **რასების შერევა გრძელდება მრავალი ათასწლეულის განმავლობაში და ის უწყვეტ პროცესს წარმოადგენს**, რომელიც უფრო და უფრო ჩქარდება (დედამიწის მთელი მოსახლეობის 30% შერეულ და გარდამავალ რასობრივ-ჰეტეროგენულ ჯგუფებს შეადგენს).

დიდი ხალხები შეიძლება ერთგვაროვანი ჩანდნენ დიდი რასების დონეზე, მაგრამ თითქმის ყოველთვის ჰეტეროგენულები არიან ამ რასების დანაყოფების თვალსაზრისით. ევროპის ხალხები, მაგალითად, მიეკუთვნებიან დიდ ევროპეიდულ რასას, მაგრამ თითქმის ყველა მათგანი ამ დიდი რასის ორ ან სამ შტოს წარმოადგენს. დიდი ევროპეიდული რასის დანაწევრებულ რასობრივ ტიპთა საზღვრები ეთნიკურ საზღვრებს არ ემთხვევა. ასევე არ ემთხვევა საზღვრები რასებსა და ენობრივ დანაყოფებს შორის. მაგალითად, თურქული

ჯგუფის ენები გავრცელებულია მონგოლოიდური რასის წარმომადგენლებსა (იაკუტები, ტუვები) და ევროპეიდებს შორის (აზერბაიჯანელები, თურქები). ბევრი თურქულენოვანი ხალხი რასობრივი თვალსაზრისით შერეული ტიპისაა. სხვადასხვა დიდ რასებს მიეკუთვნებიან ხალხები, რომლებიც ურალურ ენებზე ლაპარაკობენ.

ახალი ეთნოსების ჩამოყალიბებაში რასების ინტენსიური შერევის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ამერიკის ქვეყნების უმეტესობა. ძველი სამყაროსაგან განსხვავებით, სადაც მეტისაციის პროცესი მიმდინარეობდა ძველ და შუა საუკუნეებში, აქ ის განხორციელდა უკანასკნელი 3-4 საუკუნის განმავლობაში და ინტენსიურად გრძელდება დღესაც. ამერიკის თანამედროვე ხალხების უმეტესობა ჩამოყალიბდა ორი ან სამი რასობრივი კომპონენტის შერევის შედეგად. მაგალითად, კუბასა და ბრაზილიაში წამყვანი ეთნიკური კომპონენტის როლში მოგვევლინნენ ნეგროიდები, რომლებიც ირგვლივ მყოფ სხვადასხვა ეთნიკურ და რასობრივ ერთეულებს შეერივნენ.

ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში (IV-VII სს.) ცენტრალური აზიის მონგოლოიდური მოსახლეობის მასები შეიჭრნენ დასავლეთ ციმბირის სტეპების ზოლში, ყაზახეთში, შუა აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში, რომლის მოსახლეობა ძირითადად ევროპეიდულ ტიპს მიეკუთვნებოდა. ამის შემდეგ აქ ჩამოყალიბდნენ შერეული რასობრივი ტიპები: სამხრეთციმბირული, რომელიც ძირითადად გავრცელებულია თანამედროვე ყაზახებსა და ყირგიზებში (მათში მონგოლოიდური ნიშნები აშკარად ჭარბობს) და შუააზიური, რომელიც დამახასიათებელია თურქმენებისათვის, ნაწილობრივ უზბეკებისა და ტაჯიკებისათვის (აქ ავტოქტონური მოსახლეობა უფრო ხშირი იყო და მონგოლოიდური მინარევი უფრო ნაკლებ შესამჩნევია).

ევროპის მოსახლეობა, საამების გამოკლებით, მთლიანად მიეკუთვნება ევროპეიდულ რასას. ევროპის უკიდურესი ჩრდილოეთისა და სამხრეთის მცხოვრებნი საკმაოდ განსხვავდებიან რასობრივი ტიპით. მსგავსების მხრივ ცოტა საერთო ნიშანი შეიძლება ვიპოვოთ მაღალ, ქერა და ცისფერთვალება ნორვეგიელებსა (ჩრდილო ევროპელები) და დაბალ, მუქთმიან და მუქთვალება სამხრეთ იტალიელებს შორის (სამხრეთ ევროპელები). ევროპის მოსახლეობის 17% მიეკუთვნება ჩრდილო ევროპეიდულს, 32% - სამხრეთულს და ნახევარზე ოდნავ მეტი – გარდამავალ და შუაევროპულ ფორმებს.

ჩრდილოეთ ევროპაში საამები მიეკუთვნებიან შერეულ ლაპონოიდურ რასას, რომლის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ევროპული, ისე ურალური ერთობის წარმომადგენლებმა. სუსტად გამოხატული მონგოლოიდური ნიშნები შეიმჩნევა უნგრელებში, აგრეთ-

ვე გერმანიისა და ფინეთის მოსახლეობის მცირე ნაწილში. ევროპის უკიდურეს სამხრეთში აქა-იქ შეიმჩნევა მცირე ნეგროიდული მინარევი.

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ძალზე რთულია აზია. აქ ოთხივე დიდი რასის წარმომადგენელი გვხვდება. ევროპეიდები აზიის მოსახლეობის 29%-ს შეადგენენ (სამხრეთი შტოს სხვადასხვა რასები: ხმელთაშუაზღვისპირული, წინააზიური, ინდო-ავღანური, პამირულ-ფერგანული). აზიელი მონგოლოიდები შეადგენენ 31%-ს. აქვეა, მონგოლოიდურ და ავსტრალოიდურ რასებს შორის შერეული და გარდამავალი ფორმები. აზიაში ავსტრალოიდური რასის წარმომადგენლები ბევრნი არ არიან (დაახლ. 9 მილ. კაცი), მაგრამ განსახლებულნი არიან ფართოდ.

აფრიკის მოსახლეობის 54% მიეკუთვნება დიდ ნეგროიდულ რასას; მოსახლეობენ საჰარის უდაბნოს სამხრეთით. სხვადასხვა რეგიონების ზანგები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რასობრივი ნიშნებით. მაგალითად, კანის ფერი მერყეობს ძალიან შავიდან ღია ყავისფრამდე. განსხვავებაა ტუჩების სისქეში, ცხვირის სიგანეში, აგრეთვე ტანის (სხეულის) სიგრძეში (მსოფლიოში ყველაზე მაღლებიდან ყველაზე დაბლებამდე), თუმცა ყველას აქვს ხუჭუჭი თმა.

სამხრეთ ევროპეიდები (ხმელთაშუაზღვისპირული) აფრიკის მოსახლეობის 1/4-ზე მეტს შეადგენენ და განსახლებულნი არიან კონტინენტის ჩრდილოეთში საჰარის უდაბნომდე. მას მიეკუთვნება არაბთა დიდი ნაწილი და ბერბერები. აფრიკის სამხრეთში მკვიდრობს ხუთი მილიონი ევროპეიდი, რომლებიც ევროპიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფრიკაში ევროპეიდებსა და ნეგროიდებს შორის გარდამავალ, შუალედურ ფორმას მიეკუთვნებიან ეთიოპიელები. შერეული ფორმის ანთროპოლოგიურ ტიპს მიეკუთვნება სუდანის მოსახლეობაც, რაც ნეგროიდებში არაბულენოვანი სამხრეთ ევროპეიდების შეჭრამ განაპირობა.

ამერიკის მოსახლეობის რასობრივი შემადგენლობა დიდი სიჭრელით გამოირჩევა. სამყაროს ამ ნაწილის მოსახლეობის ფორმირებაში მონაწილეობდა სამი დიდი რასა. აბორიგენული მოსახლეობა (ინდიელები, ესკიმოსები და ალეუტები) კომპაქტურად მხოლოდ ცალკეულ ოლქებში მოსახლეობს, უპირატესად მექსიკის მთიანეთში, ანდებში, სამხრეთ ამერიკის შიდა მხარეებში. ადგილობრივი, ამერიკელ ინდიელთა, მოსახლეობა მონგოლოიდური რასის სხვადასხვა ქვერასებს მიეკუთვნება. ყველა დანარჩენ ადგილას რასობრივი თვალსაზრისით ან შერეული მოსახლეობა, ან შედარებით გვიან მოსული ევროპელები და ნეგროიდები ჭარბობს. დღეისათვის ამერიკაში დიდი რასებიდან ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია ევროპეიდული

რასა (აშშ-სა და კანადის მოსახლეობის 9/10, ლათინური ამერიკის მოსახლეობის 1/4-ზე მეტი). ლათინურ ამერიკაში ევროპეიდებს შორის ჭარბობენ სამხრეთის ჯგუფის წარმომადგენლები: ესპანელები, პორტუგალიელები, იტალიელები.

ამერიკაში რაოდენობის მხრივ მეორე ადგილი უკავიათ მეტისთა რასობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს, რომლებიც ინდიელთა და ევროპელთა ქორწინებისა და ქორწინების გარეშე კავშირების შთამომავალნი არიან. ლათინურ ამერიკაში ისინი ჭარბობენ მექსიკაში, ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში: ვენესუელაში, ჩილეში, პარაგვაიში და სხვ. შედარებით მცირერიცხოვანნი არიან მულატები (ევროპეიდებისა და აფრიკული მოსახლეობის ნარევი). მულატების მნიშვნელოვანი ჯგუფები ცხოვრობენ აშშ-ში, ბრაზილიაში, კუბაში, ვენესუელაში. ზოგიერთ შემთხვევაში ძნელდება მეტისებისა და მულატების ერთმანეთისაგან გარჩევა, რადგან სამი რასის შერევის შედეგად მიღებული მოსახლეობაც გვაქვს. რაც შეეხება ინდიელთა და ნეგროიდთა ნარევს, ის სამბოს სახელითაა ცნობილი. ინდიელ-ნეგროიდ-ევროპეიდთა შერევის შედეგად მიღებული რასობრივი ერთეულის რიცხვი განუსაზღვრელად იზრდება. მთლიანად **ამერიკის კონტინენტზე ევროპეიდები მთელი მოსახლეობის 51% შეადგენენ, მეტისები – 23%, მულატები – 13%, ნეგროიდები – 7%, მონგოლოიდ-ინდიელები – 5,5%-ს.**

ავსტრალიასა და ოკეანიაში ევროპელები მოსახლეობის 77%-ს შეადგენენ, მელანეზიელები და პაპუასები – 16,5%, პოლინეზიელები და მიკრონეზიელები – 4,2%-ს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რასობრივი ნიშანია სხეულისა (ტანის) და მისი ცალკეული ნაწილების ზომა. ტანის (სხეულის) საშუალო სიგრძე (სიმაღლე) მამაკაცებისათვის 165 სმ-ია, ქალებისათვის – 154 სმ. სხვადასხვა ხალხში ქალთა და მამაკაცთა შორის სიმაღლეში სხვაობა 8-12 სმ-ის ფარგლებში მერყეობს. ყველაზე დაბლებია პიგმეები – საშუალო სიმაღლე ზრდასრული მამაკაცებისთვის – 141 სმ და ყველაზე მაღლები ჩადის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებნი – საშუალო სიმაღლე ზრდასრული მამაკაცებისა 182 სმ. ასეთი ადამიანები აღრიცხულნი არიან ნეგროიდებში. ევროპაში სიმაღლით გამოირჩევიან ჩერნოგორიელები, შოტლანდიელები, შვედები, ნორვეგიელები.

მსოფლიოს მასშტაბით მამაკაცების საშუალო წონა 64 კგ-ის ფარგლებშია, ქალებისა – 56 კგ-ის. მეცნიერები გამოყოფენ ტანის (სხეულის) სამ ძირითად ტიპს: 1**) ბრახიმორფულს** (ბერძნ. „ბრახოს“ – მოკლე და „მორფა – ფორმა), რომლისთვისაც დამახასიათებელია შედარებით მოკლე კიდურები, გრძელი ტანი, ფართო მხრები და მენ-

ჯი; 2) **დოლიხომორფულს** („დოლიხოს“ – გრძელი), რომელიც გამოირჩევა შედარებით გრძელი ხელებითა და ფეხებით, მოკლე ტანით, ვიწრო მხრებითა და მენჯით; 3) **მეზომორფულს** („მეზოს“ – საშუალო), რომელსაც პირველ და მეორე ტიპებს შორის საშუალო მდგომარეობა უჭირავს.

საერთოდ, ქალები მამაკაცებთან შედარებით ბრახიმორფულები არიან. როგორც წესი, ქალებს შედარებით ვიწრო მხრები და განიერი მენჯი აქვთ. რასების გამოყოფისას დიდი მნიშვნელობა აქვს თავის მონაცემებს: სიგანეს, სიმაღლეს; მნიშვნელოვანი რასობრივი ნიშნების მატარებელია ცხვირი და მისი მიდამოები, აგრეთვე პირი და, პირველ რიგში, ტუჩების სისქე.

ნაწილი II – ევროპის ხალხები

2.1. ევროპა და ევროპელები

ევროპა მსოფლიოს შედარებით პატარა რეგიონია. მისი ფართობი დაახლოებით 10 მილიონ კვადრატულ კილომეტრს მოიცავს იმ დროს, როდესაც მთელი პლანეტის ხმელეთის ფართობი 149 მილიონ კვ. კმ-ზე მეტია. ამავე დროს ევროპა კონტინენტებს შორის ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული. 1995 წლის მონაცემებით ევროპის მოსახლეობა 806 მილიონი იყო. ევროპას აკრავს ატლანტისა და ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანეები და მათი ზღვები. ევროპის კუნძულების საერთო ფართობი 730 ათასი კვ.კმ-ია. ნახევარკუნძულებიდან თავისი სიდიდით გამოირჩევა კოლის, სკანდინავიის, პირინეის, აპენინისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულები. ევროპის კონტინენტზე მთებს დაბლობები ჭარბობს. მთებს (ალპები, კარპატები, პირენეი, აპენინი, ურალი, სკანდინავიისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის მთები) ევროპის კონტინენტის მხოლოდ 17% უკავია. დიდი მდინარეებია: **ვოლგა, დუნაი, დნეპრი, დონი, პეჩორა, ჩრდ. დვინა, რეინი, ვისლა**, **ელბა, ოდრა, რონა, ლუარა, ტახო**. დიდი ტბებია: **ლადოგის, ონეგის**, **ჩუდის, ვენერნის, ბალატონის და ჟენევის.**

ევროპაში მოსახლეობის სიმჭიდროვის უფრო მაღალი მაჩვენებელია, ვიდრე ამერიკასა და აფრიკაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, მისი ბუნებრივი პირობებით აიხსნება. ევროპის ბუნება შედარებით ხელსაყრელია ადამიანთა ცხოვრებისათვის, მატერიალური წარმოების პროგრესისათვის. ისტორიული განვითარებით ევროპამ თავის დროზე მნიშვნელოვნად გაუსწრო მსოფლიოს სხვა რეგიონებს. ის მრეწველობის სამშობლოდ ითვლება. ევროპის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა, კულტურის მაღალმა დონემ XIX საუკუნეში მოსახლეობის მატების მაღალი ტემპი განაპირობა. თუმცა XVI-XX საუკუნეებში ევროპას მოსახლეობის სიჭარბე არ ეტყობოდა, რადგან ევროპელები ინტენსიურად ეწეოდნენ ამერიკის კონტინენტის კოლონიზაციას. დროის აღნიშნულ მონაკვეთში ევროპული ეთნოსები სხვა კონტინენტების, ქვეყნებისა და ხალხების ისტორიაზეც დიდ გავლენას ახდენდა.

ევროპის ადრეული ეთნიკური ისტორია საბოლოოდ გარკვეული არ არის. ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მისი მთელი ტერიტორია ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებით იყო დასახლებული, ევროპის სამხრეთში ჭარბობდნენ ეთნოსები, რომლებიც ბერძნულ (ელინურ) და ლათინურ ენებზე ლაპარაკობდნენ. ევროპის

ჩრდილო-დასავლეთსა და ცენტრალურ ნაწილში მრავალრიცხოვანი კელტური ტომები მკვიდრობდნენ, ბალკანეთში – ილირიული, თრაკიული და მათი მონათესავე დაკიური ტომები, რომელთა ენები, როგორც ვარაუდობენ, ასევე ინდოევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნოდა. დაახლოებით ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში კელტური ტომების ნაწილი ბრიტანეთის კუნძულებზე გადასახლდა, რომელიც ამ დროს პიკტებით იყო დასახლებული. მეცნიერებს პიკტური ენის შესახებ არავითარი მონაცემები არა აქვთ. უცნობია აგრეთვე პირენეის ნახევარკუნძულის ძველ მობინადრეთა – იბერების ენა. კელტების აღმოსავლეთით მდ. რეინის აუზსა და სამხრეთ სკანდინავიაში გერმანული ტომები ცხოვრობდნენ. მათგან აღმოსავლეთით, ვისლის აუზში და დნეპრისა და დნესტრის ზემო წელში – სლავთა წინაპრები.

ევროპის თანამედროვე ენობრივ-ეთნიკური იერსახე ახ.წ. I ათასწლეულში ჩამოყალიბდა. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში დამთავრდა რომის უზარმაზარი იმპერიის ფორმირება. რომაელებმა დუნაის სამხრეთითა და რეინის დასავლეთით ყველა მიწა, აგრეთვე სამხრეთ ბრიტანეთი დაიპყრეს. ამ დროს ჩამოყალიბდა დაკიის, გალიის, ესპანეთის (იბერიის) და სხვა პროვინციები. რომაელთა გარნიზონებთან და რომაელ მიგრანტებთან ერთად ამ პროვინციებში რომაული კულტურა და ხალხური ლათინური ენის დიალექტები შეიჭრა. ადგილობრივი ენებისა და ხალხური ლათინური ენის ურთიერთობის შედეგად „ვულგარული ლათინურის“ სხვადასხვა ფორმა – სალაპარაკო ენები წარმოიშვა, რომლებმაც გვიან დასაბამი მისცა ფრანგულ, ესპანურ, რუმინულ და სხვა რომანულ ენებს.

III საუკუნეში რომის იმპერია სუსტდება და დაპყრობითი ომებიდან თავდაცვაზე გადადის. მას „ბარბაროსები“, ძლიერი გერმანული ტომები ესხმიან თავს.

IV საუკუნიდან, პოლიტიკური და შემდეგ რელიგიური შუღლის გამო, რომის იმპერია ორ ნაწილად იყოფა: დასავლეთ რომის იმპერიად, რომლის კათოლიკური ცენტრი რომი იყო და მართლმადიდებლურ აღმოსავლეთ რომის იმპერიად, ცენტრით კონსტანტინეპოლში (ეკლესიების საბოლოო გაყოფა XI საუკუნეში მოხდა).

IV საუკუნიდან დაიწყო „ხალხთა დიდი გადასახლებების“ ეპოქა. აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ოსტგუთები შეიჭრნენ, დასავლეთში – ვესტგუთები. იმპერიის ამ ნაწილში ვესტგუთებს კვალდაკვალ მიჰყვნენ ფრანკები, ბურგუნდიელები, ოსტგუთები და სხვა გერმანული ტომები. V საუკუნის შუა ხანებში გერმანული ტომები, ანგლები და საქსები, ბრიტანეთში გადასახლდნენ, რომლებმაც სუსტად რომანიზებული კელტური ტომები – ბრიტები და სკოტები შეავიწროვეს და

მათი ასიმილაცია მოახდინეს. ბრიტების ნაწილი საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში გადასახლდა და თავისი სახელწოდება ბრეტანის ნახევარკუნძულს გადასცა. აქვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ბრიტების კელტურენოვანი მოსახლეობა. ბრიტანეთის დასავლეთში დარჩენილმა კელტურმა მოსახლეობამ კი დასაბამი მისცა უელსელთა (ვალიელთა) ეთნოსს. რომის ყოფილი იმპერიის სხვა მხარეებში შეჭრილმა გერმანულენოვანმა ტომებმა არსებითი გავლენა ვერ მოახდინეს ადგილობრივ მოსახლეობაზე. მოსულები რომანიზებულ მოსახლეობაში გაითქვიფნენ.

დაახლოებით V საუკუნიდან, სლავური ტომების წინარესამშობლოდან მიგრაცია დაიწყო აღმოსავლეთით (ვოლგის სათავეში), დასავლეთით – ელბის დაბლობში და სამხრეთით, რომელიც ჰუნების მიერ იყო გაუკაცრიელებული. VI-VII საუკუნეებში სლავები უკვე მოსახლეობდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის დიდ ნაწილში – ისტრიდან დუნაის შესართვამდე. ამავე დროს სამხრეთ სლავებში სხვადასხვა ტომები გამოიყო, რომლებმაც სამხრეთსლავურ ხალხებს მისცეს დასაბამი.

IX საუკუნეში პანონიის სტეპებში, დუნაის ჩრდილოეთით სამხრეთ ურალიდან გადმოსახლებული მადიარული (უნგრული) ტომები დასახლდნენ, რომლებმაც დასაბამი მისცეს (XI ს.) უნგრეთის სახელმწიფოს. უნგრელებმა სლავების ტერიტორია სამხრეთ სლავურ და დასავლეთ სლავურ ტერიტორიებად გაყვეს.

VII საუკუნის დასასრულს დასავლეთ შავიზღვისპირეთში ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებიდან თურქულენოვანი ბულგარელები მოვიდნენ. ბულგარელებმა აქ მცხოვრები სლავური ტომები დაიპყრეს, მაგრამ მალე მათში მთლიანად გაითქვიფნენ, სლავებს თავისი ეთნონიმი და კულტურის ზოგიერთი ელემენტი გადასცეს.

VIII-IX საუკუნეებში მრავალრიცხოვანი გერმანულენოვანი ნორმანები (ვარიაგები) დანიიდან და სამხრეთ სკანდინავიიდან მრავალი მიმართულებით ლაშქრობდნენ. ისინი, როგორც მამაცი მეზღვაურიმეკობრეები, შიშის ზარს სცემდნენ ბრიტანეთის კუნძულების, საფრანგეთისა და დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობას, მაგრამ შემდეგ ყველა ნორმანელი ირგვლივ მყოფ მოსახლეობაში გაითქვიფა. გამონაკლისი მხოლოდ კუნძულ ისლანდიაზე დასახლებული ნორმანები (ნორვეგიელები) იყვნენ, რომლებმაც ისლანდიურ ეთნოსს მისცეს დასაბამი. XI საუკუნეში გაფრანგებული ნორმანები ნორმანდიიდან (ჩრდილო-დასავლეთი საფრანგეთი) ინგლისში შეიჭრნენ და ანგლოსაქსთა სამეფო დაიპყრეს. დღევანდელი ინგლისელები ადგილობრივი ანგლოსაქსებისა და ნორმანების შერევით არიან ჩამოყალიბებულნი.

შემდეგ ასწლეულებში ევროპის ეთნიკურ რუკაზე დიდი გავლენა მოახდინა გერმანულენოვანი ჯგუფების აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით გადასახლებამ და ბალკანეთში ოსმალთა დაპყრობებმა. სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელებმა ჩეხები შეავიწროვეს, მოვიდნენ დუნაის შუა დინებამდე და ჩამოაყალიბეს ფეოდალური სახელმწიფო, რომლის მოსახლეობამ ავსტრიულ ეთნოსს მისცა დასაბამი. თურქ-ოსმალებმა უკვე XV საუკუნის დასაწყისში ბულგარეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთ საბერძნეთი დაიპყრეს, ასწლეულის დასასრულს კი – არსებითად ყველა მიწა დუნაისა და სავის სამხრეთით (სერბია, ბოსნია, ალბანეთი და სხვ.), აგრეთვე დუნაის ჩრდილოეთით მდებარე ვალაშეთის სამთავრო. დაპყრობილ ტერიტორიებზე თურქული დასახლებები შეიქმნა. ამასთანავე თურქებმა ადგილობრივი ბულგარულენოვანი, სერბულ-ხორვატულენოვანი მოსახლეობის ნაწილი და ალბანელთა მნიშვნელოვანი ჯგუფები ისლამზე მოაქციეს.

შუა საუკუნეებში საფრანგეთის ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი ხალხი ჩამოყალიბდა თავისი სალიტერატურო ენით: ჩრდილოფრანგული და პროვანსალური. მაგრამ ცენტრალიზებულმა ჩრდილოსაფრანგეთმა სამხრეთ საფრანგეთი (პროვანსალი) თანდათან დაიპყრო და მისი მოსახლეობის ასიმილაციაც მოახდინა. ასე რომ, სამასწლიანი ომის შემდეგ პროვანსალთა მშვენიერი ენა ადგილობრივი დიალექტის დონეზე ჩამოქვეითდა და თვით ისინიც ფრანგებად იქცნენ.

პირენეის ნახევარკუნძულზე XI საუკუნეში ესპანეთის სამეფოს გარეთ აღმოჩნდა პორტუგალიის საგრაფო, რომლის დამოუკიდებლად განვითარებამ პორტუგალიელი ხალხის ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა. რაც შეეხება მათ მონათესავე გალისიელებს, ისინი, როგორც დამოუკიდებელი ეთნოსი, ესპანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ჩამოყალიბდნენ.

ჩრდილოეთ ევროპაში დანიური, შვედური და ნორვეგიული ნაციების ჩამოყალიბება მათი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ მოხდა. ეს სამი ეთნოსი ენობრივად და კულტურულად ერთმანეთთან ახლოს იყო.

ეთნიკური განვითარების თავისებური გზა გაიარეს გერმანელებმა და იტალიელებმა. როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში პოლიტიკურად დაქუცმაცებული იყო. გერმანელებსა და იტალიელებში მრავალი ეთნოგრაფიული ჯგუფის არსებობას ამ გარემოებით ხსნიან.

ევროპის ხალხთა ეთნიკურმა ისტორიამ ერთი ეთნოსის გაყოფის ფაქტებიც იცის. მაგალითად ერთენოვანი ჰოლანდიელებისა და ფლა-

მანდიელების ცალ-ცალკე ეთნოსებად არსებობა ძირითადად რელიგიური ფაქტორით არის განპირობებული (ფლამანდიელები კათოლიკეები არიან, ჰოლანდიელები – პროტესტანტები). რელიგიური ფაქტორის როლი უფრო მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ სლავების ეთნიკურ ისტორიაში.

ევროპა ძირითადად დასახლებულია გერმანულენოვანი, რომანულენოვანი, სლავურენოვანი და სხვა ეთნოსებით. გერმანულენოვანი ჯგუფები (1985 წლის მონაცემებით 178 მილიონი კაცი) ძირითადად ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაშია გავრცელებული. ისინი ორ – დასავლეთგერმანულ და ჩრდილოეთგერმანულ ჯგუფებად იყოფიან.

რომანულ ენებზე მოლაპარაკე ხალხები ძირითადად ევროპის სამხრეთ-დასავლეთსა და დასავლეთში მკვიდრობენ (182 მილ. კაცი). რომანულ ენებში იტალიურ, იბერიულ და გალურ ქვეჯგუფებს გამოყოფენ.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის სლავური ენების ჯგუფი სამი ქვეჯგუფისაგან შედგება: დასავლეთი სლავები, სამხრეთი სლავები და აღმოსავლეთი სლავები. სლავურ ენებზე მოლაპარაკეთა რიცხვი 290 მილიონს აჭარბებს. დასავლეთ სლავებს მიეკუთვნებიან: ჩეხები, სლოვაკები, პოლონელები და ლუჟიელები. პოლონელებში გამოიყოფიან **მაზურები,** რომლებიც დანარჩენი პოლონელებისაგან ძირითადად რელიგიით (პროტესტანტები არიან) განსხვავდებიან. პოლონეთში ცალკე ჯგუფს ქმნიან **კაშუბებიც**. სამხრეთ სლავებს მიეკუთვნებიან ბულგარელები, მაკედონიელები, სერბები, ხორვატები, მუსლიმები (ბოსნიელები), ჩერნოგორიელები და სლოვენები. ბულგარელებისაგან თავისი კულტურით ერთგვარად გამოიყოფიან როდოპის მთებში მცხოვრები გათურქებული ბულგარელები ანუ **პომაკები.** სლავთა შორის ყველაზე მეტნი აღმოსავლეთ სლავები (რუსები, უკრაინელები, ბელორუსები) არიან.

ინდოევროპული ენებიდან სლავურ ენებთან ყველაზე ახლოსაა ბალტიური ენები. თანამედროვე ბალტიური ენების გავრცელების არეალი აღმოსავლეთ ბალტიისპირეთით შემოიფარგლება (ლიტვა, ლატვია). უფრო ადრეულ პერიოდში ბალტიური ენები გავრცელებული იყო სამხრეთ ბალტიისპირეთშიც (მის აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე), სადაც XVIII საუკუნის დასაწყისამდე შემონახული იყო პრუსიული ენის ნაშთები. I-II ათასწლეულების მიჯნაზე ბალტიური ენები ბევრად უფრო ვრცელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. მკვდარ ბალტიურ ენებს მიეკუთვნება: **პრუსიული** (მისით მოსაუბრენი გერმანულ ენაზე გადავიდნენ), **იატვიაჟური** (გავრცელებული იყო ლიტვის, პოლონეთისა და ბელორუსიის მოსა-

ზღვრე რაიონებში; ნაშთები შემორჩენილი იყო XVIII ს-მდე), **კურშული** (გაქრა XVII ს-ში; გავრცელებული იყო დღევანდელი ლიტვისა და ლატვიის მოსაზღვრე რაიონებში), **სელონური, გალინდიური**.

ინდოევროპულ ენათა ოჯახში შემავალი სხვა ენობრივი ჯგუფები და ხალხები შედარებით მცირერიცხოვანია. ოდესღაც ფართოდ გავრცელებული კელტური ჯგუფები შემორჩა ბრიტანეთის კუნძულებზე: ირლანდიელები, უელსელები, გელები და საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში მცხოვრები ბრეტონელები. მკვდარ კელტურ ენებს შორის შეიძლება დავასახელოთ: **მენური, კორნული, კელტიბერიული, ლეპონტიური, გალური.** ძვ.წ. პირველ ათასწლეულში კელტური ენები გავრცელებული იყო ევროპის მნიშვნელოვან ნაწილში (დღევანდელი გერმანიის ნაწილი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ისლანდია, ესპანეთი, ჩრდილოეთი იტალია). კელტურენოვანი ჯგუფების გავრცელების არეალი აღმოსავლეთ კარპატებამდე და ბალკანეთის გზით მცირე აზიამდე აღწევდა.

განცალკევებით მდგომ, იზოლირებულ, ინდოევროპულ ენებზე ლაპარაკობენ ბერძნები და ალბანელები (შკიპტარები). ევროპაში არაინდოევროპულ ენებზე შედარებით მცირერიცხოვანი ხალხები ლაპარაკობენ. უნგრელები, ფინელები, კარელიელები, ესტონელები და საამები (ლოპარები) ურალურ ენათა ოჯახის ფინურ-უნგრულ ენათა ჯგუფის ენებზე მეტყველებენ. ენათა ოჯახის საერთო სახელწოდება მიუთითებს, რომ ჩამოთვლილ ხალხთა წინაპრები ევროპაში ურალისა და მისი მიმდებარე ტერიტორიებიდან არიან გადმოსახლებულნი.

ლინგვისტური თვალსაზრისით განცალკევებით დგას ბასკთა ენა. ბასკური ენა პირენეის ნახევარკუნძულის ერთ-ერთი ძველი ენაა.

ევროპის ტერიტორიაზე დაახლოებით 80 დიდი და პატარა ხალხი მკვიდრობს, რომელთაც ქვემოთ გავეცნობით.

XX საუკუნეში ევროპა ორი მსოფლიო ომის ძირითადი არენა იყო, რამაც 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დღეს ევროპელებს ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური გაერთიანების, შეკავშირების ძლიერი ტენდენცია აქვთ (ამ თვალსაზრისით საერთო ევროპული ფულის ერთეულის – „ევროს“ შემოღების დასახელებაც საკმარისია). გასული საუკუნის დასასრულ, ევროპის ხალხთა ინტეგრაციის შედეგად, ეთნიკური კულტურის ბევრი ნიშანი გაქრა. ამის შედეგია დღეს ფართოდ გავრცელებული ისეთი მოვლენა, როგორიცაა ბილინგვიზმი (ორენოვნება) და პოლილინგვიზმი (მრავალენოვნება). ევროპა მაღალგანვითარებული მეცნიერებისა და ტექნიკის კერაა. ევროპამ მსოფლიოს არაერთი გამოჩენილი მხატვარი და მწერალი, ზღვით მოგზაური და მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე მისცა. ქვემოთ ვნახავთ, რომ საუკუნეთა განმავლობაში ევროპის ეთნიკური

იერსახის ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენდა დემოგრაფიული აფეთქებები, რომლითაც გამოწვეული მოსახლეობის დიდი ჯგუფების გადაადგილებანი ძველი ეთნოსების კვდომას, გაქრობას და ახალი ხალხების წარმოქმნას იწვევდა. ეთნოტრანსფორმაციულ პროცესებს კი თან ახალი ეთნიკური კულტურების შექმნა სდევდა. დღევანდელი ევროპული ეთნოსების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ადრეულ შუა საუკუნეებშია წარმოქმნილი. საერთოდ, ძველი ისტორიიდან მხოლოდ რამდენიმე ხალხმა მოაღწია ჩვენამდე – ჩინელებმა, სპარსელებმა, სომხებმა, ბერძნებმა, ქართველებმა და სხვებმა. ამავე დროს, ბევრმა მათგანმა ენობრივი ტრანსფორმაცია განიცადა. რა ელის პლანეტის მოსახლეობას და ჩვენს შემთხვევაში კონკრეტულად ევროპელებს? ლევ გუმილიოვის თეორიის მიხედვით ხომ ეთნოსები, ჩვეულებრივ, ადამიანებივით არიან – ისინი იბადებიან, ვითარდებიან და კვდებიან. ნუთუ არ შეიძლება თავიდან აიცილოს კაცობრიობამ ეთნოსების გაქრობა, საერთოდ მკვეთრი ეთნოტრანსფორმაციული პროცესები? მოსალოდნელია თუ არა ახალი დემოგრაფიული აფეთქებები? მეცნიერ-დემოგრაფთა მტკიცებით ის გარდუვალია.

XX საუკუნის ბოლოს პლანეტის მოსახლეობა თუ 6 მილიარდი იყო, დღეს უკვე ის 6,5 მილიარდს შეადგენს. ერთი საუკუნის წინ კი მსოფლიოს მოსახლეობა ერთი მილიარდს ითვლიდა. კაცობრიობის ისტორიაში ეს არის უპრეცედენტო მატება. მაგრამ როგორი შეფარდება გვაქვს კონტინენტების მიხედვით? ევროპას ამ მხრივ დასაკვეხი არაფერი აქვს. 1970 წლიდან 2000 წლამდე მონაკვეთში მხოლოდ აზიის მოსახლეობა იმდენად გაიზარდა, რომ მისი მოსახლეობის რაოდენობა მსოფლიოს მოსახლეობის 1970 წლის რაოდენობას გაუტოლდა. 1950 წლიდან 2000 წლამდე ევროპის მოსახლეობის რაოდენობის წილი მთელი პლანეტის მოსახლეობის წილში 21,%-დან 12%-მდე შემცირდა. როგორც ფიქრობენ, ეს ტენდენცია შენარჩუნდება და 2050 წლისათვის ევროპის მოსახლეობა დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 7% იქნება. ასე რომ, ევროპელთა წვლილი ასწლეულში 2/3-ით შემცირდება. მეცნიერთა პროგნოზით, ევროპას დეპოპულაცია ემუქრება. ზემოთ ხსენებული მატება აზიელებს, აფრიკელებს, ლათინოამერიკელებს ეხება. მსოფლიოს დემოგრაფიულ რუკაზე ევროპა ამ თვალსაზრისით ერთი ფერითაა წარმოდგენილი და ამ ფერში (ზონაში) რუსეთის ევროპული ნაწილი და საქართველოცაა მოხვედრილი. და თუ ევროპის რუკაზე აქა-იქ საგანგაშო ფერი არ ჩანს, მაგალითად ინგლისში, ეს იმითაა ახსნილი, რომ მისი მოსახლეობის მატება იმიგრანტების ხარჯზე მოხდება. რაც შეეხება საქართველოს, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში აქედან არნახული ემიგრაცია

მიმდინარეობს ძირითადად ფერტილური ასაკის (20-დან 40 წლამდე) ადამიანებისა. ამას თან ერთვის შობადობის უაღრესად დაბალი დონე და მაღალი სიკვდილიანობა. ასე რომ, ქვეყნის მოსახლეობა ამ პროცესების შეუჩერებლობის შემთხვევაში შეიძლება XVIII-XIX საუკუნეების მიჯნის დონემდე დავიდეს.

ევროპელი ხალხების ეთნიკურ ისტორიას და ეთნიკურ კულტურას ქვემოთ ცალ-ცალკე შევეხებით.

2.2 პორტუგალიელები

პორტუგალიელებით დასახლებული ქვეყანა – პორტუგალია მდებარეობს პირენეის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში. პორტუგალიის შემადგენლობაშია აგრეთვე ატლანტის ოკეანის კუნძულები – მადეირა და აზორსკი. პორტუგალია მონოეთნიკური ქვეყანაა. აქ მოსახლეობის 99,7% პორტუგალიელია. პორტუგალიელების თვითსახელწოდებაა **პორტუგეზიშ.** ქვეყანაში ცხოვრობს 9 მილ. 800 ათასი პორტუგალიელი. მნიშვნელოვნად დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ბრაზილიაში (1 მილ. 350 ათასი), აშშ-ში (1 მილ. 153 ათასი), საფრანგეთში (850 ათასი), კანადაში (235 ათასი), გერმანიაში (78 ათასი) და სხვ. პორტუგალიელების საერთო რაოდენობა დაახლოებით 14 მილიონი კაცია.

პორტუგალიელები ანთროპოლოგიურად მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას. ზოგიერთ ჯგუფში ფიქსირდება ნეგროიდული მინარევი. პორტუგალიელები ლაპარაკობენ პორტუგალიურ ენაზე, რომელიც შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანულ ჯგუფში. პორტუგალიური, პორტუგალიის გარდა, გავრცელებულია ბრაზილიაში, აფრიკის რიგ ქვეყნებში. ამ ენაზე 180 მილიონზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს. პორტუგალიურ ენაში გამოჰყოფენ რამდენიმე დიალექტს: ცენტრალურს, ჩრდილოურს, სამხრეთულს და კუნძულების. დამწერლობა აქვთ ლათინური ანბანის საფუძველზე. სალიტერატურო პორტუგალიურ ენას საფუძვლად უდევს ცენტრალური დიალექტი. პორტუგალიური ენის ფორმირება რომის იმპერიის ეპოქაში დაიწყო, როდესაც ადგილობრივმა ლუზიტანელებმა რომანიზაცია განიცადეს. პორტუგალიურ ენაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აგრეთვე გერმანელი სვევების მეტყველებამ. ამ ენამ არაბულის გავლენაც განიცადა. მეცნიერები თანამედროვე პორტუგალიურ ენაში რომაელებამდელ კოლონისტთა ენების – ბერძნულის, ფინიკიურის, კართაგენულის და კელტიბერიულის – პლასტებსაც პოულობენ. პორტუგალიურ ენაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა აგრეთვე პროვანსალურმა და ესპა-

ნურმა ენებმა. დიდი ხნის განმავლობაში ესპანური ენა პორტუგალიელთათვის ლიტერატურული ენა იყო. პორტუგალიურ ენაზე პირველი ლიტერატურული ძეგლები – ტრუბადურთა სიმღერები შექმნილია XII ს. დასასრულს. პირველი დოკუმენტები თარიღდება XII ს-ის დასასრულითა და XIII ს-ით. რაც შეეხება პირველ პროზაულ ნაწარმოებებს (ქრონიკები), ისინი XV საუკუნეს მიეკუთვნება. პორტუგალიური სამწიგნობრო ენის საუკეთესო ძეგლადაა მიჩნეული ლუის კამონესეს პოემა „ლუზიადები“. პორტუგალიელთა უმეტესობა კათოლიკეა. არიან იაღოვას მოწმეები, მორმონები, ბაპტისტები და სხვ. ქრისტიანობა პირინეის ნახევარკუნძულზე რომაელთა ბატონობის პერიოდში გავრცელდა. განსაკუთრებული რელიგიურობით გამოირჩევიან ჩრდილო პორტუგალიელები. ჩრდილოეთ პორტუგალია უძველესი დროიდან ქვეყნის რელიგიურ ცენტრადაც ითვლება. აქედან დაიწყო ქრისტიანული დროშით არაბი დამპყრობლების განდევნა. დღემდე კათოლიკე მომლოცველთა ადგილად რჩება ქალაქი ბრაგა, სადაც აგებულ იქნა პორტუგალიაში პირველი კათოლიკური ტაძარი. ქვეყნის ყოველ დასახლებულ პუნქტს „თავისი“ წმინდანი ჰყავს.

წერილობითი წყაროებით, ძველად პორტუგალია დასახლებული იყო ერთ-ერთი იბერიული ტომით – ლუზიტანებით. ისინი პორტუგალიური ეთნოსის საფუძვლად იქცნენ. ძვ.წ. VI ს-ში ლუზიტანელებს კელტური ტომები შემოესივნენ. პირენეიზე, მათ შორის პორტუგალიაში, გადმოსახლებულმა კელტებმა მათზე მნიშვნელოვანი ეთნიკური გავლენა მოახდინეს. რომის იმპერიის შემადგენლობაში (ძვ.წ. II-I სს. – ახ.წ. V ს.) პორტუგალიის მოსახლეობამ ენობრივი და კულტურული რომანიზაცია განიცადა. III-IV სს-ში რომის იმპერატორებმა პირენეის თავიანთ სამფლობელოებს შორის ლუზიტანის პროვინცია გამოჰყვეს. რომის იმპერიის დასასრულს ლუზიტანელების სალაპარაკო ენა გახდა ლათინური, რომელიც ძალიან ახლოს იდგა გალეგების მეტყველებასთან. V ს-ში პორტუგალიის ტერიტორია გერმანულმა ტომებმა დაიპყრეს. 409 წელს ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთი სვევებმა (გერმანულმა ტომებმა) დაიკავეს, რომლებმაც მომავალი გალისია და ჩრდილოეთ პორტუგალია დაიქვემდებარეს და ხელი შეუწყვეს ლუზიტანის მოსახლეობის გალისიელების წინაპრებთან დაახლოებას. V საუკუნის II ნახევარში სვევები სხვა გერმანულმა ტომებმა – ვესტგუთებმა შეავიწროვეს. გერმანულმა ტომებმა თანდათან ასიმილაცია განიცადეს. პორტუგალიურ ენასა და კულტურაზე (განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილზე) მნიშვნელოვანი გავლენა არაბ-ბერბერთა ბატონობამ მოახდინა (VIII-XIII სს.). არაბებმა ლუზიტანის მიწა პირველად 714 წელს დაიპყრეს. რეკონკისტის პერიოდში პირენეის ნახევარკუნძულის დასავლეთის

მცხოვრებნი ლაპარაკობდნენ რომანსეს გალისიურ დიალექტზე, რომელიც საფუძვლად დაედო პორტუგალიურ ენას. პორტუგალიის საგრაფო შედიოდა გალისიის შემადგენლობაში. მავრების წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლეონის ესპანურმა სამეფომ, რომლის ხელისუფლება თანამედროვე პორტუგალიის ჩრდილოეთ ნაწილზეც ვრცელდებოდა. თავისი სახელმწიფოს საზღვრების გასამაგრებლად ლეონის მეფემ, ალფონს VI-ემ 1095 წელს ამ მიწებზე შექმნა განსაკუთრებული საგრაფო, რომელიც მან თავისი უკანონო ქალიშვილის – ტერეზას მეუღლეს, ბურგუნდიელ რაინდს ჰენრიხს უბოძა. **ახალ საგრაფოს ერთ-ერთი პატარა ქალაქის – პორტუს სახელის მიხედვით „პორტუკალე“ უწოდეს**. ჰენრიხის შვილი, ბურგუნდიელი გრაფი ალფონს ენრიკეში წარმატებით ებრძოდა მავრებს. მან 1139 წელს ორიკთან ბრძოლაში მავრები დაამარცხა. მანვე უარი თქვა ლეონის სამეფოს ვასალურ დამოკიდებულებაზე და პორტუგალიის მეფედ გამოაცხადა თავი. ეს თარიღი მიჩნეულია პორტუგალიის სახელმწიფოს დასაწყისად. 1143 წელს პორტუგალიის დამოუკიდებლობა ლეონის მეფემ ოფიციალურად ცნო. 1147 წელს ალფონს ენრიკეშის არმიამ არაბებს ბრძოლით ქალაქი ლისაბონი წაართვა, სადაც ახალი სახელმწიფოს დედაქალაქიც გადაიტანა. 1249 წელს პორტუგალიელებმა მავრებს ბრძოლით დაატოვებინეს პორტუგალიის უკანასკნელი ოლქი – ალგავრი, რომლის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობასა და კულტურაზე არაბებმა ყველაზე დიდი გავლენა მოახდინეს.

პორტუგალიაში კათოლიკური ინკვიზიცია 1536 წელს დაიწყო, რომელიც„ „ერეტიკოსების“, ძირითადად მორანების (მონათლული ებრაელების) და მავრების წინააღმდეგ იყო მიმართული. ინკვიზიციის შედეგად ბევრმა ვაჭარმა და ფინანსისტმა ქვეყანა დატოვა; შესუსტდა ფლოტი და არმია, რის შემდეგაც პორტუგალიის ზღვაზე ბატონობა დამთავრდა (1581 წლიდან ზღვაზე ესპანელები გაბატონდნენ).

XV ს-ში დაიწყო პორტუგალიის კოლონიური დაპყრობები. 1415 წელს დაიპყრეს სეუტა (მაროკო), 1418 წელს ისინი გადასახლდნენ არქიპელაგ მადეირაზე, 1431 წელს – აზორის კუნძულებზე. 1459 წელს პორტუგალიელებმა მიაღწიეს გვინეას, 1488 წელს – კეთილი იმედის კონცხს. 1497-98 წწ. ვასკო და-გამამ იპოვა ინდოეთში მიმავალი საზღვაო გზა და ინდოეთის ქალაქ კალკუტამდე მივიდა. 1500 წელს მეორე პორტუგალიელმა – პედრუ ალვარეს კაბრალმა, რომელიც სავაჭრო მიზნით ინდოეთში მიცურავდა, ასცდა რა კურსს, ბრაზილია აღმოაჩინა. 1515 წელს დაიპყრეს ცეილონი. ევროპელთაგან მონებით ვაჭრობა პირველად პორტუგალიელებმა დაიწყეს. XVI-XVII სს-ში ქვეყანაში, განსაკუთრებით ალგავრის სამხრეთ პროვინ-

ციაში, ბევრი ზანგი შეიყვანეს, რომლებიც შემდგომ ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ.

ისტორიაში პორტუგალია გახდა პირველი კოლონიური ქვეყანა, ლისაბონი კი – მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრთაგანი.

1581 წელს პორტუგალია ესპანეთმა დაიპყრო, რომელთა ბატონობა აქ ექვს ათეულ წელს გაგრძელდა. მხოლოდ ლისაბონში სახალხო აჯანყების შემდეგ და საფრანგეთისა და ინგლისის მხარდაჭერით პორტუგალიამ 1640 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა და ნაწილობრივ კოლონიებიც დაიბრუნა.

პორტუგალიის ეთნიკურ ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ემიგრაციას, რომელიც დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ მუდმივად ინტენსიურად მიმდინარეობდა. XIX ს-სა და XX ს-ის I ნახევარში ემიგრანტი პორტუგალიელების მნიშვნელოვანი ნაწილი ბრაზილიისკენ მიემართებოდა, სადაც მათ ბრაზილიელი ერის ჩამოყალიბებაში მიიღეს მონაწილეობა. XIX ს-ის 60-იან წლებში ერთ მილიონზე მეტი პორტუგალიელი სამუშაოს საძებნელად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გადასახლდა. 1872-1900 წლებში კი ქვეყანა 580 ათასმა პორტუგალიელმა დატოვა.

1910 წელს შეიარაღებული აჯანყების შედეგად პორტუგალიელებმა მონარქია დაამხეს და პორტუგალია რესპუბლიკად გამოცხადდა.

პორტუგალიელთა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგია სახვნელი მიწათმოქმედება. ძირითადი კულტურებია ხორბალი (ძირითადად სამხრეთის პროვინციაში – ალენტეჟუში) და სიმინდი (ჩრდილო-დასავლეთში). განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მევენახეობას (უპირატესად ჩრდილოეთში); განვითარებულია მებაღეობა და ზეთისხილის მოშენება. ერთ სულ მოსახლეზე ღვინის წარმოებით პორტუგალია მსოფლიოში პირველ ადგილზეა. მეღვინეობის მთავარი არეალი მდინარე დოურუს შუა დინებაზეა. აქ მოჰყავთ „პორტუს“ ჯიშის ყურძენი, რომლისაგანაც ძვირად ღირებულ პორტვეინის ტიპის ღვინოს ამზადებენ. პორტუგალიელებს გაშენებული აქვთ ნუშის, ვაშლის, მსხლის, ქლიავის (ქვეყნის ჩრდილოეთში) და ციტრუსების (სამხრეთში) ბაღები. ატლანტიკის კუნძულებზე მოჰყავთ ანანასი და ბანანი.

პორტუგალიელთა ეკონომიკაში მეთევზეობა ძველთაგანვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ მეთევზე მოსახლეობის ზოგიერთი ჯგუფი ფინიკიელი კოლონისტების მემკვიდრეები არიან, რომლებმაც ფინიკიელების კულტურის ზოგიერთი ნიშანი შეინარჩუნეს.

მსხვილფეხა რქოსანი საქონელი მეტი რაოდენობით ჰყავთ ჩრდილო-დასავლეთში, ცხვარი – შიდა რაიონების მთიან საძოვრებზე, ღორი – ყველგან.

პორტუგალიელები, როგორც ზღვისპირეთის მცხოვრებნი, ბევრ თევზს ჭამენ. პურს ხშირად აცხობენ ხორბლის ფქვილისა და ჭვავის შერევით. ქვეყნის ჩრდილოეთში კი პურს აცხობენ ხორბლის, ჭვავისა და სიმინდის ნარევით. პორტუგალიელებში პოპულარულია ლობიო. მათი საყვარელი საჭმელია „კანჟუ“ – ბრინჯით შეზავებული ქათმის ბულიონი, რასაც გემოვნებისათვის ძეხვის ნაჭრებსაც უმატებენ.

მთიელი პორტუგალიელები ყველს ცხვრისა და თხის რძისაგან ამზადებენ.

პორტუგალიელებში ქორწინება ადრეულ ასაკში ხდება. დაუქორწინებლები საკმაოდ იშვიათნი არიან. ჯვრისწერისას აუცილებელია საეკლესიო რიტუალი.

ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში ჩრდილოეთ პორტუგალიაში შემორჩენილი იყო სათემო ყოფის გადმონაშთები. მაგალითად, გზები, ხიდები, ფარეხები აქ კოლექტიურად შენდებოდა. სოფლელები საქონელს რიგრიგობით აძოვებდნენ. მწყემსობის ვადა დამოკიდებული იყო საქონლის რაოდენობაზე. თუ რომელიმე სოფლელს, ავადმყოფობის გამო, არ შეეძლო მიწის ნაკვეთის დამუშავება, მას თანასოფლელები ეხმარებოდნენ.

პორტუგალიელთა 93% კათოლიკეა. ისევე როგორც ესპანელები, პორტუგალიელებიც აწყობენ ბრწყინვალე რელიგიურ პროცესიებს, რომლის დროსაც მორწმუნეებს მოაქვთ წმინდანთა ქანდაკებები და ბიბლიურ სიუჟეტებზე აწყობენ წარმოდგენებს. ხარების ბრძოლა პორტუგალიელთა საყვარელი სანახაობაა. კორიდას პორტუგალიაში ისეთივე ფესვები აქვს, როგორც ესპანეთში. ხარების ბრძოლას აწყობენ დღესასწაულის დღეებში, ლისაბონსა და პორტუში კი – ყოველ კვირას. სეზონი იწყება აღდგომას და გრძელდება ოქტომბრამდე. ესპანეთისაგან განსხვავებით აქ ხარებს არ კლავენ.

პორტუგალიელთა მუსიკალური კულტურა მდიდარი და ორიგინალურია. მათი ხალხური სიმღერები და მუსიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ესპანურისაგან. სიმღერების გავრცელებული ფორმა იყო კოსანტები. კოსანტების შინაარსი სხვადასხვაგვარია. ისინი მავრებთან ბრძოლის პერიოდში (XI-XII სს.) წარმოიქმნა და გლეხები ცოტა ხნის წინათაც მღეროდნენ. ხალხური ცეკვების მანერა დიდად განსხვავდება არა მარტო რაიონების, არამედ სხვადასხვა სოფლების მიხედვითაც.

დასავლეთ ევროპაში ერთ-ერთი პირველი უნივერსიტეტი პორტუგალიელებმა ლისაბონში 1290 წელს შექმნეს. მათი სანავიგაციო და კარტოგრაფიული მეცნიერება XVI საუკუნემდე ევროპელთათვის სამაგალითოს წარმოადგენდა. პორტუგალიელებმა შექმნეს მსოფლიოში ზღვაოსნობის პირველი სკოლა და ვერფი (გემთსაშენი) პორტუგალიური ტიპის ხომალდების – კარაველას ასაშენებლად. ორივე ეს მოვლენა XV საუკუნეში, მეფე მანუელ I-ის მმართველობის პერიოდში მისმა შვილმა, პრინცმა ენრიკემ (ჰენრიხმა) განახორციელა, რომელიც მეტსახელსაც, „ზღვითმოგზაური“ ატარებდა. პრინც ენრიკეს მიერ ორგანიზებული ექსპედიციები სამხრეთ აფრიკის სანაპიროებზე ეწყობოდა.

2.3. გალისიელები

გალისიელები ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთში, გალისიის ისტორიულ მხარეში მკვიდრი ხალხია (ეთნოსია). გალისიელების თვითსახელწოდებაა „გალეგოს“ (გალლეგოს). გალისია მოიცავს ლა-კორუნიას, ლუგოს, ორენსესა და პონტევედრას პროვინციებს. დღეისათვის ესპანეთში გალისიელთა რაოდენობა 3 მილიონ 150 ათასია. ამერიკის კონტინენტზე ერთ მილიონზე მეტი გალისიელი ცხოვრობს: არგენტინაში – 550 ათასი, ბრაზილიაში – 230 ათასი, ვენესუელაში – 140 ათასი, ურუგვაიში – 60 ათასი, მექსიკასა და კუბაში (30-30 ათასი), აშშ-ში 20 ათასი. მათი საერთო რაოდენობაა 4 მილ. 200 ათასი კაცი.

ესპანეთის დანარჩენი ხალხებისაგან გალისიელები, უპირველეს ყოვლისა, მათი ენით – **gallego**-თი განსხვავდებიან, რომელიც პორტუგალიურის მონათესავეა, მაგრამ მას ესპანური ენის ძლიერი ნაკვალევი ეტყობა. ამრიგად, გალისიური ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანულ ჯგუფში შედის. მას არა აქვს დიალექტები. გალისიელები ლაპარაკობენ აგრეთვე ესპანურ ენაზე. გალისიური ენა ესპანურთან ერთად გალისიის ავტონომიური ოლქის (დაახლ. 29,4 ათასი კვ.კმ.) ოფიციალური ენაა. სალიტერატურო გალისიური ენის აღორძინება იწყება XIXს. შუა ხანებიდან.

გალისიელები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას.

გალისიელთა თავისებური ეთნოგრაფიული იერი პირველყოფილი ტომების – გალაიკთა კულტურის საფუძველზე ჩამოყალიბდა, რომელიც უფრო მეტად იყო ახლოს ჩრდილოეთ ლუზისტანთან (პორტუგალია), ვიდრე იბერებთან. კელტებმა გალისიელების ფორმირებაში უფრო დიდი როლი შეასრულეს, ვიდრე ესპანეთის სხვა ხალხების

ჩამოყალიბებაში. გალაიკთა ფორმირება ძვ.წ. I ათასწლეულში მოსული კელტებისა და ადგილობრივი ტომების ესტრიმნიელთა შერევის საფუძველზე მოხდა. გალისიელების წინაპართა – გალაიკთა რომანიზაცია რომაელთა ბატონობის პერიოდს (ახ.წ.ა. I საუკუნე) ეკუთვნის. გალისიიდან პორტუგალიის დამოუკიდებელი სამეფოს გამოყოფამდე (XII ს.), გალისიელების კულტურა და ენა ვითარდებოდა ჩრდილოეთ პორტუგალიის კულტურასთან ერთად. XV ს-ში გალისია ესპანეთის სამეფოში შევიდა, XVI ს-ში კი ავტონომია და კორტესებში წარმომადგენელთა ყოლის უფლება დაკარგა. გალისიელ ფეოდალთა მიწების კასტილიასთან შეერთებამ კასტილიზაციის (ესპანიზაციის) დასაწყისამდე მიგვიყვანა. გალისიური ენა უბრალო, სახალხო ენის დონემდე ჩამოქვეითდა (XV ს.). მხოლოდ XIX ს. შუა ხანებში დაიწყო გალისიელთა კულტურის აღდგენა. 1981 წელს გალისიას ავტონომია მიეცა.

ესპანეთის სხვა ნაციონალური ოლქებისაგან (კატალონია და ბასკეთი) განსხვავებით გალისია ჩამორჩენილი აგრარული ოლქია. გალისიაში მიწა ნაყოფიერია (ლა-კორუნიასა და პონდევედროში წელიწადში სიმინდის ორ მოსავალს იღებენ). გალისიელთა ერთ-ერთი ძირითადი საკვებია სიმინდი, კარტოფილი და ღორის ხორცი. სიმინდისაგან, ჩვეულებრივ, დილით რძიან ფაფას ამზადებენ. ნაციონალური გალისიური კერძი **pote gallego** მზადდება კარტოფილის, ხულის და ღორის ლორისაგან, რომელსაც სხვადასხვა სანელებლებს ამატებენ. პურს აცხობენ სიმინდის ფქვილისაგან, ანდა სიმინდისა და ჭვავის ფქვილის მინარევისაგან, მთებში კი უფრო ხშირად ჭვავისაგან. ეს ესპანეთის ერთადერთი მხარეა, სადაც შავ პურს ჭამენ. გალისიურ ოჯახში (როგორც ბასკეთსა და ასტურიაში) ქალი მამაკაცის მსგავსად შრომობს. ის ხნავს, თესავს, რადგან ქმარი ხშირად ზღვაშია გასული ან სხვაგანაა წასული ფულის საშოვრად.

გალისია განთქმულია ხალხური ლირიკით, რომელმაც XIII-XIV სს-ში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ესპანურ და პორტუგალიურ პოეზიაზე. ხალხური სიმღერები უმეტესად გუნდურია. გალისიურ ფოლკლორში, განსაკუთრებით მუსიკალურში, იგრძნობა კელტური ნაკვალევი.

მიწის სიმცირისა და მრეწველობის სუსტად განვითარების გამო გალისიელები ყოველწლიურად სამუშაოდ მიდიან ბასკეთში, კასტილიაში. ძალიან მაღალია შიდა სეზონური მიგრაცია. უფრო მეტად საზღვარგარეთ მიგრირდებიან, რაც თითქმის ქვეყნის ტრადიციულ მოვლენად იქცა. უფრო ხშირად ტოვებენ გალისიას ქალებიც, რომლებიც ძირითადად ლათინურ ამერიკაში მიემგზავრებიან.

გალისიელები კათოლიკეები არიან.

2.4. ესპანელები

ესპანეთში ცხოვრობს 39,2 მილიონი კაცი. მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავმოყრილია სანაპირო პროვინციებსა და კუნძულებზე. ჩვეულებრივ, ესპანეთის გარეთ მის მოსახლეობას მთლიანად ესპანელებს უწოდებენ, თუმცა ქვეყნის შიგნით მკვეთრად იგრძნობა ეთნიკური განსხვავება. მოსახლეობის უმეტესობას ესპანელები წარმოადგენენ (1988 წლის მონაცემებით 27,25 მილიონი კაცი). ისინი განსახლებულნი არიან კასტილიაში, ასტურიაში, ლეონში, ესტრემადურში, არაგონში, ანდალუსიაში, მურსიასა და ვალენსიაში; ცხოვრობენ აგრეთვე კატალონიელები (7 მილ. 900 ათასი); გალისიელები (3,12 მილ.); ბასკები (მათი რიცხვი ესპანეთში განისაზღვრება 600 ათასიდან 1 მილ. 800 ათასამდე). ესპანეთის სამხრეთში ცხოვრობს მობინადრე ბოშების (ციგნების) განსაკუთრებული ჯგუფი – გიტანოსები (დაახლ. 30 ათასი).

ესპანელები, რომელთა თვითსახელწოდებაა **ესპანოლეს**, ცხოვრობენ აგრეთვე აფრიკაში (მაროკო, ალჟირი და სხვ. – დაახლ. 35 ათასი კაცი), ამერიკაში (1 მილ. 220 ათასი კაცი; მათ შორის არგენტინაში, ბრაზილიაში, აშშ-ში – 200 ათასი, მექსიკაში – 100 ათასი). ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ერთ მილიონამდე ესპანელია გაფანტული, მათ შორის საფრანგეთში – 500 ათასი, გერმანიაში – 174 ათასი.

ესპანელები დიდი ევროპეიდული რასის ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას მიეკუთვნებიან.

ესპანური ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანულ ჯგუფში შედის. ის ესპანეთის სახელმწიფო და სალიტერატურო ენაა. ესპანური ენა ოფიციალური ენაა აგრეთვე ლათინური ამერიკის 19 ქვეყანაში. ესპანურ ენაზე მოლაპარაკეთა საერთო რაოდენობა 300 მილიონს აჭარბებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექვსი ენიდან ესპანური ერთ-ერთი ოფიციალური ენაა. XVI ს-მდე მას უფრო „კასტილიურ ენას“ უწოდებდნენ. სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს კასტილიური დიალექტი. კასტილიურ ენაზე შექმნილი უძველესი ძეგლი 1140 წლით თარიღდება. ესპანური ენის ნაირსახეობაა ესპანური ებრაული (სეფარიდული) ენა. ესპანეთში განსაკუთრებულ ენებზე ლაპარაკობენ, ლიტერატურა აქვთ ბასკებს, კატალონიელებსა და გალისიელებს. თვით ესპანურ ენაში გამოიყოფა რამდენიმე დიალექტი: ლეონო-ასტურიული (ჩრდილო-დასავლეთში), არაგონო-ნავარიული (ჩრდილო-აღმოსავლეთში), ანდალუსიური (სამხრეთში), კასტილიური (ქვეყნის დანარჩენ ნაწილში). დამწერლობა შექმნილი აქვთ ლათინური ანბანის საფუძველზე.

ესპანეთი მდებარეობს ევროპის სამხრეთ-დასავლეთში და უკავია პირენეის ნახევარკუნძულის 5/6, ბალეარისა და პიტიუის კუნძულები ხმელთაშუა ზღვაში და კანარისა – ატლანტის ოკეანეში. ქვეყნის საერთო ფართობია 504,8 ათასი კვ.კმ. ესპანეთის ტერიტორიის 60%-ზე მეტი ზღვის დონიდან 500 მეტრზეა. დაბლობს უკავია მხოლოდ 11%. ქვეყნის ყველაზე დიდი დაბლობია ანდალუსიის ველი. არაგონის დაბლობთან ერთად ის ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. შუა საუკუნეების სამეფოებს შორის საზღვრები მთებზე გადიოდა (ახლა მათ ისტორიულ ოლქებს უწოდებენ). აქ ბუნებრივი და ისტორიული ოლქები თითქმის ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, როდესაც ვლაპარაკობთ არაგონზე, მასში შეიძლება ვიგულისხმოთ ისტორიული ოლქიცა და დაბლობიც.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ ძვ.წ. III ათასწლეულში ესპანეთის ტერიტორიაზე უკვე ცხოვრობდნენ იბერები (ბასკთა წინაპრები?).

ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში პირენეის ნახევარკუნძულმა ორჯერ განიცადა კელტური ტომების შემოსევა. ძვ.წ. III საუკუნისათვის კელტებმა ნახევარკუნძულიდან თითქმის მთლიანად გამოაძევეს იბერიული ტომები, მაგრამ ზოგიერთ ადგილზე ისინი დიდი რაოდენობით დარჩნენ (გალისიაში, პორტუგალიაში). ცენტრში კი იბერებს შეერივნენ და ჩამოყალიბდა კელტ-იბერების ტომები.

საკმაოდ მდიდარი იბერთა ქვეყანა ხმელთაშუაზღვისპირეთიდან კოლონისტთა ყურადღებას იპყრობდა. ასეთ კოლონისტთაგან პირველნი იყვნენ ფინიკიელები, რომლებიც აქ ძვ.წ. XI-VIII საუკუნეებს შორის დაფუძნდნენ. პტოლემაიოსის ცნობით, სამხრეთ ესპანეთის თერთმეტი ქალაქის მცხოვრებნი ფინიკიელთა შთამომავლები იყვნენ. ფინიკიელთა გავლენის კვალი შემორჩა კერამიკას. ფინიკიური დიდი გავლენა განსაკუთრებით აღინიშნება იბერიულ დამწერლობაზე (რომელიც ჯერ კიდევ არაა ამოკითხული).

ძვ.წ. VII ს-ში ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ბერძენი ვაჭრები მოვიდნენ. მათ დღევანდელ კასტილიაში დააფუძნეს კოლონიები: ემპორია, როდა, მაინკა... გაეცნენ რა ჯერ კიდევ ადრეული პერიოდიდანვე ბერძნებმა ესპანეთს გესპერია (დასავლეთის ქვეყანა) უწოდეს, გვიან კი მას იბერია შეარქვეს. ეს სახელი მას რომაელთა დაპყრობებამდე ერქვა.

ბერძნულმა კოლონიებმა იბერიაზე დიდი გავლენა მოახდინა და მათი გვაროვნულ-ტომობრივი წყობილების რღვევაც დააჩქარა. ბერძნებმა იბერიაში მედვინეობის ტრადიცია და ზეითუნის კულტურა მოიტანეს.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ბერძნებმა იბერიიდან კართაგენელები გამოდევნეს, რომლებმაც სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე

რამდენიმე კოლონია დააარსეს, მათ შორის ძვ.წ. III ს-ში – ახალი კართაგენი (თანამედროვე კარტახენი). მართალია, ახალმა კოლონისტებმა სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთში იბერიული ტომები დაიმორჩილეს, მაგრამ მათი ეთნიკური გავლენა უფრო სუსტი იყო, ვიდრე ფინიკიელებისა. ძვ.წ. 206 წელს კართაგენელები რომაელებმა გააძევეს. მათი მოსვლისას აქ მრავალრიცხოვანი ტომები მკვიდრობდნენ, რომლებიც ხშირად კავშირებში ერთიანდებოდნენ.

პირენეის ნახევარკუნძული ახ.წ. V ს-მდე რომის გამგებლობაში იყო. ქვეყნის დღევანდელი სახელწოდება – ესპანეთი პირველად რომაულ წყაროებში გვხვდება. ავგუსტუსის დროს (ძვ.წ. 30 წ. – ახ.წ. 14 წ.) ესპანეთი დაყოფილი იყო **ტარაკონიის** (აღმოსავლეთი, ცენტრი და ჩრდილოეთი), **ბეტიკის** (თანამედროვე ანდალუსია) და **ლუზისტანის** (დღევანდელი პორტუგალია) პროვინციებად. ახ.წ. III ს-ში ტარაკონიას გამოეყო გალისა, რომელიც თანამედროვე გალისიასთან ერთად ასტურიასაც მოიცავდა. ასე რომ, რომაელთა ადმინისტრაციული დაყოფა ძველ ტომობრივ საზღვრებსაც ითვალისწინებდა. რომაელების ადგილობრივ მოსახლეობასთან მუდმივი ომების მიუხედავად, განსაკუთრებით ლუზისტანელებსა და კელტ-იბერებთან, აბორიგენებში რომაელთა შერევის მაჩვენებელი მაღალი იყო. ძვ.წ. 196 და 168 წლებში ესპანეთში 150 ათასი რომაელი მეომარი გადაისროლეს, რომლებიც შემდეგ აქ დარჩნენ. ამ დროს კი შერეული ქორწინებები ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ტიტუს ლივიუს ცნობით, უკვე 171 წ. (ძვ.წ.) რომაელ ჯარისკაცთა 4 ათას შთამომავალსა და ესპანელ ქალს საცხოვრებლად ქალაქი კარტეა უბოძეს. ქვეყნის რომანიზაცია ადგილობრივი ტომებისა და რომაელთა მრავალმხრივი ურთიერთობის შედეგი იყო, რასაც თან მეურნეობაში რომაული ფორმების, სოციალური ურთიერთობის, კულტურისა და ენის დანერგვა ახლდა. თანდათან ხალხის სალაპარაკო ენად იქცა „ხალხური ლათინური“, რომელიც დამწერლობაში XI ს-ის შუა ხანებამდე შემორჩა. ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ჩამოყალიბების პროცესში მყოფ რომანულ ენებს შორის არსებითი განსხვავება იყო. ისინი სხვადასხვა ენობრივ სუბსტრატზე დაყრდნობით და რომაელთა მიერ ესპანეთის სხვადასხვა რაიონის ათვისების ხარისხის მიხედვით წარმოიქმნებოდნენ. ამიტომ ყველაზე სწრაფად მოხდა იმ მხარეების ლათინიზირება, სადაც დიდი ქალაქები იყო: ბეტიკა (ანდალუსია), ლუზისტანიის სამხრეთი და ტარაკონიის აღმოსავლეთი ნაწილი (თანამედროვე კატალონია), სადაც რომაელი არისტოკრატიისა და ინტელიგენციის მიერ სალიტერატურო ლათინური ინერგებოდა. სუსტად რომანიზირებულები იყვნენ ცენტრალურსა და ჩრდილოეთში განსახლებული ტომები. თითქმის არ შეეხო ლათინიზაცია ვასკონიას. ჩრდილოეთში ადგი-

ლობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა, კავშირი ჰქონდათ უბრალო მეომრებს, მიწათმოქმედებს, გადასახადის ამკრეფთ, ვაჭრებს, რომლებიც ხალხურ ლათინურ მეტყველებას ავრცელებდნენ. ეს თავისებურებანი გვიან გამომჟღავნდა პირენეის ნახევარკუნძულის ენებსა (კასტილიური, კატალონიური, გალისიური, პორტუგალიური) და მათ დიალექტებში.

409 წელს ესპანეთში გერმანული ტომები – სვევები, ვანდალები და ალანთა სარმატული ტომები დასახლდნენ. მოსულებს მხარს V ს-ში აჯანყებული მონები – ბაგუდები უჭერდნენ, რომელთა მოძრაობა თავდაპირველად გალიაში დაიწყო და შემდეგ ესპანეთის ჩრდილოეთში გადაინაცვლა. ვანდალებმა და სვევებმა დაიკავეს გალისია, ალანებმა – ლუზისტანისა და კარტახენის პროვინციები, ვანდალებმა – ბეტიკა. ჩრდილო-აღმოსავლეთი იმპერიის ხელში დარჩა.

414 წელს ესპანეთში გალიიდან ვესტგუთთა გერმანული ტომები შეიჭრნენ, რომლებმაც VI ს-ის დასასრულისათვის მთელი პირენეის ნახევარკუნძული დაიქვემდებარეს. 429 წელს სვევებმა ვანდალები და ალანები აფრიკაში გადარეკეს და გალისიისა და ჩრდილოეთ ლუზიტანის მიწებზე შექმნეს სამეფო, რომელმაც 585 წ-მდე იარსება. სვევების 170-წლიანმა ბატონობამ გალისიური მეტყველების ჩამოყალიბება განაპირობა.

VI-VII სს-ში ვესტგუთებში ფეოდალური ურთიერთობა განვითარდა. რომაელ მიწათმოქმედებთან შერეულმა ვესტგუთთა სამხედრო დიდებულებმა გლეხობა ყმად გაიხადეს. ვესტგუთების მეფეებმა ადგილობრივი და მოსული დიდებულების შერევა დააჩქარეს. დაპყრობილი მიწების სამუდამოდ დასაკუთრების მიზნით, შერეული ქორწინებებიც კი დაუშვეს.

ვესტგუთებმა და სხვა გერმანულმა ტომებმა, რომლებიც ესპანეთში შეჭრისას მოსახლეობის 3%-ს შეადგენდნენ და კარგად იცნობდნენ რომაულ კულტურას, ადვილად აითვისეს რომანიზებული მოსახლეობის ენა. გუთური ენის წვლილი ესპანური ენის ლექსიკაში დიდი არაა – მხოლოდ 90 სიტყვას ითვლიან, რომლის უმეტესობა სამხედრო საქმესთანაა დაკავშირებული.

იმ დროის ესპანეთის მოსახლეობა სამ ძირითად ჯგუფად იყოფოდა: **გერმანული** (სხვადასხვა ტომები), **რომანული** (რომაელები და რომანიზებული მოსახლეობა) და **შერეული შემადგენლობის ადგილობრივი მოსახლეობა.**

ესპანეთის მიწა გერმანელებმა რომის იმპერიას გამოსტაცეს და შესაბამისად მკვიდრ მოსახლეობაზე რომაული ადმინისტრაციის, ლათინური ენისა და რომაული კულტურის გავლენაც შესუსტდა.

ამავე დროს, ნახევარკუნძულის მოსახლეობის ეთნიკურ იერსახეზე გერმანელთა გავლენა შესამჩნევი არ იყო.

IV ს-ში ესპანეთის მოსახლეობის უმეტესობამ ქრისტიანობა მიიღო. V ს-ში ვესტგუთების შეჭრასთან ერთად ესპანეთში არიანელობა გავრცელდა, მაგრამ უკვე 587 (ან 589) წელს ტოლედოს კრებაზე მეფე რეკარედიმ თავის ოჯახთან ერთად კათოლიკობა მიიღო, რომელიც აქედან მოყოლებული ესპანეთის სახელმწიფო რელიგიად იქცა.

711 წელს ესპანეთში არაბები შეიჭრნენ. მათ ვესტგუთი ფეოდალებისაგან წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ და შვიდი წლის შემდეგ თითქმის მთელი პირენეის ნახევარკუნძული დამპყრობთა ხელში აღმოჩნდა. ესპანელები ახალ დამპყრობლებს მავრებს უწოდებდნენ. არაბებმა მაჰმადიანობის გავრცელება დაიწყეს. არაბები და ბერბერები თავიდანვე ხალისით ქორწინდებოდნენ ესპანელებზე. არაბთა გავლენა ესპანეთის მოსახლეობის კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებაზე ძალიან დიდი იყო. მათ ნახევარკუნძულზე მოიტანეს სარწყავი მიწათმოქმედების სისტემა, ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურები. ანდალუსიის, სევილიის, კორდობის, გრანადის ქალაქები ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის მდიდარ ცენტრებად გადააქციეს. ქვეყნის სამხრეთით – ქალაქებში დღემდეა შემონახული არაბული არქიტექტურის ნაშთები. არაბულმა მეცნიერებამ (ძირითადად მათემატიკამ) და ლიტერატურამ (განსაკუთრებით ლირიკამ) დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო ესპანურ, არამედ მთელ ევროპულ კულტურაზე. თავის მხრივ, ესპანეთი აღმოსავლეთში ევროპული კულტურის გზის მაჩვენებელი (გამტარი) გახდა.

თანამედროვე ესპანურ ენაში შესულია მდიდარი არაბული ლექსიკა. არაბებმა ესპანელთა ნაციონალური თვითშეგნების გაღვივებასაც შეუწყვეს ხელი. რომანიზებული ქრისტიანები, როგორც ერთი მთლიანი ერთეული, არაბულენოვან მუსლიმებს უპირისპირდებოდნენ.

არაბული და ვესტგუთური დაპყრობები ბასკებს არ შეხებიათ. 1139 წელს პორტუგალია ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბდა. ისტორიული პირობების გამო ნახევარკუნძულის მოსახლეობის მუდმივი შერევა ხდებოდა, რამაც ერთიანი ესპანური ენის ჩამოყალიბება განაპირობა. XI ს-მდე ოფიციალური დოკუმენტების ენად ჩრდილოეთის სახელმწიფოებში ლათინური რჩებოდა, მაგრამ ამ ენაში უკვე ადგილობრივი სალაპარაკო დიალექტებიდან ძალიან ბევრი სიტყვა იყო შესული.

XI-XIII საუკუნეებში ქრისტიანებმა არაბებს მთელი ნახევარკუნძული, გრანადის ემირატის გარდა, იარაღით დაატოვებინეს. მავრებისაგან ესპანური მიწების ბრძოლით გათავისუფლებაში მთავარი როლი ლეონო-კასტილიის გაერთიანებამ ითამაშა, რომელსაც XIII ს-ში ნახევარკუნძულის 3/5 ეჭირა. არაგონელ-კატალონიელებმა მუსლიმებს

წაართვეს ბალეარის კუნძული (ამ დროიდან მოიკიდა აქ ფეხი კატალანურმა ენამ) და დაიპყრეს ვალენსია. კატალანური ენის დიალექტი – ვალენსიანო დღემდე შემოინახა თანამედროვე ვალენსიის პროვინციის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში. ესპანელთა ეთნიკური ბირთვის ენად კასტილიური იქცა, რადგან კასტილია წამყვან როლს თამაშობდა ჯერ რეკონკისტაში **(რეკონკისტა – VIII-XV სს-ში პირენეის ნახევარკუნძულის ხალხების მიერ არაბებისაგან დაპყრობილი ტერიტორიების ბრძოლით უკან დაბრუნება)**, შემდეგ კი ესპანეთის გაერთიანებულ აბსოლუტურ სახელმწიფოში. უკვე XII ს-ში სწორედ ამ ენაზე შეიქმნა ისეთი ლიტერატურული ძეგლი, როგორიცაა ეპოსი „სიმღერა ჩემს სიდაზე“.

რეკონკისტის პერიოდში ჩაისახა შუა საუკუნეების ესპანეთისათვის დამახასიათებელი რელიგიური ფანატიზმი. რელიგიური ერთობის თვითშეგნება მუსულმანთა წინააღმდეგ ბრძოლაში ესპანელთა ეროვნულ თვითშეგნებასაც აღვივებდა. 1479 წელს მოხდა ორი დიდი ძლიერი სახელმწიფოებრივი კავშირის – არაგონა-კატალონიისა და კასტილია-ლეონის გაერთიანება, რაც მეფე ფერდინანდ არაგონელისა და იზაბელა კასტილიელის ქორწინების შედეგად იქნა მიღწეული. ასე შეიქმნა დიდი სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა პირენეის ნახევარკუნძულის დიდ ნაწილს, ბალეარის კუნძულს, სიცილიას, სარდინიასა და სამხრეთ იტალიას.

1492 წელს დაეცა გრანადა და ნახევარკუნძული მავრებისაგან გაწმინდეს. ჩამოყალიბდა ესპანეთის სამეფოს ერთიანი ტერიტორია. გრანადის დაცემის შემდეგ ესპანეთიდან მალე გააძევეს ებრაელები, რომელთა რაოდენობას 165 ათასიდან 800 ათასამდე ანგარიშობენ. მათი შთამომავლები (სეფარიდები, დაახლ. 100 ათასი) ძირითადად თურქეთში, ბულგარეთსა და სერბეთში ცხოვრობენ. ისინი ლაპარაკობენ XV ს-ის ესპანურთან ახლოს მდგომ ენაზე. ერთი საუკუნის შემდეგ, 1610 წელს, გააძევეს მორისკები (მავრები, რომელთაც ქრისტიანობა ჰქონდათ მიღებული). დაახლოებით 500 ათასმა ქრისტიანმა მავრმა ესპანეთი დატოვა.

მუსლიმთა, ებრაელთა, პროტესტანტთა და სხვა „ერეტიკოსთა“ წინააღმდეგ ბრძოლის იარაღი გახდა „წმინდა ინკვიზიცია“, რომელიც ძალიან აქტიური იყო XV-XVI სს-ში. ინკვიზიცია XVIII ს-მდე არ შემწყდარა. ქვეყანაში ამ ორგანიზაციის არსებობის დროს კოცონზე დაახლ. 3 მილ. კაცი დაწვეს.

ესპანური კულტურა დიდ აღმავლობას განიცდიდა XVI-XVII სს-ში, მაგრამ შემდეგ პოლიტიკური და ეკონომიკური დონის დაცემამ ქვეყნის რაიონებს შორის კავშირები შეასუსტა. გახშირდა მათი პოლიტიკური განცალკევებულობა. ცენტრს განსაკუთრებით განაპირა მხა-

რეები მოწყდნენ, რომლებიც ძლიერ განსხვავებული ენობრივი ვითარებით გამოირჩეოდნენ; აქ განსაკუთრებული ხალხები (ეთნოსები) ჩამოყალიბდნენ: გალისიელები, კატალონიელები, ბასკები. ნახევარკუნძულის სხვა ნაწილებში (კასტილია, ასტურია, ლეონი, არაგონა, ესტრემადურა, ანდალუსია) დიდხანს შემორჩა ადგილობრივი დიალექტები, ეკონომიკური და ეთნოგრაფიული თავისებურებანი. ესპანეთის მხარეებს შორის განსხვავება დიდი იყო XVIII საუკუნეშიც, როცა სახელმწიფო 12 სამეფოდ და პროვინციად დაიყო. XX ს-ის შუა ხანებამდე ესპანეთის ეთნოგრაფიულ მხარეებს შემორჩენილი ჰქონდა სამეურნეო, კულტურული, ყოფითი თავისთავადობა.

1983 წელს ეთნიკური უმცირესობებითა და საკუთრივ ესპანელებით დასახლებულ ყველა ისტორიულ მხარეს ავტონომია მიეცა.

ესპანეთი განვითარებული მიწათმოქმედების (მათ შორის სარწყავი მიწათმოქმედების) ქვეყანაა. ასევე განვითარებულია მესაქონლეობა, თევზჭერა.

საზოგადოებრივი ყოფისათვის დამახასიათებელია კათოლიკური ტრადიციებისადმი ერთგულება. ყველა სოფელსა და ქალაქს ჰყავს თავისი წმინდა მფარველი (სანტ იაგო, სან ანტონი, სან ბლასი, სან ბროსე), რომლის ხსენების დღე საზეიმოდ აღინიშნება. ასევე ყველა პროფესიას თავისი „პატრონი“ ჰყავს, მაგალითად, მადრიდელი მსახიობები, ჩვეულებრივ, სან სებასტიანის, ანდა ვირხენ დელ ბუენ პორტოს ეკლესიებში დადიან.

ესპანეთი მსოფლიოში მოხმარებული ზეთისხილის 50%-ს აწარმოებს. ესპანეთის სოფლის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ციტრუსების მოყვანას. ციტრუსების მოწევით ესპანეთს აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილი უკავია, ექსპორტით კი – პირველი. იტალიის შემდეგ ესპანეთი მეორე ადგილზეა ნუშის მოყვანით. ის მევენახეობითა და მებაღეობით განთქმული ქვეყანაა. 1961 წლის მონაცემებით ვენახების ფართობით მეორე ადგილზე იყო, ღვინის წარმოებით - მესამეზე. ტრადიციულად კასტილიაში ყურძენს დიდ კოდებში ყრიდნენ და ფეხებით წურავდნენ.

მეცხვარეობა მთელ ესპანეთშია გავრცლებული, სანაპირო რაიონებისა და მადრიდის შემოგარენის გარდა.

თითქმის ყველა საჭმელს ზეითუნის ზეთით ამზადებენ. ყველა მხარეს აქვს ტრადიციული კერძი.

ესპანელ ხალხში შემონახულია ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები, რომელთაც მსგავსება აქვთ ბერძნულ-რომაულ და ცენტრალურევროპულ სამყაროსა და მითოლოგიასთან.

თავისებური საოჯახო ყოფაა შემორჩენილი ზოგიერთ იზოლირებულ მხარესა და სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომად-

გენლებში. მაგალითად, განსაკუთრებული ტენდენცია ენდოგამიური (შიდა) ქორწინებისა დღემდე შეიმჩნევა ლეონის მარაგატერის მთიან რაიონში, გიპუსკუას რაიონის ბასკებში. საკმაოდ მკაცრი ეთნიკური ან სამხარეო ენდოგამიის მიზეზი სხვადასხვაა, ბასკებში კი ამას ასიმილაციისაგან თავის დაცვა განაპირობებს.

კაბრერა ბახას მხარეში (ლეონი) ჯერ კიდევ XX საუკუნის 40-იან წლებში შეიმჩნეოდა წეს-ჩვეულება, რომელიც „ცეიბას“ სახელით იყო ცნობილი. მას ბევრი ეთნოგრაფი განიხილავს, როგორც პრომისკუიტეტის (ადამიანთა მოუწესრიგებელი სქესობრივი ურთიერთობა პირველყოფილ საზოგადოებაში, ქორწინებისა და ოჯახის წარმოშობამდე) სქესობრივი ურთიერთობის გადმონაშთს პირველყოფილი დროიდან. ამ რაიონის ახალგაზრდებს (ქალიშვილები და ვაჟები) ყოველ წელს, მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით, ერთად სძინავთ თივის ბულულებში (სათივეში). მხოლოდ ამის შემდეგ, გემოვნების მიხედვით, მამაკაცები საცოლედ ირჩევენ გოგონებს. ლა ბანიაში (ლეონი) თავისუფალი, ქორწინებამდელი, თანაცხოვრება ნებადართული იყო ყოველი წლის აგვისტოში.

XIX ს. დასასრულამდე ლეონის ორ რაიონში (ვალენსია დე დონ სუანსა და სააგუნში) დისლოკალური ქორწინების წეს-ჩვეულება შემოინახა. ცოლი და ქმარი ერთად, ერთი სახურავის ქვეშ იწვნენ მხოლოდ ქორწილის შემდეგ დამეს. შემდეგ ისინი კვლავ მშობლების სახლში მიდიოდნენ, რომლებთან ერთად აწარმოებდნენ საერთო მეურნეობას, ერთმანეთს კი ეწვეოდნენ მხოლოდ ცოლქმრული მოვალეობის შესასრულებლად. თავიანთ ოჯახს (კერას) ისინი ქმნიდნენ მხოლოდ მშობლების სიკვდილის შემდეგ, როდესაც უკვე ჰყავდათ სამი-ოთხი ბავშვი, რომლებიც დედის ოჯახში იზრდებოდნენ.

ძველი ქრისტიანული ტრადიციით მიცვალებულს კრძალავდნენ თეთრი სუდარით. ასტურიაში, სანტანდერში, გალისიასა და არაგონაში ქალები დაკრძალვის დროს ხშირად ხმამაღლა მოთქვამენ. XX ს-ის დასაწყისში ჩრდილოეთის ბევრ რაიონში დაკრძალვისას სპეციალურად ქირაობდნენ დამტირებლებს. დაკრძალვის დღეს გამცილებლებს ჩრდილოეთში უხვად უმასპინძლდებიან (ქელეხი), სამხრეთში კი მხოლოდ პურითა და ღვინით.

ესპანელებში გვხვდება მამაკაცთა კავშირების გადმონაშთი. ბევრ რაიონში სოფლის ახალგაზრდები აყალიბებენ ძმობას, რომელშიც არ დაიშვებიან ქალები და ცოლიანი მამაკაცები. მას უწოდებენ „როდნას“ (წრე). მამაკაცთა ამ კორპორაციაში შესვლა შეიძლებოდა თხუთმეტი წლის ასაკიდან. ამისათვის საჭირო იყო გადასახადის შეტანა. ამის შემდეგ ჭაბუკს (ახალგაზრდას) უფლება ჰქონდა თავისი პუებლოდან გაარშიყებოდა გოგონას, რონდის წევრებთან ერთად

ემღერა ღამის სერენადები, მონაწილეობა მიეღო კალენდარული დღესასწაულების რიტუალურ წეს-ჩვეულებებში. რონდა აწყობდა მხიარულ ვახშმობებს, მეფის დღეს, მარტის კარნავალებს.

ესპანელთათვის ტრადიციულია ხარებთან ბრძოლა. ესპანელი ეთნოლოგები თვლიან, რომ ხარებთან ბრძოლა წმინდა ნაციონალური ესპანური სანახაობაა, რომლის ძირები პირველყოფილ ისტორიაშია, როდესაც ხარი იბერების ტოტემური ცხოველი იყო. თანამედროვე ესპანეთში შემორჩენილია მრავალი ხალხური თამაში ხარებთან, რომლებიც, როგორც ჩანს, შემორჩა იმ დროიდან, როდესაც კორიდა პროფესიული ხელოვნება არ იყო.

საყოველთაოდ ცნობილია ესპანური სიმღერები და ცეკვები. წარმოდგენა ერთი სტილის ესპანური სიმღერისა და ცეკვის შესახებ ისეთივე შეცდომაა, როგორც აზრი ერთი სახეობის ესპანური სახლის ან ერთი სტილის ესპანური კოსტიუმის შესახებ. ლიტერატურაში დაფიქსირებულია დაახლოებით ათასი სახე სიმღერისა, სხვადასხვა მელოდიით, ცეკვისა კი – ათას ხუთასი. ხშირად ორ სოფელში, რომლებიც ერთმანეთისაგან სამი კილომეტრითაც კი არ არის დაშორებული, მღერიან სრულიად განსხვავებულ სიმღერებს. ამ მხრივ განსხვავება უფრო მეტად იგრძნობა სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის. განსაკუთრებით ნაციონალური თავისთავადობით ისტორიული რომანსები, რელიგიური და ლირიკული სიმღერები და ცეკვა-სიმღერები გამოირჩევა. ესპანეთში ცეკვები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1) რიტუალური – სპეციალურად მომზადებული, საგულდაგულო კომპოზიციით დამუშავებული. მათ, უპირველეს ყოვლისა, „ბაილესს“ უწოდებენ და 2) თავშესაქცევი ცეკვები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, „დანზას“ სახელით მოიხსენიებენ.

ორიგინალურია ესპანური ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, რომლებსაც თავისებურებას იბერიულ-კელტური და მუსლიმური ელემენტებიც ანიჭებს.

განსაკუთრებულია ესპანური ანთროპონიმული მოდელი. მასში რამდენიმე ტიპურ შემთხვევას გამოყოფენ: 1. უბრალო ორწევრიანი მოდელი, რომელიც საკუთარი (პირადი) სახელისა (**nombre de pila**) და გვარსახელის (**nombre de apellido**) ერთობლიობას წარმოადგენს, მაგალითად, Mario Saenz; 2. ორი ინდივიდუალური სახელისა და ერთი გვარსახელის შემცველი სამწევრიანი მოდელი (მაგალითად, Juan Romulo Fernandez); 3. მრავალწევრიანი მოდელი, რომელშიც შეიძლება შედიოდეს ერთი ან რამდენიმე პირადი სახელი და ორი გვარსახელი. ასეთ შემთხვევაში ორი ან მეტი გვარსახელი ერთმანეთთან **e, de** ნაწილაკების საშუალებითაა შეერთებული, ან არტიკლისა და de ნაწილაკის კომბინაციით (**de la, de los, de las, del**): **Gustavo Arboleda y Res-**

tero; Josefa Fernandez de Garay, Rosa Arcidiega de la Torre, Maximo Farfan de las Godes; Antonio Espionosa de los Monteros...

თანამედროვე ესპანურ საკუთარ სახელებში გვხვდება ბერძნული, რომაული, არაბული, გერმანული, ძველებრაული სახელები. თუმცა პირადი სახელები ძირითადად კანონიზებული ქრისტიანულ-კათოლიკური სახელებია. ჩვეულებრივ, ბავშვს ერთ, ორ ან რამდენიმე სახელს არქმევენ.

ესპანური გვარების სტრუქტურული მოდელი უფრო ხშირად ორ კომპონენტს – მამისა და დედის გვარსახელებს შეიცავს, რომლებიც უმეტესად y ნაწილაკით არის შეერთებული (**Menender y Pelayo**). თუ **Joosé González**-ს და მის ცოლს **Feliciana Martinez de Gonzalez**-ს ვაჟი შეეძინებათ, რომელსაც **Enrique**-ს დაარქმევენ, მაშინ გვარსახელი იქნება **Gonzalez y Martinez**. თუ ვინმე **Juan Franciso Velarde** y **Nuñes** (რომელშიც **Velarde** მამის გვარია, **Nunēz** – დედისა) დაქორწინდა გოგონაზე, რომელსაც ჰქვია **Luisa Gutiérrez y Romero**, ქორწინების შემდეგ ამ უკანასკნელს უწოდებენ: **Luisa Gutiérres De Vilarde**. მათი შვილის გვარი კი იქნება **Velarde y Gutierrez**. მშობელთა გვარების შეერთების სხვა ვარიანტებიც გვხვდება.

სტრუქტურით ესპანური გვარები შემდეგნაირად კლასიფიცირდება: 1. პატრონიმიული გვარსახელები. ისინი ბოლოვდება **-az, -ez, -iz, -oz, -uz** სუფიქსებით. ესპანური გვარების ეს დაბოლოებანი სახეცვლილი ლათინური სიტყვებიდან – **filius** და **prolis** – არის წარმოქმნილი. ორივე ეს სიტყვა ნათესაობით ბრუნვაში მდგომ მამის სახელს მისდევდა (**Estebanez** – ესტებანეს შვილი**, Alvarez anda Alvaroz** – ალვაროს შვილი). 2. მეტსახელისა და ეპითეტიდან წარმოქმნილი გვარები (**Calvo calvo**-დან, „მელოტი“; **Aleman aleman**-დან, „გერმანული“; **Blanco blanco**-დან, „თეთრი“, „ჭაღარა“). 3. პროფესიული ტიპის გვარსახელები (**Herrera herrero**-დან, „მჭედელი“; **Caldoron caldoron**-დან „მესპილენძე“). 4. ტოპონიმებიდან წარმოქმნილი გვარები (**Belleto Gallego,** ე.ი. ბელეტო გალისიელი **Galicia**-დან; **Pedro de Cardona**, ე.ი. პედრო კარდონიდან.

ბევრი ესპანური გვარი უცხო წარმოშობისაა (არაბული, ირლანდიური, ინგლისური, გერმანული...). არაბული **Ben Eaas**-ი **Venegas**-ად იქცა, ირლანდიური **O'Brie-Obpen**-ად, შოტლანდიური **Mac Donald**-ი **Maldonado**-დ, ინგლისური **Harris**-ი – **Aris**-ად...

ესპანეთი ცნობილია თავისი განათლების დონით. ქვეყანაში არის 13 სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელთაგანაც უძველესი XIII-XIV სს-ში სალამანკაში (1230), ვალენსიასა (1245) და ოვეიდოში (1317) დაარსდა. მადრიდშია უმსხვილესი სამეცნიერო დაწესებულება – ესპა-

ნეთის აკადემია. ფერწერის კორიფეები იყვნენ ესპანელი მხატვრები: **ელ გრეკო, ხ. რიბერა, დ. ველასკესი, ფ. გოია, ს. დალი, პ. პიკასო** და სხვა. დიეგო ველასკესი იყო ფილიპე IV-ის კარის ფერმწერი. ის ხატავდა სურათებს რელიგიურ, მითოლოგიურ, ისტორიულ სიუჟეტებზე; სცენებს ხალხთა ცხოვრებიდან, მძაფრხასიათიან პორტრეტებს. მსოფლიოს კულტურაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ესპანურ ლიტერატურას. ესპანური აღორძინების ეპოქის დიდმა წარმომადგენელმა **ლოპე დე ვეგამ** (1562-1635) 2000-ზე მეტი პიესა შექმნა, რომელთაგან გამოცემულია ხუთასი (დრამები, კომედიები). დიდი ესპანელი პოეტი იყო **ფ. გარსია ლორკა** (1895-1936). მსოფლიო კულტურაზე დიდი გავლენა მოახდინა **საავედრა მიგელ დე სერვანტესმა** (1547-1616). მის „დონ-კიხოტში“ ორგანულადაა ერთმანეთთან შერწყმული რეალიზმი, ჰეროიკა და რომანტიკა. ის აღორძინების ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია.

სალვადორ დე მადარიაგას დახასიათებით ესპანელი ვნებიანი, ჟინიანი ადამიანის განსახიერებაა. მისთვის არც გატაცებითი ცხოვრებაა უცხო. ესპანელისათვის პირადი გამოცდილება, სიმპატიები, ერთგულება უფრო ძვირფასია, ვიდრე აბსტრაქტული იდეები და პრინციპები. ესპანელს არ უყვარს თავისი არსებობა ცხოვრების მკაცრი განაწესით დაანაწევროს და რომელიმე საქმიანობაში სპეციალდება. მისთვის ნაკლებ დამახასიათებელია „სასარგებლო“ გატაცება: ყოფის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული გამომგონებლობა, ჰობი. ის ეძებს მშფოთვარე, დაუცხრომელ, ყოვლისშთანმთქმელ გატაცებებს. ესპანელი ღრმად პიროვნულია. მადარიაგას სიტყვებით, ესპანურ ფილოსოფიას ხანგრძლივი და რთული ისტორია აქვს. მასში ნაერთის სახითაა წარმოდგენილი ევროპული და არაბული ელემენტები, ქრისტიანული სინდისი და სოკრატისეული გონება. ესპანური ფილოსოფია სისტემას არ ქმნის, მაგრამ ესწრაფვის გამოხატოს ნათლად, ცხადად და ხატოვნად. ესპანეთში, ისევე როგორც სხვაგან, ვერ განვითარდა სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საქმიანობა. ამის გამო დიდი ხნის განმავლობაში ის სასოფლო-სამეურნეო და ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. ამავე დროს, ემოციურობა, ინტუიცია, განმჭვრეტელობა ისეთი წყაროები იყო, რომლებმაც განაპირობეს მაღალი ფილოსოფიური, მხატვრული და რელიგიური კულტურის შექმნა. ესპანელის საქმიანობა-მოღვაწეობის ყველაზე ჩვეული სფეროებია ეკლესია, არმია და ხელოვნება. ისინი არიან თამამი ავანტიურისტები, მოგზაურები, გენიალური მხატვრები, შთაგონებული მქადაგებელ-მისიონრები, ინკვიზიტორები, „მუდმივი სახეების“ – დონ-კიხოტისა და დონ-ჟუანის შემქმნელები. იგივე ავტორი ესპანელთა ორ უმნიშვნელოვანეს თვისებასაც ასახელებს –

ინდივიდუალიზმსა და ჰუმანიზმს, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და დომინირებს მათ მშფოთვარე და დაუდგრომელ ხასიათში. ესპანელს „ფასეულობების გადაბრუნებული შკალა“ აქვს. ცენტრში თავადაა, მის ირგვლივ ახლობლები, მეგობრები და ნათესავები არიან, მეორე ადგილზე ქალაქის და პროვინციის ინტერესები აქვს დაყენებული, მესამეზე კი ქვეყნის ინტერესები და კაცობრიობის, როგორც მთლიანის, სახე ბუნდოვნად. ესპანეთში ჩვიდმეტი პროვინციაა და თითოეულ მათგანს თავისი საკუთარი დედაქალაქი, დროშა, კანონები და ზოგიერთ მათგანს ენაც კი აქვს. ფრანგები თუ ესწრაფოდნენ და ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს მთელს ქვეყანაში ერთი ენის გავრცელებას, ესპანელებმა ეს არ გააკეთეს, პირიქით, ესპანური პროვინციები ყოველთვის ენობრივი დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდნენ. ფრანკოს სიკვდილის შემდეგ, რომელიც სეპარატიზმის წინააღმდეგ იბრძოდა, პროვინციები კვლავ საკუთარ ენებზე გადავიდნენ. მართალია, ესპანელებს ახასიათებთ ერთმანეთსა და სხვებს უმტკიცონ, რომ ისინი პატრიოტები და ნაციონალისტები არიან, მაგრამ სამშობლოდ ხშირად აღიქვამენ არა ესპანეთს, არამედ ბასკების ქვეყანას, კატალონიას, კასტილიას, გალისიას. ესპანელთა ინდივიდუალიზმითაა განპირობებული ნორმალური პარტიების სიმცირე და მოქმედი პოლიტიკური პარტიების მრავალრიცხოვნება. სამხრეთელი ესპანელების ინდივიდუალიზმი გამოვლენილია აგრეთვე იმაში, რომ ისინი ძალიან ერთგულნი არიან ოჯახის, ახლო მეგობრების, ნათესავების, რომლებიც მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანნი არიან, ვიდრე მატერიალური სიკეთე და პოლიტიკა. საოჯახო წრეში ესპანელი ბავშვები და მოხუცები თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობენ. ხშირად ხვდებიან ერთმანეთს საოჯახო სუფრებზე თუ რესტორნებსა და ბარებში. საზოგადოებრივი თავყრილობები დაუსრულებლად და დიდხანს გრძელდება. მიუღებელია ვინმეს ლაპარაკი შეაწყვეტინონ. სიზუსტე და ვალდებულება ესპანური ხასიათისათვის დამახასიათებელი არ არის. ესპანეთის სახელმწიფო სამსახურში სამუშაო საათები ზუსტად განსაზღვრული არა აქვთ. ამავე დროს, კალენდარში თითქმის ყოველი დღე სადღესასწაულოა, მაგალითად, რომელიმე წმინდანის. ასეთ დღეებში კი, ჩვეულებრივ, არ მუშაობენ. თანამდებობის პირები ხშირად ამა თუ იმ დოკუმენტზე ხელს დუქანში აწერენ შუამავლების საშუალებით. ესპანელი არსად არასდროს არ ჩქარობს. ესპანელთა პოლიტიკური აზრი ბუნდოვანი და ცვალებადია. არჩევნებზე ხმას აძლევენ მეგობრებს, ნათესავებს და არა რომელიმე განსაზღვრულ პოლიტიკურ პროგრამას. ბევრი სოციალური ინსტიტუტის სისუსტე ესპანელთა ინდივიდუალიზმითა და რაციონალიზმის არასაკმარისობით არის ახ-

სნილი. ესპანელისათვის სხვა ადამიანი შეიძლება იყოს მტერი ან მოყვარე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში როგორც ნაციის, კლასის, პარტიის წარმომადგენელი. არაა გასაკვირი, რომ ესპანეთში ვერც კომუნისტურმა და ვერც ფაშისტურმა იდეოლოგიამ გამარჯვება ვერ მოიპოვა – მათ შორის ბრძოლა პირადი ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა. ესპანური ხელოვნება ხალხური და ამასთან ერთად ინდივიდუალურია. გუნდური სიმღერები თითქმის არ არსებობს. მსოფლიოს ფერწერის კლასიკოსები არიან ესპანელი მხატვრები: **რიბერი, ველასკესი, ელ-გრეკო, პიკასო, დალი.**

2.5. კატალონიელები

კატალონიელები, რომელთა თვითსახელწოდებაა **კატალანს** (**catalanes**), ესპანეთში ცხოვრობენ. დასახლებულნი არიან ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში, კატალონიის ავტონომიურ ოლქში – 32 ათასი კვ.კმ. (ბარსელონის, ტარაგონის, ლერიდისა და ჟერონის პროვინციები), ნაწილობრივ არაგონასა და ვალენსიაში. აგრეთვე ბალეარისა და პიტიურის კუნძულებზე. კატალონიელთა საერთო რაოდენობა 8 მილ. 160 ათასი კაცია. ესპანეთში ცხოვრობს 7,5 მილ. კატალონიელი. ესპანეთის გარდა ცხოვრობენ საფრანგეთში (დაახლ. 250 ათასი, ძირითადად აღმოსავლეთ პირენეის დეპარტამენტში), იტალიაში (30 ათასი კაცი, ძირითადად ქალაქ ალეგროში, სარდინიის კუნძულზე), ანდორაში (6 ათასი კაცი). მკვიდრობენ აგრეთვე ჩრდილოეთ და ლათინური ამერიკის ქვეყნებში (დაახლ. 350 ათასი), მათ შორის, არგენტინაში (150 ათასი), ბრაზილიაში (70 ათასი), აშშ-ში (50 ათასი), მექსიკაში (30 ათასი), ვენესუელასა და კუბაში (35-35 ათასი). კატალონიელთა თავისებური ეთნოგრაფიული ჯგუფია **შუეტასი** – შუა საუკუნეებში მონათლულ ებრაელთა შთამომავალნი, რომლებიც კუნძულ მაიორკაზე ცხოვრობენ. შუეტასელები სხვადასხვაგვარ შევიწროებას განიცდიდნენ და პრაქტიკულად ენდოგამიურნი იყვნენ.

კატალონიელები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას.

კატალონიური ენა (კატალანური ენა – **Catalan**) ინდოევროპული ოჯახის რომანულ ჯგუფში შედის. მან ძველპროვანსალური ენის დიდი გავლენა განიცადა. მორფოლოგიითა და ლექსიკით ახლოსაა ოქსიტანურ (პროვანსალურ) ენასთან. მის სინტაქსსა და ლექსიკაზე დიდი გავლენა მოახდინა ესპანურმა ენამ. კატალანურ ენაში გამოყოფენ შემდეგ დიალექტებს: პირენეულს, რომელიც გავრცელებულია მთელ ფრანგულ კატალონიასა და ესპანეთის კატალონიის ჩრდილო-

ეთ ნაწილში; აღმოსავლურკატალანურს, რომელიც მოიცავს კატალონიის ძირითად ნაწილს (ცენტრალური, ბალეარული, რუსილონური და ალგერული) და დასავლურ-კატალანურს (ლერიდული და ვალენსიური), რომელზეც ლაპარაკობენ ანდორაში, დასავლეთ ლერიდსა და ტარაგონში. ბალეარის კუნძულზე, სადაც კატალონიელებმა XIII ს-ში შეაღწიეს, ჩამოყალიბდა დიალექტი მალორკინი, ვალენსიაში – ვალენსიანო. ევროპის გარეთ კატალანურ ენაზე ლაპარაკობენ არგენტინასა და კუბაში დასახლებულთა ცალკეული ჯგუფები. კატალონიელებში გავრცელებულია აგრეთვე ესპანური ენა. დამწერლობა შექმნილი აქვთ ლათინური ანბანის საფუძველზე. დამწერლობის ძველი ძეგლები XI-XII სს. მიეკუთვნება. XIII ს-დან განვითარდა სალიტერატურო კატალანური ენა, რომელსაც საფუძვლად ბარსელონური დიალექტი უდევს.

კატალონიელები კათოლიკეები არიან. მათი რელიგიური ცენტრია ძველი მონასტერი – მონსერატი, რომელიც ბარსელონის მთებშია. აქ ათასობით მლოცველი იყრის თავს, რომლებიც ნაციონალური თვითმყოფადობის იდეის დემონსტრირებას ახდენენ. თუმცა ჩრდილოეთის ზოგიერთ რაიონში გლეხებს შორის გავრცელებულია სხვადასხვა ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები. ქრისტიანული რელიგიური დღესასწაულების გვერდით ზოგიერთ ადგილას ცხოველებსა და სამიწათმოქმედო კულტებთან დაკავშირებული დღესასწაულებიცაა შემორჩენილი.

კატალონიელთა წინაპრები იყვნენ იბერიული ტომები, რომლებიც ძვ.წ. I ათასწლეულში დასახლებულნი იყვნენ პირენეის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მათ განიცადეს კელტური, ფინიკიური და ბერძნული გავლენა. რომაელთა ბატონობის პერიოდში კატალონიის ტერიტორიაზე მოხდა მოსახლეობის ძლიერი რომანიზაცია. კატალონიელების ეთნოლინგვისტური თავისებურებების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ფრანკთა დაპყრობებმა VIII ს-ში და სამხრეთ საფრანგეთთან კავშირებმა. XII ს-ში კატალონიის ძირითადი ნაწილი არაგონის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. XIII ს-ში კატალონიელები უკვე გამოიყოფოდნენ ესპანეთის ხალხებს შორის ეთნიკური თავისთავადობით. ამ პერიოდში სრულიად ჩამოყალიბებული იყო კატალანური ენა. მასზე შექმნილი იყო პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები. 1470 წლიდან კატალონიელები გაერთიანებულნი იყვნენ ერთიან ესპანურ სამეფოში. მათ უხდებოდათ თავის დაცვა ცენტრალური ხელისუფლებისაგან. 1714 წელს კატალონიის ავტონომია გაუქმდა და აიკრძალა კატალანური ენა, როგორც ოფიციალური ენა. XVIII ს-ში გაძლიერებული კასტილიზაციის მიუხედავად, კატალანურმა ენამ ყოფაში დო-

მინირებული მდგომარეობა შეინარჩუნა. XIX ს-ის 40-იან წლებში გაძლიერდა ნაციონალური მოძრაობა. დაიწყეს სახელმძღვანელოების, ლექსიკონების, ლიტერატურული ნაწარმოებების გამოცემა კატალანურ ენაზე. კატალონიელთა თანამედროვე სალიტერატურო ენა XIX-XX სს-ში ჩამოყალიბდა ცენტრალური დიალექტის საფუძველზე. 1840-1890 წლებში ესპანური მონარქიის წინააღმდეგ ნაციონალური მოძრაობა წარუმატებელი აღმოჩნდა. 1930 წ. კატალონიამ მოიპოვა ავტონომია, რომელიც ფრანკოს რეჟიმის მიერ იქნა გაუქმებული. კატალონიის ავტონომია მხოლოდ 1977 წელს იქნა აღდგენილი. XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ესპანეთის რეგიონებმა – ვალენსიამ, ბალეარის კუნძულმა, არაგონმა, სადაც კატალანურ ენაზე მოლაპარაკენი მკვიდრობენ, ავტონომია მიიღეს. კატალონიის დედაქალაქია ბარსელონა (2 მილ.). ბარსელონა იბერიელთა დასახლების ადგილზე ბერძენმა კოლონისტებმა დააარსეს. ქალაქის ძველ ნაწილში შემორჩენილია ანტიკური ამფითეატრის ნანგრევები. მის სახელწოდებას ხშირად კართაგენელთა ბატონობას უკავშირებენ. 415 წ. ქალაქი გუთებმა დაიპყრეს, 713 წელს – მავრებმა. ბარსელონაში შუა საუკუნეების კულტურის არაერთი ძეგლია. გოტიკურ კვარტალში თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ხელოვნების ძეგლები. ბარსელონაშია ესპანელი ხალხის (**Pueblo Español**) მუზეუმი ღია ცის ქვეშ. მასში წარმოდგენილია ესპანური ხალხური საცხოვრებლის ყველა ტიპი, სახლების ინტერიერი, მოწყობილობა, ავეჯი.

1430 წელსაა დაარსებული ბარსელონის უნივერსიტეტი, 1436 წელს – ჯირონის უნივერსიტეტი, რომლებიც ჰუმანიტარული კვლევის ცენტრებად იქცა. აქ ინტენსიურად სწავლობდნენ ანტიკურობასა და ახალი რენესანსული კულტურის ფორმირებას. ლათინური ენიდან კატალანურ ენაზე თარგმნიდნენ მრავალფეროვან ლიტერატურას. 1428 წელს ბარსელონელმა პოეტმა ანდრეუ ფებრერმა თარგმნა დანტეს ნაწარმოებები. კატალანური ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებით დიდი როლი პეტრარკას პოეზიის გაცნობამ ითამაშა. XV საუკუნე კატალონიისათვის ერთგვარი აღორძინების ეპოქა იყო, რამაც არსებითი გავლენა იქონია არა მხოლოდ XV საუკუნის კასტილიის ლიტერატურაზე, არამედ მომდევნო პერიოდების ესპანური ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე.

კატალონიელთა სადღესასწაულო ნაციონალური კერძია **escudella**. ძროხის ხორცს, ქათმის ხორცს, ღორის ხორცს, ძეხვს, ფრიკადელს (გუფთა), კარტოფილს, ლობიოს ან პარკოსნებს ხარშავენ, შემდეგ ამოიღებენ ბულიონიდან და ყრიან მასში ატრიას. ატრია (ლაფშა) ბულიონით ესკუდელაა. დანარჩენს კი აწყობენ ლანგარზე და ესაა

carnadella. ვალენსიაში პოპულარულია „პაელია“ – ბრინჯი ხორცით, თევზით, ბოსტნეულით ანდა ხილით.

2.6. ანდორელები

ანდორელები ანდორის ძირითადი მცხოვრებნი არიან. მათი რაოდენობა 19,6 ათასი კაცია. ლაპარაკობენ კატალანურ ენაზე. გავრცელებულია აგრეთვე ფრანგული და ესპანური ენები. ანდორელები კათოლიციზმის მიმდევრებს წარმოადგენენ. წარმოშობით ანდორელები ძირითადად კატალონიელები არიან, რომლებიც ანდორის მინდვრებში შუა საუკუნეებში დასახლდნენ. ანდორელთა პირველი ხსენება, როგორც თვითმმართველობით ერზე, 805 წლით თარიღდება, მაგრამ სახელმწიფოს დაარსების თარიღად 819 წელი ითვლება, როდესაც მწყემსთა თემებმა დამოუკიდებლობის უფლება მოიპოვეს. ფრანგი და ესპანელი ფეოდალები დიდი ხნის განმავლობაში ანდორის ტერიტორიას ერთმანეთს ეცილებოდნენ. 1278 წელს მათ შორის მიღწეული იქნა კომპრომისული შეთანხმება ორმაგი სუვერენიტეტის შესახებ. ამ დროიდან, ვიდრე 1993 წლამდე, ანდორა საფანგეთისა და სეო-დეურხელის საეპისკოპოსოს (ესპანეთი) ორმაგი პროტექორატის ქვეშ იმყოფებოდა. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ საფრანგეთმა თავის ფეოდალურ უფლებებზე უარი თქვა, მაგრამ 1806 წელს ნაპოლეონმა ადრინდელი უფლებები აღადგინა. პირველი და მეორე მსოფლიო ომების პერიპეტიები ანდორას საერთოდ არ შეეხო.

ანდორელების დაახლოებით ნახევარი ჩაბმულია ვაჭრობასა და უცხოელ ტურისტთა მომსახურების საქმეში, მცირე ნაწილი კი დასაქმებულია პატარა სამრეწველო საწარმოებში. სასოფლო მეურნეობაში წამყვანია მეცხვარეობა. მოშენებული ჰყავთ ცხენი, თხა. აქვთ წაულის ფერმები. მიწათმოქმედებას ძირითადად მდინარე ვალირის ხეობაში მისდევენ. თესავენ ქერს, ჭვავს, სიმინდს. თითქმის ყველგან მზვარეებში ვენახები აქვთ გაშენებული. ანდორელთა 50 სოფლიდან უმეტესობა მთის ხეობებში მოთავსებული პატარა სოფელია. დიდი ხნის განმავლობაში შემორ-ჩენილი იყო ფეოდალიზმის პერიოდის ძველი წეს-ჩვეულებები. ტურისტებს შორის დიდი მოთხოვნილებაა ანდორელთა მიერ პირინეის ფიჭვისა და მუხისაგან გაკეთებულ ნაკეთობებზე. კულტურით ახლოს არიან კატალონიელებთან, მაგრამ ახასიათებთ ძლიერ გამოკვეთილი ეთნიკური თვითშეგნება, რაც საუკუნეობრივ ისტორიულ ტრადიციებს ეფუძნება. ყოველწლიურად ანდორაში 10 მილ. ტურისტი ჩადის. აქ არის ბალნეოლოგიური სამთო-სათხილამურო კურორტები.

2.7. პროვანსალელები (ოქსიტანელები)

პროვანსალელები შუა საუკუნეების ევროპაში ცალკე ხალხი (ეთნოსი) იყო. დღეს ისინი ერთიანი ფრანგი ერის შემადგენლობაში შედიან. მიუხედავად ამისა, სამხრეთ საფრანგეთის მკვიდრი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (პროვანსალელები ანუ ოქსიტანელები) XXI საუკუნის დასაწყისშიც ორენოვანია. სხვადასხვა მონაცემებით პროვანსალურ ენას 8 მილიონიდან 12 მილიონამდე კაცი ფლობს.

პროვანსალელები ცალკე ეთნოსად ადრე შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდნენ. დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორიაზე და, მათ შორის, პროვანსშიც თითქმის ოთხი საუკუნე გრძელდებოდა ორენოვნება. გერმანული ენები გალიის სამხრეთ ლათინურ ენებთან თანაარსებობდნენ. ორენოვნების ხანგრძლივი პერიოდი გალიის ხალხური, ლათინური ენის გამარჯვებით დამთავრდა. IX საუკუნისათვის ჩრდილოეთ გალიაში თუ ხალხური ლათინური ენიდან ფრანგული ენა წარმოიქმნა, სამხრეთში ასეთ ენად პროვანსალური მივიღეთ. ფ. ენგელსის სიტყვით, პროვანსალური ნაცია ევროპული განვითარების სათავეებთან იდგა; ახალი დროის ევროპის ერებს შორის მათ პირველებმა შექმნეს სალიტერატურო ენა. პირველი პროვანსალური ლიტარატურული ძეგლი IX ს-ით თარიღდება. ხალხური ლათინურის პროვანსალურ ენად ჩამოყალიბების პროცესი V-VIII საუკუნეებში აქ გერმანული ტომების დამკვიდრების პერიოდში დასრულდა.

XI-XII სს-ში დღევანდელ სამხრეთ საფრანგეთში ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ხმელთაშუაზღვისპირეთის (მათ შორის, პროვანსის) ქალაქების სწრაფი ზრდა განაპირობეს. ისინი აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებს შორის ვაჭრობაში შუამავლის როლს ასრულებდნენ. თანამედროვე სამხრეთ საფრანგეთის მდიდარი ქალაქები სავაჭრო რესპუბლიკებად ჩამოყალიბდნენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ტულუზის საგრაფო გამოირჩეოდა, მაგრამ ის სამხრეთის დედაქალაქი ვერ გახდა. აღნიშნულ პერიოდში სამხრეთში ვერ შეიქმნა ერთიანი პოლიტიკური გაერთიანება თავისი ეკონომიკური ცენტრით.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ საფრანგეთში არ იყო სამწერლო-სალიტერატურო ენის ფორმირების აუცილებელი წინაპირობა – პოლიტიკური გაერთიანება, სწორედ აქ ჩამოყალიბდა სალიტერატურო პროვანსალური ენა, როგორც აღნიშნავენ – „იმ პერიოდის ყველა რომანულ ენას შორის, ყველაზე ჰარმონიული და სრულყოფილი“.

პროვანსალური ენის პირველი პოეტური ძეგლი დაახლ. 1000 წელს შეიქმნა. როგორც შინაარსით, ისე ფორმით უაღრესად დახვეწილი ტრუბადურების პოეზია მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საერთოდ პოეზიის განვითარებაში. ტრუბადურები მისაბაძნი იყვნენ არა მარტო ჩრდილოეთ საფრანგეთის, არამედ ესპანელი, იტალიელი და გერმანელი პოეტებისათვისაც. პროვანსალურ ენაზეა შექმნილი აგრეთვე მდიდარი პროზა და დიდაქტიკური ლიტერატურა. პროვანსალური ენა ადმინისტრაციული დამწერლობის ენასაც წარმოადგენდა (კანონთა კრებულები, ჩვეულებითი სამართლის ნორმათა ჩანაწერები, ქარტიები, სხვადასხვა ნოტარიული აქტები). ადმინისტრაციულმა ოქსიტანურმა ენამ განსაკუთრებულ აყვავებას XII და XIII საუკუნეებში მიაღწია.

კ. მარქსის სიტყვით, სამხრეთ საფრანგეთი (პროვანსი) ჩრდილოეთ საფრანგეთს, კულტურული განვითარების თვალსაზრისით, თითქმის ერთი საუკუნით უსწრებდა. პროვანსში ხელოსნობის დარგებიდან განვითარებვული იყო მაუდის წარმოება, ტყავის გამოყვანა, ვერცხლისა და მინანქრის ნაკეთობათა წარმოება. სამხრეთის მდიდარი ქალაქები ერთგვარ სავაჭრო რესპუბლიკებად ჩამოყალიბდნენ. პროვანსის ქალაქები ფეოდალური სენიორიისაგან უფრო მალე განთავისუფლდნენ, ვიდრე ჩრდილოეთ საფრანგეთისა.

პროვანსალურ კულტურას დიდი დარტყმა მიაყენა ალბიგონურმა ომებმა, რომლის ალი 1209 წლიდან 1229 წლამდე გიზგიზებდა. პროვანსალელ პოეტთა კალამი კათოლიკური ეკლესიისკენაც იყო მიმართული, რაც ჩრდილოეთ ფრანგთა აგრესიის მიზეზი გახდა. მათ მიზნად ჰქონდათ დაუშვებელი უღმერთობის აღმოფხვრა. 20-წლიანი ომი ჩრდილოეთის გამარჯვებით და ინკვიზიციის დაწყებით დამთავრდა. ამ „ჯვაროსნული ლაშქრობების“ დროს პროვანსის ბევრი ქალაქი – ტრუბადურთა პოეზიის ბევრი ცენტრი განადგურდა. პროვანსალურ ენაზე დაწერილი ბევრი ძეგლი ინკვიზიციამ გაანადგურა. ტრუბადურები ქვეყნიდან გაიქცნენ. ნელ-ნელა დაიწყო პოეზიის დაქვეითება, რაც პროვანსალური (ოქსიტანური) ენის დასუსტებასაც ნიშნავდა. ყოველივე ამას პროვანსალში ფრანგული ენის შეჭრა მოჰყვა, სადაც ის საბოლოოდ, როგორც ადმინისტრაციული ენა, XVI ს-ში განმტკიცდა. მიუხედავად ამისა, ოქსიტანურ ენაზე კვლავ იქმნებოდა როგორც მხატვრული, ისე რელიგიური, დიდაქტიკური და სამეცნიერო ლიტერატურა (ენციკლოპედიაც კი). ისევ ფ. ენგელსის სიტყვები უნდა მოვიხმოთ. ის წერდა, რომ მთელი საუკუნეების განმავლობაში სამხრეთ საფრანგეთის მოსახლეობა – პროვანსალელები მჩაგვრელების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ისტორიული განვითარების ულმობელმა მსვლელობამ, სამსაუკუნოვანი ბრძოლის შემდეგ, მათი ულა-

მაზესი ენა ადგილობრივი დიალექტების დონეზე ჩამოაქვეითა, თვით პროვანსალელები კი ფრანგებად იქცნენ.

ეთნიკურ უმცირესობათა (მათ შორის, პროვანლელთა) წინააღმდეგ იყო მიმართული 1539 წ. ფრანცისკ I-ის ბრძანება, რომლის მიხედვით ყველა ოფიციალური დოკუმენტი, საქმიანი მიმოწერა, სამართალწარმოება მხოლოდ ფრანგულ ენაზე უნდა ყოფილიყო. ასე იქნა გამოძევებული ადმინისტრაციული სფეროდან პროვანსალური ენა. ზემოაღნიშნული ორდონანსის გამოცემიდან ასი წლის შემდეგ სამხრეთ საფრანგეთში ფრანგული ენა გაბატონდა, მაგრამ სალაპარაკო ენის ფუნქცია პროვანსალურმა ენამ დიდხანს შეინარჩუნა. XVII ს-ში ქალაქებში ყველგან პროვანსალური მეტყველება ისმოდა. ასეთი მდგომარეობა საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე იქნა შენარჩუნებული. პროვანსალური ენის სოციალური სტატუსი საბოლოოდ XVIII ს-ში შესუსტდა, მით უმეტეს, რომ ამ დროს ფრანგული ენა მთელი ევროპის კულტურულ ენად იქცა. 1793 წლის დეკრეტით საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე სკოლები სახელმწიფო დაწესებულებებად გამოცხადდა, რომელშიც აუცილებლად სწავლა ფრანგულ ენაზე უნდა ყოფილიყო. მიუხედავად შევიწროებისა, XIX ს-ში პროვანსალურ ენაზე გამოდიოდა ჟურნალები და გაზეთები. სამხრეთის მკვიდრნი ეწეოდნენ ხალხური კულტურის პროპაგანდას, რისი შედეგიც იყო არლში ეთნოგრაფიული მუზეუმის გახსნა. ის დღესაც პროვანსის მთავარი ეთნოგრაფიული სამეცნიერო ცენტრია. ოქსიტანურ ენაზე შექმნილი პოემისათვის **ნობელის პრემია მიიღო ფ. მისტრალმა. 1968 წ. გამოსვლების შემდეგ სამხრეთ საფრანგეთის ქალაქებში ხშირი იყო ლოზუნგები: „ოქსიტანელო, შენ გაქვს უფლება ილაპარაკო შენს ენაზე. ილაპარაკე!“** საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე პროვანსალური ლიტერატურული ენა როგორც სტრუქტურით, ისე ფუნქციით მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველი პროვანსალური ენისაგან, იმ პროვანსალური ენისაგან, რომელზეც სამხრეთ საფრანგეთის ტრუბადურები წერდნენ. მკვლევრები იმასაც აღნიშნავენ, რომ პროვანსალური ენის დიალექტებსა და კილოკავებს შუა საუკუნეების ენის თავისებურებები აქვს შემორჩენილი. **პროვანსალური ენის გავრცელების არეალს თითქმის მთელი ქვეყნის ტერიტორის მესამედი უკავია და მოიცავს განსკონის, გიენას, ლიმუზინის, ოვერნის, ლანგედოკის, პროვანსის, დოფინეს და ნაწილობრივ სავოიას პროვინციებს.**

2.8. ფრანგები

საფრანგეთში ცხოვრობს 58 მილიონი ადამიანი, რომლის 9/10 ფრანგია. ფრანგების საერთო რაოდენობა 49,4 მილიონია. ეთნიკური უმ-

ცირესობანი საფრანგეთში შედარებით მცირე რაოდენობით არიან. ბრეტანის ნახევარკუნძულზე ცხოვრობენ ბრეტონელები (3 მილ.), აღმოსავლეთ პირენეის დეპარტამენტში – კატალონიელები (200 ათასი კაცი). მათგან ჩრდილო-დასავლეთით, პირენეის მთებში – ბასკები (150 ათასი), კორსიკის კუნძულზე – კორსიკელები (260 ათასი), ჩრდილოეთში, ბელგიის საზღვარზე, დიუნკერისა და აზბრუკის ოკრუგებში – ფლამანდიელები (200 ათასი), ელზასში – ელზასელები (1 მილ. 200 ათასი). ამას გარდა, საფრანგეთში ცხოვრობს დაახლოებით ორ მილიონზე მეტი უცხოელი, რომელთა შორის ბევრნი არიან იტალიელები, ესპანელები, პოლონელები, ბელგიელები, გერმანელები, შვეიცარიელები. XX ს-ის II ნახევარში საფრანგეთში ალჟირელთა დიდი ჯგუფები გადასახლდნენ. საფრანგეთს გარეთ ფრანგთა ჯგუფები ცხოვრობენ ჩრდილო აფრიკაში (ალჟირი, ტუნისი, მაროკო), აგრეთვე მადაგასკარში, ოკეანიაში, ვესტ-ინდოეთში, ფრანგულ გვიანაში... XVII და XVIII სს-ში გადასახლებულ ფრანგ კოლონისტთა შთამომავალნი ცხოვრობენ კანადაში (ფრანკო-კანადელები, დაახლ. 5 მილ. 200 ათასი). ფრანგთა მნიშვნელოვანი ჯგუფები გადასახლებულები არიან აშშ-ში (1,5 მილიონი). ფრანგული ენა ფართოდაა გავრცელებული ჰაიტის, პატარა ანტილის კუნძულთა მოსახლეობაში და მთელ რიგ ყოფილ ფრანგულ კოლონიებში.

ადმინისტრაციულად საფრანგეთი 90 დეპარტამენტად იყოფა.

ფრანგების თვითსახელწოდებაა **ფრანსე.** ფრანგები ანთროპოლოგიურად ერთგვაროვანნი არ არიან. წარმოდგენილია საშუალო ევროპული რასის ალპური და ცენტრალურევროპული ტიპი. სამხრეთში ჭარბობენ დიდი ევროპეიდული რასის ინდო-ხმელთაშუაზღვისპირული რასის წარმომადგენლები. ფრანგული ენა მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანულ ჯგუფს.

რელიგიით ფრანგების უმეტესობა კათოლიკეა. დაახლოებით 1 მილიონი ფრანგი პროტესტანტია (კალვინისტები), რომლებიც ძირითადად ცხოვრობენ პარიზში, პირინეაში, რონის აუზში, მარსელის რაიონსა და ნორმანდიაში. მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი (30 ათასი კაცი) სხვადასხვა სექტას ეკუთვნის. 1905 წელს საფრანგეთში ეკლესია სახელმწიფოს გამოეყო, რომელსაც სახელმწიფოსაგან მუდმივი მხარდაჭერა აქვს. ისევე როგორც სხვა კათოლიკურ ქვეყნებში, საფრანგეთშიც ყველა ქალაქს თავის მფარველი წმინდანი ჰყავს. **პარიზის მფარველ წმინდანად წმინდა ჟენევიევი ითვლება,** რომელსაც ფრანგები ხშირად ჟანა დ'არკსაც კი ადარებენ. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში კათოლიკური ქრისტიანობა მტკიცედ იყო ფეხგადგმული, აქ მაინც შემორჩენილი იყო ზოგიერთი წარმართული რწმენა. ანალების სკოლის წარმომადგენელს ჟ.-კ.

შმიდტს ასეთი მაგალითი აქვს მოყვანილი: XIII საუკუნეში ბერი ეტიენ დე ბურბონი ლიონის მახლობლად ერთ-ერთ სოფელში ასეთი ცრურწმენის მოწმე გახდა: გლეხები თაყვანს სცემდნენ *წმინდა გინეფორს*, რომელიც თითქოსდა ახალშობილებს მფარველობდა (მათ გამოჯანმრთელებას უწყობდა ხელს). სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ გინეფორი იყო მწევარი, რომელზედაც არსებობდა ლეგენდა ბავშვების გადარჩენის შესახებ. ეტიენ დე ბურბონს გლეხებისათვის მკაცრად აუკრძალავს ეს ბიწიერი კულტი. თითქმის ნახევარი ათასწლეულის შემდეგ, XIX საუკუნის 70-იან წლებში ლიონელმა სიძველეების მოყვარულმა დაადგინა, რომ იმავე სოფლის მცხოვრებნი უწინდებურად ეთაყვანებოდნენ „წმინდა გინეფორს.“ ასეთი განსხვავება იყო ოფიციალურ ქრისტიანობასა და „ხალხურ ქრისტიანობას“ შორის.

დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორია ოდითგანვე დასახლებული იყო. აქ აღმოჩენილია პირველყოფილი ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები (სტატუეტები, ქვის ბარელიეფები, გამოქვაბულის მხატვრობა). ნაპოვნია როგორც პალეოლითის, ისე ნეოლითის ხანის არაერთი ძეგლი.

ანტიკურ ეპოქაში საფრანგეთის ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში **ლიგურები** ცხოვრობდნენ. ძვ.წ. IV ს-ში აღმოსავლეთით ლიგურების ნაწილი კელტებმა შეავიწროვეს, რომლებიც აქ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის ბოლოს დასახლდნენ. ლიგურების ნაწილმა კელტიზაცია განიცადა. აქვე, ძვ.წ. VII-VI სს-ში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე დაარსდა ფინიკიური და ბერძნული კოლონიები. მთავარი ბერძნული კოლონია იყო მასალია (დღევანდელი მარსელი). გვიან დაარსდა სხვა ბერძნული კოლონიები, რომლებმაც დასაბამი მისცა ქალაქებს. დღევანდლამდე მათ შეცვლილი სახელწოდებებით მოაღწიეს: nicea (ნიცა), Antipolis (ანტიბი), Aralate (არლი). ბერძნებმა თან მოიტანეს ვაზის, ზეთისხილის, ლეღვის, ბროწეულის კულტურები, კიპარისი.

საფრანგეთის სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთში მკვიდრობდნენ სხვადასხვა იბერიული ტომები. პირენეისა და გარონას შორის ცხოვრობდნენ აკვიტანები, რომელთა სახელის მიხედვით ქვეყნის მთელ სამხრეთ-დასავლეთ ოლქს ეწოდებოდა აკვიტანია. ახ.წ. VI საუკუნეში ესპანეთიდან აკვიტანიაში მოვიდნენ ვასკონელები. შეერივნენ რა აკვიტანელებს, ისინი იწოდებოდნენ გასკონელებად. მათი ბინადრობის ოლქს კი გასკონია ეწოდა. ეთნონიმი "ვასკონი" თანამედროვე ბასკების სახელწოდებაში დაილექა.

ყველაზე მრავალრიცხოვანი ტომთა ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებმაც ფრანგი ხალხის ფორმირებას ჩაუყარეს საფუძველი, იყ-

ვნენ **კელტები ანუ გალები;** მათ ქვეყანასაც მისცეს სახელი (გალია).

ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში გალური ტომები გაფანტულად ცხოვრობდნენ ცენტრალური ევროპის დიდ სივრცესა და მცირე აზიის პატარა ნაწილშიც კი. რომაელთა დაპყრობების დროს გალია დაყოფილი იყო სამ ნაწილად: სამხრეთი ეკავათ **აკვიტანელებს,** შუა ნაწილი – **საკუთრივ გალებს,** სენიდან ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ **ბელგები** (კელტური ტომი). გალიაში პირველობისათვის იბრძოდნენ **ედუიები** და **სეკვანები.** დასავლეთში მკვიდრობდა **სენტინთა** ტომი. გალიის ცენტრში იყო **კარნუტების, პარიზების, პიკტინების, ტურონების** მიწები. გალური ტომების სახელწოდებანი შემოინახა საფრანგეთის ბევრი ადგილისა და ქალაქის სახელწოდებაში. პარიზებმა მისცეს სახელი პარიზს (ძველად ლუტეცია); სენტონებმა, პიკტონებმა, ტურინებმა მისცეს სახელწოდებანი სენტონჟის, პუატუს, ტურენის პროვინციებს.

გალების მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება იყო. ბერძნებისაგან მათ შეითვისეს ვაზის კულტურა. განვითარებული იყო მესაქონლეობაც. გალებმა შექმნეს რთული საფორტიფიკაციო ნაგებობანი, ისინი იყვნენ ხომალდების დახელოვნებული და გაწაფული მშენებლები. გალებში გავრცელებული იყო მინანქრის ნაწარმი, რომელიც მათ სამხრეთიდან ისესხეს. გალებმა შექმნეს თავისებური მუქწითელი მინანქარი, რომლითაც ბრინჯაოსა და რკინის საგნებს ფარავდნენ.

გალების დასახლებას სოფლის სახე ჰქონდა. არსებობდა აგრეთვე ძლიერ გამაგრებული დასახლებანი, რომლებიც ომის დროს თავშესაფრებს წარმოადგენდა. გამაგრებული პუნქტები თანდათან ქალაქებად იქცა. ასეთ ქალაქებად შეიძლება დავასახელოთ ედუეს ტომის მთავარი ქალაქი ბიბრაკტე, რომელიც განლაგებული იყო ბოვრეს მთების კალთებზე შუა საფრანგეთში და მანდუბიების დედაქალაქი ალეზია (თანამედროვე ალიზი). ამ ქალაქებში ბევრი სახელოსნო იყო.

კელტური ტომები საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა სტადიაზე იდგნენ: ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ გვაროვნულ-თემური წყობით ცხოვრობდა, სხვებთან კი გვაროვნული წესები ირღვეოდა; გამოიყოფოდა გვაროვნული დიდკაცობა, რომლებიც მიწის დიდ ნაკვეთებსა და დიდ ნახირებს (ჯოგებს) ფლობდნენ. თავისუფალი გალური მოსახლეობა არისტოკრატიას ექვემდებარებოდა. ტომები გაერთინებულები იყვნენ სატომო კავშირებში, რომლებიც ხშირად ეომებოდნენ ერთმანეთს.

მაღალი იყო **გალელი ქურუმების – დრუიდების** ავტორიტეტი. საკულტო მიზნებით ქურუმები ბერძნული ანბანის საფუძველზე შექმნილ დამწერლობას იყენებდნენ.

ძვ.წ. 58-52 წლებში გალია დაიპყრეს რომაელებმა, რომლებმაც აქ რომაელთა ლეგიონები შემოიყვანეს. დაპყრობის შემდეგ დაიწყო გაძლიერებული რომანიზაცია. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ეს გამოიხატა განვითარებული მონათმფლობელური წყობილების დამყარებით. ახ.წ. II საუკუნეში წარმოიქმნა გალელ და რომაელ დიდებულთა მსხვილი ლატიფუნდიები (ლატიფუნდია – მსხვილი კერძო ადგილ-მამული).

გალიის სხვადასხვა ნაწილში რომანიზაცია ერთნაირად არ მიმდინარეობდა. ქვეყნის სამხრეთი ოლქები, რომლებიც მჭიდროდ იყო დასახლებული რომაელებით და ისეთი მდიდარი ქალაქები, როგორებიც იყო ნარბონა, პრელატე, ნემაუზდე, ვიენა, გრაციანოპოლისი, ადგილები გარონის მიდამოებში და სხვ. თითქოს იტალიის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდნენ. დღემდე ამ ქალაქებში შემორჩენილია რომაული ეპოქის მრავალი ძეგლი: ამფითეატრები არლსა და ორანჟში, რომლებსაც დღესაც იყენებენ ღია ცის ქვეშ სპექტაკლების გასამართავად, საასპარეზო ადგილები, ტაძრები, ტრიუმფალური თაღები, აკვედუკები, ხიდები, აკლდამები. ნაკლებად გამოკვეთილი და ნაკლებად თანაბარზომიერი იყო რომანიზაცია ლუგდუნის პროვინციაში. ამ პროვინციის მხოლოდ სამხრეთი ოლქები იყო აშკარად რომანიზებული, განსაკუთრებით თვით ლუგდუნუმი (ახლანდელი ლიონი). პროვინციის დანარჩენ ნაწილებში გალური მოსახლეობა რომაელებს იშვიათად ერეოდა. აქ ბევრმა ქალაქმა შემოინახა ძველი კელტური სახელწოდება. აკვიტანიაშიც ეს პროცესი არათანაბრად მიმდინარეობდა და ბევრ ადგილას ძველი კელტური ცენტრები თითქმის ხელუხლებლად იყო შემონახული. ბელგიკაში (თანამედროვე საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი) რომანიზაცია ზედაპირული იყო. გალიის ყველაზე რომანიზებულ ნაწილებში წამყვანი იყო მარცვლეულის მეურნეობა, მევენახეობა და მეღვინეობა, კარაქის წარმოება. ქალაქებში აღმავლობას განიცდიდა იმ დროისათვის მსოფლიოში ცნობილი ხელოსნობის ყველა დარგი. ქალაქები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო შესანიშნავი გზებით. V საუკუნის გალიაში 100-ზე მეტ ქალაქს ითვლიდნენ. ბევრი ქალაქელი განათლებული იყო, საზოგადოების მაღალ წრეებში სწავლობდნენ ბერძნულ და ლათინურ ლიტერატურას. მასილია, ბურდიგალა (ბორდო) და ავგუსტიდუნუმი (ოტენი) განთქმული იყო მეცნიერებითა და რიტორებით. უკვე IV ს-ში გალიის ფარგლებს გარეთ ცნობილი იყო ბორდოს უმაღლესი სკოლა.

გალიაში რომაელთა ხანგრძლივმა – ხუთსაუკუნოვანმა ბატონობამ, რომაელთა და გალელთა კულტურულმა ურთიერთობამ გალო-რომანელი ხალხის ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა. რომაულმა სკოლებმა, კულტურამ და ადმინისტრაციამ განაპირობა ის, რომ მოსახლეობამ, პირველ რიგში ქალაქისამ, დაიწყო ლათინური ენის შეთვისება. აქ, დაპყრობილ პროვინციებში, სახალხო-სალაპარაკო ენა, ე.წ. ვულგარული ლათინური გავრცელდა. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მას სხვადასხვანაირად ითვისებდნენ. აბორიგენთა სხვადასხვა ენამ, რომანიზაციის სხვადასხვა ხარისხმა ჩრდილოეთსა და სამხრეთში განაპირობა გალიაში ვულგარულ-ლათინური მეტყველების დიალექტური ნიშნების გაჩენა. ლათინური ენის ლექსიკური შემადგენლობა გამდიდრდა გალიური ენის ხარჯზე. გალიური მეტყველების ელემენტები პირველ რიგში შემოინახა მდინარეების, დასახლებული პუნქტებისა და საზღვრების სახელწოდებებმა. ამას გარდა, ფრანგულ ლექსიკაში არის 300-მდე კელტური სიტყვა, რომლებიც ძირითადად სოფლის მეურნეობასა და გლეხთა ყოფას ეხება. ასე წარმოიქმნა ახალი ეთნიკური ერთობა, რომელიც გამარჯვებულ რომაელთა რამდენადმე ტრანსფორმირებულ ენაზე ლაპარაკობდა და ორი ხალხის კულტურულ მინარევს წარმოადგენდა. გალიამ მიიღო რომაული კულტურა და ამავე დროს შეინარჩუნა და გამარჯვებულებს გადასცა თავისი კულტურის ზოგიერთი ელემენტი: შარვალი, ლაბადა კაპიუშონით, განსაკუთრებით ფეხსაცმელი – ხის „ბაშმაკები“.

გალიის რომანიზაციის პროცესი ახ.წ. V ს-ში – რომის იმპერიის დაცემის დროს დამთავრდა.

საფრანგეთის ეთნიკურ ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო გალიაში გერმანული ტომების შეჭრა. ის III საუკუნეში დაიწყო. V საუკუნის დასაწყისში გალიის სამხრეთი ოლქები ვესტგუთებმა დაიპყრეს, რომლებმაც დაიკავეს თითქმის მთელი აკვიტანია – ლუარიდან გარონამდე და აქ დააფუძნეს ტულუზის სამეფო. გვიან ვესტგუთებმა დაიპყრეს გასკონია, პროვანსი და მთელი ესპანეთი, V საუკუნის ბოლოს კი ცენტრალური ოლქები (ახლანდელი ბერი, ლიმუზენი და ოვერნი). ქვეყნის აღმოსავლეთ ოლქებში, სენასა და რონას ველებში, ბურგუნდიელებმა დააარსეს ბურგუნდიის სამეფო.

პიმოროკის ნახევარკუნძულზე (თანამედროვე ბრეტანი) თანდათან დასახლდნენ ბრიტები, რომლებიც ბრიტანეთიდან ანგლოსაქსთა თავდასხმებს გამოექცნენ.

ტერიტორია ლუარიდან სომამდე და მასამდე ჩრდილოეთით, V საუკუნის დასასრულს დაპყრობილ იქნა ძლიერ და მეომარ ტომთა კავშირის – ფრანკების მიერ, რომელთაც ხლოდვიგი მეთაურობდა. **ფრანკებმა პარიზი 497 წელს დაიკავეს. ეს იყო საფრანგეთის ის-**

ტორიის ახალი ეტაპის დასაწყისი; მისი ხალხისა და ენის – ფრანკული სახელმწიფოს პერიოდი, რომელიც დაახლოებით 400 წელს მოიცავს (VI-IX საუკუნეები). ეს პერიოდი იყო არა მხოლოდ გერმანული ტომების რომაელებთან შერევის პერიოდი, არამედ ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვისა და განვითარების პერიოდიც. VI საუკუნის შუა ხანებში ფრანკებმა თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარეს ვესტგუთები და ბურგუნდიელები და მთელ გალიაზე ბატონობა დაიწყეს. ჩამოყალიბდა მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფო, რომელშიც შედიოდა გალია და ფრანკთა პირინეის მიწები. ფრანკთა არისტოკრატიამ ხლოდვიგის მეთაურობით რომიდან ქრისტიანობა მიიღო, რომელიც V საუკუნის ბოლოდან სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად იქცა.

ფრანკთა სახელმწიფოს საზღვრები ხლოდვიგის მემკვიდრეებმა გაიფართოვეს. კარლოს დიდის დროს (დაახლ. 800 წელს) ფრანკთა სახელმწიფო უდიდეს იმპერიად იქცა, რომელმაც მოიცვა გერმანიის დასავლეთი ნაწილი, მთელი საფრანგეთი და იტალიის ჩრდილოეთი. ფრანკთა სახელმწიფოს შემადგენლობაში გალიამ მოახერხა კულტურული თავისებურების შეინარჩუნება.

გერმანელმა ხალხებმა გალიაში თავისი წესები მოიტანეს: მონათმფლობელური სახელმწიფო დაირღვა და ქვეყნის საზოგადოებრივი წყობა არსებითად შეიცვალა. V ს-ში გალიაში ფეოდალური საკუთრების ჩამოყალიბება დაიწყო.

VI ს-ის დასასრულსა და VII ს-ის დასაწყისში მეტად რთულ ომში ფრანკული სახელმწიფოს ოთხი ნაწილი ჩამოყალიბდა: **ნეისტრია** (გალიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი პარიზით, უპირატესად გალო-რომაული მოსახლეობით); **ბურგუნდია** (ყოფილი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელშიც წარმოიქმნა რომანული ენის განსაკუთრებული დიალექტი); **აკვიტანია** (სამხრეთ-დასავლეთი მიწები) და აგრეთვე **ავსტრაზია** – ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც დასახლებული იყო აღმოსავლეთ ფრანკებითა და მისი ხელისუფლების ქვეშ მოქცეული ტომებით. ეს ნაწილი გერმანიის შემადგენლობაში შევიდა.

ახალი ფეოდალური ფორმაციის ჩამოყალიბებისას მიმდინარეობდა ენის შეცვლის პროცესიც; ეს იყო ჩრდილოფრანგული და პროვანსალური ხალხების ფორმირების პროცესი. **IX ს-ის დასაწყისში უფრო მაღალი გალო-რომანული კულტურის ზემოქმედებით ფრანკები ასიმილირებულ იქნენ, დაკარგეს თავიანთი ენა და აითვისეს გალო-რომანული მეტყველება.** თუმცა გალო-რომანულმა ენამ ფრანკთა ენის გარკვეული გავლენა განიცადა. მის ლექსიკაში არცთუ ისე მცირე რაოდენობის გერმანული სიტყვები შევიდა, რომლებიც, პირ-

ველ რიგში, სამხედრო, ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და ყოფით სფეროებს განეკუთვნება. გალო-რომანულმა ლათინურმა IX ს-ის I ნახევრისათვის მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. ის იქცა უკვე არა ლათინურ, არამედ ფრანკთა სამეფოს ოფიციალურ „რომანულ“ ენად.

კაროლინგების აღორძინების პერიოდში ლათინურ სალიტერატურო ენასა და მოსახლეობის სალაპარაკო რომანულ ენას შორის განსხვავება თანდათან შესამჩნევი გახდა. კარლოს დიდის დროს საფუძველი ჩაეყარა შუა საუკუნეების საეკლესიო-ფეოდალურ კულტურას. რადგანაც ლათინური ენა გაუგებარი იყო მოსახლეობისათვის, 813 წლის ტურის კრების გადაწყვეტილებით ღვთისმსახურება დაიწყეს ხალხურ ენაზე. ჩვენთვის ცნობილი პირველი ფრანგული ტექსტია ცნობილი „Serments“ („ფიცი“), რომლებიც 842 წელს სტრასბურგში მეფეებმა – კარლოს დიდმა და ლუდვიგ გერმანელმა გაცვალეს, რათა მათ ჯარებს ის გაეგოთ – ლუდვიგმა ფიცი მიიღო რომანულ ენაზე, კარლოსმა – გერმანულზე. ამ დოკუმენტის გარდა, ფრანგული დამწერლობის ყველაზე ძველი ძეგლია დაახლოებით 900 წელს კანტელენა ევლალიის მიერ შედგენილი ქადაგებანი.

ფრანგთა ეთნიკური ისტორიის უმნიშვნელო ეტაპი იყო 843 წ. დაშლილი კაროლინგების იმპერიის დასავლეთფრანკულ სამეფოდ ჩამოყალიბება, რომელსაც საფრანგეთს უწოდებდნენ. საფრანგეთის საზღვრები მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდა ენობრივ საზღვრებს, მაგრამ მას მაინც არ ემთხვეოდა. ასე მაგალითად, მის საზღვრებს გარეთ რჩებოდა ბურგუნდიის მიწა და ლოტარინგიის დასავლეთი ნაწილი, სადაც რომანული ენა იყო გაბატონებული. ამ ოლქების საფრანგეთთან შეერთება რამდენიმე ასწლეულს გაგრძელდა.

IX ს. შუა ხანებში საფრანგეთის საზღვრებში ნორმანები შეიჭრნენ, რომლებმაც ქვეყნის ჩრდილოეთი დაიპყრეს. 911 წელს სენის ყურეში ნორმანთა ბელადმა როლონმა ნორმანდიის საჰერცოგო ჩამოაყალიბა. ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი დამპყრობი ნორმანები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მალე იქნენ ასიმილირებულნი, მაგრამ მათ ენასა და კულტურაზე ზოგიერთი გავლენა მოახდინეს.

X ს-ში საფრანგეთი დაიყო საგრაფოებად და საჰერცოგოებად. XI საუკუნეში საფრანგეთის მეფეებმა დაიწყეს ფრანგული მიწების გაერთიანება და საგრაფოები და საჰერცოგოები პროვინციებად იქცა.

X-XII სს-ში საფრანგეთის სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის ეთნიკური და ენობივი სხვაობა მნიშვნელოვნად შესამჩნევი იყო. უკვე XII ს-ში პირველად დასავლეთ ევროპაში, სამხრეთ საფრანგეთში, შეიქმნა რომანული სალიტერატურო პროვანსალური ენა და აყვავდა პოეტ-ტრუბადურთა შემოქმედება.

ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და განცალკევებულობის პირობებში პროვინციებში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი დიალექტები. ჩრდილოფრანგული ენა მოიცავდა ნორმანდიულ, პიკარდიულ, ვალონიურ, ლოტარინგიულ, პუატვინურ და ცენტრალურფრანგულ (ილ-დე-ფრანსი) დიალექტებს. სამხრეთფრანგულ (ოქსიტანურ ანუ პროვანსალურ) ენაში შედიოდა ლიონური დიალექტი, დოფინესის, სავოისა და შვეიცარიის კანტონების დიალექტები, რომლებიც ფრანშ-კონტეს დიალექტებთან ერთად სამხრეთ-აღმოსავლურ დიალექტთა ჯგუფში ერთიანდებოდა.

ქვეყნის ჩრდილოეთში XII საუკუნეში განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავა ილ-დე-ფრანსის დიალექტს. პარიზის ზრდასთან ერთად ეს დიალექტი თანდათან ყველა ფრანგისათვის საერთო ენად იქცა.

XIII საუკუნისათვის თავისი მნიშვნელობა შენარჩუნებული ჰქონდა მხოლოდ პიკარდიისა და ნორმანდიის დიალექტებს. მართალია ფრანკები საფრანგეთის სახელმწიფოს შექმნისას მისი ბატონ-პატრონნი იყვნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გერმანული ენა ხალხურ ლათინურ ენასთან ჭიდილში დამარცხდა. ამ თვალსაზრისით გამარჯვებული ეთნოსი შედარებით სუსტი აღმოჩნდა, რადგან ლათინური ენის პრესტიჟს ეკლესია იცავდა. გერმანელმა დამპყრობლებმა კი ქრისტიანობა მიიღეს; საეკლესიო სკოლებში კვლავ ლათინურ ენაზე ასწავლიდნენ, რომელსაც მდიდარი დამწერლობითი ტრადიცია ჰქონდა. გერმანულ ენებს კი ასეთი ტრადიციები არ ჰქონია. ფრანკი მეფეების სამსახურში შესული გალიურ-რომანული ზედაფენა არც შერეულ ქორწინებებს ერიდებოდა. ყველაფერი ეს აიძულებდა გერმანელ დამპყრობლებს თანდათან აეთვისებინათ ლათინური ენა. მაგრამ გერმანულმა ენამ ფრანგულ ენაზე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. დღევანდელ ფრანგულ ენაში ბევრი საკუთარი სახელი გერმანული წარმოშობისაა. ასევე გერმანული (ფრანკული) წარმოშობისაა ბევრი ფრანგული გვარიც. მაგალითად, მწერალ ფლობერის გვარი Hlod-berd-იდან („დიდება+ბრწყინვალება“) მომდინარეობს. გერმანული წარმოშობისაა ანატოლ ფრანსის სრული გვარი – Thibault, რომლის საფუძველს გერმანული Theud –bald (მამაცი, გულადი ხალხი) წარმოადგენს.

XVI საუკუნე ფრანგული ენის აყვავების პერიოდი იყო. ფრანგულ ენაზე შეიქმნა **ამბრუაზა პარეს** სამეცნიერო ტრაქტატები, **მონტენის** ფილოსოფიური ნარკვევები**, რაბლეს** პროზა და **რონსაროს** პოეზია. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზი ესმის იმ გარემოებასაც, რომ XVI საუკუნეში ფრანგულ ენას იტალიური ენის სახით „საგარეო მტერი“ ჰყავდა. საერთოდ, მას ბრძოლა უხდებოდა სამ ფრონტზე – ლათინური ენის, ადგილობრივი დიალექტების და იტალიური ენის წინა-

აღმდეგ. ამ დროს იტალიური ენიდან ფრანგულმა ენამ დაახლოებით 800 სიტყვა ისესხა. მშობლიური ენის გაძლიერებასა და გამდიდრებაში დიდი როლი ითამაშეს პოეტებმა. 1549 წელს გამოვიდა პოეტ **დიუ ბელეს** ცნობილი ტრაქტატი „ფრანგული ენის დიდება და დაცვა“, რითაც აჩვენა, რომ ფრანგული ენა არც ისეთი ღარიბი ენაა, როგორც ფიქრობენ და რომ მას სჭირდება განვითარება და გამდიდრება; თუმცა ის არ ივიწყებდა ნორმის საკითხებსაც; აკრიტიკებდა იმ პოეტებს, რომლებიც ხეირიანი ფრანგულით ვერ წერდნენ. ამ დროიდან განათლების, მეცნიერების, ეკლესიის სფეროდან დაიწყო ლათინური ენის გამოდევნა და მისი ფრანგული ენით შეცვლა.

XVII საუკუნის დასაწყისისათვის, საფრანგეთში აბსოლუტიზმის განმტკიცების ეპოქაში, ფრანგული ენა საყოველთაოდ გავრცელდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ენები და დიალექტები ქმედითუნარიანობასა და სიცოცხლისუნარიანობას კვლავ ინარჩუნებდნენ. საფრანგეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მაინც არ იცოდა ლიტერატურული ფრანგული ენა, რადგან ლათინურ ენას თავისი პოზიციები კვლავ შენარჩუნებული ჰქონდა მეცნიერებაში, სკოლებში... XVII-XVIII საუკუნეები განათლებასა და მეცნიერებაში ლიტერატურული ფრანგული ენის ინტენსიური შეღწევის პერიოდია. 1624 წლიდან მეცნიერებს ფრანგულ ენაზე დისერტაციების დაცვის ნებაც დართეს.

თანამედროვე საფრანგეთში ეთნიკურ უმცირესობათა ენების აღსანიშნავად იყენებენ ტერმინებს: **„რეგიონალური ენები“, „უმცირესობათა ენები“, „დაქვემდებარებული ენები“** და სხვა. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ, რომ საფრანგეთს თავისი მოხაზულობით (კუნძულ კორსიკის ჩათვლით) ექვსკუთხედის ფორმა აქვს და რომ ამ ექვსკუთხედის ყველა კუთხეში ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ. გარდა ამისა, ქვეყნის სამხრეთის მესამედი ოქსიტანური ენის გავრცელების ზონას მოიცავს. ამ ენებზე მოლაპარაკეთა საერთო რაოდენობა ათ მილიონს, ანუ მთელი ქვეყნის მოსახლეობის 20% შეადგენს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორენოვანი მოსახლეობა ხშირად უკეთესად ფლობს ლიტერატურულ ფრანგულს, ვიდრე მშობლიურ ენას. ამდენად, ორენოვნებას არათანაბარუფლებიანი დიგლოსიის ფორმა აქვს, რადგან საფრანგეთში კომუნიკაციის ყველა სფეროში მხოლოდ ფრანგული ენა გამოიყენება. დანარჩენი ენები ყოფით და მხატვრულ სფეროებში ფუნქციონირებს. თანამედროვე საფრანგეთში არსებული ენობრივი სიტუაცია სახელმწიფოს მიზანმიმართული ენობრივი პოლიტიკის შედეგია. ყოველი უცხოენოვანი პროვინციის შემოერთების შემდეგ მთავრობა გამოსცემდა ედიქტს ფრანგული ენის აუცილებელი გამოყენების შესახებ (1684 წელს –

ფლანდრიისათვის, 1685 წელს – ელზასისათვის, 1748 წელს – გერმანული ლოტარინგიისათვის, 1768 წელს – კორსიკისათვის). ფრანგული ენის ისტორიკოსს ფ. ბრიუნის მოყვანილი აქვს საინტერესო მაგალითი იმის შესახებ, რომ **ლუი XIV-ეს მარსელში თარჯიმანი დასჭირდა. მწერალ რასინს კი სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ *იუზესის* სასტუმროს მოსამსახურეებისათვის ვერაფერი გაუგებინებია.**

განსაკუთრებული ეროვნული პოლიტიკა იყო *დამახასიათებელი* საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქისათვის (1789-1794 წლები). 1790 წლის სოციოლინგვისტური ანკეტით გაირკვა, რომ ქვეყნის 26 მილიონი მცხოვრებიდან ფრანგული ენა მშობლიურ ენას მხოლოდ 11 მილიონისათვის წარმოადგენდა. ამ პერიოდში საფრანგეთის ექვსმა მილიონმა მოქალაქემ ფრანგული ენა საერთოდ არ იცოდა და მხოლოდ სამ მილიონს შეეძლო მასზე, როგორც მეორე ენაზე, ლაპარაკი; წერა კი უფრო ნაკლებს შეეძლო. ისინი რეგიონალური ენებითა და დიალექტებით სარგებლობენ, რომელთა რაოდენობა 30-ს აღწევდა. აქედან გამომდინარე, რევოლუციის მოღვაწეებმა შეიმუშავეს და ცხოვრებაში გაატარეს ფართო ენობრივი პოლიტიკა. რევოლუციონერები დიალექტებს ძველი რეჟიმის გადმონაშთად განიხილავდნენ, ენის ერთობას კი – სამოქალაქო ერთობისა და თანასწორობის საფუძვლად. 1794 წლის ივლისში განსაკუთრებული დეკრეტით დადგინდა, რომ ქვეყანაში ყველა ოფიციალური დოკუმენტი მხოლოდ სალიტერატურო ფრანგულ ენაზე უნდა შედგენილიყო, რასაც ზოგიერთმა ავტორმა „**ლინგვისტური ტერორიც**“ კი უწოდა. კ. მარქსი და ფ. ენგელსი ამის შესახებ წერდნენ: **კონვენტის რკინის მუშტმა პირველად სამხრეთ საფრანგეთის მცხოვრებნი ფრანგებად აქცია. ეროვნების დაკარგვის საკომპენსაციოდ მათ დემოკრატია მისცეს. საფრანგეთის რევოლუციამ ქვეყნის ყველა მცხოვრები, მათი ეთნიკურობის მიუხედავად, ფრანგებად გამოაცხადა.** ამ დროიდან ნაციის გაგება სახელმწიფოს მოქალაქეობის გაგებას დაემთხვა. ფრანგული სიტყვა **nationalité** ჩვეულებრივ პირის სახელმწიფოსადმი მიკუთვნებულობას, მოქალაქეობას აღნიშნავს. „ეროვნების“ ცნების აღსანიშნავად (ისე როგორც ეს აღმოსავლეთ ევროპაში ესმოდათ) მხოლოდ ტერმინი **etnie** გამოიყენება.

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა რეგიონალური ენებისა და დიალექტების შევიწროვება. ოფიციალურად არც ერთი სხვა ენა არ იკრძალებოდა, მაგრამ პოლიტიკა სხვაგვარი – ნაკლებმკაცრი და, ამასთანავე, არანაკლებ ეფექტური იყო. ფრანგული ენის გარდა, ყველა ენას იგნორირებას უკეთებდნენ. ფრანგული ენა იყო ერთადერთი საშუალება საჯარო ურთიერთობისას. რაც მთავარია სკოლაში სწავლების ერთადერთი ენა ის იყო. ამ თვალსაზრი-

სით სკოლა ერთ–ერთ ბრძოლის არენადაც კი იქცა. სკოლებიდან არა მარტო დევნიდნენ რეგიონალურ ენებს, არამედ მოსწავლეებს სჯიდნენ კიდევაც, თუ ისინი მშობლიურ ენაზე დაილაპარაკებდნენ. **1925 წელს საფრანგეთის მაშინდელი განათლების მინისტრი წერდა: „საფრანგეთის ენობრივი ერთობისათვის ბრეტონული ენა უნდა გაქრეს“. იგივე მინისტრი ელზასელ სკოლის მოსწავლეებს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „მე მინდა, რომ თქვენ ყოველდღე დაიმახსოვროთ ერთი ახალი ფრანგული სიტყვა და დაივიწყოთ ერთი გერმანული სიტყვა“.** ყველაზე უმნიშვნელო სამოქალაქო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელი იყო სალიტერატურო ფრანგული ენის კარგად ცოდნა. ყველა ის პიროვნება, რომელმაც სალიტერატურო ენა არ იცოდა, სოციალურად დამდაბლებულად გრძნობდა თავს და არასრულფასოვნების კომპლექსს განიცდიდა.

რეგიონალური ენების მიმართ ზოგიერთი ძვრა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა. 1951 წელს მიღებულმა დექსონის (მაშინდელი განათლების მინისტრი) კანონმა საფრანგეთის ისტორიაში პირველად ოფიციალურად ცნო რეგიონალური ენების არსებობა და მათი შესწავლის აუცილებლობა. ამ ენებზე დაიწყეს რადიო- და ტელეგადაცემები. თანამედროვე საფრანგეთში რეგიონალურ ენებად ოფიციალურად ცნობილია ბრეტონული, ბასკური, ოქსიტანური, კატალანური და კორსიკული.

XIII ს-ის დასაწყისამდე, ჩრდილოეთის ოლქებთან შედარებით საფრანგეთის სამხრეთის, განსაკუთრებით პროვანსის, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება მაღალ დონეზე იდგა. სამაგიეროდ, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ჩრდილოეთი იყო ძლიერი.

ინგლისთან ასწლიანმა ომმა (1357-1453) ფრანგთა ნაციონალური თვითშეგნების გაღვივებასა და შეკავშირებას შეუწყო ხელი. 1429 წელს ორლეანთან ინგლისელების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლას სათავეში ედგა უბრალო ფრანგი გლეხის გოგონა, პატრიოტი, საფრანგეთის გმირი, **ჟანა დ'არკი, რომელიც ფრანგულ ენაზე გერმანული აქცენტით ლაპარაკობდა.** ეს ბრძოლა ფრანგების გამარჯვებით დასრულდა.

XV ს-დან ფრანგული ენის შეღწევა დაიწყო სამხრეთში, მაგრამ პროვანსული აქ მაინც რჩებოდა სალაპარაკო ენად. XVI ს-ში რენესანსმა საფრანგეთში სათავე დაუდო საერთო ნაციონალური კულტურის ფორმირებას. ფრანგული ჰუმანიზმისათვის დამახასიათებელი იყო ხალხური ტრადიციები. ფრანგული ჰუმანიზმის ყველაზე დიდი ფიგურა **ფრანსუა რაბლე** (1494-1553 წწ.) საერთო ნაციონალური ლიტერატურისა და ფრანგული სალიტერატურო ენის ფუძემდებელია.

XVI საუკუნეში რელიგიური ომების გამო საფრანგეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ერთობა საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. სამხრეთსა და რამდენიმე სხვა პროვინციაში პროტესტანტიზმი გავრცელდა. მასში გამოვლინდა ადგილობრივ ფეოდალთა სეპარატიზმი და გლეხთა სტიქიური უკმაყოფილება. **1562-1592 წლების რელიგიურმა ომებმა მოსახლეობის ადგილგადანაცვლებამდე და საოლქო განსხვავებულობის წაშლამდე მიგვიყვანა. ბევრი პროტესტანტი (ჰუგენოტი) იძულებული იყო სხვა ქვეყანაში გადასახლებულიყო. საფრანგეთში კათოლიკური რელიგია გაბატონებულ რელიგიად დარჩა.** ბურბონების დინასტიის საფუძველჩამყრელმა მეფე ჰენრიჰ IV-მ (1589-1610), რომელმაც ქვეყნის ერთიანობა აღადგინა, პრეტენზია გამოაცხადა ყველა მიწაზე, „სადაც ფრანგულად ლაპარაკობდნენ“.

XVII საუკუნეში გაერთიანების პროცესი ძირითადად დამთავრდა და ჩამოყალიბდა ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო. ამ დროიდან მოყოლებული საფრანგეთი ომობდა ესპანეთთან, ავსტრიასთან, ინგლისთან, ჰოლანდიასთან, რის შედეგადაც ტერიტორიები გაიფართოვა და ევროპაში პოლიტიკურ ჰეგემონობასაც მიაღწია. ფრანგული ენა და კულტურა ქვეყნის გარეთაც გავრცელდა. ფრანგული ენა საერთაშორისო დიპლომატიურ ენად იქცა. ამ ენაზე მთელი ევროპის საერო საზოგადოება ლაპარაკობდა. საერთოდ, საფრანგეთის სახელმწიფოს ისტორია, რომელიც ფაქტობრივად 843 წლიდან იწყება, ესაა მისი ტერიტორიის მუდმივი გაფართოება და ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხების ფრანგ ხალხში შეყვანა. საფრანგეთის ტერიტორიული გაფართოება არა მარტო სამხედრო გზით, არამედ დინასტიური ქორწინებების შედეგადაც ხდებოდა. მაგალითად, ამ გზით შეიერთეს 1532 წელს ბრეტანი. ტერიტორიების შეძენა XVIII საუკუნესა და XIX საუკუნეშიც კი ხდებოდა (1766 წელს საბოლოოდ შეიერთეს ლოტარინგია, 1768 წელს – კორსიკა). სამხრეთ საფრანგეთის, ბრეტანის, კორსიკის, ელზასის შეერთებით საფრანგეთი მრავალენოვან ქვეყნად იქცა. დიდი რევოლუციის დროს საფრანგეთის სახელმწიფო თითქმის თანამედროვე საზღვრებში იყო. მის გარეთ მხოლოდ სავოია და ნიცა რჩებოდა.

საფრანგეთის რევოლუციას (1789-1794 წწ.) გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ფრანგი ხალხის ნაციონალური შეკავშირებისათვის. ფრანგულმა ენამ თანდათან დაიპყრო სამხრეთი. ფრანგი განმანათლებლების ფილოსოფიამ, ფრანგულმა კლასიკურმა ლიტერატურამ დიდი როლი ითამაშა პროვინციებში ფრანგული სალიტერატურო ენის გავრცელებაში, სადაც იმ დროისათვის მტკიცე პოზიციები ჰქონდათ ადგილობრივ კილოკავებს. ადმინისტრაციის სფეროში რევოლუციურმა რეფორმებმა (პროვინციებში საბაჟოების გაუქმება, დე-

პარტამენტების დაარსება), სასკოლო განათლებამ საბოლოოდ ჩრდილოეთ საფრანგეთსა და პროვანსალს შორის სხვაობის წაშლა განაპირობა.

ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნები, **საფრანგეთიც ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებად იყოფა. ეს მხარეებია: პიკარდია, ნორმანდია, ბრეტანი, ელზასი, ლოტარინგია, შამპანი, ბურგუნდია, სავოია, ოვერნი, აკვიტანია, ლანგედოკი, პროვანსი.** თითოეული მათგანი თვითმყოფადობით, ეთნოგრაფიული თავისებურებით გამოირჩევა. მაგალითად, ლანგედოკი საფრანგეთის უძველესი მეღვინეობის რაიონია. საერთოდ, **ფრანგული ღვინო ფრანგული სამზარეულოს სიამაყედ ითვლება.** განსაკუთრებით სახელგანთქმულია ღვინოები „ბორდო“ და „ბურგუნდია“. „ბორდოს“ აკვიტანიაში აწარმოებენ (ქ. ბორდო აკვიტანიის ცენტრია), „ბურგუნდიას“ – ბურგუნდიის პროვინციაში. „ბორდო“ მსუბუქი, ღია ფერის ნაზი ღვინოა. ბურგუნდიული ღვინოები კი, პირიქით, მუქი, სქელი და მძიმე ბარხატულია. საყოველთაოდ ცნობილია შამპანში დამზადებული შუშხუნა ღვინო. საფრანგეთი არის აგრეთვე საყოველთაოდ ცნობილი სპირტიანი სასმელის – „კონიაკის“ სამშობლო.

ევროპელი გურმანებისათვის უაღრესად საყვარელი სახელწოდებაა „დიჟონი“. ბურგუნდიის ეს ქალაქი გასტრონომიული პროდუქტით არის ცნობილი. მის მიდამოებში აგროვებენ და რესტორნებში აგზავნიან ბევრი ხალხისათვის სანუკვარ დეფიციტს, ცნობილ ვაზის ლოკოკინას, რასაც პირდაპირ ნიჟარებით ზეითუნის ზეთში ბრაწავენ ნივრის, სანელებლების და მწვანილის დამატებით.

თანამედროვე საფრანგეთი დასავლეთ ევროპის არა მარტო მაღალინდუსტრიული ქვეყანაა, არამედ ის სოფლის მეურნეობის ინტენსიურობითაც გამოირჩევა. სოფლის მეურნეობაში პირველ ადგილზეა მეცხოველეობა. მეღორეობა ქვეყნის სახორცე პროდუქციის მესამედს იძლევა. ხორბალი საფრანგეთის მნიშვნელოვანი კულტურაა. მევენახეობა საფრანგეთის სასოფლო მეურნეობის ერთ-ერთი განვითარებული დარგია. დასავლეთის რაიონებში (ბრეტანსა და ნორმანდიაში) ყველგან მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეთევზეობა.

ფრანგები შესანიშნავი მეყვავილეებიც არიან. მთელ მსოფლიოში საყოველთაო სახელი მოიხვეჭა სამხრეთ საფრანგეთის პატარა ქალაქმა გრასმა. გრასის პარფიუმერულ ფაბრიკებში აკეთებენ ფრანგულ სუნამოებს და პარფიუმერულ ნაწარმს, რომლებზედაც ძალიან დიდი მოთხოვნილებაა მთელ მსოფლიოში. მსოფლიოში ფრანგები მოდის კანონმდებლებადაც ითვლებიან.

ფრანგთა უმეტესობა პატარა ქალაქებსა და რამდენიმე დიდ ქალაქში ცხოვრობს. ქვეყნის ცხოვრებაში განუსაზღვრელი მნიშვნელობა

აქვს პარიზს, სადაც მოსახლეობის ერთი მეხუთედია კონცენტრირებული. ევროპაში საქალაქო აგლომერაციებიდან ის მხოლოდ ლონდონს უთმობს პირველ ადგილს. პარიზის თანამედროვე არქიტექტურული იერსახე XIX ს-ის შუა ხანებში ჩამოყალიბდა, როდესაც დედაქალაქის რეკონსტრუქციის კოლოსალური სამუშაოები ჩატარდა. ამ დროს შეიქმნა მწვანე საპარადო პროსპექტი – ***ელისეის მინდორი***, ახალი მაგისტრალები, ორი დიდი ტყეპარკი – ***ბულონისა*** და ***ვენსენის*** ტყეები. არქიტექტურის უბადლო შედევრებია ***პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი*** (1163-1257), ***ლუვრის სასახლის*** ანსამბლი (XIV-XIX სს.)... XVIII ს-შია შექმნილი მსოფლიოში ერთ-ერთი ლამაზი არქიტექტურული ანსამბლი – ***თანხმობის მოედანი***. ქალაქის სილუეტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 1889 წელს აშენებულ 300 მეტრიან ***ეიფელის კოშკს***. თავისი ღირსშესანიშნაობებითა და შესანიშნავი კლიმატით საფრანგეთი დიდი ხანია მოგზაურთა ყურადღებას იქცევს. დღეისათვის ქვეყანაში ყოველწლიურად 50 მილიონზე მეტი ტურისტი ჩადის.

საინტერესო და რთული გზა გაიარა ფრანგულმა ანთროპონიმულმა სისტემამ. ბუნებრივია, რომ ძველგალიურ ანუ კელტურ ეპოქაში გავრცელებული იყო კელტური, აგრეთვე ძველებრაული საკუთარი სახელები. გვხვდებოდა ბერძნული სახელებიც, რომელთა დიდი ნაწილი თანამედროვე ფრანგულ ანთროპონიმიაში დღესაცაა შემონახული: **André, Eugéne, Georges, Théodore, Leon, Philippe, Aleksandre**. თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიაზე რომაელთა ბატონობის დროს ლათინური წარმოშობის სახელები გავრცელდა (**Romulus, Marius, Victor, Martinus**...). მოგვიანებით ფრანგებმა რომაული სამყაროდან ორწევრიანი სახელებიც ისესხეს. გერმანელთა შემოჭრამ ფრანგული ანთროპონიმია გერმანული სახელებით შეავსო. XI-XV საუკუნეებში საოჯახო კავშირების აღსანიშნავად შვილის სახელს ხშირად მამის სახელს უმატებდნენ, მაგალითად: **Jean, fils Pierre** (ჟანი, პიერის შვილი). თანამედროვე ფრანგულ ანთროპონიმიულ სისტემაში ძირითადად ერთწევრიანი სახელებია გავრცელებული, თუმცა ორწევრიანი სახელებიც ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით ბრეტანში: **Jean-Jeacque**, **Jean-Marie**, **Jean-Francois**, **Marie-Louise**, **Marie-Therese**... დღეს არსებული ფრანგული გვარსახელები (noms de famille) შუა საუკუნეებშიც იყო გავრცელებული. ფრანგული მემკვიდრეობითი სახელები დოკუმენტურად XIII ს-ში დასტურდება. ფრანგული გვარსახელები სხვადასხვა წარმოშობისაა: პროფესიული (ბოლოვდება – ier-ზე, მაგალითად, Bouchier), ეპონიმური (რომლებიც მამის სახელებიდან მომდინარეობს), ტოპონიმიური... ფრანგული გვარსახელების ნაწილი წარმომავლობაზეც მიუთითებს: **Le Belge** – ბელგიური წარ-

მოშობის ადამიანი... თავდაპირველად გვარსახელს თან ახლდა სიტყვა fils (შვილი), რომელიც შემდეგ დაიკარგა: **Jean, fils Jaquot** იქცა **Jean Jaqut**-ად. თანამედროვე ფრანგული ანთროპონიმიული მოდელი ორწევრიანია და ის სახელისა და გვარსახელის ერთობლიობას წარმოადგენს: **Jean Dubois, Pierre Leblanc**, რომელშიც სახელი (**prénom**) პირველი ელემენტია, გვარსახელი (**nom de famille**) – მეორე.

ფრანგმა ხალხმა კაცობრიობას ბევრი გამოჩენილი მოღვაწე მისცა. ფრანგებს მიეკუთვნება უამრავი ტექნიკური გამოგონება. საკმარისია დავასახელოთ **ანდრე ამპერი** (1775-1836), **პიერ კიური** (1859-1906) და **მარია სკლადოვსკი-კიური** (1867-1934), **ლუი პასტერი** (1822-1895)... მთელ მსოფლიოში ცნობილი არიან ფრანგული ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები. ფერმწერმა **ჟაკ ლუი დავიდმა** (1748-1825) დრამატიზმით აღსავსე ნათელი ტილოები შექმნა. მსოფლიო ხელოვნების განვითარებაში ახალ ეპოქას ჩაუყარეს საფუძველი ფრანგმა იმპრესიონისტებმა **კლოდ მონემ** (1840-1920), **კამილ პისაროომ** (1830-1903), **ედუარდ მანემ** (1832-1883), **ოგიუსტ რენუარმა** (1841-1919), **ედგარ დეგამ** (1834-1917) და სხვა. სახელგანთქმულნი არიან აგრეთვე XX ს-ის მხატვრები: **ანრი მატისი, ჟერნარ ლეჟე**. ფრანგულმა კლასიციზმმა მწვერვალს მიაღწია **პიერ კორნელიას** (1606-1684) და **ჟან რასინის** ტრაგედიებში. **ჟან ბატისტ მოლიერი** (1622-1673) ფრანგული კლასიკური კომედიის შემქმნელი გახდა. ყველასათვის ცნობილია მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები: **ვიქტორ ჰიუგო** (1802-1885), **სტენდალი** (1783-1842) და **ონორე დე ბალზაკი** (1799-1850). არ შეიძლება არ დავასახელოთ აგრეთვე სახელგანთქმული მწერალი-ესეისტი და ფილოსოფოსი **მიშელ დე მონტენი**, ფილოსოფოსი **დეკარტი.** საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში ცხოვრობდა წიგნის ბეჭდვის ცნობილი გამომგონებელი, პირველი ტიპოგრაფიის შემქმნელი **იოჰან გუტენბერგი** (XVს.).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველა ეთნოსს მისთვის დამახასიათებელი ხასიათი გააჩნია. ფრანგების ეროვნული ხასიათი სათანადოდაა შესწავლილი და საყურადღებო მოსაზრებებიცაა გამოთქმული. ამჯერად ფრანგების დახასიათებას სალვადორ დე მადარიაგას დავესესხებით, რომელსაც საყურადღებო გამოკვლევა ეკუთვნის ინგლისელების, ფრანგების და ესპანელების ხასიათების შედარებითი შესწავლის შესახებ. მადარიაგას მიხედვით, ფრანგული ფილოსოფიური სამყარო გონებას ემყარება. ფრანგი რეალურობის შეცნობისაკენ მიისწრაფის. ყველანაირ თავისუფლებას შორის ფრანგისათვის უპირველესი აზრის თავისუფლებაა. მართალია, ფრანგს გული ცივი აქვს, მაგრამ მისი გონება ფრიად გახსნილია. თავისი მრწამსით ფრანგი თანასწორობის მომხრეა. ს. მადარიაგა ფრანგებს

ახასიათებს როგორც მათემატიკის, ჭადრაკის, ლოგიკის, მექანიკის, სამხედრო სტრატეგიის, არქიტექტურის მოყვარულებს. მეთოდის სილამაზე და ლაზათიანობა, მისი სიმკაცრე – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფრანგისათვის. ისინი **ევროპული მოდისა და არქიტექტურული სტილის კანონმდებლები არიან.** პედანტიზმი ამ ხალხის დამახასიათებელ თვისებადაა აღიარებული. ფაქტობრივად ფრანგები დაუწერელი წესებით ხელმძღვანელობენ, რომელთა ცოდნითაც მსჯელობენ ადამიანის ინტელიგენტობის შესახებ. ეს წესი ეხება ეტიკეტს, მოდას, ეთიკას, დიპლომატიას, ხელოვნებას, ლიტერატურას, იურისპრუდენციას. ინგლისელებისაგან განსხვავებით, ფრანგები კომპრომისების მოწინააღმდეგეები არიან. მათი ისტორია პოლიტიკური და რელიგიური შეუწყნარებლობის გამოვლინებაა. „ამბობენ, რომ ესპანელები შეუძლებელია მართოთ – წერს მადარიაგა – რადგან ესპანელები მეფეთა ხალხია. საფრანგეთი მინისტრების ქვეყანაა. აქ არაა არც ერთი ადამიანი, რომელიც არ თვლიდეს, რომ შეუძლია დაიკავოს ყველაზე მაღალი თანამდებობა“. საფრანგეთში ძალიან მაღალია ინტელექტუალების პრესტიჟი. თუ ინგლისში ყველაზე დიდი პრესტიჟის გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლები არიან, საფრანგეთში ასეთნი მხოლოდ მეცნიერები, მხატვრები და ფილოსოფოსები არიან. ფრანგებს შეუძლიათ არა მხოლოდ ლაპარაკი, არამედ მოსმენაც. ქორწინდებიან ყოველმხრივი განსჯის შემდეგ, შეიძლება ითქვას, სარგებლიანობით. ფრანგებს ტრადიციად აქვთ ერთობლივი საოჯახო ტრაპეზების მოწყობა. სექსუალური საკითხების შესახებ გულახდილი საუბარი და ფრანგულ ლიტერატურაში ინტიმური სცენების აღწერა ყოველთვის შოკირებულ მოქმედებას ახდენდა უცხოელებზე.

ფრანგებისა და საფრანგეთის შესახებ არაერთი საყურადღებო წიგნის ავტორია ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი **ვალერი ჟისკარ დ'ესტენი**. მისი ბოლოდროინდელი წიგნის სათაურია: **„ფრანგები: ფიქრები ხალხის ბედზე“.** ავტორს მხოლოდ რამდენიმე მოსაზრებას დავესესხებით. საფრანგეთში ყოველთვის ცხოვრობდნენ უცხოელები. ასეთი ადამიანების რაოდენობა ეკონომიკის გლობალიზაციის ზემოქმედებით თანდათან იზრდებოდა. უცხოელები არასდროს განზე არ იდგნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ფრანგული კულტურის შექმნაში. საფრანგეთი ყოველთვის სტუმართმოყვარე ქვეყანა იყო და მომავალშიც ასეთად უნდა დარჩეს. ყოფილი პრეზიდენტი საფანგეთში მიგრირებულებს ორ ჯგუფად ყოფს – ერთნი, რომლებიც დროებით, სასწავლებლად ან პროფესიული ინტერესების გამო მოდიან და მეორენი, რომელთა მიზანიც ინტეგრაციაა. XIX საუკუნის შუა ხანებამდე საფრანგეთმა არ იცოდა

მეორე მოვლენა. მოქალაქეობას მხოლოდ დაბადებით იღებდნენ, უბრალოდ მშობლებისაგან ის მემკვიდრეობით გადადიოდა. პირველი იმიგრაციული ნაკადები ინდუსტრიალიზაციასთან ერთად გაჩნდა. ამ ნაკადებში მხოლოდ მეზობელი ქვეყნების – იტალიისა და ესპანეთის მოქალაქეები შედიოდნენ, შემდეგ – პოლონელები და პორტუგალიელები. პირველ ხანებში ემიგრანტთა შვილები თავიაანთი მშობლების მოქალაქეობას ინარჩუნებდნენ და ამ გზით თავს არიდებდნენ სამხედრო სამსახურს. სწორედ არმიის მოთხოვნილებიდან გამომდინარე შეცვალეს კანონმდებლობა, რითაც საფრანგეთში დაბადებულები ქვეყნის მოქალაქეებად ჩაითვალნენ და დაეკისრათ სამხედრო ვალდებულება. XX საუკუნის ზღურბლზე საფრანგეთმა მიიღო რუსეთიდან და პოლონეთიდან გამოქცეული ებრაელები. ეს ადამიანები სწრაფად ინტეგრირდებოდნენ ფრანგულ საზოგადოებაში. მხოლოდ ფრანგების უმნიშვნელო რაოდენობას ჰქონდა იმიგრანტების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება. ყველა მიგრირებული ჯგუფის ასიმილაცია სწრაფად მიმდინარეობდა და ფრანგთა საერთო ცხოვრებში მას პოზიტიური წვლილი შეჰქონდა. სიტუაცია მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიცვალა. ის ძირითადად საფრანგეთში მუშახელის ნაკლებობით იყო გამოწვეული. ქვეყანაში უპირატესად დეკოლონიზაციის შემდეგ ყოფილი ფრანგული კოლონიებიდან მოდიოდნენ. მიგრანტების თავდაპირველი მიზანი სრულიადაც არ იყო ფრანგულ გარემოში ინტეგრაცია, მაგრამ გარემოება უმეტეს მათგანს თავდაპირველ გეგმებს აცვლევინებდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი იმიგრაცია პირველისაგან ორი ნიშნით განსხვავდებოდა: პირველი, ერთი გეოგრაფიული ზონიდან მიმდინარეობდა, და მეორე – მან არალეგალურ იმიგრანტთა დიდი ნაკადი წარმოშვა. ამ ნაკადებმა ინტეგრაციის სფეროში ახალი პრობლემები წარმოშვა, მაგრამ ინტეგრაციას მაღრიბის ქვეყნებიდან და დასავლეთ აფრიკიდან მოსულთათვის რელიგიური ფაქტორი აბრკოლებდა. საფრანგეთმა უცხოელების პრობლემა თითქოს გადაწყვიტა. ფერადი იმიგრანტები და მათი შთამომავლები საქორწინო ურთიერთობაშიც შედიან ფრანგებთან; ისინი ფრანგებადაც ითვლებიან. მაგრამ უკანასკნელი წლების მოვლენებმა დაადასტურა, რომ განსხვავებული რელიგიის, მსოფლმხედველობის, მენტალიტეტის და თანაც ძალიან დიდი მასების ინტეგრაცია მიუღწეველია. პრობლემის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ფრანგულ საზოგადოებას მაინც გარკვეული ცვლილებები ელის და ის უპირველეს ყოვლისა ანთროპოლოგიური ტიპის ცვლილებას შეეხება. ყოფილი პრეზიდენტის დასკვნით XXI საუკუნეში ფრანგული იდენტურობის შენარჩუნება პრიორიტეტული გახდება.

2.9. ვალონიელები

ვალონიელები ბელგიაში ვალონიის ისტორიულ ოლქში ცხოვრობენ. ბელგიაში ვალონიელების რაოდენობა 3,92 მილიონია; ცხოვრობენ აგრეთვე საფრანგეთში (55 ათასი), აშშ-ში (75 ათასი). მათი საერთო რაოდენობა 4 მილ. 100 ათასია. ვალონიელები დიდი ევროპეიდული რასის საშუალო ევროპეიდულ რასას მიეკუთვნებიან. **ლაპარაკობენ ფრანგულ ენაზე.** ფრანგული ენის ვალონიური დიალექტი შედის ჩრდილო ფრანგულ დიალექტთა ჯგუფში (ილ-დე-ფრანსის დიალექტები). ვალონიელები (ისევე როგორც ბელგიელი ფლამანდიელები) კათოლიკეები არიან.

ვალონიელები არიან კელტების (ძირითადად ბელგების) შთამომავალნი, რომლებიც თანამედროვე ბელგიის სამხრეთში ცხოვრობდნენ. კელტებმა (ბელგებმა) რომაელთა დაპყრობის შემდეგ (ძვ.წ. I ს.) რომანიზაცია განიცადეს. ვალონიელებმა 1830 წელს ფლამანდიელებთან ერთად შექმნეს ბელგიის დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ვალონიელების ეთნიკური ტერიტორია იყოფა ორად – ჩრდილოეთის (ბარის), სადაც ძირითადად განვითარებულია მიწათმოქმედება (ხორბალი, ქერი, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი) და სამხრეთის (მთიანი), სადაც უპირატესობა ენიჭება მესაქონლეობას (მსხვილფეხა რქოსანი საქონელი). თანამედროვე ვალონიელების უმეტესობა ქალაქებში ცხოვრობს, მათ შორის მსხვილ აგლომერაციებში (ბრიუსელი, ლიეჟი).

კულტურითა და ყოფით ვალონიელებს ბევრი საერთო აქვთ ფრანგების ჩრდილო-აღმოსავლეთ ჯგუფებთან.

ვალონიელების ძირითადი ტრადიციული საკვებია კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბურღულის კერძები. თევზს უფრო ხშირად ჭამენ, ვიდრე ხორცს. ტრადიციული სასმელებია: ყავა, რძე, ლუდი.

საეკლესიო დღესასწაულების აღნიშვნისას გავრცელებულია საზეიმო მსვლელობები. კარნავალებისა და საეკლესიო დღესასწაულების დროს ვალონიელები ძველ ტრადიციულ ტანსაცმელში ეწყობიან.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ვალონიელებსა და ფლამანდიელებს შორის გამწვავდა ნაციონალურ-ენობრივი წინააღმდეგობა. 1980-იან წლებში შემოიღეს შიდა ავტონომიის სისტემა.

2.10. რეტორომანელები

რეტორომანელების (ძველი რომაული პროვინცია **Raetia** – რეტიას ლათინურ სახელწოდებას + **romanus** – რომაული) სახელწოდებით გაერთიანებულია რამდენიმე ხალხი. ესენი არიან: **რომანშელები (რუმანშელები), ლადინები და ფრიულები**. ენითა და კულტურით სამივე

რეტორომანელი ხალხი ახლოსაა ერთმანეთთან, მაგრამ საერთო დამწერლობა არა აქვთ. **ფრიულები და ლადინები იტალიაში ცხოვრობენ, რომანშელები – შვეიცარიაში.** მათი საერთო რაოდენობა 800 ათასია, მათ შორის, იტალიაში – 735 ათასი. ლაპარაკობენ ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანული ჯგუფის რეტორომანულ ენაზე.

იტალიაში დაახლოებით 35 ათასი ლადინია. მათი თვითსახელწოდებაა **ლადინი** (იტალიურად), **ლადინერ** (გერმანულად) (ლათინური „ლატინუსედან“ – ლათინელი). ჩრდილოეთ იტალიაში მცხოვრებ ამ რეტორომანელებში გავრცელებულია აგრეთვე იტალიური და გერმანული ენები. ისინი თანდათან ასიმილაციას განიცდიან გარშემო მცხოვრებ იტალიელთა მიერ. იტალიელ ლადინთა უმრავლესობა ორენოვანია და თავის ენაზე მხოლოდ სახლში ლაპარაკობს. იტალიელი ლადინების წინაპრებად ითვლება ძველი ალპიური ტომი – რეტები. ბევრი მეცნიერი ფიქრობს, რომ რეტების ენა ეტრუსკულთან იყო ახლოს. რეტებით დასახლებული რაიონების რომანიზაცია ძირითადად V ს-ში მოხდა. მთიელი ლადინები ძირითადად მეცხოველეობას მისდევენ. მათში მიწათმოქმედება ნაკლებადაა განვითარებული.

ყველაზე მრავალრიცხოვანი რეტორომანული ხალხია ფრიულები. უკანასკნელი მონაცემებით მათი საერთო რაოდენობა 700 ათასია. ფრიულების თვითსახელწოდებაა **ფრიულანი, ფურლანი**. იტალიაში ისინი ცხოვრობენ ჩრდილო-აღმოსავლეთში, უდინეს პროვინციაში (ფრიული-ვენეცია-ჯულიას ოლქში). ფრიულები რეტორომანული ენის ფრიულურ დიალექტზე მეტყველებენ. ადრე შუა საუკუნეებში ფრიულებით დასახლებულმა მხარემ გერმანულ და სხვა ტომთა (ვესტგუთები, ჰუნები, ოსტგუთები, ლანგობარდები) თავდასხმები განიცადა. VII-VIII სს-ში აქ შემოიჭრნენ სლავები, რომლებიც ნაწილობრივ შეერივნენ ფრიულებს. ახ.წ. I ს-ში ფრიულების ოლქზე რომაელთა ხელისუფლება გავრცელდა. მისი მოსახლეობის რომანიზაცია IV-V საუკუნეებისათვის დამთავრდა. ყველაზე ხანგრძლივად ლანგობარდები ფრიულიაში ბატონობდნენ. მათი ბატონობა ორას წელზე მეტხანს გაგრძელდა. სწორედ ლანგობარდებმა დააჩნიეს ყველაზე დიდი კვალი ფრიულის ეთნიკურ განვითარებას, ვიდრე სხვა წინამორბედმა დამპყრობლებმა. ლანგობარდულმა ენამ ფრიულურ ენაზეც დიდი გავლენა მოახდინა. ეთნონიმი ფრიული (ლათ. **Foroiulani**) მომდინარეობს ქალაქ ფორუმ იულიის (**Forum Iulii**) სახელიდან. **1077 წლიდან 1420 წლამდე ფრიულიის ტერიტორიაზე აკვილიის ეკლესიის (პატრიარქთა) სახელმწიფო არსებობდა.** ფრიულებმა XV ს-დან იტალიური კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს. XVIII საუკუნის ბოლოდან ფრიულის ოლქი ვენეციას, ავსტრიასა და საფრანგეთს შორის მრავალრიცხოვანი ბრძოლის არენად იქცა. 1797-1805 წლებში მას ავსტ-

რიელები განაგებდნენ. შემდგომ პერიოდში კი ხელიდან ხელში გადადიოდა. 1866 წელს ფრიულთა მიწა იტალიის შემადგენლობაში შევიდა. ფრიულები თანდათან ასიმილაციას განიცდიან იტალიელების მიერ. დღეისათვის მათ საკუთარ ენაზე თითქმის არა აქვთ ნაციონალური ლიტერატურა. სალიტერატურო და განათლების ენა აქ იტალიურია.

ფრიულების ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო დარგებია: ბარში – მიწათმოქმედება (ხორბალი, სიმინდი, ხილი, სელი, კანაფი), მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მთებში და ბარში ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. ფრიულებში გლეხური შრომის მთელი სიმძიმე ქალების მხრებზე გადადის, რადგან ბევრი მამაკაცი ოჯახის სარჩენად იტალიის სხვა რაიონებსა და საზღვარგარეთ (ძირითადი მშენებლობაზე) მიდის სამუშაოდ.

რეტორომანელთა სამივე ჯგუფის წარმომადგენლები კათოლიკეები არიან. შვეიცარიაში გვხვდებიან პროტესტანტებიც.

შვეიცარიაში მცხოვრები რეტორომანელების თვითსახელწოდებაა **რუმანში**, **რომონში**. ისინი ძირითადად შვეიცარიის გრაუბიუნდენის კანტონში ცხოვრობენ და მათი რაოდენობა 65 ათასი კაცია. რომანშელთა ენაში ხუთ დიალექტს გამოყოფენ; შექმნილი აქვთ დამწერლობა ლათინური ანბანის საფუძველზე. შვეიცარიის რეტორომანელებში გავრცელებულია აგრეთვე გერმანული და იტალიური ენები. რეტორომანულ ენაზე წიგნების ბეჭდვა XVI ს-ში დაიწყეს. XIX ს-ში გაძლიერებული გერმანიზაციის წყალობით მათი ენა გაქრობის პირას და თვითონ კი ასიმილაციის საშიშროების წინაშე იდგნენ, მაგრამ XIX ს-ის II ნახევარში მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პროპაგანდის შედეგად ეს პროცესი შეჩერდა. 1938 წ. რეტორომანული ენა შვეიცარიის ერთ-ერთ სახელმწიფო ენად იქნა აღიარებული. შვეიცარიის სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, რეტორომანელებმა უფრო მტკიცედ შემოინახეს ტრადიციული კულტურის ელემენტები. ძირითადად დასაქმებულნი არიან მესაქონლეობით (სარძევე), ტურისტების მომსახურებით, ზოგან განვითარებულია მიწათმოქმედება და მევენახეობა. რეტორომანელებში ძალზე განვითარებულია ხეზე კვეთის ხელოვნება. შემორჩენილია ფოლკლორი (ზღაპრები, ლეგენდები და სხვ.), სათემო დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები.

2.11. კორსიკელები

კუნძული კორსიკა ახლა საფრანგეთის ერთ-ერთი დეპარტამენტია. ის დასახლებულია კორსიკელებით. კორსიკელების თვითსახელწოდებაა **კორსი**. კორსიკელთა რაოდენობა დაახლოებით 300 ათასია. ისინი მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვის-

პირულ რასას. ეს ხალხი ენით ახლოს დგას იტალიელებთან (ლაპარაკობენ იტალიური ენის ჩიზმონტანურსა და ოლტრემონტანურ კილოებზე, აგრეთვე ფრანგულ ენაზე) და დიდი ხნის განმავლობაში იტალიური კულტურის გავლენით ყალიბდებოდნენ. საფრანგეთთან შეერთების შემდეგ (დიდი ფრანგული რევოლუციის პერიოდში) კორსიკელებმა ფრანგული კულტურის დიდი გავლენა განიცადეს.

კორსიკელები კათოლიკეები არიან. ყოველ სოფელს ჰყავს თავისი წმინდა მფარველი და ყოველწლიურად მათ პატივსაცემად დღესასწაულებს აწყობენ. ზოგიერთი სამლოცველო ამა თუ იმ წმინდანის სახელს ატარებს. კორსიკაში განსაკუთრებულად აღნიშნავენ კალენდარულ კათოლიკურ დღესასწაულებს (შობა, აღდგომა, სამებობა, წმინდა პარასკევას დღე). ბევრგან რელიგიურ დღესასწაულში მთელი სოფელი იღებს მონაწილეობას.

კორსიკელთა ეთნიკურ საფუძველს შეადგენენ იბერიული და ლიგურიული ტომები, რომლებიც კუნძულ კორსიკის უძველეს მოსახლეობას წარმოადგენდნენ. მათ ძვ.წ. VIII-V სს-ში ფინიკიელების, ბერძნების, ეტრუსკებისა და კართაგენელების გავლენა განიცადეს. ძვ.წ. VI ს-ში კორსიკის კოლონიზაციის ცდები ჰქონდათ მცირეაზიელ ბერძნებს, მაგრამ ისინი ეტრუსკებმა გააძევეს. ძვ.წ. III-II საუკუნეებში რომაელების მიერ კორსიკის დაპყრობამ მისი მოსახლეობის თანდათანობითი რომანიზაცია გამოიწვია. ადრეულ შუა საუკუნეებში მოხდა ლათინურენოვანი კორსიკელების შერევა ბერძენ-ბიზანტიელებთან, გუთებთან, ლანგობარდებთან, ფრანკებთან. IX ს-ში კორსიკა დაიპყრეს არაბებმა, XI-XIV სს-ში მათზე ბატონობდნენ იტალიელები (ჯერ პიზელები, შემდეგ კი – გენუელები), რომლებმაც კორსიკელებზე დიდი კულტურული გავლენა მოახდინეს.

კორსიკაში ფეოდალურ ზედაფენას უპირატესად იტალიელი ლანდგრაფები, ლანგობარდელი, გუთელი, ბერძენი და ფრანგი მეომრები შეადგენდნენ, რომლებმაც სხვადასხვა დამსახურების გამო კორსიკაში ჯილდოდ მიწა და ტიტულები მიიღეს.

კორსიკაში ფრანგული ენისა და კულტურის შეღწევა XVIII ს-ის უკანასკნელ მესამედში დაიწყო, როდესაც კუნძული საფრანგეთის შემადგენლობაში შევიდა (საბოლოოდ 1796 წელს). კორსიკის საფრანგეთთან დაახლოება ძირითადად ნაპოლეონ I-მა განაპირობა, რომელიც წარმოშობით კორსიკელი იყო. ნაპოლეონის მიერ არმიაში კორსიკელების ფართოდ გაწვევამ კუნძულზე ფრანგული ენისა და კულტურის შეღწევა დააჩქარა.

1814 წლიდან კორსიკა საფრანგეთის დეპარტამენტია. სკოლისა (განათლების) და ადმინისტრაციის ენა ფრანგულია. როგორც აღინიშნა, კორსიკელები იტალიური ენის ორ დიალექტზე მეტყველებენ. მათ

დიალექტებს მთები ყოფს. ამ ორი დაილექტის მატარებელნი, ერთმანეთს ძნელად აგებინებენ და ურთიერთობისას უპირატესობას ფრანგულ ენას ანიჭებენ.

სამეურნეო თვალსაზრისით, კორსიკა საფრანგეთის ერთ-ერთი ჩამორჩენილი რაიონია. მოსახლეობის რაოდენობა განუხრელად მცირდება. მრეწველობა თითქმის არაა განვითარებული. მეურნეობის მთავარი დარგია ექსტენსიური* მესაქონლეობა, ტყის დამუშავება და ტურისტების მომსახურება. კორსიკელებს მოშენებული ჰყავთ ბევრი თხა და ცხვარი, რომლებიც წლის უმეტეს დროს მთებში ჰყავთ საძოვარზე. ადგილობრივი ჯიშის თხები ცხიმიან რძეს იძლევიან, რომლისაგანაც ამზადებენ ცნობილ კორსიკულ ყველს – „ბროჩიო“.

სანაპირო ზოლში განვითარებულია მევენახეობა და მებაღეობა (ციტრუსები და ზეითუნი).

კორსიკელების საკვები იტალიელთა და სამხრეთ ფრანგთა საკვების მსგავსია. ყველაზე ხშირად მოიხმარენ კარტოფილს, ლობიოს, მაკარონს, ღვინოს, ყველს.

კორსიკელთა უმეტესობა ცხოვრობს სოფლებსა და პატარა ქალაქებში, რომელთაგან ბევრი არაბთა დაპყრობის დროსაა წარმოქმნილი და კლდეებზე იარუსებად არის განლაგებული. ასეთ ქალაქებში მოსახლეობა ძლივს აჭარბებს ორი ათასს და აქ ხშირად სასოფლო ყოფაა შემორჩენილი. ყველაზე დიდი ქალაქებია აიაჩო (31,5 ათასი მცხოვრები) და ბასტია (დაახლ. 43 ათასი მცხოვრები).

კორსიკელებში შემონახულია წარსულში გაბატონებული პატრიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობები. მათ ახასიათებთ ძალიან მჭიდრო ნათესაური კავშირები. კორსიკა ევროპაში ერთადერთი ადგილია, სადაც დღემდე შემონახულია სისხლის აღების წეს-ჩვეულება („ვენდეტა“).

კორსიკაში მიცვალებულს საფლავამდე მხოლოდ მამაკაცები მიაცილებენ. აქ მიცვალებულის ხსოვნას დიდ პატივს სცემენ. მიცვალებულებს ხშირად საოჯახო აკლდამებში ათავსებენ. კორსიკელთა ასეთი სასოფლო აკლდამები სამლოცველოებისაგან შედგება. შორიდან ისინი პატარა ქალაქებს მოგვაგონებს.

კორსიკელთა ფოლკლორში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიმღერა-ტირილს (ხმით ნატირლებს), ე.წ. “voceris” – მიცვალებულთან ტირილის იმპროვიზებულ შესრულებას. ამ დროს ჩამოთვლიან მის დამსახურებას და თუ მოკლულია, შურისძიებისაკენ მოუწოდებენ. ახლა "ვოჩერები" უფრო იშვიათად ისმის. კორსიკის მივარდნილ მთი-

---

* ექსტენსიური - რაც დაკავშირებულია რაოდენობრივ (და არა ხარისხობრივ) ზრდასთან, გაფართოებასთან.

ან რაიონებში მდერიან აგრეთვე თავისებურ სიმღერა-სახსოვარს, სერენადებს. კორსიკელები დახელოვნებული იმპროვიზატორები არიან, ხშირად ბაზრობების დროს აწყობენ პოეტურ შეჯიბრებებს.

2.12. იტალიელები

იტალიელები იტალიის სახელმწიფოს მკვიდრნი არიან. იტალია სამხრეთ ევროპის დიდი სახელმწიფოა. ქვეყნის საერთო ფართობი 301,3 ათასი კვ.კმ-ია. იტალიის ცენტრში მდებარეობს პატარა სახელმწიფო სან-მარინო. ადმინისტრაციულად ქვეყანა იყოფა 19 ოლქად და 91 პროვინციად. იტალიელთა თვითსახელწოდებაა **იტალიანი.** მათი საერთო რაოდენობა 66,6 მილ. კაცია, მათ შორის იტალიაში ცხოვრობს 54,35 მილ.; ცხოვრობენ აგრეთვე ევროპის სხვა ქვეყნებში (2,7 მილ.): საფრანგეთში (1 მილ. 100 ათასი), გერმანიაში (540 ათასი), შვეიცარიაში (408 ათასი), ბელგიაში (280 ათასი), დიდ ბრიტანეთში (220 ათასი). ამერიკის კონტინენტზე 8 მილიონზე მეტი იტალიელია: აშშ-ში 5,5 მილ. კაცი, არგენტინაში 1,35 მილ., კანადაში 800 ათასი კაცი, ბრაზილიაში 650 ათასი, ვენესუელაში 200 ათასი, ურუგვაიში 100 ათასი, ავსტრალიასა და ოკეანეაში დაახლ. 300 ათასი, აფრიკაში 100 ათასი, აზიაში დაახლ. 10 ათასი.

იტალიაში მოსახლეობის 98% იტალიელია; 2%-ს ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ, რომლებიც კომპაქტურ ჯგუფებად ცხოვრობენ და დაკავებული აქვთ გარკვეული ტერიტორია. ისინი რამდენიმე საუკუნის წინ ჩამოყალიბდნენ. ფრიული-ვენეცია-ჯულიას პროვინციაში ცხოვრობენ **ფრიულები,** ტრენტინი-ალტი-ადიჯში – ენობრივად მათი მონათესავე **ლადინები.** ამავე ოლქში ცხოვრობს 300 ათასზე მეტი **ტიროლელი,** რომლებიც ერთ-ერთ ზემო გერმანულ დიალექტზე ლაპარაკობენ. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში, პიემონტში, ცხოვრობენ **ფრანკო-პროვანსალთა** ჯგუფები (80 ათასზე მეტი). იტალიაში მკვიდრობენ აგრეთვე **სლოვენები და ხორვატები** (დაახლ. 100 ათასი კაცი). სამხრეთ იტალიასა და სიცილიის კუნძულზე არსებობს **ალბანელთა** კოლონიები (დაახლ. 80 ათასი კაცი); სამხრეთ იტალიაში ცხოვრობენ აგრეთვე **ბერძნები** (30 ათასი), სარდინიის ჩრდილო-დასავლეთში (ქალაქი ალგერო) – **კატალონიელები** (15 ათასი). სან-მარინოს მოსახლეობას (17 ათასი) იტალიელები წარმოადგენენ.

XX ს-ში იტალიის მოსახლეობის ზრდის ტემპი შენელდა მუდმივი ემიგრაციის გამო, რომელიც XIX ს-ში დაიწყო და გლეხთა უმიწობით იყო გამოწვეული, რადგან იტალიის მრეწველობას მათი დაკმაყოფილება არ შეეძლო. 1945-1962 წლებში იტალია 6 მილიონმა კაცმა

დატოვა. ინტენსიური ემიგრაცია ძირითადად იტალიის სამხრეთ რაიონებიდან მიმდინარეობდა.

იტალიელები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას. ლაპარაკობენ ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანული ჯგუფის იტალიურ ენაზე. ნაციონალური სალიტერატურო ენის გარდა არსებობს აგრეთვე მრავალრიცხოვანი დიალექტები და კილოკავები (თქმები). ისინი იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ზოგიერთი ოლქის მცხოვრებთ ხშირად ერთმანეთის არ ესმით. იტალიური დიალექტები სამ დიდ ჯგუფად იყოფა. ჩრდილოეთ იტალიური ენის ჯგუფში შედის: ლომბარდიული, ლიგურიული, ვენეციური, პიემონტური, ემელიანური. შუა იტალიური ენის დიალექტებია: ტოსკანური, უმბრიული, რომაული, ჩრდილო ლაციური, მარკიჯანული, გალურიული. სამხრეთ იტალიური დაილექტები ერთმანეთთან შედარებით ახლოს მდგომი დიალექტებია: ნეაპოლიტანური, აბრუცული, აპულიური, კალაბრიული, სიცილიური (რამდენიმე) და სამხრეთ ლაციოს დიალექტი. სამხრეთ სარდინიის თქმები (კილოკავები) ახლოსაა სიცილიურ დიალექტებთან. კუნძულის ცენტრალურ ნაწილში მოსახლეობა რამდენიმე კილოზე ლაპარაკობს, რომლებიც ძლიერ განსხვავდება დანარჩენი იტალიური დიალექტებისაგან. ლინგვისტები ცალკე გამოყოფენ სარდინიულ ენას. დიალექტთა მრავალფეროვნების ფონზე, ბუნებრივია, რომ **იტალია რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარედ, შესაბამისად, ეთნოგრაფიულ ჯგუფად იყოფა: ვენეციელებად, ლიგურიელებად, კალაბრიელებად, ლომბარდიელებად, პიემონტელებად, ტოსკანელებად.** მნიშვნელოვნად განსხვავებულნი არიან სიცილიელები და სარდინიელები (სარდინიელებს ხშირად დამოუკიდებელ ეთნოსად გამოყოფენ).

იტალიელთა დამწერლობა დაფუძნებულია ლათინურ გრაფიკაზე. იტალიური ენა უფრო ახლოსაა ლათინურ ენასთან, ვიდრე სხვა რომანული ენები. **იტალიურ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ტოსკანური დიალექტის ფლორენციული თქმა.** პირველი წერილობითი ძეგლები X საუკუნეს მიეკუთვნება. სალიტერატურო იტალიური ენის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა **დანტეს, ბოკაჩოს, პეტრარკას** ენამ. იტალიური სალიტერატურო ენის პარალელურად, ლიტერატურა დიალექტებზეც გამოდის. მოსახლეობის უმეტესობისათვის დამახასიათებელია დიგლოსია (საერთო ნაციონალური ენისა და დიალექტის ფლობა). დიალექტთა გავლენით ჩამოყალიბდა იტალიური ენის რეგიონალური ვარიანტები.

იტალიელმა ხალხმა ფორმირების გრძელი და რთული გზა გაიარა. ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში აპენინის ნახევარკუნძული დასახლებული იყო ხალხებით, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენ-

დნენ იტალიური ტომები, რომლებიც ინდოევროპულ ენათა ოჯახის ენებზე ლაპარაკობდნენ. მათ შორის მოწინავე მდგომარეობა დაიკავეს ლაციუმში მცხოვრებმა ლათინებმა, სადაც მათ დააარსეს (გადმოცემით ძვ.წ. 753 წელს) ქალაქი რომი (Roma). ლათინებმა პირველყოვლისა ენით ახლოს მდგომი უმბრები და ოსკები დაიმორჩილეს და მათი რომანიზაცია მოახდინეს. ძვ.წ. V-III სს-ში ლათინებმა დაიმორჩილეს ყველა დანარჩენი იტალიური ტომი: სამნიტები, მარსები, ვოლსკები, ეკვები და სხვ. თავიანთი სამკვიდრებელი ადგილიდან ჩრდილოეთით რომაელები არაიტალიურ ხალხებს შეეჯახნენ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანნი იყვნენ ეტრუსკები ანუ ტირსენები. ამ ხალხის წარმოშობა დღემდე გაურკვეველია. ფიქრობენ, რომ ეტრუსკები მცირე აზიიდან (ტროადან) იყვნენ გადმოსახლებულები, რომლებმაც ძვ.წ. VIII ს-ში თანამედროვე ტოსკანიის კოლონიზაცია მოახდინეს. ძვ.წ. V ს-დან დაწყებული, რომაელებმა თანდათან დაიმორჩილეს ეტრუსკები. მათ დაიქვემდებარეს აგრეთვე ვენეტები, რომლებიც იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ (ისინი რომს საბოლოოდ ძვ.წ. I ს-ში დაექვემდებარნენ) და ლიგურები (ცხოვრობდნენ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში ახ.წ. I ს-ში). მდ. პოს მინდვრებში მრავალრიცხოვანი კელტური ტომები მკვიდრობდნენ. ძვ.წ. I ს-ში რომაელებმა ეს ოლქიც დაიპყრეს. შემდეგ რომაელებმა კელტების ენობრივი და კულტურული ასიმილაცია მოახდინეს.

ნახევარკუნძულის სამხრეთსა და კუნძულებზე (სიცილია, სარდინია, კორსიკა) რამაელებმა დაიმორჩილეს სხვადასხვაენოვანი ხალხები: ბერძნები (რომლებიც გადმოსახლებულები იყვნენ ძვ.წ. VIII-VI სს-ში), იაპიგები, კართაგენელები, სიკანები. ამ ხალხებმა დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნეს თავიანთი ენები და სამხრეთის მკვიდრთა ლექსიკას მნიშვნელოვანი კვალი დააჩნიეს. ფრიად მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ბერძენთა გავლენა ჩამოყალიბების პროცესში მყოფ რომაულ კულტურაზე.

რომაელთა მიერ დაპყრობილი ოლქების მცხოვრებნი I-II სს-ში თითქმის უკვე ლათინურ ენაზე ლაპარაკობდნენ, უფრო სწორად, ე.წ. ხალხურ ლათინურზე. მაგრამ, თავის მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის ენებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ლათინურ ენაზე. ეს კარგად ჩანს ტოპონიმებით. ზოგიერთი იტალიური ადგილის სახელწოდებას ლიგურიული წარმოშობა აქვს.

რომის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ჩქარი რომანიზაცია რამდენიმე გარემოებით აიხსნება. ადგილობრივ მოსახლეობაზე რომაელთა კოლონიები მუდმივ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას ახდენდნენ. დამორჩილებულ ხალხებს რომის მოქალაქეობის უფლება ეძლეოდათ. იტალიის დაპყრობილ ოლქებში განლაგე-

ბული რომაელი ლეგიონერები ხანგრძლივად გაჩერებით ხელს უწყობდნენ ხალხური ლათინური ენის გავრცელებას. ამას გარდა, ლათინური აქ გამოიყენებოდა ადმინისტრაციულ სფეროში. ამრიგად, ძალიან დიდია ძველი რომის კულტურული როლი იტალიელი ხალხის ფორმირებაში, მისი კულტურისა და ენის ჩამოყალიბებაში.

რომის იმპერიის ეპოქაში იტალიის ხალხებმა ხუროთმოძღვრების ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი შექმნეს, რომლებიც ამშვენებს რომისა და იტალიის სხვა ქალაქებს. აღსანიშნავია ამ პერიოდის რეალისტური სკულპტურული პორტრეტები. ძვ.წ. I ს-ში, იმპერიის ეპოქაში, აყვავდა ლიტერატურა.

მართალია, რომაელებმა აპენინის ნახევარკუნძულის ხალხები დაიპყრეს, მაგრამ, იტალიაში ეთნიკური შერევა რომის იმპერიის დაცემამდე (V ს.) მაინც არ დამთავრებულა. დაიწყო რომანიზებული ხალხების შერევა „ბარბაროსებთან“. რომის იმპერატორები იტალიაში მასობრივად ასახლებდნენ სხვადასხვა წარმოშობის მონებსა და თავისუფალ ადამიანებს. მაგალითად, ახ.წ. II ს-ში იმპერატორმა მარკ ავრელიუსმა იმპერიის მიწაზე დაასახლა მარკომანები. იმპერატორმა პრობიუსმა (III ს-ის დასასრულს) იტალიაში დასახლების ნება დართო ბასტარანებს, გეპიტებს, ოსთგუთებსა და რამდენიმე სხვა გერმანულ ტომს. 370 წელს მდ. პოს მინდვრებში დამარცხებული ალემანები დაასახლეს. 377 წელს ჩრდილოეთ იტალიაში განთავსდნენ გუთები და ტაიფალები. რომაელებმა ყველა ამ ტომის ასიმილაცია მოახდინეს.

V ს-დან იტალიის რომანიზებული მოსახლეობის შერევას „ბარბაროს“ ტომებთან – უპირატესად გერმანელებთან ინტენსიური ხასიათი ჰქონდა. 402 წელს ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ჩრდილოეთ იტალიაში ვესტგუთები შეიჭრნენ, რომელთა წინამძღოლმა ალარიხმა 410 წელს რომი აიღო. 452 წელს იტალიაში შეჭრილმა ჰუნებმა ქვეყნის ჩრდილოეთი გაანადგურეს. 455 წელს რომი ვანდალებმა გაძარცვეს. 476 წელს გერმანული ტომის რუგიების ერთ-ერთმა მეთაურმა დასავლეთ რომის იმპერატორი – რომულ-ავგუსტული აიძულა უარი ეთქვა ტახტზე. ეს მოვლენა მიჩნეულია რომის იმპერიის დაცემად.

488 წელს იტალიაში ოსტგუთები შეიჭრნენ. მათი ბელადი თეოდორიხი 493 წელს გუთებისა და იტალიკების მეფედ გამოცხადდა. ოსტგუთების ლაშქრობას და სამხედრო თავდასხმას გერმანული და ზოგიერთი პროგერმანული ტომის იტალიაში გადასახლება მოჰყვა. თეოდორიხთან ერთად იტალიაში 100 ათასი ოსტგუთი და სხვადასხვა ტომის 50 ათასი კაცი მოვიდა. ოსტგუთებმა შექმნეს დიდი სამეფო, რომელიც ცენტრალური იტალიიდან დუნაიმდე იყო გადაჭიმული.

მან 555 წლამდე – ბიზანტიელების მიერ იტალიის დამორჩილებამდე იარსება. 568 წელს ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი აღმოსავლურმა გერმანულმა ტომებმა – ლანგობარდებმა (დაახლ. 200 ათასი) დაიპყრეს, რომლებთან ერთად იტალიაში სხვა ტომებიც (საქსები, სვევები, გეპიდები...) მოვიდნენ. ბიზანტიელთა გადასახადებითა და ბატონობით შეწუხებულმა აპენინის ნახევარკუნძულის მოსახლეობამ ახალმოსულებს სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწია. VII საუკუნისათვის იტალიის ნაწილი ლანგობარდების ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა, რომლებიც უფრო მჭიდროდ იყვნენ დასახლებულნი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში. ერთ-ერთ ოლქს აქ დღესაც ლომბარდია ეწოდება. ლომბარდიის სამეფომ 774 წლამდე იარსება. 774 წელს ის ფრანკთა მეფემ, კარლოს დიდმა დაიპყრო. ფრანკთა ხელისუფლება იტალიის მთელ ჩრდილოეთსა და შუა იტალიის ნაწილზე გავრცელდა.

აპენინის ნახევარკუნძულზე შემდეგ მიგრანტთა ახალი ტალღები შემოიჭრა. IX საუკუნეში არაბებმა სიცილია დაიპყრეს და გაძარცვის მიზნით თავდასხმებს აწყობდნენ სამხრეთსა და ცენტრალურ იტალიაში. IX ს-ის დასაწყისში ჩრდილოეთ იტალიაში უნგრელები შემოიჭრნენ, რომლებიც X ს-ის შუა ხანებში იტალიის სამხრეთ რაიონებამდე მოვიდნენ. უნგრელების დაპყრობები მხოლოდ X ს-ის II ნახევარში შეწყდა, როდესაც ქვეყნის სამხრეთი ოლქები ნორმანებმა დაიპყრეს.

იტალიის რთული პოლიტიკური ბედი მის ეთნიკურ ისტორიაზეც აისახა. **ექვსი მშფოთვარე საუკუნის (V-X) შემდეგ რომაელები, როგორც ხალხი, აღარ არსებობდნენ. ამ საუკუნეებში მიმდინარეობდა დამპყრობლებისა და დამორჩილებული იტალიელი ხალხის ინტენსიური შერევა. უფრო მაღალი კულტურის რომაელებმა ბარბაროსები თავიანთ კულტურულ გავლენას დაუმორჩილეს.** ჰუნებმა და ვანდალებმა იტალიურ კულტურასა და ენას მნიშვნელოვანი კვალი ვერ დააჩნიეს. ვესტგუთური ენიდან იტალიურში მხოლოდ რამდენიმე სიტყვა (სამხედრო ტერმინი) შევიდა. ასევე მცირეა ოსტგუთური ენის კვალი ლათინურ ენაში.

რომაულ კულტურას მნიშვნელოვანი კვალი მხოლოდ ბიზანტიელებმა დააჩნიეს. მათი ბატონობის პერიოდში იტალიურ კოსტიუმში რამდენიმე ბერძნულ-აღმოსავლური ელემენტი შეიჭრა. ბიზანტიელებმა გავლენა მოახდინეს იტალიის მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაზე, იტალიურ ფერწერასა და არქიტექტურაზე, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი იტალიური ენის ლექსიკაზე.

იტალიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფრანკულ დაპყრობებს. ფრანკებმა თან მოიტანეს

მათთან უკვე ჩამოყალიბებული ფეოდალური სამართალი და გლეხის მიწაზე მიმაგრების პროცესი დააჩქარეს. უფრო ადრე ლანგობარდებმა მონათმფლობელთა ზედაფენა გაწყვიტეს და ბოლო მოუღეს მონათმფლობელურ წყობილებას. დამპყრობელთაგან ლათინური ენის ლექსიკა ყველაზე მეტად ლანგობარდებმა გაამდიდრეს. ეს ძირითადად სამხედრო ტერმინებს ეხება; მაგრამ ლანგობარდებზე იტალიურმა კულტურამ შეუდარებლად უფრო დიდი გავლენა მოახდინა, ვიდრე ლანგობარდულმა იტალიურზე. უკვე VII ს-ში ლანგობარდებმა დაიწყეს ლათინური ენის შეთვისება, შემდგომ კი მათ ბევრი რომაული წეს-ჩვეულება გაითავისეს.

VI-X სს-ში ზემოთ აღწერილი ეთნიკური შეჯახებებისა და შერევების შედეგად ჩამოყალიბდა იტალიური ხალხური ენა, რომლის საფუძველს ხალხური ლათინური შეადგენდა. ეს იყო მნიშვნელოვანი მომენტი იტალიელი ხალხის ცხოვრებაში. იტალიური ენა დიდი ხნის განმავლობაში უმწერლობო ენად რჩებოდა, რადგან ოფიციალურ ენას ყველა მმართველის დროს იტალიაში სალიტერატურო ლათინური ენა წარმოადგენდა. პირველი წერილობითი ძეგლი ხალხურ იტალიურ ენაზე იყო X საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილი რამდენიმე სასამართლო აქტი.

XI საუკუნისათვის ჩრდილოეთ და შუა იტალიაში იტალიელთა მიერ გერმანული ელემენტის ასიმილაცია დამთავრდა. XII საუკუნეში მოხდა სამხრეთ იტალიაში მცხოვრები ნორმანების ჩაყლაპვა, XIII ს-ში კი – ბერძნებისა და სარაცინებისა (არაბების). XII ს-ში იტალიელების მიერ გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში ჩამოყალიბდა ნაციონალური თვითშეგნება. სწორედ ამ პერიოდში იტალიაში გაერთიანების ტენდენცია გაჩნდა.

იტალიური სალიტერატურო ენის ჭეშმარიტ შემქმნელებად სამართლიანად მიიჩნევა XIV ს-ის სამი დიდი მწერალი („ტრეჩენტო“) – დანტე, პეტრარკა და ბოკაჩო, რომლებიც არა მარტო თვითონ წერდნენ ტოსკანურ დიალექტზე, არამედ იბრძოდნენ, რათა ის გადაქცეულიყო საერთო ნაციონალურ სალიტერატურო ენად. პეტრარკა თავისი სონეტით „იტალია ჩემო“ თანამემამულეებს პოლიტიკური გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა. აღორძინების ეპოქის იტალიური სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა მსოფლიო კულტურის საგანძურშია შეტანილი. XIII საუკუნიდან არქიტექტურაში, თავდაპირველად კი – საეკლესიო არქიტექტურაში, გოთურმა სტილმა გაიმარჯვა. აღორძინების ეპოქაში ისეთი არქიტექტურული ნაგებობანი შეიქმნა, რომლებზედაც აშკარად იგრძნობა ანტიკურობის გავლენა. აღორძინების ხანის დიდი წარმომადგენლების შემოქმედებაში – **ლეონარდო და ვინჩი (1442-1519 წწ.), მიქელანჯელო ბუონაროტი (1475-1564 წწ.), რაფაელ**

სანტი (1483-1520 წწ.), ტიციანი (1477-1576 წწ.) გამოხატულია იტალიელი ხალხის ესტეთიკური იდეალი. XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნეში აყვავდა იტალიური ლიტერატურაც (მაკიაველი, პროიტო, პიეტრო ბემბო, კასტილონე...). საერთოდ იტალია აღორძინების სამშობლოდ ითვლება. ჯერ კიდევ **XI ს-ში იტალიელმა ბერმა გავიდო დ'არეცომ თანამედროვე სანოტო დამწერლობა შექმნა,** რამაც საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ხალხთა მუსიკალური მემკვიდრეობის შენარჩუნების შესაძლებლობა შექმნა. იტალიაში რენესანსის პირველმა ნიშნებმა თავი XIII საუკუნის II ნახევარში იჩინა (ფლორენცია, სიენა). სინთეტიკური ხელოვნების ისეთი სახე, როგორიცაა ოპერა, აღორძინების ეპოქის ჰუმანისტური იდეების ზეგავლენით XVI საუკუნის ბოლოს – ფლორენციაში წარმოიშვა. იტალია, საფრანგეთთან ერთად, თანამედროვე ევროპული ბალეტის სამშობლოცაა. იტალიელთა მიერაა შექმნილი (1709-1714 წლებში) ისეთი მუსიკალური ინსტრუმენტი, როგორიცაა ფორტეპიანო. XIX ს-ში მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი იტალიელი კომპოზიტორები, როგორებიც არიან **ჯოაკინო როსინი (1792-1868 წწ.) და ჯუზეპე ვერდი (1813-1901 წწ.).**

ამ ეპოქაში იტალიელებში პოლიტიკური და ნაციონალური გაერთიანების აუცილებლობის შეგნებამ გაიღვიძა. იწერებოდა ნაწარმოებები, რომლებიც ეძღვნებოდა ქვეყნის ისტორიას; აგრეთვე პოლიტიკური ტრაქტატები, რომელთა ავტორები კიცხავდნენ სეპარატიზმს და ქვეყნის ერთი მონარქის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებისაკენ მოუწოდებდნენ. ეს იდეები ყველაზე ნათლად გამოხატულია **მაკიაველის** ტრაქტატში „ხელმწიფე" (1513 წ.). პოლიტიკური გაერთიანების მცდელობა იმ დროისათვის წარუმატებელი გამოდგა. პირიქით, XVI ს-ის მეორე ნახევარში იტალიის უმეტესი ნაწილი ესპანეთის ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა.

იტალიის გაერთიანებაში დიდი როლი ითამაშა ხალხმა, რომლის ეროვნული გმირი **ჯუზეპე გარიბალდი** იყო. 1860 წელს გარიბალდის რევოლუციურ ლაშქრობებს ნეაპოლსა და სიცილიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ერთიანი იტალიის სამეფოს შესაქმნელად. გაერთიანება 1870 წელს დამთავრდა.

იტალიაში, მაღალგანვითარებული მრეწველობის მიუხედავად, შემოინახა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები: სახნავი მიწათმოქმედება, მევენახეობა, მებაღეობა (მათ შორის ციტრუსების), მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონლის მოშენება. მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავთ: ხორბალი, სიმინდი და ბრინჯი.

იტალიელები გზების შესანიშნავი მშენებლები არიან. ეს ტრადიცია ჯერ კიდევ რომაული პერიოდიდან მოდის. დღეს იტალიაში საავტომობილო გზების სიგრძე 300 ათას კილომეტრს აღწევს.

იტალიელთა დაახლოებით ნახევარი ქალაქებში ცხოვრობს, სადაც შემონახულია სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურული ძეგლები (რომი, ვენეცია, ფლორენცია, ნეაპოლი, მილანი და სხვ.). სამხრეთ იტალიისათვის დამახასიათებელია დიდი, ერთად შექუჩებული მჭიდრო სასოფლო დასახლებანი. ბევრი მათგანი მდებარეობს ბორცვზე (გორაკზე), რომელიც ხშირად ქვის კედლებითაა შემოსაზღვრული. ჩრდილოეთში ხშირია გაფანტული დასახლებანი. მთელ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი გორაკებიან მხარეებში, გავრცელებულია ხუტორული ტიპის დასახლებანი ხუთი-ათი სახლით. სოფლის საცხოვრებელი სახლები ძირითადად ქვითაა აშენებული.

მრავალფეროვანია იტალიური ტრადიციული სამზარეულო. განსხვავებაა სამხრეთელთა და ჩრდილოელთა, ქალაქელთა და სოფლელთა საკვებს შორის. პოპულარულია მაკარონისაგან დამზადებული სადილები. ცხიმებიდან ძირითადად ზეითუნის ზეთს იყენებენ. იტალიელებს უფრო ღორის ხორცი უყვართ. ჩრდილოეთში ხშირად აცხობენ სიმინდის პურს. სადილობისას ხშირად სვამენ მშრალ ღვინოს. იტალიურ ღვინოებს მსოფლიო აღიარება აქვს მოპოვებული. ემილია-რომანიას პროვინცია ცნობილია ძეხვებით, ტოსკანა – ბივშტექსით. რომაელები სახელგანთქმულნი არიან შემწვარი გოჭებით. ნიაპოლიტანური წარმოშობისაა პიცა.

იტალიაში საქორწინო ასაკი ქალებისათვის 14 წლით განისაზღვრება, მამაკაცებისათვის – 16 წლით, მაგრამ სინამდვილეში აქ საქორწინო ასაკი ქალებისათვის 20-დან 25 წლამდე მერყეობს, მამაკაცებისათვის – 25-დან 30 წლამდე. დღეისათვის კანონი ცნობს ქორწინების სამ ფორმას: სამოქალაქოს, რელიგიურ-კათოლიკურს და რელიგიურ-არაკათოლიკურს. 1929 წელს რომის პაპსა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული კონკორდატით საეკლესიო ქორწინებას იურიდიული ძალა აქვს. ჩვეულებრივ, ცოლი ქმრის გვარს იღებს. ქორწინებისას, ტრადიციით, აუცილებელია მშობლების თანხმობა. გლეხები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ახალდაბადებულისათვის სახელის შერჩევას, რადგან მიიჩნევენ, რომ კარგი სახელი კარგი ბედის მომასწავებელია. ბევრ ადგილას არსებობს ტრადიცია ოჯახში დაბადებულ პირველ ბიჭს დაარქვან პაპის სახელი (მამის მხრიდან), გოგონას – ბებიის სახელი (მამის მხრიდან). მესამე და მეოთხე ბავშვს არქმევენ პაპისა და ბებიის სახელს დედის მხრიდან, მეხუთეს – მამის ძმის სახელს და ა.შ. ამ ტრადიციის გამო ოჯახში ხშირად გვხვდებიან ერთი და იმავე სახელის მატარებელნი.

დაკრძალვის წეს-ჩვეულებებიდან ბევრი ძველი იტალიური ტრადიციაა შემორჩენილი. მაგალითად, ზოგიერთ ცენტრალურსა და სამხრეთ რაიონში გვამს ღვინითა და ძმრით განბანენ. შუა საუკუნეებში

თითქმის მთელ იტალიაში გავრცელებული იყო მიცვალებულთა დატირება (voceri). XX საუკუნეში მას ჯერ კიდევ მკაცრად იცავდნენ სარდინიაში, პიემონტში, კალაბრიაში, აპულიაში. დღეს ეს წესი მხოლოდ სარდინიაშია შემორჩენილი. დაკრძალვისას იწვევდნენ სპეციალურ მომტირლებს. გარგანოში, გლოვის ნიშნად, მამაკაცები რამდენიმე თვის განმავლობაში წვერს არ იპარსავენ.

იტალიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა (99%) კათოლიკეა. იტალიაში ცხოვრობს აგრეთვე დაახლოებით 300 ათასი პროტესტანტი (პიემონტში) და 35 ათასი იუდეველი (რომში, გენუაში, ფლორენციაში, ვენეციაში, ლივორნოში). მართალია, კათოლიკური ეკლესია ფორმალურად სახელმწიფოსაგან გამოყოფილია, მაგრამ ის ხალხის ცხოვრების ბევრ მხარეზე დიდ გავლენას ახდენს. **იტალიის დედაქალაქში არის განსაკუთრებული სახელმწიფო – ვატიკანი.** ვატიკანისა და მთელი მსოფლიოს კათოლიკეების მეთაურია რომის პაპი. სახელმწიფოს ფართობი სულ 44 ჰექტარია, მოსახლეობა კი ერთი ათასია. ესენი არიან პაპის კარდინალები, მოსამსახურეები და გვარდია. სახელმწიფო სიმაგრის შესასვლელს შვეიცარული გვარდიელები იცავენ, რომლებიც შუა საუკუნეების ბრწყინვალე კოსტიუმებში არიან გამოწყობილნი. ვატიკანშია მსოფლიოში ყველაზე დიდი კათოლიკური ტაძარი, რომელიც წმ. პეტრეს სახელობისაა და რომლის მშენებლობა 100 წელზე მეტხანს გრძელდებოდა – XV ს-ის ბოლოდან XVII ს-ის დასაწყისამდე. იტალიელთა რელიგიურ აღზრდაში დიდ როლს თამაშობენ კათოლიკე მღვდლები, რომლებიც საშუალო სასწავლო დაწესებულებებში ასწავლიან. იტალიაში მოსახლეობის განათლების საერთო დონე მაღალია. XVI ს-ში აქ დააარსეს პირველი მეცნიერებათა აკადემია – „აკადემია დეი ლინჩეი“. **ევროპაში ყველაზე უძველესია XII ს-ში დაარსებული ბოლონიის უნივერსიტეტი. ოდნავ გვიან გაიხსნა უნივერსიტეტები პადუაში, ნეაპოლში, რომში, პიზაში და სხვაგან. მსოფლიოში უძველესად ითვლება რომის კონსერვატორია, რომელიც 1570 წელსაა დაარსებული.** სოფლის მცხოვრებნი უფრო მეტად რელიგიურები არიან, ვიდრე ქალაქის მკვიდრნი. ყველა სოფელს თავისი „მფარველი“ ჰყავს. რიგ დღესასწაულებში ქრისტიანული წეს-ჩვეულებები წარმართულთანაა გადაჯაჭვული. **იტალია კარნავალების სამშობლოა**. ამ ხალხურ დღესასწაულებში შეიმჩნევა როგორც ქრისტიანობამდელი ფესვები, ისე ახალი დროის ქროლვა. იტალიელთა ზეპირი ხალხური შემოქმედება მდიდარი და მრავალმხრივია. ჩრდილოეთში გავრცელებულია ეპიკური პოემები, სამხრეთში – ლირიკული ლექსები. იტალიელი ფოლკლორისტები მიიჩნევენ, რომ ეს პოემები კელტების ეპოსიდან მოდის. ზოგიერთ ადგილას ჯერ კიდევ ცეკვავენ იტალიურ ხალხურ ცეკვებს, რომლე-

ბიც გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით, ტემპერამენტითა და სილამაზით.

იტალიელი ხალხის შესახებ ჩვენი წარმოდგენა სრულყოფილი არ იქნება, თუ მათი წინაპრების, ძველ რომაელთა, ყოფისა და კულტურის შესახებ რამდენიმე სიტყვას არ ვიტყვით. ცნობილია, თუ რაოდენ მაღალი კულტურა შექმნეს მათ. ძველ იტალიელთა შთამბეჭდავ მიღწევებს ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით ხსნიან. ჩრდილოეთ იტალიის დაბლობი ცნობილი იყო თავისი უხვი მოსავლით (ხორბალი, ქერი, ფეტვი, ხილი, ყურძენი). **ძველი რომაელები დიდი სახელმწიფოებრივი თვითშეგნებითაც გამოირჩეოდნენ. ძვ.წ. II საუკუნის შესახებ პოლიბიოსი წერდა, რომ რომაელები უფრო მეტად სახელმწიფოზე ზრუნავენ, ვიდრე თავიანთ პირად გამორჩენაზეო.**

ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნის ბერძენი ავტორი, რეგიონალური გეოგრაფიის ფუძემდებელი სტრაბონი რომის შესახებ აღნიშნავდა (მასში მთელ იტალიას გულისხმობდა), რომ რომაელებმა მნიშვნელოვან სიმაღლეებს მიაღწიეს, რადგან ქვეყნის უშიშროებას უზრუნველყოფს ზღვები, რომლებიც, რამდენიმე ოლქის გამოკლებით, მას გარს აკრავს, მაგრამ ხმელეთის მხრიდანაც ის ძნელად გამავალი მთებით იყო დაცული. თუმცა სტრაბონი ამასთან ერთად რომაელთა შრომისმოყვარეობასაც აღნიშნავდა.

რომაელები გზების, წყალგაყვანილობის სისტემების შესანიშნავი მშენებლებიც იყვნენ, რასაც ბერძნები ყურადღებას არ აქცევდნენ.

რომის იმპერიის ტერიტორიულმა გაფართოებამ როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მიმართულებით, სხვადასხვა ხალხებთან კონტაქტებმა რომაელთა წეს-ჩვეულებებიც მრავალფეროვანი გახადა. ვეებერთელა სახელმწიფოს მილიონიან დედაქალაქს არსებობა არ შეეძლო იმპორტის გარეშე. პური (ხორბალი) რომაელებს სიცილიიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან შემოჰქონდათ. რომაელები ხშირად მიირთმევდნენ გიბრალტარში დაჭერილ თევზს, ნაირნაირ კერძებს კი აფრიკულ ზეთზე ამზადებდნენ. მათ დასამზადებლად სპილენძის ქვაბებსა და ქოთნებს იყენებდნენ. ადგილობრივი ღვინის გარდა, ძველი რომაელები ესპანურ და გალიურ ღვინოებსაც მიირთმევდნენ. კერძებს კაზმავდნენ ინდოეთიდან შემოტანილი წიწაკითა და ათენური თაფლით. მაგიდასთან აფრიკული ციტრუსები ესპანური ვერცხლის ლანგრებით მიჰქონდათ, ხოლო სიცილიურ ღვინოს სირიულ მინის ჭურჭელში ასხამდნენ. მდიდარი მოქალაქეები მილეთური შალისა (მატყლის) და ეგვიპტური ტილოს ქსოვილისაგან შეკერილ ტანსაცმელს ატარებდნენ. მათთვის უცხო არ იყო ჩინური აბრეშუმი, რომელსაც ინდოეთიდან შემოტანილი ალმასებითა და მარგალიტებით

რთავდნენ. მდიდარი რომაელების სახლის კედლები ფერადი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული, რომელსაც მცირე აზიაში მოიპოვებდნენ.

იტალიიდანაც ბევრი საქონელი გაჰქონდათ: კერამიკული ნაწარმი, მეტალის ნაკეთობანი, კარგი ღვინო... მაგრამ ექსპორტის იმპორტთან შედარება მაინც არ შეიძლებოდა. პლინიუს უფროსის სიტყვით, ინდოეთიდან, არაბეთიდან და ჩინეთიდან შემოტანილი საქონელი ყოველწლიურად 550 მილიონ სესტერციას შთანთქავდა.

იტალიელთა წინაპრები მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მებაღეობას, მესაქონლეობას, მეფუტკრეობას. ახალი წელთაღრიცხვიდან იტალიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მესაქონლეობის როლი მას შემდეგ, რაც სიცილიიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან უფრო იაფი ხორბლის შემოტანა დაიწყეს.

რომაელებმა, ბერძნებისაგან განსხვავებით, ადრე დაიწყეს ფიქრი გზების მშენებლობაზე. ისინი საზღვაო გზებითაც სარგებლობდნენ, მაგრამ ბერძნებისაგან განსხვავებით, ზღვა არ უყვარდათ. რომაელები ბევრს მოგზაურობდნენ. სასწავლებლად საბერძნეთში მიემგზავრებოდნენ. ამ თვალსაზრისით მათ სამსახურს უწევდა შესანიშნავი საკომუნიკაციო სისტემა, გზები და ხიდები. თაღიანი ხიდების მშენებლობა რომაელებმა ეტრუსკებისაგან ისწავლეს. დღემდე შემონახული ხიდები ცხადყოფს, რომ ამ სფეროში რომაელთა მიღწევები დიდი იყო. მაგალითისთვის მდ. დუნაიზე ტრაინის ხიდის დასახელებაც იკმარებს, რომლის სიგრძე კილომეტრზე მეტი და სიგანე 13-19 მეტრი იყო. მგზავრობისას რომაელები სარგებლობდნენ როგორც ორბორბლიანი, ისე ოთხბორბლიანი ეტლებით.

რომაელთა ოჯახი საზოგადოების მტკიცე სოციალური უჯრედი იყო, რომელშიც განუსაზღვრელი უფლებებით ოჯახის მამა – „ფატერ ფამილიას“ სარგებლობდა. როგორც საბერძნეთში, ისე რომში ქალს სამოქალაქო უფლებები არ ჰქონდა, მაგრამ კერძო სფეროში ქალი ბევრად მეტი უფლებით სარგებლობდა, ვიდრე კლასიკურ საბერძნეთში. რომაელი ქალი თავისუფლად დადიოდა საზოგადოებაში, სტუმრად, სადღესასწაულო მიღებებზე, რაზედაც ბერძენ ქალებს ფიქრიც კი არ შეეძლოთ.

ქალიშვილისთვის ქმარს მამა მომავალი სიძის მამასთან შეთანხმებით ირჩევდა. თეორიულად საქორწინო ასაკობრივი ბარიერი ძალიან დაბალი იყო (საქმრო აუცილებლად 14 წლის უნდა ყოფილიყო, საპატარძლო – 12-ის), მაგრამ რეალურად მამაკაცები გვიან ქორწინდებოდნენ, რადგან სწავლობდნენ და სამხედრო სამსახურს გადიოდნენ. რომაელთა საქორწილო წეს-ჩვეულებები მჭიდროდ იყო დაკავშირე-

ბული ღმერთების კულტთან. ძველ იტალიელთა არც ერთი დღესასწაული არ ტარდებოდა მკითხაობისა და მსხვერპლშეწირვის გარეშე.

დღევანდელი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ანთროპონიმიულ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მემკვიდრეობით სახელს (გვარსახელს). იტალიელთა წინაპარი ძველი რომაელებისათვის ის უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი. თავდაპირველად, ისევე როგორც ყველა ინდოევროპელი ხალხის, რომაელთა ანთროპონიმიული სისტემაც ერთწევრიანი იყო. ძვ.წ. დაახლოებით 600 წლამდე აქ ადამიანი მხოლოდ საკუთარ სახელს ატარებდა. შემდგომ ეტრუსკების გავლენით რომაელთა ანთროპონიმიული სისტემა ჯერ ორწევრიანი, შემდეგ კი სამწევრიანი გახდა. მაგალითად: გაიუს სემპრონიუს გრახკუსი, რომელშიც პირველი წევრი იყო ინდივიდუალური სახელი (პრენომენ), მეორე – გვაროვნული სახელი (ნომენ გენტილე) და მესამე (ახ.წ. დაახლ. 300 წლიდან) – მეტსახელი ანუ შერქმეული სახელი (კოგნომენ). ჩვეულებრივ, სამწევრიან რომაულ ანთროპონიმიულ ფორმულას ხშირად ემატებოდა კიდევ ერთი ინდივიდუალური სახელი – აგნომენი (მაგალითად, ბარტბატუსი – "წვეროსანი").

პირად სახელს (პრენომენს), განსაკუთრებით ადრეულ დოკუმენტებში, ხშირად ახლდა მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაში, რომლის გასწვრივ შემოკლებით იწერებოდა სიტყვა „ფილიუს“ (შვილი). თავდაპირველად კოგნომენი, როგორც პირადი (ინდივიდუალური) მეტსახელი, მემკვიდრეობით არ გადადიოდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ადრეული პერიოდიდან კოგნომები გვარის შიგნით ცალკეულ შტოებს აღნიშნავდა და მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ამით ის ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებს ქართული გვარების დანაყოფებთან (მამიშვილობებთან), რომლებიც ფაქტობრივად მეორე მემკვიდრეობით სახელებს წარმოადგენდნენ.

რომში არსებობდა ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომლებიც საისტორიო წყაროებით ძვ.წ. II საუკუნიდანაა დადასტურებული. იტალიაში ეს ორგანიზაციები ცნობილი იყო „იუვენესის“, „იუვენტუსის“ (ახალგაზრდული, ახალგაზრდობა) სახელწოდებით. რომში, ათენისაგან განსხვავებით, ახალგაზრდული ორგანიზაციებისადმი მიკუთვნებულობა ნებაყოფლობითი იყო.

რომაელები ბევრ საუკეთესო ხარისხის ღვინოს სვამდნენ. მათი საყვარელი სასმელი იყო მულსი (თაფლთან შერეული ღვინო). ჰორაციუსი ხოტბას ასხამდა საუკეთესო იტალიურ ღვინოებს. ღვინო რომში ყოველდღიური ტრაპეზის აუცილებელი ელემენტი იყო. მასზე მონებიც კი არ ამბობდნენ უარს.

რომაელები თავისუფალ დროს სპორტს, ნადირობას და საუბრებს უთმობდნენ; განსაკუთრებით სანახაობებზე დასწრება უყვარდათ. სა-

ნახაობა კი ბევრი იყო: თეატრი, გლადიატორთა ბრძოლა, ცირკი, ეტ-ლებით რბოლა, აკრობატების გამოსვლა.

რომში, ისევე როგორც ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვა ქვეყნებში, თავდაპირველად დაკრძალვის მიღებული წესი მიცვალებულის მიწა-ში დაფვლა იყო. მაგრამ ძვ.წ. V ს-ის საისტორიო წყაროებში უკვე იხსენიება დაკრძალვის სხვა წესი – გვამის კოცონზე დაწვა. შემდეგ აქ დაკრძალვის ორივე ფორმა თანაარსებობდა, მაგრამ რომაელები მაინც მიცვალებულის დაწვას ანიჭებდნენ უპირატესობას. ისინი ქი-რაობდნენ მომტირლებსა და ფლეიტაზე დამკვრელებს, აგრეთვე ადამიანებს, რომლებსაც კუბო უკანასკნელ განსასვენებელ ადგილა-მდე მიჰქონდათ. ადამიანი, რომელიც მიცვალებულს შეეხებოდა, ისე-ვე როგორც საბერძნეთში, რიტუალურ განწმენდას ახორციელებდა. ძველი იტალიელები მიცვალებულს სამიდან შვიდ დღემდე ინახავდ-ნენ. რაც შეეხება ღატაკებს, მათ გარდაცვალებისთანავე, ყოველგვა-რი ცერემონიალის გარეშე ღამით კრძალავდნენ. ძვ.წ. III ს-მდე მიც-ვალებულის დაკრძალვა მზის ჩასვლამდე ხდებოდა. გლოვის სიმბო-ლო იყო შავი ან მუქი ფერის ტანსაცმელი. გვიან, იმპერიის ეპოქაში, მწუხარების ნიშნად, ქალები თეთრი ტანსაცმლითა და გაშლილი თმებით მისდევდნენ ცხედარს.

ისევე როგორც საბერძნეთში, ძველ იტალიაშიც არც ერთი დღესა-სწაული სიმღერის, მუსიკისა და ცეკვის გარეშე არ ჩაივლიდა. იტა-ლიელები სიმღერებითა და ცეკვებით მიაგებდნენ პატივს ღმერთებს. ბევრი პროფესიონალი მოცეკვავე და მომღერალი წარმოშობით საბე-რძნეთიდან, ეგვიპტიდან, სირიიდან, ესპანეთიდან იყო. მათი წარმო-შობის მიუხედავად, ძველ რომში მუსიკოსები პრივილეგიებით სარგე-ბლობდნენ. მაგალითად, ცნობილ მუსიკოსებსა და მომღერლებს დი-დებულთა გვარის წარმომადგენლებთან მეგობრული კავშირების და-მყარება შეეძლოთ.

რომაელთა დღესასწაულები, ისევე როგორც საბერძნეთში, ადგი-ლობრივ რწმენა-წარმოდგენებთან, კულტებთან და რელიგიურ წეს-ჩვეულებებთან იყო დაკავშირებული. ძველმა იტალიელებმა ანთრო-პომორფიზმი არ იცოდნენ და მხოლოდ მოგვიანებით, ჯერ ეტრუსკე-ბის, შემდეგ კი ბერძენთა გავლენით, მათ თავიანთი ღმერთების ადა-მიანების სახით წარმოდგენა დაიწყეს.

ძველი იტალია განთქმული იყო თეატრებით. სხვათა შორის, იტა-ლიის ბევრ ქალაქში თეატრები უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე თვით რომში, რომელთაგანაც უძველესად პომპეის თეატრი ითვლება. ის დაახლ. ძვ.წ. 80 წლით თარიღდება. მას შეეძლო ერთდროულად 15 ათასი მაყურებელი დაეტია. თეატრალური ხელოვნების განვითარება შუა საუკუნეებშიც გრძელდებოდა. ამ დროს აქ არაერთი სახალხო

თეატრი იყო. შემდეგ დიდი პოპულარობა მოიპოვა თოჯინების თეატრმა. იტალიაში XIX ს-ში 400-ზე მეტი თოჯინების თეატრი იყო.

რომი ცნობილი იყო გლადიატორთა ბრძოლებით, რაც ამფითეატრებში ხდებოდა. თუმცა, როცა იტალიაში ამფითეატრების მშენებლობა დაიწყეს, გლადიატორთა ბრძოლებს დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდა. პირველ გლადიატორებს ბუსტუარიებს უწოდებდნენ, რაც გლადიატორთა თამაშების დაკრძალვის ცერემონიალთან თავდაპირველ კავშირზე მიუთითებს („ბუსტუმ“ – კოცონი, რომელზედაც მიცვალებულებს წვავდნენ). ფიქრობენ, რომ გლადიატორთა ბრძოლის წეს-ჩვეულება რომში ეტრურიიდან (სხვა ვერსიით კამპანიიდან) შევიდა, სადაც ის ასევე რელიგიურ-საწესჩვეულებო ხასიათს ატარებდა. მოგვიანებით გლადიატორთა თამაშების მოწყობა სხვა საბაბით დაიწყეს – ისინი ზოგიერთი დღესასწაულის სანახაობით პროგრამაში შეიტანეს. გლადიატორებს არჩევდნენ სამხედრო ტყვეებიდან, დამნაშავეებიდან, რომელთაც სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი. გლადიატორებად იწვევდნენ გაღარიბებულ თავისუფალ ადამიანებსაც. ისტორიულად, თუ პირველად დაფიქსირებულ თამაშში სამი წყვილი მონაწილეობდა, შემდეგ თანდათან გლადიატორთა რაოდენობა მატულობდა და ის ასეულობით და ათასეულობით განისაზღვრებოდა. რომაელებს ისე იზიდავდა სისხლიანი ბრძოლები, რომ დროთა განმავლობაში მასში მხეცებიც (ლომები, ვეფხვები) ჩართეს. რომაელებს ისევე უყვარდათ ზოგიერთი გლადიატორი, როგორც დღეს – სპორტსმენები და ესტრადის მომღერლები. მოასპარეზეთა ვინაობას მოქალაქეები წინასწარ, აფიშების საშუალებით იგებდნენ. ისინი გულშემატკივრობდნენ საყვარელ გლადიატორებს. გლადიატორთა ბრძოლის პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ მას უდიდეს ამფითეატრებში აწყობდნენ. მაგალითად, რომის კოლიზეუმი, რომელიც ახ.წ. 70-იან წლებში ააგეს, 45 ათას მაყურებელს იტევდა. ძველ იტალიაში გლადიატორთა თამაშების პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ აქ 99 ამფითეატრი იყო.

რომში ეწყობოდა აგრეთვე ათლეტთა, მორბენალთა შეჯიბრებები. საბერძნეთის ცხენოსანთა ასპარეზობამ რომში საცირკო წარმოდგენების სახით გააგრძელა არსებობა. საცირკო წარმოდგენები რომში უდიდეს სტადიონებზე ეწყობოდა. იმპერიის დაცემის შემდეგ უკანასკნელი საცირკო წარმოდგენა ოსტგუთების მეფე ტოტილამ მოაწყო 549 წელს.

2.13. სარდინიელები

სარდინიელები იტალიაში, ხმელთაშუა ზღვაში მდებარე კუნძულ სარდინიაზე მკვიდრობენ. სარდინიას კუნძულ კორსიკისაგან 12-16 კი-

ლომეტრიანი სრუტე გამოყოფს. მათი თვითსახელწოდებაა **სარდოს** (**Sardos**), იტალიურად – **Sardi**. უკანასკნელი მონაცემებით სარდინიელთა რაოდენობა 1,5 მილ. კაცია. მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას. ლაპარაკობენ სარდინიულ ენაზე, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანულ ჯგუფში შედის. ჩრდილოეთ სარდინიელებს ენობრივი და კულტურული თვალსაზრისით ბევრი რამ აქვთ საერთო კორსიკელებთან. სარდინიული ენა რომანულ ენებს შორის ყველაზე ახლოს დგას ლათინურ ენასთან. XX საუკუნის მეორე ნახევარში სარდინიაში გაიშალა მოძრაობა ენობრივი აღორძინებისათვის, რადგან მიაჩნიათ, რომ ათასწლეულების განმავლობაში ვერც ერთმა დამპყრობელმა ვერ შეძლო სარდინიელთა ეთნიკური სპეციფიურობის განადგურება. დღეს კი ამას ერთდროულად ინდუსტრია, ტურიზმი და იტალიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ანხორციელებენ. სარდინიელები ფლობენ იტალიურ ენასაც. სარწმუნოებით კათოლიკეები არიან.

ძვ.წ. II და I ათასწლეულების მიჯნაზე სარდინიაში მკვიდრობდა ხალხი, რომელთა ეთნონიმიც **შარდანი** იყო. მეცნიერები ფიქრობენ, რომ აქ ისინი მცირე აზიიდან იყვნენ მიგრირებულნი. კუნძულის სახელწოდება სწორედ ამ ხალხისაგან მომდინარეობს. ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში დასავლეთ და სამხრეთ სარდინიაში კოლონიები დააარსეს ფინიკიელებმა. **ძვ.წ. VI ს-ში კუნძულის მთელი სანაპირო და ბარის რაიონები კართაგენელებმა დაიპყრეს, მისი მცხოვრებნი კი პუნიზირებულნი იქნენ. ძვ.წ. 238 წ. სარდინია რომაელთა სამფლობელო გახდა და მისმა ნარევმა მოსახლეობამ, რომელსაც ანტიკური წყაროები სარდებს უწოდებდნენ, რომანიზაცია განიცადა** (თანამედროვე რომანულ ენებს შორის სარდინიული ყველაზე ახლოსაა ლათინურ ენასთან). რომაელთა შვიდსაუკუნოვანმა ბატონობამ ღრმა კვალი დააჩნია სარდინიელთა ეთნიკურ კულტურას.

ადრე შუა საუკუნეებში სარდინიამ ვანდალების, ოსტგუთების, ლანგობარდების, ბიზანტიელების დაპყრობები განიცადა. კუნძულის მცხოვრებთ ხშირად არაბებიც ესხმოდნენ თავს. IX ს-დან ორი ასეული წლის განმავლობაში სარდინიელები იზოლაციაში აღმოჩნდნენ – ისინი ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ. ამ საუკუნეებში კუნძულზე შექმნილ სიტუაციას ერთ-ერთი მეცნიერი შემდეგნაირად განსაზღვრავდა: **„სარდები არაფერს არ ყიდდნენ, არაფერს ყიდულობდნენ, ჭამდნენ ცოტას, იმოსებოდნენ მხოლოდ სახლებში დამზადებული სამოსით“.** XI-XII სს-ში სარდინიელები იტალიის რესპუბლიკების – გენუას და პიზის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენის ქვეშ იყვნენ. 1326-1708 წლებში სარდინია ხანგრძლივად ესპანელთა (კატალონიელების, კასტილიელების) მფლობელობაში იყო. კუნ-

ძულის მკვიდრნი კოლონიზატორებს მუდმივ წინააღმდეგობას უწევდნენ (დიდი აჯანყება მოხდა 1470 წელს). XIV საუკუნის ბოლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ქალი, **ელეონორა იუდიკერა** ხელმძღვანელობდა. ეს მამაცი ქალი სარდინიის ისტორიის ლეგენდაა. „სარდინიელთა სულმა“ ელეონორამ 1395 წელს არბორეაში გამოაქვეყნა კანონთა კრებული, რომელსაც „ადგილობრივი ქარტია“ ეწოდებოდა. მოგვიანებით კანონთა ამ კრებულის შემდგენელს ფრანგმა ისტორიკოსმა მიმომ სარდინიის იუსტინიანე უწოდა. ესპანელებმა „ადგილობრივი ქარტია“ მთელი კუნძულის მოსახლეობის ერთადერთ კანონად ცნეს. 1479 წელს სარდინია გახდა არაგონა-კასტილიის სამეფოს ნაწილი. ამ მდგომარეობაში კუნძული XVIII საუკუნის ბოლომდე დარჩა.

1720 წ. კუნძული იტალიელთა ხელში გადავიდა და ის სარდინიის სამეფოს ნაწილი გახდა. სარდინიის სამეფოს ბირთვს პიემონტი წარმოადგენდა. ამ პერიოდიდან სარდინიას სავოიის ჰერცოგები მართავდნენ, რომლებმაც მეფის ტიტული მიიღეს. 1794 წლის აჯანყების შემდეგ ყველა პიემონტელი გააძევეს. 1827 წელს პიემონტის ხელისუფლებმა „ადგილობრივი ქარტია“ გააუქმეს და ის „სარდინიის სამეფოს სამოქალაქო და სისხლის სამართლით“ შეცვალეს. ამ გარემოებამ კი გლეხების მღელვარება გამოიწვია. ისინი სათემო სამართალს იცავდნენ. 1861 წელს სარდინია გაერთიანებული იტალიის სამეფოს ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ოლქად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ სარდინიის სანაპირო ზოლი 1400 კილომეტრს შეადგენს, კუნძულზე ჩამოყალიბდა არა საზღვაო, არამედ „მთური“ ცივილიზაცია. ნაწილობრივ ამას გეოგრაფიული მიზეზებითაც ხსნიან. მთავარი მაინც ისაა, რომ სარდინიელთა ზღვისადმი ერთგვარი უარყოფითი დამოკიდებულება განპირობებულია კუნძულის ისტორიით. სარდინიის ყველა დამპყრობელი ზღვით შემოდიოდა. ამიტომაც მისი მკვიდრნი იძულებულნი იყვნენ ზღვის სანაპიროდან გაქცეულიყვნენ და მთებში ეძებნათ თავშესაფარი.

მუდმივი იზოლაციის გამო, სარდინიელებმა ეთნიკური კულტურის არაერთი ელემენტი შეინარჩუნეს. მათი ტრადიციული საქმიანობაა მესაქონლეობა (ცხვარი, თხა) და სახვნელი მიწათმოქმედება. რიგ წეს-ჩვეულებას სათავე შორეულ წარსულში აქვს (დაძმობილების, ხელოვნური დანათესავების, მესისხლეობის ტრადიციები; შემორჩენილია სამგლოვიარო სიმღერები).

სარდინიისათვის დამახასიათებელი იყო უმუშევრობა, რაც გარე მიგრაციას იწვევდა როგორც კონტინენტურ იტალიაში, ისე ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. XX ს-ის 60-70-იან წლებში სამშობლო თითქმის 400 ათასამდე სარდინიელმა დატოვა. XX ს-ის მეორე ნახევარ-

ში სარდინიელებში ფართოდ გაიშალა მოძრაობა ენობრივი აღორძინებისათვის.

ბარისა და გორაკ-ბორცვიან სარდინიაში თითქმის არაა პატარა სოფლები. სოფლის მოსახლეობის უმეტესობა ისეთ დასახლებებში ცხოვრობს, რომლებიც გარეგნულად ქალაქებს მოგვაგონებს. მთიან სარდინიაში დასახლების ტიპი სხვაგვარია. აქ მეცხოველეთა სახლები ძირითადად გაფანტულადაა გაშენებული.

სარდინიელი მწერალი ქალი გრაცია დელედა ნობელის პრემიის ლაურეატია (1926 წ.). მის რომანებში სარდინიელი გლეხებისა და მწყემსების ცხოვრება, ხალხური კულტურაა აღწერილი.

ქართული კულტურის ზოგიერთი მკვლევარი (ჯ. გვასალია) სარდინიელების მუსიკას ქართულ ხალხურ მუსიკას (სიმღერებს) ადარებს და მათ შორის დიდ მსგავსებას ხედავს.

2.14. რუმინელები

რუმინელების თვითსახელწოდებაა **რომინ** (ლათინური "რომანეს"-იდან – რომაელი). რუმინელები ძირითადად რუმინეთის სახელმწიფოში (21 მილიონი) მკვიდრობენ; არიან აგრეთვე: უკრაინაში (135 ათასი კაცი), იუგოსლავიაში (42 ათასი), აშშ-ში (50 ათასი), კანადაში (25 ათასი), გერმანიაში (20 ათასი), არგენტინაში (15 ათასი), უნგრეთში (9 ათასი), საფრანგეთში (7 ათასი), რუსეთის ფედერაციაში (6 ათასი), ბულგარეთში (4 ათასი) და სხვა ქვეყნებში (უმეტესად ქალაქებში). რუმინელებს მიაკუთვნებენ აგრეთვე **მაკედონიელ რუმინებს** ანუ **არომუნებს** (მეზობელი ხალხები მათ უწოდებენ **კუცო-ვლახებს, ცინცარებს** ანუ **ფარშეროტამებეს**). შუა საუკუნეების სერბულ დამწერლობაში „**ვლახი**“ აღნიშნავდა როგორც ვლახეთის სამთავროს რომანულ მოსახლეობას, ისე ბალკანეთის ნახევარკუნძულის რუმინელ მესაქონლეებს. ბალკანეთის ნახევარკუნძულის რომანელი მესაქონლეები თანდათან გასლავდნენ, ამიტომაც „ვლახი“ XVI-XVII საუკუნეებში მხოლოდ მესაქონლეთა აღმნიშვნელი იყო. აქ მას ეთნონიმის მნიშვნელობა უკვე დაკარგული ჰქონდა. ბალკანეთში აღმოსავლეთ რომანული მოსახლეობის სლავთა მიერ ასიმილაცია დიდხანს გაგრძელდა. მთელი XIII-XIV საუკუნეების განმავლობაში ისინი ორენოვანნი იყვნენ, მაგრამ არ გაქრნენ და აქა-იქ მაინც შემორჩნენ. ვლახები შემორჩნენ მაკედონიაში, ალბანეთში, ეპირეაში, თესალიაში. რაც **შეეხება მოლდოველებს, ისინი ტრანსილვანიიდან XIV საუკუნის შუა ხანებში გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან.** ბალკანეთის ნახევარკუნძულის ზოგიერთ ქვეყანაში მცხოვრები რუმინელები განსაკუთრებულ დიალექტზე ლაპარაკობენ, რომელიც რუმი-

ნული ენისაგან რამდენადმე განსხვავდება. განცალკევებით დგას მეგლენის რუმინელების პატარა ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებიც ცხოვრობენ ქალაქ ნინტუსა და მდ. ვარდარიდან დასავლეთ მხარეს ცხრა სოფელში. თავიანთ თავს ისინი ვლახებს უწოდებენ. არის კიდევ ისტრიელი რუმინელების ჯგუფი, რომელთა წარმომადგენლები ისტრიის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთში მონტემაჯორეს ირგვლივ ცხოვრობენ. როგორც მეგლენებს, ისე ისტრო-რუმინელებს აქვთ თავიანთი დამოუკიდებელი დიალექტები. **რუმინეთის ისტორიულ მხარეებს (მუნტენია, ოლტენია, დობრუჯა, ტრანსილვანია, ბანატი, კრიშანა, მარამურეში და სხვ.) ეთნოგრაფიული სპეციფიკა ახასიათებს**. ცალკეული რეგიონების ეთნოგრაფიული თავისთავადობა არა მარტო ბუნებრივი პირობებით არის განპირობებული, არამედ იმ გარემოებითაც, რომ ისინი სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელმწიფო დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ.

რუმინელები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ინდოხმელთაშუაზღვისპირული რასის პონტურ ტიპს. მთიან რაონებში კი გვხვდებიან ბალკანურ-კავკასიური რასის დინარული ანთროპოლოგიური ტიპის წარმომადგენლები.

რუმინელები ლაპარაკობენ რუმინულ (დაკო-რუმინულ) ენაზე, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანული ჯგუფის აღმოსავლურ ქვეჯგუფს მიეკუთვნება. დიალექტებია: მუნტიანური, ბანტური, კრიშანული, მოლდავური და სხვ. რუმინელებს დამწერლობა შექმნილი აქვთ ლათინური ანბანის საფუძველზე (XIX ს-ის შუა ხანებამდე, კირილიცის საფუძველზე). რუმინულ ენაზე პირველი ძეგლები XVI ს-ით თარიღდება. სალიტერატურო ენის ფორმირება მოხდა XVII ს-ის დასაწყისში (ისტორიული ქრონიკები). მხატვრული ლიტერატურის ძეგლები კი შეიქმნა XVIII ს-ის დასასრულს.

რუმინელთა უმეტესობა, მოსახლეობის 4/5, მართლმადიდებელია. გვხვდებიან პროტესტანტები და კათოლიკეებიც. კათოლიკეების რაოდენობა 1,4 მილიონია. კათოლიციზმის მიმდევრები ძირითადად რუმინეთში მცხოვრები უნგრელები არიან, პროტესტანტიზმის აღმსარებელნი კი გერმანელები არიან. ქრისტიანობა რუმინეთში IV საუკუნეში გავრცელდა.

რუმინული ეთნოსის საფუძველს წარმოადგენენ თრაკიული ტომები – გეტები და დაკები. რუმინელთა წინაპრების ფორმირების უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო რომის იმპერიის დროს გეტო-დაკების რომანიზაცია, როდესაც მათ მიწა-წყალზე შეიქმნა მეზიისა (ძვ.წ. I ს. – ახ.წ. V ს.) და დაკიის (ახ.წ. II-III სს.) პროვინციები. VI საუკუნისათვის წარმოიქმნა დაკორომანული ეთნიკური ერთობა, რომელსაც კავშირი ჰქონდა სლავებთან, რომლებმაც მათ მატერიალურ და სული-

ერ კულტურაზე გავლენა მოახდინეს. თავის დროზე **გეტო-დაკიელები ამ ქვეყნის ერთადერთი მაცხოვრებლები არ იყვნენ. აქ ცხოვრობდნენ როგორც აღმოსავლეთიდან მოსული სხვადასხვა ტომები (სკვითები, სარმატები, ბასტარნები), ისე დასავლეთიდან მიგრირებულნიც (ილირიელები, კელტები). ეს ტომები დროთა განმავლობაში შეერწყნენ გეტო-დაკიელებს.** გეტო-დაკიელებზე განსაკუთრებული გავლენა ჰქონდათ შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებულ ბერძნულ კოლონიებს.

მეზიისა და დაკიის პროვინციებს მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ერთობა ჰქონდათ. აქ გავრცელდა ლათინური ენა და დამწერლობა, მაგრამ ძლიერი ექსპლუატაციის გამო გეტო-დაკიელები (განსაკუთრებით ტრანსილვანიისა და მოლდოვაში მცხოვრებნი) რომაელებს აუჯანყდნენ. რომაელებმა ვერ შეძლეს დაკიის სამუდამოდ შენარჩუნება და ის 271 წელს, იმპერატორ ავრელიუსის დროს, დაკარგეს. მაგრამ ქვეყანაში რომაულ კულტურას ფესვები ღრმად ჰქონდა გადგმული. დაკიის რომანიზაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აქ მდგარმა რომაელთა ლეგიონერებმა. ვეტერანი რომაელი ლეგიონერები დაკიაში ეფუძნებოდნენ როგორც მიწის ნაკვეთის მესაკუთრენი, ხელოსნები, ვაჭრები და ზოგიერთი მათგანი პროვინციის ქალაქების მართვაშიც კი ღებულობდა მონაწილეობას. გეტო-დაკიელების რომანიზაციაში არანაკლები როლი ითამაშეს რომის სხვა პროვინციებიდან მოსულმა კოლონისტებმა. რომაელთა ბატონობის დროს რომანიზებულმა დაკიელებმა შექმნეს პროვინციული რომანული კულტურა. IV საუკუნეში აქ ქრისტიანობა გავრცელდა. რუმინულ ენაში ბევრ საეკლესიო ტერმინს ლათინური ძირი აქვს.

რუმინელი ხალხის ფორმირება ხანგრძლივად მიმდინარეობდა. დაახლოებით 600 წლისათვის **რუმინელთა ეთნოგენეზისში მონაწილეობა მიიღეს სლავებმაც.** VII-IX საუკუნეებში დუნაის ჩრდილოეთით სლავების ასიმილაციისა და რომანიზაციის პროცესი მიმდინარეობდა. ამ პერიოდში დაკო-მეზიელ რომანელთა ცენტრი გახდა დაკია; მეზიელი რომანელები თანდათან გასლავდნენ. X ს-ის შემდეგ ეთნიკური და ლინგვისტური გამიჯვნის შედეგად, ბიზანტიური, სლავური და შემდეგ უნგრული წყაროები რუმინელებს „ვლახების“, „ვოლოხების“ სახელით მოიხსენიებენ.

VIII-X საუკუნეებში ყოფილი დაკია და მეზია ბულგარეთის სამეფოში შედიოდნენ; ამიტომ რუმინელთა წინაპრებმა მართლმადიდებლობა მიიღეს, შეითვისეს სლავური დამწერლობა. XVIII საუკუნის ბოლომდე რუმინელები კირილიცით წერდნენ. უფრო მეტიც, XVI საუკუნემდე მოლდოველთა შორის ლიტერატურული ენის ფუნქციას ძველი სლავური ენა ასრულებდა, რომლითაც მთავრის კანცელარი-

აც და ეკლესიაც სარგებლობდა. XIV ს-ში ვოლოხების მიწაზე ჩამოყალიბდა ვალახებისა და მოლდოველების სამთავროები. ვოლოხები ცხოვრობდნენ აგრეთვე ტრანსილვანიაში, რომელიც XI-XX სს-ში უნგრეთს ეკუთვნოდა. ეთნონიმი **რუმინელი** პირველად XV ს-ში გვხვდება. სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა XVII-XVIII სს-ში მუნტიანურ და სხვა კილოთა საფუძველზე. ოსმალთა ბატონობამ (XVI ს-დან) რუმინელთა ეთნიკური განვითარება დაამუხრუჭა. მათი ბატონობა 1878 წელს დასრულდა. რუმინელთა ერი საბოლოოდ 1920 წელს, ტრანსილვანიის შეერთების შემდეგ, გაერთიანდა.

XVII ს-ის მეორე ნახევარსა და XVIII ს-ის დასაწყისში მოღვაწეობდა წარმოშობით ქართველი, რუმინეთის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, განმანათლებელი, მესტამბე, მწერალი, მხატვარი **ანთიმოზ (ერისკაცობაში ანდრია) ივერიელი (ივერიანუ).** მან მთელი თავისი მოღვაწეობა მიუძღვნა რუმინეთის ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს; დიდი წვლილი შეიტანა რუმინული სალიტერატურო ენის განვითარებისა და წიგნის ბეჭდვის საქმეში. მის სახელთანაა დაკავშირებული რუმინეთის ღვთისმსახურებაში რუმინული ენის დამკვიდრება. ანთიმოზ ივერიანუმ ვლახეთში 25 წლის მანძილზე სხვადასხვა ადგილას დაარსებულ ოთხ სტამბაში დაბეჭდა 64 წიგნი. მის სახელთანაა დაკავშირებული თბილისში პირველი სტამბის დაარსება 1709 წელს და იმავე წელს ქართულად „სახარების“ დაბეჭდვა. საქართველოდან ბავშვობაში თურქების მიერ გატაცებული, ბოლოს კვლავ თურქების მსხვერპლი შეიქნა.

რუმინელთა ტრადიციული საქმიანობაა: სახვნელი მიწათმოქმედება, მევენახეობა, მებაღეობა. XIX ს-ის დასაწყისამდე წამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა (წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი). მომთაბარული მესაქონლეობა მეზობელ ქვეყნებში რუმინელთა მიგრაციას განაპირობებდა. რუმინელები ცნობილნი არიან ხალიჩების ქსოვით. დამზადების ტექნიკითა და ორნამენტით განასხვავებენ რუმინეთის სხვადასხვა მხარეში დამზადებულ ხალიჩებს. მატერიალური კულტურით რუმინელებს ბევრი რამ აქვთ საერთო ბალკანეთის ხალხებთან (საცხოვრებლის ტიპი, ნაციონალური კოსტიუმი). რუმინელებს შესანიშნავი სამზარეულოც აქვთ, რომელსაც, თავის დროზე, თურქული და ფრანგული გავლენა განუცდია. მათი ტრადიციული საკვებია სიმინდის ფქვილისაგან დამზადებული მამალიგა, კვერები, ბორშჩი, თევზი... **რუმინელები კომბოსტოსა და ვაზის ფოთლებისაგან ამზადებენ ტოლმას.** მზესუმზირის მოყვანით რუმინეთს მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია; ცხვრის რაოდენობითაც მესამე ადგილზე არიან, ოღონდ ევროპაში.

XX ს-ის დასაწყისამდე რუმინელებში არსებობდა დიდი პატრიარქალური ოჯახები. სასოფლო თემი შედგებოდა მონათესავე ოჯახთა ჯგუფებისაგან, საზოგადოებრივ ცხოვრებას კი ხელმძღვანელობდა არჩევითი ორგანო – ობშტე.

ზეპირი ხალხური შემოქმედება წარმოდგენილია ეპიკური სიმღერებით, ბალადებით, ანდაზებით, ლირიკული სიმღერებითა და დაახლოებით ორი ათასამდე ცეკვით.

რუმინელთა ანთროპონიმიული მოდელი ორწევრიანია: ის შედგება სახელისა და გვარსახელისაგან. რუმინული გვარების დიდი ნაწილი უსუფიქსოა, მნიშვნელოვანი ნაწილი კი სუფიქსებით ბოლოვდება: -ესკუ, -ეანუ, -ეა, -ოიუ (იონესკუ, პოპესკუ, ბრაილეანუ, ოპროიუ, პოენარუ).

2.15. მოლდოველები

მოლდოველები რუმინელებისაგან ეთნიკურად თითქმის არ განსხვავდებიან. მათი თვითსახელწოდებაა **მოლდვენ**. ისინი ცხოვრობენ მოლდოვეთის სახელმწიფოში, რომელიც რუმინეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება. მოლდოველთა რაოდენობა 2 მილ. 800 ათასია. ცხოვრობენ აგრეთვე უკრაინაში (324 ათასი), რუსეთსა (172 ათასი) და ყაზახეთში (33 ათასი). მოლდოვური, რომელიც ინდოევროპული ოჯახის რომანულ ენათა ჯგუფში შედის, ოთხი კილოკავისაგან შედგება. დღევანდელ მოლდოვურ ენაში გეტო-დაკური ენის სუბსტრატული ლექსიკაა შემორჩენილი. მეცნიერები ასეთ ასზე მეტ სიტყვას ითვლიან. დიდი რაოდენობითაა შესული მოლდოვურში სლავური სიტყვებიც. ტრანსილვანიიდან აღმოსავლეთ რომანული მოსახლეობის მიგრაციამდე მოლდოვეთის ტერიტორია სლავური მოდგმის ხალხითაც იყო დასახლებული. მოლდოველთა ეთნიკური ერთეულის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი სამხრეთ სლავებმა – ბულგარელებმა ითამაშეს. საბჭოთა პერიოდში მოლდოვურ ენას ინტენსიურად ამდიდრებდნენ რუსული ლექსიკით. როგორც გაირკვა, **არსებობდა საიდუმლო ინსტრუქცია იმის შესახებ, რომ ნებისმიერ მოლდოვურ ტექსტში 40% აუცილებლად სლავური სიტყვები უნდა ყოფილიყო.** მოლდოვეთის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში მონღოლ-თათართა გამანადგურებელ შემოსევებამდე თურქული ტომებიც – პაჭანიკები, ყივჩაყები (კუმანები) ცხოვრობდნენ. მონღოლთა შემოსევებმა გამოიწვია ამ მოსახლეობის თითქმის სრული შეცვლა. ამან ვოლოხებს შესაძლებლობა მისცა მთლიანად აეთვისებინათ ეს ტერიტორია. მოლდოველები მართლმადიდებლები არიან. ვოლოხები ისეთივე წინაპრები იყვნენ მოლდოველებისა, როგორიც რუმინელებისა. ვო-

ლოხების ფორმირება მოხდა თრაკიული ტომების საფუძველზე ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩდილოეთით და კარპატების მთებში. მათ რომანიზაცია ახ.წ. პირველ საუკუნეებში განიცადეს. მოლდოველებით დასახლებული ტერიტორია XIV ს-ში მოლდოვეთის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. ამ დროს ჩნდება ტერმინები „მოლდოვია“ და „მოლდოველი“. ქვეყნის სახელი მდინარიდან „მოლდოვა“ მომდინარეობს. წყაროებში დაფიქსირებულია ეთნონიმი „მოლდავლახიც“. მეცნიერები მოლდოველი ხალხის ჩამოყალიბებას მოლდოვეთის სახელმწიფოს წარმოქმნას უკავშირებენ. ეს სახელმწიფო კი ამ ტერიტორიაზე 1359 წელს ტრანსილვანიიდან ვოლოხების მიგრაციის შემდეგ წარმოიქმნა. მოლდოვეთის სახელმწიფო კი მხოლოდ ორი საუკუნის განმავლობაში (XIV საუკუნის შუა ხანებიდან XVI საუკუნის შუა ხანებამდე) არსებობდა. XVI ს-ში ისინი ოსმალთა იმპერიის ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდნენ. XVIII ს-ის დასასრულს დნესტრის მარცხენა ნაპირი რუსეთმა შეიერთა, მოგვიანებით (1812 წელს) რუსებმა თურქებს წაართვეს მიწები მდინარეებს – პრუტსა და დნესტრს შორის (ბესარაბია). 1918 წელს ბესარაბია რუმინეთს შეუერთდა. დნესტრის მარცხენა ნაპირის მოსახლეობა, რომელიც დასახლებული იყო მოლდოველებით, სსრკ-ს შემადგენლობაში აღმოჩნდა. 1940 წელს მოლდავეთის ასსრ-სთან ბესარაბიის კვლავ შეერთების შემდეგ შეიქმნა მოლდავეთის სსრ, 1991 წლიდან კი – დამოუკიდებელი მოლდოვეთის რესპუბლიკა.

მოლდოველთა ძირითადი ტრადიციული საქმიანობაა მეცხოველეობა (ზაფხულში მოლდოველები საქონელს კარპატების მთებში მიერეკებოდნენ), XIX ს-ის შუა ხანებიდან – მიწათმოქმედება, მევენახეობა და მებაღეობა. მოლდოველთა ტრადიციული საკვებია სიმინდის ფქვილისაგან გაკეთებული კერძები, რძის პროდუქტები, ხილი. აქ პურს ცვლის მამალიგა, რომელსაც ყოველდღიურად სიმინდის ფქვილისაგან ხარშავენ. ევროპის ქვეყნებში პოპულარობით სარგებლობს მოლდოვური ღვინო, ხილი და ბოსტნეული.

2.16. შვეიცარიელები

შვეიცარიის მოსახლეობა დაახლოებით 5,7 მილიონია. შვეიცარიელები წარმოადგენენ ხალხთა ჯგუფს. ესენი არიან **გერმანო-შვეიცარიელები, ფრანკო-შვეიცარიელები, იტალო-შვეიცარიელები** და **რეტორომანელები**. შვეიცარიელები ანთროპოლოგიურად შუა ევროპულ რასას მიეკუთვნებიან, აღმოსავლეთში კი დასტურდება დინარის ანთროპოლოგიური ტიპის მინარევი.

გერმანო-შვეიცარიელთა რაოდენობა 4,58 მილიონია (შვეიცარიაში – 4,22). ისინი ძირითადად ცხოვრობენ ჩრდილო-აღმოსავლეთ და ცენტრალურ კანტონებში. ლაპარაკობენ გერმანული ენის შვეიცარიულ ვარიანტზე (სალიტერატურო ენა –გერმანული). ცხოვრობენ აგრეთვე ევროპისა და ამერიკის სხვა ქვეყნებში. გერმანო-შვეიცარიელები ძირითადად პროტესტანტი კალვინისტები არიან. გვხვდებიან კათოლიკეებიც. ფრანკო-შვეიცარიელების რაოდენობას 1,24 მილიონით განსაზღვრავენ. ცხოვრობენ ძირითადად დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში. ლაპარაკობენ სამხრეთ ფრანგულ (პროვანსალურ) დიალექტზე (სალიტერატურო ენა – ფრანგული). უმეტესობა პროტესტანტი კალვინისტია. არიან კათოლიკეებიც. იტალო-შვეიცარიელები, რომლებიც სამხრეთ რაიონებში ცხოვრობენ, 230 ათას კაცს ითვლიან. ისინი იტალიურ ენაზე ლაპარაკობენ და უპირატესად კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარნი არიან. რეტორომანელები ძირითადად გრაუბიუნდენის კანტონში მკვიდრობენ (50 ათასი) და ლაპარაკობენ რეტორომანული ენის დიალექტზე. მათ შორის არიან როგორც პროტესტანტი კალვინისტები, ისე კათოლიკეები. საკონტაქტო რაიონების მკვიდრნი, აგრეთვე სამრეწველო და საკურორტო ცენტრების მცხოვრებნი ორენოვანნი და სამენოვანნი არიან. შვეიცარიელებს აქვთ საერთო კულტურული ტრადიციები, თვითსახელწოდება („**შვეიცპოლ**“) და თვითშეგნება, რაც განპირობებულია შვეიცარიის სახელმწიფოს ფარგლებში მათი საერთო ისტორიული ბედით.

ძველი და ახალი წელთაღრიცხვის წერილობითი წყაროებით, თანამედროვე რეტორამანელების ადგილას გელვეტების კელტური ტომი მკვიდრობდა. ძვ.წ. I ს-ში რომაელთა კოლონიზაციამ მისი მოსახლეობის რომანიზაცია გამოიწვია. V ს-ში გერმანული ტომების დაპყრობებმა თანამედროვე ეთნიკურ დაყოფას ჩაუყარა საფუძველი. დასავლეთი ნაწილი დაიკავეს ბურგუნდიელებმა, რომელთა რომანიზებულ კელტურ მოსახლეობასთან შერევით წარმოიქმნენ თანამედროვე ფრანკო-შვეიცარიელები. ლანგობარდების მიერ სამხრეთ რაიონების დაპყრობა დაკავშირებულია ლომბარდიასთან (იტალია), რამაც განაპირობა აქ იტალო-შვეიცარიელების ჩამოყალიბება. ჩრდილოეთი და ცენტრი ექვემდებარებოდა ალემანებს, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის გერმანიზაცია გამოიწვია. ფრანკთა დაპყრობებისა (V ს. ბოლო – VI ს.) და კარლოს დიდის იმპერიის დაცემის შემდეგ (843 წ.) შვეიცარია გაყოფილ იქნა აღმოსავლეთფრანკულ და დასავლეთფრანკულ სახელმწიფოებსა და ლოტარიის სახელმწიფოს შორის, დაახლოებით გვიანდელი განაწილების – გერმანულ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე მოლაპარაკეთა მიხედვით. 1291 წელს სამმა ალპურმა თემმა, რომლებიც შედიოდნენ „წმინდა რომის იმპერია-

ში“ (შემდეგდროინდელი კანტონები: ური, შვიცი და უნტერვალდენი), ჰაბსბურგების წინააღმდეგ „მუდმივი“ თავდაცვითი კავშირი შექმნეს, რომელიც მათი მიწების დაპყრობას ცდილობდა. ამით საფუძველი ჩაეყარა შვეიცარიის კონფედერაციას, რომლის გაფართოება XIV-XV სს-ში ჰაბსბურგებთან წარმატებულ ომებში მიმდინარეობდა. XV ს. ბოლოს შვეიცარიამ ფაქტობრივად დამოუკიდებლობა მოიპოვა. XVI ს-ის დასაწყისში კონფედერაცია 13 კანტონის კავშირს წარმოადგენდა. შემდგომი მისი გაფართოება კი ე.წ. რომანიზებული მიწების დაპყრობით ხდებოდა, რომლებიც XIX ს-ის დასაწყისამდე არათანაბარი უფლებით სარგებლობდა. 1814-1815 წლის ვენის კონგრესით გარანტირებულ იქნა შვეიცარიის „მუდმივი ნეიტრალიტეტი“. 1848 და 1874 წლებში კონსტიტუციამ დააკანონა შვეიცარიაში არსებული ენების თანაბარუფლებიანობა.

შვეიცარიის კავშირი მხოლოდ რეფორმაციამ დაყო. კანტონების უმეტესობა კათოლიკური დარჩა. ოთხმა კანტონმა (ციურიხი, ბაზელი, ბერნი, შაფჰაუზენი) პროტესტანტობა მიიღო. შვეიცარიის მოსახლეობის ნახევარზე მეტი (52%) პროტესტანტია (ძირითადად კალვინისტები), 45,6% – კათოლიკე. სხვა სარწმუნოების წარმომადგენლები ცოტანი არიან (**ძველკათოლიკეები** – 16 ათასი და სხვადასხვა სექტები, რომლებმაც შვეიცარიას შეაფარეს თავი). რელიგიური განსხვავებულობა არ ემთხვევა არც ადმინისტრაციულ და არც ეთნიკურ დაყოფას. ყველა ეთნიკურ ჯგუფში არიან როგორც პროტესტანტები, ისე კათოლიკეები. კათოლიციზმი უფრო ფართო ტერიტორიაზეა გავრცელებული. შვეიცარიის კათოლიკეთა ცენტრი – ფრიბური მჭიდროდაა დაკავშირებული ვატიკანთან. შემონახულია აგრეთვე ქრისტიანობამდელი რწმენები, რომლებსაც მსგავსება აქვთ მთიანი ზემო ბავარიისა და ავსტრიის ლეგენდებთან და სხვ.

შვეიცარია არის ფედერაციული რესპუბლიკა – 22 კანტონის კონფედერაცია. თანამედროვე შვეიცარია მაღალგანვითარებული სამრეწველო ქვეყანაა (მანქანათმშენებლობა, ქიმიური და სხვა დარგები). განვითარებულია ტურიზმის ინდუსტრია. სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგია მეცხოველეობა (ალპების ზონაში – გადარეკვითი) ყველის წარმოებით. შვეიცარიელთა მატერიალურ და სულიერ კულტურას ბევრი ლოკალური ვარიანტი გააჩნია, რაც ეთნიკური, გეოგრაფიული ვითარებითაა განპირობებული. მევენახეობის რაიონებში ბევრ ღვინოს ამზადებენ.

მთებში ჭამენ სიმინდის კერძებს. იტალიელებსა და რეტორომანელებში პოპულარულია სიმინდის ფაფა მაშინ, როდესაც მიტელანდიის მცხოვრებნი სიმინდს საერთოდ არ ჭამენ და მას საქონლის საკვებად მიიჩნევენ.

შვეიცარიაში ჩვეულებრივ პატარა ოჯახებია. მათში უაღრესად განვითარებულია ხალხური მუსიკალური ხელოვნება.

ალპებში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ატარებს ერთსა და იმავე გვარს. კათოლიკურ რაიონებში შეიძლება შეგვხვდეს ოჯახები, რომლებსაც 10 – 12 ბავშვი ჰყავთ. ზოგიერთ კანტონში შემორჩენილი იყო მინორატი (*მინორატი – მემკვიდრეობის ფეოდალური წესი, რომლის მიხედვითაც ქონება მთლიანად გადადის ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრის ხელში*). ამის გამო, უფროსი შვილი ხშირად არ ქორწინდებოდა, რათა არ დაერღვია ეს ჩვეულება (ბერნის, ზოლოტურნის, ფრიბურის კანტონებში).

ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულებიდან აღსანიშნავია ის, რომ რომანულ შვეიცარიაში დაბადების დღეს რგავენ ხეს, რომელიც სიმბოლურად დაკავშირებულია ბავშვის ცხოვრებასთან. ამ დღეს მაგიდაზე მოტანილ ღვინოსა და ყველს ნიშნობამდე ან ქორწილამდე ინახავენ. ნათლიის შერჩევა მნიშვნელოვან საქმედ ითვლება, რადგან ნათლულსა და ნათლიას შორის კავშირი და ურთიერთობა მთელი ცხოვრება გრძელდება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სახელის შერჩევას, რადგან ფიქრობდნენ, რომ ის გარკვეულ გავლენას ახდენდა ახალდაბადებულის ბედსა და ხასიათზე. გრაუბიუნდენის ზოგიერთ რაიონში დღესაც მიღებულია, რომ პირველ ვაჟს დაარქვან დედის მამის სახელი, მეორეს – მამის მამისა. რეტორომანელებს შორის შემორჩენილია ძველი გვარსახელები.

დაკრძალვის წეს-ჩვეულებებში შემორჩენილია ქრისტიანობამდელი ნაკვალევი საიქიო (იმქვეყნიური) ცხოვრების შესახებ. მაგალითად გარდაცვლილს დღესაც კი კუბოში რამდენიმე პირად ნივთს, ყველს, პურსა და სხვა საჭმელებს უწყობენ; ატანენ აგრეთვე ბიბლიას. სანამ მიცვალებული სახლში ასვენია, ჭამა არ შეიძლება. დაკრძალვა მთელი სოფლის საქმეა. მთიან რაიონებში მიცვალებულის დაკრძალვაში ყველა ოჯახის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

ალპური მეცხოველეობის ოლქებში დღესაც კი საძოვრები, ტყეები და აგრეთვე სამეურნეო ნაგებობანი (წისქვილი, პურის გამოსაცხობი ღუმელი) საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენს. XX ს. დასაწყისშიც საძოვრების გადანაწილება კენჭისყრით ხდებოდა. XX ს-ის დასაწყისში სოფლებში დიდ როლს თამაშობდა სამეზობლო კავშირები.

გერმანო-შვეიცარიელებისათვის დამახასიათებელია მრავალხმიანი სიმღერები, მთიელებისათვის – ხახისმიერი სიმღერები (გალობა) (горловое пение) (იოდლი). დღემდე ასრულებენ თავისუფლებისათვის ბრძოლის შესახებ შექმნილ ისტორიულ სიმღერებს. ცნობილია ლე-

გენდები ვილჰელმ დიდსა და თავისუფლებისათვის მებრძოლ სხვა ადამიანებზე.

დღევანდელი შვეიცარია განთქმულია სამთო-სათხილამურო კურორტებით. შვეიცარიელები აწარმოებენ მთელ მსოფლიოში ყველაზე ზუსტ და ძვირად ღირებულ საათებს.

2.17. ინგლისელები

დიდი ბრიტანეთი და ირლანდიის რესპუბლიკა მდებარეობს ევროპის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში – ბრიტანეთისა და ირლანდიის კუნძულებზე.

დიდი ბრიტანეთი სახელმწიფოებრივი წყობით საპარლამენტო მონარქიაა, „სადაც მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს“. ხელისუფლების უმაღლესი ორგანო – პარლამენტი შედგება ლორდთა და თემთა პალატებისაგან. ქვეყანას არა აქვს ერთიანი კონსტიტუცია. საკონსტიტუციო სამართალი საპარლამენტო აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისაგან შედგება. ეთნიკური თვალსაზრისით **დიდი ბრიტანეთი ისტორიულად ჩამოყალიბებული სამი ოლქისაგან – ინგლისის, უელსისა და შოტლანდიისაგან შედგება.** დიდი ბრიტანეთის ფართობი 244,8 ათასი კვ. კმ-ია. 1998 წლის მონაცემებით დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა 58 მილიონ 500 ათასი იყო, აქედან 80%-ს (43 მილ.) ინგლისელები შეადგენდნენ.

ირლანდიას ამავე სახელწოდების კუნძულის დიდი ნაწილი უკავია. მისი მცხოვრებთა რაოდენობა 3 მილიონ 600 ათასია (1998 წ.); ფართობი – 70,3 ათასი კვ. კმ. კონსტიტუციის თანახმად ირლანდია რესპუბლიკაა.

რელიეფით დიდი ბრიტანეთი ორი თანაბარი ნაწილისაგან შედგება: ჩრდილო-დასავლეთისათვის უმეტესად დამახასიათებელია მთიანი რელიეფი, სამხრეთ-აღმოსავლეთისათვის – ბარის რელიეფი. ჩრდილოეთით, შოტლანდიის მთებში, არის ყველაზე მაღალი მწვერვალი ბენ-ნევისის გორა (1343 მ. ზღვის დონიდან). ირლანდია ძირითადად ბარს წარმოადგენს. მაღლობები მხოლოდ დასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთშია (უმაღლესი წერტილი კერის მთაში 1 041 მეტრია).

სასარგებლო წიაღისეულიდან ყველაზე დიდი სამრეწველო დანიშნულება აქვს ქვანახშირს. ქვანახშირის მთავარი აუზი არის უელსში, აღმოსავლეთ ნიუკასლში და შუა შოტლანდიის დაბლობში. აღმოსავლეთ ინგლისში რკინის წიაღისეულია.

ირლანდია წიაღისეულით შედარებით ღარიბია. აქ სამრეწველო მნიშვნელობა მხოლოდ ტორფს აქვს.

დიდ ბრიტანეთში ზამთარი რბილია. იშვიათია ყინვები. თოვლი მცირე ხნით მოდის. ზაფხული შედარებით ცივია. ნალექები დიდი რაოდენობით მოდის და ჰაერი ტენიანია.

ბრიტანეთის კუნძული დაფარულია ხშირი და მოკლე მდინარეებით. მათი უმეტესობა არ იყინება. დიდი ბრიტანეთის მთიან ნაწილსა და ირლანდიაში ბევრი ტბაა, რომლებიც მდიდარია თევზით.

შუა საუკუნეებში დიდი ბრიტანეთის ვრცელი რაიონები ტყით იყო დაფარული. დღეს ტყეს ქვეყნის ფართობის მხოლოდ 6% უკავია.

ძირითადი ეთნოსის – ინგლისელების გარდა (1961 წ. – 44 მილ.) დიდ ბრიტანეთში ცხოვრობენ შოტლანდიელები (5 მილიონ 100 ათასი) და უელსელები (1 მილიონი). ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ცალკე გამოყოფენ მთიელ შოტლანდიელებს (გელებს), რომელთა რაოდენობას 100 ათასი კაცის ფარგლებში ანგარიშობენ. ხშირად ასევე ცალკე გამოყოფენ მენის კუნძულის მკვიდრთ (მენელები) და ნორმანდიის კუნძულების მცხოვრებთ. ჩრდილოეთ ირლანდიაში თავისებურ ეთნიკურ ჯგუფს შეადგენენ ინგლისელი და შოტლანდიელი კოლონისტები, რომლებიც შერეულები არიან ადგილობრივ ირლანდიურ მოსახლეობასთან. რიგი ნიშან-თვისებებითა და, უპირველეს ყოვლისა, რელიგიით ისინი განსხვავდებიან ადგილობრივი ირლანდიელი მოსახლეობისაგან და თავს არ თვლიან არც შოტლანდიელებად და არც ინგლისელებად. მოსახლეობის ამ ჯგუფის აღსანიშნავად, რომლებიც თავს უწოდებენ ანგლო-ირლანდიელებსა და შოტლანდო-ირლანდიელებს, ლიტერატურაში ჩვეულებრივ გამოიყენებენ ტერმინს „ოლსტერელები“ (დაახლ. 1 მილ.). ჩრდილოეთ ირლანდიის დანარჩენ მოსახლეობას საკუთრივ ირლანდიელები (400 ათასი) შეადგენენ. რაც შეეხება ირლანდიას, ის ეთნიკურად ერთგვაროვანი სახელმწიფოა. ირლანდიელთა მსხვილი ჯგუფები ირლანდიის გარეთ – დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე ცხოვრობენ (დაახლ. 1 მილიონი). ირლანდიელების უმეტესობა ემიგრანტია, რომლებიც ოკეანის გაღმა (აშშ, კანადა, აგრეთვე ავსტრალია) ცხოვრობენ. მათ, ფაქტობრივად, ნაციონალური ნიშან-თვისებები დაკარგეს.

ინგლისელები, შოტლანდიელები და ოლსტერელები ლაპარაკობენ ინგლისური ენის დიალექტებზე. ინგლისური ენა გავრცელებულია უელსელების უმეტესობაში, გელებსა და ირლანდიელებში. მიუხედავად ამისა, მათი ნაწილი ყოველდღიურად ხშირად საუბრობს მშობლიურ ენებზე – უელსურზე, გელურზე და ირულზე (ირლანდიურზე), რომლებიც კელტურ ენათა ოჯახში შედის.

დიდ ბრიტანეთში მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან ებრაელები (450 ათასი), რომლებიც ძირითადად ლონდონში და სხვა მსხვილ ქალაქებში ცხოვრობენ. ებრაელთა ძირითადი ნაწილი აქ XIX-XX სს-

ის მიჯნაზე რუსეთიდან და პოლონეთიდან მოვიდა, ნაწილი 1930-1940-იან წლებში – გერმანიიდან და მის მიერ დაპყრობილი ქვეყნებიდან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისის ხელისუფლებამ ფართოდ გაუღო კარი ემიგრანტებს. ომის შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში აქ 220 ათასზე მეტი ადამიანი დასახლდა. ამათგან ნახევარს წარმოადგენდნენ ანდერსის პოლონური არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც დემობილიზაციის შემდეგ არმიაში დარჩნენ და აქ თავისი ოჯახებიც გამოიძახეს. ომის შემდგომი ემიგრანტებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს „ფერადი“ მუშების ჯგუფი, რომლებიც დიდ ბრიტანეთში ვესტ-ინდოეთიდან, დასავლეთ აფრიკიდან, ინდოეთიდან და ბრიტანეთის თანამეგობრობის სხვა ქვეყნებიდან მოვიდნენ. მათი უმეტესობა დიდ სამრეწველო ცენტრებსა და პორტებში ცხოვრობს.

• • •

ინგლისელთა თვითსახელწოდებაა **ინგლიშ.** ისინი დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენენ. ინგლისელების რაოდენობა 48 მილიონ 500 ათასი კაცია, რომელთაგანაც 44 მილიონი დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს. ცხოვრობენ აგრეთვე ავსტრალიაში (940 ათასი), სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში (230 ათასი), კანადაში (1 მილიონი), აშშ-ში (650 ათასი), ახალ ზელანდიაში (700 ათასი), ინდოეთში (200 ათასი) და სხვ. ინგლისელები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიურ რასას. ინგლისური ენა შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანული ჯგუფის დასავლეთგერმანულ ქვეჯგუფში. ინგლისურ ენას აქვს რამდენიმე დიალექტი: დასავლური, სამხრეთული, აღმოსავლური, ჩრდილოური და კენტური. დამწერლობა ლათინური ანბანის საფუძველზეა შექმნილი.

ინგლისელთა ეთნიკურ საფუძველს წარმოადგენს გერმანული ტომები: **ანგლები** (აქედანაა თვითსახელწოდება), **საქსები, იუტები** და **ფრიზები,** რომლებიც ბრიტანეთის კუნძულზე ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუა ხანებში შეიჭრნენ და რომლებმაც ძველი კელტური მოსახლეობის ასიმილირება მოახდინეს. VI ს-ის დასასრულსა და VII ს-ის დასაწყისში წარმოიქმნა ანგლოსაქსების ადრეფეოდალური სახელმწიფო (სამეფო). VII-IX სს-ში დანიელ და ნორვეგიელ ვიკინგებთან ბრძოლაში, რომლებმაც ანგლოსაქსების ენასა და კულტურაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს, ჩამოყალიბდა ანგლოსაქსური ეთნიკური ერთობა. ინგლისის ეთნიკურ ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა ნორმანდიული დაპყრობა იყო (1066 წ.). თუმცა ინგლისის (საერთოდ ბრიტანეთის) ეთნიკური ისტორია უფრო დაწვრილებითი ყურადღების ღირსია და ჯობს ძვ.წ. 2500-2000 წლებიდან დავიწყოთ. დროის ამ მონაკვეთში ბრიტანეთის კუნძულზე სამხრეთ-დასავლეთ ევროპიდან მიგრანტთა ტალღა მოვიდა. როგორც

ფიქრობენ, ისინი იბერიის ნახევარკუნძულიდან და თანამედროვე საფრანგეთის ატლანტისპირა ოლქიდან იყვნენ. მოსული მოსახლეობა ხმელთაშუაზღვისპირულ რასას მიეკუთვნებოდა და, ჩვეულებრივ, იბერიელებად იწოდებოდა. ისინი დასახლდნენ ირლანდიაში და ინგლისისა და შოტლანდიის დასავლეთ ოლქებში. ეს იყო საკმაოდ მრავალრიცხოვანი მიწათმოქმედი ხალხი, რომელთა შორის უკვე შეიმჩნეოდა სოციალური დიფერენციაცია.

ძვ.წ. 2000-1600 წლებს შორის ბრიტანეთის კუნძულზე ცენტრალური ევროპიდან გადმოსახლდა ხალხი, რომელთა ეთნიკურობის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. მათ ბრიტანეთის აღმოსავლეთი მხარე დაიკავეს, რასობრივი თვალსაზრისით კი ალპურ რასას მიეკუთვნებოდნენ. იცოდნენ ბრინჯაოს გამოყენება და მათი გავლენით ბრიტანეთში მეტალის დამუშავება დაიწყეს.

ბრიტანეთის ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო კუნძულის კელტებით დასახლება. კელტები, რომლებსაც ამ დროს ცენტრალური და დასავლეთ ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკავათ, რამდენიმე ნაკადად გადმოსახლდნენ. კელტების პირველი გადმოსახლება დაახლოებით ძვ.წ. 1000 წელს მოხდა, ძირითადი ნაწილი კი მოვიდა ძვ.წ. 600-300 წლებს შორის უპირატესად თანამედროვე ბელგიისა და საფრანგეთის სანაპირო ადგილებიდან. უკანასკნელი დიდი მიგრაციული ტალღა, რომლის უმეტესობას ბელგები შეადგენდნენ, ცეზარის მოწმობით, ძვ.წ. I ს-ში მოაწყდა. მათ ბრიტანეთის ადგილობრივი მკვიდრნი ამოწყვიტეს, ნაწილი კი მოსულ გამარჯვებულებს შეერია, რომლებმაც მიიღეს მათი ენა და კულტურა. მოსულები კელტური ჯგუფის ორ ძირითად შტოს ეკუთვნოდნენ: ბრიტებს, რომლებმაც აქ დასახლების შემდეგ თავისი სახელწოდება მისცეს ქვეყანას და გელებს, რომლებიც ძირითადად ირლანდიაში განსახლდნენ.

კუნძულზე მოსულმა კელტურმა ტომებმა რკინის დამუშავება იცოდნენ. კელტები უპირატესად მიწათმოქმედნი იყვნენ, იყენებდნენ გუთანს. ქვეყნის შიდა რაიონებში კი მესაქონლეობა იყო განვითარებული. უფრო განვითარებული ეკონომიკური ურთიერთობებით ბრიტანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ოლქები გამოირჩეოდა, სადაც ბელგები იყვნენ დასახლებულნი. სწორედ აქ წარმოიქმნა პირველი მსხვილი დასახლებები – ქალაქები. **კელტების სოციალური სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენდა პატრიარქალური გვარი, რომელმაც შემდეგ შოტლანდიაში „კლანის“ სახელწოდება მიიღო.** კელტურ საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქურუმები – დრუიდები, რომლებიც არა მარტო ქურუმთა საქმიანობას ასრულებდნენ, არამედ სასამართლო ფუნქციებსაც ითავსებდნენ.

ბრიტანეთის კელტების გალიის კელტურ ტომებთან მუდმივმა კავშირმა იულიუს ცეზარი შეაგულიანა, ორჯერ, ძვ.წ. 55 და 54 წლებში, შეჭრილიყო ბრიტანეთში. მაგრამ ბრიტანეთის გეგმიური დაპყრობა რომაელების მიერ ახ.წ. 43 წელს იმპერატორ კლავდიუსის დროს დაიწყო. ადგილობრივმა კელტურმა ტომებმა, ბელგების გამოკლებით, რომაელებს სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ახ.წ. 78 წელს რომაელებმა უელსი დაიპყრეს, შემდეგ სამხრეთ შოტლანდიაში შეიჭრნენ, სადაც შოტლანდიელთა ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ. რომაელებმა შოტლანდიაში გამაგრება ვერ შეძლეს. ჩრდილოეთიდან თავდასხმებისაგან თავდაცვის მიზნით რომაელებმა ზღვიდან ზღვამდე ორი მიწაყრილი ააგეს. ერთი მათგანის კედლის ნაშთები სამხრეთ შოტლანდიაში დღემდეა შემორჩენილი.

რომაელთა ბატონობის დროს ბრიტანეთში გაიოლდა მეტალის მოპოვება და გაუმჯობესდა მიწათმოქმედება. სამხრეთ ბრიტანეთი რომის იმპერიის ერთ-ერთი ბედელი გახდა. მაშინ წარმოიქმნა ქალაქები, რომელთა სახელები „ჩესტერ“ („კასტერ“)-ით მთავრდება (ლათინური castra – ლაგერი): ჩესტერი, გლოჩესტერი, მანჩესტერი, ლანკასტერი...

ბრიტანეთში რომაელთა ბატონობა თითქმის 400 წელი გაგრძელდა, მაგრამ მისი რომანიზაცია ძალიან სუსტი იყო. ლათინურ ენას მხოლოდ ადმინისტრაციასა და არმიაში იყენებდნენ. სოფლებში ის ფართოდ ვერ გავრცელდა. ბრიტანეთიდან რომაელი ლეგიონების წასვლისა და რომთან კავშირების გაწყვეტის შემდეგ (407 წ.), ე.წ. კელტური აღორძინების ეპოქაში, ლათინური ენა თითქმის ყველგან დავიწყებას მიეცა. თუმცა ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ადგილობრივი მოსახლეობის კულტურაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქრისტიანობამ.

ბრიტანეთის კუნძულების ეთნიკურ ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება I ათასწლეულის შუა ხანებში, როდესაც აქ გადმოსახლდნენ ჩრდილო-გერმანული ტომები, რომლებიც (V-VI სს.) ცნობილები იყვნენ ანგლო-საქსების საერთო სახელწოდებით. მიგრანტების ძირითადი ნაწილს სამი მონათესავე ტომი – ანგლები, საქსებსი და იუტები – წარმოადგენდნენ. შედარებით გვიან გადმოსახლებულთა საკმაოდ მსხვილ ჯგუფს ფრიზები შეადგენდნენ.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით ყველა ეს გერმანული ტომი მათ მიერ დაპყრობილ ბრიტანეთის კელტებზე დაბლა იდგა. ბრიტანეთში მოსულებმა თან მოიტანეს თავიანთი სამეურნეო ყოფა და არ ცდილობდნენ კელტებისაგან შეეთვისებინათ და გამოეყენებინათ უფრო სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომლებიც მათ,

თავის მხრივ, რომაელებისაგან გადმოიღეს. შემოსულმა გერმანულმა ტომებმა რომაული კულტურის ნაშთები (შენობები და მთელი ქალაქები) გაანადგურეს. გერმანელები ახალ ადგილებზე უპირატესობას ტრადიციულ პატარა სოფლებად დასახლებას ანიჭებდნენ.

ბრიტანეთში გადმოსახლებისას გერმანული ტომები გვაროვნული წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაზე გადადიოდნენ. საზოგადოებრივი ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენდა სოფელი – სასოფლო თემი. გადმოსახლების შემდეგ ანგლოსაქსების სოციალური დიფერენციაცია გაძლიერდა.

ბრიტანეთის ეთნიკურ ურთიერთობებში გადმოსახლებული ანგლოსაქსების გამარჯვება აიხსნება არა იმდენად მათი სამხედრო, არამედ რაოდენობრივი უპირატესობით. დაპყრობების პირველ პერიოდში ბრიტანეთის კელტური მოსახლეობა გაწყვიტეს, ნაწილი მონებად აქციეს. ინგლისის აღმოსავლეთ ნაწილში კელტური სახელწოდების დასახლებული პუნქტი თითქმის არაა. ანგლოსაქსებმა ძველი კელტური ქალაქები დააქციეს და მონები თავიანთ დასახლებებში წაიყვანეს, რომლებიც, ჩვეულებრივ, მდინარეების ირგვლივ იყო განლაგებული. ანგლოსაქსების ზეწოლით სამხრეთ ბრიტების ნაწილი V საუკუნის II ნახევარში კონტინენტზე – არმორიკში (ახლანდელი ბრეტონი) გადასახლდა. კელტური მოსახლეობის კომპაქტური რაიონები მხოლოდ ინგლისის ჩრდილო-დასავლეთსა და კორნვალისში დარჩა. კელტური დარჩა შოტლანდიის დიდი ნაწილი, აგრეთვე ირლანდია, რომელთა დაპყრობის პირველი მცდელობა მხოლოდ XII საუკუნეში მოხდა. ძირითადმა კელტურმა ოლქებმა – უელსმა, შოტლანდიამ და ირლანდიამ თავიანთი სპეციფიკურობა შეინარჩუნეს.

XI საუკუნემდე ინგლისის რამდენიმე სამეფოს შორის პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობდა. ამ ბრძოლაში ჰეგემონიამ თანდათან ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გადაინაცვლა. XI საუკუნის დამწერლობის ძეგლებში უპირატესობა აქვს მოპოვებული უესეკსის დიალექტს. VI საუკუნეში ინგლისში ხელახლა გავრცელდა ქრისტიანობა, რომელმაც ინგლისელთა ერთიანი ეთნიკური ერთეულის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. VII საუკუნიდან ინგლისელებს დანიელებისა და ნორვეგიელებისაგან – ნორმანებისაგან თავდაცვაზეც უხდებოდათ ზრუნვა, რომლებიც ისტორიულ ლიტერატურაში ცნობილნი არიან საერთო სახელწოდებით „დანი“ ანუ ჩრდილოელი (Nordman). პირველად თუ ეს თავდასხმები გაძარცვის მიზნით ეწყობოდა, IX ს-ის შუა ხანებიდან მან სხვა ხასიათი მიიღო, ისინი ტერიტორიებს იპყრობდნენ. რამდენიმე ათწლეულში სკანდინა-

ვიელებმა თანამედროვე ინგლისის დაახლოებით ნახევარი დაიპყრეს: მთელი აღმოსავლეთი და ცენტრალური ინგლისის მნიშვნელოვანი ნაწილი. დანიელებთან ბრძოლაში წინ წამოიწია უესეკსის მეფის, ალფრედის პიროვნებამ, რომელმაც შეძლო გაეერთიანებინა და თავისი ხელისუფლებისათვის დაექვემდებარებინა მთელი დანარჩენი ინგლისი. ალფრედის მემკვიდრემ განაგრძო დაწყებული საქმე, მაგრამ წარუმატებლად. 1010 წელს დანიის მეფე სვენმა მთელი ინგლისი დაიპყრო. მისმა შვილმა კნუტმა კი ინგლისის მართვა დაიწყო არა როგორც უცხოელმა დამპყრობელმა, არამედ როგორც ინგლისის მეფემ.

ბრიტანეთის დანიელთა მიერ კოლონიზაციამ ქვეყნის ეთნიკურ სახეზე რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა. ამასთანავე, დანები ენითა და კულტურით ახლოს იდგნენ ანგლოსაქსებთან. დანების გავლენა კულტურული თვალსაზრისით უფრო იგრძნობოდა. მიწათმოქმედი ანგლოსაქსებისაგან განსხვავებით, დანები მეზღვაურები და ვაჭრები იყვნენ. მათი გავლენით ინგლისში რამდენადმე გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება, დაიწყო ვაჭრობის განვითარება. დანებს ჰქონდათ ახალი იარაღი – რკინის დიდი ცული, რამაც სახვნელი ტერიტორიების გაფართოებას შეუწყო ხელი – უფრო მეტი ტყის გაჩეხვა გახდა შესაძლებელი.

აღნიშნულ პერიოდში უცხოელთა შემოჭრა ინგლისში სამხრეთიდანაც – ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთიდანაც ხდებოდა, სადაც ჯერ კიდევ IX საუკუნეში დანიელმა და ნორვეგიელმა ახალმოსახლეებმა ფეოდალური სახელმწიფო – ნორმანდია შექმნეს. 1066 წ. ნორმანდიელთა მეფე ვილჰელმმა (რომლებიც ნორმანდიაში დასახლებიდან ორი-სამი თაობის შემდეგ უკვე გაფრანგებულები იყვნენ) ინგლისში დიდი ჯარი გადმოსხა. მან მთელი ინგლისი სწრაფად დაიპყრო და ინგლისის სამეფო ტახტი დაიკავა. ინგლისში ნორმანდიელმა დაპყრობამ სათავე დაუდო ძლიერი მეფის ხელისუფლებას და ფეოდალიზაციის პროცესის დასრულებაც განაპირობა. XI საუკუნის დასასრულს ინგლისში 80 ქალაქი იყო, რომლებშიც ქვეყნის მოსახლეობის 5% ცხოვრობდა.

ვილჰელმსა და მის მემკვიდრეებთან ერთად ინგლისში რამდენიმე ათეული ათასი ნორმანი (უფრო სწორად, ფრანგი) მოვიდა. უმეტესი მათგანი ინგლისის სამხრეთში დასახლდა. პირველად ადგილობრივი მცხოვრებნი და მოსულები ერთმანეთში თითქმის არ ირეოდნენ – ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. ბევრ ქალაქში (მაგალითად, ნორიჯსა და ნოტინჰემში) განსაკუთრებული ფრანგული კვარტლები არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ მოსულები მცირერიცხო-

ვანნი იყვნენ, ინგლისის კულტურულ ცხოვრებაზე მათი გავლენა ძალიან დიდი იყო. სამეფო კარის მთელი შემადგენლობა და სამღვდელოება ნორმანები იყვნენ. სამეფო კარის, მართვის, იუსტიციისა და განათლების ენად ფრანგული იქცა და საზოგადოებრივი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის ყველა ანგლოსაქსს ფრანგული უნდა სცოდნოდა. მეფე ალფრედის დროს აყვავებული ანგლოსაქსური ლიტერატურა ახლა ჩაკვდა, რადგან ყველა მწერალი, მათ შორის წარმოშობით ანგლოსაქსიც, ლაპარაკობდა ან წერდა ფრანგულად და ლათინურად.

ვილჰელმ დამპყრობლის დროს დაწყებული ინგლისის რომანიზაცია სწრაფად მიმდინარეობდა, მით უმეტეს, რომ რამდენიმე მომდევნო ინგლისელი მეფე წარმოშობით, ენითა და აღზრდით ფრანგი იყო. ისინი ინგლისისა და საფრანგეთის მეფეებად გახდომას ესწრაფოდნენ. კულტურისა და განათლების სფეროდან გამოძევებულ ანგლოსაქსურ ენას დიდი ხნის მანძილზე სალაპარაკო ენად მხოლოდ დაბალი და საშუალო ფენები იყენებდნენ. ამ ენაზე პირველი ნაწარმოები XII ს. შუა ხანებში დაიწერა. ეს იყო ქადაგებანი და ტრაქტატები რელიგიურ თემებზე, რომლებიც ძირითადად ფრანგულიდან იყო გადმოთარგმნილი. ფრანგული ენის გავლენა ძალიან გაიზარდა XIII ს-ში, როდესაც მოსახლეობის ფართო ფენები მეტყველებაში ბევრ ფრანგულ სიტყვას იყენებდნენ. ამ დროიდან დაიწყო ჩამოყალიბება ახალმა ინგლისურმა („საშუალო ინგლისურმა“) ენამ, რომელმაც გრამატიკული წყობის საფუძვლად ანგლოსაქსური („ძველინგლისური“) ენის წყობა შემოინახა, მაგრამ ლექსიკა ფრანგული სიტყვებით იყო გაჯერებული. ეს ენა თითქმის ყველას ესმოდა და მან სასკოლო განათლებიდან ფრანგული თანდათან გამოდევნა. დათვლილია, რომ თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკაში გერმანული სიტყვები უფრო ნაკლებია, ვიდრე ფრანგული და ლათინური წარმოშობის სიტყვები.

ინგლისში ფრანგული ენის ბატონობა XIV საუკუნის შუა ხანებში შეწყდა, რაც 1339 წელს საფრანგეთთან დაწყებულ ახალ ომს უკავშირდება, რომელიც ისტორიაში ასწლიანი ომის სახელწოდებით არის ცნობილი.

XIII და XIV საუკუნეებში ინგლისურ ენაში დიალექტური დაყოფა ძალიან შესამჩნევი იყო. ამ პერიოდიდან უპირატესობა ლონდონურმა დიალექტმა მოიპოვა, რომელიც საერთო-ინგლისური სალიტერატურო ენის საფუძვლადაც იქცა. შუა საუკუნეების ინგლისის დიდი პოეტი, „კენტერბერიული მოთხრობების“ ავტორი, **ჯეფრი ჩოსერი (1340-1400), თავის ნაწარმოებებს ლონდონურ დიალექტზე წერდა**. იგი

ინგლისური ნაციონალური ლიტერატურის საფუძვლის ჩამყრელად ითვლება. ლონდონური დიალექტი ფართოდ გავრცელდა წიგნის ბეჭდვის გამოც, რომელიც ლონდონში 1477 წელს დაიწყო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი როლი ბიბლიისა და სახარების თარგმანებმა ითამაშა, რომლის ინგლისური თარგმანი ინგლისის ეკლესიის რეფორმატორს – იდეოლოგ **ჯონ ვიკლეფომს** ეკუთვნის. დიალექტების ნიველირებას მოსახლეობის შიდა მიგრაციებმაც შეუწყო ხელი, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შედეგად უფრო გაძლიერდა.

ინგლისის ცენტრალიზაცია ჰენრიხ VIII-ის დროს მოხდა. მისი მოღვაწეობის დროს გაწყდა კავშირი რომის კათოლიკურ ეკლესიასთან (1534 წ.) და ინგლისის ეკლესიის მეთაურად მეფე გამოცხადდა, რომელიც ნიშნავდა ეპისკოპოსებს. დამოუკიდებელი ინგლისური ეკლესიის შექმნამ ინგლისელი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება განაპირობა. **ეპოქა, XV ს-ის ბოლოდან XVI ს-ის დასასრულამდე, ინგლისის ისტორიაში შევიდა როგორც აღორძინების ეპოქა.** 1607 წელს ინგლისელმა მიგრანტებმა ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე პირველი კოლონია დააარსეს. XVII-XVIII საუკუნეებში ახალ სამყაროში ათიათასობით ინგლისელი გადასახლდა. მიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი განსხვავებული რელიგიური შეხედულებების იყო (ინდეპენდენტები, პრესვიტერიანები და სხვ.). 1788 წლიდან ინგლისელები ავსტრალიაშიც გადასახლდნენ, XIX საუკუნის დასაწყისიდან კი – აფრიკის სამხრეთში. XIX საუკუნეში აგრარულმა გადატრიალებამ და სამრეწველო რევოლუციამ ასეულ ათასობით გლეხის გაღარიბება და მასობრივი ემიგრაცია გამოიწვია. XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის ინგლისიდან და უელსიდან 1 მილ. 400 ათასი კაცი წავიდა. 1881 წ. აშშ-ში იყო წარმოშობით 1 მილიონი ინგლისელი და უელსელი, ავსტრალიაში – 500 ათასი, კანადაში – 170 ათასი.

გადასახლებულთა დიდმა ნაკადმა ინგლისელთა ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული გავლენის გაძლიერება გამოიწვია; ინგლისური ენა აშშ-ის, კანადის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის სახელმწიფო ენად იქცა. მიგრანტები კი ახალფორმირებადი ნაციების ბირთვს წარმოადგენდნენ.

1961 წლის მონაცემებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო ინგლისის მოსახლეობის მხოლოდ 5%. მიწების 70% ლენდლორდებსა (ძველ ტიტულოვან დიდგვაროვანთა შთამომავლები) და მიწის ახალ აზნაურებს – ჯენტრებს ეკუთვნოდათ.

მეცხოველეობის საფუძველს მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენება წარმოადგენდა: სამხრეთში – უპირატესად სარძევე, ცენტრში კი – სახორცე საქონლისა. ნაკლებადაა განვითარებული მეღორეობა, მეცხვარეობა და მეფრინველეობა. მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია ხორბალი და შვრია. ყველგან თესავენ კარტოფილს. დიდი სამრეწველო ცენტრების ირგვლივ განვითარებულია მებაღეობა და მებოსტნეობა.

ევროპის ქვეყნებს შორის ძველი სასოფლო-სამეურნეო იარაღი პირველად დიდი ბრიტანეთიდან განდევნეს. XVIII საუკუნემდე ინგლისში ორი ტიპის გუთანი იყო გავრცელებული: მძიმე, ანგლოსაქსური, რომელშიც 6-8 ხარს აბამდნენ და რომაული ტიპის მსუბუქი გუთანი (სამხრეთ რაიონებში). ეს განსხვავებანი დღესაც შემონახულია ინგლისური ენის დიალექტებში: სამხრეთ დიალექტებში, ისევე როგორც რომანულ ენებში, გუთანს უწოდებენ "aratr", ჩრდილო დიალექტებში კი – "sull".

ინგლისელთათვის მეურნეობის განსაკუთრებულ დარგს მეთევზეობა და თევზის დამუშავება წარმოადგენს, რომელიც დღეს რამდენიმე კომპანიის ხელშია თავმოყრილი. თევზჭერის ძირითადი რაიონია ჩრდილოეთის ზღვა, ამიტომ ძირითადი თევზსაჭერი პოსტები ამ ზღვის სანაპიროზეა განლაგებული.

ბრიტანეთის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კლიმატურმა სხვადასხვაობამ თავიდანვე სასოფლო დასახლების ორი ტიპის არსებობა განაპირობა – აღმოსავლეთში, სადაც მიწათმოქმედება იყო განვითარებული, დასახლების ტიპი გახდა სოფელი, ხოლო დასავლეთში, სადაც მიწა ძირითადად საძოვრად იყო ვარგისი – ფერმები.

ინგლისი მცირესართულიანი შენობების კლასიკური ქვეყანაა. ტრადიციულად ინგლისელთა უმეტესობა იზოლირებულ სახლებში ცხოვრებისაკენ მიისწრაფის. ქალაქებში ერთი-ორი ოჯახისათვის განკუთვნილი კოტეჯების ტიპის საცხოვრებელი ნაგებობებია გაბატონებული, თანაც ყოველი ბინა ორ სართულზეა განლაგებული.

წარსულში ინგლისის სოფლებში ყველგან გავრცელებული იყო ე.წ. საქსონური სახლი, რომელიც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისათვისაც იყო დამახასიათებელი. მასში ყველა სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობა მოქცეული იყო ერთი მაღალი სახურავის ქვეშ. დღეისათვის სამეურნეო ნაგებობები საცხოვრებლისაგან უკვე სრულიად გამოცალკევებულია.

ინგლისში ძველი არისტოკრატიის კუთვნილი შუა საუკუნეების ბევრი ციხეა შემორჩენილი. ისინი სოფლებში ანდა მათგან დაშორე-

ბულ ძველი დიდი პარკების გარემოცვაშია განლაგებული. ციხეები ინგლისური ლანდშაფტის თავისებურ კოლორიტს ქმნის.

როგორც წარსულში, ისე ახლაც ინგლისელები საკვებად გამოიყენებენ ბევრ ხორცს. როგორც ყველგან ევროპაში, ინგლისშიც პურს მცირე რაოდენობით ჭამენ. სასმელებიდან ყველაზე პოპულარულია ჩაი, რომელსაც ჩვეულებრივ საუზმეზე, სადილის შემდეგ და საღამოთი მიირთმევენ. ინგლისელი საშუალოდ დღეში 7-10 ფინჯან ტკბილ ჩაის სვამს.

წარსულში ინგლისელები ბევრ სპირტიან სასმელს სვამდნენ, განსაკუთრებით – ლუდს. პოპულარულია კასრის ლუდი, აგრეთვე: ვისკი, ბრენდი, რომი...

ინგლისელთა საოჯახო ყოფამ ბევრი ძველი და კონსერვატიული ტრადიცია შემოინახა. ინგლისური ოჯახი ჩაკეტილ სამყაროს წარმოადგენს, რომელიც თავისი ვიწრო ინტერესების სფეროთია შემოსაზღვრული – სამყარო რომელშიც ძნელია მოხვდეს გარეშე. ძველი ინგლისური ანდაზაა: „ჩემი სახლი – ჩემი ციხესიმაგრეა“.

ძველად ინგლისელთა საქორწინო ასაკი საკმაოდ დიდი იყო. საპატარძლოს ასაკი ჩვეულებრივ 23-დან 25 წლამდე მერყეობდა, საქმროსი – 30 წელზე ზევით. XIX საუკუნეში ინგლისელის ოჯახი მრავალშვილიანი იყო: 1876 წელს. ოჯახების 63%-ს ოთხი და მეტი ბავშვი ჰყავდა, მაშინ, როდესაც იმ ოჯახების რაოდენობა, რომელთაც ერთი ან ორი ბავშვი ჰყავდათ, 12%-ის ფარგლებში იყო.

ოჯახის უფროსი იყო მამაკაცი. ქალი მასზე დამოკიდებული იყო როგორც ეკონომიურად, ისე იურიდიულად. დღეისათვის ძველი საქორწინო წეს-ჩვეულებები თითქმის აღარაა შემორჩენილი. **საქორწინო ცერემონია, ჩვეულებრივ, ეკლესიაში მისვლით მთავრდება, სადაც საქმრო საცოლეს ელოდება.**

სამეფო კარზე შემონახულია შუა საუკუნეების სადღესასწაულო ცერემონია. ზუსტად იცავენ კორონაციის წესს, რომლის რიტუალი სპეციალურ ინსტრუქციაშია ჩამოყალიბებული.

სპორტული თამაშები ყველა დღესასწაულის აუცილებელი ნაწილია. **ინგლისში ჩაეყარა საფუძველი ფეხბურთს. სპორტის ერთ-ერთ არისტოკრატულ სახედ ცხენოსნობა ითვლება.**

ინგლისის სახელმწიფო რელიგიას ანგლიკანიზმი წარმოადგენს. ანგლიკანური ეკლესია დოგმატებით პროტესტანტულია, მაგრამ ღვთისმსახურებითა და მოწყობით ბევრი მსგავსება აქვს კათოლიკურ ეკლესიასთან.

ანგლიკანურ ოფიციალურ ეკლესიაში სამი მიმდინარეობა არსებობს – **მაღალი ეკლესია, დაბალი ეკლესია და ფართო ეკლესია.**

საკმაოდ რთულ სურათს ქმნის ანგლიკანური ეკლესიის იერარქიული წყობა. **ეკლესიის სათავეში დგას მეფე**, რომელიც მის უმაღლეს მმართველად ითვლება, მაგრამ ეკლესიის სათავეში ფაქტობრივად დგას პარლამენტი. ინგლისის ეკლესია ადმინისტრაციულად გაყოფილია ორ არქიეპისკოპატად – კენტერბერიისა და იორკისა, რომლებშიც 43 ეპარქია შედის. ინგლისის ეკლესიის სულიერ წინამძღოლად ითვლება კენტერბერიის არქიეპისკოპოსი, რომელიც მთელი ინგლისის პრიმასის ტიტულს ატარებს. მას აქვს მეფის კორონაციის უფლება და ინგლისის ლორდთა პალატაში სამეფო გვარის შემდეგ საპატიო ადგილი უკავია.

ინგლისში რომაულ კათოლიკურ ეკლესიასაც ჰყავს მიმდევრები (2 მილიონზე მეტი). კათოლიციზმი გავრცელებულია ჩრდილოეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში. ინგლისური კათოლიციზმი მჭიდროდაა დაკავშირებული ქალაქებთან. კათოლიკური ეკლესია ძლიერია იქ, სადაც ბევრნი არიან ირლანდიელი ემიგრანტები. კათოლიციზმის ერთგული დარჩა ინგლისის არისტოკრატიის ნაწილიც.

მრავალრიცხოვანი პროტესტანტული სექტები ინგლისში ცნობილია **„თავისუფალი ეკლესიის“ ანუ „ნონკონფორმისტების“** სახელწოდებით. ნონკონფორმისტულ სექტებს ერთი საერთო აქვთ – ისინი ანგლიკანური ეკლესიის იერარქიული მოწყობის წინააღმდეგ გამოდიან და კათოლიკური ელემენტების აღმოფხვრას მოითხოვენ. ნონკონფორმისტული ეკლესიებიდან ყველაზე პოპულარული და მრავალრიცხოვანია **მეთოდისტ-ვესლიანელების სექტა**, ე.ი. ჯონ ვესლის მიმდევრები (300 ათასზე მეტი კაცი), რომელიც XVIII ს-ში წარმოიქმნა. **მეთოდიზმი** ყველაზე მეტად კორნეულში და ჩრდილოეთის საგრაფოებშია გავრცელებული. **კონგრეგაციონალისტების სექტას** მიმდევრები ჰყავს უპირატესად ქალაქებში (230 ათასი). ისინი იბრძვიან ეკლესიის ცენტალიზაციის წინააღმდეგ და რელიგიური ძმობის თვითმმართველობისათვის. **ბაპტისტები** ინგლისში 300 ათასზე მეტნი არიან, რომელთა ღვთისმსახურების რიტუალი მცირედ თუ განსხვავდება პრესვიტერიანიზმისაგან. შედარებით მცირერიცხოვანია **კვაკერების სექტა,** ანუ როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებენ **„მეგობართა ქრისტიანული საზოგადოება**“. ამ სექტის მიმდევრები არ ცნობენ მღვდლებს, რადგან მათი სწავლების მიხედვით ქადაგება შეუძლია ყველას, ვისზეც შთაგონება დაიშვება. კვაკერები არავითარ რიტუალებს არ ასრულებენ. თავისი ქველმოქმედებით ცნობილია ე.წ. **ხსნის არმია.** მას ფინანსურად უზრუნველყოფს ტიტულოვანი ზედაფენა და

ბურჟუაზია. ჩამოთვლილთა გარდა ინგლისში არის 200-ზე მეტი მცირე სექტა.

ინგლისელებში მემკვიდრეობითი სახელი (გვარსახელი) XI ს-ში, ნორმანთა დაპყრობის შემდეგ, წარმოიქმნა. ძველი ინგლისური გვარსახელების გარდა გავრცელებულია ნორმანული, იშვიათად კელტური, სკანდინავიური და ფრანგული გვარსახელები. ტოპონიმიზებული მემკვიდრეობითი გვარსახელები მთელ გვარსახელთა 32%-ს მოიცავს. ისინი მომდინარეობს ქვეყნის, საგრაფოების, რაიონების, ქალაქების, სოფლების... სახელწოდებებისაგან. ინგლისური გვარების 30% გენეალოგიურია; ისინი მამის სახელებიდან წარმოიქმნა. პროფესიისა და თანამდებობის აღმნიშვნელი მემკვიდრეობითი სახელები 16-%-ია. ინგლისში ყველაზე გავრცელებული გვარსახელია **Smith** – „მჭედელი“ (ახლა ამ მემკვიდრეობით სახელს 200 ათასზე მეტი ოჯახი ატარებს). „მახასიათებელი“ მემკვიდრეობითი სახელები მთელი გვარსახელების 12% შეადგენს. ასეთი გვარები თავის დროზე მის პირველ მფლობელებს ფიზიკური თვისებების მიხედვით ახასიათებდა (**Red**, **Reed, Read, Rede** – „წითური“, **Littlejohn** – „პატარა“). XII ს-ში მამაკაცთა ყველაზე გავრცელებული სახელები იყო: **William, Robert, Ralph** და **Richard**. 1500-დან 1800 წლამდე მამაკაცთა ყველაზე პოპულარულ სახელებს წარმოადგენდა: **William, John** და **Thomas**. 1600 – 1800 წლებში ქალთა ყველაზე პოპულარული სახელები იყო: **Elizabeth, Mary** და **Anne**. XV-XVI სს-ის ინგლისური ანთროპონიმიის ერთ-ერთი თავისებურება იყო მამაკაცთა სახელების ქალის სახელებად ქცევა. ეს მოდა ფრანგულის გავლენის შედეგი იყო**: Alaxandra**, **Jacoba.** ინგლისში ორი საკუთარი სახელის ტარებას ტრადიცია XIV ს-ში ჩაეყარა.

ინგლისის მშვენებაა მისი დედაქალაქი ლონდონი, რომელიც მდ. ტემზის ჩრდილოეთ ნაპირზე ახ.წ. 43 წელს რომაელებმა დააარსეს. **ლონდონი მკვეთრად გამიჯნული სამი ნაწილისაგან შედგება: სიტი (სავაჭრო და ადმინისტრაციული ცენტრი), ვესტ-ენდი (აქ ძირითადად დასახლებულია არისტოკრატია) და ისტ-ენდი (მუშათა კვარტალი)**. ლონდონში არქიტექტურის ბევრი შესანიშნავი ნიმუშია, რომელთაგან შეიძლება XI ს-ში აგებული ტაუერის ციხე დავასახელოთ. XVII-XVIII სს-ში რენესანსის სტილშია აშენებული წმინდა პავლეს ტაძარი.

ინგლისმა მსოფლიოს მისცა არაერთი საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი და მკვლევარი. XVII ს. მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენები ეკუთვნით: **ი. ნიუტონს, რ. ბოილს, უ. ჰარვეის**. 1784 წ. **ჯ. უატმა** დააპატენტა ორთქლის ძრავა. მისი ორთქლის მანქანა ეკონომიურო-

ბის გამო ფართოდ გავრცელდა. უატმა შემოიღო პირველი სიმძლავრის ერთეული – **ცხენის ძალა**. 1785 წ. **ე. კარტრაიტმა** შექმნა პირველი საქსოვი დაზგა. 1825 წ. ინგლისელმა ინჟინერმა **ჯ. სტეფენსონმა (სტოვენსონმა)** ააგო მსოფლიოში პირველი რკინიგზა ორთქლის ტრანსპორტით. მსოფლიოში ცნობილნი არიან XVIII-XIX საუკუნეების ინგლისელი ქიმიკოსები და ფიზიკოსები: **მ. ფარადეი, ჯ. ჯოული, ჯ. მაქსველი.** XIX საუკუნეში ბიოლოგიის განვითარების მწვერვალი გახდა **ჩ. დარვინის** მოძღვრება. 1920-1930 წლებში **ჯ. ბერდტის და რ. უოტსონ-უატის** მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა ტელევიზიისა და რადიოლოკაციის შექმნამდე მიგვიყვანა. 1929 წ. ინგლისელმა ბაქტერიოლოგმა **ა. ფლემინგმა** პენიცილინი აღმოაჩინა.

მსოფლიოს ადიარება მოიპოვა ინგლისის კულტურის ბევრმა მოღვაწემ. განსაკუთრებით აღსანიშნავია გენიალური დრამატურგის და პოეტის, **უ. შექსპირის** (1564-1616) შემოქმედება. დიდი ინგლისელი პოეტებიდან ცნობილი არიან: **ჯ. ბაირონი** (1788-1824), **პ. შელი** (1782-1822), დრამატურგი **ბ. შოუ,** მწერლები **ჩ. დიკენსი** (1812-1870) და **უ. თეკერეი** (1811-1863), დეტექტიური ჟანრის შემქმნელი **არტურ კონან დოილი** და ბევრი სხვა.

თანამედროვე ამერიკის შემქმნელი სამი ხალხის – ინგლისელების, ესპანელებისა და ფრანგების ნაციონალური ხასიათის შედარებითი შესწავლა XX-ის 20-იან წლებში ესპანელმა მეცნიერნა სალვადორ დე მადარიაგამ მოახდინა. ის წერდა, რომ სამყაროს ინგლისური ფილოსოფია თავისუფლებას ეფუძნება. ინგლისელი მოქმედებაში ცხოვრობს. ის მუდმივად დაკავებულია. დასვენების დროსაც კი მუდმივად მოძრაობაშია და ბიზნესიდან უბრალოდ სპორტზე გადადის. ინგლისელის მთელი სიამაყე ნაციასთანაა დაკავშირებული – თუ ნაცია კარგად გრძნობს თავს, მაშინ ისიც კარგადაა. მადარიაგა იმასაც ამტკიცებდა, რომ ინგლისელებში ნებელობა, თავისუფლება დომინირებს, ფრანგებში – ინტელექტი, ესპანელებში – ვნება და გატაცება. ინგლისელის ცხოვრების პრინციპია – fair play. როგორც მეცნიერი აღნიშნავს, ეს გამოთქმა არ შეიძლება სხვა ენაზე პირდაპირ ითარგმნოს. დაახლოებით გამოხატავს „პატიოსან თამაშს“, სანდოობას, გარკვეული პოზიციის ერთგულებას. ინგლისელები თუ ბუნებასთან შეთანხმებულად ცხოვრობენ, ფრანგები მისი დაქვემდებარების სურვილით არიან აღვსილნი. ინგლისელი ცხოვრებით უფრო მაშინაა კმაყოფილი, როდესაც ბაღში მუშაობს, მოგზაურობს, ნადირობს, აშენებს რაღაცას, გამოიგონებს ანდა არემონტებს. ინგლისელ მეცნიერებს უფრო გამოყენებით მეცნიერებაში მუშაობა ემარჯვებათ. ლო-

გიკას, მათემატიკას, მეტაფიზიკას ისინი მექანიკას, ეთიკას, ფიზიკას, ბიოლოგიას, პოლიტეკონომიას ამჯობინებენ – ერთი სიტყვით, ფრიად პრაგმატიკოსები არიან. **პატივს სცემენ ტრადიციებს**. არიან კომპრომისების მომხრენი.

2.18. ჰოლანდიელები

ნიდერლანდების, ბელგიისა და ლუქსემბურგის ხალხები ევროპის ჩრდილო-დასავლეთში განლაგებულ სამ სახელმწიფოში ცხოვრობენ. მათ ბევრი რამ აქვთ საერთო როგორც ეთნიკური ისტორიის, ისე ყოფისა და კულტურის (ეთნიკური კულტურის) თვალსაზრისით. თუმცაღა ენობრივად ინდოევროპულ ენათა ოჯახის სხვადასხვა ჯგუფებს მიეკუთვნებიან – გერმანულსა (ფრიზები, ჰოლანდიელები, ფლამანდიელები, ლუქსემბურგელები) და რომანულს – (ვალონიელები). ევროპის ამ ნაწილში სახელმწიფო საზღვრები არ ემთხვევა ენობრივსა და ეთნიკურს. მაგალითად, ფრიზები ცხოვრობენ ნიდერლანდებში, გერმანიასა და დანიაში, ფლამანდიელები – ნიდერლანდებში, ბელგიაში, საფრანგეთში, ვალონები – ბელგიასა და საფრანგეთში. ნიდერლანდებში სახელმწიფო ენად ჰოლანდიური (ანუ ნიდერლანდური) ითვლება. ბელგიაში ორი სახელმწიფო ენაა: ფლამანდიური (ჰოლანდიურთან ახლოს მდგომია) და ფრანგული. ასევეა ლუქსემბურგში – ლუქსემბურგული (რომელიც სინამდვილეში გერმანული ენის დიალექტია) და ფრანგული.

ნიდერლანდების (არაოფიციალური სახელწოდებაა ჰოლანდია) მოსახლეობის უმეტესობას (1998 წლის მონაცემებით მათი საერთო რაოდენობა 15 მილიონ 500 ათასი კაცი იყო) შეადგენენ ჰოლანდიელები, რომლებიც დასახლებულნი არიან ქვეყნის ჩრდილოეთ, ცენტალურ და აღმოსავლეთ ოლქებში. ჰოლანდიური ენა მიეკუთვნება გერმანულ ენათა ოჯახის დასავლურ ქვეჯგუფს. ჰოლანდიელებთან ენითა და კულტურით ძალიან ახლოს არიან ფლამანდიელები. ისინი ცხოვრობენ ნიდერლანდების სამხრეთ პროვინციებში (ჩრდილო ბრაბანტი, ლიმბურგი), რომლებიც თანდათან ერწყმიან ჰოლანდიელებს და მხოლოდ რამდენიმე ნიშანიღა განასხვავებს მათ ჰოლანდიელებისაგან, სოფლის მოსახლეობისა და ნაწილობრივ რელიგიური თვალსაზრისით (ფლამანდიელთა უმეტესობა კათოლიკეა იმ დროს, როდესაც ჰოლანდიელების უმეტესობა პროტესტანტია). ქვეყნის ჩრდილოეთში, ფრისლანდიის პროვინციასა და მის მახლობლად დასავლეთ

ფრიზის კუნძულებზე (ტექსელი, ვლილანდი, ტერსხელინგი, ამელანდი და სხვ.) ცხოვრობს პატარა ხალხი – ფრიზები (ნიდერლანდებში ცხოვრობს 400 ათასი ფრიზი). ფრიზული ენა მიეკუთვნება დასავლურ-გერმანულ ენათა ჯგუფის ანგლოფრიზულ ქვეჯგუფს.

არაერთგვაროვანია ბელგიის სამეფოს ეთნიკური შემადგენლობა. ამ ქვეყნის მოსახლეობა 1998 წლის მონაცემებით 10,1 მილიონია. ჩრდილოეთი ბელგია (დასავლეთი და აღმოსავლეთი ფლანდრია, ანტვერპენი, ლიმბურგი) უკავიათ ფლამანდიელებს (5 მილიონ კაცზე მეტი). ფლამანდიელები წარმოშობითა და კულტურით ახლოს დგანან და მონათესავენი არიან ნიდერლანდიელებისა. ფლამანდიურს ნიდერლანდურთან საერთო გრამატიკა აქვს და მისგან მხოლოდ ნაწილობრივ ლექსიკით განსხვავდება. ბელგიის სამხრეთში (პროვინციები: ენო, ნამიური, ლიეჟი, ლუქსემბურგი) დასახლებულები არიან ვალონიელები (დაახლოებით 4 მილიონი კაცი), რომელთა ენა ფრანგული ენის დიალექტს წარმოადგენს.

ბელგია და ნიდერლანდები პატარა ქვეყნებია (ნიდერლანდები – 34 ათასი კვ.კმ., ბელგია – 30 ათასი კვ.კმ.). ორივე ქვეყანა ძალიან მჭიდროდაა დასახლებული. ნიდერლანდების დიდი ნაწილი და ჩრდილოეთი ბელგია დაბლობს წარმოადგენს. ნიდერლანდების მნიშვნელოვანი ნაწილი ზღვის დონეზე, ან მასზე დაბლაც კია. ქვეყნის სახელწოდება "**Nederland**" ნიშნავს დაბლობს. დიდი ხანია ჰოლანდიელები არა მარტო ებრძვიან ზღვის შემოტევას, არამედ ცდილობენ მას ზღვის მონაკვეთები წაართვან.

ძველი წერილობითი წყაროებით, **ნიდერლანდებისა და ბელგიის ტერიტორიაზე თავდაპირველად კელტები იყვნენ დასახლებულები**. წყაროებში ხშირად მოიხსენიებიან მენაპები (ბრაბანტსა და რეინის სანაპიროებზე), მორინები (ფლანდრიის სანაპიროზე), ნერვები (გენეგაუში, ბრაბანტში). ჯერ კიდევ ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში გერმანელთა მასობრივ გადასახლებამდე, ნიდერლანდებში მკვიდრობდნენ აგრეთვე გერმანული ტომები, რომლებიც აქ აღმოსავლეთიდან ცეზარის ლაშქრობებამდე დიდი ხნით ადრე მოვიდნენ. კელტური ტომების განსახლების ოლქები, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე ნიდერლანდების და ბელგიის სამხრეთი რაიონები იყო, გერმანული ტომები კი დასახლდნენ უპირატესად ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით. ამ გერმანულ ტომებს შორის ყველაზე ცნობილია ფრიზები, რომელთაც თავდაპირველად ეკავათ ჩრდილოეთის ზღვის სანაპირო ფლევოს ტბისა და მდ. ემსს შორის. მომდევნო საუკუნეებში კი გავრცელდნენ დასავლეთში – დღევანდელი ჰოლანდიის

ჩრდილოეთ პროვინციაში. ფრიზებთან ერთად ჰოლანდიაში აღმოსავლეთიდან გადმოსახლდნენ გერმანული ტომები ბატავები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჰოლანდიელი ხალხის ეთნოგენეზში.

ნიდერლანდებისა და ბელგიის ხალხების ეთნიკურ ისტორიას მნიშვნელოვანი კვალი დაჩნია გალებზე რომაელთა ბატონობამ (ძვ.წ. I ს. – ახ.წ. IV ს.). მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ქვეყნის იმ ნაწილისათვის, რომელიც რომის იმპერიაში იყო ჩართული და რომანიზაცია (სამხრეთ ბელგია) განიცადა. ეს მხარე დასახლებული იყო კელტური ტომით – ბელგებით და შედიოდა რომის პროვინციაში – ბელგიაში (ძვ.წ. I ს-ში ბელგების დიდი ნაწილი დიდ ბრიტანეთში გადასახლდა). რომაელთა ბატონობას IV-V სს-ში ზღვარი დაუდო გერმანული ტომების ძლიერმა ნაკადმა.

III ს-ის დასასრულს ისტორიულ წყაროებში პირველად იხსენიებიან ფრანკები, რომლებმაც IV-V სს-ში დასავლეთისაკენ წაიწიეს. უკვე IV ს-ში ფრანკებმა სამხრეთში დღევანდელ საზღვრებს მიაღწიეს, იმ საზღვრებს, რომელიც რომანულ ენებს გერმანულისაგან განაცალკევებს. დასავლეთში მათი მეზობლები საქსური ტომები გახდნენ.

V ს-ში უკანასკნელი რომაული ლეგიონები გალიიდან გამოიყვანეს. გალო-რომაული ოლქის ყოფილ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ფრანკების სახელმწიფო, რომელიც დასავლეთ ევროპაში ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ იქცა.

კარლოს დიდის დროს (768-819) ფრანკთა სახელმწიფო (რომელმაც ქრისტიანობა ჯერ კიდევ V ს-ში მიიღო) ბრძოლებს აწარმოებდა საქსებსა და ფრიზებთან, რომლებსაც ჯერ კიდევ შემონახული ჰქონდათ გვაროვნული წყობილება და წარმართული რელიგია. ფრიზებს ერთობა არ ჰქონდათ და ტომობრივი ჯგუფები ერთმანეთს მტრობდნენ, რაც ფრისლანდიის დაპყრობისას ჭკვიანურად გამოიყენა კარლოს I-მა. IX ს-ში კარლოსმა ფრიზები და საქსები დაამარცხა და აიძულა ისინი ქრისტიანობა მიეღოთ.

კარლოს I-ის შემდეგ ფრანკების ვრცელი იმპერია დაიშალა. ვერდენის ხელშეკრულებით (843 წ.) მიწის დიდი ნაწილი, რომელზედაც ჩამოყალიბდა ახლანდელი ნიდერლანდები და ბელგია, ლოტარინგიის შემადგენლობაში შევიდა, რომელიც 925 წელს აღმოსავლეთ გერმანიის სახელმწიფოს შეუერთდა. შუა საუკუნეებში თანამედროვე ნიდერლანდებისა და ბელგიის ტერიტორიაზე იყო ბევრი დამოუკიდებელი საჰერცოგო, საგრაფო და თავისუფალი ქალაქი. ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული ფლანდრიისა და ჰოლანდიის საგრა-

ფოები იყო. ფლამანდიელი ხალხის ფორმირება მიმდინარეობდა უპირატესად ფრანკული ტომების, კელტებისა და საქსების შერევის საფუძველზე. ვალონების ჩამოყალიბებაში კი მთავარი როლი შეასრულეს ბელგების შთამომავლებმა, რომლებმაც რომანიზაცია განიცადეს.

XV-XVI სს-ში პოლანდიელი ხალხების შემადგენლობაში შევიდნენ გერმანული ტომების: ფრანკების, საქსების, ფრიზებისა და კელტურ ტომთა დარჩენილი შთამომავლები. 1477 წელს ყველა ოლქი გაერთიანდა საერთო სახელწოდებით „ნიდერლანდები“ და მასში თანამედროვე ჰოლანდიასთან ერთად ბელგიაც შედიოდა. კარლოს V-მ (1519-1555) გააერთიანა გერმანია, ესპანეთი და ნიდერლანდია. XV ს-ში ნიდერლანდები დასავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანა იყო.

ნიდერლანდებისა და ბელგიის ეთნიკური ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნიდერლანდების რევოლუციას. ესპანეთის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ომმა პატრიოტიზმის გრძნობა გააღვივა. ამ დროს მოხდა საკმაოდ მსხვილი ეთნიკური გადაადგილებანი. ნიდერლანდიის რევოლუციის შემდეგ ფლამანდიელი ხალხი გაყოფილი აღმოჩნდა ორ სახელმწიფოს შორის: ფლამანდიელთა ნაწილი შევიდა გაერთიანებული ნიდერლანდების პროვინციებში, ნაწილი კი რომანულ მოსახლეობასთან ერთად (ვალონიელები) ესპანეთის ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა. ამის შემდეგ ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოების – ნიდერლანდებისა და ბელგიის პოლიტიკური ისტორია სხვადასხვაგვარად წარიმართა. ნიდერლანდებში მრეწველობა განსაკუთრებით განვითარებული იყო ჰოლანდიის ჩრდილოეთ და სამხრეთ პროვინციებში. აქ იყო თავმოყრილი მთელი მოსახლეობის 2/3. ამიტომაც XVII ს-დან მოყოლებული ცნება „ნიდერლანდები“ და „ჰოლანდია“ ხშირად ერთმანეთს ემთხვეოდა.

XVII ს-ში ჩამოყალიბდა და თითქმის ყველა პროვინციაში გავრცელდა ნიდერლანდური სალიტერატურო ენა, რომლის საფუძველს წარმოადგენდა ჰოლანდიის პროვინციის, წარმოშობით უპირატესად ფრანკული, დიალექტები.

რევოლუციის შემდეგ ნიდერლანდებში რელიგიური შემწყნარებლობა სუფევდა. დიდ წარმატებას მიაღწიეს ჰოლანდიელებმა ხომალდების მშენებლობაში.

XVIII-XIX სს-ში მიმდინარეობდა ნიდერლანდური ნაციის შემდგომი კონსოლიდაცია. გარკვეული თავისთავადობის მქონე სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფები შეერწყნენ ჰოლანდიელებს. ამ ეთნიკურ

პროცესებს ხელს უწყობდა აგრეთვე ქვეყნის შიგნით მიმდინარე მიგრაციული პროცესები. უკვე XVIII ს-ში ქვეყნის აღმოსავლეთ პროვინციებში მცხოვრებნი (დრენტი, ოვერეისელი), რომლებიც უპირატესად საქსების შთამომავლებით იყო დასახლებული, ჰოლანდიელებად იქცნენ. ჰოლანდიელთა მიერ ასიმილირებულ იქნა ქვეყნის ჩრდილოდასავლეთი ოლქები, რომლებიც ადრე ფრიზებით იყო დასახლებული და რომელიც ჯერ კიდევ XI ს-ში ლიტერატურაში ცნობილი იყო დასავლეთ ფრისლანდიის სახელით. ზელანდიელები (ზელანდიის პროვინციის მცხოვრებნი) და, ბოლოს, ფლამანდიელები (რომელთა ნაწილი ბელგიაში ცხოვრობს) ასევე ერთიანად შეერწყნენ ენითა და კულტურით მონათესავე ჰოლანდიელებს.

XVIII ს-ში ბელგია ჯერ ავსტრიის ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა, შემდეგ კი – საფრანგეთის. 1815 წ. ვენის კონგრესით ის მიუერთეს ნიდერლანდებს, მაგრამ 1830 წელს გამოცხადდა ბელგიის დამოუკიდებლობა.

ჰოლანდიელთა თვითსახელწოდებაა **ჰოლანდერს**. ნიდერლანდების (ჰოლანდიელების) საერთო რაოდენობა 14 მილიონზე მეტია. აქედან ნიდერლანდებში ცხოვრობს 12,3 მილ. კაცი. ისინი მკვიდრობენ აგრეთვე კანადაში (410 ათასი კაცი), აშშ-ში (380 ათასი კაცი), დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, აფრიკაში. მიეკუთვნებიან ატლანტურ-ბალტიურ რასას. ჰოლანდიური (ნიდერლანდური) ენა გერმანული ჯგუფის ერთ-ერთი ენაა (დასავლეთ-გერმანული ქვეჯგუფი). ნიდერლანდების გარდა, გავრცელებულია ბელგიაში, ვესტ-ინდოეთში. ამ ენაზე მოლაპარაკეთა საერთო რაოდენობა დაახლ. 20 მილ. კაცია (მათ შორის, ნიდერლანდებში – დაახლ. 14,5 მილ., ბელგიაში – დაახლ. 5 მილ.). ნიდერლანდების სამეფოს ოფიციალური ენა ბელგიის სამეფოს ერთ-ერთი ოფიციალური ენაა (ფრანგულთან ერთად). ნიდერლანდური ენა ჩამოყალიბდა შუა საუკუნეებში სალიკური ფრანკების ტომობრივი დიალექტების ფრიზულ და საქსონურ ტომობრივ დიალექტებთან ურთიერთობის საფუძველზე. ნიდერლანდების ენაში გამოყოფენ სამ პერიოდს: ძველნიდერლანდურ (ძველქვემოფრანკულ, IX-XI სს), საშუალონიდერლანდურ (XII-XV სს), ახალნიდერლანდურ (XVI ს-დან). სალიტერატურო ენის ერთიანი საფუძვლები ჩამოყალიბდა XVII ს-ში. XVII საუკუნეშივე ჩამოყალიბდა სამეტყველო ენის ნაირსახეობანი. ნიდერლანდური ენის შესწავლაში დიდი როლი ითამაშა ფ. ენგელსის ნაშრომმა „ფრანკული დიალექტი“, რომელშიც განხილულია აგრეთვე ფონეტიკის, მორფოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ტოპონიმიკის საკითხები. საშუალო ნიდერლანდური ენის ყველაზე ადრეული ძეგლებია (XIII ს) ვან მარლანტის ნაწარმოებები,

იურიდიული სიგელები... ჰოლანდიურ ენაში გამოყოფენ რამდენიმე დიალექტს: ჩრდილო-დასავლურს (ჩრდილოეთ-ჰოლანდიური დიალექტები), სამხრეთ-ცენტრალურს (ბრაბანტისა და აღმოსავლურ-ფლამანდიური), სამხრეთ-დასავლურს (დასავლურ-ფლამანდიური და ზელანდიური), ჩრდილო-აღმოსავლურს (საქსონური), სამხრეთ-აღმოსავლურს (ლიმბურგიული), ჩრდილო-ცენტრალურს (სამხრეთ-ჰოლანდიური უტრეხტული დიალექტები). დამწერლობა შექმნილი აქვთ ლათინური ანბანის საფუძველზე.

სარწმუნოებით ჰოლანდიის მცხოვრებთა უმეტესობა პროტესტანტი კალვინისტია, თუმცა ზოგიერთ პროვინციაში მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდებიან კათოლიკეები (ჩრდილო ჰოლანდია, ოვერეისელი, ჰელდერლანდი). ფლამანდიურ პროვინციებში ძირითადად კათოლიციზმია გავრცელებული (ბრაბანტში კათოლიკეები მთელი მოსახლეობის 89% შეადგენენ, ლიმბურგში – 95%). ჰოლანდიაში მკვიდრობენ აგრეთვე მენონიტები, ბაპტისტები და სხვ.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 12%. სოფლის მეურნეობაში მთავარ როლს მეცხოველეობა თამაშობს. ყველი შუა საუკუნეებიდან საექსპორტო პროდუქტია. XVI ს-დან ქვეყანაში მოიხმარენ დამზადებული ყველის მხოლოდ 2%. XVII ს-დან საზღვარგარეთ კარაქის გატანაც დაიწყეს.

ნიდერლანდელი ხალხის ცხოვრებაში ძველი დროიდანვე დიდ როლს თამაშობდა თევზჭერა. შუა საუკუნეებში ის სახელმწიფო შემოსავლის მთავარი წყარო იყო.

ტექნიკური კულტურებიდან განსაკუთრებით გავრცელებული იყო სელის მოყვანა.

ჰოლანდიის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (დაახლ. 88%) ქალაქებში ცხოვრობს. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, სადაც განლაგებულია სამი ყველაზე დიდი ქალაქი – ამსტერდამი, როტერდამი და ჰააგა – და მოსახლეობის ძალიან მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევა, ხშირად ჰოლანდიის კონურბაციას (კონურბაცია – განაშენიანების შედეგად ახლომახლო ქალაქების შერწყმა) უწოდებენ. ჰოლანდიის ბევრმა ქალაქმა შემოინახა თავისებური შუასაუკუნეობრივი იერსახე.

ძველი ჰოლანდიური სახლი ერთი სახურავის ქვეშ აერთიანებდა ყველა სამეურნეო და საცხოვრებელ ნაგებობას (ე.წ. საქსონური სახლი).

ჰოლანდიაში XIX ს-შიც გვხვდებოდა დიდი ოჯახები. მაგალითად, 1830 წელს ქ. დრენტეში იყო ოჯახი, რომელიც 50-60 კაცისაგან შედ-

გებოდა. დღეს ჰოლანდიაში მხოლოდ პატარა ოჯახებია. ბევრია მრავალშვილიანი ოჯახი.

ძველად ჰოლანდიაში არსებობდა ოდესღაც ყველა გერმანელი ხალხისათვის დამახასიათებელი თემი – მარკა. აღმოსავლეთ, ყოფილ საქსონურ, ოლქებში სათემო ურთიერთობანი უფრო დიდხანს შემოინახა, ვიდრე სხვა პროვინციებში. დრენტში, მაგალითად, ჯერ კიდევ 1828 წელს 116 მარკას ითვლიდნენ. ყველა მარკა ფლობდა მიწას, რომელიც ნაკვეთებად იყოფოდა და თემის წევრებს შორის ნაწილდებოდა.

ჰოლანდიელთა ანთროპონიმიული მოდელი შეიცავს ინდივიდუალურ სახელს, გვარსახელს და მამის სახელს.

ჰოლანდიაში განსაკუთრებით პოპულარულია სახალხო დღესასწაულები – კერმესები (Kermis), რომელსაც ყველა ქალაქსა და სოფელში ადგილობრივი ეკლესიის წმინდა მფარველის სახელზე აწყობენ.

ჰოლანდიელები კანონიერად ამაყობენ იმ ფაქტით, რომ **ევროპაში პირველი გაზეთი XVII ს-ის დასაწყისში მათ ქვეყანაში გამოვიდა.** ნიდერლანდების დედაქალაქ ამსტერდამს ხშირად ჩრდილოეთის ვენეციას უწოდებენ, რადგან აქაა 50 არხი და 500 ხიდი. ამსტერდამშია სახელმწიფო და ისტორიული მუზეუმები, რემბრანდტის სახლი, მეფის სასახლე. ქალაქ როტერდამში არის ხელოვნების აკადემია, კონსერვატორია, ერაზმის სახელობის უნივერსიტეტი, დიდი ბიბლიოთეკა, ეთნოლოგიის, ისტორიული, საზღვაო, სამხატვრო მუზეუმები.

ჰოლანდიელებმა დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიო სახვით ხელოვნებაში. XVI ს-ის მხატვართაგან აღსანიშნავია **პიტერ ბრეიგელის** შემოქმედება. XVII ს. ნიდერლანდური ფერწერის აყვავების დრო იყო. შესანიშნავი პორტრეტები შექმნა **ვან დეიკმა** (1599-1641). ჰოლანდიური რეალიზმის დიდმა წარმომადგენელმა **რემბრანდტმა** (1606-1669) თავისი მრავალჟანრობრივი შემოქმედება XVII ს. შუა ხანებში შექმნა. ჰოლანდიური ფერწერის „ოქროს საუკუნის“ ტრადიციები მომდევნო ეპოქებშიც გაგრძელდა. საკმარისია გავიხსენოთ **ვან გოგის** (1853-1890) სახელი. ქვეყნის გარეთ ფართოდაა ცნობილი განმანათლებლის – **ერაზმ როტერდამელის** (1466-1536) სახელი (ნამდვილი სახელი და გვარი გერჰარდ გერჰარდსი). ის იყო ჰუმანისტი, თეოლოგი, ფილოსოფოსი, მწერალი, ფილოლოგი, მთარგმნელი. წერდა ლათინურ ენაზე. ერაზმ როტერდამელის მიზანი იყო ანტიკურობისა და ქრისტიანობის სინთეზით ქრისტიანული ჰუმანიზმის დაფუძნება.

2.19. ფრიზები

ფრიზები (თვითსახელწოდება – **ფრიზენ, ფრისენ**) ცხოვრობენ ნიდერლანდებში (ძირითადად ფრისლანდიის პროვინციაში, ნაწილობრივ გრონინგენის პროვინციასა და დასავლეთ ფრიზის კუნძულზე) და გერმანიაში (ჩრდილო-დასავლეთ რაიონი ჩრდილო ფრიზის კუნძულის ჩათვლით და კუნძულ გელგოლანდზე). ფრიზების რაოდენობა ნიდერლანდებში 400 ათასზე მეტია, ხოლო გერმანიაში – 20 ათასი. დანიაში ცხოვრობს 2 ათასი ფრიზი. წარსულში ფრიზები უფრო ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულნი. ისინი ჩრდილოეთი ზღვის მთელ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ბინადრობდნენ. ფრიზები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიურ რასას. ფრიზული ენა ნიდერლანდურის მონათესავეა. მას ბევრი საერთო აქვს ინგლისურ ენასთან (ფრიზული ენა შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანული ჯგუფის დასავლურ ქვეჯგუფში). დიდი მსგავსება ფრიზულსა და ძველინგლისურს შორის აიხსნება ფრიზებისა და ინგლისელების მჭიდრო ეკონომიკური და ისტორიული კონტაქტებით. *ფრიზული ენა XVI ს-მდე ფრისლანდიის ოფიციალური ენა იყო და ამ დროიდან ის ჰოლანდიურმა გამოდევნა. დღეს შემონახულია მხოლოდ ყოფაში.* 1967 წლის მონაცემებით ფრისლანდიის მოსახლეობის მხოლოდ 71% ლაპარაკობდა ფრიზულ ენაზე. ამ ენაზე ტექსტის წაკითხვა კი 69% შეეძლო. გამოყოფენ ფრიზულის ოთხ დიალექტს. ფრისლანდიაში ორი დიალექტია: სოფლისა და ქალაქის მეტყველება. ქალაქის მეტყველება, ფაქტობრივად, ფრიზულ-ჰოლანდიური დიალექტის ნარევს წარმოადგენს. გერმანიის ფრიზებში არის ჩრდილო ფრიზული და აღმოსავლურ ფრიზული დიალექტები (სხვა კლასიფიკაციით, ენები). აქ მას ქვემო გერმანული ავიწროებს. დამწერლობა ლათინური გრაფიკის საფუძველზე აქვთ.

ფრიზები ძირითადად კალვინისტები არიან; გვხვდებიან კათოლიკეებიც. ახ.წ. I საუკუნეში ფრიზების გერმანული ტომი ჩრდილოეთის ზღვის მთელ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდა. ახ.წ. 500-დან 900 წლამდე ჩრდილოეთის ზღვა „ფრიზიის ზღვადაც“ იწოდებოდა. ამ დროს საზღვაო ვაჭრობაში ფრიზები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. VIII საუკუნეში ჩრდილოეთ ევროპის მთავარი სავაჭრო პუნქტი (დირესტადი) ფრიზების ქვეყანაში იყო. **ადრე შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში სახელგანთქმული იყო ფრიზული მაუდი**. მისგან შეკერილ ტანსაცმელს ატარებდა კარ-

ლოს დიდი, რომელმაც ეს ქსოვილი საჩუქრად არაბ ხალიფასაც კი გაუგზავნა. ეკავათ აგრეთვე ფართო ტერიტორია ზელანდიიდან სამხრეთ-დასავლეთით. „ფრიზის“ სავარაუდო ეტიმოლოგიაა – „თავისუფალი“ (fry). თვითსახელწოდება წარმოიშვა რომაელთა დაპყრობების წინააღმდეგ ძლიერი წინააღმდეგობის დროს (რომაულ წყაროებში მოიხსენიებიან: **Frisii, Frisones anda Frisiones**). შუა საუკუნეებში ფრიზების ეთნიკური ტერიტორია ცალკეულ ნაწილებად დაიყო. XI-XIII სს-ში დასავლეთი ოლქი (ე.წ. დასავლეთ ფრისლანდიის ჩათვლით) ჰოლანდიის საგრაფოში შევიდა. შუა ფრისლანდიამ (ანუ საკუთრივ ფრისლანდიამ) დამოუკიდებლობა, ფაქტობრივად, XVI ს-ის დასაწყისამდე შეინარჩუნა. ამ დროს ისიც ჰოლანდიის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი. დღეისათვის ნიდერლანდების პროვინციას – ფრისლანდიას შენარჩუნებული აქვს კულტურული ავტონომია. XVIII ს-ში აღმოსავლეთ ფრისლანდიის დამოუკიდებელი საგრაფო პრუსიამ დაიპყრო.

ფრიზების ძირითადი საქმიანობაა – სარძევე მეცხოველეობა (ფრისლანდიაშია გამოყვანილი საყოველთაოდ ცნობილი შავ-ჭრელი ჯიშის ჰოლანდიური სარძევე საქონელი), მეცხენეობა და სანაპიროზე მეთევზეობა. მისდევენ აგრეთვე მეცხვარეობას. ფრიზებში დღემდე შემოინახა ტრადიციული ხელოსნური დარგები (ქსოვა, ქალების მორთულობის დამზადება). განთქმულია ფრისლანდიური ცხენის ქარხნები.

ფრისლანდიელების ტრადიციული საკვებია ბოსტნეული (ძირითადად კარტოფილი), რძისა და თევზის კერძები.

შეიმჩნევა ნიდერლანდების სამი ხალხის – ჰოლანდიელთა, ფლამანდიელთა და ფრიზთა კონსოლიდაციის პროცესი. ამავე დროს, გააქტიურებულია ნაციონალური ფრიზული მოძრაობა, რომელიც გერმანელ ფრიზებთან მჭიდრო კავშირს მოითხოვს.

ფრისლანდიაში დიდი ქალაქები არაა. ფრისლანდიის ცენტრი ლეივარდენი პატარა პროვინციული ჰოლანდიური ქალაქია.

საინტერესოა ფრიზების ბევრი წეს-ჩვეულება, მათი თამაშები, გართობანი, რომელთა შორის ძალიან პოპულარულია ფიგურული სრიალი. ნიდერლანდებში ფრიზები საუკეთესო ფიგურული მოსრიალენი არიან. ციგურებს არქეოლოგები პოულობენ ტერპენის გათხრებში, რომელიც VIII-IX საუკუნეებს ეკუთვნის.

ოდითგანვე ფრიზი ქალიშვილები თვითონ წყვეტდნენ თავიანთ ბედს; თავად ირჩევდნენ ადამიანს, ვისაც ცოლად უნდა გაყჰოლოდნენ.

1830-იან წლებში განათლებულმა ფრიზებმა მოძრაობა დაიწყეს მშობლიური ენისა და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად. ფრისლანდიაში პირველი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება – **უნივერსიტეტი 1585 წელს გაიხსნა ქალაქ ფრანეკერში**. ფრიზები ამაყობენ ფრიზული ნაციონალური ლიტერატურის ფუძემდებლის, პოეტისა და გამოჩენილი ჰუმანისტის **გისბერტ იაპიკსას** (1603-1666 წწ.) შემოქმედებით. მათ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო 1938 წელს ფრიზიის მეცნიერებათა აკადემიის გახსნა. გამოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომები, როგორებიცაა: „ფრისლანდიის ენციკლოპედია“, „ფრისლანდიის ისტორია“, ფრიზულ-ნიდერლანდური და ნიდერლანდურ-ფრიზული ლექსიკონები. **1961 წლიდან ფრიზული ენა სავალდებულო საგანია სკოლებში.**

2.20. ფლამანდიელები

როგორც ზემოთ ითქვა, ფლამანდიელები ძირითადად ორ სახელმწიფოში არიან განსახლებულნი: **ნიდერლანდებში მკვიდრობს 1 მილ. 720 ათასი ფლამანდიელი, ბელგიაში – 5,1 მილიონი**. ცხოვრობენ აგრეთვე საფრანგეთში (250 ათასი კაცი). ფლამანდიელთა საერთო რაოდენობა 7,23 მილიონია. ანთროპოლოგიურად მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიურ რასას. ფიქსირდება აგრეთვე შუა ევროპული რასის ალპური კომპონენტი. ლაპარაკობენ ნიდერლანდური ენის სამხრეთულ ვარიანტზე. **სარწმუნოებით უმეტესობა კათოლიკეა**.

ფლამანდიელები ჰოლანდიელთა მონათესავენი არიან. ფლამანდიელთა ეთნიკურ საფუძველს შეადგენს ფრანკული, ფრიზული და საქსონური ტომები. ფლამანდიელები ფლამანდიის საგრაფოს მოსახლეობის ძირითად მასას წარმოადგენდნენ, რომელიც შუა საუკუნეების ევროპაში ეკონომიკურად ერთ-ერთი განვითარებული რეგიონი იყო. ფლამანდიური ეთნოსის ფორმირება XV-XVI სს-ში მიმდინარეობდა. ნიდერლანდების ბურჟუაზიული (1566-1609) რევოლუციის შემდეგ, XVI ს-ში, ფლამანდიელები გათიშულები აღმოჩნდნენ. ვენის 1814-1815 წწ. კონგრესის გადაწყვეტილებით ფლამანდიის ორივე ნაწილი ნიდერლანდების სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. 1830 წ. ბელგიის რევოლუციის შემდეგ ფლამანდიელებმა ვალონიელებთან ერთად შექმნეს ბელგიის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ფლამანდიელთა ნაწილი ნიდერლანდების შემადგენლობაში დარჩა. ფლამანდიური ბელგიის მეორე სახელმწიფო ენაა.

ფლამანდიელებთან დიდხანს შემოინახა თემური ურთიერთობის გადმონაშთები, ურთიერთდახმარების წეს-ჩვეულება, ყოველწლიური საერთო სადილი. შემონახულია მდიდარი ფოლკლორი – სიმღერები და ლეგენდები.

ფლამანდიელი იყო ცნობილი მხატვარი **პიტერ რუბენსი** (1577-1640). მან შექმნა ნახატები რელიგიურ და მითოლოგიურ სიუჟეტებზე. აქვს ისტორიულ-ალეგორიული ტილოები, პეიზაჟები და სცენები გლეხთა ცხოვრების შესახებ. რუბენსის სახელოსნოში მუშაობდნენ მხატვრები: **ანტონიოს ვან დეიკი** (1599-1641) და **იაკობ იორდანსი**(1593- 1678). წარმოშობით ფლამანდიელი იყო დიდი გერმანელი კომპოზიტორი **ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი**. მისი წარმომავლობა გვარსახელიდანაც კარგად ჩანს.

2.21. გერმანელები

გერმანელები, რომელთა თვითსახელწოდებაა "**დოიჩე**", ევროპის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია. ისინი ცენტრალურ ევროპაში მკვიდრობენ. გერმანელების საერთო რაოდენობა 86 მილიონია. მათ შორის, გერმანიაში 74 მილ. 600 ათასია. გერმანული ეთნოსის მრავალრიცხოვანი ჯგუფები მკვიდრობენ აშშ-ში (დაახლ. 5 მილ. 400 ათასი), ყაზახეთში (950 ათასი), რუსეთში (843 ათასი), კანადაში (1 მილ. 200 ათასი), ბრაზილიაში (710 ათასი), აგრეთვე ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში, ავსტრალიასა და სამხრეთ აფრიკაში. გერმანელთა ემიგრაცია რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ინტენსიური იყო ის XIX და XX სს-შიც. მაგალითად, 1840-1900 წლებში გერმანიიდან 4,8 მილ. კაცი წავიდა.

გერმანელთა უმეტესობა მიეკუთვნება დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიურ რასას. გერმანელებში გვხვდებიან აგრეთვე ცენტრალურევროპული რასის წარმომადგენლები. შუა რეინზე ფიქსირდება სამხრეთევროპული (ინდოხმელთაშუაზღვისპირული) რასობრივი ტიპის მინარევიც. თუმცა ძველი რომაელი მწერლების (ტაციტუსი და სხვ.) აღწერით **გერმანული ტომები ერთგვაროვანნი იყვნენ და გამოირჩეოდნენ სიმაღლით, ქერათმიანობით, ცისფერი თვალებით**. დროთა განმავლობაში გერმანელთა ანთროპოლოგიურ ტიპში სამხრეთევროპული და შუაევროპული ტიპების გაჩენა გამოიწვია გერმანელ ხალხში სლავური და კელტური ტომების შერევამ. უფრო მოგვიანებით ქვეყნის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში გერმანელებს შეერივნენ ლიტველი, პოლონელი და დანიელი მიგრაციული

ელემენტები. გვიან შუა საუკუნეებში გერმანელებს ბევრი ებრაელი და ფრანგიც შეერია. რეფორმაციის ეპოქაში პროტესტანტების მნიშვნელოვანი რაოდენობა ბავარიიდან და ავსტრიიდან ჩრდილოეთით გადასახლდა. აქ მათ ფრანგი ემიგრანტი პროტესტანტებიც შეუერთდნენ, რომლებიც XVIII საუკუნის დასაწყისში ბერლინის მოსახლეობის 10% შეადგენდნენ.

გერმანული ენა მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანული ჯგუფის დასავლეთგერმანულ ქვეჯგუფს. **გამოიყოფა გერმანული ენების ორი ჯგუფი: ქვემოგერმანული და ზემოგერმანული**. ზოგიერთი მკვლევარი უკანასკნელისაგან გამოყოფს საშუალოგერმანულ დიალექტებს. გერმანელთა დამწერლობა დაფუძნებულია ლათინურ გრაფიკაზე. საერთოდ, **სალიტერატურო ენისაგან პლატდოიჩე საკმაოდ განსხვავდება**. ამ დიალექტზე, რომელიც ახლოსაა ჰოლანდიურთან, არსებობს საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა. არაერთი მღვდელი ქადაგებს ქვემოგერმანულზე. დღესაც გერმანიის ბევრი ოლქის (მიწის) მოსახლეობა საუბრისას დიალექტს იყენებს. განსხვავება დიალექტებს შორის იმდენად დიდია, რომ ზემო საქსონიის მცხოვრებთ არ ესმით ზღვისპირეთის რაიონებში მცხოვრებთა მეტყველება. **ყველა გერმანელის სალიტერატურო ენაა ლუთერის მიერ გერმანულად თარგმნილი „ბიბლიის“ ენა**. გერმანული ენა სახელმწიფო ენაა არა მარტო გერმანიაში, არამედ ავსტრიაში, შვეიცარიის კონფედერაციაში (ფრანგულ, იტალიურ და რეტორომანულ ენებთან ერთად), ლუქსემბურგში (ფრანგულსა და ლუქსემბურგულთან ერთად). გერმანულ ენაზე 100 მილიონზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს.

გერმანელთა თითქმის ნახევარი პროტესტანტ-ლუთერანელია, ნახევარიც – კათოლიკე. სხვა ქვეყნებში მცხოვრებ გერმანელებში, გარდა კათოლიკეებისა და ლუთერანელებისა, საკმაოდ მრავალრიცხოვანნი არიან პროტესტანტთა სხვა – ბაპტისტების, მენონიტების, ადვენტისტების და ა.შ. წარმომადგენლებიც.

გერმანელთა შესახებ პირდაპირი ცნობები მხოლოდ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეს განეკუთვნება. ანტიკურმა სამყარომ გერმანელთა შესახებ დაახლოებით ძვ.წ. 330 წელს შეიტყო. ესაა მასილიელი ბერძენის, პიფეის ცნობა ტევტონების შესახებ. იულიუს ცეზარის დროს თუ გერმანული ტომები ნახევრად მობინადრეები, ნახევრად მიწათმოქმედნი იყვნენ და თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე, ტაციტუსის დროს ისინი უკვე მთლიანად მიწათმოქმედ და მობინადრე ხალხს წარმოადგენდნენ. გერმანული ეთნოსის ეთნიკურ საფუძველს წარმოადგენდნენ ძველ-

გერმანული ტომები, რომლებიც ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში მდინარეებს – რეინსა და ოდერს შორის იყვნენ განსახლებულნი. კერძოდ, ესენი იყვნენ გერმინონული, ისტევონური (ისკევონური) და ინგევონური ტომობრივი ჯგუფები. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს დასავლეთგერმანული ტომობრივი კავშირები საკულტო თვალსაზრისით იყვნენ გაერთიანებულნი. პირველ, გერმინონულ საკულტო კავშირთან (ჯგუფთან) (მას ეკუთვნოდნენ: სვევები, მარკომანები, გერმუნდურები, სემნონები, კვადები, ლანგობარდები, ხატები, ალემანები...) დაკავშირებულები არიან სამხრეთ გერმანიის გვიანდელი ხალხები: ბავარები, შვაბები, ტიურინგები, ჰესენილები. მათი შთამომავლები არიან აგრეთვე თანამედროვე გერმანულენოვანი შვეიცარიელები და ავსტრიელები. მეორე ჯგუფი (ისტევონელთა საკულტო გაერთიანებაში) რეინთან დასახლებულ ფრანკთა ტომებს მოიცავდა (ბატავები, ბრუკტერები, ხამავები, ხატუარები, უბიები, უზიპეტები, ტენკტერები, ხერუსკები), რომლებმაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს არა მარტო გერმანიის, არამედ ადრე შუა საუკუნეების სხვა სახელმწიფოების ისტორიაში. მესამე საკულტო სატომო ჯგუფში (ინგევონური) ფრიზების, საქსების, ანგლების, იუტების, ხალკების, ვარინების, ამპსივარიების ტომები შედიოდნენ. ამავე ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ კიმვრები და ტევტონები, რომლებიც ანტიკურმა სამყარომ საკმაოდ ადრე გაიცნო; ისინი ძვ. წ. II ს-ში საფრთხეს უქმნიდნენ რომს. შემდეგ (V ს.) ზოგიერთი ინგევონური ტომი – ანგლები, საქსების ნაწილი, ბრიტანეთის კუნძულზე გადასახლდა. ფრიზები ნაწილობრივ შეერწყნენ მეზობელ ხალხებს, ნაწილმა კი დღემდე შეინარჩუნა თავისთავადობა. ამ ქვემოგერმანულ ტომთა ჯგუფების უმეტესი ნაწილი დღევანდელი გერმანიის მოსახლეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად იქცა.

გერმანელთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა ეთნონიმი სხვა ხალხებს გადაეცა. მაგალითად, „ფრანკების“ სახელი ეწოდა მათ მიერ V-VI სს-ში დაპყრობილ „ფრანგების“ ქვეყანასა და მის მოსახლეობას, თუმცა თვით ისინი („ფრანკები“) გაითქვიფნენ ადგილობრივ რომანულ მოსახლეობაში. ალემანთა ტომის სახელს ფრანგები დღესაც ყველა გერმანელს უწოდებენ – "Allemands". „ნემეცების“ სახელწოდება, რომელიც ყველა სლავურ ენაში შევიდა, ბევრი მკვლევრის აზრით მომდინარეობს ნემეტების სატომო სახელიდან და შემდეგ ტევტონთა ტომის სახელი მთელი გერმანელი ხალხის თვითსახელწოდებად იქცა: **Tewtsche**, **Deutsche** და ქვეყნის – **Deutschland**. რაც შეეხება ეთნონიმს „გერმანელები“, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში დამაჯერებლად არის ახსნილი, მას კელტური წარმოშობა აქვს და აღნიშნავს „ახლო მცხოვრებთ, მეზობლებს“ (გალუ-

რად **ger** – მეზობელი). თვდაპირველად, ჯერ კიდევ ცეზარის დროს, ის კელტების მიერ გამოიყენებოდა რამდენიმე კელტურივე ხალხის აღსანიშნავად, რომლებიც ქვემო რეინის მარცხენა მხარეზე ცხოვრობდნენ. მაგრამ უკვე ძვ.წ. I საუკუნეში ის გადატანილ იქნა გერმანელებზე, რის შედეგადაც მისი პირვანდელი მნიშვნელობა ჩქარა გაქრა.

გერმანული მოდგმის ხალხები დიდი მიგრაციების აქტიური შემომქმედნი იყვნენ. მათი ეს მოძრაობა II საუკუნიდან VI საუკუნის ჩათვლით გრძელდებოდა. ამ პერიოდში გერმანელების ხელში აღმოჩნდა მთელი დასავლეთ რომის იმპერია. ხალხთა გადასახლებების ეპოქაში ტომებსა და ტომთა კავშირებს შორის არაერთგზისი შერევა მოხდა. მათ ადგილზე უფრო მადალი დონის ეთნოსები ჩამოყალიბდნენ. ზოგიერთი გერმანული ტომი და ტომთა კავშირი, რომლებიც ერთ დროს მრავალრიცხოვნობითა და სიძლიერით გამოირჩეოდნენ, საერთოდ გაქრნენ ისტორიის სარბიელიდან, სხვა ხალხებს შეერივნენ. მაგალითად, აღმოსავლეთგერმანული გუთები და ვანდალები, რომლებმაც V ს-ში სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ევროპის ქვეყნები (იტალია, ესპანეთი, საფრანგეთის ნაწილი), აგრეთვე ჩრდილო აფრიკა დაიპყრეს, მოგვიანებით ადგილობრივ ხალხებში გაითქვიფნენ. ასეთივე ბედი გაიზიარეს გერმანულმა ტომებმა: მარკომანებმა, ბურგუნდიელებმა, ლანგობარდებმა, თუმცა ზოგიერთი მათგანის სახელწოდება სხვაენოვან ქვეყნებში შემორჩა (ბურგუნდია, ლომბარდია). ყველაზე მნიშვნელოვანი როლი გერმანელი ხალხის (ეთნოსის) ფორმირებაში ფრანკებმა ითამაშეს.

ფრანკთა ტომობრივი კავშირები შედარებით გვიან ჩამოყალიბდა. არც ტაციტი, არც პლინიუსი და არც სხვა კლასიკოსი ავტორები ფრანკების სახელს საერთოდ არ ახსენებენ. დასავლეთგერმანულ ფრანკებს პირველად ასახელებს ამიანე მარცელინი (III საუკუნის II ნახევარი). ამ დროისათვის ფრანკები წარმოადგენდნენ ძლიერ და მებრძოლ სატომო კავშირს, რომლებიც რეინის შუა და ქვემო დინებაზე აერთიანებდნენ მთელ რიგ ტომებს (ხატები, ხამავები, ნერვიები, ბრუქტერები, სუგამბრები, უზიპეტები...). ფრანკული ტომები ორ ძირითად შტოდ იყო გაყოფილი: 1. **სალიკური ფრანკები** (ზღვისპირა; კელტურად **sal** – ზღვა), რომლებიც თავდაპირველად მდ. ვისლის ნაპირებზე ცხოვრობდნენ, შემდეგ კი IV ს. შუა წლებში მდ. რაინის ქვედა წელზე დასახლდნენ, 2. **რიპუარული ფრანკები** (მენაპირე, მდინარისპირა), რომლებიც რაინის ზემო წელის ნაპირებზე, მდ. მაინამდე ბინადრობდნენ. ისინი შემდეგ შეერთდნენ და ჩამოყალიბდა საერთო დიალექტი. ფრანკული დიალექტი მეცნიერულად ფრიდრიხ

ენგელსმა შეისწავლა, რომელმაც გვიჩვენა, რომ დამოუკიდებელი ფრანკული დიალექტი გარდამავალი იყო ზემოგერმანულსა და ქვემოგერმანულ დიალექტებს შორის.

V ს-მდე ფრანკულ ტომებს ერთგვარი თვითმყოფადობა ჰქონდათ შენარჩუნებული და ყველა მათგანს ჰყავდა თავისი წინამძღოლი, რომლებიც ხშირად მეფის ტიტულსაც კი ატარებდნენ. რომაელებთან ურთიერთობამ და ხანგრძლივმა ომებმა ფრანკებში ტომობრიობის გაქრობა გამოიწვია; გაძლიერდა სატომო მემკვიდრეობითი ზედაფენა. სალიკური ფრანკების – მერონინგების დინასტიის ბელადებმა ყველა ფრანკული ტომის, შემდეგ კი სხვა გერმანული ტომების დამორჩილებაც შეძლეს და მათ შექმნეს სახელმწიფო, რომელიც ადრეფეოდალურ სახელმწიფოდაა მიჩნეული. ამ სახელმწიფოში სამხედრო ზედაფენა ბატონობდა. განსაკუთრებით ცნობილია ფრანკთა მეფის **ხლოდვიგის** (482-511) დაპყრობითი ომები. მის დროს ფრანკთა სახელმწიფოში შევიდნენ ალემანები, საქსების ნაწილი და სხვა გერმანული ტომები. დაპყრობილ იქნა გალიის დიდი ნაწილი (ახლანდელი საფრანგეთი). ხლოდვიგმა ქრისტიანობა მიიღო. მისმა მემკვიდრემ დაპყრობების გზით უფრო გააფართოვა ფრანკთა სახელმწიფოს საზღვრები. მან დაიქვემდებარა ტიურინგები (531 წელს), ბავარები (540-იანი წლების მოლაპარაკებით); დაიპყრო აგრეთვე ბურგუნდია და თანამედროვე საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის სხვა მიწები. კაროლინგთა დინასტიის წარმომადგენლის, კარლოს დიდის დროს დიდი დაპყრობითი ომები გრძელდებოდა და ფრანკთა სახელმწიფო გადაიქცა უდიდეს ადრეფეოდალურ იმპერიად (800წ.), რომელმაც მოიცვა გერმანიის დასავლეთი ნაწილი, მთელი საფრანგეთი და იტალიის ჩრდილოეთი. კარლოს დიდი საქსების წინააღმდეგ ხანგრძლივ სისხლიან ომებს აწარმოებდა – ძალით მიაღებინა ქრისტიანობა, რათა მათი გააფთრებული წინააღმდეგობა როგორმე შეესუსტებინა. კარლოს დიდმა ბევრი იბრძოლა სლავური ტომების წინააღმდეგაც და მისი სახელი სლავთა ენებში საზოგადო სახელის მნიშვნელობით შევიდა –"Король" (მეფე). თავისი მოქმედებით კარლოს დიდმა ხელქვეით მოსახლეობაში ქრისტიანული ეკლესიისა და რომაული კულტურის გავლენას შეუწყო ხელი. სწორედ გერმანელებმა გადაიღეს და განავითარეს რომის იმპერიის ტრადიციები და კარლოს დიდის მემკვიდრეობა. კაროლინგების იმპერიის დაშლის პერიოდში გერმანელები ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპაში ერთადერთ სტაბილურ ეთნიკურ ელემენტს წარმოადგენდნენ.

დამპყრობელი ფრანკები თანდათან შეერივნენ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას, თუმცა იმპერიის სხვადასხვა ნაწილში მათი ბედი სხვადასხვაგვარად წარიმართა. დასავლეთით, რომანიზირებულ ქვეყნებში (საფრანგეთი, იტალია) ისინი უბრალოდ შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებიც უფრო მრავალრიცხოვანნი იყვნენ. ფრანკული (გერმანული) ენა აქ ჩქარა გაქრა და გაბატონებული აღმოჩნდა რომანული ენა. გერმანულენოვან ოლქებში, განსაკუთრებით რეინისპირეთში ფრანკულმა ელემენტმა გაბატონებული გავლენა შეინარჩუნა. სალიკური ფრანკების მეტყველება კი საფუძვლად დაედო ჰოლანდიურ და ფლამანდიურ ენებს.

კარლოს დიდის ეთნიკურად ჭრელი და სხვადასხვაენოვანი იმპერია ეკონომიკურადაც არ იყო ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. ის ძალიან ადრე დაეცა. 843 წ. ვერდენის მოლაპარაკებით კარლოს დიდის შვილიშვილებმა ის ერთმანეთს შორის გაიყვეს: გერმანულენოვანი ქვეყნები რეინის მარჯვენა ნაპირზე ლუდვიგ გერმანელს მიეკუთვნა. მასვე მიეკუთვნა მარცხენა ნაპირის ლოტარია (ლოტარინგია, ელზასი). ჩრდილოეთ იტალია, დასავლეთით რომანიზებული ქვეყნები (თანამედროვე საფრანგეთის ადგილზე) მიიღო კარლოს მელოტმა. დუნაის და რეინის ზემო დინებაზე იყო შვაბია, დუნაის ქვემოთ – ბავარია. ბავარიის მოსახლეობა კვადების ადრინდელი ტომისაგან, აგრეთვე მარკომანებისაგან ჩამოყალიბდა, რომლებსაც სხვა ტომებიც, მათ შორის კელტებიც, შეერივნენ. რეინის შუა დინების მარჯვენა ნაპირზე და მაინის დინებაში იყო განლაგებული ფრანკების ბატონობის ძირითადი ოლქი ფრანკინია, ვეზერის ზემო დინებაზე და ზაალში – ტიურინგია (ტიურინგები იყვნენ გერმუნდურების შთამომავალნი). რეინისა და ელბის ქვემო დინებებს შორის მოთავსებული იყო საქსონია – ძველი საქსების მიწა. ათასწლეულის ბოლოს საქსები ძალიან გაძლიერდნენ და ისინი აღმოსავლეთითაც გადაადგილდნენ, „ჩაყლაპეს“ სხვა გერმანული ტომები და შეავიწროვეს სლავები. აღმოსავლეთ ფრანკულ სამეფოში, რომელმაც გერმანული ოლქები (მიწები) გააერთიანა, საქსები გაძლიერდნენ. 919-1024 წლები იყო საქსონიელ მეფეთა დინასტიის მმართველობის ეპოქა. თვით სახელმწიფოს X ს-ის დასაწყისში ტევტონთა სახელმწიფო ეწოდებოდა – ტევტონთა ძველი ტომის სახელის მიხედვით. ამ დროს გაიბრწყინა საერთო გერმანულმა სახალხო თვითშეგნებამ. სიტყვა „ტევტონური“ პირველად ჩნდება 786 წლის ძეგლებში ლათინური ფორმით "**Theodiscus**" „სახალხოს“ მნიშვნელობით. IX ს. დასაწყისში აღმოსავლეთ ფრანკთა სახელმწიფოს მოსახლეობის ენას

უწოდებდნენ "**Teudisca lingua**", თვით გერმანულენოვან მოსახლეობას კი "**nationes theotiscae**" (ტევტონელთა ნაცია).

ამ დროს ჩაისახა გერმანული დამწერლობა და ლიტერატურა, თუმცა მასში ნაციონალური ელემენტები სუსტად იყო გამოხატული, რადგან დასაწყისში ის მხოლოდ რელიგიური ლიტერატურით იყო წარმოდგენილი (830 წ., 868 წ.). XII საუკუნეში ზოგიერთი გერმანელი პოეტის შემოქმედებაში უკვე იგრძნობოდა საერთო გერმანული თვითშეგნება. დიდი მინეიზერთაგანი (სიყვარულის მომღერალი) **ვალტერ ფონ დერ ფოგელვეიდე (1160-1228) აღფრთოვანებით აქებდა თავის ქვეყანას და გერმანელ ქალებს ყველაზე საუკეთესოებად მიიჩნევდა მსოფლიოში.**

XII-XIII საუკუნეებში გერმანული ეთნიკური ელემენტი აღმოსავლეთით გაფართოვდა. სამი საუკუნის განმავლობაში (XII-XIII სს.) სლავური მიწების კოლონიზაციას თან გერმანიზაცია ახლდა. ყოფილ სლავურ ტერიტორიებზე მარკგრაფების მეთაურობით „მარკები“ შეიქმნა. გერმანელთა კოლონიზაციის შედეგად შერეული დიალექტები წარმოიქმნა. აღმოსავლეთ გერმანიის ტოპონიმებმა ადრინდელი სლავური მოსახლეობის ნაკვალევი დღევანდლამდე შეინარჩუნეს. გერმანულ საისტორიო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ XI ს. მეორე ნახევარში გერმანიის მოსახლეობა 5-5,5 მილიონ კაცს ითვლიდა, რომელთაგანაც 90%-ს თვით გერმანელები შეადგენდნენ, ხოლო დანარჩენ 10%-ს – სლავები და სხვა ხალხები.

გერმანიის სახელმწიფოებრივი განვითარება მათ ეთნიკურ ფორმირებას ფეხდაფეხ როდი მისდევდა. თუ სხვა ქვეყნებში ნაციების ფორმირებას თან ახლდა სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაცია, გერმანიაში, პირიქით, მოხდა პოლიტიკური დაშლა. XIII-XIV სს-ში ერთიანი სახელმწიფო მრავალ წვრილ პოლიტიკურ ერთეულად დაიყო, მაგრამ პოლიტიკურმა დაქუცმაცებულობამ ერთიანი გერმანელი ხალხის დაშლა არ გამოიწვია, რადგან მის სიძლიერეს საფუძველი აღმოსავლეთ ფრანკთა სახელმწიფომ ჩაუყარა. გერმანელების ტომობრივი ერთობა განპირობებული იყო ფრანკთა დაპყრობებით, რამაც დიდი როლი ითამაშა გერმანელთა ეთნიკურ ფორმირებაში. სწორედ ამ დროს მოხდა გერმანული ტომების დაახლოება და ერთიან ხალხად გააზრება. რა თქმა უნდა, ერთიან სახელმწიფოსთან ერთად, იმ დროს დიდი როლი ითამაშა გერმანული ტომების ეკონომიკურმა, კულტურულმა, ენობრივმა და რელიგიურმა სიახლოვემ. როგორც ირკვევა, გერმანელთა სახელმწიფოებრივმა განცალკევებულობამ შემდეგ მათი ეთნიკური შემჭიდროვება განაპირობა. ფ. ენგელსი აფასებდა რა დასავლეთის ისტორიულ განვითარებას V ს-დან IX ს-მდე,

აღნიშნავდა: "...какими бесплодными ни представляются эти четыреста лет, они оставили один крупный результат: современные национальности, новое формирование и расчленение западноевропейской части человечества для грядущей истории". აღნიშნულ საუკუნეებში მოხდა ერთიანი გერმანული ეთნოსის, ნაციის ჩამოყალიბებაც.

X საუკუნემდე წყაროებში არ გვხვდება „გერმანელი ხალხის“, ანდა გერმანული სახელმწიფოს დასახელება. ვიდუკიდი (Xს.) გერმანიის ხალხს განსაზღვრავდა, როგორც საქსებისა და ფრანკების ერთობლიობას. გერმანიის მოსახლეობის ყველა „ხალხის“ სრულ ჩამონათვალს იძლევა ვიპო. ის ყვება, რომ მეფე კონრად II-ის ასარჩევად შეიკრიბნენ: გერმანიის მხრიდან – საქსები თავისი მეზობელი სლავებით, აღმოსავლეთ ფრანკები, ნორიკები (ბავარიელები) და ალემანები; გალიის მხრიდან (რეინს იქიდან) - რიპუარები და ლოტარინგიელები. 983 წლის მაგდენბურგის ანალებში ლაპარაკია იმაზე, რომ მეფემ მიიწვია საქსების, ფრანკებისა და სხვა ერების (nationes) ადამიანები, რომლებიც განსხვავდებოდნენ თავიანთი ენითა და ცხოვრების წესით. X საუკუნის ბოლოს გერმანია ეთნიკურად უკვე ძალიან შემჭიდროებული იყო. ამის დამადასტურებელია ის, რომ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენებოდა საერთო ტერმინი **Teutonici** (გერმანელები), **Germani** ყველა გერმანელის აღსანიშნავად. XI საუკუნის მწერალი ბრუნო გერმანელებზე ლაპარაკობს, როგორც გერმანული ენის ხალხზე.

გერმანული, როგორც სამწერლობო ენა (სახელმწიფო აქტებისა და ლიტერატურის ენა) პრაქტიკაში ძალიან ნელა ინერგებოდა. XIII საუკუნემდე გერმანიაში დამწერლობის ენად, უპირველესად, ლათინური რჩებოდა. მასთან ერთად ცალკეულ ოლქებში თავიანთ სატომო ენებზე წერდნენ. მაგალითად, ფეოდალური ჩვეულებითი სამართალი XIII საუკუნეში საქსონიაში (ოსტფალია) ჩაწერილ იქნა ადგილობრივ საქსონურ ენაზე (დიალექტზე), შვაბიაში – შვაბურ (ზემოგერმანულ) ენაზე. ყველა დანარჩენი გერმანული მხარისათვის ჩვეულებითი სამართალი შედგენილ იქნა ზემოგერმანულ ენაზე. ამ პერიოდის სამწერლობო ენა იყო ზემო გერმანელთა (ალემანელთა) სალაპარაკო ენა. XII საუკუნის დასასრულისა და XIII საუკუნის დასაწყისის მონაცემებით ირკვევა, რომ ეს ენა გასაგები იყო ყველა გერმანელისათვის. მის ფორმირებასა და გავრცელებაში დიდი როლი ითამაშეს მოხეტიალე პოეტებმა – მინეზინგერებმა.

XIV საუკუნის დასასრულსა და XV საუკუნეში გერმანიაში შეიქმნა უნივერსიტეტები. XV საუკუნეშივე გერმანიაში ჩაისახა წიგნის ბეჭდვა.

1517 წელს დაიწყო რეფორმაციული მოძრაობა, რომელსაც ავგუსტინელი ბერი მარტინ ლუთერი მეთაურობდა; იგი საეკლესიო რეფორმებს მოითხოვდა. ლუთერი გამოდიოდა რომის პაპიზმის წინააღმდეგ და იბრძოდა გერმანული ნაციონალური ეკლესიის შესაქმნელად. მან ბიბლია გერმანულ ენაზე თარგმნა და ღვთისმსახურებასაც დედაენაზე ასრულებდა. ბიბლიის ამ თარგმანს ენობრივი თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბიბლია ითარგმნა საქსონურ დიალექტზე, რომელიც თითქმის ყველა გერმანელისათვის იყო გასაგები. ლუთერის ბიბლიის ენით სარგებლობდნენ ისინიც კი, რომელთაც არ მიიღეს მისი საეკლესიო რეფორმა (კათოლიკეები), მაგრამ რეფორმაციამ მაინც არ დააჩქარა გერმანელთა ნაციონალური გაერთიანება. ფეოდალურ დაქუცმაცებულობას თან დაერთო გათიშულობა ორ მტრულ ბანაკს – ევანგელისტ-პროტესტანტებსა და კათოლიკეებს შორის. მაგრამ პოლიტიკური გათიშულობის მიუხედავად, გერმანელი ხალხის ნაციონალურ განვითარებას ხელი მაინც არ შეშლია. თუმცა რელიგიურმა გათიშულობამ ყოფისა და კულტურის ზოგიერთი თავისებურება მაინც განაპირობა.

გერმანელთა მეურნეობის ერთ-ერთი ძველი და წამყვანი დარგია მიწათმოქმედება, აგრეთვე მეცხოველეობა. ჯერ კიდევ ცეზარი და ტაციტი აღნიშნავდნენ, რომ საქონელი ძველი გერმანელების ძირითადი სიმდიდრე იყო. გერმანელთა მესაქონლეობა ექსტენსიური იყო. XVIII-XIX საუკუნეებში გერმანელებმა საქონელი ბაგურ კვებაზე გადაიყვანეს. აქამდე წლის უმეტეს დროს, რამდენადაც ბუნებრივი პირობები (ამინდი) ამის საშუალებას იძლეოდა, საქონელი საძოვარზე ატარებდა. სუფთა სახორცე მხოლოდ მეღორეობა იყო, რის განვითარებასაც მუხის ტყეების (რკოს) დიდი რაოდენობა განაპირობებდა. ექსტენსიური მეურნეობის პირობებში მნიშვნელოვანი იყო მეცხვარეობა.

გერმანელთა სოციალური ყოფის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ოჯახის კვალი მხოლოდ ძველ დასახლებულ პუნქტებს შერჩა, რომლებიც Ingen-ით ბოლოვდება (მაგალითად, გომარინგენი, ზიგმარინგენი), რომლის ადრინდელი მოსახლეობა შედგებოდა ნათესაური ჯგუფებისაგან – გომარ, ზიგმარ.

ძველ გერმანელთა რწმენა-წარმოდგენები უპირატესად აგრარულ კულტებთან იყო დაკავშირებული. ქრისტიანობამ გერმანელებში გავრცელება IV საუკუნეში რომიდან დაიწყო (გუთები, ვანდალები, ლანგობარდები...). V საუკუნის ბოლოს ფრანკები გაქრისტიანდნენ. გერმანიის ფარგლებში – ტიურინგებში, ბავარიელებში, საქსებში ქრისტიანობამ გვიან – VIII ს-ში მოიკიდა ფეხი. ფრანკთა მეფეები მას ძალით, ხშირად მახვილით ავრცელებდნენ. მაგალითად, კარლოს

დიდმა ათასობით საქსი, რომელსაც ქრისტიანობის მიღება არ სურდა, სიკვდილით დასაჯა. გერმანიის ეკლესია დაექვემდებარა რომის პაპს. ტევტონელებისა და ლივონელების სასულიერო-რაინდული ორდენები ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ ქრისტიანობას ბალტიისპირეთის მოსახლეობაში (პრუსებში, ლატვიელებში, ესტონელებში) და იქვემდებარებდნენ მათ.

ლუთერის მიერ შექმნილმა ეკლესიამ რომის პაპის ხელისუფლება არ ცნო და ის მიწების მფლობელებს დაუქვემდებარეს, ფეოდალებმა კი რეფორმაციის გამარჯვება თავისი ხელისუფლების გასაძლიერებლად გამოიყენეს. ამიტომაც ბევრი მათგანი ახალი მოძღვრების გავრცელებას ემხრობოდა. რეფორმაციამ მოიცვა თითქმის მთელი გერმანიის ტერიტორია ბავარიასა და ავსტრიამდე, მაგრამ კონტრრეფორმაციამ, რომელსაც მეთაურობდნენ იეზუიტები, კათოლიციზმს ქვეყნის ჩრდილოეთსა და ალპებში დიდი ტერიტორიები დაუბრუნა.

მრავალწლიანი ომის შემდეგ, 1555 წელს კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის აუჰსბურგის ზავი დაიდო, რომლითაც **ქვეშევრდომთა სარწმუნოება განისაზღვრა ადგილობრივი თავადების მიერ: „ვისი ხელისუფლებაცაა – მისია რწმენა“.**

ევროპაში რეფორმაციის თანამდევი იყო რელიგიური ომები, რამაც გერმანიის ტერიტორიაზე დიდი ნგრევა გამოიწვია. 1618 წელს გაჩაღებული ოცდაათწლიანი ომის ძირითადი არენა გერმანია იყო. ამ ომის შედეგად თითქმის განადგურდა აყვავებული ქალაქი მაგდენბურგი. 1631 წელს მაგდენბურგის 30 ათასი მცხოვრებიდან მხოლოდ 5 ათასი გადარჩა. იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდა გერმანიის სხვა ქალაქებიც. კონფლიქტის დამთავრებამდე ბერლინმა მოსახლეობის ნახევარი დაკარგა, ხემნიცმა – 80%. მიუნხენში მოსულმა ესპანელთა ჯარმა თან შავი ჭირი (ჟამი) მოიტანა და რამდენიმე კვირის განმავლობაში აქ ათი ათასი კაცი დაიხოცა. არანაკლებ მძიმე იყო სოფლის მოსახლეობის გასაჭირი. 1641 წლისათვის ვიურტემბურგის მოსახლეობა 400 ათასიდან 40 ათასამდე შემცირდა, პფალცმა კი თავისი მოსახლეობის ოთხი მეხუთედი დაკარგა. ბოგემიაში 1618 წლისათვის 3 მილიონი მცხოვრები იყო, ომის დასასრულისათვის კი მხოლოდ – 780 ათასი. მისი 35 ათასი სოფლიდან იმ დროისათვის მხოლოდ 5 ათასიღა არსებობდა. ომის უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში მხოლოდ შვეიცის არმიამ 18000 სოფელი, 1500 ქალაქი და 200 ციხესიმაგრე დაანგრია. მთლიანად **გერმანიამ თავისი მოსახლეობის 35% დაკარგა – 21 მილიონი კაციდან 13,5 მილიონ კაცამდე შემცირდა**. ოცდაათწლიანმა ომმა გერმანიის მეურნეობაც მოშალა, რის გამოც ის დიდხანს დასუსტებულ და დანგრეულ ქვეყანად იქცა.

კალვინისტურმა ეკლესიამ გერმანიაში ნაკლები მიმდევარი გაიჩინა, ვიდრე ლუთერანულმა. კალვინისტები დღეს არიან მხოლოდ აღმოსავლეთ ფრისლანდიაში – ნიდერლანდების მეზობლად და რენალდსა და პფილცში, რომლებიც XVII-XVIII საუკუნეებში ჰოლანდიიდან გადმოსახლებული ფრანგი ჰუგენოტების შთამომავალნი არიან.

გერმანიის გაერთიანება 1871 წელს პრუსიის ეგიდით მოხდა, რამაც განაპირობა მთელი გერმანიის განვითარება (დაიწყო მისი პრუსიზაცია). ერთმანეთისაგან გათიშული გერმანული მიწები ბისმარკის დიპლომატიამ და პრუსიის არმიის ეფექტურობამ გააერთიანა. სხვა ევროპული ერებისაგნ განსხვავებით, გერმანელებმა ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო გვიან, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში შექმნეს. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი ერისათვის (ნაციისათვის) დამახასიათებელია საერთო ეთნიკური კულტურა, მისი ცალკეული მხარეები კულტურულ-ყოფით თავისებურებებს კარგა ხანს ინარჩუნებდნენ, რაც პირველ რიგში ოლქების სახელწოდებებმა შემოინახა: **ბავარიელები, შვაბები, საქსონიელები, ფრანკონელები, პრუსიელები...** ტერიტორიულად ქვეყანა თექვსმეტ მიწად იყოფა, რომლებსაც თავიანთი კანონები აქვს, ჰყავს მთავრობა. ქვეყნიდან გასვლის ნებართვას იძლევა ფედერალური საგარეო საქმეთა სამინისტრო, ცხოვრებისას კი – ადგილობრივი მთავრობა. საერთო-სახელმწიფოებრივ დღესასწაულებთან ერთად, არსებობს ადგილობრივი დღესასწაულებიც. მაგალითად, ნათლისღება (6 იანვარი) ოფიციალურ დღესასწაულად მხოლოდ ბადენ-ვიურტემბერგში, ბავარიასა და საქსონიაშია გამოცხადებული. პროტესტანტები რეფორმაციის დღეს (31 ოქტომბერი) აღნიშნავენ ბრანდებურგში, მეკლენბურგში, საქსონიაში, ტიურინგიაში და სხვ. ბავარია გერმანიის ყველაზე თავისებური მიწაა. ამ მხრიდან გერმანელმა ტომებმა – ბავარიელებმა V საუკუნეში კელტები და რომაელები გააძევეს. 1180 წლიდან 1918 წლამდე ბავარიას ვიტელსბახების დინასტია მართავდა. დღეს ბავარია გერმანიის ერთ-ერთი განვითარებული „ქვეყანაა“. გერმანიაში ბევრი ულამაზესი ციხესიმაგრე, სასახლე და ტაძარია, ყველაზე დიდებული ნაგებობები კი ბავარიაშია. ბავარიაში მოჰყავთ შესანიშნავი ხარისხის სვილი, რომელიც აუცილებელი პროდუქტია ლუდის ხარშვის დროს. ლუდის სიყვარული ბავარიელთა ერთ-ერთი მთავარი თვისებაა. ქვეყანაში 1300-ზე მეტი ლუდის მწარმოებელია, 6000 კი – ლუდი სახლი. ყოველწლიურად მიუნხენში ტარდება ლუდის დღესასწაული, რომელსაც ბავარიელები ოქტომბრის დღესასწაულს უწოდებენ. ის ორი კვირა გრძელდება. ლუდის წარმოებას ბიუჯეტში უფრო მეტი შემოსავალი შეაქვს, ვიდრე სახორცე და საკონდიტრო მრეწველობას. ამ თვალსაზრისით ის მხოლოდ სარძევე მრეწველობას ჩამორჩება. ლუდის გა-

ყიდვით ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ გერმანიას მსოფ-ლიოში მეორე ადგილი უკავია.

ახალი წელთაღრიცხვის ავტორის, ტაციტუსის სიტყვით გერმანე-ლები სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდნენ. ცეზარი კი აღნიშნავ-და, რომ გერმანელების ძირითადი საკვები რძე, ყველი და ხორცი იყო. იკვებებოდნენ ნანადირევითაც. ნაკლებად ჭამდნენ პურეულს – ესე იგი ძველ გერმანელებში მეურნეობის წამყვან დარგს მესაქონ-ლეობა წარმოადგენდა. ხორბლისა და ქერისაგან ძირითადად ლუდს ამზადებდნენ. ამ ხალხში ლუდის დიდი კულტი არსებობდა და არსე-ბობს. მიწათმოქმედებას სათემო ხასიათი ჰქონდა. ძველი გერმანელე-ბი ხის სახლებში ცხოვრობდნენ. ტანსაცმელს ძირითადად მატყლის ძაფისაგან ქსოვდნენ, ტილოსაგან კერავდნენ. ფართოდ იყენებდნენ მხეცების, ცხოველების ტყავსაც. ძველი გერმანელი მამაკაცები ცხო-ვრების ძირითად ნაწილს ნადირობასა და ბრძოლებში ატარებდნენ. სასოფლო სამუშაოებით, საოჯახო საქმეებით ქალები, მოხუცი მამა-კაცები და მონები იყვნენ დასაქმებულნი. ახალგაზრდას იარაღს სა-ხალხო კრებაზე მამა ან ცნობილი ადამიანი გადასცემდა, რომელ-საც აღარასდროს იშორებდა. მაგრამ მამაკაცს სრულ მოქალაქეობას მხოლოდ საკუთრება ანიჭებდა. ძველ გერმანელებში მრავალცოლია-ნობა არ გვხვდებოდა; სიმრუშე მკაცრად ისჯებოდა. გერმანელებს ცოლები ხშირად ომებშიც მიჰყვებოდნენ და ისინი ქმრებს შეძახი-ლებით ამხნევებდნენ.

საყურადღებოა, რომ შობა-ახალწელიწადს ნაძვის ხის მორთვა სხვადასხვა ხალხში XIX საუკუნეში გერმანიიდან გავრცელდა.

მთელ მსოფლიოში ცნობილია გერმანული ნაციონალური ხასია-თის ნიშანდობლივი თვისება – პუნქტუალობა და აკურატულობა, ყა-ირათიანობა; არიან შრომისმოყვარენი, მუყაითები.

გერმანელებს ძალიან უყვართ ძაღლები. გერმანია არაერთი სა-მომხმარებლო, სადარაჯო და სამონადირეო ჯიშის ძაღლების სამ-შობლოა: დობერმანი, როტვეილერი, გერმანული ნაგაზი, გერმანული დოგი... ყველაზე პოპულარულ ჯიშად კი დაკელი ითვლება.

გერმანიაში დასარქმევი სახელების რაოდენობა შეზღუდული არაა. ჩვეულებრივ, ახალშობილს ორ ან სამ სახელს არქმევენ, რომელთა-განაც ერთ-ერთი ძირითადია. ტრადიციაა შედგენილი სახელების და-რქმევა, მაგალითად: Karl-Heinz, Peter-volker, Anne-Rose, Anne-Katrin და ა. შ. ხშირად ეს სახელები ერთად, დეფისის გარეშე იწერება. დაწე-რილობის მიუხედავად ეს ორმაგი სახელები ერთ სახელად ითვლე-ბა. შუა საუკუნეებში გერმანელებს გვარსახელები ჰქონდათ, მაგრამ XIX საუკუნემდე მათ შეეძლოთ მისი შეცვლა. გვარების დიდი ნაწი-

ლი სახელებიდანაა ნაწარმოები. მნიშვნელოვანი ნაწილის ფუძეს კი პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინი წარმოადგენს.

გერმანია ბევრი დიდი ადამიანის სამშობლოა. განსაკუთრებით დიდია გერმანელების წვლილი ფილოსოფიაში, მუსიკასა და პოეზიაში. მსოფლიოს კულტურის საკუთრებას წარმოადგენენ დიდი კომპოზიტორები: **იოჰან სებასტიან ბახი** (1685-1750), **გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი** (1685-1759), **ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი** (1770-1827), **იოჰან ბრამსი** (1833-1897), **რიჰარდ ვაგნერი** (1813-1888). დიდი გერმანელი პოეტები იყვნენ: **იოჰან ვოლფგანგ გოეთე** (1749-1832), **იოჰან ფრიდრიხ შილერი** (1759-1809), **ჰენრიხ ჰაინე** (1797-1865). მთელ მსოფლიოში ცნობილი არიან გერმანელი ფილოსოფოსები**: იმანუილ კანტი** (1724-1804**), იოჰან გოტლიბ ფიხტე** (1762-1814). ეს უკანასკნელი გაერთიანებული გერმანიის იდეას იცავდა. ფრანგული რევოლუციის იდეების გავლენით ჩამოყალიბდა ერთ-ერთი დიდი გერმანელი ფილოსოფოს-იდეალისტის **გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის** (1770-1831) მსოფლმხედველობა. XIX საუკუნის შუა ხანებში **კარლ მარქსმა** (წარმოშობით ებრაელმა) და **ფრიდრიხ ენგელსმა** შექმნეს მეცნიერული კომუნიზმის თეორია, რამაც კაცობრიობას არაერთი პრობლემა შეუქმნა. ალბათ მათაც მიესადაგებათ გოეთეს სიტყვები, რომ **„გერმანელები ყველას, როგორც თავის თავს, ისე სხვებს, ურთულებენ ყველაფერს“.** 1901 წლიდან 1994 წლის ჩათვლით გერმანელმა მეცნიერებმა ათეულობით ნობელის პრემია მოიპოვეს: 17 – ფიზიკის დარგში, 23 – ქიმიაში, 14 – ფიზიოლოგიასა და მედიცინაში, ერთი ეკონომიკაში. სხვათა შორის, 1492 წელს გერმანელმა გეოგრაფმა **მარტინ ბეჰაიმმა** (1459-1507 წლები) შექმნა პირველი გეოგრაფიული გლობუსი, რომელიც ახალი სამყაროს აღმოჩენამდე დედამიწის ზედაპირის შესახებ წარმოდგენას გვიქმნიდა.

2.22. ავსტრიელები

ავსტრიელები ცხოვრობენ ავსტრიის სახელმწიფოში. მათი თვითსახელწოდებაა **ესტერაიხერ (Österreicher**). ავსტრიელები დაახლოებით 8 მილ. 800 ათას კაცს ითვლიან. თვით ავსტრიის სახელმწიფოში 7 მილ. 150 ათასამდე არიან. გარდა ამისა, 300 ათასი ავსტრიელი ცხოვრობს იტალიაში (ზოგიერთი მეცნიერი მათ გერმანელებად თვლის). დაახლ. 1,27 მილ. მკვიდრობს აშშ-ში, 40 ათასი - კანადაში, 30 ათასი - არგენტინაში. ავსტრიელებში ნაწილობრივ შემორჩენილია ოლქობრივი (სამხარეო) თვითშეგნებაც. ასე, მაგალითად, **ტიროლის მცხოვრებნი თავისთავს უწოდებენ ტიროლელებს, კარინტიაში მცხოვრებნი - კარინტიელებს, შტირიაში მცხოვრებნი - შტირიელებს. თუმცა ეს მხოლოდ ავსტრიელთა ეთნოგრაფიული ჯგუფებია.** ავსტრიელთა

სალიტერატურო ენაა გერმანული (გერმანული ენის ავსტრიული ვარიანტი). ავსტრიელთა სალაპარაკო დიალექტები ახლოსაა ბავარიულსა და ალემანურთან, განსაკუთრებით გამოირჩევა ვენის მცხოვრებთა მეტყველება.

ავსტრიელთა დამწერლობა დაფუძნებულია ლათინურ ანბანზე (იგივე გერმანული). რელიგიით ავსტრიელები ძირითადად კათოლიკეები არიან. მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის საშუალო ევროპულ რასას.

მიუხედავად გერმანელებთან (ძირითადად სამხრეთ გერმანელებთან) საერთო ენისა და მატერიალური და სულიერი კულტურის ზოგიერთი მსგავსებისა, ავსტრიელები დამოუკიდებელ ხალხად (ეთნოსად) მიიჩნევა, განსხვავდებიან რა გერმანელებისაგან როგორც ისტორიული განვითარებით, ისე ნაციონალური ხასიათით, წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით. ეს აიხსნება იმით, რომ ავსტრიელებს, გერმანელებთან საერთო წარმოშობისა და კავშირების მიუხედავად, საუკუნეთა განმავლობაში მჭიდრო კავშირები ჰქონდათ სლავური მოდგმის ხალხებთან, იტალიელებთან და უნგრელებთან. ამავე დროს, ისინი სხვა სახელმწიფოს – ჰაბსბურგების იმპერიაში შედიოდნენ. გარკვეული წრეების გამოკლებით, დღეისათვის ავსტრიელთა უმეტესობა თავის თავს ავსტრიელს უწოდებს.

ავსტრია მოთავსებულია ევროპის ცენტრში, გზების გადაკვეთაზე, რომლებიც მიემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და პირიქით. ავსტრიის ფართობი 83.849 კვ. კმ-ია. მისი მეზობლებია: შვეიცარია, გერმანია, ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, იტალია, ლიხტენშტეინი.

ავსტრიის ტერიტორია ადრევე იყო დასახლებული ადამიანებით. აქ აღმოჩენილია პალეოლითის, ნეოლითის, ბრინჯაოს, რკინის ადრეული ხანის ძეგლები. ახალ წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე აქ ცხოვრობდნენ ილირიელები, ეტრუსკები, ფორარელბერგისა და ტიროლის ოლქებში – რეტები; ძვ.წ. V საუკუნეში გამოჩნდნენ კელტური ტომები. კულტურის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ავსტრიის მიწების დაპყრობას რომაელების მიერ (ძვ.წ. II ს-ში). მათ დიდი როლი ითამაშეს მიწათმოქმედების, მევენახეობის, საამშენებლო და მშენებლობის (გზების, ხიდების მშენებლობა) განვითარებაში. V-VI საუკუნეებში, მართალია მოკლე დროით, მაგრამ მაინც სხვადასხვა წარმოშობის ეთნიკური ერთეულების (გუთები, ჰუნები, ავარები, ლანგობარდები) მოსვლამ ავსტრიის ეთნიკურ შემადგენლობაზე ერთგვარი გავლენა იქონია. VI საუკუნეში სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ავსტრიაში გადმოსახლება იწყეს სლავებმა. მათ დაიკავეს ქვეყნის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნა-

წილი. თითქმის ერთდროულად ავსტრიის ტერიტორიაზე შემოიჭრნენ გერმანელები – ბავარიელები და ალემანები. უკანასკნელნი დასახლდნენ ფორარელბერგისა და ტიროლის ნაწილის ოლქებში. ამ ოლქების ენასა და კულტურას დღესაც რიგი თავისებურებანი ახასიათებს, რითაც ის ახლოსაა მეზობელ ალემანურ შვეიცარიასთან. რომანიზებული რეტების დასახლებანი ფორარელბერგის სამხრეთში XI საუკუნემდე შემოგვრჩა, მათი ენა კი – XVII საუკუნემდე. რომანიზმის ცალკეული შემთხვევები დღესაც დამახასიათებელია ამ რაიონების მოსახლეობის ენისათვის.

გერმანული ტომების – ბავარიელებისა და ალემანების სლავებთან შერევის შედეგად, რომელშიც უფრო ადრე რომანიზებული ხალხებიც მონაწილეობდნენ, ჩამოყალიბდა ავსტრიელი ხალხი (ეთნოსი).

VII ს. დასასრულს ავსტრიის დიდი ნაწილი შედიოდა სლავური სახელმწიფოს – სამოს შემადგენლობაში. მისი დაცემის შემდეგ ჩამოყალიბდა სლავური სამთავრო კარანტანია, რომლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს სლოვენიელები წარმოადგენდნენ. მასში შედიოდა თანამედროვე კარინტია, შტირია და კრაინა. მოგვიანებით კარანტანია მეზობელი ბავარიის საჰერცოგოს შემადგენლობაში შევიდა.

ავსტრიის ჩართვამ კარლოს დიდის იმპერიასა (VIII საუკუნე) და აღმოსავლეთ ფრანკულ სახელმწიფოში (IX საუკუნე) აქ მცხოვრებ ეთნოსთა (სლავები და სხვ.) გერმანიზაციამდე მიგვიყვანა. ეს პროცესი დროებით შეჩერდა უნგრელთა გამანადგურებელი თავდასხმების შედეგად. ამ პერიოდში კარინტია შედიოდა ფრიულის მარკაში, დუნაისპირეთის რაიონები (ენსასაგან აღმოსავლეთით) – პანონიის (ავარიის) მარკაში. IX საუკუნეში ისინიც აღმოსავლეთ ფრანკების სახელმწიფოში შევიდნენ.

X-XI საუკუნეების დოკუმენტებში არაერთგზის გვხვდება სახელწოდება „ავსტრია“ – პირველად ის იხსენიება 996 წელს.

1156 წელს ავსტრია, რომელიც ადრე ნომინალურად იყო დაკავშირებული ბავარიასთან, დამოუკიდებელ საჰერცოგოდ იქცა, რომლის სათავეში **ბაბენბერგების დინასტიის** წარმომადგენლები იდგნენ. XIII საუკუნიდან ავსტრიის ჰერცოგები გახდნენ **ჰაბსბურგები** (XV საუკუნიდან – იმპერატორები), რომლებსაც ტახტი 1918 წლამდე ეკავათ. ამ პერიოდიდან იწყება ავსტრიის სახელმწიფოს ტერიტორიული ზრდა, რაც უმეტესად დინასტიური ქორწინებების გზითა და სხვა კომბინაციებით მიიღწეოდა. ამ სახელმწიფოს საერთო სახელწოდება იყო **Dominikum Austriae**. **XV-XVI საუკუნეებში მის შემადგენლობაში უკვე შედიოდა თანამედროვე ავსტრიის ყველა მიწა – ტიროლი, კარინტია, შტირია, ზემო ავსტრია, ქვემო ავსტრია, ფორარელბერგი**. XIII საუკუნის ავტორი იოან ფონ ვიკტრინგი „ქრონიკებში ჩამოგვითვლის

ავსტრიის ხალხებს: **ტიროლელები, შტირიელები, კარინტიელები და ავსტრიელები (ზემო და ქვემო ავსტრიის მცხოვრებნი).** ავსტრიის სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ რჩებოდა მხოლოდ **ბურგენლანდი** და **ზალცბურგი,** თუმცა ეს ორი ოლქი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ავსტრიის მიწებთან.

ავსტრიის კულტურული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვენის უნივერსიტეტის დაარსებას (1365 წ.).

ეთნიკური თვალსაზრისით ავსტრია დაკავშირებული იყო მეზობელ გერმანულ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ბავარიასთან, რომლის მოსახლეობა, როგორც ავსტრიელების უმეტესობა, ლაპარაკობდა ავსტრო-ბავარიულ დიალექტზე. ავსტრიას დიდი ხნის კულტურული კავშირები ჰქონდა დუნაის აუზისა და აპენინის ნახევარკუნძულის ხალხებთან. იტალიური კულტურის გავლენა კარინტიასა და ტიროლის მოსახლეობის ზოგიერთ კულტურულ მახასიათებელზე დღესაც აშკარად იგრძნობა.

მართალია, XVII საუკუნეში ოცდაათწლიანმა ომმა და თურქებთან ხანგრძლივმა ომმა, რომელიც ჯერ კიდევ XV საუკუნეში დაიწყო, ქვეყნის შინაგან განვითარებაზე იმოქმედა, მაგრამ ამავე ომებმა მრავალეთნიკური ავსტრიის სახელმწიფოს ცენტრალიზაციაც განაპირობეს. მის შემადგენლობაში შედიოდა ჩეხეთი, უნგრეთის ნაწილი, ხორვატია, დალმაცია, ზოგიერთი იტალიური მიწა. ამ დიდ სახელმწიფოში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ ავსტრიელებს (ზემო და ქვემო ავსტრია, ტიროლი, ფორარელბერგი, ბურგენლანდი, კარინტია, შტირია). სხვა მიწებზე ისინი კომპაქტურ ჯგუფებს არ შეადგენდნენ. ავსტრიის იმპერიის მრავალეთნიკურმა შემადგენლობამ გავლენა იქონია ავსტრიელთა როგორც სულიერ, ისე მატერიალურ კულტურაზე.

XIX საუკუნის დასაწყისში ავსტრია ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობდა, რამაც ავსტრიელებში პატრიოტიზმის გრძნობა გააღვივა. განსაკუთრებით ძლიერ იბრძოდნენ ტიროლელები, რომელთა მიწა ოკუპირებული იყო საფრანგეთის მოკავშირის – ბავარიის მიერ. **ამ აჯანყების მეთაურები იყვნენ ანდრეას ხოფერი და პეტერ ხიუბერი.**

XVIII-XIX საუკუნეების ავსტრიაში ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი იყო. ამ პერიოდს ემთხვევა ავსტრიული კულტურის – არქიტექტურისა **(ავსტრიული ბაროკო)** და, განსაკუთრებით, მუსიკის აღმავლობა **(ი. ჰაიდნი, ვ. მოცარტი, ფ. შუბერტი).**

ავსტრიის იმპერიაში დაიწყო ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა (უნგრეთი, ჩეხეთი) და ავსტრიის ხელისუფლება უნგრელებთან დათმობაზე წავიდა. **1867 წელს ქვეყანას ახალი სახელი – ავს-**

ტრია-უნგრეთი ეწოდა. უნგრელმა არისტოკრატიამ ავსტრიელთა თანაბარი უფლებები მიიღო, სხვა ეთნოსთა მდგომარეობა კი არ შეცვლილა.

საგარეო პოლიტიკაში ავსტრია გერმანულ სახელმწიფოებს შორის ჰეგემონობისაკენ მიისწრაფოდა. ამ თვალსაზრისით უფრო ადრე – XVIII საუკუნეში ავსტრიის მოწინააღმდეგე იყო იმ დროის ერთ-ერთი ძლიერი გერმანული სახელმწიფო – პრუსია, მაგრამ **1866 წელს პრუსიასთან მარცხმა ავსტრია გერმანულ საქმეებს საბოლოოდ ჩამოაშორა.** გერმანია გაერთიანდა 1871 წელს ბისმარკის პრუსიის მიერ.

თანამედროვე ავსტრიის საზღვრები დადგენილ იქნა 1919 წ. სენ-ჟერმენის ზავით. ადრინდელი სახელმწიფოს დაშლამ, ეკონომიკური კავშირების მოშლამ პროგერმანული ელემენტების გაძლიერება გამოიწვია, რომლებიც ავსტრიის გერმანიასთან შეერთებას ითხოვდნენ (**"Anschlif"**). ავსტრიის გერმანიასთან შეერთების პროპაგანდას ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა პროგერმანული ორგანიზაციები ეწეოდნენ, რომელთა იდეოლოგიური საფუძველიც ის იყო, რომ ავსტრიელი ხალხი გერმანელი ხალხის ნაწილია, რომელსაც არა აქვს საკუთარი ისტორია და არც ნაციონალური კულტურა.

დღევანდელი ავსტრია ფედერაციული რესპუბლიკაა, რომელიც აერთიანებს რვა მიწას (ქვემო ავსტრია, ზემო ავსტრია, ზალცბურგი, ტიროლი, ფორარელბერგი, კარინტია, შტირია და ბურგენლანდი). ვენა მათთან გათანაბრებულია ადმინისტრაციული ურთიერთობებით.

ავსტრია ყოველთვის კათოლიკურ სახელმწიფოდ მიიჩნეოდა. 1869 წლის მონაცემებით დღევანდელი ავსტრიის ტერიტორიაზე კათოლიციზმს აღიარებდა მთელი მოსახლეობის 96%. 2000 წელს მოსახლეობის 90% მიეკუთვნებოდა რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას, ევანგელისტური ეკლესიის მიმდევარი (ძირითადად ლუთერანები) 6,2% იყო, ძველკათოლიკეები - 0,5%. 264 ათასი (3,8%) თავს აცხადებდა ათეისტად. ქვეყანაში არის უამრავი ეკლესია და მონასტერი. მკაცრად იცავენ საეკლესიო წეს-ჩვეულებებს, დღესასწაულებს; ძალზე გავრცელებულია წმინდანთა თაყვანისცემა. ისინი ხშირად დაკავშირებულია სხვადასხვა, ძველ ქრისტიანობამდელ წეს-ჩვეულებებთან. მაგალითად, წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეს – 6 დეკემბერს კოსტუმებითა და ნიღბებით აწყობენ სადღესასწაულო-სახუმარო მსვლელობებს, რასაც გამოხატავს ამ წმინდანის (კლაუს-ნიკოლაუს) ქრისტიანობამდელი სახელი – ბარტლი. საქონლის მფარველებად ითვლებიან წმინდა მარტინი, წმინდა სტეფანი, წმინდა ვეიტი, წმინდა სებასტიანი. ხანძრისა და წყალდიდობებისაგან დამცველები არიან წმინ-

და ფლორიანი, წმინდა ნეპომუკი (ეს კულტი ნასესხებია ჩეხებისაგან). ქალების მფარველია წმინდა ნოტბურგი, გლეხებისა – წმინდა ისიდორი, მწყემსებისა – წმინდა ვენდელინი.

ავსტრიელთა ბევრი რელიგიურ-მაგიური წეს-ჩვეულება და ტრადიცია გადაჯაჭვულია ქრისტიანულ წესებთან. ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ციკლთანაა დაკავშირებული.

ავსტრიელები 1 და 2 ნოემბერს მიცვალებულთა ხსოვნის დღეს აღნიშნავენ. საკარნავალო მსვლელობით გამოხატავენ ზამთრის გაცილებასა და გაზაფხულთან შეხვედრას. მდიდარი და საინტერესოა ავსტრიული ფოლკლორი (მაგალითად, ტირორული სიმღერები). ხალხური ცეკვებიდან ცნობილია ვენური ვალსის პროტოტიპი „ლენდლერი“.

გენიალური კომპოზიტორი **ვოლფგანგ ამადეი მოცარტი** (1756-1791) ავსტრიის მკვიდრი იყო, რომელმაც 20-ზე მეტი ოპერა და 50 სიმფონია შექმნა. მის სამშობლოში (ქ. ზალცბურგი) ყოველწლიურად ეწყობა მუსიკალური ფესტივალი. XVIII საუკუნეში ავსტრიის ქალაქებში ფართოდ გავრცელებული ვალსები დაკავშირებულია მამა-შვილ **შტრაუსების** სახელთან. მამა ვენური ვალსის შემქმნელად ითვლება, შვილი კი ისტორიაში შევიდა, როგორც კლასიკური ვალსების ავტორი. მასვე ეკუთვნის 16 ოპერეტა. მსოფლიოს მუსიკალურ ხელოვნებას ამშვენებენ აგრეთვე **ფრანც იოზეფ ჰაიდნის** (1732-1800) და **ფრანც შუბერტის** (1797-1828) სახელები. ავსტრიული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ფიგურაა **შტეფან ცვაიგი** (1881-1942).

ავსტრიაში ბევრია სამთო-სათხილამურო კურორტი. ყოველწლიურად აქ 11 – 12 მილიონი ტურისტი მოდის.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ავსტრიისათვის დამახასიათებელია დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესება – შობადობის დონის დაცემის გამო მოსახლეობის რაოდენობა მცირდება.

2.23. ლიხტენშტეინელები

ლიხტენშტეინელების თვითსახელწოდებაა **ლიხტენშტაინერ**, რომლებიც ლიხტენშტეინის ძირითადი მოსახლენი არიან. მათი რაოდენობა 20 ათასია. ლაპარაკობენ გერმანულ ენაზე (სალაპარაკო ალემანურ დიალექტზე). ტრიზენის მთიან თემში შემორჩენილია პატარა ფრანკოენოვანი ჯგუფი; ისინი აქ XIII საუკუნეში შვეიცარიის კანტონ ვალისიდან გადმოსახლდნენ. ლიხტენშტეინელები ძირითადად კათოლიკეები არიან (მოსახლეობის 84%), გვხვდებიან პროტესტანტებიც (7,5%).

ლიხტენშტეინელების წინაპრები რეტები და გერმანელი ალემანები იყვნენ. XVII საუკუნის ბოლოს ჰაბსბურგების იმპერიის განაპირას ავსტრიელმა თავადმა ლიხტენშტეინმა მიწა იყიდა. როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ის 1719 წლიდან არსებობს. 1815-1866 წლებში გერმანიის კავშირში შედიოდა. 1876-1918 წლებში პოლიტიკურად ქვეყანა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ავსტრია-უნგრეთთან, 1924 წლიდან – საბაჟო უნიით შვეიცარიასთან. ეს ქვეყანა ლიხტენშტეინის ინტერესებს საზღვარგარეთ დღესაც იცავს. XIX-XX საუკუნეებში მათ ავსტრიელთა და შვეიცარიელთა გავლენა განიცადეს. უკანასკნელ წლებში ლიხტენშტეინელები მიგრანტი ავსტრიელებისა და გერმანო-შვეიცარელების ასიმილირებას ახდენენ. ლიხტენშტეინელები ძირითადად დასაქმებულები არიან მაღალგანვითარებულ მრეწველობაში, მათი უმნიშვნელო რაოდენობა კი – სასოფლო მეურნეობაში (სარძევე მეცხოველეობა, მევენახეობა, მებაღეობა). ტრადიციული დასახლების ფორმა და საცხოვრებელი ავსტრიელთა და შვეიცარიელთა მსგავსია.

ლიხტენშტეინელები მუსიკისა და ფოლკლორის დიდ მოყვარულებად ითვლებიან. ზაფხულში საღამოობით ტიროლური მელოდიის – „იოდლის“ თანხლებით ცეკვავენ. ტრადიციულია მწყემსებისა და მევენახეების დღესასწაულები. რთველის დაწყების დღეს ეკლესიების ზარები რეკენ და ვენახებში გლეხები ეროვნულ ტანსაცმელში ჩაცმულები გადიან.

ლიხტენშტეინში ყოველწლიურად თითქმის 100 ათასი ტურისტი ჩამოდის. აქ შუა საუკუნეების ბევრი ნაგებობაა. ერთ-ერთ ციხესიმაგრეში დიდი რაოდენობით ინახება შუა საუკუნეების იარაღი, კერამიკა, ხალიჩები, ავეჯი. დარბაზებსა და კორიდორებში ფერწერის მდიდარი კერძო კოლექციებია. ედედაქალაქ ვადუცას სურათების გალერეაში არის რუბენსის, ვან დეიკის, რემბრანდტის, ბოტიჩელის, ბრეიგელის, შარდენის, რიბერის კოლექციები, ფრანგული გობელენი. ეს კოლექცია საკუთრივ მთავრის საკუთრებაა. ედედაქალაქში არის ლიხტენშტეინის ისტორიის ამსახველი საისტორიო მუზეუმი.

2.24. ლუქსემბურგელები

ლუქსემბურგელები ევროპის პატარა სახელმწიფოში – ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში (ფართობი 2,6 ათასი კვ.კმ) ცხოვრობენ. ისინი ენითა და კულტურით გერმანელების მონათესავენი არიან. ლუქსემბურგელთა თვითსახელწოდებაა **ლიოტცებურგერ.** ცხოვრობენ აგრეთვე იტალიაში, გერმანიასა და საფრანგეთში. ლუქსემბურგელების საერთო რაოდენობა 300 ათასი კაცია (მათ შორის, ლუქსემბურგში – 285 ათასი). მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის შუა ევრო-

პულ რასას. ლაპარაკობენ ლუქსემბურგულ ენაზე, რომელიც გერმანულ ენათა ქვეჯგუფში შედის. გავრცელებულია აგრეთვე გერმანული და ფრანგული ენები. ლუქსემბურგელები სარწმუნოებით ძირითადად კათოლიკეები არიან; გვხვდებიან პროტესტანტებიც.

ძვ.წ. I ათასწლეულში ლუქსემბურგის ტერიტორია დასახლებული იყო კელტური ტომებით, რომლებიც რომაელთა ბატონობის პირველ საუკუნეებში (ახ.წ.) რომანიზებულ იქნენ. V საუკუნეში ლუქსემბურგი დაიპყრეს გერმანულმა ტომებმა – ფრანკებმა, რომლებმაც ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია მოახდინეს. ლუქსემბურგელთა ეთნიკურმა ასიმილაციამ ლუქსემბურგის საგრაფოს შექმნა განაპირობა. შუა საუკუნეებში ისინი გერმანელთა და ფრანგთა გავლენას განიცდიდნენ. XVI საუკუნეში ლუქსემბურგელებში გავრცელდა ფრანგული ენა. მიუხედავად ამისა, მათ შეინარჩუნეს ნაციონალური თვითშეგნება.

ლუქსემბურგის დამოუკიდებელი პოლიტიკური ისტორია იწყება 863 წლიდან, როდესაც კარლოს დიდის ერთ-ერთმა მემკვიდრემ, გრაფმა ზიგფრიდმა, დაიპყრო ეს მიწები და ააშენა ციხესიმაგრე იმ ადგილზე, სადაც დღეს ქალაქი ლუქსემბურგია. შუა საუკუნეებში ლუქსემბურგის გრაფების დინასტიური ქორწინებებისა და დაპყრობების გზით მათი გავლენა ძალიან გაძლიერდა. საუკუნეთა განმავლობაში ლუქსემბურგი საფრანგეთის გავლენის ქვეშ იყო, მასთან ჰქონდა მჭიდრო კავშირი და არა მონათესავე გერმანიასა და გერმანელებთან. უფრო განვითარებული **ფრანგული კულტურის გავლენას თან ახლდა ფრანგული ენის გავრცელება, რომელიც XVII საუკუნეში ლუქსემბურგის ძირითად კულტურულ ენად იქცა. ფ. ენგელსი ამ პროცესს „ნებაყოფლობით გაფრანგებას“ უწოდებდა.**

დღეს ლუქსემბურგი სამენოვანი ქვეყანაა. კონსტიტუციით გერმანული და ფრანგული ოფიციალურ ენებადაა აღიარებული. ეს ორი ენა ყველამ ბავშვობიდან იცის. სკოლებში მათ თანაბრად ასწავლიან. ქუჩებში წარწერები, ჩვეულებრივ, ფრანგულ ენაზეა, სასამართლოშიც ფრანგული გამოიყენება, პარლამენტში – ფრანგული და გერმანული; პროტესტანტებთან საეკლესიო ღვთისმსახურებისას გერმანული გამოიყენება. მოსახლეობაში დღემდე შემონახულია სალაპარაკო ლუქსემბურგული მეტყველება, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება სალიტერატურო გერმანულისაგან. გაზეთები გამოდის სამ ენაზე. ლუქსემბურგელები თავს დამოუკიდებელ ხალხად (ეთნოსად) მიიჩნევენ.

თითქმის მთელი მოსახლეობა რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას მიეკუთვნება. ლუქსემბურგი ევროპაში კათოლიციზმის ერთ-ერთ ცენტრად ითვლება.

ლუქსემბურგელთა მატერიალური კულტურა თითქმის არ განსხვავდება მეზობელი ფრანგული და ბელგიური ოლქების კულტურისაგან. ლუქსემბურგელებს ძალიან უყვართ მუსიკა. ისინი თავიანთ თავზე ამბობენ: **„ერთი ლუქსემბურგელი მებადეა, ორი – ესაა კამათი კაფეში, სამი – ორკესტრი“.**

ლუქსემბურგში ბევრი ბაღი და ვენახია. წიაღისეულიდან ბევრია რკინა. XIX ს-ის შუა ხანებში სოფლის მეურნეობა იძლეოდა ნაციონალური შემოსავლის 60%, XX ს-ის შუა ხანებში კი – მხოლოდ 10%. ხილის (ძირითადად ვაშლი) მოსავალსა და ყურძენს ამუშავებენ (წვენები, ღვინო) და საზღვარგარეთ გააქვთ. აღსანიშნავია აგრეთვე მეყვავილეობა, ძირითადად მევარდეობა.

2.25. ელზასელები

ელზასელები საფრანგეთის აღმოსავლეთში – ელზასის ისტორიულ ოლქში მცხოვრები ხალხია. მათი რაოდენობა მონათესავე ლოტარინგიელებთან ერთად 2,5 მილიონია. მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის საშუალო ევროპულ რასას. ლაპარაკობენ გერმანული ენის ალემანურ დიალექტზე (ლოტარინგიელები კი – მის ფრანკულ მეტყველებაზე). გავრცელებულია აგრეთვე ფრანგული ენა. სალიტერატურო ენა აქ გერმანულია, ზემო ლოტარინგიაში კი – ფრანგული.

ელზასელთა უმეტესობა კათოლიკეა. გვხვდებიან პროტესტანტებიც (ლუთერანები, კალვინისტები).

ელზასისა და ლოტარინგიის უძველეს ეთნიკურ საფუძველს შეადგენდნენ კელტური ტომები: რაურაკები, სეკვანები, ტულინგები და მედიომატრიკები. გალიაში გერმანული ტომების შემოჭრის დროს (IV ს. II ნახევარი) ლოტარინგიის ტერიტორია დაიკავეს რიპუარის ფრანკებმა, ელზასი კი – ალემანებმა, რამაც ადგილობრივი კელტური მოსახლეობის ენობრივი ასიმილაცია გამოიწვია. ფრანგული ენა აქ XVI საუკუნეში გავრცელდა ფრანგი ჰუგენოტების მიგრაციის შედეგად (ჰუგენოტები – XVI-XVII საუკუნეების საფრანგეთში პროტესტანტი-კალვინისტები, რომელთაც სდევნიდა კათოლიკური ეკლესია და მთავრობა. ჰუგენოტების ხოცვა-ჟლეტა მოეწყო 1572 წ. – „ბართლომეს ღამეს“). 843 წლიდან ელზასი ლოტარინგიის შემადგენლობაში შედიოდა, X-XVII საუკუნეებში – წმინდა რომის იმპერიაში. ოცდაათწლიანი ომის შემდეგ, 1648 წელს, ელზასი საფრანგეთს შეუერთდა. ელზასელების თვითშეგნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, რომელსაც ისინი აქტიურად უჭერდნენ მხარს. 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის

ომის შემდეგ (რომელშიც საფრანგეთი დამარცხდა) ელზასი და ლოტარინგია ანექსირებულ იქნა გერმანელთა მიერ. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ელზასი და ლოტარინგია ისევ საფრანგეთის ხელში გადავიდა.

თანამედროვე ელზასელები დაკავებულები არიან მრავალდარგოვან მრეწველობაში (ძირითადად საფეიქრო) და სასოფლო მეურნეობაში (ხორბალი, ქერი, ტექნიკური კულტურები, სარძევე მეცხოველეობა, მეღორეობა). ელზასის მატერიალური კულტურა ახლოსაა გერმანულთან. ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობაა ფრანკონული (შუაგერმანული) სახლი. ელზასის ცენტრის – სტრასბურგის არქიტექტურაში შერწყმულია გერმანული და ფრანგული ნიშნები. ასევე შეთანაწყობილია გერმანული და ფრანგული ელემენტები ჩვენამდე მოღწეულ ფოლკლორში.

ელზასი საფრანგეთის სხვა ოლქებთან შედარებით, მოსახლეობის ყველაზე მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევა. XX საუკუნის დასაწყისამდე აქ შობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო.

2.26. ისლანდიელები

ისლანდიელების თვითსახელწოდებაა **ისლენდიგარ**. ისინი ცხოვრობენ ისლანდიაში, რომლის მოსახლეობა 255 ათასია. მკვიდრობენ აგრეთვე კანადაში (30 ათასი), აშშ-ში (5 ათასი) და მცირე ჯგუფებად დანიაში, შვეციაში, ნორვეგიაში, გერმანიაში. ისლანდიელები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიურ რასას. ლაპარაკობენ ისლანდიურ ენაზე, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანულ ენათა ჯგუფის სკანდინავიურ ქვეჯგუფში შედის. ისლანდიურ ენას არა აქვს დიალექტები მებადურთა ჟარგონის გამოკლებით, რომელსაც **ფლანდრამოლი** ჰქვია და რომელიც უცხოელ მებადურებთან ურთიერთობისას ჩამოყალიბდა. ისლანდიელთა დამწერლობა ლათინურ ანბანს ეფუძნება. სარწმუნოებით პროტესტანტები (ლუთერანები) არიან.

ისლანდია მდებარეობს ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში. ის წარმოადგენს პლატოს, რომელიც ყველა მხრიდან მკვეთრად წყდება ზღვის მხარეს. პლატოზე არის 1300-1700 მეტრი სიმაღლის ვულკანური მასივები. ფართობის 12% მყინვარებს უკავია. მყინვარებისა და ამოფრქვეული ვულკანების შეთანაწყობამ მოგზაურებს საბაბი მისცა კუნძულისათვის ეწოდებინათ პოეტური სახელწოდება – „ცეცხლისა და ყინულის ქვეყანა“. ისლანდიის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა კი არის „ყინულის ქვეყანა“ – ასე უწოდეს მას ნორვეგიელმა გადმოსახლებულებმა.

ბევრი სხვა ხალხისაგან განსხვავებით, რომელთა წარსული ძველ დროში იკარგება, ისლანდიელთა ისტორია კარგადაა ცნობილი თითქმის იმ მომენტიდან, როდესაც კუნძულზე ადამიანები მოვიდნენ. ისლანდიის პირველმოსახლენი ირლანდიელი განდეგილი ბერმონაზვნები იყვნენ, რომლებიც აქ ახ.წ. VIII საუკუნეში დასახლდნენ. კუნძულზე ბერმონაზვნებამდე ვინმეს ცხოვრების დამადასტურებელი არც ერთი საისტორიო დოკუმენტი არ არის დადასტურებული.

IX-X საუკუნეებში ისლანდიაში მოდიან ნორვეგიიდან გადმოსახლებულები, სადაც ამ დროს ფეოდალურ ურთიერთობათა დამყარება ხდებოდა და ამის გამო გამძაფრებული იყო პოლიტიკური და სოციალური ბრძოლა. როგორც ჩანს, ამ კუნძულის შესახებ ცნობები მიგრანტებს ნორვეგიელი ვიკინგებისაგან ჰქონდათ.

ნორვეგიელთა მიერ ისლანდიის დასახლება ასახულია ადრე შუა საუკუნეების ფოლკლორში – საგებში, რითაც ცნობილია პირველი სკანდინავიელი მიგრანტების სახელები. ცნობილია აგრეთვე ყველა ისლანდიელის გენეალოგია აქ დასახლებიდან თითქმის ჩვენს დრომდე, როდესაც კუნძულზე უკვე 32-ე თაობა ცხოვრობს და 33-ე იბადება. გენეალოგიური წიგნები თაობიდან თაობას გადაეცემოდა, რაშიც ისლანდიელთა ნაციონალური თვითშეგნებაც მჟღავნდებოდა. ასეთი გენეალოგიური წიგნები კი ქვეყნის ეთნიკური ისტორიის შესწავლას აადვილებს.

პირველი ნორვეგიული ოჯახი, რომელიც ისლანდიური საგების თანახმად 874 წელს გადმოსახლდა ისლანდიაში და გააგრძელა აქ თავისი მოდგმა, თავისუფალი მიწათმოქმედისა და მებრძოლის, ინგილვურ არნარსონის ოჯახი იყო. მან პირველი ნაგებობა მომავალი დედაქალაქის – რეიკიავიკის ადგილზე ააგო. ქვეყნის დასახლება საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა. 930 წელს, როდესაც ისლანდიის კანონთა პირველი კრებული შეადგინეს, აქ უკვე თანამედროვე ისლანდიელთა წინაპრების 25 ათასამდე მცხოვრები ითვლებოდა. ისინი იყვნენ არა მარტო თავისუფალი ნორვეგიელები მონებით, რომლებიც თან მოიყვანეს ნორვეგიიდან, არამედ აგრეთვე ისლანდიელთა მიერ შოტლანდიასა და ირლანდიაზე თავდასხმების შედეგად მონებად ქცეული ტყვეები. კელტური წარმოშობის ბევრი მონა (ქალები და კაცები) დაქორწინდა ნორვეგიელ გადმოსახლებულებზე – მონებსა და თავისუფალ ადამიანებზე. ამიტომ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ისლანდიელებს ჰყავთ არა მარტო ნორვეგიელი, არამედ ნაწილობრივ კელტური (ირლანდიურ-შოტლანდიური) მოდგმის წინაპრები. ისლანდიელების ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია ნათლად ჩანს წიგნიდან „აღებული მიწების შესახებ“ (XII-XIII სს.), რომელშიც მოხსენიებულია ის 400 ოჯახი, რომელიც პირველად დასა-

ხლდა აქ IX-X სს-ში (ძირითადად ნორვეგიელები) და თავისი „ხუტორები“ მდინარეების შესართავ სანაპირო დაბლობებში მოაწყო. ისლანდიის მოსახლეობას შუა საუკუნეებში დიდი ზიანი მიაყენა ეპიდემიებმა. 1402-1403 წლებში შავი ჭირის ეპიდემიამ მოსახლეობის მესამედი შეიწირა; 1707 წ. ყვავილმა ადამიანთა მესამედი იმსხვერპლა. ამავე დროს, მკვეთრმა აცივებამ საქონლის დაცემა გამოიწვია. XVIII საუკუნეში (1727-1728, 1755, 1766, 1783-1784 წლები) ვულკანების ამოფრქვევის გამო საძოვრები ფერფლითა და ლავით დაიფარა. ამ მოვლენას ადამიანთა და საქონლის დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

გადასახლებიდან პირველი ასწლეულის განმავლობაში ისლანდიელებს კავშირი ჰქონდათ თავის მშობლიურ ქვეყანასთან – ნორვეგიასთან, საიდანაც მათ საცხოვრებელი სახლებისა და ხომალდების ასაგებად მოჰქონდათ ხეტყე. სხვათა შორის, გრელანდიაში დასახლებული პირველი ადამიანი ისლანდიელი **ერიკ ქერა** იყო, რომელიც მკვლელობისათვის შურისძიებას გაექცა. მან 980-იან წლებში აღმოაჩინა გრელანდია („მწვანე ქვეყანა“) და მისცა ტყუილი სახელწოდება, რათა იქ ისლანდიიდან კოლონისტები მიეზიდა.

ისლანდიის კუნძულის თავდაპირველმა კოლონიზაციამ აქ ორიგინალური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება – „ხალხის ხელისუფლება“ წარმოშვა. ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ იქცა „ალთინგი“ – კუნძულის თავისუფალ მიწათმოქმედთა კრება (პირველად შეიკრიბა 930 წელს).

1000 წელს ალთინგის გადაწყვეტილებით ისლანდიელებმა ქრისტიანობა ნებაყოფლობით მიიღეს. ეპისკოპოსებს ალთინგი ირჩევდა. ამის შემდეგაც, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ისლანდიაში წარმართები ცოტანი არ იყვნენ. ქრისტიანობის მიღების მიუხედავად, ისლანდიაში მრავალცოლიანობა კვლავ ტრადიციად დარჩა, რომელიც. თავდაპირველად მღვდლებს შორისაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

XI-XII საუკუნეებში ისლანდიაში ფეოდალური ურთიერთობა ჩამოყალიბდა, მაგრამ აქ არასდროს არ ყოფილა ფეოდალიზმის განვითარებული ფორმები – მიწაზე გლეხთა დამაგრება. გლეხები ისლანდიაში იურიდიულად ყოველთვის თავისუფალნი იყვნენ და ყოველთვის ჰქონდათ უფლება სხვა მიწათმოქმედთან მისვლისა. თვით ისლანდიური ზედაფენა არასდროს არ ჩამოყალიბებულა, როგორც მემკვიდრეობითი ტიტულოვანი არისტოკრატია.

XII-XIII საუკუნეებში კუნძულის მოსახლეობამ 80 ათასს მიაღწია. XIII საუკუნის II ნახევრიდან, იმის გამო, რომ პური და ტყე ნორვეგიიდან შემოჰქონდათ, ისლანდიელები ეკონომიკურად და პოლიტიკურად ნორვეგიელებზე იყვნენ დამოკიდებულნი. XIV საუკუნეში ნორ-

ვეგია და მასთან ერთად – ისლანდია დანიის დაქვემდებარებაში აღ-მოჩნდა. დანიის მეფეები ისლანდიის უმსხვილეს მიწათმფლობელე-ბად იქცნენ, რადგან მათ დაიპყრეს ადგილობრივი ზედაფენისა და აგრეთვე, რეფორმაციის შემდეგ XVI საუკუნეში – ეკლესიის მიწე-ბიც. კუნძულის თვითმმართველობა გაუქმებულ იქნა და ალთინგმა, როგორც ადგილობრივმა ორგანომ, დაკარგა თავისი მნიშვნელობა, თუმცა ფორმალურად განაგრძობდა არსებობას. ისლანდიაში ჩინოვ-ნიკებისა და ვაჭრების მნიშვნელოვან ნაწილს დანიელები წარმოად-გენდნენ. XVII-XVIII საუკუნეებში დანიური ენა ისლანდიაში ლუთე-რანული ეკლესიის ენად იქცა, შემდეგ კი ადმინისტრაციისაც. მიუხე-დავად ამისა, ისლანდიელებზე დანიელების კულტურული გავლენა დიდი არ ყოფილა. ისლანდიელებმა დანიზაციას დაუპირისპირეს კუ-ლტივირებული ისლანდიური ენა და ლიტერატურული მემკვიდრეობა. ჯერ კიდევ XVII ს-ში ისლანდიელები გადაწერდნენ და ერთმანეთში ავრცელებდნენ საგებს და სხვა ლიტერატურულ ძეგლებს. XVIII ს-ის II ნახევარში ისლანდიელები იბრძოდნენ ისლანდიური ენის დანი-ური ლექსიკისაგან გასაწმენდად, რამაც გამოიწვია ძველი ენობრივი ნორმების გამყარება და მისი იზოლაცია სკანდინავიური ენებისაგან. აღდგენილ იქნა ეთნიკური თვითშეგნების ისეთი მნიშვნელოვანი დო-კუმენტები, როგორიცაა გენეალოგიური ჩანაწერები. ისლანდიურმა ენამ იმდენად შეინარჩუნა არქაული ნიშნები, რომ ნებისმიერ ის-ლანდიელს თავისუფლად ესმის შუა საუკუნეების ისლანდიური ლი-ტერატურა. ამასთანაა დაკავშირებული ანთროპონიმულ სისტემაში მხოლოდ სახელისა და მამის სახელის გამოყენება. **სპეციალური კა-ნონის თანახმად, არც ერთ ისლანდიელს არ შეუძლია მიიღოს გვარ-სახელი (მემკვიდრეობითი სახელი). ყველა ისლანდიური სახელი ნი-შნადია – ისინი მომდინარეობენ აპელატივებიდან. მხოლოდ მათ უმ-ნიშვნელო ნაწილს აქვს გამჭვირვალე ეტიმოლოგია.** ინდივიდუალუ-რი სახელების უმეტესობამ ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ქრისტია-ნობის მიღებისთანავე, შუა საუკუნეებში დაკარგა. ისევე როგორც სკანდინავიის სხვა ქვეყნებში, ისლანდიაშიც მიღებულია ახალდაბა-დებულთათვის პაპისა და ბებიის სახელის დარქმევა. ნათლობისას არქმევენ არა ერთ, არამედ ორ სახელს. ცხოვრების მანძილზე ძირითადად ერთ სახელს გამოიყენებენ, მაგრამ **კრიტიკულ სიტუ-აციებში (მაგალითად, მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში) ხშირად უარს ამბობენ დომინირებულ სახელზე და ერთადერთ სახელად მეორეს გამოიყენებენ**. ისლანდიელთა ანთროპონიმიულ მოდელში მა-მის სახელი ნათესაურ ბრუნვაშია, მას ერთვის სიტყვა –son (შვილი), ქალებისათვის – dottr (ქალიშვილი), მაგალითად: Gunnar Benediktsson, Sigrdur Stefansdottr.

XVIII ს. ისლანდიელებისათვის უაღრესად მძიმე იყო. რამდენიმე ვულკანის კატასტროფულმა ამოფრქვევამ და მრავალრიცხოვანმა მიწისძვრებმა დიდი ნგრევა და მრავალი ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. პირველ მეფისნაცვლად კუნძულზე დაინიშნა არა დანიელი, არამედ ისლანდიელი სკულა მაგნუსენი (1711-1794). 1800 წელს დანიელებმა გააუქმეს ალტინგი და ისლანდია გადააქციეს დანიის პროვინციად. ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად 1843 წელს ალტინგი აღდგენილ იქნა. 1854 წელს ისლანდია დანიის სავაჭრო მონოპოლიისაგან გათავისუფლდა. მხოლოდ 1918 წელს გამოცხადდა ისლანდია დამოუკიდებელ ქვეყნად დანიის პირადი უნიის ფარგლებში დანიის მეფის უზენაესობით. ისლანდია სუვერენული სახელმწიფოა 1944 წლიდან.

ისლანდიელთა ტრადიციული საქმიანობაა მეცხვარეობა და მეცხენეობა. ტრადიციულია ღია ნავებით თევზაობა. XIX-XX სს-ში თევზგადამუშავება ისლანდიელების მთავარ საქმედ იქცა. ისლანდიაში თევზჭერის დროს მასში მონაწილეობას ღებულობს მთელი მოსახლეობა, ვისაც კი შრომა შეუძლია, მასწავლებლებისა და სამღვდელოების ჩათვლით. სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილი დაკავშირებულია თევზის გადამუშავებასა და შალის დამუშავებასთან. ხელოსნობის ტრადიციული დარგებია: ხეზე, ძვალზე, რქაზე კვეთა (ხვეწა), მეტალზე გრავიურება, ფეხსაცმლის დამზადება, მეხალიჩეობა, მჭედლობა, კასრების დამზადება, შალის ქსოვა.

ისლანდია უაღრესად არათანაბრადაა დასახლებული; დასახლებულია მხოლოდ სანაპირო ზოლი. აქ მოსახლეობის სიმჭიდროვის ყველაზე დაბალი დონეა ევროპაში. XVIII ს. ბოლომდე ისლანდიაში ქალაქები არ იყო. 1891 წელს დედაქალაქ რეიკიავიკში 300 ადამიანი ცხოვრობდა.

ისლანდიელთა საკვებში ჭარბობს ზღვისა და ცხვრის პროდუქტი. პურს მოიხმარენ მცირე რაოდენობით. ამჟამად მეთევზეობით მოსახლეობის 21%-ია დასაქმებული. წარმატებული თევზჭერა ყოველთვის დღესასწაულით აღინიშნება. 500 ათასი ტონა დაჭერილი თევზიდან მხოლოდ 3%-ს მოიხმარენ, 97% საექსპორტოა. დღესაც ისლანდიელებს ცხვრის ფარები თითქმის მთელი წლის განმავლობაში სათემო საძოვრებზე ჰყავთ გაშვებული და მხოლოდ შემოდგომობით შერეკავენ ხის საერთო ბაკში, სადაც პატრონები თავიანთ საქონელს ნაჭდევების საშუალებით არჩევენ. საძოვრებიდან ცხვრის მორეკვა გლეხებისთვის დიდი დღესასწაულია.

სპეციფიკურია ისლანდიელთა მეცხენეობა. აქ აშენებენ ადგილობრივ დაბალტანიან ცხენებს – პონებს, რომლებიც დიდი ამტანობით გამოირჩევიან. პონები წლის განმავლობაში უმეტესად საჯინიბოს (თავლის) გარეთ ჰყავდათ. XX ს-ის პირველი მეოთხედის დასასრუ-

ლამდე პონი სოფლად ერთადერთი სატრანსპორტო საშუალება იყო. დღესაც კი ისლანდიაში არაა არც ერთი გლეხი, თუნდაც ყველაზე ღარიბი, ერთი ცხენი მაინც რომ არ ჰყავდეს; მდიდრებს კი 10-20 და მეტი ცხენი (პონი) ჰყავთ.

ისლანდიელები მიწას ხელით ამუშავებდნენ. მხოლოდ XIX ს. დასასრულისათვის დაიწყეს ცხენების გუთანში შებმა. დღეს სოფლის მეურნეობა მექანიზებულია. **ფართოდაა გავრცელებული სასათბურო მეურნეობა, სადაც კიტრის, პომიდვრისა და ყვავილოვანი კომბოსტოს გარდა, მოჰყავთ ვაშლიც, ბანანიც, ყურძენიც, კაქტუსიც და ვარდიც.**

ისლანდიაში სარკინიგზო ტრანსპორტი არაა. ძირითადი გზატკეცილები მეორე მსოფლიო ომის დროს და მას შემდეგ აშენდა.

როგორც ქალაქად, ისე სოფლად სამშენებლო მასალად იყენებენ ტუფსა და ბაზალტს; ხე-ტყე შემოაქვთ ნორვეგიიდან.

ისლანდიის მკვიდრ ნორვეგიელ გადმოსახლებულებში შემოინახა საზოგადოების სოციალური დაყოფა და დიდი პატრიარქალური ოჯახი, რომელიც 20 და მეტ სულს ითვლიდა. ქალი სკანდინავიურ ოჯახში ყოველთვის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რაც ძველი ისლანდიური საგებიდანაც კარგად ჩანს.

რელიგიური დღესასწაულებიდან მთავარია შობა და აღდგომა. მიღებულია დღესასწაულებზე სტუმრად სიარული.

ისლანდიელებში შემორჩენილია სამეზობლო თემისდროინდელი ურთიერთდახმარების ფორმები.

ისლანდიაში პირველი ნორვეგიელი კოლონისტების დროიდან შემოინახა უმდიდრესი ფოლკლორული მემკვიდრეობა – თქმულებები და ლეგენდები, სიმღერები და მელოდიები, საგმირო და მითოლოგიური ეპოსი. არსებობს აგრეთვე თხრობის სხვა სახე – საგა, რომელიც XII ს-მდე უფრო ტიპური იყო ისლანდიური ფოლკლორისათვის. მასში მოცემულია ცხოვრების სხვადასხვა სურათი, მრავალი თავგადასავალი, მათ შორის, ტრაგიკული. განსაკუთრებით გავრცელებული იყო ე.წ. საოჯახო ან გენეალოგიური ქრონიკები, რომლებიც საინტერესოა მკვლევართათვის როგორც მხატვრული, ისე ისტორიული, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით. ისლანდიელების ყველაზე ძველ ლიტერატურულ ნაწარმოებებად ითვლება XII-XIII სს-ში ჩაწერილი ისტორიული ნაშრომები „ქვეყნის დასახლების წიგნი“, „სამეფო საგები“, „პოეტიკა“, „უმცროსი ედა“. XIV ს-დან, როდესაც დამთავრდა მრავალრიცხოვანი საგების ჩაწერა, ლიტერატურაში უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ადგილი საეკლესიო თემატიკამ დაიკავა.

ისლანდიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ცხენოსანთა შეჯიბრებები და ნაციონალური ჭიდაობა.

2.27. ფარერელები

ფარერელები მოსახლეობენ ფარერის კუნძულებზე, რომლებიც განლაგებულია ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში, დაახლოებით 350 კმ-ის მოშორებით შოტლანდიის ჩრდილოეთიდან და 450 კმ-ით ისლანდიის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ფარერელთა თვითსახელწოდებაა **ფეროინგარ**. ფარერები, როგორც თვითმმართველობითი ოკრუგი, შედის დანიის შემადგენლობაში. ფარერელთა რაოდენობა 40 ათასია. გარდა ამისა, 2 ათასი ფარერელი ცხოვრობს დანიაში. ისინი მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიური რასის ბალტიურ ვარიანტს. ფიქსირდება მუქპიგმენტური კომპონენტის მინარევიც. შავგვრემანი ფარელელები მეცნიერებს ირლანდიელთა (კელტთა) შთამომავლებად მიაჩნიათ. ფარერელები სხვა სკანდინავიელებთან შედარებით დაბალტანიანები არიან. ლაპარაკობენ ფარერულ ენაზე, რომელიც სკანდინავიურ ქვეჯგუფში შედის. მათ ენას უკავია შუალედური ადგილი დასავლურნორვეგიულ დიალექტებსა და ისლანდიურ ენას შორის. რელიგიით ისინი პროტესტანტ-ლუთერანები არიან.

ფარერელები დასავლეთ ნორვეგიიდან გამოსული ნორმანების მემკვიდრეები არიან, რომლებიც კუნძულებზე IX ს-დან დასახლდნენ. იქამდე კი ნაწილობრივ შეერივნენ ავქტოქტონ კელტურ მოსახლეობას შოტლანდიასა და ორკნეის კუნძულებზე. ფარერის არქიპელაგი 24 კუნძულისაგან შედგება (რომელთაგანაც დასახლებულია 18). არქიპელაგის პირველმოსახლენი იყვნენ კელტი ქრისტიანი ბერმონაზვნები, რომლებიც აქ VIII ს-ში მოვიდნენ. მათ შესახებ წერილობითი მოწმობა შემონახულია „ფარერის საგაში“. დაახლ. 825 წელს კუნძულებზე დასავლეთნორვეგიელი გლეხების გადმოსახლება დაიწყო. ამავე დროს, შოტლანდიიდან მოსული ბერმონაზვნები ნორვეგიელი ვიკინგების თავდასხმებსაც განიცდიდნენ. ქრისტიანი ბერმონაზვნები და წარმართი ნორმანები ერთმანეთს ვერ შეეთვისნენ და უფრო მცირერიცხოვანმა კელტებმა კუნძული დატოვეს. ზოგიერთი მეცნიერი კი ფიქრობს, რომ ვიკინგების თარეშის შედეგად კუნძულებიდან გაქცეული კელტი მონაზვნების შემდეგ აქ თითქმის საუკუნენახევრის განმავლობაში საერთოდ არავინ არ ცხოვრობდა და რომ ამ პერიოდში მათ მიერ დატოვებული ირლანდიური ჯიშის ცხვარი გაველურდა. მკვლევართა უმეტესობას მიაჩნია, რომ კუნძულების სახელწოდება – „ფარერები“ გამჭვირვალეა და ის „ცხვრის კუნძულებს“

აღნიშნავს. კუნძულის სახელწოდება (farei) პირველად 1280 წლის რუკაზეა აღნიშნული. არსებობს „ფარერის“ სხვა ეტიმოლოგიაც. XIX საუკუნის დასაწყისის ავტორი ჟ. ლანდტი მის ორნაირ ახსნას იძლეოდა. პირველი ახსნით ის მომდინარეობს დანიური სიტყვიდან – fieri, რაც ბუმბულს აღნიშნავს. არქიპელაგზე კი უამრავი ფრინველი მართლაც იყრიდა თავს, ე. ი. ბუმბულით მდიდარი მხარე. სხვა ვარიანტით კი შესაძლოა ტოპონიმი ნაწარმოები ყოფილიყო ასევე დანიური სიტყვიდან fjerne, რაც შორეულს ნიშნავს. XIX საუკუნის ერთ-ერთი ავტორი ამ უკანასკნელ მოსაზრებას იზიარებდა, მაგრამ ამასთანავე, აღნიშნავდა, რომ ის მომდინარეობს არა დანიური, არამედ ძველკელტური სიტყვიდან fearann, რაც ასევე შორეულ მიწას, ქვეყანას ნიშნავს.

ორას წელზე მეტხანს ფარერის კუნძულები დამოუკიდებელი იყო, მაგრამ 1035 წელს ისინი ნორვეგიის სამეფოს ლენად (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ოლქი) იქცა. ამ დროიდან გავრცელდა აქ ქრისტიანობა. 1380 წლიდან კი არქიპელაგი ნორვეგიასთან ერთად დანიის შემადგენლობაში შევიდა და ფარერებში გაავრცელეს ლუთერანული სარწმუნოება, რომელიც დღესაც არქიპელაგის ოფიციალური რელიგიაა. კუნძულებს მართავდა დანიელი ჩინოვნიკი „ლენსმანი“. XIX საუკუნის შუა ხანებიდან ფარერები ნელ-ნელა სავაჭრო ურთიერთობებში ჩაერთო. მისმა მცხოვრებლებმაც დაიწყეს მატყლის, თევზის, ცხვრის ხორცის გაყიდვა. საუკუნეთა განმავლობაში ფარელელები იზოლირებულად ცხოვრობდნენ და მათთვის ნატურალური ჩაკეტილი მეურნეობა იყო დამახასიათებელი. 1948 წელს დანიის სუვერენიტეტის ქვეშ ფარერელებმა მიიღეს ფართო საოლქო ავტონომია.

წარსულში ფარერელთა შორის ფეოდალიზმი სათანადოდ არ იყო განვითარებული. კუნძულზე არ იყვნენ არც ბატონები და არც მსხვილი მიწათმფლობელები და მესაქონლეები. საეკლესიო რეფორმაციის დროიდან დასამუშავებელი მიწები მეფეს ეკუთვნოდა, ანდა ის გლეხთა მემკვიდრეობით საკუთრებას წარმოადგენდა. სამეფო მიწებზე დასახლებული უმიწო ადამიანები გამოსაღებს მეფეს უხდიდნენ. მიწის დიდი ნაწილი კი სათემო საკუთრებაში იყო. ფარელელებს ცხვრის ფარებიც სათემო საკუთრებაში ჰყავდათ, საიდანაც ყველა გლეხური მეურნეობა, ოჯახი თავის წილ ხორცსა და მატყლს იღებდა. XX საუკუნის დასაწყისამდე მთელი ისტორიის განმავლობაში ფარერელთა სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი მეცხვარეობა იყო. აქ ცხვარი მთელი წლის განმავლობაში ღია ცის ქვეშ საძოვარზე ჰყავდათ გაშვებული. ფარერელები ცხვარს მაკრატლით არ პარსავდნენ; ისინი მატყლს ხელით გლეჯდნენ. 1800 წლისათვის ფარე-

რის არქიპელაგზე მცხოვრებ ერთ ფარერელზე საშუალოდ 14-15 ცხვარი მოდიოდა (ამ დროს კუნძულებზე სულ 5 ათასი კაცი ცხოვრობდა). ჰყავდათ მსხვილფეხა რქოსანი საქონელიც. ტრადიციით მეცხვარეობასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოს მამაკაცები ასრულებდნენ, მსხვილფეხა რქოსან საქონელს კი ქალები უვლიდნენ. მიწის დასამუშავებელი იარაღი მხოლოდ ნიჩაბი იყო. ძველთაგანვე ფარერელები ფრინველთა დაჭერასაც მისდევდნენ, რომელიც აქ დიდი რაოდენობით იყრიდა თავს. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ერთი დღის განმავლობაში კარგი მეჩიტბადე წყალზე დაახლოებით 800-900 ფრინველს იჭერდა. ფრინველის ხორცს ფარერელები ჭამდნენ, ხოლო ბუმბული საექსპორტო საგანს წარმოადგენდა. ფარერებში მრეწველობა სუსტადაა განვითარებული. მოიპოვებენ ტორფს, ნახშირსა და ვულკანურ ტუფს სამშენებლო მიზნით. ფარერებში არის მარგარინის, საპნისა და ვეშაპის ქონის დამამზადებელი პატარა ფაბრიკები. მეურნეობის ტრადიციული დარგებია: მეცხვარეობა, მეთევზეობა და თევზის გადამუშავება, აგრეთვე ვეშაპის რეწვა და მიწათმოქმედება. ფარერელები ტაბურეტებად ვეშაპის მალებს იყენებენ. ტრადიციული საკვებია ყველი. ფარერელთა საკვებში ჭარბობს თევზი „გრინდა“. მათთვის დამახასიათებელია მარილის მცირე რაოდენობით მოხმარება. ტრადიციული ტანსაცმელი შალისაგან მზადდება. მამაკაცებში პოპულარულია ნაქსოვი სვიტრები. ყველა მქსოველი ქალი წელიწადში 50 სვიტრს მაინც ქსოვს. ტრანსპორტის ძირითადი საშუალებაა იალქნიანი და მოტორიანი ნავები. კუნძულების მკვიდრთა შორის ფართოდაა გავრცელებული სიმძიმეების მკერდით გადატანა.

ნორვეგიელთა და შემდეგ დანიელთა თითქმის ათასწლოვანი ბატონობის მიუხედავად, ფარერელთა პატარა ხალხმა ენა, ორიგინალური მატერიალური და სულიერი კულტურა შეინარჩუნა. რეფორმაციის შემდეგ დანიური ენა ფარერელთა საღვთისმეტყველო ენად იქცა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არქიპელაგზე ფარერულმა ენამ თავისი პოზიციები შეინარჩუნა. ფარერულ ენას თითქმის ყველა კუნძულზე თავისი დიალექტი აქვს. ფარერული ენის ორთოგრაფიული ნორმა პირველად მხოლოდ XIX საუკუნის 40-იან წლებში შეიმუშავეს. დიდი ხნის განმავლობაში დანიის ხელისუფლება ლიტერატურულ ფარერულ ენას არ ცნობდა. მხოლოდ 1948 წლის 1 აპრილის კანონით ფარერული ენა კუნძულების ძირითად ენად იქნა აღიარებული. ახლა ამ ენაზე გამოდის ჟურნალ-გაზეთები, წიგნები. სკოლებში კი სწავლება ორივე – ფარერულ და დანიურ ენებზე მიმდინარეობს.

2.28. ნორვეგიელები

ნორვეგიელების თვითსახელწოდებაა **ნორდმენ.** ისინი ნორვეგიის მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენენ. უკანასკნელი მონაცემებით ნორვეგიელები 5,142 მილ. კაცს ითვლიან, რომელთაგან ნორვეგიაში 4 მილ. 299 ათასი ცხოვრობს. ამ ეთნოსის წარმომადგენლები ცხოვრობენ აგრეთვე შვეციაში (38 ათასი), დანიასა (1 ათასი) და ევროპის სხვა ქვეყნებში. დიდი რაოდენობით არიან ნორვეგიელები განსახლებულნი ამერიკის კონტინენტზე (აშშ-ში – 620 ათასამდე, კანადაში – 160 ათასზე მეტი). **1825 წლის შემდეგ აშშ-სა და კანადაში ემიგრაციაში ერთ მილიონამდე ნორვეგიელი წავიდა**. თვით ნორვეგიაში ნორვეგიელთა პროცენტული რაოდენობაა 98,5%. ნორვეგიელების გარდა, ქვეყნის ჩრდილოეთში ცხოვრობენ: ***საამები (ლოპარები)*** – 21 ათასი და ***კვენები (ნორვეგიელი ფინელები)*** – 20 ათასამდე კაცი, რომლებიც XVI-XVII საუკუნეებში ფინეთიდან მიგრირებულთა შთამომავლები არიან. XX საუკუნეში კვენების დიდი ნაწილი ნორვეგიელთა მიერ იქნენ ასიმილირებულნი. ნორვეგიის სამხრეთ-აღმოსავლეთში უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობენ შვედები.

ნორვეგიას **„შუაღამის მზის ქვეყანას“** უწოდებენ, რადგანაც ჩრდილოეთით პოლარული დღეების პერიოდში მაისიდან ივლისის ბოლომდე მზე ჰორიზონტს იქით არ ჩადის. ზამთარში კი აქ ხანგრძლივად პოლარული ღამეებია გაბატონებული. ნორვეგია მთიანი ქვეყანაა. მხოლოდ მისი მეხუთედია ზღვის დონიდან 150 მეტრზე დაბლა. ქვეყნის მიწის 72% კლდოვან (მოშიშვლებულ) და მყინვარ ადგილებს უკავია. იხვნება მიწის მხოლოდ 4%; 24% – ტყეა.

უცნობია რა დროიდან მოვიდნენ გერმანულენოვანი ტომები ნორვეგიაში. არც ისაა ცნობილი, ახ.წ. I ათასწლეულის ბოლომდე ნორვეგიელ ტომებს ჰქონდათ თუ არა საერთო თვითსახელწოდება, თუმცა ევროპელ ხალხებში, მაგალითად, IX საუკუნის ინგლისურ წერილობით ძეგლებში, ისინი აღინიშნებოდნენ საერთო სახელწოდებით – **ნორმანები**, ე.ი. „ჩრდილოეთის ხალხები“. მათ ქვეყანას კი უწოდებდნენ – **ნორმანალან**. სახელწოდება „ნორმანები“, უპირველეს ყოვლისა, ნორვეგიელთა წინაპრებს მიეკუთვნება, რაც დასტურდება, მაგალითად, ძველი რუსული "**Повесть временных лет**" -ით, რომელშიც „ურმანების“ (ე.ი. ნორმანების – ნორვეგიელების) გვერდით მოხსენიებულნი არიან „სვიები“ (ე.ი. შვედები). ამ დროს ნორვეგიის მოსახლეობის უმეტესობა შედგებოდა თავისუფალი მეთემეებისაგან. ისინი ცხოვრობდნენ დიდ პატრიარქალურ ოჯახებად. VIII-IX საუკუნეებში ნორვეგიის მიწაზე თემის შიგნით ქონებრივი დიფერენციაცია დაიწყო. ტომთა შორის ომების პარალელურად სანაპირო ზოლში მცხოვრები ნორვეგიელთა წინაპრები ნადავლის მოსაპოვებლად აწყობდნენ

თავდასხმებს ჯერ ახლო, ხოლო შემდეგ უფრო მოშორებით მცხოვრებ ტომებსა და ქვეყნებზე თითქმის ხმელთაშუა ზღვამდე. ხშირად ასეთი თავდასხმები ტერიტორიული დაპყრობებით მთავრდებოდა. თავდამსხმელებს თან მიჰყავდათ ტყვეები, რომლებზედაც ხშირად ქორწინდებოდნენ. ისინი დიდი პატრიარქალური ოჯახის თავისუფალ წევრებად იქცეოდნენ. მონების დიდი ნაწილი კელტური წარმოშობისა იყო – შოტლანდიიდან ან ირლანდიიდან. მათ შორის იყვნენ სლავები და რომანული ქვეყნების მცხოვრებნიც. ნორვეგიის დასავლეთი სანაპირო რაიონებიდან ხდებოდა ვიკინგების საზღვაო ლაშქრობები კელტურ-რომაულ ქვეყნებზე, რამაც გამოიწვია თეთრი და შავგვრემანი ანთროპოლოგიური ტიპების შერევა. სხვათა შორის, ნორვეგიელები დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიური რასის ბალტიურ ტიპს მიეკუთვნებიან. გამოირჩევიან სიმაღლით (განსაკუთრებით დასავლეთში).

პირველი ნორვეგიული სახელმწიფო IX საუკუნეში წარმოიქმნა, როდესაც **ერთ-ერთი ტომის კონუნგმა (წინამძღოლმა), ხარალდ I ხორფაგერმა (890-940 წწ.) იარაღის საშუალებით მოახდინა ტომთაშორისი ცენტრალიზებული კავშირის შექმნა.** 1537 წლიდან ნორვეგია დანიის პროვინციად იქცა. 1814 წელს ნორვეგიელებმა დამფუძნებელი კრება მოიწვიეს, დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და კონსტიტუცია მიიღეს. ამის გამო შვედეთმა ნორვეგიასთან ომი გააჩაღა. ეს ომი შვედეთ-ნორვეგიის უნიით დასრულდა. ნორვეგიამ სრული დამოუკიდებლობა მხოლოდ 1905 წელს მოიპოვა. ნორვეგიიდან გადმოსახლებული ხალხით დასახლდა ფარერის კუნძულები და ისლანდია, რომლებმაც დასაბამი მისცეს ადგილობრივ მოსახლეობას: ისლანდიაში – ისლანდიელ ხალხს და ფარერის კუნძულებზე – ფარერელ ხალხს. მათი ენისა და კულტურის საფუძველს წარმოადგენს ძველ-ნორვეგიული ენა და კულტურა.

ისევე როგორც მთელ სკანდინავიაში, ნორვეგიაშიც – ვიკინგების ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამიწათმოქმედო ტექნიკა. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან მაშინ მოჰყავდათ ქერი, თალგამი, კომბოსტო. ქვეყანაში ითვისებდნენ ახალ მიწებს. დიდ ოჯახებს პატარა ოჯახები გამოეყოფოდნენ, რაც მათ გადასახლებას იწვევდა. ნორვეგიაში ეს გადასახლებები მიმდინარეობდა ბარის რაიონებიდან. ახალგადასახლებულები იყვნენ ღარიბი გლეხები. X-XIII საუკუნეებში მთის ტყიან ველებში ათასობით ახალი მეურნეობა წარმოიქმნა. ეს ინდივიდუალური მეურნეობები (ოჯახები) შემდეგ უმეტესად ახალ დიდ ოჯახებად იქცეოდნენ.

XI საუკუნეში ნორვეგიაში ქრისტიანობა ძალით გავრცელდა. XI-XIII საუკუნეები ნორვეგიაში იყო ფეოდალურ ურთიერთობათა დამ-

კვიდრების პროცესი. ნორვეგიელი გლეხები არასდროს არ იყვნენ ბატონყმურ დამოკიდებულებაში, სათემო ტრადიციები კი ნორვეგიულმა სოფელმა ჩვენს დრომდეც შემოინახა. ქრისტიანობის შემოღებით ქვეყანაში საღვთისმეტყველო (საეკლესიო) ენად ლათინური იქცა. XII საუკუნეში დამწერლობის ენად გაბატონებული იყო ლათინური. XV საუკუნეში გაძლიერდა დანიის კულტურული გავლენა. 1536 წელს, როდესაც დანიამ ძალადობის გზით ჩაატარა საეკლესიო რეფორმა ლუთერანიზმის ფორმით, დანიურმა ენამ შეცვალა ლათინური და იგი იქცა ჯერ ოფიციალურ საეკლესიო, შემდეგ კი ადმინისტრაციულ და სალიტერატურო ენად. ეკონომიკურად დაწინაურებულ რაიონებში, უფრო სწორად ოსლოს ოკრუგში, თანდათან ჩამოყალიბდა შერეული დანიურ-ნორვეგიული მეტყველება, რომლის ბაზაზე **ახალი სალიტერატურო ნორვეგიული ენა რიკსმოლი (სახელმწიფო ენა)** წარმოიქმნა, რომელიც სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის ენად იქნა აღიარებული. მაგრამ პროვინციების მცხოვრებნი ყოველდღიურ ყოფაში ადგილობრივი დიალექტების ერთგულნი რჩებოდნენ. ნორვეგიული ენა მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანული ჯგუფის სკანდინავიურ ენათა ქვეჯგუფს. მას აქვს 5 აღმოსავლურნორვეგიული და 26 დასავლურნორვეგიული დიალექტი. ნორვეგიელთა დამწერლობა ლათინურ ანბანს ეფუძნება. შესაბამისად, **ნორვეგია ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების სიმრავლით გამოირჩევა: რუგალანი (დასავლეთით), აგდერი (სამხრეთით), გრენლანი (სამხრეთში), რაუმარიკი (სამხრეთ-აღმოსავლეთში), რანრიკი (სამხრეთ-აღმოსავლეთში), ჰალგელანი (ჩრდილოეთში), ტრენელაგი (ჩრდილო-დასავლეთში)...**

რელიგია ნორვეგიელთა ყოფასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ნორვეგიაში ეკლესია კონსტიტუციით სახელმწიფოსაგან გამოყოფილი არაა. **ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად აღიარებულია ევანგელისტური ლუთერანული სარწმუნოება. ეკლესიის უმაღლეს ხელისუფლად ითვლება მეფე,** რომელიც კონსტიტუციით ევანგელისტურ-ლუთერანულ რელიგიას უნდა აღიარებდეს, მხარს უჭერდეს და მფარველობდეს მას. ნორვეგიის ლუთერანი მღვდელი-პასტორი – სახელმწიფო მოხელეა. სკოლებში ღვთისმეტყველება აუცილებელი საგანია. ნორვეგიაში არიან კათოლიკეებიც; მოქმედებს აგრეთვე ორმოცდაათიანელთა, ბაპტისტებისა და ადვენდისტების მიმდინარეობანი.

ნორვეგიელთა ტრადიციული საკვებია ფაფები, თევზის კერძები. საუკუნეთა განმავლობაში ნორვეგიელთა სამეურნეო ცხოვრებაში მთავარ როლს თევზის რეწვა ასრულებდა. ტრადიციაა სახლებში ლუდის დამზადება. დამახასიათებელია მაგარი მოხარშული ყველი,

ხაჭო, ბრინზა; განსაკუთრებით პოპულარულია ტკბილი ცხელი რძე. ნორვეგიელთა ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო დარგია სარძევე მეცხოველეობა. მეთევზეობას მართალია ძირითადად მამაკაცები მისდევენ, მაგრამ სანაპიროზე მის გადამუშავებას ქალები ახდენენ. ნორვეგიის მეურნეობისათვის დამახასიათებელია მაღალგანვითარებული საზღვაო ტრანსპორტი (XIX ს-დან „საზღვაო მეეტლეები“). ნორვეგიელთა სავაჭრო ფლოტი თავისი სიდიდით მსოფლიოში მეექვსე ადგილზეა.

შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო ტანსაცმლის ასამდე სახეობა, რომელიც სერმიაგისაგან (უხეში მაუდისაგან) იკერებოდა. ნორვეგიის მთის ზოგიერეთ რაიონში ადგილობრივი მცოვრებნი ფრიალო კლდეებზე ფრინველის ბუმბულს აგროვებენ, რაც ძალიან ძვირად ფასობს. მას საძილე ტომრებისა და ტანსაცმლის მათბუნებლებად იყენებენ.

მსოფლიოს ცნობილ მოგზაურთა შორის რამდენიმე ნორვეგიელია, რომელთა შორის **ფრიტოფ ნანსენის (1861-1930), რუალ ამუნდსენის (1872-1928) და ტურ ჰეიერდალის** დასახელებაც იკმარებს. ფართოდაა ცნობილი ნორვეგიელი დრამატურგის, **ჰენრიკ იბსენის** (1829-1906) შემოქმედება. დიდი კომპოზიტორი იყო **ედვარდ გრიგი** (1843-1907).

2.29. შვედები

შვედების თვითსახელწოდებაა **სვენსკარ**, რომელიც უკავშირდება ძველგერმანულ ეთნონიმს „**სვეი**“. შვედებითაა დასახლებული შვედეთი. შვედების საერთო რაოდენობა 9 მილიონია, მათ შორის, შვედეთში 8,5 მილიონია. ისინი ცხოვრობენ აგრეთვე აშშ-ში (820 ათასი), კანადაში (105 ათასი), ფინეთში (300 ათასი), დანიაში, ნორვეგიაში. **შვედები ნორვეგიელების, დანიელების, ისლანდიელებისა და ფარერელების მონათესავენი არიან**. ანთროპოლოგიურად მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიური რასის ბალტიურ ტიპს. შვედები ლაპარაკობენ შვედურ ენაზე, რომელიც მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანული ჯგუფის ჩრდილოურ ქვეჯგუფს. შვედურ ენაში რამდენიმე დიალექტს გამოყოფენ: **სამხრეთშვედურს, იოტსკურს (მასში განასხვავებენ ესტერიოტურს და ვესტერიოტურ დიალექტებს), სვეურსა (გამოყოფენ დალის დიალექტებს) და ნორლანდიურს** საკუთრივ შვედეთში, აგრეთვე **გუთნიურს გოტლანდიის კუნძულზე და აღმოსავლეთშვედურს ფინეთში**. დამწერლობა ლათინური გრაფიკის საფუძველზე აქვთ შედგენილი. რელიგიით შვედები ძირითადად (95%) ლუთერანები არიან. გვხვდებიან აგრეთვე კათოლიკეები, ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები და სხვა.

შვედეთის მოსახლეობის 98% შვედია. მნიშვნელოვან ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ: ფინელები (25 ათასი), საამები ანუ ლოპარები (10 ათასი) და ებრაელები (5 ათასი), აგრეთვე რამდენიმე ათასი ვალონელი, რომლებიც XVII ს-ში საფრანგეთიდან რელიგიური დევნის შედეგად გადმოსახლებული სამასი ვალონელი ხელოსნის შთამომავლები არიან. ქვეყანაში ცხოვრობს 200 ათასი უცხოელი – ესტონელი, გერმანელი, ნორვეგიელი, დანიელი და სხვ. შვედეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სანაპირო ზოლსა და ქვეყნის სამხრეთის პატარა დაბლობებშია თავმოყრილი.

შვედი ხალხის ეთნიკურ საფუძველს წარმოადგენენ გერმანული ტომები: **სვიონები (სვეები), გერულები, გუთები, გაუტები** და სხვ., რომლებიც შვედეთში ძვ.წ. II და I ათასწლეულებში გადმოსახლდნენ. მათ ადგილობრივი ლოპარები ჩრდილოეთისაკენ განდევნეს. შვედების ეთნოგენეზში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ფინელებმა და ლოპარებმა. შვედური ენის ფორმირება IX-X საუკუნეებში მოხდა. შვედური ენის უძველესი ძეგლები (რუნული წარწერები) IX საუკუნეს მიეკუთვნება.

ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულში შვედეთის მოსახლეობის საზოგადოებრივი წყობა თემურ-გვაროვნულიდან კლასობრივზე გარდამავალი იყო. შვედეთში დასახლებული გერმანული ტომები გვაროვნული თემიდან სამეზობლო თემზე გადადიოდნენ. VI-VII სს-ში შუა შვედეთში წარმოიქმნა პირველი სახელმწიფო – სვეისის სახელმწიფო, რომელშიც გაბატონებული მდგომარეობა სვიონებს ეკავათ ინლიგების დინასტიით. ამ პერიოდში ფართოდ გავრცელდა პატრიარქალური მონობა. VII-IX სს-ში შვედეთს გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდა რუსეთთან, ბიზანტიასთან, არაბულ აღმოსავლეთთან, ფრანკების სახელმწიფოსთან. IX-X საუკუნეებში გაცხოველებული ვაჭრობა და შვედი ვიკინგების ლაშქრობები თავისუფალ მეთემეებს შორის სოციალურ და ქონებრივ დიფერენციაციას მოწმობს.

XII საუკუნეში ფეოდალიზმის განვითარებამ ქვეყანაში შვედთა გაქრისტიანება განაპირობა. შვედები კათოლიკეები იყვნენ, მაგრამ რეფორმაციის შემდეგ 1527-1532 წლებში მათი უმეტესობა ლუთერანელი გახდა. შვედეთში ეკლესია სახელმწიფოს არცთუ ისე დიდი ხნის წინ გამოეყო.

გერმანელთა ბატონობისაგან თავის დაღწევის მიზნით, 1397 წელს შვედეთის, დანიისა და ნორვეგიის კავშირით შეიქმნა კალმარის უნია, რაც დანიის გავლენის გაძლიერებას ნიშნავდა. XIV-XVI საუკუნეებში ჯერ გერმანელებთან, შემდეგ კი დანიელებთან ბრძოლამ გააძლიერა შვედთა ნაციონალური თვითშეგნება. შვედებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1477 წ. უპსალაში უნივერსიტეტის გახსნას.

ამავე ქალაქის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს სკანდინავიაში ყველაზე გრანდიოზული გოთური ტაძარი, რომელიც XIV საუკუნეშია აგებული. აქვთ მხარეთმცოდნეობის, ეთნოგრაფიული და სამხატვრო მუზეუმები. უპსალა XII ს-დან იყო არქიეპისკოპოსის რეზიდენცია და 1719 წლამდე შვედეთის მეფეების კორონაციის ადგილი.

შვედების ნაციონალური თვითშეგნებისა და კულტურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1523 წლის დიდი აჯანყების შემდეგ დანიასთან კავშირის გაწყვეტას. **აჯანყებას გუსტავ ვაზი ხელმძღვანელობდა, რომელიც შემდეგ მეფედ იქნა არჩეული.** ასე დაირღვა კალმარის უნია.

შვედი ხალხის ეთნიკური კონსოლიდაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შვედური ენის განვითარებას. ის XVI-XVII საუკუნეებში ჩამოყალიბდა და დაეფუძნა სვეის (ცენტრალურშვედურ) კილოსა და ნაწილობრივ ესტერეტის დიალექტს. 1648 წელს ე. აურივილიუსმა შვედური ენის პირველი გრამატიკა შეადგინა, რამაც შვედური ენის შესწავლა და გავრცელება გააადვილა, მაგრამ მან მაინც ვერ შეძლო მრავალრიცხოვანი დიალექტებისა და კილოების აღმოფხვრა, რომლებიც გლეხთა ყოფაში დღემდეა შემონახული.

შვედების აშშ-ში ემიგრაცია XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. მიგრანტთა შედარებითი რაოდენობით შვედეთს ამ საუკუნის 60-80-იან წლებში ევროპაში, ირლანდიის შემდეგ, მეორე ადგილი ეკავა.

დღეს შვედეთი კონსტიტუციური მონარქიული სახელმწიფოა. სახელმწიფოს მეთაურობს მეფე. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი პარლამენტი – **რიკსდაგი.** რიკსდაგის გადაწყვეტილებით 1719 წელს შვედეთში აბსოლუტიზმი მოისპო, მაგრამ 1772 წელს ის კვლავ აღსდგა. გვიან გაუქმდა წოდებრივი პარლამენტი და დაწესდა არჩევითი ორპალატიანი რიკსდაგი. მას შემდეგ შვედეთი გახდა მემკვიდრეობითი საკონსტიტუციო მონარქია. მეფე სახელმწიფოს მეთაურად ითვლება, თუმცა მისი ხელისუფლება სიმბოლურია. შვედეთი ნეიტრალური ქვეყანაა. ნეიტრალიტეტს საფუძველი დღევანდელი მონარქიის დინასტიის საფუძვლის ჩამყრელმა, კარლოს XIV-ემ დაუდო. დინასტია წარმოშობით ფრანგულია.

სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მეცხოველეობა. ის სოფლის მეურნეობის შემოსავლების 75%-ს იძლევა. რძის პროდუქტები სოფლის მეურნეობის ექსპორტის ძირითად ნაწილს შეადგენს. სარძევე მეცხოველეობის ძირითადი ოლქია სკონე და ვენერნის ტბის შემოგარენი. მეღორეობა განვითარებულია სამხრეთ შვედეთში. აქვეა განვითარებული მეცხენეობა. მეცხვარეობას უმთავრესად ელანდისა და გოტლანდის კუნძულებზე მისდევენ. შვედეთი მსოფლიოში მოწი-

ნავე „სატყეო“ ქვეყანაა. ტყის პროდუქციის წარმოებით ერთ სულ მოსახლეზე მას პირველი ადგილი უკავია.

შვედეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარი (45%) სოფელ ადგილებში ცხოვრობს. შვედური სოფელი ჩვეულებრივ 12-15 კომლისაგან შედგება. სოფლის მოსახლეობა დღესაც ქერისაგან ამზადებს ლუდს. შვედეთი თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას კვებითი პროდუქტებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით სამხრეთ შვედეთი გამოირჩევა.

1870 წლამდე შვედეთში სამოქალაქო უფლებები მხოლოდ ლუთერანებს ჰქონდათ. საეკლესიო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქვეყანა დაყოფილია 12 ეპარქიად.

შვედების მთავარი სახალხო დღესასწაულია შობა, რომლისთვისაც მზადება 2-3 კვირით ადრე იწყება. ხარშავენ ლუდს, აცხობენ პურს, სადღესასწაულო ნამცხვრებს (ღორის, თხისა და ვარსკვლავების ფორმებით). სტუდენტებსა და მოსწავლეებს შორის **დიდი პოპულარობით სარგებლობს ლიუციის დღე (13 დეკემბერი). ამ დროს აწყობენ გოგონების მეჯლისს და ირჩევენ ყველაზე ლამაზ გოგოს.** შვედებში შემონახულია ფოლკლორი: ზღაპრები, ლეგენდები, ბალადები, სიმღერები, ცეკვები... შვედები ხალხურ კოსტიუმს დღესასწაულების დროს იცვამენ.

შვედეთში მეცნიერების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ბუნებისმეტყველმა **კარლ ლინეიმ** (1707-1778), რომელმაც 1739 წელს სამეფო აკადემია ჩამოაყალიბა. მან საფუძველი ჩაუყარა მცენარეთა და ცხოველთა მეცნიერულ სისტემატიკას. ლინეიმ აღწერა და სახელწოდება მიაკუთვნა მცენარეთა და ცხოველთა 10.000-ზე მეტ სახეობას. მისი თანამედროვე იყო **ანდერს ცელსიუსი** (1701-1774), რომელმაც თავისი სახელი უკვდავყო 1742 წ. 100-გრადუსიანი ტემპერატურული სკალის გამოგონებით. მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აგრეთვე დინამიტის გამომგონებელმა **ალფრედ ბერნარდ ნობელმა** (1833-1896), რომელმაც დააწესა მთელ მსოფლიოში ცნობილი ნობელის პრემია. მსოფლიოში აღიარებული რეჟისორია **ინგმარ ბერგმანი** (დაიბ. 1918), მსახიობებიდან კი შეიძლება **ინგრიდ ბერგმანი** (1915-1982) დავასახელოთ. სახელგანთქმულია მწერალი **სელმ ლაგერლიოფი** (1858-1940). მთელი მსოფლიოს ბავშვების საყვარელი მწერალია **ასტრიდ ლინდგრენი** (1907-1999).

შვედებმა მსოფლიოში პირველებმა დაბეჭდეს ქაღალდის ფული. 1661 წელს სტოკჰოლმის ბანკმა ვერცხლის ფულის გამოშვება შეწყვიტა და ქაღალდის ფულის „დალერის“ გამოშვება დაიწყო.

შვედეთის დედაქალაქი სტოკჰოლმი თოთხმეტ კუნძულზეა განლაგებული (დაარსდა 1252 წელს), რომლებიც ერთმანეთთან ოცი ხიდი-

თაა დაკავშირებული. შვედები თავიანთ დედაქალაქს **„ჩრდილოეთის ვენეციას“** უწოდებენ. ქალაქში ბევრია შუა საუკუნეების გოთიკური ტაძრები ისრისებური კოშკებით. აქვეა მეცნიერებათა აკადემია, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების აკადემია, თეატრები, უმაღლესი სასწავლებლები, მუზეუმები, მათ შორის მუზეუმი ღია ცის ქვეშ. საინტერესოა, რომ სტოკჰოლმის მეტროპოლიტენს ხშირად მსოფლიოში ყველაზე გრძელი სამხატვრო გალერეის სახელით მოიხსენიებენ. ასზე მეტი სადგურიდან სამოცდაათზე მეტი სადგურის ვესტიბიულში ხელოვნების ნამდვილი ნიმუშებია გამოფენილი. შვედეთში სკოლების უმეტესობა სახელმწიფოა. შვედებმა მსოფლიოში პირველებმა შემოიღეს საყოველთაო უფასო სწავლება 7-14 წლის ასაკის ბავშვებისათვის. საყოველთაო სწავლება კი 1842 წელს დააწესეს.

როდესაც შვედებზე ლაპარაკობენ, მათი ნაციონალური ხასიათის შესახებაც აღნიშნავენ. ისინი თავშეკავებულნი არიან, გამოირჩევიან არაჩვეულებრივი თვითდისციპლინით, სიმშვიდით. მიუთითებენ შვედების გულგრილობის, კარჩაკეტილობის შესახებაც. ბევრს წერენ შვედთა „არაკომუნიკაბელურობაზე“, ცდილობენ თავიანთი ემოციები სხვებს არ დაანახონ. ისინი პასუხის გაცემას არასდროს არ ჩქარობენ. პასუხს მხოლოდ მოფიქრებისა და აწონ-დაწონის შემდეგ იძლევიან. აღნიშნავენ შვედების სტუმართმოყვარეობის და თავაზიანობის შესახებაც. სენტიმენტალურობის მიუხედავად, გამოირჩევიან რაციონალური გონებით, პრაქტიკულობით. მათ ყველაფერში უყვართ სიზუსტე; არიან შრომისმოყვარენი და კარგი ორგანიზატორები.

2.30. დანიელები

დანიელები იუტლანდიის ნახევარკუნძულისა და დანიის კუნძულების მოსახლეობის ძირითადი მკვიდრები არიან. დანია 500-მდე კუნძულის ერთობლიობას წარმოადგენს, რომელთა შორის 450 უმცირესია. დანიელთა თვითსახელწოდებაა **დანსკერე.** ისინი ძირითადად განსახლებულნი არიან დანიაში. მათი რაოდენობა 5,7 მილიონია, რომელთაგან დანიაში 5,1 მილიონზე მეტი ცხოვრობს. ისინი ცხოვრობენ აგრეთვე შვეციაში (38 ათასი), ნორვეგიაში (18 ათასი), გერმანიაში (100 ათასი შლეზვინგ-გოლშტეინის მიწებზე). დანიელ ემიგრანტთა შთამომავალნი ცხოვრობენ აშშ-ში (320 ათასი), კანადაში (90 ათასი) და ავსტრალიაში (6 ათასი). დანიელები ემიგრირებულნი არიან ძირითადად XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. მკვიდრობენ აგრეთვე დანიელთა სამფლობელოში – გრენლანდიაში (2 ათასი) და ფარერის კუნძულებზე (2 ათასი).

დანიელები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ატლანტიურ-ბალტიურ რასას.

დანიელები ლაპარაკობენ ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანული ჯგუფის სკანდინავიური ქვეჯგუფის დანიურ ენაზე. დანიური ენა სამ დიალექტს მოიცავს. ესენია: **დასავლეთის (იუტლანდიური), კუნძულებისა (ზელანდიის, ფიუნის და მიმდებარე კუნძულები) და აღმოსავლეთის (ბორხოლმის კუნძული) დიალექტები**. დანიური ენის ზელანდიური კილო ახლოსაა სკონეს ნახევარკუნძულის სამხრეთშვედურ კილოსთან. დანიური ენის ისტორია ორ პერიოდად იყოფა: ძველდანიური (IX-XVსს.) და ახალდანიური (XVI ს-დან). დანიური დამწერლობის უძველესი ძეგლები IX-XI საუკუნეებს მიეკუთვნება („რუნული“ დამწერლობა), რომლებიც ამოკვეთილია კონუნგების საფლავის ქვებზე. XIII-XIV საუკუნეებს ეკუთვნის ლათინური გრაფიკის საფუძველზე შესრულებული ხელნაწერები (ძველდანიური საოლქო კანონები). **1495 წ. დანიურ ენაზე დაიბეჭდა პირველი ნაბეჭდი წიგნი**.

დანია საზღვაო ქვეყანაა. მისი სახმელეთო საზღვარი მხოლოდ 68 კმ-ს შეადგენს, საზღვაოსი კი – 7.438 კმ. ქვეყნის ნაპირებს ეკვრის ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვები. რელიეფით იუტლანდია და ყველა კუნძული ბორნხოლმის გამოკლებით – ბარია. დანიის უმაღლესი წერტილი – ინდინგსუკი ძლივს აღწევს ზღვის დონიდან 173 მეტრს. ნალექების საერთო რაოდენობა ხელსაყრელია მემინდვრეობისათვის. დანია ევროპაში ყველაზე უტყეო ქვეყნად ითვლება. ტყეები აქ ადამიანთა მრავალსაუკუნოვანი სამეურნეო საქმიანობის შედეგად განადგურდა.

დანიის ტერიტორიაზე ადამიანის პირველი ნაკვალევი ჩნდება 12 ათასი წლის წინ – მეზოლითის ხანაში. თანამედროვე დანიისა და სამხრეთ შვეციის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები სკანდინავიის დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით განვითარების უფრო მაღალი დონით გამოირჩეოდნენ. უცნობია, რა დროიდან მოვიდნენ აქ ის ტომები, რომელთა ენას შეიძლება გერმანული ან პროგერმანული ვუწოდოთ. ფიქრობენ, რომ გერმანულენოვანი ტომები აქ დასახლდნენ ბრინჯაოს ხანის დასაწყისში. გასული ერის დასასრულსა და ჩვენი ერის დასაწყისში დანიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ტევტონები (იუტლანდიის ჩრდილოეთით), მათგან სამხრეთით – კიმვრები, იუტლანდიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე – ამბრონები, ანგელის ნახევარკუნძულზე, რომელიც თანამედროვე გერმანულ შლეზვიგთანაა, ცხოვრობდნენ ანგლები. ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნეში იუტები და ანგლები ბრიტანეთში გადასახლდნენ. მათგან წარმოიშვა გეოგრაფიული სახელწოდებები – იუტლანდია და ინგლისი. გვიან, X საუკუნეში იუტლანდიის სამხრეთ ნაწილში შვედი ვიკინგე-

ბის მიერ დაარსებული სამეფო არსებობდა. იუტლანდიიდან იყვნენ გამოსული აგრეთვე ვანდალები, რომლებიც ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე აქედან სამხრეთით, სილეზიაში, აგრეთვე პირენეის ნახევარკუნძულზე და შემდეგ ჩრდილოეთ აფრიკაში წავიდნენ. დანიის კუნძულებზე და სამხრეთ შვეციაში გერულები ცხოვრობდნენ, რომლებიც III-IV სს-ში დანებმა შეავიწროვეს. მათ იუტლანდიაც დაიკავეს.

დანების ტომობრივი სახელწოდება ცნობილია ბიზანტიელი ისტორიკოს პროკოფისათვის **(დანოი)** და გუთების ისტორიკოს იორდანისათვის **(დანი)**. ძველინგლისური ფორმა სიტყვისა „**დანე**“ გვხვდება ანგლოსაქსურ ეპოსში „ბეოვულფი“. იორდანის მიხედვით, დანები შვეციიდან გამოვიდნენ, რომლებმაც აქედან გერულები გაყარეს. დანებიდან წარმოიქმნა მათ მიერ დაკავებული მიწების სახელწოდება – „დანმარკ“ (სიტყვასიტყვით: დანების მიწა, ანუ დანია).

დანები და ზემოთ დასახელებული ტომების ნაწილი დანიელი ხალხის ფორმირების ეთნიკურ საფუძვლად იქცნენ. დანიელების შემადგენლობაში ნაწილობრივ შევიდნენ იუტლანდიის სამხრეთ-დასავლეთით მცხოვრები **ფრიზებიც** და ბალტიისპირელი სლავები.

ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუა ხანებში იუტლანდიისა და კუნძულების მოსახლეობა ჯერ კიდევ თემური წყობილებით ცხოვრობდა. მათი მთავარი საქმიანობა მიწათმოქმედება და მეცხოველეობა იყო. VI-IX საუკუნეებში აქ თემის შიგნით ქონებრივი დიფერენციაცია დაიწყო. I ათასწლეულის ბოლოს პატარა ტომები ერთმანეთს შეერწყნენ და წარმოიქმნა სახელმწიფო, რომლის სათავეში იდგა **კონუნგი**. IX საუკუნის დასაწყისში დანიელი კონუნგი გოდფრედი (+810 წ.) უკვე ფლობდა მთელ დანიას, შვეციის სამხრეთ ნაწილსა (სკონე) და შლეზვინგის დიდ ნაწილს.

სკანდინავიის ისტორიაში პირველყოფილი წყობილებიდან ფეოდალიზმზე გადასვლის ეპოქა, ესაა ე.წ. **ვიკინგების ეპოქა (დაახლ. 800 წლიდან 1050 წლამდე).** ვიკინგების ლაშქრობებმა და დაპყრობებმა დანიაში ფეოდალიზაციის პროცესი დააჩქარა. მათ საფუძველი ჩაუყარეს ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას. 866 წელს დანიელი ვიკინგი გუტრუმი გადავიდა აღმოსავლეთ ინგლისში, მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრო და თავი მეფედ გამოაცხადა. 911 წელს დანიელმა და ნორვეგიელმა ვიკინგებმა მდ. სენის შესართავთან ნორმანდიის საჰერცოგო დააარსეს. დღეს საფრანგეთის ამ პროვინციას ნორმანდიას უწოდებენ (კონტინენტურ **ევროპაში ყველა სკანდინავიელი ვიკინგი ეთნონიმ „ნორმანის“ სახელით იყო ცნობილი).** ვიკინგების პერიოდში აღმოსავლეთ ინგლისისა და ნორმანდიის ახალმოსახლეები ლაპარაკობდნენ მათ მშობლიურ სკანდინავიურ ენებზე, ძირითა-

დად დანიურზე, რასაც აღმოსავლეთ ინგლისის ისტორიული ოლქის Danelaw-ის სახელწოდებაც ადასტურებს.

ინგლისურ ენაში ბევრი სკანდინავიური სიტყვაა შესული. ეს სიტყვები ხშირად გვხვდება ინგლისის შუა საუკუნეების იურიდიულ დოკუმენტებში და დღემდე შეადგენს ინგლისური ენის ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს.

თანამედროვე ნორვეგიის, შვეციისა და დანიის მიწებზე ჩამოყალიბდნენ სკანდინავიელი ხალხები: ნორვეგიელები, შვედები და დანიელები. მათი ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ ვიკინგების დროს დაიწყო. რამდენიმე საუკუნის შემდეგაც ენებს შორის განსხვავება იმდენად არაარსებითი იყო, რომ მთლიანად ყველა სკანდინავიური ენა ჯერ კიდევ დანიურ ენად (dansk tugna) იწოდებოდა. იმავე დროს დანიური და შვედური ენების სხვადასხვა სახელწოდებაც არსებობდა – „დანსკრ“ (დანიური) და „სიონსკრ“ (შვედური), ხოლო ნორვეგიული, ისლანდიური და ფარერული ენები XIV საუკუნემდე ატარებდა საერთო სახელწოდებას – „**ნურიონტ მალ**“.

დანიური სალიტერატურო ენის საფუძვლად იქცა სახელმწიფოს ყველაზე დასახლებული კუნძულის – ზელანდიის დიალექტი, უპირატესად კოპენჰაგენის მეტყველება. ამ დროს დანიური ენა გავრცელდა აგრეთვე ჩრდილოეთში, ნორვეგიულ მიწებზე, სადაც ის ადმინისტრაციულ და საეკლესიო ენად იქცა.

დანიელებმა ქრისტიანობა მიიღეს მეფე ხარალდ ლურჯკბილას დროს (940-985), რომელმაც ეკლესიას მიწები მისცა და ფეოდალური პრივილეგიები მიანიჭა. დღეს დანიელები ძირითადად ლუთერანები, აგრეთვე სხვადასხვა პროტესტანტული მიმდინარეობის მიმდევარნი და კათოლიკეები არიან. დანიაში კათოლიკური სარწმუნოება XVI საუკუნეში შეიცვალა ლუთერანიზმით, რომელიც სახელმწიფო რელიგიად იქცა; ეს იმას ნიშნავდა, რომ ეკლესიის მეთაურს მეფე წარმოადგენდა. დანიელებში ძალიან პოპულარულია წმინდა ჰანსისა და წმინდა ლუციის დღესასწაულები. წმინდა ჰანსის დღეს დანიის მთელ სანაპიროზე კოცონებს ანთებენ. წმინდა ლუციის დღეს კოლექტიურად აღნიშნავენ სკოლებში, უნივერსიტეტებსა და დაწესებულებებში. რეფორმაციის შემდეგ ლათინური, რომელიც ეკლესიის ენა იყო, დანიურით შეიცვალა და აქედან მოკიდებული საეკლესიო ლიტერატურა მხოლოდ დანიურ ენაზე გამოდიოდა, მაგრამ დანიურ სამეცნიერო ლიტერატურაში XVIII საუკუნის ბოლომდე ლათინური ენა იყო გაბატონებული. ჯერ კიდევ XIX საუკუნის I ნახევარში დანიის უძველეს – კოპენჰაგენის უნივერსიტეტში (დაარსდა 1479 წელს) ყველა დღესასწაულის აღსანიშნავად ლათინურ ენას იყენებდნენ.

1874 წელს დანიას ჩამოშორდა ნორვეგია.

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში XIX საუკუნის შუა ხანებამდე დანიის ძირითადი პროდუქცია იყო მარცვლეული – ხორბალი, ჭვავი (სვილი), ქერი. გატანილი ხორბლის სანაცვლოდ დანიელები სამრეწველო ნაკეთობებს იღებდნენ. გვიან განვითარდა სახორცე-სარძევე მეცხოველეობა. XX საუკუნის დასაწყისამდე მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. დანიის მიწა ნაყოფიერი არ იყო, რადგან იუტლანდიის მთელი დასავლეთი სანაპირო უზარმაზარ უნაყოფო ქვიშიან სტეპს წარმოადგენდა. ჩრდილო-დასავლეთის ცივი ქარები ქვიშის მთელ „ღრუბლებს“ ქვეყნის შიგნით ლექავდა, რაც მცენარეულობას ანადგურებდა, მაგრამ დანიელებმა ქვიშის წინააღმდეგ ბრძოლა ისწავლეს. იუტლანდიის მთელ დასავლეთ სანაპიროს ყველა დუინში ტყეები გააშენეს. ამავე დროს აშრობდნენ ტორფის ჭაობებსაც, რათა მის ადგილზე ბალახი მოეყვანათ. დანიელები ფართოთ იყენებდნენ ორგანულ სასუქებსაც, რამაც ბევრად აამაღლა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი. დანია გადაიქცა თითქოსდა დიდ კეთილმოწყობილ ფერმად კარგად განვითარებული მიწათმოქმედებით, მეცხოველეობით, სარძევე მეურნეობით. დანიელებმა გამოიყვანეს მსხვილფეხა რქოსანი საქონლის შესანიშნავი ჯიშები. **დანიელთა სიამაყეა აგრეთვე ბეკონის თეთრი ჯიშის ღორი. აკრძალული იყო და არის ამ ჯიშის ღორის ქვეყნიდან ცოცხლად გაყვანა.** ასე რომ, დანია ინარჩუნებს მონოპოლიას მსოფლიოში ამ საუკეთესო ჯიშის ღორზე. XX საუკუნის 60-იან წლებში დანია ინდუსტრიალიზაციის გზას დაადგა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არავითარი წიაღისეული სიმდიდრე არ იყო, დანიელებმა მოახერხეს თავიანთი სამშობლოს ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევა. კვების მრეწველობის 80% საექსპორტოდაა განკუთვნილი. **კარლსბერგის ლუდის ქარხნებს დიდი წვლილი შეაქვთ ქვეყნის მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში. კარლსბერგის ფონდი იძენს ხელოვნების ნიმუშებს და უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსებას.**

დანია იყოფა 25 ადმინისტრაციულ ოკრუგად (ამტებად). სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმით დანია საკონსტიტუციო მონარქიაა. დანიელთა 62% ქალაქებში ცხოვრობს. დანიაში 78 ქალაქია და ამათგან 100 ათასზე მეტი მცხოვრები მხოლოდ სამ ქალაქშია (კოპენჰაგენი, ორხუსი, ოდენსე).

დანიელთა ხელოსნობის ტრადიციული დარგებია: მჭედლობა, საიუველირო, სამეთუნეო წარმოება, ხეზე კვეთა, ქსოვა, მეხალიჩეობა. XIX საუკუნეში ხეზე ნაკვეთ ნამუშევრებში ცხოველების გამოსახულებანი ჭარბობდა. **ქსოვდნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები.** დანიაში განვითარებული იყო ფაიფურის წარმოებაც.

დანიელების და მათ მონათესავე სკანდინავიელთა თანამედროვე ტანსაცმელში შალის ნაქსოვი ქსოვილები ჭარბობს.

დანიაში უაღრესად პოპულარულია ბუტერბროდები (700-მდე ვარიანტი). **ბუტერბროდი დანიური სამზარეულოს მეფის სახელითაა ცნობილი.** დღეს დანიაში ტრადიციული სასმელია ყავა, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისში ჩაი გამოდევნა. სოფლად პოპულარულია გლეხების მიერ მოხარშული ლუდი. ტრადიციული დანიური კერძია ფაფა (ხორბლის, შვრიის, ქერის, ბურღულის, თავნაფქვავი ბურღულის, ბრინჯის). დანიელების თითქმის ყოველდღიურ საკვებს შეადგენს თევზეული. მათ საკვებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხორცსაც.

დანიელთა მნიშვნელოვანი სახელმწიფო დღესასწაულია მეფის დაბადების დღე, რელიგიური დღესასწაულებიდან კი – შობა, აღდგომა. დანიელი მეცნიერი **ნილს ბორი** (1885-1962) თანამედროვე ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. ის არის ატომის თეორიის ავტორი. დანიურმა ნაციონალურმა კულტურამ თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში. ამ თვალსაზრისით **ჰანს ქრისტიან ანდერსენის** (1805-1875) სახელის დასახელებაც იკმარებს, რომლის ზღაპრებიც პლანეტის ყველა კუთხეში უყვართ. საყოველთაო ევროპული აღიარება აქვს მოპოვებული მწერალ **ლუდვიგ ჰოლბერგს** (1684-1754). იგი იყო დანიური თეატრის ფუძემდებელი და ავტორი წიგნისა „დანიის სახელმწიფოს ისტორია“.

XVI საუკუნემდე დანიელი ხალხის ანთროპონიმიული მოდელი ისეთივე იყო, როგორიც დღეს ისლანდიელებს აქვთ – ის ინდივიდუალური სახელისა და მამის სახელისაგან შედგებოდა. მოდელის მეორე წევრი, მამის სახელი ბოლოვდებოდა –sen-ით. ძალიან ხშირად აქ მამის სახელს საცხოვრებელი ადგილის სახელწოდება ცვლიდა. თავდაპირველად გვაროვნული მემკვიდრეობითი სახელები თავადაზნაურობას გაუჩნდა. 1526 წელს დანიის მეფის მიწერილობით აზნაურებს ურჩიეს გვაროვნული სახელების ოფიციალურად გაფორმება. გლეხთა შორის მემკვიდრეობითი სახელების დამკვიდრება XIX საუკუნეში დასრულდა – მამის სახელები პირდაპირ გვარსახელებად გარდაიქმნა. დანიაში მემკვიდრეობითი სახელების დაახლოებით 40% ***-sen*** სუფიქსით ბოლოვდება. რაც შეეხება ტოპონიმიური ტიპის გვარებს, ისინი ***–(l) iing*** ფორმანტს ირთავენ.

დანიელები მატერიალური და სულიერი კულტურით ახლოს არიან შვედებსა და ნორვეგიელებთან, მაგრამ მათგან ხასიათით განსხვავდებიან. თუ შვედები და ნორვეგიელები ჩაკეტილნი და ძუნწსიტყვაობით გამორჩეულნი არიან, დანიელები ამ მხრივ მათგან რადიკალუ-

რად განსხვავდებიან: არიან ღია, მხიარულნი, სიტყვაუხვნი; ამაყობენ იმით, რომ ახასიათებთ გონებამახვილობა და იუმორის გრძნობა.

დანიის დედაქალაქ **კოპენჰაგენს „ჩრდილოეთის პარიზს“** უწოდებენ, რომელშიც ბევრი ტაძარი, ციხესიმაგრე და მუზეუმია.

2.31. შოტლანდიელები

შოტლანდიელების თვითსახელწოდებაა **სკოტს**. ისინი დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთში ცხოვრობენ (5,19 მილ.). შოტლანდიელთა საერთო რაოდენობა 6,1 მილიონია. დაახლოებით 900 ათასი სხვა ქვეყნებში ცხოვრობს – აშშ-ში (280 ათასი კაცი), კანადაში (300 ათასი კაცი), ავსტრალიაში (260 ათასი კაცი), ახალ ზელანდიაში (45 ათასი), სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში (24 ათასი) და სხვ. **შოტლანდიელებში გამოყოფენ ლოულენდერებისა და გელების ჯგუფებს.** ისინი მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიურ რასას. ლაპარაკობენ ინგლისში გავრცელებული ინგლისური ენის დიალექტზე. დამწერლობა შექმნილი აქვთ ლათინური ანბანის საფუძველზე. შოტლანდიელთა უმეტესობა რელიგიით პროტესტანტია (ძირითადად პრესვიტერელები; არიან ანგლიკანებიც). გელები უმეტესად კათოლიკეები არიან.

ინგლისისა და შოტლანდიის მოსახლეობის ეთნიკური ისტორია განსხვავდებოდა. ეს განსხვავება იმ ფაქტით აიხსნება, რომ რომაელთა, გვიან კი ანგლოსაქსთა დაპყრობები შოტლანდიელი ხალხის აკვანს – ბრიტანეთის ჩრდილოეთ ნაწილს ნაკლებად შეეხო. ახ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში შოტლანდიამ მთლიანად შეინარჩუნა კულტურული იერ-სახე. **ქვეყნის ძირითადი ნაწილი ეკავათ პიკტებს. სამხრეთში ცხოვრობდნენ ბრიტები,** რომლებიც ინგლისის ტერიტორიიდან ანგლოსაქსების მიერ იყვნენ გამოდევნილნი. V საუკუნის დასასრულსა და VI საუკუნის დასაწყისში შოტლანდიის დასავლეთ სანაპიროზე გადმოსახლდნენ კელტური ტომები – სკოტები, რომელთა ტომობრივი სახელწოდება თანდათან მთელი ქვეყნის სახელწოდებად იქცა. **შოტლანდიის ძველ მკვიდრთა – პიკტების (რომაელი ავტორები მათ კალედონელებს უწოდებდნენ) ეთნიკურობა გაურკვეველია**. ბრიტანეთის კუნძულზე მათ ჩამოყალიბებას კელტური მიგრაციის პირველ ტალღას უკავშირებენ. შოტლანდიის ტოპონიმებით აშკარაა, რომ პიკტები კელტურ ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც ახლოს იყო გელების ენასთან.

IX საუკუნის შუა ხანებში, სკოტების მიერ პიკტების დაპყრობის შემდეგ, შეიქმნა ერთიანი სამეფო, რომელმაც თავისი გავლენა მთელ

დანარჩენ შოტლანდიაზე გაავრცელა. XI საუკუნის დასაწყისში ამ სამეფოს შემადგენლობაში შევიდნენ რანები. ანგლოსაქსური რანების შოტლანდიის შემადგენლობაში ჩართვამ აქ ძველი ინგლისური ენის თანდათანობით გავრცელება გამოიწვია, რადგან ეს მხარე ეკონომიკურად უფრო ძლიერ იყო განვითარებული, ვიდრე შოტლანდიის სხვა მხარეები, მაგრამ სახელმწიფო ენად კვლავ გელური რჩებოდა.

შოტლანდიის სამეფოში ხშირი იყო ფეოდალთა ურთიერთბრძოლები. მას სკანდინავიელთა თავდასხმებიც ასუსტებდა. მიუხედავად ამისა, **შოტლანდიის სამეფომ შოტლანდიელი ხალხის ჩამოყალიბებაში პირველხარისხოვანი როლი შეასრულა.**

ნორმანდიული დაპყრობები შოტლანდიას არ შეეხო. ვილჰელმ დამპყრობელი პირველ რიგში იმით დაკმაყოფილდა, რომ შოტლანდიის მეფემ თავი მის ვასალად აღიარა, მაგრამ ამ დაპყრობის არაპირდაპირი გავლენა მეტად მნიშვნელოვანი იყო. შოტლანდიის მიწაზე მიგრანტი ანგლოსაქსების ნაკადმა, რომლებიც ნორმანებისაგან მირბოდნენ, აქ მათი ენის გავრცელება განაპირობა. XII საუკუნეში ინგლისური გავლენა გაძლიერდა შოტლანდიელ და ინგლისელ სამეფო გვარებს შორის ქორწინებებით. შოტლანდიის სამეფო კარი გაინგლისელდა და ის შოტლანდიაში ანგლოსაქსური კულტურის ერთგვარ ცენტრად იქცა. ამ კულტურის მეგზურები იყვნენ შოტლანდიელი მეფეებისაგან სამსახურში მიწვეული ინგლისელი ფეოდალები. შოტლანდიაში ფეოდალური სისტემის გავრცელებამ ინგლისთან კავშირი გააძლიერა.

XIII საუკუნის დასასრულს ინგლისი შოტლანდიის დაპყრობას ცდილობდა, მაგრამ ინგლისის არმია დამარცხდა და 1328 წლის ხელშეკრულებით ინგლისმა მისი დამოუკიდებლობა ცნო. დამოუკიდებლობისათვის ომმა შოტლანდიელების ნაციონალური შეკავშირება გაამყარა. XIII საუკუნის დასასრულს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პარლამენტის შექმნა და, განსაკუთრებით, საეკლესიო რეფორმა, რომელმაც XVI საუკუნის შუა ხანებში პრესვიტერიზმი განამტკიცა. **1560 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი პრესვიტერიანული ეკლესიის შოტლანდიის სახელმწიფო რელიგიად ცნობის შესახებ.** შოტლანდიის ოფიციალურ ენად კი გამოცხადდა ენა, რომელიც ჩამოყალიბდა ანგლოსაქს გადმოსახლებულთა ენის საფუძველზე ადგილობრივი კელტური (გელური) ენის გავლენით. მას ხშირად უწოდებდნენ შოტლანდიურს. თანდათან ეკონომიკური და კულტურული კავშირების გამოისობით ეს შოტლანდიური ენა ინგლისური ენის დაილექტის დონემდე ჩამოქვეითდა და მხოლოდ სასაუბრო ენასა (ძირითადად სოფლებში) და ხალხურ პოეზიაში შემორჩა.

ინგლისთან კავშირი მნიშვნელოვნად შესუსტდა XVII საუკუნის დასაწყისში, როდესაც შოტლანდიელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს კარლოს I-ს, რომელსაც სურდა ანგლიკანური ეკლესია კათოლიკურთან დაეახლოებინა და მისი გავლენა მთელ შოტლანდიაზე გაევრცელებინა. **1625 წელს შოტლანდიელი აზნაურების, სამღვდელოებისა და ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა შეადგინეს კონვენტი – აქტი ნაციონალური კავშირის შესახებ.** პრესვიტერიანული ეკლესიის დასაცავად შოტლანდიელებმა ძლიერი არმია შეკრიბეს, დაიკავეს ინგლისის ჩრდილოეთი და კარლოს I აიძულეს პირობა დაედო, რათა პატივი ეცა შოტლანდიელთა რელიგიური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის. კარლოსის დახვრეტის შემდეგ, შოტლანდიელებმა თავიანთ მეფედ ცნეს მისი შვილი, თუმცა ისინი ტახტისათვის ბრძოლაში მას არსებით დახმარებას არ უწევდნენ. ამასთანავე, შოტლანდიის არმიამ ინგლისის ნაწილის ოკუპაცია მოახდინა და მისი რევოლუციის მიღწევებს ერთგვარი საშიშროება შეუქმნა. ამიტომ 1650 წელს კრომველმა თავისი არმია ჩრდილოეთისაკენ დაძრა და შოტლანდიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრო. ეს იყო უკანასკნელი შეჯახება ინგლისისა და შოტლანდიის არმიებს შორის.

ახალი ეტაპი შოტლანდიისა და ინგლისის ურთიერთობაში, შოტლანდიელი ხალხის ისტორიაში დასრულდა 1707 წლის შემდეგ – შოტლანდიისა და ინგლისის უნიით, რაც მათ ერთ სახელმწიფოში სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებას ითვალისწინებდა, რომელმაც მიიღო სახელწოდება **„დიდი ბრიტანეთი“**. შოტლანდიელ ხალხში ეს კავშირი პოპულარული არ იყო და ნაციონალური სეპარატიზმი აქ ხელსაყრელ ნიადაგს კიდევ დიდხანს პოულობდა.

ირლანდიის ნაციონალური მოძრაობის გავლენით, შოტლანდიის ზოგიერთ წრეებში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო მოძრაობა შოტლანდიის თვითმმართველობისათვის, მაგრამ ამ წამოწყებამ მოსახლეობის ფართო ფენებისაგან მხარდაჭერა ვერ მოიპოვა და პარლამენტში ვერ გავიდა.

გელების (გოიდელების) სახელწოდებით ცნობილია მცირე ეთნიკური (ეთნოგრაფიული) ჯგუფი, რომელიც დასახლებულია ჩრდილოეთ შოტლანდიის მთიან რაიონებსა და გებრიდის კუნძულებზე. ეს ჯგუფი შოტლანდიის კელტური მოსახლეობის ნარჩენს წარმოადგენს. ეთნიკურად გელებს მჭიდრო კავშირი აქვთ შოტლანდიელებთან და მათგან განსხვავებით შენარჩუნებული აქვთ ძველი კელტური (გელური) ენა, რომელიც ახლოსაა ირლანდიურ ენასთან. გელური (გაელური, შოტლანდიური, ერული) ენა, რომელიც ერთ-ერთი კელტური ენაა, შოტლანდიის ჩრდილო-დასავლეთისა და გებრიდის კუნძულე-

ბის გარდა, გავრცელებულია აგრეთვე კანადის პროვინციაში – ახალი შოტლანდია. წარმოშობით ის ირლანდიური ენის დიალექტად ითვლება. პირველი ირლანდიური დასახლება შოტლანდიაში V საუკუნეში გაჩნდა. გელურმა ენამ ირლანდიური ენიდან გამოცალკევება მხოლოდ XI-XIII საუკუნეებში დაიწყო. ზოგიერთი ფონეტიკური ნიშნით გელურ ენაში სამ დიალექტურ ზონას გამოყოფენ: **აღმოსავლურს, სამხრეთ-დასავლურსა და დასავლურს**. სამხრეთ-დასავლურ დიალექტზე მოლაპარაკენი შედარებით ადვილად უგებენ ჩრდილოეთ ირლანდიურ დიალექტებზე მეტყველთ. გელური ენის ცალკეული ძეგლები XVI საუკუნის დასაწყისში შეიქმნა, მაგრამ XVIII საუკუნის შუა ხანებამდე ლიტერატურისა და ბეჭდვისთვის ძირითადად კლასიკურ ახალ ირლანდიურ ენას იყენებდნენ. დღეს გელურ ენაზე მხატვრული ლიტერატურა არსებობს. მას ასწავლიან სკოლაში, გამოდის პერიოდული გამოცემები და არის რადიოგადაცემები. გელებს ასევე შემონახული აქვთ კულტურისა და ყოფის ზოგიერთი ელემენტი.

გელები არ ემორჩილებოდნენ არც ეკლესიას და არც შოტლანდიის მეფეებს. თავიანთი ტერიტორიიდან სამხრეთით მობინადრე შოტლანდიელებს გელები მტრულად ეპყრობოდნენ და წელიწადში ორსამჯერ მათზე თავდასხმებს აწყობდნენ.

XV-XVII საუკუნეებში მტკიცედ იყო შემონახული გელების კლანური სისტემა და ის დაშლის ტენდენციას ჯერ არ ამჟღავნებდა. ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი კლანის დაშლისთანავე, ახალი კლანები იქმნებოდა, მათ შორის, ისეთი ძლევამოსილები, როგორიც იყო **კემპბელთა კლანი** (5 ათასი კაცი), და **მაკკენზთა კლანი** (2,5 ათასი კაცი).

ჰაილენდერთა (მთებში მცხოვრებთა) მეურნეობის საფუძველი მესაქონლეობა და მიწათმოქმედება იყო. კლანების ბელადები თანდათან ფეოდალებად იქცეოდნენ, მაგრამ ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობდა. ფეოდალიზმს აქ აშკარად „პატრიარქალური“ ხასიათი ჰქონდა.

XVIII-XIX სს-ში გელებში შემოინახა მიწათსარგებლობის სისტემა, რომელსაც "**run-rig**" ერქვა. მისი არსი იმაშია, რომ კლანის ბელადისაგან ან მისი ვასალებისაგან ერთი თემის წევრები ერთად იღებდნენ მიწას იჯარით და აკეთებდნენ ზოლებს, ყოველი ოჯახი ყოველ ზოლში იღებდა თავის წილ მიწას. მიწების გადანაწილება ხდებოდა პერიოდულად. ზოგჯერ მიწას თემის ყველა წევრი ერთად ხნავდა და მხოლოდ ამის შემდეგ იყოფდნენ მას. საძოვარი და მდელო საერთო სარგებლობაში იყო.

რეფორმაცია მთიან ოლქებს სუსტად შეეხო. აქ ეკლესია თითქმის საერთოდ არ იყო და მოსახლეობის რელიგია ძველი წარმართული,

კათოლიკური და პრესვიტერული სარწმუნოების ნარევს წარმოადგენდა. კრომველის დაპყრობები შოტლანდიის ჩრდილოეთს არ შეეხო. მთიანი კლანების შეიარაღებულმა გამოსვლამ 1745-1746 წლებში მარცხი განიცადა, რამაც კლანური სისტემის რღვევა გამოიწვია. კლანის ბევრი ბელადი განდევნეს ან დახვრიტეს და კლანური მიწების მართვა დროებით განსაკუთრებული სამთავრობო კომისიის ხელში გადავიდა. თანდათან კლანების ბელადები ლენდლორდებად იქცნენ და მიწიდან პატარა მოიჯარეების გაძევება ზუსტად ისევე დაიწყეს, როგორც ამას ინგლისელი ლენდლორდები აკეთებდნენ.

დევნიდნენ ძველ კელტურ კულტურას, აიკრძალა ნაციონალური კოსტიუმების ტარება, შოტლანდიური სტვირიც კი, რადგან ის „ომის იარაღად“ ჩათვალეს. ხელისუფლება ცდილობდა ძირფესვიანად აღმოეფხვრა გელური ენა. ის აიკრძალა ეკლესიებსა და სკოლებში, მაგრამ გელელთა ბავშვების სწავლება იმდენად ძნელი აღმოჩნდა, რომ 1766 წ. ინგლისურთან ერთად გელური ენის გამოყენების ნებაც დართეს. 1767 წელს გელურ ენაზე გამოვიდა სახარება, XIX საუკუნის დასაწყისში კი – ბიბლია, მაგრამ ამან (ისევე როგორც უელსში) სალიტერატურო ენის აღდგენა და გაცოცხლება ვერ განაპირობა. გელური ენა მხოლოდ სალაპარაკო ენად შემორჩა.

XIX საუკუნის დასაწყისში ბევრმა გელმა კათოლიკობაზე უარი თქვა და ისინი პრესვიტერიანელებად იქცნენ. შეიცვალა მთიელთა გარეგნული იერ-სახეც. ისინი პატარა ფარებსა და მახვილებს დაემშვიდობნენ.

XVIII საუკუნის II ნახევარში, მას შემდეგ, რაც მთელი მიწის ფართობი ცხვრის ფერმებს გადაეცა, 40 ათასი ჰაილენდერი ამერიკაში ემიგრირდა. უფრო ბევრი გლაზგოსა და სხვა სამრეწველო ქალაქებში გადასახლდა. ამან გელურის ინგლისური ენით გამოდევნის პროცესი დააჩქარა. ჯერ კიდევ 1851 წელს შოტლანდიაში 50 ათასი ადამიანი ერთენოვანი იყო. 1961 წლის მონაცემებით, გელური ენა იცოდა 77 ათასმა კაცმა, თანაც 1 ათასი გელი (გებრიდის კუნძულებზე) მხოლოდ მშობლიურ გელურ ენაზე ლაპარაკობდა.

შოტლანდიის სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებაა სარძევე-სახორცე მეცხოველეობა. ადრე საქონელს მთის საძოვრებზე მიერეკებოდნენ. გელებსა და შოტლანდიის სამხრეთში განვითარებულია მეცხვარეობა. ადგილობრივი ჯიშის ცხვარი წლის ძირითად მონაკვეთს მთის საძოვრებზე ატარებს.

შოტლანდიელებს მოჰყავთ ხორბალი, ქერი, შაქრის ჭარხალი და კარტოფილი.

შოტლანდიელთა უმეტესობა ცხოვრობს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში.

მთებში დღესაც შემორჩენილია ტრადიციული შოტლანდიური ავეჯის ნიმუშები, რომელსაც ადგილობრივი ოსტატები ამზადებდნენ.

შოტლანდიელების ნაციონალურიკერძია **პორიჯი** – შვრიის თხელი ფაფა, რომელიც ინგლისელებშიც გახდა პოპულარული.

ძველად სასმელებიდან ყველაზე მეტად გავრცელებული იყო რძე, მაგრამ XIX საუკუნეში ის ჩაიმ გამოაძევა. ნაციონალურ სპირტიან სასმელად ითვლება ვისკი. "**whisky**"-ს სახელწოდება მომდინარეობს გელური სიტყვიდან "**Uisgebeather**", რაც „სიცოცხლის წყალს“ ნიშნავს.

ყველა შოტლანდიელი ქალი გრძელ ქვედატანს ატარებდა. მთიან შოტლანდიაში გოგონები თავსაბურავის გარეშე დადიოდნენ. ქუდს პირველად გათხოვების შემდეგ იხურავდნენ, რასაც თან ახლდა გარკვეული წეს-ჩვეულების შესრულება.

შოტლანდიელი და ირლანდიელი მამაკაცების ტრადიციულ კაბას ჯერ კიდევ XIV-XV სს-ში ბევრი საერთო ჰქონდა ერთმანეთთან. როგორც ერთნი, ისე მეორენი ზაფრანისფერ სელის პერანგს ატარებდნენ, რომელიც მუხლამდე აღწევდა. ასეთი პერანგი 27 მეტრზე მეტ სელის ქსოვილს ითხოვდა. შუა საუკუნეებიდან დღემდე **შოტლანდიური კოსტიუმისათვის ყველაზე ნიშანდობლივია კუბოკრული ქვედატანი.**

ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, შოტლანდიაში შემორჩა გვაროვნულობის გადმონაშთები. დღესაც კი ერთი სოფლის მცხოვრებთ აქვთ ერთი და იგივე გვარი და ბევრი შოტლანდიური გვარი იწყება სიტყვით "**Mac**" (შვილი): **Mac Donald**, რაც ნიშნავს დონალდის კლანის (გვარის) შვილს, **Macintosh** – ბელადის, წინამძღოლის (toschach) შვილი, **MacPherson** – მღვდლის (parson) შვილი. მაგრამ, როდესაც ქალს ახსენებდნენ, “**Mac**”-ს “**Nic**” ცვლიდა. “**MacLevid**” თუ ლევიდის კლანის შვილს ნიშნავს, **NicLevid** – ლევიდის კლანის ქალიშვილს. შოტლანდიელებში ბევრი ტოპონიმიზებული მემკვიდრეობითი სახელიც გვხვდება, რაც შოტლანდიურ საზოგადოებაში გვარსახელების ჩამოყალიბების დროს მტკიცე ფეოდალური ნიშნების არსებობის შესახებ მიუთითებს. შოტლანდიური კლანური მემკვიდრეობითი სახელი ყოველთვის არ მიგვანიშნებს მათ სისხლისმიერ ნათესაობაზე, რადგან აქ მტკიცე იყო შვილად აყვანის წეს-ჩვეულება – ამოწყვეტილი კლანების გადარჩენილი წარმომადგენლები ხშირად იღებდნენ სხვა კლანების მემკვიდრეობით სახელს.

ჩვეულებრივ მიცვალებულებს საოჯახო სასაფლაოზე კრძალავენ, იმ შემთხვევაშიც, თუ ის ძალიან შორს გარდაიცვალა.

1690 წლიდან შოტლანდიას აქვს საკუთარი პრესვიტერიანული ნაციონალური ეკლესია. მას მილიონ-ნახევარი მორწმუნე ჰყავს. მეორე ადგილზეა კათოლიკური ეკლესია (500 ათასი კაცი). სხვა ეკლესიები 500 ათას მორწმუნეს ითვლის.

სოფლის მოსახლეობაში, განსაკუთრებით გელებში, დიდი ხნის განმავლობაში შემორჩა ძველი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები: წმინდა ჭების, წყაროებისა და ქვების თაყვანისცემა და მათთვის მონეტებისა და ნაჭრების შეწირვა. აქვთ რწმენა ჯადოქრების, მთის სულების შესახებ. ამ რწმენათა გამოძახილი ჩანს შოტლანდიურ ზღაპრებში, ლეგენდებსა და ბალადებში. თავისი ხალხის ფოლკლორულ საწყისებთან აქვს კავშირი დიდი შოტლანდიელი პოეტის **რ. ბერნსის** (1759-1796) შემოქმედებას.

2.32. ირლანდიელები

ირლანდიელების თვითსახელწოდებაა **ერინახ, აირიშ** (ინგლისურად). ირლანდიაში ირლანდიელთა რაოდენობა 3,6 მილიონია; ცხოვრობენ აგრეთვე დიდ ბრიტანეთში (2,5 მილიონი კაცი), აშშ-ში (1,6 მილიონი), კანადაში (200 ათასი კაცი), ავსტრალიაში (72 ათასი). მათი საერთო რაოდენობა 7,8 მილიონია. ირლანდიელები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიურ რასას. ლაპარაკობენ ინგლისურ ენაზე. **ირლანდიური (გელური) ენა ძირითადად გავრცელებულია ირლანდიის დასავლეთსა და სამხრეთში**. ირლანდიური ენა კელტური ჯგუფის ენაა. ის ირლანდიაში, ინგლისურთან ერთად ოფიციალურ სახელმწიფო ენად ითვლება. ირლანდიურ ენაზე ლაპარაკობენ ჩრდილოეთ ირლანდიაშიც. სულ ირლანდიურ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობას დაახლოებით 600 ათასი კაცით განსაზღვრავენ. ირლანდიელთა უდიდესი ნაწილი ინგლისური ენით სარგებლობს. **გამოყოფენ სამ დიალექტს: მუნსტერულს, კონახტურსა და ულსტერულს,** რომლებიც, თავის მხრივ, მრავალრიცხოვან ქვედიალექტებად და კილოკავებად იყოფა. დიალექტებს შორის განსხვავება ზოგჯერ იმდენად დიდია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთგაგებინება ჭირს. ირლანდიური ენის ისტორიაში გამოიყოფა რამდენიმე პერიოდი. მასში არის ლათინურ ნასესხობთა რამდენიმე ფენა, რომელიც ბრიტების გზით გავრცელდა. გვხვდება ნასესხობანი თვით ბრიტული ენებიდან. XII საუკუნიდან XV საუკუნემდე ირლანდიურ ენაში ბევრი ფრანგული სიტყვა შეიჭრა (ანგლო-ნორმანდიული). ირლანდიურ ენაზე ინგლისური ენის გავლენა დღესაც გრძელდება. XVIII-XIX საუკუნეების ყველა ძეგლი ამა თუ იმ დიალექტის ამსახველია. ერთიანი ახალი სალიტერატურო ენის ნორმები XX საუკუნის

დასაწყისში გამომუშავდა. ირლანდიური ენის დამწერლობა ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში შეიქმნა. ოგამის წარწერას IV-VII საუკუნეებს მიაკუთვნებენ. ლათინური დამწერლობა V-VI საუკუნეების მიჯნაზე შემოიღეს. ხელნაწერი ლიტერატურული ძეგლები XI-XII საუკუნეებიდან არის ცნობილი. ირლანდიურ ენაზე არსებობს მდიდარი ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურა. მას ასწავლიან სკოლებშიც.

მკვლევართა ვარაუდით, ირლანდიის ძველი მოსახლეობა იბერიული ტომების მონათესავე იყო, რომლებიც განსახლებულნი იყვნენ პირენეის ნახევარკუნძულზე. ძვ.წ. IV საუკუნეებში ირლანდიაში ევროპიდან გადმოსახლდნენ კელტური ტომები, რომლებიც გელების საერთო სახელწოდებით იყვნენ ცნობილი. ეს ტერმინი (ირლანდიელი გელები) ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის აღსანიშნავად დღემდე შემორჩა. კუნძულის ადგილობრივი მოსახლეობა კელტებმა ნაწილობრივ შეავიწროვეს და ნაწილობრივ შეერივნენ მათ, რაც ირლანდიელი ხალხის ჩამოყალიბების ეთნიკური საფუძველი გახდა. ირლანდიაში კელტებმა თან მოიტანეს საკმაოდ განვითარებული კულტურა და გვაროვნული ორგანიზაცია. თავისებურმა გეოგრაფიულმა და ისტორიულმა პირობებმა ძველ ირლანდიელთა ყოფის კონსერვაცია განაპირობეს. არცთუ ისე დიდი ხნის წინ ქვეყნის შიდა რაიონებში (პროვინცია კონიუტი, დასავლეთში) შემორჩენილი იყო მატერიალური და სულიერი კულტურის არქაული ელემენტები, რომლებიც ძველი კელტების კულტურიდან მომდინარეობდა.

ადრე შუა საუკუნეებში ირლანდიის კუნძულებზე რამდენიმე ფეოდალური სახელმწიფო ჩამოყალიბდა. V საუკუნიდან ირლანდიაში გავრცელდა ქრისტიანობა. ირლანდიის ისტორიაში XII საუკუნე საბედისწერო საუკუნედ ითვლება. 1169 წელს ირლანდიის ტერიტორიაზე პირველად შემოიჭრნენ ანგლოსაქსები. ამ დროიდან დაიწყო ირლანდიის დაპყრობა.

დამპყრობლები თავდაპირველად მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე გამაგრდნენ. მათ ირლანდიელთა ძლიერი გავლენა განიცადეს. კლანების ბელადებთან კარგი ურთიერთობის დასამყარებლად, ინგლისელმა ლორდებმა დაქორწინების გზით მათთან დანათესავება დაიწყეს. დამპყრობლების გელიზაცია ისე სწრაფად მიმდინარეობდა, რომ 1367 წელს პარლამენტმა გამოსცა ე.წ. **კილკენიის სტატუტი**, რომლითაც ირლანდიელებთან შერეული ქორწინება აიკრძალა და, საერთოდ, ყოველგვარი პირადი ურთიერთობა ისჯებოდა, როგორც სახელმწიფო ღალატი. ინგლისელებს აეკრძალათ ირლანდიური სახელების დარქმევა, აგრეთვე ტანსაცმლის, ენისა და წესების გამოყენება, რაც ქონების კონფისკა-

ციას ითვალისწინებდა. ამის შემდეგ დამპყრობლებსა და ირლანდიელებს შორის ურთიერთობა შეიცვალა.

ირლანდიელთა შევიწროვება განსაკუთრებით XVI-XVII საუკუნეებში გაძლიერდა, როდესაც რელიგიურმა რეფორმაციამ აქ რელიგიურ-ნაციონალური აჯანყებები გამოიწვია. 1649 წელს კრომველმა სასტიკად ჩაახშო ირლანდიელთა აჯანყება. ირლანდიელების რაოდენობა 1646 წელს 1,5 მილიონიდან 1652 წლისათვის 850 ათასამდე შემცირდა. XVII საუკუნის ბოლოს ირლანდიის დაპყრობა დასრულდა და ქვეყანა არსებითად ინგლისის კოლონიად იქცა, მაგრამ ირლანდიელები დამპყრობლებს არ ემორჩილებოდნენ და რამდენჯერმე აუჯანყდნენ. XVII საუკუნეში, ანტიინგლისური აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ირლანდიის ინტენსიური კოლონიზაცია მიმდინარეობდა. ამ დროს არაერთი ირლანდიური კლანი მთის უნაყოფო ადგილებში გადასახლდა.

XIX საუკუნისის შუა ხანებში ერთმა მილიონმა ირლანდიელმა სამშობლო დატოვა. **ინგლისელები დევნიდნენ გელურ ენასა და კულტურას, კრძალავდნენ ირლანდიურ სიმღერებს, ტრადიციული ტანსაცმლის ტარებას.** პირველი მსოფლიო ომის დროს ირლანდიელთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ახალი მასშტაბები მიიღო. მთელი ირლანდიის დაკარგვის შიშით ინგლისელმა ხელისუფლებმა მას იძულებით დომინიონის სტატუსი მიანიჭეს. შემდეგ კი – 1948 წელს ირლანდიის სრული დამოუკიდებლობა ცნეს, თუმცა წინასწარ ჩრდილოეთ ირლანდია მოსწყვიტეს.

XIX საუკუნემდე ირლანდია სამიწათმოქმედო ქვეყანა იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ინგლისის ზეწოლით, რომელსაც მეცხოველეობის პროდუქტები ესაჭიროებოდა, მოხდა აგრარული გადატრიალება და ირლანდიაში მეცხოველეობამ წამყვანი პოზიციები დაიკავა. სახნავების საძოვრებად გადაქცევამ მიწიდან გლეხების მასობრივი გამოდევნა გამოიწვია. ამის გამო, გლეხობის დიდი ნაწილი იძულებული იყო საზღვარგარეთ ემიგრირებულიყო.

ირლანდიის მთავარი სამიწათმოქმედო კულტურაა კარტოფილი, რომლის მოსავლის აღებაში თითქმის მთელი მოსახლეობა მონაწილეობს. დასავლეთის მთიან რაიონებში განვითარებულია მეცხვარეობა. ირლანდიელთა ტრადიციული საქმიანობა მეთევზეობაც იყო.

სოფელ ადგილებში საწვავის ერთადერთი სახე იყო ტორფი.

ძველ ირლანდიაში, ისევე როგორც შოტლანდიაში, საფუარიანი პურის გამოცხობა არ იცოდნენ; შვრიისა და ქერისაგან თხელ პურს აცხობდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნეში ირლანდიელთა ძირითადი საკვები პროდუქტი კარტოფილი იყო. კარტოფილის მოუსავლიანობა

შიმშილს იწვევდა. განსაკუთრებით საშინელი იყო 1845-1847 წლების შიმშილობა, რამაც მასობრივი სიკვდილიანობა გამოიწვია. შიმშილობამ ბიძგი მისცა მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობის ინგლისსა და ოკეანის გაღმა გადასახლებას. ამის შემდეგ ირლანდიელთათვის მიგრაცია თანმდევ მოვლენად იქცა. საკვებში ტრადიციულად დიდი ადგილი უკავია კარტოფილს, რძის პროდუქტებს, შვრიის ფაფას, თევზს. ირლანდიელები რძეს დიდი რაოდენობით მიირთმევენ. რძის მოხმარებით ისინი მსოფლიოში პირველ ადგილზე დგანან. ირლანდიელთა საყვარელი სასმელია ტკბილი და ძალიან მაგარი ჩაი.

ირლანდიელებისათვის დამახასიათებელია გვიანდელი ქორწინება. მამაკაცების 62% 30-35 წლის ასაკში ჯერ კიდევ დასაოჯახებელია. ქალების 42% ამავე ასაკში მარტოხელაა. ევროპის უმეტესი ქვეყნებისათვის გვიანდელი ქორწინება ქალაქების მკვიდრთათვისაა დამახასიათებელი, ირლანდიაში კი პირიქითაა – სოფლის მცხოვრებნი ქალაქის მკვიდრებზე გვიან ქორწინდებიან. ეს მოვლენა ეკონომიკური მიზეზებითაა გამოწვეული. მიუხედავად ამისა, ირლანდიელებში მოსახლეობის მატება ნორმალურია, რადგან მათი ოჯახები, ჩვეულებრივ, მრავალშვილიანია.

სოფლებში ჯერ კიდევ შემორჩენილია პატრიარქალური ურთიერთობანი. ყველა უცოლო მამაკაცს, მისი ასაკის მიუხედავად, უწოდებენ "boy" - ბიჭი და გასათხოვარ ქალს – "girl" – გოგონა. ხშირად ასეთი „ბიჭი“ 50 წელზე მეტისაა და ქალაქში გასამგზავრებელი ფული მამას უნდა სთხოვოს.

ბევრი საქორწინო წეს-ჩვეულება ახლაცაა შენარჩუნებული, ოღონდ შეცვლილი სახით. ადრე ქორწინებას წინ მაჭანკლობა (გარიგება) უსწრებდა. ბრიტანეთის ყველა კელტებში ქორწილის დღეს ნეფე-დედოფლის ნათესავები ასპარეზობდნენ – პატარძლის სახლს რომელი მხარე მიაღწევდა პირველი. XIX საუკუნიდან ემიგრაციაში წამსვლელთა გაცილების წეს-ჩვეულება დამკვიდრდა.

XIX საუკუნეში ირლანდიაში ჯერ კიდევ არსებობდა გვაროვნული წყობილების გადმონაშთები. მხედველობაში გვაქვს ძველი კელტების კლანური სისტემა. აქ არსებობდა მიწაზე კოლექტიური გვაროვნული საკუთრება, გვარის უხუცესის, ანუ ბელადის ხელისუფლება, შვილად აყვანის წეს-ჩვეულება და სხვ. კლანური სისტემის გადმონაშთები გვარების სახელწოდებებშია შემონახული. გვარსახელების მნიშვნელოვანი რაოდენობა თავსართით – "**Mac**" – იწყება, ისე როგორც შოტლანდიაში. მაგრამ ირლანდიაში იწერება "**Mc**" ან "**O**", მაგალითად „ო'ბრაიენ“, რაც ადრე ნიშნავდა „ბრაინის კლანის შვილი'შვილს“. ირლანდიელებში გვარსახელები X-XI საუკუნეებში წარმოიქმნა. პატრონიმიული ხასიათის გვარ-სახელების გარდა, ირ-

ლანდიაში ბევრია ისეთი მემკვიდრეობითი სახელი, რომლებსაც საფუძვლად ტოპონიმები აქვს. ირლანდიაში ყველაზე გავრცელებული საკუთარი სახელებია წმინდანთა და ბიბლიის პერსონაჟთა სახელები, რადგან კათოლიკური ეკლესია აქ განუსაზღვრელი გავლენით სარგებლობს და ბავშვებისთვის სახელის დარქმევა მისი პრეროგატივაა. განსაკუთრებით პოპულარულია ისეთი სახელები, როგორებიცაა: **John, Patrick, Michael, James, Thomas**, ქალთა სახელებიდან – **Mapy**. ინგლისის პოლიტიკის შედეგად ძველი კელტური სახელები XVII საუკუნეში თითქმის გაქრა.

XVII-XVIII საუკუნეებში ირლანდიაში ყველგან არსებობდა სასოფლო თემი, რომლის გადმონაშთები XIX საუკუნემდე შემორჩა. დროდადრო ხდებოდა მიწების გადანაწილება; ჭაობი და საძოვარი კი საერთო სარგებლობაში იყო.

ირლანდიელთა უმრავლესობა კათოლიციზმის მიმდევარია (76% მთელ კუნძულზე და 94% – ირლანდიის რესპუბლიკაში). ბევრი პროტესტანტი ცხოვრობს ოლსტერში. ისინი ძირითადად შოტლანდიის პრესვეტერიანულ და ანგლიკანურ ეკლესიებს მიეკუთვნებიან. 1847 წელს, შიმშილობის დროს, ინგლისელებმა ისარგებლეს ირლანდიელების უბედურებით და ბევრი მათგანი მცირედი დახმარების სანაცვლოდ პროტესტანტად მოაქციეს. დიდი ხნის განმავლობაში მეზობელი კათოლიკეები ასეთ პროტესტანტებს ზიზღით "საწვნეებს" უწოდებდნენ. რელიგიური განხეთქილება განსაკუთრებით ძლიერი იყო ოლსტერში. სწორედ ამ განხეთქილებით ისარგებლა ინგლისმა ირლანდიის გაყოფისას. საერთოდ ირლანდიელებში კათოლიკურ ეკლესიას დიდი გავლენა აქვს, რაც იმით აიხსნება, რომ საუკუნეების განმავლობაში ირლანდიელები მასში პროტესტანტი ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეს ხედავდნენ.

ირლანდილებმა საერთოდ არ იცოდნენ გუნდური სიმღერები, რომლებიც ასე გავრცელებული იყო უელსელებში. საკრავებიდან ძალიან პოპულარული იყო არფა. ის ირლანდიელების ნაციონალური ემბლემაცაა. ხალხური ცეკვებიდან უფრო გავრცელებულია ძალიან სწრაფი და რიტმული „რილ“ და „ჟიგა“ (ამ ცეკვებს შოტლანდიელებიც ცეკვავენ). მისი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ მოცეკვავეს ტანის ზედა ნაწილი ყოველთვის უძრავ მდგომარეობაში აქვს. დღეისათვის მესტვირეთა ორკესტრის მუსიკოსები სტილიზებულ ხალხურ კოსტიუმებს იცვამენ. სადღესასწაულო ტანსაცმელში მწვანე ფერი ჭარბობს, რომელიც ნაციონალურ ფერად ითვლება.

ინგლისელთა ხანგრძლივმა ბატონობამ ირლანდიური ენის თითქმის სრული დავიწყება გამოიწვია. დღეისათვის ირლანდიურ ენაზე ლაპარაკობენ მხოლოდ დასავლეთის და სამხრეთის ზოგიერთ ადგი-

ლას, აგრეთვე ოლსტერის ჩრდილო-დასავლეთით. იმ ოლქებს, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება გაიგო კელტური მეტყველება, უწოდებენ "Gaeltacht". 1936 წელს ირლანდიურად მეტყველებდა 667 ათასი კაცი, თანაც თითოეული მათგანი ორენოვანი იყო. 1946 წელს ირლანდიურ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი 589 ათას კაცამდე შემცირდა.

დღეისათვის ირლანდიური ენა სკოლებში ისწავლება. ის სავალდებულო საგანია და უნდა იცოდეს ყველა სახელმწიფო მოხელემ, მასწავლებელმა. სახელმწიფო დოკუმენტები ორ ენაზე – ინგლისურსა და ირლანდიურზე გამოიცემა. ირლანდიურ ენაზე წერდა პოეტი **პატრიკ ო'კონორი**. ირლანდიელი იყო მოდერნისტული პოეზიის წარმომადგენელი **ჯეიმს ჯოისი** (1882-1941). წარმოშობით ირლანდიელი იყო ცნობილი ამერიკელი მწერალი **თომას მაინ რიდი** (1818-1883).

2.33. ოლსტერელები

ოლსტერელები ჩრდილოეთ ირლანდიის (ოლსტერის) პროტესტანტი ინგლისურენოვანი ანგლო-ირლანდიელებისა და შოტლანდო-ირლანდიელების პირობითი სახელწოდებაა. მათი რაოდენობა 1 მილ. 200 ათასი კაცია. ისინი ძირითადად XVII ს-ში ინგლისიდან და შოტლანდიიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან. ირლანდიის სხვა ოლქებისაგან განსხვავებით, ოლსტერში ბრიტანელთა მიერ მისი დაპყრობის შემდეგ, მიწას არა მსხვილ ლენდლორდებს აძლევდნენ, არამედ წვრილ ფერმერებს, რამაც რიცხობრივად ჭარბი პროტესტანტული (ძირითადად ანგლიკანური და პრესვიტერიანული) მოსახლეობის ჩამოყალიბება გამოიწვია. ისინი ქალაქის მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ. კოლონიზაციის დაწყებიდან ოლსტერელებისა და კათოლიკე ირლანდიელების ურთიერთობა მტრული იყო და ის მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობით შემოიფარგლებოდა. შერეული ქორწინება იშვიათი იყო და ამ ორი ჯგუფის განვითარება დამოუკიდებლად ხდებოდა. ოლსტერელები ინგლისის სამეფო ტახტზე კათოლიკე იაკობ II-ის წინააღმდეგ აქტიურად უჭერდნენ მხარს ვილჰელმ ორანელის სამხედრო ქმედებებს. 1690 წლის 12 ივნისს – იაკობ II-ის განადგურების დღეს ჩრდილოეთ ირლანდიაში, როგორც დღესასწაულს ისე აღნიშნავენ. აღნიშნული ორი ეთნიკური ჯგუფის დაპირისპირება ჩრდილოეთ ირლანდიაში დღესაც გრძელდება. დაპირისპირება დღეს ეთნორელიგიურ ხასიათს ატარებს. **ირლანდიელები დიდი ბრიტანეთისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. ოლსტერელები კი ამ კავშირის მომხრენი არიან.** 1921 წლის ინგლისისა და ირლანდიის ხელშეკრულებით ჩრდილოეთ ირლანდიამ განსაკუთრებული სტატუსი მიიღო დიდი ბრიტანეთის შემადგენლო-

ბაში. აქ მცხოვრები ირლანდიელები კი დისკრიმინაციული უმცირესობის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

მატერიალური კულტურის სფეროში ოლსტერელები ახლოს არიან ინგლისელებსა და შოტლანდიელებთან. ირლანდიელებსა და ოლსტერელებს შორის სულიერ კულტურაში განსხვავება კი ძირითადად რელიგიითაა გაპირობებული, რომელიც აქ მნიშვნელოვანი ეთნიკური ნიშანია.

2.34. უელსელები (ვალიელები)

უელსელები (ვალიელები) დიდ ბრიტანეთში უელსის ნახევარკუნძულის მკვიდრი მოსახლეობაა. მათი რაოდენობა 800 ათასია. უელსელები (ვალიელები) ცხოვრობენ აგრეთვე აშშ-ში (50 ათასი კაცი), კანადაში (30 ათასი კაცი), სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. საერთო რაოდენობა 1 მილიონი კაცია. მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიურ რასას. **უელსელების (ვალიელების) ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახის კელტური ჯგუფის ბრიტულ ქვეჯგუფს ეკუთვნის.** დამწერლობა შექმნილი აქვთ ლათინური გრაფიკის საფუძველზე. უელსელების უმეტესობა (510 ათასი) ლაპარაკობს ინგლისურ ენაზე. უელსურ ენაზე დაახლ. 10 ათასი კაცი ლაპარაკობს არგენტინაში. გამოყოფენ ორ დიალექტურ ზონას: ჩრდილოურსა და სამხრულს. თანამედროვე სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა XVI საუკუნის დასასრულს. მას შემდეგ მან მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილება განიცადა. რელიგიით ისინი ძირითადად ანგლიკანური ეკლესიის მიმდევრები არიან.

ჩვენი ერის დასაწყისში უელსი ძირითადად კელტური ტომებით – **კიმრებით (კამბრიელებით)** იყო დასახლებული. რომაელების კულტურული გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე, თუ არ ჩავთვლით ქრისტიანობის გავრცელებას, უმნიშვნელო იყო. უელსის მოსახლეობისათვის უფრო სერიოზული აღმოჩნდა ანგლოსაქსური დაპყრობები. უკვე VII საუკუნისათვის კიმრები აქ გადმოსახლებულ ბრიტებთან ერთად სხვა კელტურენოვან რაიონებს მიაწყდნენ, მაგრამ დაპყრობილნი არ აღმოჩნდნენ. ანგლოსაქსების წინააღმდეგ ბრძოლისას საფუძველი ჩაეყარა უელსელ ხალხს.

ნორმანდიელთა მიერ უელსის პოლიტიკურმა დაქუცმაცებულობამ მისი დაპყრობა გააადვილა. ნორმანდიელებმა თავდაპირველად დაიპყრეს სამხრეთ უელსის ერთი რაიონი – პემბრიკი. XIII საუკუნეში ის თითქმის გაწმენდილი იქნა კელტური მოსახლეობისაგან და დასახლებულ იქნა ნორმან-ფრანგებით და მათ მიერ მოწვეული ფლამანდიელებით. ნორმანებმა შეძლეს დაბლობების დაპყრობა, შედარებით

მაღლობი ადგილები კი კელტური გვარების მფლობელობაში დარჩა. ნორმანებმა აქ დააარსეს დასაყრდენი პუნქტები – ციხესიმაგრეები, რომელთა ირგვლივ გვიან მიწათმოქმედ ანგლოსაქსთა სოფლები წარმოიქმნა.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში უელსი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოგვევლინა. ეს პერიოდი იყო უელსური პოეზიის, საერთოდ, ლიტერატურის აყვავების დრო. ამ პერიოდში იყო ცდებიც, რომ უელსის ეკლესია კენტერბერიელი არქიეპისკოპოსის დაქვემდებარებიდან გამოსულიყო.

1277-1282 წლებში ინგლისის მეფემ, ედუარდ V-ემ მთელი უელსი დაიპყრო, რამაც უელსელთა კულტურულ თავისთავადობას წყალი შეუყენა. ამ დროიდან ინგლისურმა ენამ გზა გაიკაფა უელსის საზოგადოების ყველა ფენისკენ. ამან პირუკუ პროცესიც გამოიწვია – უელსელთა ნაციონალური გრძნობა კვლავ გამოცოცხლდა. დაიწყო უელსური ლიტერატურის ახალი აღმავლობა, რომლის შესანიშნავი წარმომადგენელი იყო **დავით გველიმი** (1325-1380). ჰენრიხ VIII ცდილობდა უელსელთა ნაციონალური სეპარატიზმის აღმოფხვრას – ყველა საგრაფოში ინგლისური ოფიციალურ ენად გამოცხადდა.

უელსში რეფორმაციამ შედარებით წყნარად ჩაიარა, თუმცა ბევრმა უელსელმა კათოლიკობა შეინარჩუნა. უელსური მხოლოდ სასაუბრო ენად შემორჩა. ელისაბედის მეფობის დროს, 1563 წელს, პარლამენტმა მიიღო დადგენილება უელსურ ენაზე ბიბლიის თარგმნის შესახებ. უელსურ ენაზე ბიბლიის თარგმნამ უელსური ენის გადარჩენასა და შენარჩუნებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ის გაიწმინდა ბევრი ვულგარიზმისა და ინგლისური ენის ნასესხობებისაგან. XVIII საუკუნის ბოლოს უელსში შეიქმნა რამდენიმე საზოგადოება, რომლებმაც სკოლები დააარსეს. ამ სკოლებში ბავშვებს განათლებას მშობლიურ ენაზე აძლევდნენ.

XVIII-XIX საუკუნეებში უელსური კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებამ ინგლისური ენის გავრცელება ვერ შეაჩერა, რომლის ცოდნა აუცილებელი იყო უელსის საზოგადოების ყველა ფენისათვის. ესმოდათ რა ამ პროცესის შეუქცევადობა, უელსელი ნაციონალისტები მიისწრაფოდნენ შეენარჩუნებინათ თუნდაც ორენოვნება, უმთავრესად სკოლებში უელსური ენის დანერგვის გზით, მაგრამ სუფთა უელსური სკოლები ცოტა იყო, შერეულ სკოლებში კი ისე იყო გაბატონებული ინგლისური, რომ უელსელმა ახალგაზრდობამ უფრო კარგად იცოდა ინგლისური, ვიდრე უელსური. ინგლისური ენის შეღწევა განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა სამხრეთ უელსში. ჩრდილოეთსა და მთიან რაიონებში უელსური ენის პოზიციები საკმაოდ დიდხანს მყარი იყო. 1891 წ. უელსური ენის

მცოდნეთა საერთო რიცხვი 910 ათასიდან 656 ათასამდე შემცირდა. 1961 წელს უელსის მოსახლეობის 25% იცოდა უელსური ენა. ესაა ძირითადად დასავლეთი და ცენტრალური რაიონები. ქალაქელებს შორის უელსური ენის მცოდნე ძალიან ცოტაა: 1931 წელს – 4%, 1951 წელს – 1,7%. უელსელები ცხოვრობენ ინგლისის სხვადასხვა რაიონშიც. 1951 წლის მონაცემებით, ინგლისის პროვინციებში 600 ათასი უელსელი მკვიდრობდა.

უელსის სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მეცხოველეობა: სახორცე – ჩრდილოეთში, სარძევე – სამხრეთსა და ცენტრში. მეცხვარეობა აქ უფრო ნაკლებადაა განვითარებული, ვიდრე შოტლანდიაში, თუმცა ჩრდილოეთ უელსის მთებში მხოლოდ ცხვრის მოშენებას მისდევენ.

უელსელების ტრადიციული სახლი ე.წ. გრძელი სახლია. ესაა ერთსართულიანი გრძელი ნაგებობა, რომელშიც ერთი სახურავის ქვეშ მოქცეულია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, მაგრამ ახლა სამეურნეო ნაგებობანი უკვე ცალკე, სახლისაგან მოშორებით დგას.

შოტლანდიისა და ირლანდიისაგან განსხვავებით, უელსში კლანის სახელწოდებებს გვარსახელებად არ იფორმებდნენ. ისინი XVI ს-დან გვარად იღებდნენ წინაპრის სახელს, რომელიც ხშირად ოთხი-ხუთი თაობის წინ ცხოვრობდა. უელსელების ანთროპონიმიული მოდელი მაშინ ასეთი იყო: "**David ap Richard ap Gwilliam**" ("ap", "ab" იყო "mab"-ის შემოკლებული ფორმა, რაც შვილს ნიშნავს). ქალიშვილებიც ასევე მამის სახელით იწოდებოდნენ, ოღონდ სიტყვას "ap" ამ შემთხვევაში ცვლიდნენ სიტყვით "**ver**" ("**verch**" – ქალიშვილი). ეს სისტემა XIX საუკუნეში გაქრა. დღეს უელსელთა გვარების უმეტესობა მამის სახელიდან მომდინარეობს.

უელსელთა უმეტესობა ანგლიკანურ ეკლესიას მიეკუთვნება, მაგრამ XIX საუკუნისათვის უელსის მოსახლეობის 80% ნონკონფორმისტთა სექტის მიმდევარი იყო. ანგლიკანობის ერთგული დარჩა უპირატესად სამიწათმოქმედო არისტოკრატია.

უელსში ბევრია სექტა და მათ შორის ქორწინებაც საკმაოდ ხშირია. ასეთი ქორწინების შემთხვევაში ცოლი გადადის ქმრის სექტაში. ეს ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება, როგორც ცოლის მიერ ქმრის გვარის მიღება.

1920 წლიდან უელსის ანგლიკანური ეკლესია ფაქტობრივად დიდი ბრიტანეთის ანგლიკანური ეკლესიის დაქვემდებარებიდან გამოვიდა – ის უფრო ნაციონალური გახდა. ამის შემდეგ უელსელთა შორის ამ ეკლესიის მიმდევრები გამრავლდნენ. უკანასკნელ წლებში გაიზარდა კათოლიციზმის გავლენაც. კათოლიკე მღვდლებმა შეძლეს უელსელთა ნაციონალურ გრძნობებზე ეთამაშათ.

2.35. ბრეტონელები

ბრეტონელები საფრანგეთში მცხოვრები კელტური მოდგმის ხალხია. ცხოვრობენ ბრეტანის დასავლეთ ნაწილსა და საფრანგეთის სხვა პროვინციებში. ბრეტონელები მილიონზე მეტნი არიან. ანთროპოლოგიურად მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიურ რასას. ბრეტონელები მომდინარეობენ კელტური ტომიდან – ბრიტებიდან, რომლებიც ახ.წ. V-VII სს-ში ბრიტანეთის კუნძულიდან პიმოროკის ნახევარკუნძულზე გადმოსახლდნენ. ბრიტებმა ნახევარკუნძულს თავისი სახელი უწოდეს. კონტინენტზე გადმოსახლებისას ბრეტონელები უკვე ქრისტიანები იყვნენ. კარლოს დიდის დროს ბრეტანი მის იმპერიაში შედიოდა. მაშინ ბრეტანის მმართველი იყო გრაფი როლანდი – ცნობილი ეპოსის, „სიმღერა როლანდზე“ გმირი. შემდეგ ბრეტონი დამოუკიდებელ საჰერცოგოდ იქცა. ბრეტონელები დამოუკიდებლობისათვის ხანგრძლივად იბრძოდნენ ანგლოსაქსების, ფრანკების, ნორმანების წინააღმდეგ.

ბრეტონული ენა ჩამოყალიბდა ბრიტებისა (გალურთან ახლოს მდგომი ენა) და გალო-რომანული ენების ურთიერთობის საფუძველზე. ბრეტონელებში ფრანგული ენის გავრცელებამ ბევრი მათგანის ბუნებრივი ასიმილაცია გამოიწვია. XIII საუკუნიდან ბრეტონის ჰერცოგები საფრანგეთის მეფის უშუალო ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. **1491 წელს ბრეტონი საფრანგეთს შეუერთდა და მისი პროვინცია გახდა,** თუმცა ამავე დროს ბევრი პრივილეგია შეინარჩუნა. ბრეტონის საფრანგეთთან შეერთება დინასტიური გზით მოხდა, როდესაც კარლოს VIII-ემ ანა ბრეტონელზე იქორწინა.

1532 წლის ხელშეკრულება, რომლითაც ბრეტანი საფრანგეთს შეუერთდა, მის ავტონომიას ითვალისწინებდა, მაგრამ ცენტრი მუდმივი ზეწოლას ახორციელებდა. სამეფო ხელისუფლების ზეწოლა, თავის მხრივ, ბრეტონელთა წინააღმდეგობას აღვივებდა.

დღეს სამი მილიონი ბრეტონელიდან ბრეტონულ ენაზე მხოლოდ ერთი მილიონი კაცი ლაპარაკობს. ბრეტონულ ენაში გამოყოფენ ოთხ დიალექტს. სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ლეონური დიალექტი. XI-XVII საუკუნეებში ბრეტონული ენა ფრანგული ენის მუდმივ გავლენას განიცდიდა და მისი გავრცელების არეალი თანდათან მცირდებოდა. XIX საუკუნეში ბრეტონული ენის რეფორმაციისა და კოდიფიკაციის ცდებს ჰქონდა ადგილი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ფრანგული ნასესხობების აღმოფხვრას ითვალისწინებდა. ბრეტონულ ენაზე რამდენიმე პერიოდული გამოცემა არსებობს. აღმოსავლეთ ბრეტანში გავრცელებულია ფრანგული ენის დიალექტი – გალო. საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური

თვალსაზრისით ბრეტონული ენის როლი ყოფაში მინიმუმამდეა დაყვანილი.

XIX საუკუნიდან და განსაკუთრებით კი XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ბრეტონელებში ფართო მოძრაობა დაიწყო ნაციონალური აღორძინებისათვის, მათი კულტურისა და ენის განვითარებისათვის. ბრეტანი საფრანგეთის კონსერვატიულ მხარეთ ითვლება. ამავე დროს, ბრეტონელები უფრო ეკლესიურები არიან, ვიდრე ქვეყნის სხვა მხარეთა მკვიდრნი. ბრეტონელთა ცხოვრებაში რელიგიას ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა. მართალია, ისინი კათოლიკეები არიან, მაგრამ მათ შემოინახეს ქრისტიანობამდელი ბევრი რწმენა-წარმოდგენა. ქვების, წმინდა წყაროებისა და ცეცხლის კულტისადმი თაყვანისცემა კათოლიკურ სარწმუნოებასთანაა შერწყმული.

ბრეტონელებში სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგია სარძევე მეცხოველეობა, მეცხენეობა, მეღორეობა. სანაპირო ზოლის მცხოვრებნი მეზღვაურები და მებადურები არიან. ნანტის რაიონში განვითარებულია მებოსტნეობა. აქვე აწარმოებენ წითელსა და თეთრ ღვინოს. ბრეტონელებს მოჰყავთ ადრეული ბოსტნეული და ხილი. ძალიან ბევრია ვაშლის ბაღები. **ვაშლისაგან აკეთებენ სიდრსა და არომატულ და მაგარ არაყს – კალვადოსს. ბრეტონი განთქმულია არა მხოლოდ თევზით, არამედ სხვა „ზღვის საჩუქრებით“, პირველ რიგში, ხამანწკითა და საჭმელი ნიჟარებით. ხამანწკა ძვირი დელიკატესია. ჩვეულებრივი ადამიანები მას მხოლოდ დღესასწაულის დროს მიირთმევენ.**

ბრეტონი საფრანგეთის თითქმის ერთადერთი ოლქია, სადაც ყოფიდან სასოფლო კუსტარული ავეჯი არ გაქრა. მუხისა და კაკლის ხისაგან დამზადებული ავეჯი მდიდრულადაა ორნამენტირებული.

ბრეტანში დიდი ქალაქები არაა. მხოლოდ სამ მათგანში – ნანტში, რენსა და ბრესტშია 100 ათასზე მეტი მოსახლე. შემორჩენილია ძველი ციხესიმაგრეები, რომელთა სქელი კედლებისა და კოშკების დანგრევა თანამედროვე არტილერიასაც კი გაუჭირდება.

2.36. ლატვიელები

ლატვიელების თვითსახელწოდებაა **ლატვიეში**, რომელიც მომდინარეობს ძველი ლატვიელი ხალხის ეთნონიმიდან – ლატგალები (ლეტგალები). რუსულ წყაროებში ისინი მოხსენიებულნი არიან ლეტგოლის სახელწოდებით. მკვიდრობენ ლატვიის რესპუბლიკაში. ლატვიაში ლატვიელების რაოდენობა 1 მილიონ 390 ათასია. ცხოვრობენ აგრეთვე რუსეთის ფედერაციაში (46 ათასი), ლიტვაში, ესტონეთში, ბელორუსიაში, აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და სხვა. მათი საერთო რაოდენობა 1 მილიონ 540 ათასია.

ლატვიელები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ბელომორულ-ბალტიურ რასას (ატლანტურ-ბალტიური რასის ნიშნებით).

ლატვიელები ლაპარაკობენ ლატვიურ ენაზე, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახის ბალტიურ ჯგუფში შედის. ლატვიური ენის დიალექტებია: საშუალო-ლატვიური, ზემოლატვიური ანუ ლატგალური და ლივონიური. სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს საშუალოლატვიური. XVI ს-ის დასასრულიდან დამწერლობა დაფუძნებულია ლათინური გრაფიკის საფუძველზე. ლატვიელები ძირითადად პროტესტანტები არიან (ლუთერანები); ლატგალიაში არიან კათოლიკეები.

ლატვიელთა წინაპრები იყვნენ ბალტიური ტომები, რომლებიც ლატვიის ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასაწყისში დასახლდნენ. ბალტიისპირეთში ბალტიური ტომები სამხრეთიდან მიგრირდნენ. მათ აქ შეავიწროვეს უფრო ადრე –ძვ. წ. III ათასწლეულში დასახლებული ესტონელთა და ლივთა წინაპარი ფინურ-უგორული ტომები. ბალტიისპირეთში დასახლებული ლატვიელთა წინაპარი ტომების ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება იყო. ახ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში კულტურული თვალსაზრისით ერთმანეთთან ახლოს მდგომი ეთნიკური ერთეულები ჩამოყალიბდნენ: ბალტიის ზღვის სანაპიროზე – **კურშები,** მდ. დაუგავას ჩრდილოეთით – **ლატგალები,** მდ. ლულუპეს აუზში – **ზემგალები,** ლატვიის სამხრეთ-აღმოსავლეთში – **სელები.** აღნიშნული სატომო ჯგუფების საფუძველზე ისტორიული და სოციალ-ეკონომიკური განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების ლატვიის სამი ძირითადი კულტურულ-ისტორიული ოლქი – **კურზემე, ვიდზემე და ლატგალე**. ეს მხარეები ეთნოგრაფიული თვალსაზრისით დღესაც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. V-IX საუკუნეებში ძველბალტიურ ტომებში პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლა და კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლა დაიწყო. IX-XII საუკუნეებში წარმოიქმნა ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრები – ფეოდალური ქალაქები. X-XII საუკუნეებში ლატგალების მიწაზე გაჩნდა პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები – ტალავას, ერსიკასა და კოკნესეს სამთავროები. XII საუკუნის დასასრულს ლატვიაში გერმანელთა კოლონიზაცია დაიწყო, რაც მისი მიწების ლივონიის ორდენისა და სხვა გერმანულ სამთავროებთან მიერთებით დამთავრდა. გერმანელების მიერ განადგურებულ იქნა ყველა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი და ლატვიელ ფეოდალთა ფენა. გაბატონებული კლასი მხოლოდ გერმანელებისაგან შედგებოდა. გერმანელი ჯვაროსნების მიერ ლატვიის დაპყრობის შემდეგ, ლატვიელები 700 წლის განმავლობაში უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური ხელისუფლება

კი გერმანელთა ხელში იყო. ყოველივე ამან ბევრად განსაზღვრა ლატვიელთა სულიერი კულტურის განვითარება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე ლატვიაში ძირითადად სამ კულტურულ-ისტორიულ მხარეს გამოყოფენ, ესენია: **ვიდზემე (ყოფილი ლიფლანდია), კურზემე (ყოფილი კურლანდია) და ლატგალე ანუ ლატგალია (ყოფილი პოლონური ლიფლანდია).** უკანასკნელი 1629 წლიდან პოლონეთის სახელმწიფოს, შემდეგ კი – 1772 წლიდან რუსეთის სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, ლიფლანდიისაგან ლატგალია არა მარტო პოლიტიკურად აღმოჩნდა განცალკევებული, არამედ კულტურული განვითარებითაც. ლატგალიას საეკლესიო რეფორმაცია პრაქტიკულად არ შეეხო, რაც გერმანელთა წყალობით, XVI საუკუნის 30-იანი წლებიდან ლიფლანდიასა (ვიდზემე) და კურლანდიაში (ლურზემე) ინტენსიურად გავრცელდა. ლატვიის ამ ორ უკანასკნელ მხარეში თუ ლუთერანიზმი გავრცელდა, ლატგალია კათოლიკურ მხარედ დარჩა. ლატვიის ტერიტორიაზე გავრცელდა კათოლიციზმი, XVI საუკუნის I ნახევრიდან კი – პროტესტანტიზმი. 1561 წელს ლატვიის დიდი ნაწილი ლიტვის დიდ სამთავროზე, მოგვიანებით კი – რეჩპოსპოლიტაზე გახდა დამოკიდებული. 1620 წელს ლატვიის დასავლეთი ნაწილი შვედეთის ხელში გადავიდა. XVIII ს-ში ჩრდილოეთის ომისა და 1772 და 1795 წლებში პოლონეთის გაყოფის შედეგად ლატვია რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. XIX საუკუნის შუა ხანებში შუალატვიური დიალექტის საფუძველზე ჩამოყალიბდა სალიტერატურო ენა. 1920 წელს ლატვია დამოუკიდებელი გახდა. 1940-1990 წლებში ის სსრკ-ში შედიოდა. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეყვანის შემდეგ, ლატვია ეთნიკურად მოზაიკურ ქვეყნად იქცა. ინტენსიურად დაიწყო რუსების მიგრაცია. ამის შედეგი იყო ის, რომ **1980-იანი წლების დასაწყისში ლატვიაში ლატვიელთა რაოდენობა მხოლოდ 53,7% იყო,** ხოლო რუსების რაოდენობა (მცირერიცხოვან უკრაინელებსა და ბელორუსებთან ერთად) 39%-ით განისაზღვრებოდა. 1990 წლიდან ლატვია კვლავ დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

ლატვიელთა ტრადიციული საქმიანობაა მიწათმოქმედება (ჭვავი, ხორბალი, ქერი, შვრია, ბარდა, კანაფი...) და მეცხოველეობა (მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ცხვარი, ღორი, ცხენი), სანაპიროზე მისდევენ მეთევზეობას.

მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ ლატვიელთა ყოფა-ცხოვრებაზე, ტრადიციებზე დიდი გავლენა მოახდინა იმ ეთნიკურმა კონტაქტებმა, რომელიც მათ საუკუნეების განმავლობაში ჰქონდათ სხვადასხვა ხალხებთან (გერმანელებთან, პოლონელებთან, რუსებთან). გამოთვლილია, რომ თანამედროვე ლატვიურ ენაში სლავური ენებიდან დაა-

ხლოებით 500 სიტყვაა შესული. მეზობელ ხალხებთან კონტაქტები განსაკუთრებით აისახა ლატვიურ ანთროპონიმიაში, მიუხედავად იმისა, რომ გვარსახელები ამ ხალხში საკმაოდ გვიანდელი – XIX საუკუნის 20-30-იან წლებშია წარმოქმნილი. ლატვიელთა საკუთარ სახელებში გამოყოფენ როგორც ქრისტიანობამდელ ლატვიურ სახელებს, რომლებიც XX საუკუნეში იქნა გაცოცხლებული და რომლებიც ლატვიური მითოლოგიიდან იქნა აღებული (მაგალითად, laima ბედნიერების ქალღმერთია), ისე ნასესხებ საკუთარ სახელებს. ნასესხები სახელებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანული, პოლონური და რუსული სახელები. ნასესხები რუსული სახელები ძირითადად XIII საუკუნიდან გავრცელდა, რაც ქრისტიანობის მიღებით იყო განპირობებული. ლატვიელთა შორის განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება გერმანული წარმოშობის გვარსახელები; აუცილებლად უნდა დავასახელოთ აგრეთვე სლავური, ლიტვური, ფინურ-უგორული წარმოშობის გვარებიც. პოლონური და რუსული ნასესხობები გვარების სუფიქსებითაც კარგად ჩანს (-სკის, -იჩს, -ოვს). სხვათა შორის, 1940-იან წლებში ლატვიელებმა გვარსახელების ერთგვარი უნიფიცირებაც მოახდინეს და ბევრი მათგანი –იან სუფიქსით გააფორმეს. საერთოდ, ლატვიური გვარების არსებობის ისტორია სულ რაღაც 180 წელს ითვლის და ამ ხალხში მისი წარმოქმნა ემთხვევა ერის კონსოლიდაციის პერიოდს, ლატვიური ლიტერატურული ენის ფორმირებას.

2.37. ლიტველები

ლიტველები (თვითსახელწოდება **ლეტუვაია**) ძირითადად განსახლებულნი არიან ლიტვის სახელმწიფოში. აქ მათი რაოდენობა 2 მილიონ 924 ათასია. ისინი ცხოვრობენ აგრეთვე რუსეთში (70 ათასი), ლატვიაში (34 ათასი), ბელორუსიაში (7,6 ათასი), უკრაინაში (11,3 ათასი), პოლონეთში (15 ათასი), აშშ-ში (290 ათასი), კანადაში (28 ათასი), ურუგვაიში (12 ათასი), ყაზახეთში (11 ათასი), ავსტრალიაში (11 ათასი), არგენტინაში (10 ათასი) და სხვა. მათი საერთო რაოდენობა 3 მილიონ 450 ათასია. ლიტველები მთელი ლიტვის მოსახლეობის დაახლოებით 80%-ს შეადგენენ.

ლიტველები ანთროპოლოგიურად დიდი ევროპეიდული რასის ბელომორულ-ბალტიურ რასას მიეკუთვნებიან.

ისინი ლაპარაკობენ ლიტვურ ენაზე, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახის ბალტიურ ჯგუფში შედის. ლიტვური ენის ძირითადი დიალექტებია: **ჟემაიტური (ქვემოლიტვური) და აუკშაიტური (ზემოლიტვური).** XVI ს-დან აქვთ დამწერლობა ლათინური გრაფიკის საფუძველზე. ლიტველები კათოლიკეები არიან.

ლიტველთა წინაპრები იყვნენ ბალტიური ტომები, რომლებმაც მდინარეების – ნემანისა და დაუგავას აუზებში ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში შეაღწიეს. ახ.წ. დასაწყისში ლიტვის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდნენ ტომები, რომლებიც გვიან ლიტველთა შემადგენლობაში შევიდნენ – საკუთრივ ლიტველები, ანუ აუკშტაიტები, ჟემაიტები, სკალვები და ნადრუვები, აგრეთვე სუდავების, კურჩების, ზემგალებისა და სელების ნაწილი, ჩრდილოეთ პრუსების ნაწილი (ბარტები, ნოტანგები, სემბები). სკალვებმა, ნადრუვებმა და პრუსების ნაწილმა XVI საუკუნეში ჩამოაყალიბა ლეტუვინების (ლიტოვნიკების) სუბეთნიკური ჯგუფი. IX–XII საუკუნეებში ჩამოყალიბდა სახელმწიფო წარმონაქმნები – სამთავრო „მიწები“: **დელტუვა, კარშუვა, ლეტუვა** და სხვ., რომლებიც XIII საუკუნის პირველ ნახევარში გაერთიანდნენ ლიტვის დიდ სამთავროში. ის მოიცავდა აგრეთვე ბელორუსიის ჩრდილო-დასავლეთ ოლქებს (ე.წ. ჩორნაია რუს), XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან – დასავლეთ-რუსულ მიწებს, XVI საუკუნის შუა ხანებისათვის კი მიწებს ზემო დნეპრისპირეთის, ოკისა და ვოლგის სათავეებამდე. XIII-XIV საუკუნეებში ლიტვა ტევტონთა ორდენის აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდა, რომელმაც 1283 წელს ხელში ჩაიგდო პრუსების მიწები და 1382-1398 წლებში – ჟემაიტია. 1387 წელს კათოლიკობის მიღების შემდეგ გაძლიერდა ლიტვის კავშირი პოლონეთთან, რომლებმაც **1569 წელს ჩამოაყალიბეს ერთიანი პოლონურ-ლიტვური სახელმწიფო – რეჩპოსპოლიტა**, რაც გაპოლონებული ლიტვური ფეოდალური ზედაფენის ძალისხმევით მოხდა. სალიტერატურო ენამ ჩამოყალიბება დაიწყო XVII საუკუნეში აუკშტაიტური დიალექტის საფუძველზე. **1795-1815 წლებში ლიტველთა ეთნიკური ტერიტორია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა**. 1919 წელს ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ლიტვის სახელმწიფო; 1940-1990 წლებში ლიტვა სსრკ-ის შემადგენლობაში იყო. 1990 წლის მარტიდან ის დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

ლიტველების ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა იყო სახვნელი მიწათმოქმედება (ჭვავი, ქერი, შვრია, ხორბალი, ბარდა, სელი). მისდევდნენ მეცხენეობას, მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა და ღორების მოშენებას. ტრადიციული იყო მეფუტკრეობა. ზღვის სანაპიროზე განვითარებული იყო მეთევზეობა.

ძირითად საკვებს წარმოადგენდა ჭვავის, იშვიათად ხორბლის პური, ქერისა და შვრიის ფაფა, ბარდა, რძე, ხორცი. ახლაც განსაკუთრებით პოპულარულია ღორის ხორცი. ქვეყანაში წარმოებული ხორცის 47% ღორის ხორცზე მოდის. გამოყვანილი ჰყავთ ადგილობრივი თეთრი ჯიშის ღორი. XVIII საუკუნის დასასრულიდან და XIX საუკუნეში ფართოდ გავრცელდა კარტოფილის კერძები. სასმელები-

დან ტრადიციული იყო შავი ლუდი (ალუსი). ბურახს ამზადებდნენ მსხლისაგან და ალაოსაგან.

ლიტვურ სოფლებში ძლიერი იყო თემური ტრადიციები – ურთიერთდახმარება, საქმისადამო და ა.შ. XIII-XIV საუკუნეებში ჭარბობდა დიდი ოჯახები, რომელიც გვიან პატარა ოჯახებით შეიცვალა. საოჯახო ურთიერთობებში მთავარი ადგილი მამას ეკავა. კომლი მემკვიდრეობით უფროს შვილს გადაეცემოდა. ტრადიციული ხალხური სეირნობა შემორჩენილია დღესაც. ლიტველები XX საუკუნის დასაწყისიდან აწყობენ სიმღერის ფესტივალებს. დღემდე შემორჩენილია კოცონების ირგვლივ სეირნობა და საქანელებზე ქანაობა. ლიტველი გლეხები ხის დამუშავების ორიგინალური ხელოსნები იყვნენ. მაგიდები, სკამები, თითისტარები, სართავი ჯარები, კოვზები, მქალოზები (ზარდახშები) ჩუქურთმებით ჰქონდათ მორთული. სამლოცველოებთან და მემორიალურ ადგილებში მოთავსებული აქვთ ხის სკულპტურები. ლიტვურ ფოლკლორში ყველაზე პოპულარულია ლეგენდების ჟანრი. ვილნიუსში XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან რეგულარულად ტარდება სიმღერის დღესასწაულები. ვილნიუსის დაარსების შესახებ შემდეგი ლეგენდა არსებობს: 1323 წელს დიდი მთავარი გედიმინასი აქ სანადიროდ მოსულა. საღამოთი მან მაღალ ბორცვზე დაიძინა. სიზმარში ნახა რკინის მგელი. უმაღლესმა ქურუმმა სიზმარი შემდეგნაირად განუმარტა – ღმერთებს აქ ქალაქის აშენება სურთ, რომელიც იქნება უძლეველი და მისი დიდება მთელ მსოფლიოში ცნობილი გახდებაო. გედიმინასმა დაუჯერა წინასწარმეტყველს და ბორცვზე ციხესიმაგრე ააგო, სადაც ტრაკაიდან დედაქალაქიც გადმოიტანა.

კანტი ერთ-ერთი წიგნის წინასიტყვაობაში ლიტველებს ახასიათებდა, როგორც ერთგულებს, გულწრფელებს, თავიანთი პირადი ღირსებების ცნობიერების მქონე ადამიანებს. ევროპაში ერთ-ერთი უძველესია ვილნიუსის უნივერსიტეტი – ის 1579 წელსაა დაარსებული. ლიტველები ხშირად აწყობენ ფოლკლორულ ფესტივალებს. ამ დროს იცვამენ ტრადიციულ ლიტვურ ტანსაცმელს. ქალის ტანსაცმელი ძირითადად მოქარგულია.

ლიტვურ ენაში სხვადასხვა სუფიქსს ირთავენ მამაკაცის, მისი მეუღლისა და ქალიშვილის გვარები. მაგალითად, მამაკაცის გვარი გამოითქმის როგორც **ბრაზაუსკასი,** ცოლისა – **ბრაზაუსკენე,** ქალიშვილისა – **ბრაზაუსკიტე**. შესაბამისად: **ბალუკონისი** (კაცი), **ბალუკონენე** (ცოლი), **ბალუკონიტე** (ქალიშვილი); **საბონისი** (კაცი), **საბონინე** (ცოლი) და **საბონიტე** (ქალიშვილი).

2.38. პოლონელები

პოლონელები ძირითადად პოლონეთის სახელმწიფოში ცხოვრობენ. ისინი ამ ქვეყნის მოსახლეობის 98,5% შეადგენენ. დანარჩენი 1,5% სხვა ეთნოსების წარმომადგენლები არიან (ბელორუსები, უკრაინელები, ლიტველები, რუსები, ჩეხები, სლოვაკები, ებრაელები, გერმანელები). პოლონელთა თვითსახელწოდებაა „**პოლიაცი**“. 1998 წლის მონაცემებით პოლონეთში 38 მილიონ 459 ათასი პოლონელი მკვიდრობდა. პოლონეთის ფარგლებს გარეთ ისინი ცხოვრობენ ბელორუსიაში (417,7 ათასი კაცი), ლიტვაში (258 ათასი კაცი), უკრაინაში (219,2 ათასი კაცი), რუსეთის ფედერაციაში (94,6 ათასი კაცი), ყაზახეთში (60 ათასი კაცი), ლიტვაში (60 ათასი), აშშ-ში (5 მილიონ 600 ათასი), გერმანიაში (ერთი მილიონ 500 ათასი), საფრანგეთში (1 მილ.), კანადაში (400 ათასი), დიდ ბრიტანეთში (140 ათასი), ბრაზილიაში (200 ათასი), არგენტინაში (100 ათასი), ჩეხეთსა და სლოვაკეთში (40-40 ათასი), ბელგიაში (60 ათასი) და სხვ. მათი საერთო რაოდენობა 49 მილიონზე მეტია.

პოლონელები ლაპარაკობენ პოლონურ ენაზე, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახის სლავური ჯგუფის დასავლურ ქვეჯგუფში შედის. პოლონური ენის დიალექტებია: **დიდი პოლონური, მცირე პოლონური, მაზოვეცური, სელებიური და კაშუბური.** მიღებულია სალიტერატურო ენის შემდეგი პერიოდიზაცია: ძველი პოლონური ენა – 1500 წლამდე, საშუალო პოლონური ენა – XVI ს. – XVIII ს-ის მეორე ნახევარი, ახალი პოლონური – XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან. დამწერლობის უძველესი ძეგლია სვენტოკშიის ქადაგებანი (XIV ს-ის შუა ხანები). დამწერლობა შექმნილი აქვთ ლათინური ანბანის საფუძველზე. პოლონელები კათოლიკეები არიან. მცირე რაოდენობით გვხვდებიან პროტესტანტებიც.

პოლონელი ხალხის ჩამოყალიბება ძველპოლონური სახელმწიფოს ფორმირებასა და განვითარებას უკავშირდება (X-XI საუკუნეები). მის საფუძველს შეადგენდნენ დასავლურ სლავური ტომები: **პოლონები, სლენზანები, ვისლიანები, მაზოვშანები, პომორიანები.** ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში (XI-XIII საუკუნეები) პოლონეთის ცალკეული მხარეები პოლიტიკურად ერთმანეთს გაეთიშა, მაგრამ მათ შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირები არ შეწყვეტილა. გერმანელთა აგრესიის პერიოდში (XIII-XV საუკუნეები) აშკარად გამოიკვეთა პოლონური მიწების გაერთიანებისადმი მისწრაფების ტენდენცია; ამასთანავე, გაძლიერდა კავშირები მის მოსახლეობას შორის. ამავე დროს, გერმანელთა მიერ დაპყრობილ დასავლეთ და ჩრდილოეთ მიწებზე (ქვემო სილეზია, პომორია მაზოვია) მიმდინარეობდა გერმანიზაციის პროცესი, რომელიც განსაკუთრებით XVIII-XIX

საუკუნეებში გაძლიერდა. XIV-XV სს-ში ერთიანი პოლონური სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ პოლონელთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესი განაპირობა, რაც განსაკუთრებით XVII ს-ში გაძლიერდა. მრავალეთნიკური სახელმწიფოს რეჩ-პოსპოლიტას ფარგლებშიც (ჩამოყალიბდა 1569 წელს ლიტვის სამთავროსთან გაერთიანების შედეგად) ერის კონსოლიდაციის პროცესი არ შეჩერებულა.

ეროვნული კონსოლიდაციის პროცესზე უარყოფითი გავლენა იქონია XVIII საუკუნის დასასრულს (1772, 1793, 1795 წლები) რეჩ-პოსპოლიტას გაყოფამ რუსეთს, ავსტრიასა და პრუსიას შორის, მაგრამ XIX საუკუნეში პოლონელთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ შეწყვეტილა. რამდენჯერმე მოხდა აჯანყება. პოლონელი ხალხი სამშობლოს, მშობლიური ენისა და წეს-ჩვეულებების ერთგული დარჩა, მაგრამ პოლონეთის პოლიტიკური გათიშულობა ერთგვარად დაღს ასვამდა მათ ეთნიკურ ისტორიას. XIX საუკუნეში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი პოლონელთა რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან დიალექტებითა და ზოგიერთი ეთნოგრაფიული თავისებურებით. XIX საუკუნეში ამ ეთნოგრაფიულ ჯგუფებს შორის სხვაობამ წაშლა დაიწყო.

პირველი მსოფლიო ომის წინ პოლონურ მიწებზე (თანამედროვე საზღვრებში) პოლონელების გარდა ცხოვრობდნენ გერმანელები, რუსები, ბელორუსები, უკრაინელები, ებრაელები, კარაიმები **(ებრაელთა ე.წ. პროტესტანტები. კარაიმული მოძრაობის მეთაური იყო ბაღდადში მცხოვრები ებრაელი ანან ბენ დავიდი (VIII ს). კარაიმები არ ცნობენ ზეპირ თორას. ცხოვრობდნენ ყირიმსა და ლიტვაშიც. ფიქრობენ, რომ ხაზარებმა იუდაიზმი კარაიმული ფორმით მიიღეს.** კარაიმების შესახებ დაწვრილებით იხილეთ შესაბამისი თავი**).** გერმანელები აქ პირველად XII საუკუნეში დასახლდნენ. ძალიან ბევრი გერმანელი მოვიდა XIII-XIV საუკუნეებში. მათი უმეტესობა XVI-XVII საუკუნეებში არსებითად უკვე პოლონელად იყო ქცეული. პოლონეთის მიწაზე გერმანელთა ახალი ტალღა პოლონეთის პირველი დანაწილების დროს მოვიდა. ებრაელების პირველი დასახლება აქ XI საუკუნეში მოხდა; ისინი ძირითადად ქალაქებში მკვიდრობდნენ და ხელოსნობასა და ვაჭრობას მისდევდნენ. მრავალი საუკუნის მანძილზე ებრაელები პოლონეთის მკვიდრ მოსახლეობასთან არ ასიმილირდნენ და შეინარჩუნეს თავიანთი რელიგია, ენა და ზოგიერთი წეს-ჩვეულება. რუსეთში საეკლესიო რეფორმის შემდეგ, XVII ს-ში, პოლონელთა აღმოსავლეთ მიწებზე რუსი სტაროვერები დასახლდნენ. XIV საუკუნის ბოლოს პოლონეთსა და ლიტვაში დასახლება დაიწყეს თათრებმა. მართალია, მათ პოლონიზაცია განიცადეს, მაგრამ შეინარჩუნეს ისლამი. რაც შეეხება კარაიმებს, ისინი XIV ს-ში ყირი-

მიდან მიგრირდნენ და ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ. თავის მხრივ, პოლონელები მეზობელ ქვეყნებში გადასახლდებოდნენ ხოლმე.

პოლონელთა ნახევარზე მეტი ქალაქებში ცხოვრობს.

სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მარცვლეული კულტურების მოყვანა. დასავლეთ და აღმოსავლეთ პომორიეში ძველთაგანვე განვითარებული იყო მეთევზეობა. შემორჩენილია თევზის კოლექტიური ჭერის ძველი წეს-ჩვეულება. განვითარებულია მეფუტკრეობა, სოკოს შეგროვება.

ძველადაც და ახლაც პოლონეთის სოფლებში ძირითადად ძელური სახლები ჭარბობს. ხშირად ისინი ერთი გზის გასწვრივ რამდენიმე კილომეტრზეა გაჭიმული. ხალხურ ტანსაცმელს დღეს პოლონელები ძირითადად საყოველთაო-სახალხო დღესასწაულებზე იცვამენ. პოლონელებს არც ტრადიციულ საჭმელებზე უთქვამთ უარი – დიასახლისები ხშირად ამზადებენ მოშუშული კომბოსტოსი და ჭარხლის შეჭამანდს, ცნობილ ბიგოსს (მოშუშულ კომბოსტოს ხორცით). ძველი რეცეპტით ხარშავენ ჭვავის, სიმინდის და შვრიის ფქვილის ფაფებს. აცხობენ კალაჩებს (ყურიანი პურის კვერებს), დიდი პურის კვერებს. პოლონელებსა და ტურისტებს შორის დიდი მოთხოვნილებაა ცნობილი ისტორიული პიროვნებების გამოსახულებიან თაფლაკვერებზე. სახლის მშენებლობის დროს შემორჩენილია ურთიერთდახმარების წეს-ჩვეულება. არ დაუკარგავს მნიშვნელობა ხალხურ დღესასწაულებს, რომელთა შორის აღსანიშნავია ყველიერის დროს ჩატარებული კარნავალები. ზოგიერთ რეგიონში ყველიერის დროს გოგონები ერთ რომელიმე სახლში ქათმის ბუმბულის საბდღვნელად იკრიბებოდნენ. ამ დროს მათთან ჭაბუკები მიდიან, რასაც სიმღერები, ცეკვები და სეირნობა მოსდევდა. ყოველწლიურად მაისის თვეში კრაკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები ატარებენ „იუვენალიას“ – თავიანთ დღესასწაულს. სამი დღის განმავლობაში კრაკოვი მათ ხელში გადადის და ნათელ სამასკარადო ფორმებში გამოწყობილები მოდებული არიან ქუჩებსა და მოედნებზე.

სხვადასხვაგვარად დამუშავებული პოლონური ხალხური ცეკვები (პოლონეზი, კრაკოვიაკი, მაზურკა) გავრცელებულია ევროპაში.

ქრისტიანობა პოლონეთში X ს-ში გავრცელდა. პოლონელი თავადი მეშკო I 966 წელს ჩეხი თავადის ქალზე, დუბრავკაზე დაქორწინდა. მან თავის კართან ერთად ქრისტიანობა კათოლიკობის ფორმით მიიღო. ხალხი ახალი რელიგიის გავრცელებას წინააღმდეგობას უწევდა; შეხვდა მას აჯანყებებითა და ეკლესიების გადაწვით. იყო შემთხვევები, როდესაც ჯვრებს ჭრიდნენ; ამ დროს ქრისტიანი სასულიერო პირები ხალხის წინააღმდეგობის შესუსტების მიზნით ძველ რწმენა-წარმოდგენებთან ერთგვარ დათმობაზე წავიდნენ. შუა საუკუ-

ნეებში პოლონეთში სლავურ ღვთაებებსაც სცემდნენ თაყვანს. სლავური წარმართული რელიგია მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამიწათმოქმედო ყოფასთან. მათთვის დამახასიათებელი იყო ბუნების ძალების კულტის თაყვანისცემა.

პოლონელთა ეროვნული კულტურის ცენტრია ვარშავა, რომლის ასაკი 700 წლით განისაზღვრება. XV საუკუნის დასაწყისიდან ის მაზოვის ოლქის ცენტრად იქცა, XVI საუკუნეში კი – მთლიანად პოლონეთისა. XIV-XV საუკუნეებში პოლონეთის დედაქალაქი იყო კრაკოვი. აქაა XII და XIII საუკუნეებში აგებული კათოლიკური ეკლესიები. კრაკოვშივეა ქვეყნის უძველესი უნივერსიტეტი, რომლის 600 წლის იუბილე 1964 წელს აღნიშნეს. კრაკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა დიდი პოლონელი ასტრონომი, სამყაროს ჰელოცენტრული სისტემის შემქმნელი **ნიკოლოზ კოპერნიკი** (1473-1543). კოპერნიკმა თავისი თხზულებით „ცის სფეროების შესახებ“ გადატრიალება მოახდინა ბუნებისმეტყველებაში.

პოლონელთა ადრეული სახელები, ისევე როგორც ბევრი სხვა ხალხისა, უშუალოდ აპელიატივებისაგან წარმოიქმნა, მაგალითად: ვილკ – მგელი, კოვალ – მჭედელი, გოლი – შიშველი. ყველაზე პოპულარულები საკუთარ სახელებად საბოლოოდ დამკვიდრდა, მით უმეტეს, რომ ისინი ძალიან ხშირად არქმევდნენ გარდაცვლილი ნათესავის სახელს. IX-X საუკუნეებში პოლონელთა შორის ფართოდ გავრცელდა ქრისტიანული სახელები (ლათინური, ბერძნული, არამეული, ძველებრაული), ბოლოს კი მხოლოდ კათოლიკური ეკლესიის მიერ რეკომენდებულ სახელებს მიენიჭა პრიორიტეტი, თანაც ბევრი მათგანი ხშირ შემთხვევაში ფონეტიკურად საკმაოდ სახეშეცვლილია, მაგალითად: იოანე (ივანე) გამოითქმის როგორც იანი, მარგარიტა – როგორც მალგოჟატა და სხვა. პოლონეთში, ისევე როგორც სხვა კათოლიკურ და პროტესტანტულ ქვეყნებში, ტრადიციულია ორწევრიანი და სამწევრიანი სახელების ტარება (ანა-მარია-ლუიზა). პოლონეთში გვარსახელები XV საუკუნიდან გავრცელდა. პოლონელთა გვარები სხვა სლავური ეთნოსების მსგავსია – პატრონიმიული, ტერიტორიულ-ტოპონიმიური და ეთნიკური. პოლონელთა გვარსახელების აბსოლუტური უმრავლესობა სუფიქსიანია (-სკი, -ცკი, -ოვიჩ, -კ). ტრადიციულად ქალი ქმრის გვარს ატარებს. პოლონურ გვარს დომბროვსკის შეესატყვისება ქალის გვარი დომბროვსკა, კოვალევსკის –კოვალევსკა, პოტოცკის – პოტოცკა, ნოვაკს – ნოვაკა. პოლონური ანთროპონიმიული მოდელი ორწევრიანია – ის გვარსახელისა და ინდივიდუალური სახელისაგან შედგება.

პოლონური მუსიკალური ხელოვნების დიდი წარმომადგენელი იყო კომპოზიტორი და პიანისტი **ფრედერიკ შოპენი** (1810-1849). სხვა პო-

ლონელ კომპოზიტორთაგან საყოველთაოდ ცნობილია **მიხაილ ოგინსკი** (1765-1833). პოლონური რომანტიზმის ფუძემდებელია პოეტი **ადამ მიცკევიჩი** (1798-1855). 1364 წელსაა დაარსებული კრაკოვის უნივერსიტეტი.

2.39. ჩეხები

ჩეხების თვითსახელწოდებაა **ჩეში**. 1998 წლის მონაცემებით ჩეხეთში 10 მილ. 300 ათასი ჩეხი ცხოვრობდა (ადრე ჩეხების შემადგენლობაში შეჰყავდათ ჯგუფები, რომლებმაც 1991 წლის აღწერაში თავი დაიფიქსირეს როგორც **მორავანელებმა** და **სელეზელებმა**). ჩეხები ცხოვრობენ აგრეთვე სლოვაკიაში (53 ათასი), აშშ-ში (550 ათასი კაცი), კანადაში (55 ათასი), გერმანიაში (27 ათასი) და სხვ. მათი საერთო რაოდენობა 11 მილიონი კაცია.

ჩეხები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის საშუალო ევროპულ, გარდამავალ რასას. ჩეხები ლაპარაკობენ ჩეხურ ენაზე, რომელიც შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახის სლავური ჯგუფის დასავლურ ქვეჯგუფში. ჩეხური ენის ძირითადი დიალექტებია: **ჩეშური, შუამორავიული, აღმოსავლეთმორავიული, ლიაშური**. დამწერლობა დაფუძნებულია ლათინურ ანბანზე. ჩეხური დამწერლობის პირველი ძეგლები XIII საუკუნის დასასრულით თარიღდება. XIV საუკუნეში არსებობდა ერთიანი სალიტერატურო ენა, მაგრამ 1620 წლიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, ჰაბსბურგების დინასტიის ბატონობის გამო, მისი განვითარება შეწყვეტილი იყო, რადგან ამ პერიოდში ოფიციალურ ენას გერმანული წარმოადგენდა. ჩეხური სალიტერატურო ენის აღორძინება XVIII-XIX საუკუნეების მიჯნიდან იწყება. ჩეხები კათოლიკეები არიან. გვხვდებიან პროტესტანტებიც.

თანამედროვე ჩეხეთის ტერიტორიაზე სლავები პირველად VI-VII საუკუნეებში დამკვიდრდნენ, რომლებმაც აქ კელტური და გერმანული ტომების მცირერიცხოვანი მოსახლეობის ასიმილირება მოახდინეს. წერილობითმა წყაროებმა ბოგემიის ტერიტორიაზე (ლათინურად ჩეხეთი) მცხოვრები ტომების სახელწოდებანი შემოგვინახეს. ესენი იყვნენ: **ჩეხები, ხორვატები, ლუჩანები, ზლიჩანები, დეჩანები, ფშოვანები, ლიტომერჟცები, ხებანები, გლომაჩები**. მათ შორის ყველაზე ძლიერი ჩეხების სატომო სამთავრო იყო. IX საუკუნეში ჩეხეთი შედიოდა დიდმორავიის სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამ პერიოდში აქ ქრისტიანობა ბიზანტიიდან გავრცელდა. IX საუკუნის ბოლოსა და X საუკუნეში ჩამოყალიბდა ჩეხეთის (პრაღის) სამთავრო, რომლის შემადგენლობაში მორავიაც შევიდა. ამ დროიდან ჩეხები და მორავიელები თანდათან ერთმანეთს შეერწყნენ. XII საუკუნის მეორე

ნახევრიდან ჩეხეთი წმინდა რომის იმპერიის შემადგენლობაშია. გერმანელთა კოლონიზაციამ ქვეყნის ეთნიკური ერთობის დარღვევა და ნაციონალური დაპირისპირება გამოიწვია. ამ და სხვა მიზეზებმა XV საუკუნის პირველ ნახევარში **ჰუსიტების მოძრაობა** გამოიწვია. 1526 წელს ჩეხეთი ჰაბსბურგების ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა, რომლებიც მათ გერმანიზაციას ახდენდნენ. XVIII საუკუნისათვის აზნაურობამ გერმანული ენა და წეს-ჩვეულებები მიიღო. ჩეხური ენისა და კულტურის მატარებელი კი მოსახლეობის დაბალი ფენა იყო.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე გამოცოცხლდა ჩეხური ნაციონალური მოძრაობა. 1918 წელს, ავსტრია-უნგრეთის დაშლის შემდეგ, წარმოიქმნა ჩეხთა და სლოვაკთა ნაციონალური სახელმწიფო.

1993 წლიდან ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს სლოვაკეთი გამოეყო.

ჩეხებში რამდენიმე ეთნოგრაფიული ჯგუფი გამოიყოფა, რომლებიც ტრადიციული ყოფისა და კულტურის ზოგიერთი ნიშნით ერთმანეთისაგან განსხვავდება. ჩეხეთის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე თავისებურ ეთნოგრაფიულ ჯგუფს წარმოადგენენ **ხოდები**. **წარსულში მათ დავალებული ჰქონდათ სახელმწიფო საზღვრებისა და სამეფო ტყეების დაცვა. ისინი დადიოდნენ ("Ходили") საზღვრების გასწვრივ და აქედანაა წარმომდგარი მათი სახელწოდება. თავიანთი სამსახურის გამო, ხოდები ზოგიერთი პრივილეგიით სარგებლობდნენ.** XVII საუკუნემდე მათ არ იცოდნენ ბატონყმობა. ამ პრივილეგიის დაკარგვის შემდეგ ისინი დიდხანს იბრძოდნენ თავისუფლებისათვის. კარჩაკეტილობამ და ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხოდების მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებური ტრადიციები ჩამოაყალიბა.

1348 წელს პრაღაში უნივერსიტეტი გაიხსნა. ამ პერიოდში ქვეყანაში კათოლიკური სამღვდელოება გაძლიერდა. სიტუაციას ართულებდა ის, რომ უმაღლესი სასულიერო წოდების წარმომადგენლები გერმანელები იყვნენ. **ამ დროს ნაციონალურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა იან ჰუსი, რომელიც ჩეხური ენის სრული უფლებებისათვის იბრძოდა. მან ჩამოაყალიბა სალიტერატურო ჩეხური ენა. იან ჰუსის ქადაგებანი ჩეხურ ენაზე ათასობით ხალხს იკრებდა ირგვლივ. მანვე 1409 წლიდან პრაღის უნივერსიტეტი ჩეხურ ნაციონალურ უმაღლეს სასწავლებლად აქცია.**

ჩეხთა ტრადიციული დასაქმების სფეროა მიწათმოქმედება (მარცვლეული კულტურები, შაქრის ჭარხალი, მებაღეობა, მებოსტნეობა). დიდ როლს თამაშობს მეცხოველეობა (მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მეღორეობა, მეფრინველეობა).

მოსახლეობის ნახევარზე მეტი პატარა ქალაქებში ცხოვრობს, რომლის უმეტესობა შუა საუკუნეებში წარმოიქმნა. ჩეხეთის დედაქალა-

ქი პრაღა ევროპის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. ის ათასი წლის წინ წარმოიქმნა. დედაქალაქის სიამაყე და სიმბოლოა XIV ს-ში აგებული ნახევარკილომეტრიანი ქვის ხიდი. ჩეხებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მსოფლიო კულტურის საგანძურში. კომპოზიტორებიდან შეიძლება დავასახელოთ **ბედრჟიხ სმეტანა** (1824-1884), **ანტონინ დვორჟაკი** (1814-1904). მწერალთაგან საყოველთაოდ ცნობილია **იან ნერუდა** (1834-1890), **იაროსლავ ჰაშეკი (1883-1923)** და **კარელ ჩაპეკი (1890-1938).**

2.40. სლოვაკები

სლოვაკების თვითსახელწოდებაა **სლოვაცი**. ისინი ძირითადად დასახლებულნი არიან სლოვაკეთში (4,5 მილ. კაცი). ცხოვრობენ აგრეთვე აშშ-ში (530 ათასი), ჩეხეთში (390 ათასი), უნგრეთში (80 ათასი), სერბეთში (67 ათასი), კანადაში (25 ათასი), პოლონეთსა და რუმინეთში (22-22 ათასი) და სხვ.

სლოვაკები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ჩრდილო-ევროპული რასის ალპურ ტიპს. ლაპარაკობენ სლოვაკურ ენაზე, რომელიც ინდოევროპულ ენთა სლავური ჯგუფის დასავლურ ქვეჯგუფში შედის. სლოვაკური ენა იყოფა სამ ძირითად დიალექტად: დასავლეთსლოვაკურად, შუასლოვაკურად და აღმოსავლურსლოვაკურად. დამწერლობა შექმნილი აქვთ ლათინური გრაფიკის საფუძველზე. სლოვაკური დამწერლობის ძეგლები XV-XVI საუკუნეების მიჯნით თარიღდება, თუმცა სლოვაკიზმები უფრო ადრინდელ ძეგლებშიც გვხვდება, რომლებიც ჩეხურ, გერმანულ და ლათინურ ენებზეა დაწერილი. XVIII საუკუნემდე სალიტერატურო ენად სლოვაკეთის ტერიტორიაზე ჩეხურს იყენებდნენ. სლოვაკთა უმეტესობა – 64% კათოლიკეა, გვხვდებიან პროტესტანტები (ლუთერანები) და გრეკო-კათოლიკეები (უნიატები).

სლოვაკეთის ტერიტორიაზე სლავები VI საუკუნიდან ჩნდებიან. მოძრაობდნენ რა სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით, მათ ნაწილობრივ შთანთქეს ადრინდელი კელტური, გერმანული და შემდეგ ავარული მოსახლეობა. სლოვაკეთის სამხრეთი რაიონები შედიოდა პირველ დასავლეთსლავურ სახელმწიფოში – სამოში (VII ს.). სლოვაკთა წინაპრების პირველი სატომო სამთავრო ნიტრანელთა, ანუ პრიბინების სამთავრო იყო, რომელიც IX საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა მდინარეების – ვაგასა და ნიტრის დინებაში. დაახლოებით 833 წელს ის მორავიის სამთავროს შეუერთდა, რომელიც მომავალი დიდმორავიის სახელმწიფოს ბირთვი იყო.

863 წელს სლოვაკებმა დაიწყეს გლაგოლიცაზე წერა. უნგრელთა ზეწოლით IX საუკუნის დასასრულს დიდმორავიის სამეფო დაეცა. მისი აღმოსავლეთი ოლქი თანდათან უნგრეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა, შემდეგ კი (1526 წლიდან) – ჰაბსბურგების მონარქიაში (ავსტრიის სახელმწიფოში, 1867 წ-დან ავსტრია-უნგრეთი). ტერმინი „სლოვაკი“ (სლოვაცი) გაჩნდა XV საუკუნის შუა ხანებში. უფრო ადრინდელ წყაროებში გვხვდება ეთნონიმი „სლოვენი“, „სლოვენკა“, ტერიტორიას კი „სლოვენკო“ ეწოდებოდა.

უნგრეთის სახელმწიფოში სლოვაცია (სლოვაკია) განსაკუთრებული ადმინისტრაციული სტატუსით არ იყო შესული. მხოლოდ XVI ს-ში, ოსმალთა ოკუპაციის დროიდან, საკუთრივ უნგრულ ოლქებში წარმოიქმნა ეთნოტერიტორიული გაგება „სლოვაკია“. სლოვაკთა „ნაციონალური აღორძინება“ 1780-იან წლებში დაიწყო. სლოვაკების სალიტერატურო ენა ჰუსიტების მოძრაობის დროიდან (XV ს.) ჩეხური იყო. XVIII ს. ბოლოს სლოვაკური სალიტერატურო ენის წარმოქმნამ ნაციონალური კონსოლიდაციისა და თვითშეგნების ამაღლება განაპირობა. 1918-1993 წლებში სლოვაკია ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში შედიოდა. 1993 წლიდან ის სუვერენული სახელმწიფოა.

სლოვაკთა ხალხურ კულტურაში დღემდე არსებობს ოლქობრივი (სამხარეო) განსხვავება. შემორჩენილია ლოკალური თვითშეგნებაც. კულტურისა და ყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი განსხვავებაა სამიწათმოქმედო ბარსა და მესაქონლეობის მიმდევარ მთიან რაიონებს შორის.

სლოვაკების ტრადიციულ ტანსაცმელს 60-მდე ვარიანტი აქვს. მათი ტრადიციული საკვებია ფაფები, კარტოფილისა და კომბოსტოს კერძები, რძის პროდუქტები და ხორცი.

საოჯახო ყოფაში დღემდე შემონახულია პატრიარქალური ნიშნები. შემორჩენილია ტრადიციული სამეზობლო ურთიერთობები. საოჯახო ტრადიციებიდან ყველაზე საზეიმოდ აღინიშნება ქორწილი, რომელშიც ადრე ყველა ნათესავი და მეზობელი ღებულობდა მონაწილეობას; ის მთელ კვირას გრძელდებოდა. საოჯახო და კალენდარული დღესასწაულების აღნიშვნასთან დაკავშირებული იყო თეატრალური წარმოდგენები.

2.41. ლუჟიელები

ლუჟიელების (სორბები, ვენდები, ლუჟიცის სერბები) თვითსახელწოდებაა **სერბი, სერბსკი ლიუდ. ისინი ცხოვრობენ აღმოსავლეთ გერმანიაში (საქსონიასა და პრუსიაში მდ. შპრეეს ზემო წელზე).** მიეკუთვნებიან დიდ ევროპეიდულ რასას. ლუჟიელთა დასავლეთსლავუ-

რი (სერბოლუჟიცური) ენა იყოფა ორ კილოკავად: ზემოლუჟიურად და ქვემოლუჟიურად. შესაბამისად ორი სალიტერატურო ენა აქვთ. მათი რაოდენობა 100 ათასი კაცია. ლუჟიელებში გავრცელებულია გერმანული ენა. XVI საუკუნიდან აქვთ დამწერლობა ლათინური გრაფიკის საფუძველზე. მათი უმეტესობა პროტესტანტია (ლუთერანი). არიან კათოლიკეებიც. ისინი გერმანელებთან შერეულად ცხოვრობენ. უფრო კომპაქტურად არიან დასახლებულები კათოლიკეები. **ლუჟიელები ოდესღაც მრავალრიცხოვანი ხალხის – პოლაბიელი სლავების შთამომავლები არიან, რომელთა მიწა X ს-ის დასასრულს გერმანელებმა დაიპყრეს**. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეს მათ ქრისტიანობა. XIV საუკუნეში ჩეხეთის სამეფოში შედიოდნენ, 1526 წლიდან – ჰაბსბურგების იმპერიაში, 1635 წლიდან კი – საქსონიაში, 1815 წ. მათი მიწა პრუსიამ და საქსონიამ გაიყო. მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ასიმილაციის მცდელობისა, ლუჟიელებმა შეინარჩუნეს მშობლიური ენა და კულტურის ზოგიერთი თავისებურება. თანამედროვე ლუჟიელები კულტურული ავტონომიით სარგებლობენ. XX საუკუნიდან აღმოსავლეთ გერმანიაში ერთმანეთისაგან იზოლირებულ ორ რაიონში – ქვემო ლუჟიცში (ცენტრი ქალაქი კოტბუსი) და ზემო ლუჟიცში (ცენტრი ქალაქი ბაუცენი) ცხოვრობენ.

მათი ტრადიციული საქმიანობაა სახვნელი მიწათმოქმედება (ჭვავი, შაქრის ჭარხალი) და მესაქონლეობა. ქვემო ლუჟიჩეში, შპრევალდის ისტორიულ ოლქში, განვითარებულია მებოსტნეობა, მებაღეობა, მეთუნეობა და სხვ. დღემდე ლუჟიელთა ზოგიერთ სოფელში შემორჩენილია ერთსართულიანი ძელური სახლები, რომლებშიც ერთი სახურავის ქვეშ მოქცეულია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. დამახასიათებელია აგრეთვე ჩარჩოსებრი კონსტრუქციის და ორსართულიანი სახლებიც. ასეთი სახლების პირველი სართული მორებისაგან (ახლა – აგურისაგან) იყო აგებული, მეორე – კარკასული. სახურავი, ჩვეულებრივ, კრამიტის ჰქონდა. სახლი შიგნიდან სამნაწილიანი დაგეგმარებისა იყო. შემონახულია ხალხური გამოყენებითი ხელოვნება: სააღდგომო კვერცხების მოხატვა, მაქმანის დაწვნა, ნაირფეროვანი კერამიკა. დამწერლობა ლათინური ანბანის საფუძველზე ლუთერანობის გავრცელების შემდეგ XVI საუკუნეში წარმოიქმნა. ნაციონალური აღორძინების ეპოქაში – XIX საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა ლუჟიელთა პროფესიული კულტურა.

2.42. ბულგარელები

ბულგარელები სამხრეთ სლავები არიან. ცხოვრობენ ბულგარეთის სახელმწიფოში. მათი თვითსახელწოდებაა **„ბოლგარი“**. დღევანდელი მონაცემებით ბულგარეთში 7 მილ. 850 ათასი ბულგარელი მკვიდ-

რობს. ბულგარეთის საზღვრებს გარეთ დაახლოებით 600 ათასი ბულგარელი ცხოვრობს: უკრაინაში (234 ათასი), აშშ-ში (100 ათასი), მოლდოვეთში (88 ათასი), მცირე ჯგუფებად ისინი განსახლებულნი არიან რუსეთში, რუმინეთში, საბერძნეთში, თურქეთში, უნგრეთსა და სხვ. უკრაინის, რუმინეთისა და სერბეთის ტერიტორიებზე ბულგარელები გადასახლდნენ ძირითადად XVIII ს-ის უკანასკნელ მესამედსა და XIX ს-ში, სხვა ქვეყნებში – XIX ს-ის დასასრულიდან მეორე მსოფლიო ომამდე.

ბულგარელები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას. ზოგიერთ რაიონში ჭარბობს ბალკანურ-კავკასიური რასის ნიშნები. გვხვდებიან შუა ევროპული რასის წარმომადგენლებიც.

ბულგარელები ლაპარაკობენ ბულგარულ ენაზე, რომელიც შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახის სლავური ჯგუფის სამხრეთულ ქვეჯგუფში. დამწერლობა შექმნილი აქვთ კირილიცის საფუძველზე. ბულგარულ ენაში ძირითადად ორი დიალექტი გამოიყოფა: აღმოსავლური და დასავლური. სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა XIX საუკუნის შუა ხანებში. ბულგარული ენის უძველესი ძეგლები X საუკუნით თარიღდება.

ბულგარელები ძირითადად მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. მცირე რაოდენობით არიან კათოლიკეები და პროტესტანტები, აგრეთვე მუსლიმები. ბულგარეთში დაახლოებით 5 ათასი გაგაუზი ცხოვრობს, რომელთა დედაენა თურქულია, მაგრამ ისინი ქრისტიანები არიან და ყოფითა და კულტურით ირგვლივ მოსახლე ბულგარელებისაგან თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან. აღმოსავლეთ ბულგარეთში არსებობს თურქული და თურქულ-ბულგარული სოფლები. თურქები შეადგენენ ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 8%-ს. ისინი თურქი კოლონისტების შთამომავალნი არიან, გვხვდებიან აგრეთვე ბულგარელები, რომლებსაც ძალით მიაღებინეს ისლამი; თურქული მოსახლეობის გარემოცვაში ისინი გათურქდნენ. ბულგარეთში მცირე ჯგუფებად ცხოვრობენ აგრეთვე ბოშები.

ბულგარელთა ეთნოგენეზისში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სლავურმა ტომებმა, რომლებიც ბალკანეთში VI-VII საუკუნეებში გადმოსახლდნენ. ძველ ეთნიკურ კომპონენტს შეადგენდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ბრინჯაოს ხანიდან მცხოვრები თრაკიელთა ეთნოსი. მესამე კომპონენტს თურქულენოვანი პროტობულგარები წარმოადგენდნენ, რომლებიც აქ დაახლოებით 670 წელს შავიზღვისპირეთის სტეპებიდან მოვიდნენ.

თრაკიელებს ძველი ბერძენი ავტორები თანამედროვე ბულგარეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. VI-V საუკუნეებში იხსენიებენ. V საუკუნეში

თრაკიელების მიერ ჩამოყალიბებულ ტომთა კავშირს მონათმფლობელური სახელმწიფოს რიგი ნიშნები ახასიათებდა. თრაკიელთა მთავარი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. მათთან მაღალ დონეზე იყო განვითარებული მევენახეობა. ჰყავდათ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ცხვარი, ცხენები. პატარა ქალაქებში დაწინაურებული იყო ხელოსნობა (მეტალების დამუშავება, მეთუნეობა და სხვ.). თრაკიელები ცნობილები იყვნენ, როგორც მადნის დახელოვნებული მომპოვებლები. მათ გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდათ ბერძნულ კოლონიებთან, რომლებიც შავი და ეგეოსის ზღვების სანაპიროებზე იყო განლაგებული. ამ კოლონიებთან ურთიერთობის შედეგად თრაკიელებმა მნიშვნელოვანი ელინური გავლენა განიცადეს. ძვ.წ. IV-II საუკუნეებში თრაკია მაკედონიელმა მეფეებმა დაიქვემდებარეს **(მაკედონიის სახელმწიფო ბალკანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ძვ. წ. V-II საუკუნეებში არსებობდა. მაკედონელთა ეთნოგენეზის საკითხები საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა; ყველაზე უფრო გავრცელებული თვალსაზრისით მაკედონიელი ხალხი ბერძნული და ილირიულ-თრაკიული ტომების შერევის შედეგად იყო ჩამოყალიბებული).** ბალკანეთის ნახევარკუნძულის ისტორიაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა რომაელთა ბატონობამ. ამ დროს დააარსეს აქ ბევრი ქალაქი. რომაელებმა სამხედრო მიზნით ბალკანეთში გზების ქსელი გაიყვანეს, რომელმაც თავისი მნიშვნელობა ახალ დრომდე შეინარჩუნა. ქალაქები და ციხესიმაგრეები თრაკიელთა რომანიზაციის ცენტრებად იქცა, რაც ყველაზე კარგად მეზიაში იგრძნობოდა, სადაც ბევრი რომაელი ლეგიონერი და კოლონისტი იყო. ამავე დროს სამხრეთსა და აღმოსავლეთში კვლავ იგრძნობოდა ბერძნული კულტურის გავლენა. თრაკიელი ხალხის ძირითად ნაწილს შენარჩუნებული ჰქონდა თავისი ენა და წეს-ჩვეულებები (**თრაკიული ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიეკუთვნებოდა. ფიქრობენ, რომ თრაკიულ-დაკიური ენა ახლოს იდგა ბალტიურ ენებთან (ლიტვური, ლატვიური, პრუსიული...).** ამ მოსაზრებას ის გარემოებაც ამყარებს, რომ ბოლო დროს დიდი რაოდენობით დაიძებნა თრაკიულ-ბალტიური პარალელები. თრაკიულ-ბერძნულ-რომანული ანტიკური კულტურა ადგილობრივი მოსახლეობისაგან აქ დასახლებულმა სლავებმა მიიღეს. მისი გავლენა ბულგარელთა მატერიალური და სულიერი კულტურის ზოგიერთ მხარეს დღევანდლამდე ეტყობა. ტრადიციულ კულტურაში თრაკიული ელემენტი უფრო გამოკვეთილად ბალკანეთის ქედის სამხრეთით შეინიშნება. ბულგარეთის ჩრდილოეთ და დასავლეთ ოლქებში უფრო სლავური კულტურის პლასტებია გამოკვეთილი.

ახ.წ. პირველ საუკუნეებში თრაკიის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა მრავალფეროვანი გახდა. აქ გაიარეს, ნაწილობრივ დასა-

ხლდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ ბასტარნები (II ს.), გუთები (IV ს.), ჰუნები (V ს.) და სხვა ხალხები. ამ ტომების შემოჭრა ძირითადად თანამედროვე ბულგარეთის ჩრდილოეთში მოხდა. ბარბაროსებმა ქვეყანა ააოხრეს, მისი ბევრი მცხოვრები გაწყვიტეს, ბევრი კი მთებს შეეხიზნა.

V-VI საუკუნეებში ბალკანეთისაკენ სლავები დაიძრნენ, რომლებიც VI საუკუნის მეორე ნახევრისათვის მთელ ნახევარკუნძულზე განსახლდნენ. ბულგარეთის მიწაზე სკლავინების ტომი დასახლდა, რომელიც აქ გადმოსახლებამდე ახლანდელი ვალახიისა და უნგრეთის ტერიტორიაზე მოსახლეობდა. სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან მოვიდნენ ანტები. თრაკიული მოსახლეობა, რომელიც ბარბაროსებს გადაურჩა, მთებიდან ბარში ჩამოვიდა და თანდათან მოსულ სლავებს შეერწყა. რომანიზებულ თრაკიელთა ნაწილი, რომლებიც ძირითადად მესაქონლეები იყვნენ, ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში გადაადგილდა (ვალახელთა წინაპრები).

ბულგარეთის ტერიტორიაზე მოსულ სლავურ ტომებში შემორჩენილი იყო გვაროვნული წყობილების გადმონაშთები, განსაკუთრებით საოჯახო თემი (ზადრუგა). ისინი უმთავრესად მიწათმოქმედებას მისდევდნენ. განვითარებული იყო აგრეთვე მესაქონლეობა და ხელოსნობის ზოგიერთი დარგი. ბალკანეთში გადმოსახლებულმა სლავებმა ანტიკური კულტურიდან ბევრი რამ შეითვისეს და გვაროვნული წყობილების გადმონაშთებიც მათში საბოლოოდ გაქრა. ბულგარელთა წინაპარ აღმოსავლურბალკანურ სლავებში ფეოდალური ურთიერთობა საბოლოოდ VII საუკუნეში ჩამოყალიბდა. სახელმწიფო ორგანიზაციის ფორმირება პირველად ქვემო მეზიაში (ჩრდილოეთ ბულგარეთი) დაიწყო.

670 წელს, დუნაის ველზე, სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან ხან ასპარუხის მეთაურობით მომთაბარე თურქულენოვან პროტობულგართა ურდოები შემოიჭრნენ. საერთო მტრის (ბიზანტიელთა) წინააღმდეგ ბრძოლამ სლავები და პროტობულგარები დააახლოვა. ბულგარეთის სახელმწიფოში, რომელიც ბიზანტიამ 680 წელს ცნო, გაბატონებული მდგომარეობა პროტობულგარულმა ზედაფენამ დაიკავა. სლავებში თურქული ფენის პოლიტიკური ბატონობის დამყარება გამოწვეული იყო არა ამ უკანასკნელთა (თურქთა) კულტურული უპირატესობით, არამედ მათი სამხედრო ორგანიზაციით. მიგრირებული მომთაბარე თურქულენოვანი ბულგარები მალე ამ მიწაზე დამკვიდრდნენ. VIII-IX საუკუნეების მანძილზე ბულგარეთში ორი ძლიერი და, ამასთანავე, განსხვავებული ეთნიკური ელემენტის შერწყმა მოხდა. ამ პროცესში სლავურმა ენამ და კულტურამ გაიმარჯვა, ბულგარელებ-

მა კი მხოლოდ თავისი სახელწოდებაღა დაუტოვეს ქვეყანასა და ხალხს.

იმავდროულად მიმდინარეობდა თვით სლავური ტომების კონსოლიდაციის პროცესი, რომელიც ბულგარული სახელმწიფოს ფარგლებში უფრო ინტენსიური იყო. ბულგარელი ხალხის ჩამოყალიბება მეზიელი სლავების გარშემო მოხდა. VIII საუკუნეში მას ზაგორიე შეუერთდა, IX საუკუნეში – მიწები სტარა-პლანინსა და როდოპს შორის და მაკედონიის დიდი ნაწილი. ბულგარეთს დაექვემდებარნენ ტიმოჩები და მორაველები. **ბულგარეთის მცხოვრებთა ერთიან ხალხად ჩამოყალიბება 865 წელს ქრისტიანობის მიღებამ, სლავური დამწერლობის გავრცელებამ და IX საუკუნის ბოლოს სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებამ განაპირობა.**

ბულგარელებმა ქრისტიანობა ბიზანტიელებისაგან მიიღეს და ამიტომ თავდაპირველად ისინი ბერძნული დამწერლობით სარგებლობდნენ, მაგრამ ამ დროს უკვე არსებობდა სლავური დამწერლობა, რომელიც ძმებმა განმანათლებლებმა – კირილემ (კონსტანტინემ) და მეთოდემ შექმნეს. ისინი წარმოშობით თესალონიკიდან (სოლუნი) იყვნენ. მათ საღვთისმეტყველო წიგნები ბერძნულიდან სოლუნელი სლავების ენაზე თარგმნეს, რომელიც იმ დროისათვის სხვა სლავი ხალხებისათვისაც გასაგები იყო. აქ შექმნილი ანბანი შემდეგ ყველა სლავს გადაეცა. ქვეყანაში პირველ სლავ განმანათლებლებს დიდ პატივს მიაგებენ. კირილესა და მეთოდეს დღეს – 24 მაისს, ბულგარული განმანათლებლობისა და კულტურის, სლავური დამწერლობის დღეს საზეიმოდ აღნიშნავენ.

ადრე შუა საუკუნეების ბულგარული კულტურის აყვავება სიმეონის მეფობის დროს (893-927წწ.) მოხდა. ამ დროს ბულგარეთის სახელმწიფო საზღვრები ეგეოსისა და ადრიატიკის ზღვების ნაპირებამდე გაფართოვდა. მაშინ მის შემადგენლობაში ზოგიერთი არაბულგარული მიწაც შევიდა. სიმეონის სიკვდილის შემდეგ ბულგარეთი დაიშალა. მისი დიდი ნაწილი ბიზანტიამ დაიპყრო. ბულგარეთის სახელმწიფოს ტრადიციის გამგრძელებელი მხოლოდ დასავლეთი ბულგარეთი იყო. ბიზანტიელთა ბატონობის დროს (1018-1186) ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილსა და სოფიის მინდორზე პაჭანიკები და ყივჩაყები დასახლდნენ, რომლებიც შემდეგ ადგილობრივ მცხოვრებლებთან ასიმილირდნენ.

ბიზანტიელთა წინააღმდეგ აჯანყების შემდეგ (1185-1186წწ.) წარმოიქმნა მეორე ბულგარული სამეფო, რომელიც მოიცავდა დუნაისპირეთის მხარეს, ზაგორიესა და თანამედროვე დობრუჯს. ამ სამეფოს დედაქალაქი იყო ტირნოვო. XIII-XIV საუკუნეები მეორე ბულგარული სახელმწიფოს კულტურული აყვავების ხანა იყო. თურქთა დაპყრობე-

ბის (1393 წ.) შემდეგ, XIV საუკუნის შუა ხანებში ბულგარეთი დაიყო სამ დამოუკიდებელ სამეფოდ: დობრუჯა, ბიდინიის ოლქი და ცენტრალური ბულგარეთი. თურქთა დაპყრობებს შედეგად მოჰყვა ბევრი ქალაქის დაქცევა, ადგილობრივი მოსახლეობის ამოწყვეტა და მათი აქედან გარეკვა. მხოლოდ XV საუკუნეში გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება, მაგრამ ამ დროს მოსახლეობის უმრავლესობას უკვე თურქები და ბერძნები შეადგენდნენ. ქალაქები თურქთა კოლონიზაციის საყრდენი პუნქტები იყო, სადაც თურქული კულტურის გავლენა აშკარად იგრძნობოდა. XVI-XVIII საუკუნეებში თურქებმა როდოპის მთებში მოსახლე ბულგარელებს ისლამი ძალით მიაღებინეს. რელიგიამ მუსლიმი ბულგარები მათი ქრისტიანი ძმებისაგან ერთგვარად განაცალკევა. მაჰმადიანმა ბულგარელებმა ბოლო დრომდე უფრო მეტად შემოინახეს ძველი როდოპული დიალექტები და ძველი სლავური კულტურის თავისებურებანი, ვიდრე ქრისტიანმა ბულგარელებმა. ამასთანავე როდოპში დასახლდნენ თურქები, აგრეთვე თურქული ტომები იურიუკები, რომლებიც მესაქონლეობას მისდევდნენ და XIX საუკუნის შუა ხანებამდე მომთაბარეობდნენ. XVIII-XIX საუკუნეებში ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ბულგარეთში თათრებისა და ჩერქეზების ჯგუფები დასახლდნენ. თურქთა ბატონობის პერიოდში მოხდა ბულგარეთის სოციალური სტრუქტურის დეფორმაცია: ზედაფენამ არსებობა შეწყვიტა. ეთნიკური კულტურის მატარებელნი XVIII საუკუნემდე ძირითადად გლეხები იყვნენ. ენა, წეს-ჩვეულებები, სასოფლო თემის ტრადიციები, აგრეთვე მართლმადიდებლური სარწმუნოება ნათლად გამომხატველ ეთნომადიფერენცირებელ ნიშნებს წარმოადგენდა. მონასტრები ბულგარელთა ისტორიული მახსოვრობის მოწმენი იყვნენ. **ბულგარეთშია შუა საუკუნეების პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტერი, რომელიც 1089 წელს დააარსა ბიზანტიის გამოჩენილმა პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწემ, ეროვნებით ქართველმა გრიგოლ ბაკურიანისძემ.**

XIX საუკუნეში ბულგარეთში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო. თურქეთთან ომში რუსების გამარჯვებამ (1877-1878 წწ.) ბულგარელ ხალხს ნაციონალური დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა მოუპოვა.

ბულგარელთა ტრადიციული საქმიანობა სახვნელი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. ქალაქებში განვითარებული იყო ხელოსნობის მრავალი დარგი. **ბულგარეთს დღეს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ვარდის ზეთის წარმოებით**. საზოგადოებრივი ყოფისათვის დამახასიათებელი იყო ურთიერთდახმარების სხვადასხვა ფორმა. ბულგარელებში დიდი ხნის განმავლობაში შემორჩენილი იყო ხალ-

ხური ყოფის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორიცაა დიდი პატრიარქალური ოჯახი (ზადრუგა). ბულგარეთის დასავლეთ ნაწილში XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ გვხვდებოდა თემები, რომლებშიც 100-დან 150 კაცამდე ითვლიდნენ. აღმოსავლეთში კი იმავე პერიოდში ყველაზე დიდი თემი 50 კაცისაგან შედგებოდა.

ნათესავებს შორის, რომლებიც თავიანთ წარმოშობას ერთ საერთო წინაპარს უკავშირებდნენ (გვარი, род), გამოიყო უფრო მცირე ჯგუფები (გვარსახელი, фамилия). ბევრგან „ფამილიურმა“ სახელმა შეავიწროვა (გამოდევნა) უფრო ფართო გვაროვნული („როდოვოე“) სახელი. ქრისტიანობის მიღებისთანავე (865 წ.) ბულგარელთა შორის ფართოდ გავრცელდა მართლმადიდებლური სახელები, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში განაგრძობდა არსებობას სახელები, რომლებსაც ახალშობილი ავი სულებისა და ყოველგვარი უბედურებისაგან უნდა დაეცვა – ბლიაკო, დობრი, ჟივკო, ზდრავკო, ლიუბენ, ოგნიან, სტოიან. ქალის სახელები რეგულარულად მამაკაცების პირადი სახელებისაგან იწარმოებოდა: ზლატ>ზლატიცა, პროდან>პროდანა. გვარები ბულგარელთათვის დამახასიათებელი არ იყო – ის XIX ს-ში წარმოიქმნა. ოსმალეთის იმპერიისაგან განთავისუფლების შემდეგ (1878 წ.) ბულგარელებს ორწევრიანი ანთროპონიმიული მოდელი ჩამოუყალიბდათ სახელისა და გვარსახელის ერთობლიობით.

ბულგარელებში დღემდეა შემონახული შრომითი ურთიერთდახმარების ფორმები: სახლის მშენებლობის დროს, მზითვის სასწრაფოდ მომზადებისას და სხვ. დასახმარებლად იწვევდნენ ნათესავებსა და მეზობლებს. სოციალური სფეროსათვის დამახასიათებელი იყო კოლექტივიზმის ტრადიციები. სხვა სამხრეთ სლავების მსგავსად დიდი ხნის განმავლობაში შემორჩენილი იყო დიდი ოჯახი (ზადრუგა) და ოჯახების ნათესაური გაერთიანება მამის ხაზით (პატრონიმია).

ბულგარელთა ტრადიციულ ქორწილს თან ახლდა მრავალგვარი წეს-ჩვეულების შესრულება. დაკრძალვის ცერემონიალიდან საგულისყუროა ის, რომ გარდაცვლილს ენის ქვეშ მონეტას უდებდნენ (ანტიკური წეს-ჩვეულება), ანდა მისთვის მოჰქონდათ ფული, ვაშლი. სასაფლაოზე ყველა ნათესაურ გაერთიანებას თავისი ადგილი ჰქონდა. დაკრძალვა მთავრდებოდა სულის მოსახსენიებელი ტრაპეზით, რომელსაც, ჩვეულებრივ, მიწაზე შლიდნენ. ბულგარელებისა და სხვა სამხრეთ სლავებისათვის დამახასიათებელია „ზადუშნიცები“ – მიცვალებულთა მოხსენიების დღეები, როდესაც ყველანი საფლავზე მოხარშული ხორბლით მიდიან და იქ აწყობენ სულის მოსახსენიებელ ტრაპეზს. „ზადუშნიცის“ დღეებში ოჯახები ნათესაური ნიშნით ჯგუფდებოდნენ; საერთო წინაპრების ხსოვნა მათ ერთმანეთთან აახლოე-

ბდა. ბულგარელთა ეთნოგრაფიულ ყოფაზე როდესაც ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მათ წეს-ჩვეულებებში ძველი გვაროვნული ორგანიზაციის გადმონაშთებიც შემორჩა. წმინდა მფარველის დღე – „სვეტეცი“ საერთო იყო ოჯახთა ჯგუფისათვის (გვარისათვის). ამდენად, აქ გვარებს არა მარტო სახელით ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან, არამედ „სვეტეცის“ დღესასწაულითაც.

ბულგარელ გლეხებში დიდხანს იყო შემორჩენილი ძველი, ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები (ზოგიერთი მცენარისა და ცხოველის მიმართ ცრურწმენითი დამოკიდებულება). მუხებს წმინდა ხეებად მიიჩნევდნენ; აღნიშნავდნენ "მგლების დღესასწაულს". ზოგიერთი დღესასწაული თავისი წარმოშობით ანტიკურ ეპოქას უკავშირდება. მაგალითად, დღესასწაულს „ტრიფონ ზარეზანის“, რომელსაც 14 თებერვალს ზეიმობენ, დილით ვენახებში აღნიშნავენ. გლეხების სადღესასწაულო პროცესია მიემართება ვენახისკენ, სადაც ჭრიან გადაბერებულ რქებს (ლერწებს) და ასხამენ მათ ღვინოს, „რათა კარგი მოსავალი მოვიდეს“; ერთად უმასპინძლდებიან სტუმრებს და ირჩევენ „ვენახების მეფეს“. საახალწლოდ დასავლეთ ბულგარეთის სოფლებში გადაცმული ახალგაზრდები ზოომორფული ნიღბებით დადიან. მათ აცილებენ ხუმარა პერსონაჟები. როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ამ წეს-ჩვეულებაში სინთეზირებულია ძველი სლავური და თრაკიული ტრადიციები. 6 მაისს, გიორგობა დღეს (მესაქონლეთა დღესასწაული) წესად აქვთ ბატკნის მსხვერპლად შეწირვა და მისი შეწვა.

ბულგარელთა სულიერ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლიტერატურას. XIX საუკუნის ბოლო პერიოდისა და XX საუკუნის დასაწყისის დიდი პროზაიკოსი და პოეტი იყო **ივან ვაზოვი** (1850-1921 წლები). ფართოდაა ცნობილი მწერალ-სატირიკოს **ალეკო კონსტანტინოვის** სახელი (1863-1897 წლები).

2.43. მაკედონიელები

მაკედონიელების თვითსახელწოდებაა **მაკედონცი**. ძირითადად ცხოვრობენ მაკედონიის სახელმწიფოში (1,4 მილიონი კაცი). ცხოვრობენ აგრეთვე საბერძნეთში (150 ათასი), იუგოსლავიაში (46 ათასი), ალბანეთში (15 ათასი), აშშ-ში (30 ათასი), ავსტრალიაში (115 ათასი). მათი საერთო რაოდენობა 1,77 მილიონი კაცია.

მაკედონიელები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ბალკანურ-კავკასიურ რასას. ლაპარაკობენ მაკედონიურ ენაზე, რომელიც

შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახის სლავური ჯგუფის სამხრეთ ქვეჯგუფში. დამწერლობა შექმნილი აქვთ კირილიცას საფუძველზე. **მაკედონიურ ენაში მიღებულია მართლწერის ფონეტიკური პრინციპი**. მაკედონიელები მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან; გვხვდებიან მუსლიმებიც (ტორბეში).

VII საუკუნის პირველ ათწლეულში სლავებმა მაკედონიიის ტერიტორია მთლიანად დაიკავეს. მათ მოახდინეს ადგილობრივი ილირიულ-თრაკიული მოსახლეობის ასიმილაცია. ტერიტორიამ, რომელზედაც მაკედონიელი სლავები დასახლდნენ, შეინარჩუნა ძველი გეოგრაფიული სახელწოდება – მაკედონია. IX-X საუკუნეებისათვის დამახასიათებელი იყო ფეოდალური ურთიერთობის დამყარება და ქრისტიანობის ფართოდ გავრცელება. შუა საუკუნეებში მაკედონიის ტერიტორია ბულგარეთის, ბიზანტიის, სერბეთის შემადგენლობაში შედიოდა. ამ დროისათვის მაკედონიის მოსახლეობა ეთნიკურად ჭრელი შემადგენლობისა იყო ბერძნების, ვლახების, სერბების და სხვათა გადმოსახლების ხარჯზე.

ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მაკედონიის შეყვანის შემდეგ (XIV საუკუნის დასასრული) აქ ალბანელებისა და, განსაკუთრებით, თურქების დასახლება ინტენსიური გახდა, რომლებიც არა მარტო ქალაქებში, არამედ ნაყოფიერ სასოფლო რაიონებშიც დამკვიდრდნენ. მათმა დასახლებამ ადგილობრივი მოსახლეობის მთებში გახიზვნა გამოიწვია. ფეოდალების, ვაჭრებისა და ხელოსნების ნაწილმა პრივილეგიების შენარჩუნების მიზნით ისლამი მიიღო. ზოგიერთი გლეხიც მაჰმადიანი გახდა, მაგრამ მათ ენა და წეს-ჩვეულებები შეინარჩუნეს. მაჰმადიანები მაკედონიაში ბევრად მცირე რაოდენობით იყვნენ, ვიდრე ბოსნიაში.

მაკედონიელთა ისტორიული წარსულისა და, ნაწილობრივ, მათი საბინადრო ადგილის სხვადასხვაობის გამო (ქვაბულები, მთები) რამდენიმე ეთნოგრაფიული ჯგუფი ჩამოყალიბდა: **შოპები, მიაკები, ბრსიაკები, ტობეშები**... თითოეულ ამ ჯგუფს შენარჩუნებული აქვს ზოგიერთი კულტურულ-ყოფითი თავისებურება.

სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მიწათმოქმედება (მარცვლეული, ტექნიკური კულტურები – თამბაქო, ყაყაჩო (ხაშხაში), ბამბა). მისდევენ მებაღეობას, მევენახეობას, მებოსტნეობას, მესაქონლეობას (მთებში ძირითადად მეცხვარეობას). ერთ-ერთი დამხმარე დარგია მეფუტკრეობა.

მცირემიწიანობის გამო, წარსულში მაკედონიელი გლეხები გარე სამუშაოზე მიდიოდნენ როგორც მეზობელ ქვეყნებში, ისე ამერიკაში.

მაკედონიაში დიდი სოფლები იშვიათია. 80-კომლიანი სოფლები დიდ სოფლებად ითვლება. ოსმალთა ბატონობის ბოლო წლებში და თურქთა უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ მოსახლეობის დიდი გადაადგილება მოხდა. მთებიდან ადამიანები ბარში, გზებისა და სავაჭრო ცენტრების მახლობლად გადასახლდნენ.

მაკედონიამ სამხრეთსლავურ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდხანს შეინარჩუნა გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობის გადმონაშთები და საოჯახო ყოფა. XX საუკუნის დასაწყისამდე სოფლებში მონათესავე ოჯახთა დიდი ჯგუფები გამოიყოფოდა, რომლებიც ერთ სახელს (გვარსახელს) ატარებდნენ. ამ ჯგუფის წევრებს შორის ქორწინება აკრძალული იყო. ტრადიციული საზოგადოებრივი ყოფისათვის დამახასიათებელი იყო სასოფლო თემი უხუცესთა საბჭოს მეთაურობით და სასოფლო ყრილობა. ფართოდ იყო გავრცელებული ურთიერთდახმარება. ყოფაში იყო ორი ტიპის ოჯახი: პატარა და დიდი. „ზადრუგა“ აქ XX საუკუნემდე შემორჩა.

მართალია, მაკედონიელები მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, მაგრამ მათთან აშკარადაა გამოხატული ქრისტიანობისა და წარმართული წარმოდგენების გადმონაშთების სინკრეტიზმი. ყველა სოფელს ჰყავდა თავისი მფარველი, რომელიც მათ უბედურებისაგან იცავდა. მფარველის (სტოპანის) გულის მოსალბობად სოფელი საერთო მსხვერპლს სწირავდა. გავრცელებული იყო წმინდა ხეების, ქვების, წყაროების თაყვანისცემაც. მაკედონიელებისათვის ერთ-ერთი სათაყვანებელი დღესასწაულია გიორგობა.

მაკედონიელთა ფოლკლორში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სიმღერებს.

მაკედონური გვარები ძალიან გვიანდელი წარმოშობისაა. მათი ჩამოყალიბება ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასრულდა. გვარსახელებს საფუძვლად მამის სახელები უდევს, იშვიათად – გეოგრაფიული სახელწოდებანი. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში -ევ /-ოვ ფორმანტიანი გვარები ჭარბობს, დასავლეთში – -სკი /-ვსკი სუფიქსიანები.

2.44. ბოსნიელები (მუსლიმები)

ბოსნიელების თვითსახელწოდებაა **მუსლიმანე, ბოსანცი**. ისინი დღეს ძირითადად ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ცხოვრობენ (1,8 მილ.). ცხოვრობენ აგრეთვე იუგოსლავიაში, ხორვატიაში, ავსტრიაში, თურქეთში, აშშ-ში. მათი საერთო რაოდენობა 2,1 მილიონი კაცია.

ლაპარაკობენ სერბულ-ხორვატულ ენაზე. ბოსნიელთა მეტყველებაში ბევრი ნასესხობაა თურქული და სხვა აღმოსავლური ენებიდან. ბოსნიელები მუსლიმი-სუნიტები არიან. იუგოსლავიის აღწერებში ისინი ძირითადად აღირიცხებოდნენ როგორც ეთნიკური მუსლიმები: 1948 წელს – გაურკვეველი მუსლიმები, 1953 წ. – გაურკვეველი იუგოსლავები, 1961 წ. – „მუსლიმები“ (ეთნიკური მიკუთვნებულობა), 1971 წ. – „მუსლიმები“ ხალხის მნიშვნელობით, 1981 და 1991 წლები – „მუსლიმები“.

ბოსნიელები იმ სერბებისა და ხორვატების შთამომავალნი არიან, რომლებმაც ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ისტორიულ ოლქებში, ოსმალების ბატონობის დროს, ისლამი მიიღეს. მათში ღრმად შეიჭრა თურქული კულტურა. განსაკუთრებით ძალიან ბევრ თურქულ სიტყვასა და გამოთქმას აქვს ფესვი გადგმული ხალხის ცხოვრების იმ სფეროებში, რომლებმაც უფრო მეტად განიცადა თურქული კულტურის გავლენა (ხელოსნობა, ავეჯი, საკვები, ტანსაცმელი...). სამეურნეო (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა) ტერმინოლოგიაში თურქიზმები თითქმის არ შეჭრილა.

ბოსნიელთა სახელები, განსაკუთრებით მამაკაცების, თითქმის ყოველთვის არაბული და თურქულია. ისლამის მიღების მიუხედავად, ბოსნიელებმა შეინარჩუნეს ადრინდელი გვარსახელები, რომლებიც ჩვეულებრივ -ვიჩ-ზე და -იჩ-ზე ბოლოვდება.

თანამედროვე ბოსნია და ჰერცოგოვინა, ისე როგორც სხვა სამხრეთელი სლავების ტერიტორია, სლავი ტომებით VI-VII საუკუნეებში იქნა დასახლებული, რომლის საფუძველზე შემდეგ სერბები და ხორვატები წარმოიშვნენ.

X-XI საუკუნეებში სერბული მიწის შემადგენლობაში ბოსნია განსაკუთრებული ჟუპა იყო. ის სერბთა ქვეშევრდომობისაგან XII საუკუნეში განთავისუფლდა და ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდა, თუმცა შემდეგ იძულებული იყო ლავირების პოლიტიკა ეწარმოებინა უნგრეთსა და სერბეთს შორის და ხან კათოლიკურ, ხან კი მართლმადიდებელ ეკლესიას ეყრდნობოდა. ბოსნიაში ხალისით ღებულობდნენ და იზიდავდნენ კიდევაც ბულგარეთიდან გამოქცეულ სექტანტებს (ბოგომილებს). ამ პოლიტიკამ ქვეყანაში რელიგიური შემწყნარებლობის ატმოსფეროს შექმნა განაპირობა. თურქთა ბატონობის დროს დასავლური (კათოლიკური), სერბულ-მართლმადიდებელი და ბოგომილსტვოს ეკლესიების ურთიერთშორის ბრძოლამ აქ ისლამის შეღწევა ერთგავარად გააადვილა. ბოსნიაში ბევრი თურქი, არაბი, ქურთი, კავკასიელი გადმოსახლდა. ამის გამო, ბოსნიელებში საკმაო რაოდენობითაა სხვა ხალხთა მინარევი. უკვე XVI საუკუნეში

აქ მუსლიმები საკმაო რაოდენობით იყვნენ. როგორც იმ დროის საისტორიო წყაროებით ირკვევა, ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე ოჯახში ძმების ნაწილი ქრისტიანი იყო, ნაწილი კი – მუსლიმი, ანდა შვილები – მუსლიმები და მშობლები – ქრისტიანები. ერთსა და იმავე სოფელში გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ მუსლიმები და ქრისტიანები. ისლამის მიღება ძირითადად ეკონომიკური მიზეზებით იყო განპირობებული: მუსლიმები უფრო ნაკლებ გადასახადებს იხდიდნენ, ვიდრე ქრისტიანები. ფართოდ გავრცელდა ისლამი ბოგომილებს შორის, მაგრამ საკმაო რაოდენობით იყვნენ გამაჰმადიანებული კათოლიკეები და მართლმადიდებლებიც.

ოსმალთა ბატონობა ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში XV საუკუნის მეორე ნახევრიდან 1878 წლამდე გაგრძელდა. როდესაც ოსმალეთის იმპერიამ ევროპაში სამფლობელოების დაკარგვა დაიწყო (XVII ს-ის დასასრული), სხვადასხვა სამხრეთსლავური მიწების მაჰმადიანურმა მოსახლეობამ ბოსნიაში მოიყარა თავი და მისი ეთნიკური შემადგენლობაც უფრო მეტად აჭრელდა. ბოსნიელთა (მუსლიმთა) კულტურის საფუძველია ძველი სლავური კულტურა, რომელსაც თურქებისა და მცირე აზიიდან მოსული ხალხების კულტურა დაეფინა. ეს გავლენა განსაკუთრებით ქალაქების არქიტექტურაშია საგრძნობი (მეჩეთები, სახელოსნოები, დიდი ბაზრები), საცხოვრებლის დაგეგმარებაში (სახლების გაყოფა მამაკაცთა და ქალთა ოთახებად), საკვებში – ცხიმიანი კერძები და ტკბილეულობა, ტანსაცმელსა და, განსაკუთრებით, რელიგიურ ყოფაში, საკუთარ სახელებში.

მთებში განვითარებულია მეცხვარეობა, ბარში ბევრი ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. მდინარე სავის გასწვრივ მოჰყავთ მარცვლეული და ტექნიკური კულტურები. ბოსნიაში ქლიავის ბევრი ბაღი აქვთ გაშენებული. მოჰყავთ თამბაქო, ლეღვი, ნუში, ზეთისხილი, ყურძენი.

მიუხედავად იმისა, რომ ისლამი პოლიგამიის ნებას რთავდა, ბოსნიელ მუსლიმებში მრავალცოლიანი მამაკაცი იშვიათად შეგხვდებოდათ. ასევე არ მიიღეს მათ ნათესავებზე დაქორწინების წესი.

2.45. სერბები

სამხრეთ სლავების ეთნოგენეზი სათავეს შორეულ წარსულში იღებს. ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილი ოდითგანვე ილირიული ტომებით იყო დასახლებული, რომლებმაც ანტიკურ ეპოქაში ელინური გავლენა განიცადეს. სლავური ტომების ჩრდილოეთი-

დან, დუნაის მხრიდან, შემოჭრა ახ.წ. I ს-ში დაიწყო, VI-VII სს-ში კი ამ პროცესმა ფართო ხასიათი მიიღო. ილირიული მოსახლეობა სლავებს არც ამოუწყვეტიათ და არც შეუვიწროებიათ, ისინი მათ თანდათან შეერივნენ. **ნახევარკუძულის დასავლეთ ნაწილში „სკლავინები“ დასახლდნენ, აღმოსავლეთში – ანტები.**

სერბების თვითსახელწოდებაა **სრბი**. ძირითადად ცხოვრობენ სერბეთში (6 მილ. 428 ათასი). ცხოვრობენ აგრეთვე ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში (1 მილ. 380 ათასი), ხორვატიაში (581 ათასი), მეზობელ ევროპულ ქვეყნებში – რუმინეთში (34 ათასი), ავსტრიაში (35 ათასი), უნგრეთში (13 ათასი), გერმანიაში, აგრეთვე აშშ-ში (230 ათასი), კანადაში (60 ათასი), არგენტინაში (10 ათასი), ავსტრიაში (25 ათასი).

სერბები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ბალკანურ-კავკასიური რასის სამხრეთ შტოს.

ისინი ლაპარაკობენ ინდოევროპულ ენათა ოჯახის სლავური ჯგუფის სერბულ-ხორვატულ ენაზე (სლავური ჯგუფის სამხრეთ ქვეჯგუფი), რომელშიც სამი კილო გამოიყოფა. იმ რაიონებში, სადაც სერბები სხვა ხალხებთან ერთად ცხოვრობენ, მაგალითად, ვოევოდინაში, ისინი ხშირად ორენოვანნი არიან. დამწერლობა შექმნილი აქვთ კირილიცას საფუძველზე. სერბთა უმეტესობა მართლმადიდებელია, უმნიშვნელო ნაწილი – კათოლიკე და პროტესტანტია, არიან მუსლიმი-სუნიტებიც.

სამხრეთ სლავების, მათ შორის, სერბების ეთნიკური ისტორია დაკავშირებულია VI-VII საუკუნეებში სლავების მასობრივ გადმოსახლებასთან ბალკანეთში. ადგილობრივი მოსახლეობა უმეტესად ასიმილირებულ იქნა, ნაწილობრივ კი შევიწროებული დასავლეთისა და მთიანი ოლქებისაკენ. სერბების, ჩერნოგორიელებისა და ბოსნიელ-ჰერცოგოვინელთა წინაპარმა სლავურმა ტომებმა ყოფილი იუგოსლავიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავეს (სავისა და დუნაის აუზების სამხრეთი შენაკადები, დინარის მთები, ადრიატიკის სამხრეთი ნაწილი). ესენი იყვნენ: საკუთრივ **სერბები, ტერვუნიები, კონავლიები, ზახლუმიები**, **ნარეჩანები**. სერბების წინაპართა განსახლების ცენტრი იყო რაშკას ოლქი, სადაც VIII საუკუნის მეორე ნახევარში სახელმწიფო ჩამოყალიბდა. IX საუკუნის შუა ხანებში შეიქმნა სერბეთის სამთავრო. X-XI საუკუნეებში პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი ხან სამხრეთ-დასავლეთში გადაინაცვლებდა, ხან რაშკაში. სერბეთის სახელმწიფომ დაპყრობითი პოლიტიკის შედეგად XII საუკუნეში, XIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIV საუკუნეში მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი საზღვრები, მათ შორის, ბიზანტიური მიწების ხარ-

ჯზე, ამან კი ბიზანტიური ცხოვრების გავლენა განაპირობა სერბული საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე, კერძოდ, ფეოდალურ ურთიერთობებზე, იურისპრუდენციაზე, ხელოვნებაზე და სხვ.

სერბეთის სახელმწიფომ ბიზანტიური მიწები მალე დაკარგა. მიუხედავად ამისა, ბიზანტიურმა სამართალმა და საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა, სპეციფიკურმა ბიზანტიურმა ფეოდალურმა სისტემამ, ლიტერატურამ, რომელიც ბიზანტიური წიაღიდან ამოიზარდა, ძალიან დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების სერბულ კულტურაზე. ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში მნიშვნელოვანი ეთნიკური პროცესები მიმდინარეობდა: გასლავდა რომანიზებული ილირიული მოსახლეობის – ვლახების ნაწილი. ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე რომაულმა ქალაქებმა უფრო მეტად მიიღო სლავური ეთნიკური იერ-სახე, თუმცა შეინარჩუნა რომაული კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები. გერმანელი გადმოსახლებულები – საქსები, რომლებიც აქ XIII საუკუნეში მოვიდნენ, როგორც მადაროს მუშები, ასევე ასიმილირდნენ სერბ მოსახლეობასთან. **1383 წელს, კოსოვოს ველზე დამარცხების შემდეგ, სერბეთი ოსმალეთის იმპერიის ვასალად იქცა, 1459 წელს კი მის შემადგენლობაში შევიდა.** სერბეთის შემდეგ მალევე დაიმორჩილეს ბოსნია (1463 წ.), ჰერცოგოვინა (1482 წ.), ჩერნოგორია (1499 წ.). ოსმალთა ბატონობა ხუთ საუკუნეს გაგრძელდა, რამაც სერბთა ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარება შეაფერხა. ოსმალთა ბატონობის პერიოდში სერბები არაერთხელ გადასახლდნენ როგორც ქვეყნის შიგნით (ძირითადად მთიან რაიონებში), ისე მის ფარგლებს გარეთ, ძირითადად ჩრდილოეთსა და უნგრეთის ფარგლებში – ვოევოდინაში. ამ გადაადგილებამ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლა და სასაზღვრო ზოლში სერბებისა და ხორვატების შერევა გამოიწვია. ბალკანეთში კი დაპყრობილი სლავური ტერიტორიების კოლონიზაცია მიმდინარეობდა თურქებისა და ალბანელების მიერ. სერბთა ორმა აჯანყებამ (1804-1813, 1815 წწ.) ისინი ჯერ ავტონომიამდე (1833 წ.) და შემდეგ დამოუკიდებლობამდე მიიყვანა (1878 წ.). ამ მოვლენებმა სერბთა ნაციონალური თვითშეგნების ამაღლება გამოიწვია. განთავისუფლებულ მხარეებში მოსახლეობის ახალ დიდ გადაადგილებებს ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთი ცენტრალური ოლქის – შუმადიის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მიგრანტები შეადგენდნენ. ეს ოლქი სერბი ხალხის კონსოლიდაციის ცენტრად იქცა. დაიწყო ნაციონალური აღორძინების პროცესი.

სერბების ისტორიული ბედი ისე წარიმართა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისინი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულ-

ტურული თვალსაზრისითაც სამ სახელმწიფოს შორის იყვნენ გადანაწილებულნი (სერბია, ოსმალეთის იმპერია, ავსტრია-უნგრეთი), რამაც სერბეთის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ყოფასა და კულტურას გარკვეული დაღი დაასვა. სერბები მაღალი ნაციონალური ერთობით გამოირჩევიან, მიუხედავად იმისა, რომ მათში შემორჩენილია რეგიონალური ჯგუფების სახელწოდებანი (**შუმადიელები, უჟიჩნები, მოსაველები, მაჩვანები, კოსოველები, სრემცები, ბანაჩანები** და სხვ.). სერბთა ცალკეული ლოკალური ჯგუფების კულტურაში მკვეთრად გამოკვეთილი საზღვრები არ არსებობს.

სერბები ერთ სახელმწიფოში 1918 წელს გაერთიანდნენ, როდესაც შეიქმნა სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფო.

წარსულში სერბეთში განვითარებული იყო მიწათმოქმედება (მარცვლეული კულტურები), მებაღეობა (განსაკუთრებით ქლიავის კულტურა), მევენახეობა. მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მესაქონლეობა, მეღორეობა. მისდევდნენ აგრეთვე თევზჭერას, მონადირეობას. განვითარებული იყო ხელოსნობა-მეთუნეობა, ხეზე და ქვაზე კვეთა, საფეიქრო საქმე, მათ შორის, ხალიჩების ქსოვა და ა.შ.

სერბთა ტრადიციული საკვები ეთნოგრაფიული მხარეების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. ყველგან ჭამდნენ პურს. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სიმინდს (მისგან აცხობდნენ პურს, ხარშავდნენ ფაფას), ლობიოს, კარტოფილს, კომბოსტოს, წიწაკას. ხორცს (განსაკუთრებით – ღორის ხორცს) ზამთარსა და სადღესასწაულო დღეებში მიირთმევდნენ.

სერბთა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის წარსულში დამახასიათებელი იყო სასოფლო თემი. ფართოდ იყო გავრცელებული ურთიერთდახმარების სხვადასხვა ფორმები. სერბებში ოჯახის ორი ტიპი არსებობდა – უბრალო (პატარა) და რთული (დიდი). ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ფართოდ იყო გავრცელებული **ზადრუგა** (ერთ ოჯახში 50 და მეტი ადამიანის ცხოვრება). ზადრუგისათვის დამახასიათებელი იყო მიწის კოლექტიური საკუთრება.

ქრისტიანობა სერბებმა ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებში ბიზანტიელებისაგან მიიღეს. დღეს მოსახლეობის დიდი ნაწილი მართლმადიდებელია, მაგრამ **გვხვდებიან კათოლიკეებიც (შოკები) – 8 800 კაცი, პროტესტანტები – 7 000 კაცზე მეტი და მუსლიმები – 57 ათასი**. თურქთა ბატონობის დროს მოსახლეობის ნაწილმა ისლამი მიიღო, მაგრამ შეინარჩუნა სერბულ-ხორვატული ენა და ძველი წეს-ჩვეულებები. შემორჩენილია ქრისტიანობამდელი რწმენის (მაგალითად, წვიმის გამოწვევის) ელემენტები.

IX საუკუნიდან სერბებს შორის კანონიზებული ქრისტიანული სახელები გავრცელდა. კანონიზებულ სახელებს დიდი ხნის განმავლობაში სერბული სახელები წინააღმდეგობას უწევდა, მაგალითად, ვუკ (მგელი). თურქთა ბატონობის დროს სერბული სახელები თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთი გამოხატულიბა იყო. სერბულ სახელებს დაახლოებით 50 სუფიქსი ერთვის. მრავალრიცხოვანი აქვთ შედგენილი სახელები, მათ მამაკაცების მესამედი ატარებს (მიროსლავ, რადომირ). ყველაზე **გავრცელებულ ათ სახელს შორის შეიძლება დავასახელოთ: დრაგანი, ზორანი, მილანი, სლობოდანი, მიროსლავი, მილოდრაგი, დუშანი, რადომირი, პეტარი, ვლადიმირი.** სერბთა გვარების 94% -იჩ ფორმანტით ბოლოვდება. ზოგიერთ სოფელში, გარდა ოფიციალური გვარებისა, აქვთ პარალელური გვარებიც, რომლებსაც მცხოვრებნი მხოლოდ სოფლის შიგნით იყენებენ.

2.46. ხორვატები

ხორვატების თვითსახელწოდებაა **ხრვატი** (**hrvati**). დასავლეთ ევროპულ ენებში მიღებულია ეთნონიმის ლათინიზირებული ფორმა **კროატი** (**die Kroaten, Les Croates**). ისინი ძირითადად ცხოვრობენ ხორვატიის სახელმწიფოში (4,5 მილიონი კაცი 1998 წლის მონაცემებით). ცხოვრობენ აგრეთვე სერბეთში, რომელიც იუგოსლავიის რესპუბლიკაში შედის (1991 წლის მონაცემებით 109 ათასი კაცი), ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში (755 ათასი კაცი), გერმანიაში (150 ათასი კაცი), ავსტრიაში (100 ათასი), უნგრეთში (15 ათასი), იტალიაში (15 ათასი), რუმინეთში (8 ათასი), აშშ-ში (120 ათასი), კანადაში (70 ათასი), ავსტრალიაში (147 ათასი). ხორვატთა საერთო რაოდენობა 5,65 მილიონი კაცია.

ხორვატები ანთროპოლოგიურად დიდი ევროპეიდული რასის ბალკანურ-კავკასიური რასის დინარის ვარიანტს მიეკუთვნებიან. ხორვატები სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფს მოიცავს: **ზაგორელები, მედიუმურელები, პრიგორელები, ლიჩანები, ფუჩკები, ჩიჩები, ბუნეველები...** ხორვატები ლაპარაკობენ ინდოევროპულ ენათა ოჯახის სლავურ ენათა სამხრეთ ქვეჯგუფის სერბულ-ხორვატულ ენაზე. ხორვატებისა და სერბების ლექსიკას შორის მხოლოდ ზოგიერთი სხვაობაა. ხორვატული ენა ძირითადად სამი დიალექტისაგან შედგება: **შტოკავის (მასზე ლაპარაკობს ხორვატთა უმეტესობა. მის საფუძველზე წარმოიქმნა სალიტერატურო ენა. ამ დიალექტზე ლაპარაკობენ ბოსნიელი სერბები და ჩერნოგორიელებიც), კაიკავურისა და ჩა-**

კავურისაგან. დამწერლობა ხორვატებს შექმნილი აქვთ ლათინური გრაფიკის საფუძველზე.

ისევე როგორც ყველა სამხრეთ სლავის, ხორვატთა ეთნიკური ისტორიაც ბალკანეთში VI-VII საუკუნეებში სლავების მასობრივ გადმოსახლებასთანაა დაკავშირებული. ხორვატთა წინაპრებმა **(კაჩიჩები, შუბიჩები, სვაჩიჩები, მაგოროვიჩები...)** ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია მოახდინეს. IX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა ხორვატიის სახელმწიფო. XII საუკუნის დასაწყისში ხორვატული მიწების დიდი ნაწილი უნგრეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა, ხოლო XV საუკუნის შუა ხანებიდან – ვენეციისა (რომლებმაც ჯერ კიდევ XI საუკუნეში დალმაციის ნაწილი დაიპყრეს). XVI საუკუნეში ხორვატთა მიწების ნაწილი ჰაბსბურგების გამგებლობაში იყო, ნაწილი კი ოსმალებისა (ამ პერიოდში ხორვატების ნაწილმა ისლამი მიიღო). XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში ხორვატია მთლიანად ჰაბსბურგების იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ოსმალთა თავდასხმებისაგან თავდაცვის მიზნით შეიქმნა გამაგრებული ზოლი (ე.წ. სამხედრო საზღვარი), რომლის მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა **გრანიჩარების** სახელწოდება მიიღო, რომლებიც აღმოსავლეთ ხორვატიიდან, სერბეთიდან და ბოსნიიდან გამოქცეული ხორვატებისა და სერბებისაგან შედგებოდნენ. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჰაბსბურგებმა ცენტრალიზაციისა და გერმანიზაციის პოლიტიკა გააძლიერეს, რამაც 1790 წელს ხორვატები უნგრეთის სამეფოზე პოლიტიკურად დამოკიდებულები გახადა. უნგრეთის ხელისუფლება კი მადიარიზაციის პოლიტიკას ატარებდა. XIX საუკუნის 30-40-იან წლებში გაძლიერდა ხორვატული ნაციონალური კულტურის აღორძინებისათვის ბრძოლა. 1918 წელს ხორვატები სერბებთან და სლოვენებთან ერთად ერთ სამეფოში გაერთიანდნენ (1929 წლიდან – იუგოსლავია). 1920 წელს ადრიატიკის ხორვატთა ნაწილი იტალიის გამგებლობაში აღმოჩნდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხორვატია იუგოსლავიის შემადგენლობაში შევიდა; 1991 წლიდან ის დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

სამეურნეო ტიპისა და ბუნებრივი პირობების მიხედვით **ხორვატიას სამ ძირითად ოლქად ყოფენ. ესენია: პანონიის, დინარიისა და ადრიატიკის (ზღვისპირეთის) ოლქები.** პანონიის ოლქში განვითარებულია მიწათმოქმედება (ძირითადად მოჰყავთ მარცვლეული კულტურები), მებოსტნეობა, მებაღეობა, მევენახეობა. მოჰყავთ ტექნიკური კულტურებიც. მისდევენ მესაქონლეობასაც. წარსულში დინარიის ოლქში მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მეცხვარეობა. ადრიატიკის ოლქში განვითარებულია მევენახეობა და მეხილეობა. მარცვლეული კულტუ-

რები მოჰყავთ მცირე რაოდენობით. აქ მიწათმოქმედების ტერასული სისტემაა გავრცელებული.

ხორვატები, ისევე როგორც სერბები, მარცვლეული კულტურებიდან თესავენ ხორბალს, ჭვავს, ქერს, შვრიას, სიმინდს. ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მოჰყავთ ციტრუსები, ნუში, ლეღვი, ზეთისხილი. სანაპიროს მცხოვრებნი მისდევენ მეთევზეობას.

ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის ქალაქები გვაქვს (რიეკა, ზადარი, სპლიტი, დუბროვნიკი...), რომელთა უმეტესობა წარმოქმნილია ბერძნულ და რომაულ ეპოქებში. მათთვის დამახასიათებელია ძალიან ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული, ხშირად საფეხურებრივი ქუჩები. ზღვისპირა ქალაქებში შემორჩენილია ანტიკური ეპოქის მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები.

პურეულით განთქმულ რაიონებში ძირითადად ხორბლის პურს ჭამენ, ზაგორიის ხორვატულ ნაწილში კი – სიმინდისას. ზოგიერთ ადგილას საჭმელად გამოიყენებენ ჭვავისა და ქერის პურს. ხშირად პურს სიმინდის ფაფას უნაცვლებენ. ხორვატებში დიდხანს იყო შემორჩენილი თემური ტრადიციები – ურთიერთდახმარება, თვითმმართველობა და ა.შ. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში არსებობდა მამაკაცთა კავშირების გადმონაშთები. ხორვატებში დიდი ოჯახის (ზადრუგა) დაშლა უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე სხვა სამხრეთ სლავებში.

ხორვატები რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას მიეკუთვნებიან. მათი უმნიშვნელო ნაწილი მართლმადიდებელი და პროტესტანტიცაა. რამდენიმე ასეული ოჯახი კალვინისტია. კალვინიზმი ხორვატებში 1550-1700 წლებში, თურქთა მმართველობის პერიოდში, გავრცელდა. ზოგიერთი სოფლის მოსახლეობაში გვხვდება ნაზარენელთა და ადვენტისტთა სექტები. კათოლიკურმა ეკლესიამ დიდი გავლენა იქონია ხორვატი ხალხის ცხოვრების ყველა მხარეზე. გლეხობის ზოგიერთ ნაწილში შემორჩენილია ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები. დღესასწაულობენ წმინდა გიორგობას. 6 მაისის ეს დღე ზამთრისა და ზაფხულის გამყოფად ითვლება – ამ დროს იწყება საქონლის საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვა. დალმაციაში არცთუ დიდი ხნის წინ ჯერ კიდევ მეფის არჩევის წეს-ჩვეულება იყო შემორჩენილი. დღესასწაულით არჩეულ მეფეს ქაღალდის გვირგვინს, კვერთხს და დაირას გადასცემდნენ. ხორვატთა ზეპირ ხალხურ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგმირო ეპოსს. გავრცელებულია „ჩასტუშკის“ ტიპის სიმღერები, რომლებსაც ძირითადად ცეკვების დროს ასრულებენ.

კათოლიკურ ხორვატიაში ძირითადად რომის ეკლესიის მიერ კანონიზებული ქრისტიანული სახელებია გავრცელებული. ზედაფენა უმეტეს შემთხვევაში შედგენილ სახელებს ატარებდა. რომელთა მეო-

რე კომპონენტი -მირ და -სლავ იყო. ხორვატიელთა ანთროპონიმიული მოდელი ორწევრიანია (საკუთარი სახელი + გვარსახელი). გვარების უმეტესობა –იჩ სუფიქსით ბოლოვდება. გვხვდება –კ, -რც, -ნც, -არ, -შ სუფიქსიანი გვარსახელებუც. ყველაზე ხშირია გვარსახელი ხორვატი. საოცარია ამ გვარის გეოგრაფია: მისი 20715 მატარებლიდან 20 ათასზე მეტი ჩრდილოეთის პატარა ტერიტორიაზე ცხოვრობს. ზოგიერთ სასოფლო დასახლებაში გვართან ერთად სხვა მემკვიდრეობით სახელსაც გამოიყენებენ, რომელიც სოფლის ყველა მცხოვრებმა იცის.

2.47. ჩერნოგორიელები

ჩერნოგორიელების თვითსახელწოდებაა **ცრნოგორცი**. ისინი ცხოვრობენ ჩერნოგორიის სახელმწიფოში (380,4 ათასი კაცი, 1991 წ.). მათი საერთო რაოდენობა 520 ათასი კაცია. მკვიდრობენ აგრეთვე აშშში (15 ათასი), სადაც XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ემიგრირდნენ. 5 ათასი ჩერნოგორიელი ალბანეთში ცხოვრობს.

ჩერნოგორიელები დიდი ევროპეიდული რასის სამხრეთულ შტოს მიეკუთვნებიან. **ლაპარაკობენ სერბულ-ხორვატული ენის შტოკავურ დიალექტზე.** დამწერლობა შექმნილი აქვთ კირილიცას საფუძველზე. ძირითადად მართლმადიდებლები არიან; გვხვდებიან მაჰმადიანებიც.

სამხრეთ სლავებისა და, მათ შორის, ჩერნოგორიელთა ეთნიკური ისტორიაც დაკავშირებულია ბალკანეთში VI-VII საუკუნეებში სლავური ტომების მასობრივ გადმოსახლებასთან. ამ დროს ადგილობრივი მოსახლეობა სლავების მიერ ან ასიმილირებული, ან კიდევ შევიწროებულ იქნა დასავლეთის მიმართულებითა და მთიანი ოლქებისკენ. შუა საუკუნეების მანძილზე ჩერნოგორიის ტერიტორია ან დამოუკიდებელი იყო, ან შედიოდა სხვა სამხრეთ სლავური სახელმწიფოს, აგრეთვე ბიზანტიის, ბულგარეთისა და ვენეციის შემადგენლობაში. 1499 წელს ჩერნოგორია თურქებმა დაიპყრეს, მაგრამ ისინი მათ შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ და დამპყრობთა ხელისუფლებას არ ცნობდნენ. ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ ჩერნოგორიელთა შეუპოვარი ბრძოლა მათი, როგორც დამოუკიდებელი ხალხის, ფორმირებისთვის არსებითი ფაქტორი იყო. თურქებმა ჩერნოგორიაში თავიანთი ხელისუფლების დამყარება სრულად ვერასოდეს ვერ მოახერხეს. თურქთა და ვენეციელთა წინააღმდეგ განუწყვეტელმა ბრძოლებმა ჩერნოგორიელებში განსაკუთრებული მებრძოლი სული გამოაწრთო. ყველა მამაკაცი, უკლებლივ, მეომარი იყო. სამხედრო ყოფამ, ეკონომიკურმა ჩამორჩენილობამ და ქვეყნის იზოლაციამ ძველი

გვაროვნულ-ტომობრივი წყობის შენარჩუნება განაპირობა. **დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მართლმადიდებელი სამღვდელოებაც მონაწილეობდა. ეკლესიის მეთაური – მეუფე (მიტროპოლიტი, რომელიც იმყოფებოდა ცეტინში) ერთდროულად ჩერნოგორიელი ხალხის მეთაურიც იყო, მის ხელში იყო მოქცეული სასამართლო ხელისუფლებაც.** ზეტის მთებში სხვა სერბული ოლქებიდან მუდმივად მოდიოდნენ თურქთა უღლისაგან ნაწამები ლტოლვილები. ჩერნოგორიელებს მუდმივი შეხება ჰქონდათ ალბანელებთანაც. ამიტომ მათ შორის მცირე რაოდენობით არ არიან ასიმილირებული ალბანელები.

ჩერნოგორიელთა განუწყვეტელმა ბრძოლამ 1796 წელს ეს ხალხი ფაქტობრივ დამოუკიდებლობამდე მიიყვანა. 1918 წლიდან ჩერნოგორია სერბეთის, ხორვატიისა და სლოვენიის სამეფოს შემადგენლობაში იყო (1929 წლიდან – იუგოსლავია).

მიუხედავად იმისა, რომ ჩერნოგორიელები წარმოშობით, ენითა და კულტურით ახლოს არიან სერბებთან, მათ შორის არსებითი განსხვავებაცაა. **ჩერნოგორიელთა ეთნოსის ყოფა და კულტურა განსხვავებულია, რაც არა მარტო მთიან გეოგრაფიულ გარემოში ცხოვრებამ განაპირობა, არამედ იმ გასამხედროებული ცხოვრების წესმაც, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჰქონდათ ჩამოყალიბებული.**

ჩერნოგორიელთა ტრადიციული მეურნეობის წამყვანი დარგი მომთაბარული მესაქონლეობაა (საქონელს მთაში 5-6 თვე მიერეკებოდნენ), განსაკუთრებით – მეცხვარეობა. განვითარებული იყო მიწათმოქმედებაც (მარცვლეული, ტექნიკური კულტურები. ბოლო დროს – თამბაქო, ბამბა, კანაფი). მიწათმოქმედებისათვის ჩერნოგორიელები მთისწინეთში ნაკვეთებს წმენდნენ და მიწა შორიდან კალათებით მოჰქონდათ. მთის ფერდობებზე, ველებსა და, განსაკუთრებით, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მოჰყავდათ ხილი, მათ შორის, ციტრუსები, ყურძენი და ზეთისხილი. მისდევდნენ მეთევზეობას. განთქმული იყვნენ ხისა და ქვის დამუშავებით, საიუველირო ნაწარმით.

ჩერნოგორიელების ტრადიციული საკვებია პური, სიმინდი, კარტოფილი, ლობიო, კომბოსტო. ზღვისპირეთში ჭამენ ბევრ ბოსტნეულსა და თევზს, მთებში – რძის პროდუქტებს, განსაკუთრებით ცხვრის რძისაგან დამზადებულს. ახალ ხორცს ცოტას ჭამდნენ. მას ძირითადად ზამთრისათვის ამზადებდნენ, ამარილებდნენ, ახმობდნენ და კვამლში გამოჰყავდათ. დღესასწაულებზე წვავდნენ ცხვარსა და გოჭს.

XIX საუკუნეში ჩერნოგორიელებისათვის დამახასიათებელი იყო გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის არსებობა. ჩერნოგორიელთა

ტომები იმავდროულად სამხედრო-ტომობრივი კავშირები, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული და სამეურნეო ერთეულები იყვნენ. ისინი იყოფოდნენ საძოებად და გვარებად. სტარა ჩერნოგორია ოთხ ოლქად – ნახიად იყოფოდა, თითოეული მათგანი კი შედგებოდა ათი და მეტი „ტომისაგან“. ტომები ჩამოყალიბებული იყო სხვადასხვა ეთნიკური კომპონენტებისაგან (ხალხური წარმოდგენით ყოველ ტომს ჰყავდა თავისი წინაპარი). აქ ბევრი მიგრირებულია სერბეთიდან, ჰერცოგოვინიდან, ალბანეთიდან. ალბანელთა მინარევი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **კუჩის** ტომში, თუმცა, გადმოცემით, ტომის ყველა წევრს საერთო წინაპარი ჰყავდა და ისინი დაკავშირებულები არიან სისხლით ნათესაობით. აქედან გამომდინარე, ჩერნოგორიელთა ტომებში გაბატონებული იყო ეგზოგამია. ფართოდ იყო გავრცელებული მესისხლეობა.

ჩერნოგორიელები განთქმულნი არიან სტუმართმოყვარეობით, ქალისადმი პატივისცემით. გავრცელებული იყო დაძმობილების წესჩვეულება.

ჩერნოგორიელებმა ქრისტიანობა ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებში მიიღეს. თურქ ხელისუფალთა ზეწოლით მათმა ნაწილმა (ე.წ. პოტურჩენცები) ისლამი მიიღო. მიტროპოლიტმა დანილომ (1697-1735 წწ.) მართლმადიდებელთა მხარდაჭერით მათ მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა. ამ დროს ბევრი მათგანი განადგურებული და ამოწყვეტილი იქნა, სხვებმა კი მოასწრეს თურქეთში გაქცევა. პოტურჩენელთა მიწები მონასტრებისა და ტომების საკუთრებად გამოცხადდა. უკვე XVII საუკუნეში ეკლესია ქვეყნის უმსხვილესი ფეოდალი იყო. როგორც აღინიშნა, მიტროპოლიტების ხელში იყო თავმოყრილი არა მარტო სასულიერო, არამედ საერო ხელისუფლებაც.

2.48. სლოვენები

სლოვენების თვითსახელწოდებაა **სლოვენცი**. ისინი სლოვენიის სახელმწიფოს ძირითადი მკვიდრნი არიან და მოსახლეობის 96%-ს შეადგენენ (1 მილ. 700 ათასი კაცი). სლოვენები ცხოვრობენ აგრეთვე ხორვატიასა და სერბეთში, იტალიაში (დაახლ. 120 ათასი), ავსტრიაში (70 ათასი), აშშ-ში (45 ათასი), ავსტრალიაში (25 ათასი).

სლოვენები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ალპურ ტიპს. სლოვენური ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახის სლავური ჯგუფის სამხრეთ ქვეჯგუფში შედის და აქვს **49 დიალექტი, რომლებიც შვიდ ძირითად ჯგუფშია გაერთიანებული (კარინტიული, პრომი-**

რული, როტვარული, დოლენური, გორენული, შტირული, პანონიური). სლოვენებს დამწერლობა შექმნილი აქვთ ლათინური გრაფიკის საფუძველზე. უძველესი ძეგლი – ბრიჟინის (ფრეიზინგენის) ნაწყვეტები X საუკუნის დასასრულითა და XI საუკუნის დასაწყისით თარიღდება. სალიტერატურო ენის დასაწყისი დაკავშირებულია პროტესტანტიზმთან და XVI საუკუნეში **პრიმოჟ ტრუბარის** მოღვაწეობასთან, რომელმაც საღვთისმეტყველო წიგნები დოლენის დიალექტზე თარგმნა. ეს დიალექტი საფუძვლად უდევს სალიტერატურო ენას. XVII საუკუნეში გამარჯვებულმა კონტრრეფორმაციამ სალიტერატურო ენის განვითარება დაამუხრუჭა. XVIII საუკუნის დასასრულიდან სალიტერატურო ენისადმი ინტერესი გაიზარდა. XIX საუკუნის შუა ხანებიდან პოეტ **ფრანც პრეშერნის** შემოქმედების შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდა თანამედროვე სლოვენური სალიტერატურო ენა. სლოვენები კათოლიკეები არიან; უმნიშვნელო ნაწილი პროტესტანტი და მართლმადიდებელია.

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე VI-VII საუკუნეებში, სლავების მასობრივი გადმოსახლების დროს, თანამედროვე სლოვენების წინაპრებმა მისი უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, აგრეთვე შუა დუნაისპირეთი და ქვემო პანონია დაიკავეს. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დასახლებისთანავე სლოვენები დიდი ხნის განმავლობაში უცხოელ დამპყრობთა ბატონობის ქვეშ აღმოჩნდნენ. VII საუკუნის პირველ ნახევარში სლოვენთა ნაწილი განთავისუფლდა ავარიელთა ბატონობისაგან და მალე მათ შექმნეს დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის ცენტრი თანამედროვე კარინტიაში იყო. სლოვენებს შუა საუკუნეებში კარანტანელებს ან ხორუტანებს უწოდებდნენ. VIII საუკუნის შუა ხანებში კარანტანია აღმოჩნდა ბავარიისა და ფრანკთა სახელმწიფოს მფლობელობის ქვეშ, IX საუკუნის დასაწყისიდან კი შევიდა კარლოს დიდის იმპერიის შემადგენლობაში. IX საუკუნის შუა ხანებიდან სლოვენიის დიდი ნაწილი გერმანელი ფეოდალების გამგებლობაში აღმოჩნდა. ადგილობრივ სლავებში კათოლიკობა გავრცელდა და დაიწყო ინტენსიური გერმანული კოლონიზაცია. სლოვენთა არისტოკრატია ფაქტობრივად გაგერმანელდა, მაგრამ გლეხობა კვლავ სლავური რჩებოდა. IX საუკუნის ბოლოს სლოვენთა წინაპრების ნაწილი, რომელიც ქვემო პანონიაში იყო განსახლებული, უნგრელთა ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა, რამაც მათი ნაწილობრივი მადიარიზაცია გამოიწვია. XVI საუკუნის დასაწყისში სლოვენიელთა მიწის დიდი ნაწილი ავსტრიელმა ჰაბსბურგებმა დაიქვემდებარეს.

მიუხედავად იმისა, რომ სლოვენებმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა ადრე დაკარგეს და ხანგრძლივი დროის განმავლობაში გერმანელთა და უნგრელთა გავლენას განიცდიდნენ, თავიანთი ენა და კულტურა შეინარჩუნეს. სლოვენების ბრძოლა ეთნიკური თავისთავადობის შენარჩუნებისათვის რეფორმაციის პერიოდში (XVI-XVII სს.) დაიწყო. ამ პერიოდში გავრცელდა დამწერლობა სლოვენურ ენაზე, გაჩნდა სლოვენური სკოლები და დაიწყო განვითარება ნაციონალურმა სლოვენურმა კულტურამ, მაგრამ ეს მოძრაობა XVII საუკუნეში კათოლიკური ეკლესიისა და ჰაბსბურგების იმპერიის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ფეოდალების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად ჩაახშვეს. 1848 წელს ავსტრიის იმპერიის მიერ დამორჩილებულ ხალხებსა და, მათ შორის, სლოვენებში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო.

XIX საუკუნის შუა ხანებში სამხრეთ სლავურ ქვეყნებს შორის სლოვენიაში კაპიტალიზმი ყველაზე მეტად იყო განვითარებული. კაპიტალისტურ განვითარებას თან ახლდა გაძლიერებული გერმანიზაცია, რამაც, თავის მხრივ, ეროვნული მოძრაობა გააააქტიურა. ამ მოძრაობამ სლოვენიის მოსახლეობის ყველა ფენა მოიცვა.

სერბეთის, ხორვატიის და სლოვენიის სამეფოს შექმნით (1918 წ.) ყველა სლოვენი ერთ სახელმწიფოში არ გაერთიანებულა. სლოვენიის მოსახლეობის მესამედი იტალიის ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა (სლოვენური ზღვისპირეთი, ისტრიის ჩრდილო ნაწილი). კარინტინიის ნაწილი ავსტრიის სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იტალიის გამგებლობაში მყოფი სლოვენიის ნაწილი იუგოსლავიას შეუერთდა. 1991 წლიდან სლოვენია დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

სლოვენი ხალხის ისტორიულმა წარსულმა და ბედმა მისი ჯგუფების კულტურას მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია; **ქვეყანა ოთხ ეთნოგრაფიულ ოლქად იყოფა – ალპიური, შუასლოვენური, ხმელთაშუაზღვისპირული და პანონიური.** მაგალითად, ჩრდილო ისტრიელებმა ფრიულთა და იტალიელთა ძლიერი გავლენა განიცადეს. კარანტიელებმა, შტირიელებმა და, ნაწილობრივ, ზემო კრაინის მოსახლეობამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გერმანიზაცია განიცადა. სერბული ეთნიკური კომპონენტი ჩანს ბელოკრაინელთა ჯგუფში. უნგრული კულტურის გავლენა განიცადეს სლოვენიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის მკვიდრმა **პრეკმურებმა,** მაგრამ ყველა სლოვენმა ძირითადად თავისი ნაციონალური კულტურა შეინარჩუნა. სლოვენი

ხალხის ცალკეული ჯგუფების კულტურის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია აგრეთვე გეოგრაფიულმა პირობებმა (ზღვის სანაპირო, ბარი, მთა). ამის გამოა, რომ სლოვენია ოთხ ეთნოგრაფიულ ოლქად (მხარედ) იყოფა, თუმცა მათ შორის მკვეთრად დადგენილი საზღვრები არ არსებობს. მხოლოდ ზოგიერთი სხვაობა შეიმჩნევა სასოფლო არქიტექტურაში (სამშენებლო მასალები, დაგეგმარება...), საკვებში, წეს-ჩვეულებებში.

სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგია ჭვავის (სვილის), აგრეთვე ხორბლის, შვრიის, პარკოსნების, ბარდის, კარტოფილის, ბოსტნეულის მოყვანა. მისდევენ მებაღეობას, მეღვინეობას, ცხვრის, თხის, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენებას.

ტრადიციული საზოგადოებრივი ცხოვრებიდან სლოვენებისათვის დამახასიათებელია კოლექტიური შრომა და ურთიერთდახმარება, განსაკუთრებით სასწრაფო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და სახლის მშენებლობის დროს.

სამხრეთ სლავების სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, სლოვენებისათვის დიდი ოჯახი (ზადრუგა) დამახასიათებელი არ იყო.

2.49. რუსები

რუსების თვითსახელწოდებაა **რუსკიე**. ამ ეთნონიმით XVII საუკუნემდე უკრაინელებიც მოიხსენიებოდნენ – ის მათი ენდოეთნონიმი იყო. ევროპელები ველიკორუსებს კი „**მასკალს**“ უწოდებდნენ. ბოლო დრომდე უკრაინელებისათვის რუსები „მასკალები“ იყვნენ. დღესაც ამ ტერმინს იყენებენ პოლონელები. 1989 წლის მონაცემებით, რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობდა 119 მილიონ 866 ათასი რუსი (მთელი მოსახლეობის 81,5%). განსახლებულნი არიან სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. რუსეთის ფედერაციის საზღვრებს გარეთ ისინი ცხოვრობენ უკრაინაში (11 მილ. 355 ათასი, უკრაინის მოსახლეობის 22%), ყაზახეთში (6 მილ. 227 ათასი, 37,8%), უზბეკეთში (1 მილ. 653 ათასი, 8%), ბელორუსიაში (1 მილ. 342 ათასი, 13,2%), ყირგიზეთში (916 ათასი, 21,5%), ლატვიაში (905 ათასი, 37,6%), მოლდოვეთში (562 ათასი, 13%), ესტონეთში (474 ათასი, 30%), აზერბაიჯანში (392 ათასი, 5,5,%), ტაჯიკეთში, (388 ათასი, 7,6%), ლიტვაში (344 ათასი, 9,3%), თურქმენეთში (333 ათასი, 9,4%), საქართველოში (341 ათასი, 6,3%), სომხეთში (51 ათასი, 1,5%), აგრეთვე აშშ-ში (1 მილიონი), კანადასა და რიგ სხვა ქვეყნებში (დაახლ. 1,4 მილიონი კაცი).

რუსები მიეკუთვნებიან დიდ ევროპეიდულ რასას. ჩრდილოეთ ოლქებში ჭარბობს ატლანტურ-ბალტიური რასა, ცენტრში – შუა ევროპული რასის აღმოსავლეთევროპული ტიპი, ჩრდილო-აღმოსავლეთში – ბელომორიულ-ბალტიური რასის აღმოსავლურბალტიური ტიპი; სამხრეთში ფიქსირდება მონღოლოიდური და ხმელთაშუაზღვისპირული მინარევები.

რუსები ლაპარაკობენ ინდოევროპულ ენათა ოჯახის სლავური ჯგუფის ენაზე. რუსული ანბანი – კირილიცას ვარიანტია. XIV-XV საუკუნეებში რუსული ენა გამოეყო ძველ რუსულ ენას, რომლისაგან მომდინარეობს აგრეთვე უკრაინული და ბელორუსული ენები. რუსების უმეტესობა მართლმადიდებელია, მათ შორის – სტაროვერებიც.

რუსი ხალხის ისტორია სათავეს ძველრუსული სახელმწიფოს ეპოქაში იღებს, რომელიც წარმოიქმნა ახ.წ. IX საუკუნეში აღმოსავლეთსლავური ტომების გაერთიანების შედეგად. ძველი რუსი ხალხი საერთო აღმოსავლეთსლავური თვითსახელწოდებით ადრეფეოდალური ძველრუსული კიევის სახელმწიფოში (Киевская Русь, IX ს. – XII ს-ის დასაწყისი) ჩამოყალიბდა. ძველრუსული სახელმწიფოს შემადგენლობაში, გარდა ძველრუსებისა, შედიოდნენ ფინურ-უგრული, ბალტიური და თურქული ტომები. IX-X საუკუნეებში რუსების ისტორიულ-ეთნიკურ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ აგრეთვე ფინურ-უგრული ტომები (ვესი, მურუმა, მეშჩერა, მერია), აგრეთვე ბალტიური წარმოშობის გოლიადები. ადგილობრივი ტომები გადმოსახლებულ სლავებთან ასიმილირდნენ, რასაც ფინური ტომების მცირერიცხოვნობითა და გადმოსახლებულთა საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალი დონით ხსნიან. ასიმილირებულმა ფინურ-უგრულმა ტომებმა გადმოსახლებულებს ზოგიერთი ანთროპოლოგიური ნიშანი და ტოპონიმიკური ნომენკლატურა (მდინარეების, ტბების, სოფლების და სხვა ადგილების სახელწოდებანი) და აგრეთვე ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების ელემენტები დაუტოვეს. თვით **ტოპონიმი „მოსკოვი“ ფინური ენით იხსნება.** ფინური ტომები იყვნენ განსახლებულნი დღევანდელ ცენტრალურ რუსეთში, მდინარეების – ოკისა და ვოლგის შუამდინარეთში. არა მარტო მდინარე *მოსკვა,* არამედ მდინარეები *პროტვა, სილვა, კოსვა* და სხვ. ფინური ენით იხსნება. მარტო მდინარე ოკას ოცი შენაკადი „ვა“ სუფიქსით ბოლოვდება, რაც ფინურად წყალს ნიშნავს. ოკა კი ფინურად მდინარეს აღნიშნავს.

თუ კიევის აყვავების ხანაში ცნებები „რუსი“ და „რუსეთის მიწა“, უწინარეს ყოვლისა, ვრცელდებოდა მხოლოდ კიევისა და ჩერნიგო-

ვის მიწებზე, XIII-XIV საუკუნეებში ისინი ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებთან ასოცირდებოდა. XII საუკუნეში ვლადიმირ მონომახი და მისი შვილი იური დოლგორუკი კიევის სამეფოს ტახტისათვის ბრძოლაში ჩრდილო-აღმოსავლეთის რუსებს ეყრდნობოდნენ. XI საუკუნეში ძველრუსულ სახელმწიფოში 90-ზე მეტ ქალაქს ითვლიდნენ, XII საუკუნეში კი – 224-ს.

XII საუკუნის მეორე ნახევარი ძველრუსული სახელმწიფოს ისტორიაში გარდატეხის პერიოდს წარმოადგენს. დაიწყო მისი დაშლის პროცესი, დადგა მრავალი პოლიტიკური ცენტრის არსებობის ეპოქა, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპის ეთნოპოლიტიკურ და დემოგრაფიულ სიტუაციაში ცვლილებები შეიტანა. ვლადიმირ მონომახის გარდაცვალების შემდეგ (1125 წ.) დამთავრდა რუსეთის მთავრების ბატონობა და უფლებები ჩრდილო-აღმოსავლეთის მიწებზე. ძველრუსული მიწების პოლიტიკურმა ცენტრმა ვლადიმირში გადაინაცვლა. ამ დროს დაიწყო *კრივიჩების* გაძლიერებული კოლონიური მოძრაობა დასავლეთისაკენ და *ვიატიჩებისა* – ჩრდილო-აღმოსავლეთით. ჩრდილო-აღმოსავლეთში გაჩნდა ახალი ქალაქები, მათ შორის, 1221 წელს – ნიჟნი ნოვგოროდი. ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში საერთო თვითშეგნება თითქმის არ დაკარგულა, რაც იმ ეთნონიმების ფორმირებაში აისახა, რომლებიც მომდევნო სამი საუკუნის განმავლობაში სამ აღმოსავლელ სლავ ხალხს აღნიშნავდა (ველიკორუსები, მალორუსები, ბელორუსები).

რუსებზე თათარ-მონღოლთა ბატონობამ აღმოსავლეთ ევროპის სივრცეში პოლიტიკური სიტუაცია შეცვალა. დაირღვა ჩრდილო-აღმოსავლეთის რუსული სამთავროების კავშირი სამხრეთრუსულ მიწებთან, ნოვგოროდის რესპუბლიკა და ფსკოვი სხვა რუსული ოლქებისაგან განცალკევდნენ. ჩინგისხანის მიერ მჭიდროდ დასახლებული მიწებისა და მათი ცენტრების (ვლადიმირი, სუზდალი, როსტოვი, პერეიასლავლი) აოხრებისა და XIII ს-ის მეორე ნახევარში აქ მონღოლ-თათართა შემოჭრის შემდეგ დაიწყო რუსული მოსახლეობის უკუქცევა აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის ცენტრიდან უფრო მეტად ტყიან და უსაფრთხო დასავლეთში, მდ. მოსკოვის აუზისა და ვოლგის ზემო დინებისაკენ. XIII საუკუნის ბოლოს ამან მოსკოვისა და ტვერის გაძლიერება განაპირობა. ვოლგა-ოკის შუამდინარეთის შინაგან კოლონიზაციას ხელს ბოიარები, თავადები და მონასტრები უწყობდნენ. აშკარა გახდა მოსკოვის, ტვერისა და ნიჟნი ნოვგოროდის (მდებარეობის) უპირატესობა. ვოლგა-ოკის შუამდინარეთში სხვადასხვა ოლქებიდან მოსულთა თავმოყრამ რუსი ხა-

ლხის ძირითადი ბირთვის ჩამოყალიბება განაპირობა. მომდევნო საუკუნეებში მისი ეთნიკური ტერიტორიის გაფართოებამ მოიცვა ჩრდილოეთის ოლქები კარელიიდან ურალის მთებამდე, რომელმაც პომორიეს შემკრებლობითი სახელწოდება მიიღო. ისინი მიადგნენ თეთრ ზღვასა და ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეს. პომორიაში გადასახლებული რუსები ეთნიკურად რთული შემადგენლობის მოსახლეობას – კარელებს, ვეპსებს, კომი-ზირიანებს, კომი-პერმელებს, ნენცებსა და სხვ. შეხვდნენ. ბათო-ყაენის შემოსევისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის აოხრების შემდეგ მოსახლეობის ჩრდილოეთით გადასახლების პროცესი გაძლიერდა. XIV-XV საუკუნეები ამ მხარის ინტენსიური ათვისების პერიოდი იყო. 1620 წლისათვის ჩრდილოეთში 22.226 დასახლებული პუნქტი აღირიცხებოდა.

XVI საუკუნისათვის პომორიეს სამხრეთი რაიონები ისე იყო დასახლებული, რომ ინტენსიურად ვითარდებოდა სახვნელი მიწათმოქმედება. პომორიეს დასავლეთი ნაწილისა და ცენტრის დასახლება რუსული ეთნიკური ტერიტორიის შექმნისთვის საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა იყო – აქ გადმოსახლებულები და მათი შთამომავალნი რუსი ხალხის ეთნოკულტურის განსაკუთრებულ ნაწილად იქცნენ, რომელთაც მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებურებანი ახასიათებდათ.

1380 წელს კულიკოვოს ველზე მამაი ხანის განადგურებამ რუსეთი ურდოს ბატონობისაგან არ გაათავისუფლა, მაგრამ ნაციონალური კონსოლიდაციისათვის, რომელიც მოსკოვის დიდი მთავრის – ივანე III-ის (1462-1505 წწ.) მმართველობის წლებში დამთავრდა, მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ურდოს ბატონობის დამხობასა (1480 წ.) და შუა რუსეთის ველის ძირითადი ნაწილის გაერთინებას რუსი ხალხის ისტორიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. რუსული მიწები თანდათან ერთ სახელმწიფოში ერთიანდებოდა. ვასილ III-ის მმართველობის დროს დამოუკიდებლობა დაკარგა ფსკოვმა (1510) და რიაზანმა (1521), გაქრა რამდენიმე სამთავრო. XVI საუკუნეში ცნება „სამთავრო“ საბოლოოდ გაქრა.

XVI საუკუნის შუა ხანებში რუსებმა გაანადგურეს ყაზანისა და ასტრახანის სახანოები. ყირიმის სახანოსა და თურქეთთან ბრძოლა კი XVIII საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. მიგრაციის შედეგად რუსებით დასახლებული ეთნიკური ტერიტორია თანდათან იზრდებოდა. მათ აითვისეს ურალის, ვოლგისპირეთისა და შემდეგ ციმბირის ტერიტორიები. ურალსა და ციმბირში მოსახლეობა ძირითადად XVII საუკუნეში პომორიედან გადასახლდა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში რუსები ინტენსიურად დასახლდნენ პერმის მიწაზე, სადაც

ფინურ-უგრულ მოსახლეობას – კომებს, ხანტებსა და მანსებს შეეჯახნენ. XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის რუსეთის სახელმწიფო აღმოსავლეთით ვრცელ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული და ის ევრაზიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. სახელმწიფოებრივ გაფართოებას, ჩვეულებრივ, თან ახლდა რუსების მიგრაცია.

XVIII საუკუნისათვის ციმბირში მიგრირებული რუსი მოსახლეობა ადგილობრივ სხვადასხვა ეთნოსებს რაოდენობრივად უკვე აჭარბებდა. 1710 წელს ციმბირში 314 ათასი რუსი გადასახლებული იყო, რაც 100 ათასით აჭარბებდა ადგილობრივ მოსახლეობას. 1795 წლისათვის ციმბირში რუსი მოსახლეობის რაოდენობამ უკვე 1 მილიონს გადააჭარბა.

XVI საუკუნეში რუსები ინტენსიურად სახლდებოდნენ სამხრეთშიაც. XVIII საუკუნეში ბალტიისპირეთსა და უკრაინაში რუსული მოსახლეობა ცოტა იყო. XVIII საუკუნის განმავლობაში რუსი ხალხის ისტორიულ-ეთნიკური ტერიტორია საკმაოდ მაღალი ბუნებრივი მატების პირობებში, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთის მიმართულებით გაფართოვდა, რომელმაც მოიცვა სამხრეთ ურალი, ქვემო ვოლგისპირეთი, შავიზღვისპირეთი (ნოვოროსია), აზოვისპირეთი, სტავროპოლი, ყირიმი, ჩრდილოეთ კავკასია, შემდეგ კი ყუბანი. ეს პროცესი თურქეთთან წარმატებული ომების შედეგად იმპერიის საზღვრების გაფართოებით იყო განპირობებული.

1721 წელს შვეციასთან დადებული ნიშტადტის ზავით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ესტლანდია და ლიფლანდია, გვიან კი კურლანდია; XIX საუკუნის დასაწყისში – ფინლანდია, ბესარაბია და საუკუნის მეორე ნახევარში – შუა აზია და შორეული აღმოსავლეთი. რუსებმა ამ რეგიონებში დასახლებაც დაიწყეს. დაპყრობილ ახალ მხარეებში ეთნიკური სიტუაცია რთულდებოდა და ყალიბდებოდა ახალი რაიონები, სადაც ეთნიკურად ნარევი მოსახლეობა მკვიდრდებოდა. ნოვოროსიასა და ყირიმში ეთნიკურად რთული რაიონები იქმნებოდა (რუსულ-უკრაინული და რუსულ-ყირიმულ-თათრული).

საბჭოთა პერიოდში დაბეჭდილ სახელმძღვანელოებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მონღოლ-თათართა ბატონობამ რუსი ხალხის ერთიან რუსულ სახელმწიფოში გაერთიანების პროცესი შეაფერხა. თუმცა რევოლუციამდე და საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ დასტამბულ წიგნებში სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული: მონღოლებმა კი არ შეაფერხეს რუსების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პროცესი და რუსი ხალხის ჩამოყალიბება, არამედ პი-

რიქით – გაერთიანება ფაქტობრივად აღმოსავლეთიდან მოსული დამპყრობლების გატარებული ღონისძიებების შედეგად მოხდა და რუსი ერის ფორმირებაში, სხვა ეთნოსებთან ერთად, მონღოლებმა ერთ-ერთი კომპონენტის როლი შეასრულეს. ამ მოსაზრებისა იყვნენ ტრუბეცკოი და კარამზინი. რუსეთის ტერიტორიაზე მონღოლთა მოსვლის დროს, კიევის სამეფო ცალკეულ რუსულ სამთავროებად დაშლილ-დაქუცმაცებული იყო. მონღოლებთან ბრძოლაში ყოველი სამთავრო ცალკე იცავდა თავს. დროთა განმავლობაში მოსკოვის მთავრებმა, ეშმაკური პოლიტიკის წყალობით, დიდი სამთავროს იარლიყიც კი მიიღეს. ის ოქროს ურდოს პოლიტიკის გამტარებელიც კი შეიქნა. ტრუბეცკოი აღნიშნავდა, რომ მოსკოვის სახელმწიფო თათართა უღლის წყალობით შეიქმნაო. „თათართა უღლის დაცემას“ თათართა ყაენის მართლმადიდებელი მეფით შეცვლა მოჰყვა და ხანის სადგომის – მოსკოვში გადატანა. მოსკოვის სამეფოს ზედაფენის წარმომადგენელთა მნიშვნელოვან ნაწილს თათართა ზედაფენა წარმოადგენდა. ეს ზედაფენა, რომელიც მალე გაქრისტიანდა, ფაქტობრივად ახალი რუსული სახელმწიფოს ფორმირების აქტიურ შემოქმედად იქცა. ზემოხსენებული ავტორი იმასაც კი წერდა, რომ **„ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ არა მხოლოდ სლავი წინაპრებით, არამედ თურანელი წინაპრებითაც და ვალდებული ვართ მადლიერი ვიყოთ როგორც ერთის, ისე მეორისა“.**

ზემოთ აღნიშნული ჭეშმარიტებასთან ძალიან ახლოსაა. ფაქტობრივად ცალკეული რუსული სამთავროების ერთად შეკრება ოქროს ურდოს შემადგენლობაში მოხდა; ოქროს ურდოს ბატონობისას მოსკოვის სამთავროს თვით მონღოლებმა მიანიჭეს პრიორიტეტი, რომელმაც შემდეგ თანდათანობით, ბუნებრივია, დამპყრობლების შესუსტების გამოისობითაც, დაიწყო რუსული და არარუსული მიწების შეკრება, ოქროს ურდოს ყოფილი ტერიტორიების ახლა უკვე მოსკოვის გარშემო გაერთიანება.

ისმის კითხვა: რატომ ვერ შეძლეს დამპყრობელმა მონღოლ-თათრებმა დაცალკევებული რუსების ეთნიკური ასიმილირება და რატომ მოხდა პირიქითი პროცესი? ცნობილია, რომ ყველა დამპყრობელს, იმპერიის შემქმნელს დაპყრობილ ხალხებში თავისი იდეოლოგია შეჰქონდა. მაგალითად შეიძლება არაბები მოვიყვანოთ, რომლებსაც დაპყრობილ ხალხებში ისლამი შეჰქონდათ და ხშირად ძალითაც ავრცელებდნენ მას. ეს კი ეთნიკურ ასიმილაციას, ბუნებრივია, აჩქარებდა. მონღოლებს ასეთი რელიგია არც ჰქონიათ. ოქროს ურდო, რომლის მთავარი შტაბი და ადმინისტრაციული ცენტრი ვოლგის

დაბლობში, დღევანდელი ვოლგოგრადის მახლობლად მდებარეობდა, მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობით (ფულითა და საძოვრებით) იყო დაინტერესებული. მონღოლები დამორჩილებული რუსებისა (და სხვა ხალხების) პირად ცხოვრებაში თითქმის არ ერეოდნენ. პირიქით, ოქროს ურდოს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ეს უკანასკნელი გადასახადებისაგანაც კი იყო განთავისუფლებული. ეკლესია უზენაეს ხელისუფლებას გარკვეულ სამსახურსაც უწევდა. ასეთი ლეგენდაც არსებობს: კათოლიკურმა ეკლესიამ *მენგუ ხანს* წინადადებით მიმართა, რათა კათოლიციზმით დაინტერესებულიყვნენ. ხანის პასუხი ასეთი ყოფილა: თათრებს ღმერთი სწამთ, მისთვის ცხოვრობენ, მისთვის კვდებიან, მაგრამ ღმერთს ბევრი თითი აქვს და მისკენ ბევრი გზა მიდის. რაც ვერ მოახერხეს მონღოლებმა (ეს მათ მიზანს არც შეადგენდა), მოახერხეს ოქროს ურდოს ფაქტობრივმა მემკვიდრეებმა – მოსკოვის დიდი სამთავროს მთავრებმა (შემდეგ მეფეებმა). დაპყრობილ ხალხთა უმეტესობას, თავიანთ ქვეშევრდომ სხვადასხვა ეთნოსებს ისინი ქრისტიანული (მართლმადიდებელი) რელიგიის (იდეოლოგიის) საშუალებით აერთიანებდნენ, რაც, თავისთავად ცხადია, გარუსების პროცესს აჩქარებდა.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოსა და ეკლესიას (რელიგიას). სწორედ ასეთი როლი იკისრა მოსკოვის სახელმწიფომ და რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ. გარდა თათარ-მონღოლებისა, რუსული ეთნოსის შემადგენლობაში არაერთი სხვა ეთნოსის წარმომადგენელიც შევიდა. რუსეთის სახელმწიფო და დიდი რუსული კულტურის შემქმნელი რუსი ერი ცენტრიდან პერიფერიებისაკენ მოსახლეობის თანდათანობითი მიგრაციის, ახალი ტერიტორიების ათვისებისა და სხვადასხვა ხალხის ასიმილაციის შედეგად ჩამოყალიბდა. მეცნიერებს გამოთვლილი აქვთ, რომ რუსული ეთნოსის შემადგენლობაში ევრაზიის სივრცეში მობინადრე და მომთაბარე 50-დან 100-მდე ეთნოსი შევიდა. თავდაპირველად აღმოსავლეთ სლავებს ხომ თანამედროვე რუსეთის ტერიტორიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ეჭირათ. ესაა ამ ტერიტორიის დასავლეთი მონაკვეთი იმ მდინარეთა აუზებში, რომლებიც ბალტიისა და შავ ზღვებს ერთმანეთთან აკავშირებდა. თანამედროვე რუსეთის დიდი ნაწილი თავდაპირველად „თურანული“, ანდა „ურალურ-ალთაური“ ტომებით იყო დასახლებული. პირველ რიგში ბულგარელთა და ხაზართა სამეფოები შეიძლება გავიხსენოთ. რუსების აღმოსავლეთით და სამხრეთით გადაადგილებას თან ახლდა ზემოთ აღნიშნული ეთნოსების გარუსება. „თურანულ“ ანუ „ურალურ-ალთა-

ურ“ ხალხებში კი შემდეგი ჯგუფები იგულისხმება: უგრო-ფინური მოდგმის ხალხები, სამოედები, თურქები (განსაკუთრებით ბულგარები, ხაზარები, ყივჩაყები, პაჭანიკები), უიგურები, მონღოლები, მანჯურიელები.

რუსეთი ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარე სახელმწიფო იყო და რუსებიც ევროპელებსა და აზიელებს შორის ცხოვრობდნენ და, როგორც აღვნიშნეთ, რუსული ეთნოსი ევროპული და აზიური კომპონენტების შერევა-შეჯვარების შედეგად წარმოიქმნა. დღევანდელ რუსულ ისტორიოგრაფიაშიც ძალიან ბევრი ავტორი ხშირად ხაზს უსვამს მათ არაევროპელობას. მიაჩნიათ, რომ ისინი ევრაზიელები არიან შესაბამისი მენტალიტეტით. ევროპული და აზიური კულტურების შერევა კი მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. საინტერესო დაკვირვება აქვს მოცემული XVIII საუკუნის პეტერბურგის შესახებ *ლ.-ფ სეგიურს:* „პეტერბურგში ყველაფერი გაორებულია. ადამიანი ერთდროულად ხვდება განათლებასაც და ბარბაროსობასაც, X საუკუნისა და XVIII საუკუნის ნაკვალევს, აზიასა და ევროპას, სკვითებსა და ევროპელებს, ბრწყინვალე და ამაყ აზნაურობას და უბირ ბრბოს. ერთის მხრივ ნახავთ მოდურ მორთულობას, მდიდრულ ტანსაცმელს, ჩინებულ ნადიმებს, დიდებულ დღესასწაულებს, სანახაობებს, ისეთებს, როგორებითაც პარიზისა და ლონდონის რჩეული საზოგადოება ერთობა; მეორე მხრივ – აზიურ ტანსაცმელში გამოწყობილ ვაჭრებს, მეეტლეებს, მოსამსახურეებს, გლეხებს ცხვრის ტყაპუჭებითა და გრძელი წვერებით, ბეწვისა და ტყავის ქუდებითა და ხელჩაგებით (თათმანებით), რომლებსაც ხშირად ქამრებში ცულებიც კი აქვთ გარჭობილი. ეს ტანსაცმელი და შალის ფეხსაცმელი ხშირად გვახსენებდა სკვითებს, დაკებს, როსკოლანებს, გუთებს, რომლებიც ოდესღაც საშიშროებას უქმნიდნენ რომაულ სამყაროს. რომის ტრაიანის კოლონიის ბარელიეფებზე გამოსახული ველურები თითქოს ჩვენ თვალწინ ცოცხლდებიან და მოძრაობენ. გეჩვენება, რომ იგივე ენა და ყვირილი ისმის, როგორიც რომაელებსა და ბიზანტიელებს ესმოდათ ბალკანეთსა და ალპების მთებში. მაგრამ ეს ხალხი ბარაკებსა და საზიდრებზე მღერიან თავიანთ ერთფეროვან და ნაღვლიან სიმღერებს, მაშინ გახსენდება, რომ ისინი არიან არა ძველი დამოუკიდებელი სკვითები, არამედ *მოსკვიტები,* რომლებმაც თავიანთი სიამაყე თათართა ბატონობისა და რუსი ბოიარების უღელს ქვეშ დაკარგეს, მაგრამ შეინარჩუნეს ადრინდელი სიძლიერე და თანდაყოლილი მამაცობა“.

მიუხედავად იმისა, რომ პეტრე პირველმა ევროპისაკენ გზა გაჭრა და რუსეთში ევროპული კულტურა ფართოდ გავრცელდა, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ევროპელები (განსაკუთრებით ფრანგები) რუსეთს არა აღმოსავლეთ ევროპად, არამედ აზიად თვლიდნენ. პირველი იდეოლოგი, რომელსაც მიაჩნდა, რომ რუს ხალხს და, ამდენად, მთელ რუსულ კულტურას არაფერი აქვს საერთო ევროპასა და ევროპის ხალხებთან, იყო ცნობილი ფრანგი ლიბერალი ისტორიკოსი და სენატორი *ანრი მარტენი* (1810-1883წწ.). თავის წიგნში „რუსეთი და ევროპა“ ის ამტკიცებდა, რომ რუსები არ არიან სლავები და არც ინდოგერმანელები, არამედ – თურანები, რომლებიც მიეკუთვნებიან თურქულ-ალთაურ ტომებს და რომ ისინი მხოლოდ გარეგნულად ჰგვანან ევროპელებს და არაფერი აქვთ მათთან საერთო. იგივე ავტორი აღნიშნავდა რუსების ცრუმორწმუნეობისა და მათში განათლების შეუღწევადობის, მონურად მორჩილი ხასიათის შესახებ. ხაზს უსვამდა რუსების გარეგნულად მირონცხებულობას, მაგრამ არა შემსრულებლობას. აღნიშნული ავტორი რუსების მხოლოდ გამრავლების უნარის მქონებლობაზე საუბრობს, თან იქვე ამატებს, რომ ამ ხალხისაგან ზნეობრივ ამაღლებას არ უნდა ველოდოთო. ანრი მონტენი რუსებს აზიატებს უწოდებდა და ევროპისათვის მათ საშიშ ხალხად მიიჩნევდა და მათგან თავის დაღწევის საშუალებად ურალს იქით გაყრა მიაჩნდა. დასახელებული ავტორის სიტყვებში არა მხოლოდ რუსების, არამედ მართლმადიდებლური ქრისტიანობის მიმართ გარკვეული უარყოფითი დამოკიდებულება და ზიზღიც კი იგრძნობა. ასეთ შეხედულებებს უფრო მომდევნო პერიოდის ავტორები ავითარებდნენ. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გამოსულ წიგნში „დასავლეთის დაცვა“ ასევე ფრანგი ავტორი *ანრი მასი* წერდა: რუსები იმიტომ არ არიან ნამდვილი ევროპელები, რომ რომაული ქრისტიანობის მიმდევრებს არ წარმოადგენენ. „მათი ქრისტიანობა დოგმატურად ამორფულია, ღვთისმსახურება მოუფიქრებელი, აღმოსავლურის მსგავსად მისტიკური, ბურუსით მოცული და ბუნდოვანი, სოციალურად უინტერესო. ყველაფერი ეს მართლმადიდებლობას აახლოებს ინდუიზმთან და აშორებს დასავლეთისაგან“. ამჯერად ამ ავტორთან კამათისა და საპირისპირო დასკვნების მოყვანის ადგილი არაა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი სუბიექტურობა, მართლმადიდებლობისადმი სიძულვილი, მართლმადიდებელთა მიერ შექმნილი დიდი კულტურის დაუნახაობა. მართლმადიდებლობა ხომ, კათოლიციზმისაგან განსხვავებით, ეროვნული ენების, კულტურებისა და მწერლობის განვითარების საშუალებას იძლეოდა. ყველა მართლმადიდებელ ეკლესიაში ღვთისმსახურება ეროვნულ ენებზე მიმდინარეობდა. მარ-

თლმადიდებლურმა ქვეყნებმა არც ინკვიზიცია იცოდნენ, არც გეტოები და სხვა სარწმუნოების მიმართ შემწყნარებლობოთ გამოირჩეოდნენ.

რუსულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კატეგორიულად მიუღებლად და არასანდოდ აცხადებდნენ რუსული საისტორიო წყაროების ცნობებს პირველი რუსული სახელმწიფოს – კიევის რუსეთის ვიკინგების მიერ შექმნის შესახებ. დღეს დამაჯერებლად დადგენილია, რომ რუსული საისტორიო წყაროების მონაცემები რეალურ სინამდვილეს ასახავს და რომ აღმოსავლეთ სლავების აღმნიშვნელი ენდოეთნონიმი „რუსი“ არ იყო. თავდაპირველი რუსები იყვნენ სკანდინავიელი ვიკინგები („ვარიაგები“), რომლებიც სავაჭრო გზებს ეძებდნენ სლავებით, ბალტიელებით და უგრო-ფინებით დასახლებულ ტერიტორიებზე. ვიკინგები ყველა წინა და მომდევნო დამპყრობლებისაგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ ისინი არა მომთაბარეები, არამედ მობინადრენი იყვნენ. სკანდინავიელმა რუსებმა მოახერხეს მდინარე დნეპრით ბიზანტიასთან დაკავშირება და ვაჭრობის გაბმა. რუსულ წყაროებში წერია, რომ ამ სავაჭრო გზის (დნეპრის) გასწვრივ მობინადრე სლავები რუსების (ანუ ვიკინგების) გამოჩენას ხალისით ხვდებოდნენ. ამ დროს სლავების სხვადასხვა ჯგუფებს შორის მუდმივი დაპირისპირება იყო და მათ რუსები მიიწვიეს, რათა ეს დაპირისპირება მოეწესრიგებინათ. მოსულ რუს-ვიკინგებს მიეწერებათ ქალაქ კიევის აშენება და სლავური რუსული სახელმწიფოს შექმნაც. ასე გადაეცა ეთნონიმი „რუსი“ ერთი ხალხიდან მეორე ხალხს.

აღმოსავლეთ სლავების პირველი სახელმწიფო – კიევის რუსეთი ევრაზიის სივრცეში პირველი სახელმწიფო იყო, რომელიც მობინადრეებმა შექმნეს. ეს სახელმწიფო საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე იყო განფენილი და მუდმივი საშიშროების წინაშე იდგა როგორც დასავლეთიდან, ისე აღმოსავლეთიდან. აღმოსავლეთიდან ეს საშიშროება მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ხაზარეთის სახელმწიფოს მოსპობით ურალსა და კასპიის ზღვას შორის ტერიტორიაზე ერთგვარი „ღია კარი“ შეიქმნა. რუსეთი ბუნებრივი საზღვრებით დაცული არ იყო. ამიტომ ის დიდ ძალებსა და საშუალებებს ხარჯავდა საზღვრების დასაცავად. მან ნელ-ნელა დაიწყო გაფანტული მომთაბარე ტომებისა და დიდი ეთნიკური ჯგუფების ჩაყლაპვა. **სხვადასხვა ეთნიკური ტერიტორიების დაპყრობაში და აქ განსახლებული სხვადასხვა ეთნოსების ასიმილაციაში რუსებს ხელს უწყობდა ის, რომ ამ ეთნიკურ ერთობათა ზედაფენის წარმომადგენლებს ისევ პრივილეგირე-**

ბულ მდგომარეობაში ტოვებდა – ისინი დაუბრკოლებლად რუსულ ზედაფენაში შემოჰყავდა.

რუსების აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით მიგრაცია თავდაპირველად განპირობებული იყო სოფლის მეურნეობის წარმოების სიძნელეებით. ასეთ მიზეზთა შორის ხშირად საზღვრების ღიაობასაც ასახელებენ. მიგრაციულმა პროცესებმა ინტენსიური ხასიათი XVI საუკუნიდან მიიღო. ინტესიურობის საბაბი გადასახადების ამკრებთა უმოწყალობაც იყო. საუკუნეთა განმავლობაში დაუსრულებელი მიგრაციული ნაკადი ხან ძლიერდებოდა და ხან სუსტდებოდა. **კლიუჩევსკი მიგრაციულ და კოლონიზაციურ პროცესებს „რუსეთის ისტორიის მახასიათებელს“** უწოდებდა. გადასახლება ძირითადად ტყიანი ზოლიდან სტეპებში მიმდინარეობდა. ახალ საცხოვრებელ ადგილებში მართალია ნიადაგი უფრო ნაყოფიერი იყო, მაგრამ მომთაბარეთა თარეშის გამო ცხოვრება საშიში იყო. ახალ სასოფლო-სამეურნეო გარემოში დასახლებულებს ახალი სამეურნეო ტექნიკის ათვისება უხდებოდათ. სტეპების მიწა გუთნით მოხვნას საჭიროებდა. გუთანს კი გამწევი ძალა სჭირდებოდა, რამაც, თავის მხრივ, მესაქონლეობის განვითარებას შეუწყო ხელი. სტეპებში დასახლებულ რუსებში წამყვანი მარცვლეული კულტურების მოყვანა გახდა.

ახალი დასახლების ადგილებში მიგრანტი რუსები მკვიდრ არარუს მოსახლეობასთან აქტიურ ურთიერთობას ამყარებდნენ (ვაჭრობა, შერეული ქორწინებები). დამხვდური და მოსული მოსახლეობა განვითარების თვალსაზრისით თითქმის თანაბარ დონეზე იდგა. რუსებმა ადგილობრივი მოსახლეობისაგან ბევრი რამ შეითვისეს. მათგან შეითვისეს შამანიზმის, ანიმიზმის ელემენტები. ზოგიერთ რეგიონში რუსებმა ადგილობრივებისაგან არაერთი კულტურული რეალიაც გადაიღეს (სამზარეულო, ტანსაცმელი). კოლონიზაციის პროცესი მთლად უმტკივნეულო არ ყოფილა. რუსეთის ხელისუფლება მომთაბარეებს ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას აიძულებდა. ასეთი პოლიტიკა მტრობას აღვივებდა. რუსებს განსაკუთრებით ბაშკირები უპირისპირდებოდნენ. ჩრდილოეთ კავკასიელებიდან განსაკუთრებით დაუმორჩილებელნი ჩაჩნები იყვნენ. ყალმუხებმა კი საძოვრების დიდი ნაწილი მოსულ მოსახლეობასა და მის არმიას დაუთმეს. ვოლგის ქვემო დინებაზე ყალმუხებს ნორმალური განვითარების საშუალება აღარ ჰქონდათ, ამიტომ გაცლა ამჯობინეს, ცენტრალურ აზიაში წინაპართა სამშობლოში გადასახლება გადაწყვიტეს, მაგრამ 1770 წელს მხოლოდ მესამედმა მიაღწია მიზანს (დაახლოებით 100

ათასი კაცი შიმშილისაგან, ავადმყოფობისაგან, სიცხისაგან, სიცივისაგან და მომთაბარე ყაზახთა თავდასხმებისაგან დაიღუპა).

განაპირა მხარეების რუსთა განსახლების ცენტრებში პარადოქსული სიტუაცია იქმნებოდა. ხელისუფლებისაგან გაქცეული გლეხები განსახლების ახალ ადგილებში საძულველი ხელისუფლების დასაყრდენი ხდებოდნენ. სახელმწიფოსაგან გაქცეული გლეხები მისგან მხარდაჭერას ცდილობდნენ. მიგრაციული პროცესები მოსახლეობის სწრაფ ზრდასაც განაპირობებდა. ამის შედეგად XVIII საუკუნეში რუსები ევროპის თითქმის ყველაზე მრავალრიცხოვან ხალხად იქცნენ.

1897 წლის აღწერით ქვეყნის მთელი მოსახლეობა 116 მილიონი იყო, რომელთაგან რუსები 48%-ს წარმოადგენდნენ (55 მილიონი კაცი). მათი უმეტესი ნაწილი ევროპულ ნაწილში მკვიდრობდა.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ რუსეთში ორ მილიონამდე ლტოლვილი მოვიდა.

რუსების კულტურისა და ყოფის თვალსაზრისით საგრძნობი სხვაობაა მის ორ დიდ ეთნოგრაფიულ რეგიონს – ჩრდილო რუსეთსა და სამხრეთ რუსეთს შორის. მოსკოვური მეტყველება საფუძვლად დაედო რუსული ენის ფორმირებას. ჩრდილო რუსულ ეთნოგრაფიულ ზონაში გამოიყოფა *პომორიელების* ჯგუფი, რომელიც რუსი მიგრანტებისა და მათ მიერ ასიმილირებული ფინურ-უგრული, საამური და ნენური წარმოშობის ჯგუფებისაგან შედგება. პომორიელების მთავარი საქმიანობა ძველთაგანვე მეთევზეობა და ზღვის მხეცებზე სარეწაო ნადირობა იყო. გამოყოფენ აგრეთვე *პოლეხების, გორიუნების* ჯგუფებსაც. მნიშვნელოვანი კულტურულ-ყოფითი თავისებურებებით გამოირჩევიან *კაზაკები.*

ისევე როგორც სხვა სლავ ხალხებში, რუსებშიც მიწათმოქმედება ოდითგანვე იყო განვითარებული. მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები (ჭვავი, ხორბალი). ქერს გამოიყენებდნენ როგორც საკვებად, ისე ლუდისათვის. შედარებით ახალი კულტურაა კარტოფილი, რომელმაც სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მხოლოდ XIX საუკუნის დასასრულს დაიკავა. ფართო მასშტაბიანი მიგრაციის დაწყებამდე სოფლის მეურნეობა ექსტესიური ხასიათის იყო. ტყის გაკაფვისა და მისი დაწვის შემდეგ მიწაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურებს თესავდნენ. კავით ზედაპირულად დამუშავებული მიწა მალე იფიტებოდა, რის შემდეგაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მეზობელ ნაკვეთებზე გადაჰქონდათ. კავით მოხნული მიწა მხოლოდ ნიადაგის ზედაპირს აფხვიერებდა. ერთი დღის განმავლობაში საკ-

მაო რაოდენობის მიწის ფართობს ხნავდნენ. ამ მეთოდით დამუშავებული მიწა იმდენ მოსავალს იძლეოდა, რამდენიც გამოსაკვებად ჰყოფნიდათ, მაგრამ მოუსავლიანობის შემთხვევებში მარაგი აღარ რჩებოდათ. რუსეთში ზაფხული ძალიან მოკლე იყო. გლეხობა ზოგჯერ მოსავლის აღებას ძლივს ასწრებდა. ყინვების ადრე დაჭერის შემთხვევაში მეორე წლისათვის უბრალოდ თესლის მარაგიც აღარ რჩებოდათ. ძველთაგანვე იყო გავრცელებული მეცხოველეობა (ძროხა, ცხენი, ცხვარი, თხა, ღორი), შინაური ფრინველი.

შუა საუკუნეებში რუსი გლეხის რაციონში ძირითადად მარცვლეული კულტურები შედიოდა. პირველ რიგში შეიძლება ჭვავი დავასახელოთ, რომელიც ძირითადად ცივ და ნესტიან ნიადაგში იზრდებოდა. ხორბალი ფუფუნებად ითვლებოდა მას შემდეგაც კი, რაც რუსები XVIII საუკუნეში სამხრეთ სტეპებში გადასახლდნენ და მისი მოყვანა დაიწყეს. ყველგან მოჰყავდათ ბარდა – მისგან ფაფას ხარშავდნენ. ფაფას აკეთებდნენ შვრიისაგანაც. შვრიას საქონელსაც აჭმევდნენ. ყველანაირი მარცვლეული კულტურისაგან ცომის გუფთასა და ბლინებს ამზადებდნენ. მრავალი საუკუნის განმავლობაში ძირითადი ბოსტნეული კულტურა თალგამი იყო. დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ჭარხალი და კომბოსტო. ძველი დროიდანვე იცოდნენ კომბოსტოსა და კიტრის დამწნილება. საკვებად გამოიყენებდნენ სოკოსა და კენკრას, რითაც რუსული ტყეები ძალიან მდიდარი იყო. რუსეთის მდინარეები და ტბები მდიდარი იყო თევზით. რუსები არა მხოლოდ ზაფხულში, არამედ ზამთარშიც თევზაობდნენ. **რუსეთში ტრადიციულად პოპულარული სასმელია არაყი, თუმცა საისტორიო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ არაყი რუსეთში XVI საუკუნის შუა ხანებში გაჩნდა, როდესაც მისი გამოხდა მოსკოველმა სასულიერო პირებმა იტალიაში – ფერარო-ფლორენციის ტაძარში სტუმრობისას ისწავლეს.** ძალიან მაგარ სპირტიან სასმელებს თავდაპირველად მონასტრებში სვამდნენ. არაყს ძირითადად მარცვლეულისაგან ხდიდნენ. არყის გარდა რუსები სვამდნენ **ბრაგას (შინაური ლუდი), მედოვუხას, ბურახს.** სხვათა შორის, ფრიად საინტერესოა რუსულ წყაროებში დაცული ცნობა, რომელიც რუსეთში ქრისტიანობის გავრცელებასთანაა დაკავშირებული. წყაროს თანახმად, რუსებმა ისლამის მიღებაზე უარი იმიტომ თქვეს, რომ ის ალკოჰოლის სმას კრძალავდა. მონასტრებში ალკოჰოლიან სასმელებს თუ ზომიერად სვამდნენ, ოჯახებში უბრალო ადამიანები მას დიდი რაოდენობით მიირთმევდნენ. XV საუკუნის შუა ხანებში რუსეთში მიიღეს კანონი, რომელიც მხოლოდ დამოკიდებულ გლეხებზე ვრცელდებოდა. ამ კანონის თანახმად, სოფლებში დღესასწაულების დროს მხოლოდ მიწვეულები უნდა მისულიყვნენ და ნასვამი

სტუმრები ღამის გასათევად მასპინძლის ოჯახში არ უნდა დარჩენილიყვნენ. XVI საუკუნეში ეკლესიის მსახურნი აღშფოთებულნი იყვნენ სამიკიტნოებში მიმსვლელთა რაოდენობის გაზრდით. მაშინდელი მღვდლების აღნიშვნით, რუსული ღრეობები ქრისტიანული მორალის ჩარჩოებში არ ჯდებოდა. **ქრისტიანული დღესასწაულები ალკოჰოლის გადაჭარბებული ხმარებით ისევ წარმართულ იერს ატარებდა. ერთ-ერთი იმდროინდელი ავტორის თქმით, „კაცები და ქალები დანაშაულებრივ სიამოვნებებს ეძლევიან. გამაბრუებელი სასმელის სმაში ზომა არ იციან. შემდეგ ყველა მკრეხელობს, მღერიან უგვანო და უხამს სიმღერებს. ისმის ეშმაკეული მუსიკა, აწყობენ სამარცხვინო თამაშობებს, ხუმრობებს. ყოველი მამაკაცი სხვის ცოლს უსხამდა სასმელს და კოცნიდა მას. ქალი კი ამას იწონებდა. ირგვლივ უსაქმო ლაპარაკი და ეშმაკისეული გარყვნილებაა“.** XX საუკუნის ადამიანების აზრით, ლოთობა რუს ადამიანებს ეხმარებოდა ცხოვრების სიძნელეების დაძლევასა და მონოტონურობის დაძლევაში. იმასაც აღნიშნავენ, რომ ალკოჰოლი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თემის ცხოვრებაში – ერთად სმა ადამიანებს აახლოებდა. ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ რუსებს ორი უკიდურესობა ახასიათებდათ – ან ძალიან მაგარ სასმელს სვამდნენ (არაყს), ან ძალიან მსუბუქს (ბურახს). ბურახს ტრადიციულად მარცვლეულისაგან ამზადებდნენ. თუმცა ცნობილია, რომ ამ სასმელს მსხლისა და ჭარხლისაგანაც (ძირითადად შაქრის ჭარხლისაგან) აკეთებდნენ. მაგარი სასმელის შედარებით დიდი რაოდენობით მიღებისას კი ძალიან მალე თვრებოდნენ. მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს გავრცელდა რუსეთში ჩაის სმა. მონღოლური და თურქული მოდგმის ხალხებთან მეზობლად მცხოვრები რუსები ფქვილით, მარილით და ცხიმით შეზავებულ ჩაის მიირთმევდნენ. *რუსებმა შექმნეს ჩაის ორიგინალური ასადუღებელი ჭურჭელი – სამოვარი,* რომელიც ქალაქად და სოფლად საცხოვრებელი სახლების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. იმდროინდელი სასულიერო პირები და სოციალური რეფორმატორები თვლიდნენ, რომ ჩაის სმა ადამიანებს დაეხმარებოდა ოდნავ მაინც მოწყვეტილიყვნენ არყის სმისაგან. საჭმელს ძირითადად თიხისაგან გაკეთებულ ქოთნებში ხარშავდნენ, მაგრამ XIX საუკუნიდან დაიწყეს თუჯის ქოთნების გამოყენება. მრავალფეროვანი ჰქონდათ კასრის, მოწნული და არყის ხისაგან გაკეთებული ჭურჭელი.

რუსების საცხოვრებელი ნაგებობებისათვის სამშენებლო მასალად ფართოდ იყო გამოყენებული ხე. XVIII საუკუნემდე რუსი გლეხები უპირატესად ტყეებსა და მის ახლომახლო ცხოვრობდნენ. ამიტომაც იყო, რომ ყველანაირი ინვენტარი, ცულის გამოკლებით, ხისაგან

ჰქონდათ გაკეთებული (სახვნელი, ფარცხი, ავეჯი, დგამ-ჭურჭელი –კოვზები, თეფშები, ჯამები, გობები, ციგები, მარხილები). რაც მთავარია, ხის მორებისაგან ჰქონდათ აგებული საცხოვრებელი ქოხი. უტყეო ადგილებში გადასახლების შემდეგაც ხის საცხოვრებლებს აგებდნენ. აქ ასეთ საცხოვრებლებს გარედან ნამჯაშერეული თიხით ლესავდნენ, შემდეგ კი ათეთრებდნენ. ასეთი კონსტრუქცია „ხატად“ იწოდებოდა. საცხოვრებელში არახის მხოლოდ ღუმელი ჰქონდათ. ნაგებობაში ყველაზე მნიშვნელოვანს სწორედ ის წარმოადგენდა. საცხოვრებელს თუ მთელი ოჯახი აშენებდა, ღუმელს მხოლოდ სპეციალისტი აგებდა, რადგან მის გაუმართაობას სერიოზული გართულებები შეიძლება შეექმნა მობინადრეებისათვის. ღუმელს სახლში საკმაოდ დიდი ადგილი ეკავა. ჩვეულებრივ, ის აგურისა და თიხისაგან შენდებოდა. ღუმელი გამოიყენებოდა არა მხოლოდ საჭმლის დასამზადებლად და გასათბობად, არამედ ძილისთვისაც. ოჯახის მრავალრიცხოვნობის შემთხვევაში, ზოგიერთი მისი წევრი ჭერის ქვეშ გაკეთებულ სპეციალურ თაროებზე იძინებდა. XVIII საუკუნემდე რუსეთში ქალაქებსაც ხისაგან აშენებდნენ. 1557 წელს რუსეთს ეწვია ინგლისელი ვაჭარი *ენტონი ჯენიქსონი*, რომელიც ქალაქ ვოლოგდის შესახებ წერდა, რომ სახლები აშენებულია ნაძვისაგან; რომ არსად ქვა და რკინა გამოყენებული არაა და სახლები გარედან არყის ხის ქერქითაა დაფარული. ეკლესიების უმეტესობაც ხისაგან შენდებოდა, თუმცა აგურისა და ქვის ეკლესიებიც ბევრი იყო.

რუსების საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი იყო დიდი ოჯახი, პატრიარქალური ტრადიციების დაცვა. დიდი, ანუ გაუყოფელი ოჯახი აერთიანებდა რამდენიმე საოჯახო წყვილს. ოჯახის ეს ტიპი XX საუკუნემდე იყო შემორჩენილი. დიდი ოჯახისათვის დამახასიათებელი იყო ქონების ერთობლივი ფლობა, საერთო მეურნეობა, საერთო საცხოვრებელი და მაგიდა. მართლმადიდებელ რუსთა საქორწინო ურთიერთობებში ჯვრისწერა აუცილებელი იყო. საქორწინო ასაკი 18-დან 25 წლამდე მერყეობდა. ჩრდილოეთში უფრო გვიანდელი ქორწინებები შეინიშნებოდა, სამხრეთში – ადრეული. მართლმადიდებლური ტრადიციებიდან გამომდინარეობდა შვიდი თაობის განმავლობაში საქორწინო ურთიერთობების აკრძალვა. იკრძალებოდა ქორწინება ნათელ-მირონებს შორის.

ფართოდ იყო გავრცელებული შრომითი ურთიერთდახმარების ფორმები. მთელი სოფელი თევზს ერთობლივად შემორეკვით იჭერდა; ერთობლივად ნადირობდნენ ციყვზე, ერთობლივად აგროვებდნენ კედარის კაკალს.

1917 წლამდე მართლმადიდებლობა რუსების სახელმწიფო რელიგია იყო, რომელიც მათ ოფიციალურად X საუკუნის ბოლოს მიიღეს. ქრისტიანობის გავრცელებაში დიდი როლი ითამაშეს ძმებმა *კირილემ* და *მეთოდემ,* რომლებიც ბიზანტიელებმა 860 წელს სლავურ სამყაროში სამისიონერო მიზნით გააგზავნეს. მათვე შექმნეს სლავური ანბანი, რაც, თავისთავად ცხადია, ქრისტიანობის გავრცელებას ფრიად უწყობდა ხელს. გაქრისტიანებისთანავე მთავარმა ვლადიმირმა დაუყოვნებლივი მოქმედება დაიწყო და დემონსტრაციულად მოშალა წარმართული ღმერთების კერპები. კიევში **„პერუნი“** მაღლობიდან ჩამოათრიეს და დნეპრში ჩააგდეს. ნოვგოროდში კი, როდესაც შეეცადნენ „პერუნის“ ჩამოგდებას, ქალაქში მასობრივმა აჯანყებამ იფეთქა. წარმართობა თავისი რიტუალებით კიდევ დიდი ხნის განმავლობაში რუსებისათვის წამყვან რელიგიად რჩებოდა. ქრისტიანობა ხალხში საკმაოდ ნელა ვრცელდებოდა. მასში შერწყმული იყო ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები. **წარმართობისა და ქრისტიანობის ერთგვარ სიმბიოზს „იუროდივთა“, ანუ ნეტარი სულების შესახებ წარმოდგენა წარმოადგენდა.** ის ყოფაში ფართოდ იყო გავრცელებული XVII საუკუნის ბოლომდე. „ნეტარი სულები“ წმინდან ადამიანებად ითვლებოდნენ, რომლებიც ქუჩებში დაძონძილები, შიშვლები, ჭუჭყიანები, ბორკილებდადებულნი დადიოდნენ. ისინი ყველა ადამიანური ქცევისაგან ძალიან შორს იდგნენ და ხშირად ამორალურადაც იქცეოდნენ, მკრეხელობდნენ, ისროდნენ ქვებს, ურცხვად ხუმრობდნენ. წყაროებში აღნიშნულია, რომ მოსკოველმა იუროდივმა (ნეტარმა სულმა) ვასილმა, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია წითელ მოედანზე პოკროვსკის ტაძრის მშენებლობა, ერთხელ რამდენიმე გოგონა დააბრმავა, თუმცა შემდეგ მხედველობა აღუდგინა. იუროდივების წეს-ჩვეულება იყო საოცარი ახირებების, განსაცვიფრებელი ასკეტიზმის, სილამაზეზე, კომფორტზე, ცხოვრებისეულ ამბებზე უარის თქმის, ზოგჯერ ამორალურობის და უგონობის ერთობლიობა. „ნეტარი სულების“ თვითაღკვეთა, პირად სიკეთეზე უარის თქმა ღარიბებისა და დაბეჩავებულ-დაჩაგრულ ადამიანთა გარკვეულ სიმპატიებს იწვევდა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ იუროდივობა აღმოსავლეთის რელიგიების მიმართ გარკვეული ღიაობის შედეგი იყო და მის შამანიზმთან კავშირსაც ხედავენ. **XVII საუკუნეში ოფიციალურ ეკლესიას გამოეყო სტაროვერობა. ამავე დროიდან დაიწყო ჩამოყალიბება სხვადასხვა რელიგიურმა სექტამ (დუხობორები, ხლისტები, მოლოკნები და სხვ.). XIX ს-ის დასასრულს 10 მილიონამდე სტაროვერსა და სექტანტს ითვლიდნენ.**

ძველრუსული ანთროპონიმია თავდაპირველად მხოლოდ საკუთარი სახელისაგან შედგებოდა. სახელების უმეტესობა საზოგადო სახელები იყო (*ვოლკ, უდან, დობრინია*). ძველ რუსებს ბევრი სახელი ჰქონდათ ნასესხები ფინურ-უგორული, თურქული და სხვა ენებიდან. თავდაპირველად რუსულ ზედაფენაში მნიშვნელოვანი რაოდენობით იყო გავრცელებული სკანდინავიური სახელები *(ოლეგი, ოლგა, იგორი).* ეს ბუნებრივიცაა, რადგან, როგორც ცნობილია, რუსებს სახელმწიფო ვიკინგებმა შეუქმნეს. ზედაფენაში პოპულარული იყო ორკომპონენტიანი სახელები *(სვიატოსლავი, მტისლავი, ვლადიმირი, ტვერდისლავი, ოსტრომირი).* ამ მოდელის წარმომავლობაზე მეცნიერებაში სხვადასხვა შეხედულებაა გამოთქმული. როგორც სხვა ხალხებში, რუსებშიც ქალის სახელები ძალიან მცირე რაოდენობით გვქონდა. ქალებს ხშირად მამის სახელების მიხედვით მოიხსენიებდნენ (ძველრუსული ეპოსის ყველაზე ცნობილი პერსონაჟის სახელია *იაროსლავნა*), ანდა ქმრის სახელის მიხედვით – წყაროებში მოხსენიებული ნოვგოროდელები *ზავიჟაია* და *პოლიუჟაია სავიდას* და *პოლიუდას* ცოლები იყვნენ. ჩვენამდე მოღწეული ძველი რუსული ქალის სახელია – *კრასოვა.* 988 წელს ქრისტიანობის გავრცელებას თან მოჰყვა კანონიზებული მართმადიდებლური სახელების გავრცელება. მათ შორის განსაკუთრებით ბევრი იყო ძველბერძნული სახელი *(ანდრია, ალექსანდრე, ბასილი, ლენა, ირინა).* ლათინური სახელებიდან შეიძლება დავასახელოთ *სერგეი, კონსტანტინე, ტატიანა, მატრონა;* არამეული, ძველებრაული, სირიული სახელებიდან – *ივანე, ფომა, მარია, ანა.* საუკუნეების განმავლობაში კანონიზებული სახელების ყოველდღიური ფორმები იცვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია მხოლოდ მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ (წმინდანთა) სახელებს არქმევდა, ხალხი მაინც არასაეკლესიო სახელებს იყენებდა *(უდანი, ნეუდანი, ისტომა, ტომილო, ნეგოდიაი, დურაკი, ჟუკი; ქალისა – მილავა).* **რუსებში გვარსახელები საკმაოდ გვიან წარმოიქმნა.** აზნაურებს შორის გვარსახელები ძირითადად XVII საუკუნეში გავრცელდა. XIX საუკუნის შუა ხანებისათვის გვარები უკვე ყველა სასულიერო პირს, ვაჭარს და რაზნოჩინელს ჰქონდა. **გლეხობას გვარსახელების ტარების უფლება მხოლოდ 1861 წელს – ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მისცეს.** რუსული გვარების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა პატრონიმიულია, რაც მიუთითებს გვარის პირველი მატარებლის წინაპრის (მამის, პაპის) სახელზე: ივანოვი ივანეს შთამომავალია, ზაიცევი – არაქრისტიანული სახელის მატარებლის – ზაიცისა, ბორისოვი – ბორისისა და ა. შ. გვარსახელები ძირითა-

დად –ოვ, -ევ, -ინ სუფიქსებით იწარმოება. გვარსახელების დაახლოებით 1% -სკი და –იხ ფორმანტებით ბოლოვდება. საბჭოთა პერიოდში სახელების რქმევის უფლება ეკლესიას ჩამოერთვა და რუსულ ანთროპონიმიაში უცხო, აქამდე უცნობი სახელების ნაკადი შემოიჭრა: 1. სხვა ხალხებში გავრცელებული სახელები (ედუარდი, ალბერტი, ალა, ჟანა); 2. აპელატივები – უცხოენოვანი ნასესხობები (ავანგარდი, იდეა, პოემა); 3. აბრევიატურები (ვლადლენი – ვლადიმერ ლენინი, რევმირა – რევოლუცია მიროვაია); 4. თითქმის დავიწყებული სახელები (ოლეგი, იგორი); 5. ჩვეულებრივი სახელების ფორმასთან ახლოს მდგომი ნაწარმოები სახელები (ოქტიაბრინა, სვეტლანა); 6. სრული სახელების კნინობითი ფორმები (დიმა, ოლია, ლენა). უინტერესო არ უნდა იყოს, რომ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის კალენდარში 874 მამაკაცის სახელი და 228 ქალის სახელია შეტანილი.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ რუსული ეთნოსი საუკუნეების განმავლობაში თავის რიგებში არაერთ სხვა ეთნოსს იერთებდა – ეს გვარებიდანაც კარგად ჩანს. ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი მონაცემი რუსული თავადური გვარების წარმომავლობის შესახებ. თათრული წარმოშობისანი არიან: ერმოლოვები, დავიდოვები, ჩერკასკები, ურუსოვები, რასტოპჩინები, ბიბიკოვები, მუხანოვები, დაშკოვები, უვაროვები, აპრასკინები, დერჟავინები, მორდვინოვები, არსენიევები, კარამზინები და სხვები. ინგლისური წარმოშობისანი არიან: ხამუტოვები (ჰამილტონებიდან), ბურნაშევები, ფომიცინები, ბესტუჟევები, ბესტუჟევ-რიუმინები. ძირად პოლონელები არიან: ჩერნიშევები, პოტიომკინები, ბუნინები, გრიბოედოვები, ბარატინსკები, ლანსკები. პრუსიელებს მიეკუთვნებიან: შერმეტევები, სალტიკოვები, მოროზოვები. ლიტვური ძირისანი არიან: გოლიცინები, მენშიკოვები, ტრუბეცკოები, კურაკინები, ლიხაჩევები, ნელიდოვები. გერმანელყოფილები არიან: ხვოსტოვები, ბეკლემიშევები, ორლოვები, ლევშინები, მარკოვები, გოროხოვები, ვოსტოკოვები, პროტოპოპოვები, პუშკინები. შვედი წინაპრები ჰყავდათ ხრულევებს და სუვოროვებს. იტალიელებიდან მომდინარეობენ: ნარიჩკინები, ჩიჩერინები, პანინები, კოლოშინები. უნგრელების შთამომავლებად ითვლებიან: ბლუდოვები, ბატურინები და კოლაჩევები. ბრიუსები შოტლანდიელები არიან, ვორონცოვები – ვიკინგები, შარიფოვები – ებრაელები, ფონ-ვიზინების წინაპარი იყო ივანე მრისხანეს მიერ ტყვედ აყვანილი ლივონელი რაინდი, ლერმონტოვებისა – პოლონეთიდან მოსული ლარმანტი.

მსოფლიო კულტურის საგანძურშია შესული გამოჩენილი რუსი მწერლების **(ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, თ. დოსტოევსკი, ლ. ტოლს-**

ტოი, ა. ჩეხოვი, ი. ბუნინი...) შემოქმედება. დიდი პოპულარობით სარგებლობენ რუსი კომპოზიტორები: **პ. ჩაიკოვსკი, მ. მუსორგსკი, ა. ბოროდინი (წარმოშობით ქართველი გედევანიშვილი), ნ. რიმსკი-კორსაკოვი, ი. სტრავინსკი** და სხვა. რუსები იყვნენ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები: **მ. ლომონოსოვი, დ. მენდელეევი, ი. მეჩნიკოვი, ნ. ჟუკოვსკი, ი. პავლოვი, ს. ჩაპლიგინი** და სხვა.

2.50. უკრაინელები

უკრაინელების თვითსახელწოდებაა **უკრაინცი**. ისინი ძირითადად უკრაინის სახელმწიფოში მკვიდრობენ (37,4 მილიონი). ცხოვრობენ აგრეთვე რუსეთში (4,36 მილიონი), ყაზახეთში (896 ათასი), მოლდოვეთში (600 ათასი), ბელორუსიაში (290 ათასი), ყირგიზეთში (109 ათასი), უზბეკეთში (153 ათასი), პოლონეთში (350 ათასი), კანადაში (550 ათასი), აშშ-ში (535 ათასი), არგენტინაში (120 ათასი) და სხვ. უკრაინელთა საერთო რაოდენობა 46 მილიონი კაცია.

უკრაინელები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის შუა ევროპულ რასას. მის შემადგენლობაში გამოყოფენ მეორე რიგის ანთროპოლოგიურ ტიპებს: პოლესო-ვოლინურს, დესნიანურს (ვალდაიურს), კარპატულს, ცენტრალურ-უკრაინულს, ნეოპონტურს.

უკრაინელები ლაპარაკობენ უკრაინულ ენაზე, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახის სლავურ ჯგუფში შედის. გამოყოფენ შემდეგ კილოებს: ჩრდილოურს, სამხრეთ-დასავლურსა და სამხრეთ-აღმოსავლურს, XIV ს-დან აქვთ დამწერლობა კირილიცას საფუძველზე. გავრცელებულია აგრეთვე რუსული ენა (უპირატესად სამხრეთსა და მარცხენა ნაპირზე, განსაკუთრებით ქალაქელთა შორის), დასავლეთ უკრაინაში კი ხანშიშესულ ადამიანებს შორის – პოლონური ენა.

უკრაინელები მართლმადიდებლები არიან, რომლებიც მოსკოვის პატრიარქატის უკრაინულ მართლმადიდებელ ეკლესიას, კიევის პატრიარქატის მართლმადიდებელ ეკლესიასა და აგრეთვე უკრაინის ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას მიეკუთვნებიან. დასავლეთ უკრაინაში ცხოვრობენ კათოლიკეები, რომელთა 90% კათოლიკეა ბიზანტიური წესით (ბერძენ-კათოლიკეები, უნიატები), დანარჩენები კი არიან კათოლიკეები ლათინური წესით. უკრაინელებს შორის არიან აგრეთვე პროტესტანტები (ორმოცდაათიანელები, ბაპტისტები, ადვენტისტები და სხვ.).

უკრაინელები ახლომონათესავე რუსებთან და ბელორუსებთან ერთად მიეკუთვნებიან აღმოსავლელ სლავებს. მათ შემადგენლობაში

გამოიყოფა კარპატული (ბოიკები, გუცულები, ლემკები) და პოლესური (ლიტვინები, პოლიშჩუკები) ეთნოგრაფიული ჯგუფები. უკრაინელი ხალხის ჩამოყალიბება XII ს-დან აღმოსავლეთსლავური მოსახლეობის სამხრეთ-დასავლური ნაწილის საფუძველზე მოხდა, რომლებიც ადრე ძველრუსული სახელმწიფოს – კიევის რუსეთის (IX-XII სს.) შემადგენლობაში შედიოდნენ. პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პერიოდში კულტურის, ყოფისა და ენის ადგილობრივ თავისებურებათა გამო (XII ს-ში წარმოიქმნა ტოპონიმი „უკრაინა“) ძველრუსული მოსახლეობის საფუძველზე შეიქმნა უკრაინელების, რუსებისა და ბელორუსების ფორმირების წინაპირობა. **უკრაინელი ხალხის ჩამოყალიბების ძირითადი ისტორიული ცენტრი იყო შუა დნეპრისპირეთი – კიევშჩინა, პერიასლავშჩინა, ჩერნიგოვშჩინა.** ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1240 წელს ოქროს ურდოელთა მიერ განადგურებულმა და კვლავ აღმდგარმა კიევმა, სადაც მდებარეობდა **მართლმადიდებელთა უმნიშვნელოვანესი სალოცავი – კიევ-პეჩორის ლავრა.** ამ ცენტრისაკენ მიიწევდა სხვა სამხრეთ-დასავლური აღმოსავლეთსლავური მიწები (**სივერშჩინა, ვოლინი, პოდოლია, აღმოსავლეთი გალიცია, ჩრდილოეთი ბუკოვინა და კარპატისპირეთი**). XIII საუკუნის დასაწყისიდან უკრაინელებმა უნგრელთა, ლიტველთა, პოლონელთა და მოლდოველთა დაპყრობები განიცადეს. XV საუკუნის დასასრულიდან შავი ზღვის ჩრდილოეთში თათრები დამკვიდრდნენ, რასაც თან ახლდა უკრაინელთა მასობრივი დატყვევება. **XVI-XVII საუკუნეებში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში უკრაინელი ხალხი გაერთიანდა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი კაზაკთა მიერ შექმნილმა სახელმწიფომ – ზაპოროჟიეს სეჩმა შეასრულა,** რომელსაც თავისებური რესპუბლიკური წყობა ახასიათებდა. ის უკრაინელთა თავისებური საყრდენი იყო. XVI საუკუნეში წარმოიქმნა მწიგნობრული უკრაინული (ე.წ. ძველუკრაინული) ენა. შუადნეპრისპირული კილოკავების საფუძველზე XVIII-XIX საუკუნეებში თანამედროვე უკრაინული (ახალუკრაინული) სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა.

1654 წელს მარცხენა ნაპირის უკრაინა ავტონომიის უფლებით რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. XVII საუკუნეს უკრაინელთა მნიშვნელოვანი გადაადგილება ახასიათებდა. XVIII საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის შემადგენლობაში შევიდა მარჯვენა ნაპირის უკრაინა და სამხრეთი ნაწილი, XIX საუკუნის პირველ ნახევარში კი – დუნაისპირეთის უკრაინის მიწები.

სახელწოდება „უკრაინა“ XII-XIII საუკუნეებში ძველრუსული მიწების სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ის შემდეგ ქვეყნის და იქ მცხოვრები ხალხის ეთნონიმად იქცა. XVI-XVIII საუკუნეებში რუსეთის ოფიციალურ დოკუმენტებში მას **„მალოროსიას“** და იქ მცხოვრებლებს **„მალოროსიანებს“** უწოდებდნენ.

უკრაინის სხვადასხვა ნაწილის ისტორიული განვითარების თავისებურებამ, გეოგრაფიული პირობების სხვადასხვაობამ შემდეგი უკრაინული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რაიონების – **პოლესიეს, ცენტრალური დნეპრისპირეთის, სამხრეთ პოდოლიის, კარპატების, სლობოჟანშჩინას** წარმოქმნა განაპირობა. უკრაინელებმა შექმნეს თვითმყოფადი ნაციონალური კულტურა.

უკრაინელთა ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა იყო სახვნელი მიწათმოქმედება. მოჰყავდათ ჭვავი, ხორბალი, ქერი, შვრია, ბარდა, კანაფი, XVII საუკუნის დასასრულიდან – სიმინდი, თამბაქო, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან – მზესუმზირა, კარტოფილი. უკრაინელებისათვის ოდითგანვე დამახასიათებელი იყო საკარმიდამო მებაღეობა (ვაშლი, მსხალი, ალუბალი, ქლიავი, ჟოლო...).

უკრაინელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში XIX საუკუნის ბოლომდე შემოინახა პატრიარქალური ურთიერთობის გადმონაშთები, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა **სამეზობლო თემს – გრომადა.** დამახასიათებელი იყო კოლექტიური შრომის ბევრი ტრადიციული ფორმა. პოლესიესა და კარპატებში შემორჩენილი იყო დიდი პატრიარქალური ოჯახის გადმონაშთები. მდიდარი და მრავალმხრივი იყო უკრაინელთა ხალხური შემოქმედება: სახვითი ხელოვნება (საცხოვრებლის მოხატულობა, ქარგვა თავისი ტრადიციული სახეებით და სხვ.), სიმღერები, ქორეოგრაფია, ფოლკლორი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უკრაინული ენის გამოყენების სფეროები ძალიან შემცირდა. 1991 წელს უკრაინა დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკრაინული ენის გამოყენება დაიწყო (1996 წლის კონსტიტუციით ის სახელმწიფო ენად გამოცხადდა), გააქტიურდა კონტაქტები უკრაინულ დიასპორებთან, უკრაინელთა ნაწილი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან (რუსეთი, ყაზახეთი და სხვ.) უკრაინაში გადასახლდა. დღევანდელი უკრაინისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობა ორ უკრაინულ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის.

1982 წელს უკრაინელებმა დედაქალაქ კიევის 1500 წლისთავი აღნიშნეს. ის V საუკუნეში პოლიანთა ტომის ცენტრში იქნა დაარსებუ-

ლი, მატიანეებში კი პირველად მოხსენიებულია 860 წლიდან. კიევში შემონახულია ბევრი არქიტექტურული ძეგლი. **სამშენებლო ხელოვნების ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია XI საუკუნის სოფიის ტაძარი**. ამავე საუკუნეშია აგებული იაროსლავ ბრძენის მიერ დაარსებული **ვიდუბიცკის მონასტერი**. ბევრი სიძველეა შემონახული ქალაქ ჩერნიგოვში, რომელიც მდ. დესნის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ის პირველად XI საუკუნეში იხსენიება. XIII-XIV საუკუნეების რამდენიმე ეკლესია-მონასტერია დასავლეთ უკრაინის ქალაქ ლვოვში. XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე ის იყო გალიცის სამთავროს დედაქალაქი, 1340 წლიდან ავსტრია-უნგრეთში, შემდეგ კი პოლონეთში შედიოდა.

უკრაინელები ამაყობენ დიდი შემოქმედებით, რომელთაგანაც შეიძლება დავასახელოთ პოეტი და მხატვარი **ტარას შევჩენკო** (1814-1861), პოეტი და მწერალი **ივან ფრანკო** (1856-1916), პოეტი **ლესია უკრაინკა** (1871-1913). ამ უკანასკნელმა სიცოცხლის ბოლო წლები საქართველოში გაატარა და სურამში გარდაიცვალა. უკრაინელი იყო წარმოშობით რუსი მწერალი **ნიკოლოზ გოგოლი**.

2.51. ბელორუსები

ბელორუსების თვითსახელწოდებაა „**ბელარუსი**“. ისინი ძირითადად განსახლებულნი არიან ბელორუსიის სახელმწიფოში (7 მილიონ 904 ათასი). ცხოვრობენ აგრეთვე რუსეთში (1 მილ. 206 ათასი), ლიტვაში (63 ათასი), ლატვიაში (119 ათასი), ესტონეთში (28 ათასი), უკრაინაში (440 ათასი), ყაზახეთში (182 ათასი), პოლონეთში (160 ათასი), აშშ-ში (20 ათასი), კანადაში (5 ათასი), არგენტინაში, ავსტრალიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 10 მილიონია.

ბელორუსები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის საშუალოევროპული რასის აღმოსავლეთ-ევროპულ ტიპს. ზოგიერთი მკვლევარი ბელორუსებში გამოყოფს პოლესიურ და ზემოდნეპრისპირულ ანთროპოლოგიურ ტიპებს.

ბელორუსები ლაპარაკობენ ბელორუსულ ენაზე, რომელიც შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახის სლავურ ჯგუფში. გამოყოფენ სამხრეთ-დასავლურ და ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებს. გავრცელებულია აგრეთვე რუსული, პოლონური და ლიტვური ენები. **ლიტვის საზღვარზე (გროდნოს ოლქში) გვხვდება ორენოვანი ლიტვურ-ბელორუსული სოფლები.** ბელორუსებს დამწერლობა შექმნილი აქვთ კირილიცას საფუძველზე. ბელორუსები ძირითადად მართლმადიდებ-

ლები არიან. 25% კათოლიციზმის ნაირსახეობის – გრეკოკათოლიციზმის (უნიატური ეკლესია) მიმდევარია.

ბელორუსები რუსებთან და უკრაინელებთან ერთად მიეკუთვნებიან აღმოსავლელ სლავებს. ყველაზე უფრო გავრცელებული კონცეფციით **ბელორუსების უძველეს ეთნიკურ საფუძველს შეადგენდნენ აღმოსავლურ-სლავური ტომები: დრეგოვიჩები, სამხრეთ-დასავლელი კრივიჩები, რადიმიჩები, ნაწილობრივ მეზობელი დრევლიანები, სევერიანები და ვოლინიანები. ბელორუსთა წინაპარმა აღმოსავლურ-სლავურმა ტომებმა ნაწილობრივ ლეტო-ლიტვური ტომების (იატვიაგების) ასიმილაციაც მოახდინეს.** IX-XI საუკუნეებში დღევანდელი ბელორუსიის ტერიტორიაზე მცხოვრები აღმოსავლური სლავური ტომები სხვა აღმოსავლურ სლავურ ტომებთან ერთად შედიოდნენ კიევის რუსეთის შემადგენლობაში, რომლის ფარგლებში გაერთიანდნენ სხვა ძველი რუსი ხალხები. X საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისში მისი შემადგენლობიდან პოლოცკის, ტუტოვო-პინსკის და სხვა სამთავროები გამოცალკევდნენ. ფეოდალური დაქუცმაცებულობის შემდეგ, XIII-XIV საუკუნეებში ბელორუსიის მიწები ლიტვის დიდი სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო 1569 წლიდან რეჩპოსპოლიტას შემადგენლობაში. **XIV-XVI საუკუნეებში მიმდინარეობდა ბელორუსი ხალხისა და მათი კულტურის ფორმირების პროცესი.** რეჩპოსპოლიტას მმართველი ზედაფენა ბელორუსთა კოლონიზაციის პოლიტიკას ატარებდა და კათოლიციზმს ნერგავდა. ძველრუსული ენის დასავლური დიალექტი – ძველბელორუსული ლიტვის დიდ სამთავროში სახელმწიფო ენის ფუნქციებს ასრულებდა. XVI ს-ში ამ ენაზე დაიბეჭდა წიგნები.

სახელწოდება **ბელორუსები (ბელორუსცი)** დაკავშირებულია ტოპონიმთან **ბელაია რუს**, რომელიც XIV-XVI საუკუნეებში გამოიყენებოდა ვიტებშჩინისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ მოგილოვშჩინასთან მიმართებით, XIX-XX სს-ში კი მან მოიცვა ბელორუსების მთელი ეთნიკური ტერიტორია. XIV-XVI საუკუნეებში მინსკისა და ვიტებსკის მომავალი გუბერნიების დასავლეთ ნაწილს, გროდნენშჩინას (ბრესტშჩინის) გამოკლებით, ეწოდებოდა **ჩორნაია რუსი**, სამხრეთ ჭაობიან და ტყიან ველს კი **პოლესიე**. ბელორუსების დღევანდელი სახელწოდება XVII საუკუნეში გაჩნდა. ამავე დროს ბელორუსულ-უკრაინული მოსახლეობის აღსანიშნავად გაჩნდა სახელწოდება – **პოლეშჩუკები.** ერთდროულად არსებობდა ეთნონიმები **ლიტვინები, რუსინები, რუსკიე. თვითსახელწოდება, ეთნონიმი – ბელორუსები, ფართოდ გავრცელდა მხოლოდ ბელორუსიის სსრ-ის ჩამოყალიბების შემდეგ (1919).**

ბელორუსული ეთნიკური ერთობის ფორმირება მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის კონფესიური დაპირისპირების ფონზე

მიმდინარეობდა. რეჩ-პოსპოლიტას შემადგენლობაში თუ პოლონიზაციის პოლიტიკა ხორციელდებოდა, რუსეთმა ეს რუსიფიკაციით შეცვალა (ბელორუსია რუსეთის შემადგენლობაში XVIII ს-ის ბოლოს შევიდა). XVII ს-ის ბოლოს ძველბელორუსული ენა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გამოიდევნა პოლონურის მიერ. ბელორუსულ სალიტერატურო ენაზე, რომელიც ცოცხალი სალაპარაკო ენის საფუძველზე შეიქმნა, პუბლიკაციები მხოლოდ XIX საუკუნესა და XX ს-ის დასაწყისში დაიბეჭდა. ფაქტი დამოუკიდებელი ბელორუსული ეთნოსის არსებობის შესახებ ეჭვქვეშ დგებოდა, ცდილობდნენ ბელორუსები რუსების ან პოლონელების ნაწილად წარმოედგინათ. ეკლესიისა და სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად არსებული კონფესიური გათიშულობის გამო ბელორუსების თვითშეგნება ხშირად იცვლებოდა; ისინი ხან ერთ კონფესიას მიეკუთვნებოდნენ, ხან მეორეს. ხშირად ისინი თავიანთ თავს „**კათოლიკეებს**“ ან „**მართლმადიდებლებს**“ უწოდებდნენ, ზოგჯერ კი „**ტუტეიშებს**“, ე.ი. ადგილობრივებს. XIX ს-ის დასასრულს ბელორუსთა ნაციონალური ფორმირების პროცესი გაძლიერდა.

ბელორუსული კულტურის ერთგვაროვნობის პირობებში ჩამოყალიბდა მისი რეგიონალური ერთეულები. გამოყოფენ ექვს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რაიონს.

ბელორუსული სალიტარატურო ენის ნორმები შემუშავდა საბჭოთა ხელისუფლების დროს, მაგრამ ომის შემდგომ პერიოდში მისი გამოყენება მკვეთრად შეიზღუდა. ბელორუსების დიდი ნაწილი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში რუსულ ენას იყენებდა. 1988 წელს ბელორუსულ სკოლებში მოსწავლეთა მხოლოდ 14% სწავლობდა. სერიოზული ცვლილებები ხდებოდა არა მარტო ენობრივ ქცევაში, არამედ მენტალიტეტშიც. ბელორუსთა ზოგიერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია გულგრილი დამოკიდებულება ნაციონალური კულტურის მიმართ. ბელორუსიის სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ (1991 წ.) მიმართავენ მთელ რიგ ღონისძიებებს ბელორუსული ენისა და კულტურის აღორძინებისათვის.

ბელორუსთა ტრადიციული საქმიანობაა მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, აგრეთვე მეფუტკრეობა, შემგროვებლობა. მეცხოველეობაში დიდ როლს თამაშობდა მეღორეობა, მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობა. ბელორუსიის მთელ ტერიტორიაზე გავრცელებული იყო მეცხვარეობა.

ბელორუსების ყოველდღიურ საკვებს წარმოადგენდა ჭვავის, იშვიათად ხორბლის პური. სასმელებიდან ცნობილია არყის ხის წვენი, თაფლის, პურის, ჭარხლის ბურახი.

ტრადიციული ბელორუსული საცხოვრებელი ძელური ქოხი იყო. ადრე ის სამი ნაწილისაგან შედგებოდა: საკუთრივ ხატა (საცხოვრებელი ოთახი), სათივე ფარდული და საკუჭნაო. სახელგანთქმულია ბელორუსული ნაქარგობა, რომლითაც ორნამენტირებული აქვთ როგორც საყოფაცხოვრებო საგნები, ისე ტანსაცმელი.

XIX ს-ში ბევრი გლეხი დიდ ოჯახებად ცხოვრობდა. სოფლებში შემორჩენილი იყო თემური ორგანიზაციის ელემენტები – ურთიერთდახმარების ფორმები. ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი სოფელში ყრილობაზე წყდებოდა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ოჯახის უფროსები. დაკრძალვის წეს-ჩვეულებებში შემონახული იყო ბევრი არქაული ელემენტი – სულის მოსახსენიებელი ტრაპეზი, რომელშიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო კოლიო.

ბელორუსები ქრისტიანები არიან, შესაბამისად გავრცელებულია კანონიზებული ქრისტიანული სახელები, მაგრამ მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ ბელორუსთა შორის, ძველსლავურ სახელებთან ერთად, ფართოდ იყო გავრცელებული ბალტიური, ძირითადად ლიტვური და პრუსიული საკუთარი სახელები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბელორუსთა ეთნოგენეზში აღნიშნულმა ხალხებმაც მიიღეს მონაწილეობა. შემორჩენილია ქრისტიანობამდელი სახელებიც, მაგალითად, *„ვოუკ“(მგელი), „გარნასტაი“(ყარყუმი)*. დასავლეთ ბელორუსიში კათოლიციზმის გავრცელებას კათოლიკური სახელების გავრცელება მოჰყვა. ისინი აქ ძირითადად პოლონეთიდან გავრცელდა. თანამედროვე სამსაფეხურიანი ანთროპონიმიული მოდელის (სახელი+მამის სახელი+გვარსახელი) ფორმირება XVIII საუკუნიდან დაიწყო. ბელორუსული გვარსახელები რამდენიმე სუფიქსს ირთავენ. გვარების 18,2% -ოვ / -ევ ფორმანტით ბოლოვდება. -ოვიჩ / -ევიჩ, -იჩ სუფიქსიანი გვარების რაოდენობას 10,6 %-ით განსაზღვრავენ. ბელორუსულ ანთროპონიმიაში მესამე ადგილი უკავია -სკი სუფიქსს –10,5%. გვარების 41% აპელიატივებისაგანაა ჩამოყალიბებული. ბელორუსულ გვარებში საკმაო რაოდენობით გვხვდება ბალტიური წარმომავლობის გვარებიც.

საერთო სლავური კულტურის ცნობილი მოღვაწე იყო წარმოშობით ბელორუსი **სიმეონ პოლოცკი** (1629-1680 წლები). გამოჩენილი პოეტები არიან **იანკა კუპალა** (1882-1942 წლები) და **იაკუბ კოლასი** (1882-1956), რომლებმაც ნაციონალური პოეზიის, პროზის და დრამატურგიის კლასიკური ნიმუშები შექმნეს.

2.52. ფინელები

ფინელებით დასახლებული ქვეყანა ფინეთი დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე ჩრდილოური ქვეყანაა. ფინელების თვითსახელწოდებაა **სუომე (სუომალაისეტი)**. ისინი ფინეთის მოსახლეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენენ (4 მილ. 650 ათასი კაცი). ცხოვრობენ აგრეთვე აშშ-ში (305 ათასი), კანადაში (53 ათასი), შვეციაში (310 ათასი), ნორვეგიაში (22 ათასი), რუსეთში (47 ათასი) და სხვ. მათი საერთო რაოდენობა 5 მილ. 430 ათასი კაცია. ნორვეგიაში **კვენების** სახელწოდებით არიან ცნობილები.

ანთროპოლოგიურად ფინელები არაერთგვაროვანნი არიან. ჩრდილოეთში გვხვდება ატლანტურ-ბალტიური რასის აღმოსავლურ-ბალტიური ტიპი, სამხრეთ-დასავლეთში – საკუთრივ ბალტიური. აღმოსავლეთ ფინელებში სუსტად გამოხატულია მონგოლოიდური მინარევიც.

ფინური ენა შედის ურალურ ენათა ოჯახის ფინურ-უნგრული ჯგუფის ბალტიისპირულ-ფინურ ქვეჯგუფში. თანამედროვე სალიტერატურო ენა დაფუძნებულია დასავლურ დიალექტებზე აღმოსავლური ლექსიკის ჩართვით. **ფინელებში გავრცელებულია აგრეთვე შვედური ენა, რომელიც ფინურთან ერთად ქვეყნის ოფიციალური ენაა.** სალიტერატურო ენაში გამოყოფენ ორ ძირითად პერიოდს: ძველფინურსა (1540-1820) და ახალფინურს (XX ს. 20-იანი წლებიდან). 1863 წლიდან ფინურმა ენამ ფორმალურად შვედურის თანაბარი უფლებები მოიპოვა. შემოიღეს მისი სწავლება სკოლებსა და უნივერსიტეტებში, მასზე დაიწყეს გაზეთების, ჟურნალების, მხატვრული ლიტერატურის შექმნა. XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის შეიქმნა თანამედროვე ფინური სალიტერატურო ენის საფუძვლები. 1919 წელს ფინური ენა ფინეთის ოფიციალურ ენად გამოცხადდა. დამწერლობა დაფუძნებულია ლათინურ გრაფიკაზე. ფინელები აღმსარებლობით ძირითადად პროტესტანტ-ლუთერანები არიან. ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა პიეტიური მოძრაობები (**პიეტიზმი – ერთ-ერთი მიმდინარეობა ლუთერანულ ეკლესიაში; წარმოიშვა XVII ს-ში).** არის რამდენიმე სხვა სექტაც. მოსახლეობის 1,5% მართლმადიდებელია; ისინი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში ცხოვრობენ.

ფინელების წინაპრები – ბალტიურ-ფინური ტომები თანამედროვე ფინეთის ტერიტორიაზე აღმოსავლეთიდან ძვ.წ. III ათასწლეულში შემოიჭრნენ. VIII საუკუნისათვის თითქმის მთლიანად დაიკავეს ფინეთის დიდი ნაწილი და აქ მცხოვრები *საამები (ლოპარები)* ჩრდილოეთისაკენ განდევნეს. ფინელებმა ამ უკანასკნელთა ნაწილობრივი ასიმილაციაც მოახდინეს. დროთა განმავლობაში **ფინეთში ჩამოყალიბდა სამი ძირითადი ტომობრივი ჯგუფი: სამხრეთ-დასავლეთში –**

სუომი, ქვეყნის ცენტრალური ნაწილის სამხრეთში – ჰიამე, აღმოსავლეთში – კარიალა (კარელი). სუომის, ჰიამესა და დასავლეთ კარელიელების შერევის შედეგად ჩამოყალიბდა ფინელი ხალხი. სკანდინავიის ქვეყნებში ფინელი მიგრანტებისაგან, რომლებიც სხვადასხვა ტომებს მიეკუთვნებოდნენ, ჩამოყალიბდა ფინელების განსაკუთრებული ჯგუფი – კვენი.

ახ.წ. I ათასწლეულში ფინელმა ტომებმა ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა დაიწყეს და მიწათმოქმედნი გახდნენ.

ფინეთი მუდმივად იყო შვედების აგრესიის ობიექტი. მათი ექსპანსია აქ VIII საუკუნეში დაიწყო. XII-XIII საუკუნეებში შვედების აგრესიის მიზეზი წარმართი ფინელები იყვნენ, რომელთა ქრისტიანებად მოქცევა ჰქონდათ განზრახული. ამ დროისათვის მათ ფინეთის მიწა კიდეც დაიპყრეს. ამის შემდეგ ქვეყანა ხანგრძლივად (XIX საუკუნის დასაწყისამდე) შვედეთის მეფის ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა. შვედთა ხანგრძლივმა ბატონობამ თავისი დაღი დააჩნია ფინურ კულტურას (აგრარული ურთიერთობანი, საზოგადოებრივი ინსტიტუტები). შვედებმა ფინელები ძალით გააქრისტიანეს; რეფორმაციის პერიოდში (XVI ს.) შეიქმნა ფინური დამწერლობა. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე ფინური ენა მხოლოდ ღვთისმსახურებისა და ყოველდღიური ურთიერთობის ენად რჩებოდა, ფორმალურად შვედურ ენასთან ერთად თანაბარი უფლებებით სარგებლობდა.

რუსეთ-შვედეთის ომში შვედების დამარცხების შემდეგ ფინეთი 1809 წელს რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. 1809-1917 წლებში ფინეთის დიდი სამთავრო ავტონომიის სტატუსით შედიოდა რუსეთის იმპერიაში. 1917 წლის დეკემბერში გამოცხადდა ფინეთის დამოუკიდებლობა.

ფინელების კულტურის დასავლურ და აღმოსავლურ ნაწილებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. დასავლეთში უფრო საგრძნობია შვედური კულტურის გავლენა. XIX საუკუნის დასასრულამდე სოფლის მეურნეობაში წამყვანი დარგი მიწათმოქმედება იყო. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ძირითადი მიმართულება სარძევე მეცხოველეობა გახდა. დღეს სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის მხოლოდ 9%-ია დასაქმებული. განვითარებულია მეტყევეობა და მეთევზეობა.

ფინელებში განვითარებული იყო წყლის ტრანსპორტი. მათ 12 ტიპის ნავი ჰქონდათ შექმნილი. ხმელეთზე გადასაადგილებლად ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის სათრეველა და მარხილი (მათ შორის საზაფხულო). ბორბლიანი ტრანსპორტი აქ გვიან გავრცელდა. ზამთარში ძველთაგანვე ფართოდ გამოიყენებოდა თხილამუ-

რები. თანამედროვე თხილამურები ხისაა, ვიწრო. ადრე გამოიყენებოდა ფართო, რომელსაც ტყავი ჰქონდა გადაკრული. ხშირად მარცხენა თხილამური იყო ვიწრო, გრძელი, სრიალა, მარჯვენა კი – მოკლე, ტყავგადაკრული.

ქვეყნის აღმოსავლეთში რეგულარულად აცხობენ მაღალ რბილ პურს. დასავლეთ რაიონებში ტრადიციულად ამზადებენ ლუდს, აღმოსავლეთში – ბურახს.

კალენდარული დღესასწაულებიდან ფინელებში ყველაზე მეტად მიღებულია შობა. შემორჩენილია ზოგიერთი ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენა (მაგალითად, „ივანოვ-დღეს“ კოცონების ანთება). ცნობილია ფინური ეპოსი „კალევალა“, რომელშიც მოთხრობილია ფინელთა და კარელიელთა ცხოვრების ამბები ქრისტიანობის მიღებამდე. პირველად ის 1835 წ. გამოაქვეყნა ფინური ლიტერატურის მოღვაწემ **ელიას ლენროტმა** (1802-1884 წწ.). დღეისათვის ყოველწლიურად აღინიშნება „კალევალას” დღე. ფინელი იყო მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორი, სიმფონიური ნაწარმოებების ავტორი **იან სიბელიუსი** (1865-1957 წწ.).

რუსეთში, ლენინგრადის ოლქში მცხოვრებ ფინელებს **ფინელ-ინგერმანლანდელებს** უწოდებენ. სხვანაირად ისინი პეტერბურგელ ფინელებადაც მოიხსენიებიან. მათი თვითსახელწოდებაა **ფინელები (სუომალაისეტ)** და **ინკერილიაისეტ**, ე.ი. ინკერიის (იჟორელთა მიწის, ანუ ინგერიის ფინური სახელწოდებიდან – ინკერია) მცხოვრებნი. გერმანულად პეტერბურგელი ფინელები ინგერმანლანდელების სახელწოდებით არიან ცნობილი. რუსეთის ფედერაციაში აღნიშნული ეთნიკური ჯგუფის რაოდენობა 47 ათასზე მეტია. აქ ისინი მკვიდრობენ კარელიაში (18,4 ათასი), ლენინგრადის ოლქის გატჩინისა და ვსევოლოჟის რაიონებში (11,8 ათასი) და სანკტ-პეტერბურგში (5,5 ათასი). ესტონეთში დაახლოებით 16,6 ათასს ითვლიან. ფინელი-ინგერმანლანდელები ფინური ენის აღმოსავლურ დიალექტზე მეტყველებენ. ისინი პროტესტანტ-ლუთერანელები არიან. წარსულში მცირე რაოდენობით გვხვდებოდნენ მართლმადიდებლები და *სექტანტი-პრიგუნები.*

ფინელები ინგერიის ტერიტორიაზე 1617 წლის შემდეგ დასახლდნენ, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ ლადოგისპირეთი შვედეთის შემადგენლობაში შევიდა, რომლის შემადგენლობაშიც მაშინ, თავის მხრივ, ფინეთიც შედიოდა. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფინელი მიგრანტების უმნიშვნელო რაოდენობა ამ ტერიტორიაზე უფრო ადრეც – XIV საუკუნეშიც ცხოვრობდა. ძირითადი ნაწილი კი XVII საუკუნეში დასახლდა, როდესაც შვედეთის ხელისუფლება ფინელ-ინგერმანლანდიელებს ძალით აღებინებდა ლუთერანობას, რამაც, თავის მხვრივ, მართლმადიდებელი მოსახლეობის (იჟორელები, ვო-

დები, კარელიელები, რუსები) სამხრეთით, რუსეთის კუთვნილ ტერიტორიებზე გადასახლება გამოიწვია. გამოთავისუფლებულ მიწებზე კი ფინელები დასახლდნენ. ფინელთა აქ გადმოსახლება XVIII და XIX საუკუნეებშიც გრძელდებოდა. მიგრანტი ფინელები ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთოდ არ ურთიერთობდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს ფინელი-ინგერმანლანდიელები საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებში გადაასახლეს (დაახლ. 2/3). ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილნი ფინეთში იქნენ ევაკუირებულნი (დაახლ. 60 ათასი კაცი). ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ზავის დადების შემდეგ ევაკუირებული მოსახლეობა უკან დაბრუნდა, მაგრამ მათ ადრინდელი განსახლების ადგილებში დასახლების ნება არ მისცეს. 1980-იან წლებში ფინელ-ინგერმანლანდიელებს შორის გაიშალა მოძრაობა კულტურული ავტონომიის აღდგენისა და ძველი ბინადრობის ადგილებში დაბრუნების მოთხოვნით.

პეტერბურგელი ფინელები ირგვლივ მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს იშვიათად ერეოდნენ. ლუთერანული ეკლესიის წყალობით მათ თავიდანვე განათლებისადმი დიდი მიდრეკილება ჰქონდათ. ალექსანდრე III რუსიფიკატორული პოლიტიკის მიუხედავად სკოლებში ფინურ ენაზე სწავლება შეინარჩუნეს. 1870 წელს პეტერბურგში გამოსცეს პირველი ფინურენოვანი გაზეთი.

2.53. ლოპარები (საამები)

ლოპარები ჩრდილოეთ ევროპის მცირერიცხოვანი ხალხია. მათი თვითსახელწოდებაა **საამი, ლოპარი**. ნორვეგიაში ცხოვრობს 40 ათასი კაცი, შვედეთში – 18 ათასი, ფინეთში – 4 ათასი, რუსეთის ფედერაციაში (კოლის ნახევარკუნძულზე) – 2 ათასი კაცი. როგორც ენათმეცნიერები აღნიშნავენ, სიტყვა „ლოპარი“ ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ფინურ სიტყვასთან „აპპუ“, რაც „დასასრულს“, „მხარეს“ ნიშნავს. **ლოპარებით დასახლებულ მხარეს სკანდინავიასა და ფინეთში ლაპლანდიას უწოდებენ.**

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ლოპარებს შორის გაბატონებულია ლაპონოიდური ტიპი, რომელიც ევროპეიდული და მონგოლოიდური დიდი რასების ძველ საკონტაქტო ზონაში ჩამოყალიბდა. ლოპარების (საამების) დამახასიათებელი ნიშნებია: დაბალი სიმაღლე (155-160 სმ. მამაკაცებისათვის), მნიშვნელოვანია ბრახიკეფალია, შედარებით მუქი პიგმენტაცია. მონგოლოიდური მინარევი თვალსაჩინოდ არაა გამოხატული.

ლოპართა ენა მიეკუთვნება ფინურ-უგრულ ენათა ოჯახის ჩრდილო-ფინურ შტოს. ლოპარების ენაში გამოიყოფა ექვსი დიალექტი.

განსხვავება მათ შორის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა რაიონებში მცხოვრებ ლოპარებს ხშირად ერთმანეთის არ ესმით. შვეციის, ნორვეგიისა და ფინეთის ლოპართა (საამების) ენას XVII საუკუნიდან დამწერლობა აქვს ლათინური გრაფიკის საფუძველზე. ლოპარების ენას ასწავლიან დაწყებით კლასებში.

ფიქრობენ, რომ ლოპართა წინაპრები აღმოსავლეთიდან – ციმბირიდან მოვიდნენ. ლოპარები წარსულში მათი დღევანდელი განსახლების არეალიდან მნიშვნელოვნად სამხრეთით ცხოვრობდნენ. ლოპარების უფრო სამხრეთით განსახლების დამადასტურებელია შვედეთისა და ფინეთის ტოპონიმები. ძველი ავტორებიდან ლოპარებს პირველად I საუკუნეში ტაციტი მოიხსენიებს. მათ შესახებ ცნობები გვხვდება პროკოფისთან (VI ს.) და ადამ ბრემენელთან (1066 წ.).

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ლოპარები დამოუკიდებელნი იყვნენ, მაგრამ XIII ს. დასასრულიდან ლაპლანდიის ტყიან და მთიან რაიონებში მოსახლე ლოპარები შვედების გამგებლობაში აღმოჩნდნენ. XVI ს-დან ლოპარებს შორის მისიონერული საქმიანობა დაიწყო.

XVII ს-მდე ლოპარების მთავარი საქმიანობა მონადირეობა და მეთევზეობა იყო. ამ დროიდან სწრაფად განვითარდა მეირმეობაც.

გამოიყოფა ლოპარების სამი ჯგუფი: I – საზღვაო და სანაპირო ზოლის ბინადარი ლოპარები, რომლებიც ნორვეგიელ ლოპართა უმეტესობას შეადგენენ, მათი მთავარი საქმიანობაა მეთევზეობა. XX ს-ის დასაწყისში ლოპარებში განვითარებას იწყებს მესაქონლეობა (ცხენების, ძროხების, თხების, ცხვრების მოშენება) და მიწათმოქმედება; II – მდინარის ლოპარები, რომლებიც შვეციის შიდა რაიონებსა და ფინეთში მკვიდრობენ. მათი ძირითადი საქმიანობაა მონადირეობა და მეთევზეობა ტბებსა და მდინარეებზე; III – მომთაბარე ლოპარები; ცხოვრობენ ძირითადად შვეციაში. მთავარი საქმიანობაა მეირმეობა.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ლოპარები გვაროვნული წყობით ცხოვრობდნენ. სკანდინავიელ და ფინელ ლოპარებში XIX საუკუნის დასაწყისამდე შემორჩა გვაროვნული მეტსახელი, რაც, ჩვეულებრივ, გვარებს (ფამილიებს) შეესატყვისებოდა. ეს სახელები სუფთა ლოპარული წარმოშობისა იყო, რადგან მასში შედიოდა სიტყვა „აია“, რაც „მამას“, „წინაპარს“ ნიშნავს. XX ს-ის დასაწყისში ლოპარები უკვე პატარა ოჯახებად ცხოვრობდნენ. **ლოპარებისათვის დამახასიათებელი იყო სახელის გადარქმევა. სახელის შეცვლა ხდებოდა განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში.** მიცვალებულებს მარხავდნენ ციგით, რომელსაც კუბოს ნაცვლად იყენებდნენ. დაკრძალვის ადგილებს, ჩვეულებრივ, საცხოვრებლისაგან მოშორებით ირჩევდნენ. საფლავზე ტოვებდნენ გადაბრუნებულ ციგას, ცულს,

მშვილდს, ისარს, აგრეთვე საკვებს. ქრისტიანობის მიღებამდე ლოპარები პოლითეისტური სარწმუნოების მიმდევრები იყვნენ. ლაპლანდიაში გავრცელებული იყო წმინდა ქვების თაყვანისცემა. ლოპარებმა ქრისტიანობა XVI ს-ში მიიღეს, რამაც წარმართული რწმენა-წარმოდგენების გამოდევნა გამოიწვია. დღეისათვის ლოპარების ძლიერი ასიმილაცია მიმდინარეობს (განსაკუთრებით ნორვეგიაში).

2.54. კარელიელები

კარელიელების თვითსახელწოდებაა **კარიალაიზეტ**. ისინი ცხოვრობენ რუსეთში. მათი საერთო რაოდენობა 124,9 ათასი კაცია. კარელიის ძირითადი მკვიდრი მოსახლეობა 78,9 ათასია. განსახლებულნი არიან აგრეთვე ტვერის ოლქში (23,2 ათასი), ლენინგრადის, მურმანსკის, არხანგელსკის, მოსკოვის, კემეროვოსა და სხვა ოლქებში. ცხოვრობენ აგრეთვე უკრაინაში (2 ათასი კაცი), ბელორუსიასა და ესტონეთში (ათას-ათასი კაცი). საერთო რაოდენობა 130,9 ათასი კაცია. ლაპარაკობენ ურალურ ენათა ოჯახის ფინურ-უგრული ჯგუფის კარელიურ ენაზე. კარელიელთა ენას, რომელსაც ძირითადად ყოფაში იყენებენ, აქვს სამი დიალექტი: საკუთრივ კარელიური (რომელიც ყველაზე ახლოსაა ფინურთან), ლივიკოვური და ლიუდიკოვური (რომელშიც მკვეთრადაა გამოხატული ვეპსური ენის ნიშნები). კარელიელებში გავრცელებულია აგრეთვე ფინური ენა. სარწმუნოებით მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან.

კარელიელები ანთროპოლოგიურად მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიურ რასას. ზოგიერთ ჯგუფში შეინიშნება სუსტი მონგოლოიდური მინარევი.

კარელიელთა ფორმირება მოხდა სამხრეთ კარელიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფინეთის აბორიგენული ტომების საფუძველზე. ახ.წ. I-II ათასწლეულების მიჯნაზე კარელიელების წინაპრები დასახლებულნი იყვნენ ლადოგის ტბის სანაპიროზე. კარელიელების მიგრაცია ჩრდილოეთით XI საუკუნეში დაიწყო. მათ შეერია ვესების (ვეპსების) ნაწილი. კარელიის ჩრდილოეთში კარელიელთა შემადგენლობაში შევიდა საამების ნაწილი. კარელიის ტერიტორია შედიოდა ნოვგოროდის რესპუბლიკის შემადგენლობაში, 1478 წლიდან კი ცენტრალიზებულ რუსულ სახელმწიფოში.

ძველი კარელიელები რუსულ წყაროებში პირველად 1143 წელს არიან მოხსენიებულნი, გვხვდებიან აგრეთვე სკანდინავიურ საგებში, ქრონიკებში, რომის პაპის ბულებში.

კარელიელებში განვითარებული იყო სახვნელი მიწათმოქმედება, აგრეთვე მეცხოველეობა, მონადირეობა, მეთევზეობა, ხელოსნობა,

ხე-ტყის დამუშავება, ჩრდილოეთში – მეირმეობა. XVIII საუკუნიდან დაიწყეს საშოვარზე წასვლა.

XIX საუკუნის დასასრულისათვის შემორჩენილი იყო 3-4 თაობის მომცველი დიდი ოჯახები (25-40 კაცის შემადგენლობით).

თანამედროვე კარელიელების საკუთარი სახელები ძირითადად რუსული ანთროპონიმიიდანაა ნასესხები, თუმცა ხშირად ფონეტიკურად ისინი სახეცვლილია. მაგალითად, გიორგი გამოითქმის როგორც დიურგი, ფეოდორ – ხოდორი, იაკობი – დიუაკო, ანასტასია – ნაშტო. რუსულის გავლენით კარელიური ანთროპონიმიული მოდელი სამწევრიანია.

2.55. ესტონელები

ესტონელთა თვითსახელწოდება XIX საუკუნის შუა ხანებიდან არის **ეესტლასედ**, უფრო ადრე კი იყო – **მაარაჰვას** (სიტყვასიტყვით „ჩვენი მიწის ხალხი“). პირველად ეთნონიმი „ესტი“ გვხვდება ახ.წ. I საუკუნეში რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის ნაშრომებში, მაგრამ მაშინ ის აღნიშნავდა არა დღევანდელ ესტონელთა წინაპრებს, არამედ ერთ-ერთი ბალტიური მოდგმის ხალხს, რომლებიც ვისლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. IX საუკუნიდან ტერმინით „ესტლანდ“ უკვე ეთნიკურ ესტონელთა მიწა იწოდება. რუსულ საისტორიო წყაროებში ბალტიის სხვა ფინურ ტომებთან ერთად ესტონელები **„ჩუდის“** სახელით მოიხსენიებიან. რაც შეეხება ეთნონიმს „ესტები“ (ესტონელები) ის XVIII საუკუნის დასაწყისიდან გავრცელდა. ესტონეთის სახელმწიფოში ცხოვრობს 1 მილ. 460 ათასი კაცი, რომელთაგან ესტონელია 963 ათასი კაცი (ქვეყნის მოსახლეობის 61,5 %). ცხოვრობენ აგრეთვე რუსეთში (46,4 ათასი კაცი), შვედეთში (25 ათასი კაცი), აშშ-ში (25 ათასი), კანადაში (25 ათასი კაცი), ავსტრალიაში (6 ათასი კაცი). ესტონელთა მცირე ჯგუფი საქართველოშიც (აფხაზეთში) მკვიდრობს. ესტონელების საერთო რაოდენობა 1,1 მილიონია.

ანთროპოლოგიურად მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ატლანტურ-ბალტიური რასის დასავლურ-ბალტიურ და აღმოსავლურ-ბალტიურ ტიპებს. ლაპარაკობენ ესტონურ ენაზე, რომელიც შედის ურალურ ენათა ოჯახის ფინურ-უგრული ჯგუფის ბალტიისპირულ-ფინურ ქვეჯგუფში. ესტონურ ენაში გამოყოფენ რამდენიმე დიალექტს. სალიტერატურო ენა დაფუძნებულია ჩრდილოურ დიალექტზე. თანამეროვე ესტონურ ენაში მეცნიერები 150-მდე ბალტიურ სიტყვას ითვლიან. ნასესხებ სიტყვებს შორის 350 გერმანულ სიტყვასაც

უთითებენ. ამავე დროს ესტონურ ენაში 70-მდე სლავური სიტყვაცაა დაფიქსირებული. ესტონურ ენაში უცხო სუბსტრატული, სუპერსტრატული და ადსტრატული ლექსიკური ერთეულები ესტონელთა ეთნოგენეზსა და ეთნიკურ ისტორიაში ბალტიური, გერმანული და სლავური ეთნიკური ელემენტების მონაწილეობაზე მიუთითებენ. ესტონელი ხალხის ფორმირებაში ძირითადი როლი ჩრდილოესტონურმა ტომებმა ითამაშეს, რომელთა დიალექტიც შემდგომ ლიტერატურულ ენას დაედო საფუძვლად. მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ ესტონეთის აღმოსავლეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში ესტონელებს ვოდების ნაწილი შეერწყა, რომელთა ენაც ბალტიურ-ფინურ ენებს მიეკუთვნებოდა. XVI ს-დან ესტონელებს აქვთ ლათინური გრაფიკის საფუძველზე შექმნილი დამწერლობა. ესტონელთა უმეტესობა პროტესტანტ-ლუთერანია. გავრცელებულია აგრეთვე ბაპტიზმი, ადვენტიზმი. ესტონეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სეტეს ეთნოგრაფიულ ჯგუფში, არიან მართლმადიდებლებიც. ესტონელებმა ქრისტიანობა გვიან მიიღეს. XVI ს-ში მათ კვლავ ახლად მოქცეულებს უწოდებდნენ. შემორჩენილია ანიმისტური რწმენა-წარმოდგენები. XIX ს-შიც ქორწინება კანონიერად არა საეკლესიო ჯვრისწერის შემდეგ, არამედ ხალხური საქორწილო რიტუალის შემდეგ ითვლებოდა.

ესტონელები ჩამოყალიბდნენ აღმოსავლეთ ბალტიისპირეთში ძველი აბორიგენული მოსახლეობისა და ძვ.წ. III ათასწლეულში აღმოსავლეთიდან მოსული ფინურ-უგრული ტომების შერევის შედეგად. გვიან მათ შეითვისეს აღმოსავლურ ფინურ-უგრული, ბალტიური, გერმანული და სლავური ელემენტები. ახ.წ. I ათასწლეულისათვის ჩამოყალიბდა ესტონური ტომების ძირითადი დაჯგუფებანი. ახალი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასაწყისში ესტონელებში ძირითადი საზოგადოებრივ-ტერიტორიული ერთეული სასოფლო თემი იყო. სასოფლო თემები კი უფრო მსხვილ ერთეულებად („კიხელკონდები“) იყვნენ გაერთიანებულნი. ამ დროს ესტონელთა ტერიტორიას პოლიტიკური ერთობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა. XIII საუკუნეში ესტონეთის სამხრეთში დაიწყო ლივონის ორდენის ექსპანსია, ხოლო ჩრდილოეთში – დანიელებისა. 1227 წლისათვის ესტონეთის ტერიტორია ლივონიის ორდენის შემადგენლობაში შევიდა; 1238-1346 წლებში ესტონეთის ჩრდილოეთი ნაწილი დანიას ეკუთვნოდა. ლივონიური ომების შედეგად 1558-1583 წლებში ესტონეთის ტერიტორია გაყოფილ იქნა რეჩპოსპოლიტას (სამხრეთი ნაწილი), შვედეთსა (ჩრდილოეთი ნაწილი) და დანიას (კუნძული საარემაა) შორის. XVII საუკუნის შუა ხანებისათვის ესტონეთი შვედეთს ჩამოშორდა. 1521 წლის რეფორმაციამ, ღვთისმსახურებისა და წიგნის ბეჭდვის გავრცელებამ, XVII საუკუნის დასასრულიდან ესტონურ ენაზე სასკოლო სწავლებამ ესტო-

ნური ნაციონალური კულტურის ფორმირება განაპირობა. 1632 წელს დერპტში შეიქმნა უნივერსიტეტი, სადაც სწავლება ლათინურ და შვედურ ენებზე მიმდინარეობდა, გვიან კი – გერმანულ ენაზე (ახლანდელი ტარტუს უნივერსიტეტი). ესტონურ ენაზე პირველი წიგნები 1525 და 1535 წლებში დაიბეჭდა. ეს იყო საეკლესიო ლიტერატურა.

1700-1721 წლების ჩრდილოეთის ომის შედეგად ესტონეთი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. 1918 წელს გამოცხადდა ესტონეთის დამოუკიდებლობა. 1940 წელს ესტონეთი სსრკ-ის შემადგენლობაში შეიყვანეს, 1991 წელს აღდგენილ იქნა ესტონეთის დამოუკიდებლობა.

ესტონელთა ძირითადი საქმიანობა იყო სახვნელი მიწათმოქმედება, მეცხოველეობა (მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ღორი, ცხვარი). ესტონეთის ტრადიციულმა კულტურამ სკანდინავიური, ფინური, ბალტიური და სლავური გავლენა განიცადა.

ესტონელთა ტრადიციული საკვებია ჭვავის პური, ფაფა (ძირითადად ქერის), თევზი, ხორცი. სასმელებიდან პოპულარულია ბურახი და ლუდი.

ესტონელებს შორის ფრიად პოპულარულია საგუნდო სიმღერები, სასულიერო ორკესტრები. პირველი საერთო-ესტონური სიმღერის დღესასწაული 1869 წელს ტარტუში გაიმართა. განვითარებულია გამოყენებითი ხელოვნება.

ესტონელებში ძირითადად ქრისტიანულ-პროტესტანტული საკუთარი სახელებია გავრცელებული. ძველი ქრისტიანობამდელი სახელები (დოკუმენტურად დაახლოებით ასამდე ასეთი სახელია დაცული) XV-XVI საუკუნეებისათვის თითქმის გაქრა. ამ სახელების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა შემორჩა ყოფას: *ლემბიტი, კაუპო, ჰიმოტი, მეელისი* და სხვა. ქალთა ძველი სახელები დოკუმენტებში შემორჩენილი არაა. ასეთებად კი მიაჩნიათ XIX საუკუნის ბოლოსათვის მოღწეული სახელები: *აიტა, ლეიდა, სალმე, ვირვე.* ქალაქებში მკვიდრ ესტონელებს შორის გვარებმა ჩამოყალიბება XIV-XV საუკუნეებში დაიწყო, სოფლებში ეს პროცესი მხოლოდ 1816-1835 წლებში განხორციელდა. გვარსახელებად არა მხოლოდ ესტონური ენის სიტყვები, არამედ გერმანული, შვედური, დანიური, რუსული, პოლონური და ინგლისური სიტყვებიცაა გამოყენებული. გვარსახელები ძირითადად პირადი სახელებიდან მომდინარეობს და ხშირად ისინი –სონ (შვილი) ფორმანტს ირთავენ **–Adam+son, Karel+son** (შესაბამისად, ადამის შვილი და კარელის შვილი). გვარსახელების ფორმანტებად გამოყენებულია აგრეთვე სიტყვა maa (მიწა) – Jurimaa= იური+მიწა. გვარების სხვა ჯგუფი ეტიმოლოგიურად საგნებსა და ბუნების მოვლენებთანაა დაკავშირებული. გვარების მესამე ჯგუფი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ადამიანების საწარმოო საქმიანობის

მიმანიშნებელია. ასეთი გვარები პროფესიისა და დასაქმებულობის სახელწოდებებიდან მომდინარეობს. მათ შორის პირველი ადგილი უკავია Sepp-ს (მჭედელი). ეს სიტყვა ადრე ოსტატობის სიმბოლოც იყო, ამიტომ ბევრი პროფესიის აღმნიშვნელი გახდა: King (is) sepp – მეწაღე, Ratsepp – მკერავი, თერძი, Luksepp – ზეინკალი, Kuldsepp – იუველირი. **1929-1940 წლებში ესტონელებმა მათთვის გაუგებარი, უცხოენოვანი გვარსახელები შეცვალეს**. ეს განსაკუთრებით ითქმის გერმანული წარმომავლობის გვარებზე – ბერგმანი პარგმაა გახდა, მორმანი – მერიმაა, ტრუმანი – ტრუუმაა და ა. შ. ასევე შეცვალეს – სონ-ით დაბოლოებული გვარები; ანდერსონი>ანდერსოო, იურგენ-სონი>იურისოო, ბერტელსონი>პარტელსოო (soo sugu-დან=გვარი). ეს-ტონელების ანთროპონიმიული მოდელი ორწევრიანია. ის სახელისა და გვარსახელისაგან შედგება.

2.56. ლივები

ლივების თვითსახელწოდებაა **ლივლი, კალამიეზ** („მეთევზე“), **რან-დალისტ** („სანაპიროს მცხოვრები“). ლივების ეთნოსი მკვიდრობს ლატვიის (დაახლ. 135 კაცი) ჩრდილო – დასავლეთით, კურლანდიის მხარეში (ტალსინისა და ვენტსპილის რაიონები). ლივების ნაწილი ასიმილირებულია ლატვიელებთან. ასიმილირებული მოსახლეობის ჩათვლით მათი საერთო რაოდენობა 226 კაცია. ისინი მეტყველებენ ფინურ-უგრულ ენათა ოჯახის ბალტიისპირულ-ფინური ჯგუფის ლი-ვურ ენაზე.

ლივები სარწმუნოებით ლუთერანები არიან.

ლივები XII საუკუნის რუსულ წყაროებში მოხსენიებულ ლიბთა ტომის შთამომავლები არიან. XII-XIII საუკუნეებში თავის ქრონიკაში მათ იხსენიებს აგრეთვე ჰენრიხ ლატვიელი. XIII საუკუნეში ლივების ნაწილმა ასიმილაცია განიცადა ლატვიელთა წინაპრების – კურშე-ბისა და ლატგალების მიერ. ლივურ ენაზე ყველაზე ადრინდელი წე-რილობითი ძეგლი XIX ს-ის შუა ხანებით თარიღდება. 1920-1939 წლებში დამწერლობა ჰქონდათ ლათინური ანბანის საფუძველზე. გა-მოდიოდა სასკოლო სახელმძღვანელოები და ჟურნალი. დღეს ლი-ვურ ენას მხოლოდ საშინაო – საოჯახო მეტყველების ფუნქციაღა აქვს შენარჩუნებული. ცოცხალია მხოლოდ კურლანდიური დიალექ-ტი. გამქრალი სალიციური დიალექტი XIX საუკუნეში არსებობდა რიგის ყურის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ლივების ტრადიციული საქმიანობა იყო მეთევზეობა, ტყის მეფუტ-კრეობა, ნადირობა. XX საუკუნის დასაწყისამდე ცხოვრობდნენ შუა-

ცეცხლიან ქოხებში. თანამედროვე ლივები ძირითადად თევზსაჭერ არტელებში მუშაობენ.

2.57. უნგრელები

უნგრელები უნგრეთის სახელმწიფოს ძირითადი მკვიდრნი არიან. მათი თვითსახელწოდებაა მადიარი **(magyar**), რომლის მნიშვნელობა ახსნილი არაა. ზოგიერთი მკვლევარი ამ სიტყვის პირველ შემადგენელ ნაწილს **magy** ხანტ-მანსურ სიტყვა მეს უკავშირებს, რაც „ფრატრიას“ ნიშნავს. უკანასკნელი მონაცემებით ძველუნგრულ ენაზე „მადიარი“ „ადამიანს“ აღნიშნავს. უნგრელთა ქვეყანა ცენტრალურ ევროპაში მდებარეობს. უგრი მათი დასავლეთევროპული და სლავური სახელწოდებაა. ფიქრობენ, რომ ის მომდინარეობს თურქული ტომისაგან – **ონოგურები,** მაგრამ არსებობს მოსაზრებაც მისი ჰუნებთან დაკავშირებისა. უნგრეთში უნგრელთა რაოდენობა 9,95 მილიონი კაცია. ცხოვრობენ აგრეთვე რუმინეთში (1,8 მილ), სლოვაკეთში (580 ათასი), იუგოსლავიაში (400 ათასი), უკრაინაში (163 ათასი), აგრეთვე აშშ-ში (600 ათასი), კანადაში (120 ათასი), სამხრეთ ამერიკაში (ძირითადად არგენტინასა და ბრაზილიაში), გერმანიაში, ავსტრიაში, ხორვატიაში, რუსეთში (5,7 ათასი კაცი) და სხვა ქვეყნებში. უნგრელთა საერთო რაოდენობა 13,83 მილ. კაცია. 1980 წლის აღწერით, უნგრელების გარდა, უნგრეთში დაფიქსირებული იყო 9 ათასი სლოვაკი, 11 ათასი გერმანელი, 14 ათასი ხორვატი, 3,5 ათასი სერბი, 9 ათასი რუმინელი და 6,4 ათასი ბოშა. უნგრეთში არაუნგრელთა საერთო რაოდენობა 3%-ია.

უნგრელები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის საშუალო ევროპულ რასას. უნგრელების ნაწილს მონღოლოიდური მინარევი აქვს.

უნგრელთა ენა მკვეთრად განსხვავდება სხვა ევროპელი ხალხების ენებისაგან. ის მიეკუთვნება ურალურ ენათა ოჯახის ფინურ-უგორულ ჯგუფს. თავისი ძირითადი ლექსიკური მარაგითა და გრამატიკული სტრუქტურით უნგრელთა ენა უგორული შტოს ენების – ხანტურისა და მანსურის მსგავსია. ძველი ძირეული სიტყვებიდან შემონახულია 1000-1200 სიტყვა. თავის დროზე უნგრულმა ენამ ირანული და თურქული ენების გავლენა განიცადა. გვიან უნგრელთა ენაში ბევრი სლავური (მეცხოველეობასთან, მიწათმოქმედებასთან, ხელოსნობასთან, საოჯახო ორგანიზაციასთან, რელიგიასა და პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებული) და გერმანული (სამოქალაქო ყოფასთან, სამხედრო ცხოვრებასთან, მრეწველობასთან, ხელოვნებასთან დაკავშირებული...) სიტყვა შევიდა. შედარებით ნაკლები რაოდენობი-

თაა შესული ლათინური სიტყვები (ძირითადად სამართლის, მმართველობისა და მეცნიერების სფეროში).

შუა საუკუნეებში, რეფორმაციამდე, ლათინური იყო ოფიციალური ენა, რეფორმაციის შემდეგ – ლათინური და გერმანული ენები. ეს ენები არა მარტო სახელმწიფო, არამედ ნაციონალური სალიტერატურო ენებიც იყო. უნგრული დამწერლობა, რომელიც დაფუძნებულია ლათინურ ანბანზე, X საუკუნიდან არსებობს. უნგრულმა ენამ განვითარება მხოლოდ XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო. ამ დროიდან იქცა ის ქვეყნის ოფიციალურ ენად. უნგრულ ენაში არსებობს დიალექტთა რვა დიდი ჯგუფი და რამდენიმე კილოკავი, რომლებიც ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებოდნენ.

უნგრელები ძირითადად კათოლიკეები არიან (75%); გვხვდებიან კავინისტები და უმნიშვნელო რაოდენობით – ლუთერანები.

დღევანდელი უნგრეთის ტერიტორია თავდაპირველად დასახლებული იყო ილირიელებითა და თრაკიელებით. ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისში აქ გადმოსახლდნენ კელტური ტომებიც. ანტიკური ეპოქის დასასრულს უნგრეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი რომაელთა ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა. რომაელთა გამოჩენისთანავე უნგრეთის ტერიტორიაზე ირანული წარმოშობის მომთაბარე სარმატები მოვიდნენ. ისინი განსახლდნენ პანონიასა და დაკიაში. უნგრეთის ზოგიერთ ადგილას სარმატული მოსახლეობის ჯგუფები გერმანელებისა და ჰუნების დროსაც იყო შემორჩენილი. V საუკუნის დასაწყისში პანონიაში ჰუნები შემოიჭრნენ. ამ საუკუნის შუა ხანებში მათი სამეფო გადაჭიმული იყო ვოლგიდან დუნაიმდე. ატილას დროს მისი ცენტრი გადატანილ იქნა უნგრეთის ალფელდის ჩრდილოეთში, მაგრამ 453 წელს, ატილას სიკვდილის შემდეგ, მისი სამეფო დაიშალა. ამის შემდეგ ერთი საუკუნის განმავლობაში უნგრეთის ეს ტერიტორია ერთმანეთში ჰქონდათ გაყოფილი სხვადასხვა გერმანელ ტომებს (გერულებს, სვევებს, გუთებს, გეპიტებს, ლანგობარდებს). მათ ტომობრივ შუღლს ბოლო მოუღო ავართა შემოჭრამ, რომლებიც აქ დიდი ხნის განმავლობაში ბატონობდნენ (VI-VIII სს.). მათი ვრცელი სამეფოს ცენტრი დღევანდელი უნგრეთი იყო. ავარიის კაღანატი ფრანკთა და ბულგართა სამხედრო ლაშქრობებმა გაანადგურა. უნგრეთში სლავების განსახლება ავართა მოსვლამდეც მოხდა, მაგრამ ძალზე გაძლიერდა ავართა სამეფოს დაცემის შემდეგ (803 წ.). სლავებთან ერთად აქ ფრანკებიც მკვიდრობდნენ.

IX საუკუნის ბოლოს დუნაის შუა დინების ოლქი მომთაბარე უნგრელებმა, ანუ მადიარებმა დაიპყრეს. უნგრული ნახევრად მომთაბარე ტომები, რომელთა სამშობლოდ ურალის იქითა აღმოსავლეთი ოლქები ითვლება, ახ.წ. I ათასწლეულში, სავარაუდოდ, კამის აუზში

გადასახლდნენ, შემდეგ კი VI-VIII საუკუნეებში – შავიზღვისპირა და აზოვისპირა სტეპებში და დიდი ხნის განმავლობაში ონოგურებისა და აგრეთვე პროტობულგარების ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ. მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ხაზარებთანაც. სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით ეს თურქული ეთნოსები უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფებოდნენ, ვიდრე უნგრელები. უნგრელთათვის მათთან კონტაქტები ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა როგორც სამიწათმოქმედო ყოფის, ისე მესაქონლეობის განვითარების, აგრეთვე სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაციის თვალსაზრისით. 895-896 წლებში ისინი კარპატებზე გადავიდნენ და შუა დუნაისპირეთში დასახლდნენ. უნგრელების მიერ ახალი ეთნიკური ტერიტორიის ათვისების პროცესი მთელი X საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. **უნგრულ ისტორიოგრაფიაში უნგრელთა დუნაისპირეთში დასახლება „სამშობლოს შეძენის (მოპოვების)“ სახელს ატარებს. აქ მოსულმა უნგრელებმა ავარების, ბულგარების და სლავების ასიმილაცია მოახდინეს.** „სამშობლოს შეძენის (მოპოვების)“ დასაწყისისათვის უნგრელთა რაოდენობა 400-500 ათასი კაცი იყო. მეცნიერები იმასაც ვარაუდობენ, რომ ორი საუკუნის განმავლობაში მათ დაახლოებით 200 ათასი ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია მოახდინეს. მას შემდეგ ბინადარი ცხოვრება დაიწყეს და მიწათმოქმედნი გახდნენ. XI საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა უნგრული ფეოდალური სამეფო; ამავე პერიოდში მიიღეს მათ კათოლიკური სარწმუნოება. იმ პერიოდისათვის უნგრეთის ადრეფეოდალური სახელმწიფო, თანამედროვე უნგრეთის ტერიტორიის გარდა, დღევანდელი სლოვაკეთის, ტრანსილვანიის, ხორვატიის და შუადუნაისპირეთის მთელ რიგ სხვა ოლქებსაც მოიცავდა. **ქვეყნის მოსახლეობა იზრდებოდა როგორც აღმოსავლეთიდან (პაჭანიკები, ოღუზები, ყივჩაყ-კუმანები, იასები), ისე დასავლეთიდან (გერმანელები, ფრანგები, ვალონები, იტალიელები) გადმოსახლებულთა ხარჯზე, რომლებიც დროთა განმავლობაში უნგრელებში იქნენ ინტეგრირებულნი.** მოსახლეობის ზრდის პროცესი XIII საუკუნის შუა ხანებში (1241-1242 წწ.) თათართა გამანადგურებელმა შემოსევებმა შეაჩერა. შუა საუკუნეებში *მათიაშ კორვინის* მეფობისას (XVI საუკუნის მეორე ნახევარი) უნგრეთი აყვავებული სახელმწიფო იყო. მისი მოსახლეობა 3,5 – 4,0 მილიონს შეადგენდა, რომელთაგანაც ეთნიკური უნგრელი 80% იყო.

უნგრელთა ეთნიკურ ტერიტორიაზე სახლდებოდნენ, ხშირად ანკლავებს ქმნიდნენ და უნგრელებს ერეოდნენ სხვადასხვა ხალხების წარმომადგენლები: ყივჩაყები და სხვა თურქები, ვლახები, გერმანელები, ფრანგები, იტალიელები. მათთან კონტაქტებმა გავლენა მოახდინა უნგრელთა მატერიალურ და სულიერ კულტურაზე. შუა საუ-

კუნეებში ლათინური, გვიან კი გერმანული, იყო სახელმწიფოს ოფიციალური ენა. საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნის შიგნით და გარეთ, კერძოდ აღმოსავლეთ კარპატისპირეთში. XVI საუკუნეებში, ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდეგ, სამხრეთ და ცენტრალური უნგრეთიდან გლეხები მის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში გადასახლდნენ. შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა. მათი რიცხოვნობა 1,8 მილიონამდე დავიდა. ავსტრია-თურქეთის 1689-1699 წლების ომისა და 1703-1711 წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად უნგრელთა ეთნიკური ტერიტორია ჰაბსბურგთა ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა (უნგრეთის სამეფოსა და ტრანსილვანიის სამთავროს შემადგენლობაში). ავსტრიის მთავრობამ უნგრეთში კოლონისტები, უპირატესად გერმანელები, გადაასახლა. 1867 წელს ავსტრია-უნგრეთის სამეფოს ჩამოყალიბებამ ნაციონალური წინააღმდეგობები ვერ მოსპო. მიმდინარეობდა ზოგიერთი არაუნგრული ჯგუფის (განსაკუთრებით გერმანელების, სლოვაკების) მადიარიზაცია. 1918 წ. უნგრეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

დღეისათვის უნგრელებში რამდენიმე ეთნოგრაფიული ჯგუფი გამოიყოფა, რაც ამ ქვეყნის რთული ეთნიკური ისტორიის, სხვადასხვა ისტორიული, გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობების შედეგია. ამ ეთნოგრაფიული ჯგუფების ფორმირება საბოლოოდ XVIII საუკუნის დასაწყისში მოხდა. მათ ზოგიერთი თავისებურება მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროში შეინარჩუნეს. საინტერესო ეთნოგრაფიულ ჯგუფს წარმოადგენენ **კუმანები**, **რომლებიც ყივჩაყთა შთამომავალნი არიან და აქ 1239 წელს გადმოსახლდნენ მონღოლების შემოსევის შედეგად**. კუმანებთან ერთად მოვიდნენ **იასები** (კავკასიის სტეპიდან მოსული ოსების მონათესავენი). ნახევრად მომთაბარული ცხოვრების გამო ისინი დიდხანს განცალკევებულ ჯგუფს წარმოადგენდნენ, მაგრამ უკვე XV საუკუნეში მათი მატერიალური კულტურა თითქმის ისეთივე იყო, როგორიც ალფელდის გლეხებისა. XVI ს-ში ისინი უნგრულ ენაზე გადავიდნენ. თურქთა ბატონობის დროს იასო-კუმანური მოსახლეობა ძალიან შემცირდა.

შედარებით ახალი ჩამოყალიბებულია **ჰაიდუკების** ეთნოგრაფიული ჯგუფი. XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში ჰაიდუკებს უწოდებდნენ შეიარაღებულ მწყემსებს. ისინი თავიანთი ცხოვრების წესით რამდენადმე რუს კაზაკებს ჰგვანან. მათი სუბეთნიკური ჯგუფი ქ. დებრეცენის შემოგარენში მკვიდრობს. უნგრეთის ჩრდილოეთში უნგრელთა თავისებური ჯგუფი – **პალოცები** ცხოვრობს, რომელსაც დღემდე აქვს შემონახული ზოგიერთი სპეციფიკური ნიშანი საცხოვრებელ ნაგებობებში, კოსტიუმში, წეს-ჩვეუ-

ლებებში, ხალხურ შემოქმედებასა და სხვ. ცალკე გამოიყოფა **მატიოს** ეთნოგრაფიული ჯგუფი, რომელიც გაწაფული მქარგველების სახელით არის ცნობილი. შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე შემდეგი ეთნოგრაფიული ჯგუფები – **დრავა, ხეტეშები, გეჩები, რაბაკიოზები. ტრანსილვანიის (რუმინეთი) სამხრეთ-აღმოსავლეთში უნგრელი სეკები ბინადრობენ, რომლებიც გადმოცემებით ჰუნური წარმომავლობისანი არიან, ზოგიერთი კი მათ პაჭანიგების შთამომავლებად თვლის**. სეკები ერთადერთი ეთნოგრაფიული ჯგუფია, რომელიც მაღალმთიანეთში მკვიდრობს. მათ შორის დიდი ხნის განმავლობაში შემორჩენილი იყო თემური ურთიერთობები. სეკების ძირითადი საქმიანობა კი მესაქონლეობა იყო. რიგი ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა დროს სეკებისაგან გამოცალკევდნენ, ცნობილნი არიან **ჩანგოს** საერთო სახელწოდებით. საერთოდ, უნგრეთი როგორც გეოგრაფიული, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ორ ნაწილად იყოფა. დუნაის დასავლეთით მდებარე ტერიტორიას **დუნანტული** ეწოდება, აღმოსავლეთით მდებარეს – **ალფელდი.** ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები ამ ორ დიდ რეგიონშია გაერთიანებული, რომლებიც დიალექტური და ეთნოგრაფიული თავისებურებებით ხასიათდება.

უნგრელთა სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულება დიდი ხნის განმავლობაში მესაქონლეობა იყო, ხოლო XIX საუკუნიდან – მიწათმოქმედება. დიდი ტრადიციები აქვს მეცხენეობას (ძირითადად ქვეყნის სამხრეთში). ყველგან განვითარებულია მეღორეობა. მიწათმოქმედების განვითარებაში დიდი როლი ითამაშა უნგრელთა სამეურნეო-კულტურულმა კონტაქტებმა ჯერ თურქულენოვან პროტობულგარებთან, შემდეგ კი – სლავებთან, რასაც უნგრული ენის მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ლექსიკის მრავალი ერთეული მოწმობს. მთავარი სამიწათმოქმედო კულტურაა ხორბალი. XVII-XVIII საუკუნეებიდან მოჰყავთ სიმინდი, კარტოფილი (XVIII ს-დან). სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგებია აგრეთვე: მევენახეობა, მეღვინეობა, მებაღეობა და მებოსტნეობა.

უნგრეთში დასახლების ძირითადი ფორმა დიდი ხნის განმავლობაში დიდი სოფლები იყო. მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალაქებში ცხოვრობს. შუა საუკუნეებში ქალაქების გვერდით წარმოიქმნა განსაკუთრებული ტიპის დასახლება, ე.წ. **სასოფლო-სამეურნეო ქალაქი (მეზევაროში).** ამ ტიპის ქალაქების მოსახლეობის დიდ ნაწილს გლეხები შეადგენდნენ.

უნგრელები საკვებად ბევრ ხორცს ხმარობენ. ალკოჰოლური სასმელებიდან პოპულარულია ღვინო.

სიტყვა „გვარი“ ყველა უნგრელისათვის ცნობილი იყო. ჩვეულებრივ, მას უწოდებდნენ სანათესაო ჯგუფს, რომელშიაც ნათესაობას ითვლიდნენ მამაკაცის ხაზით. ამ ჯგუფის წევრები თავს ერთი წინაპრისაგან წარმოშობილად მიიჩნევდნენ. მათ აკავშირებდათ საერთო გვარსახელი. გვარის წევრებს შორის ქორწინება აკრძალული იყო. თითოეული უნგრული გვარის წარმომადგენლები არა ერთ სოფელში, არამედ რამდენიმე დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდნენ. XIII საუკუნემდე უნგრელებს გვარსახელები არ ჰქონდათ. უნგრული გვარები ჩამოყალიბებულია წინაპრის სახელზე –შვილი სუფიქსის დართვით (-ფი, -ფია). მაგრამ ასეთი გვარები უმეტესობას არ შეადგენენ. ძალიან ბევრ შემთხვევაში გვარები წარმოქმნილია მამის სახელებისაგან ყოველგვარი სუფიქსის დართვით. გვარსახელების მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის სახელებისაგან მომდინარეობს (ფეოდალური გვარები – სამფლობელოთა სახელწოდებებისაგან). უნგრელთა შორის ეთნონიმებისაგან მიღებული გვარებიც გვხვდება: Toth _სლოვაკი, Nemeth –გერმანელი, horvat – ხორვატი, Olah –რუმინელი, Orosz –რუსი, Lengyeel – პოლონელი, Cseh – ჩეხი. უნგრელებში არაერთი გვარსახელი პროფესიიდან და თანამდებობიდან მომდინარეობს. XV საუკუნისათვის უნგრული და თურქული სახელები თითქმის მთლიანად გამოაძევა ქრისტიანულმა სახელებმა, მაგრამ ძველი სახელები, როგორც მეტსახელები, ყოფაში კვლავ აგრძელებდნენ არსებობას. პროტესტანტები უპირატესობას ძველი აღქმის სახელებს ანიჭებდნენ, კათოლიკეები – ახალი აღქმისას. პოპულარულია ვაჟებისათვის მამის სახელების დარქმევა. დღეისათვის ყოველი მეოთხე ბიჭი მამის სახელს ატარებს. ტრადიციული იყო ორსახელიანობაც – XX საუკუნის დასაწყისში ბუდაპეშტში ბავშვების 15-20% ორ სახელს ატარებდა, 1% – სამ სახელს. გათხოვების შემდეგ ქალები ქმრის გვარსა და სახელს იღებენ, ოდონდ ისინი დამატებით ერთავენ დაბოლოებას –ne. Veres გვარის კაცის ცოლის გვარი იქნება Veresne, მაგრამ, როდესაც სახელის წინ გვარი დგას, მაშინ დაიწერება – Veres Peterne.

წარსულში უნგრელებში გავრცელებული იყო დიდი პატრიარქალური ოჯახი. უნგრელთა სასულიერო კულტურის სფეროში, კალენდარულ და საოჯახო წეს-ჩვეულებებში ბევრ ქრისტიანობამდელ გადმონაშთს (ტოტემიზმი, მაგია, შამანიზმი) გამოყოფენ.

მდიდარი ფოლკლორიდან აღსანიშნავია სიმღერები, ბალადები, ზღაპრები, ისტორიული გადმოცემები. თავისებურია უნგრელთა ხალხური მუსიკა. „ძველი სტილის“ სიმღერებში ვოლგისპირეთის ხალხებისათვის დამახასიათებელი ნიშნები შეიმჩნევა.

XVIII საუკუნის დასასრული და XIX საუკუნის დასაწყისი უნგრეთში განათლების ეპოქის დასაბამი იყო, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო უნგრული ენისა და უნგრული ეროვნული კულტურის განვითარებისადმი ყურადღების გამოჩენა. 1844 წელს უნგრული ენა ოფიციალურ ენად იქნა აღიარებული, რამაც გამოდევნა ლათინური და გერმანული ენები. ამავე პერიოდისათვის დამახასიათებელია არაუნგრელი ხალხების (სლავების, რუმინელების) ძალადობრივი მადიარიზაცია. მსოფლიო კულტურის საგანძურში დიდი წვლილი შეიტანეს უნგრელმა კომპოზიტორებმა. უნგრული მუსიკალური სკოლის ფუძემდებლის, **ფერენც ლისტის** (1811-1880 წწ.) შემოქმედების საფუძველი ხალხური ხელოვნებაა. კომპოზიტორების – **ფერენც ლეგარისა** (1870-1948 წწ.) და **იმრე კალმანის** (1882-1953 წწ.) ოპერეტები დღესაც მრავალი თეატრის სცენაზე იდგმება. უნგრულმა კულტურამ ბრწყინვალე აღმავლობას მიაღწია XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე. ამ დროს მიეკუთვნება გამოჩენილი პოეტის, შანდორ **პეტეფის** (1823-1849 წწ.) შემოქმედება, რომლის ლექსები და სიმღერები მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან.

2.58. მორდველები

რუსეთში მორდველთა საერთო რაოდენობა 1 მილ. 72 ათასი კაცია, მათ შორის, მორდვეთში ცხოვრობს 313 ათასი. მორდვეთის გარეთ ისინი დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ბაშკირეთში, ჩუვაშეთში, სამარის, პენზის, ორენბურგის, ულიანოვსკის ოლქებში. მკვიდრობენ ცენტრალური აზიის ქვეყნებშიც (ყაზახეთი, უზბეკეთი). **მორდველები ორი ენობრივი ჯგუფის (ერზიანული და მოკშური ენები) ერთობლიობას წარმოადგენენ.** ერზიანული და მოკშური ენები ურალურ ენათა ოჯახის ფინურ-უგრულ ჯგუფში შედის. დამწერლობა აქვთ რუსული ანბანის საფუძველზე. მორდველთა ერზიანულ ენას ხუთი დიალექტი აქვს, მოკშურს–სამი. მორდვულ-მოკშური და მორდვულ-ერზიანული სხვადასხვა სალიტერატულო ენებია. მორდვული დამწერლობის პირველი ძეგლები XVII-XVIII საუკუნეებით თარიღდება. XX საუკუნის დასაწყისამდე ხელისუფლება ნებას რთავდა მორდოვული ენები მხოლოდ მისიონერული მიზნით გამოეყენებინათ. მორდვეთში მორდვულ-მოკშურ ენაზე მეტყველი მოსახლეობა ძირითადად მის დასავლეთ და სამხრეთ რაიონებშია განსახლებული, მორდვულ-ერზიანულ ენაზე მოლაპარაკენი კი აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობენ. მორდველთა შორის რამდენიმე სხვა მცირერიცხოვანი ეთნოგრაფიული ჯგუფიც გამოიყოფა. მორდველთა ერთ-ერთმა ეთნო-

გრაფიულმა ჯგუფმა – **ტერიუშებმა** შეიცვალეს სამეტყველო ენა. მათ მშობლიურ ენად რუსული იქცა, თუმცა ზოგიერთი მათგანი დღესაც კი თავს მორდველად მოიაზრებს.

ანთროპოლოგიურად მიეკუთვნებიან საშუალო ევროპეიდულ რასას. გვხვდებიან შერეული რასის წარმომადგენლებიც. სარწმუნოებით მართლმადიდებლები არიან. ქრისტიანობა მორდველებში XVIII საუკუნის შუა ხანებში გავრცელდა. XV საუკუნის ბოლოს მორდველები რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდნენ, მაგრამ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მორდველების რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლა XVIII საუკუნის შუა ხანებში დამთავრდა.

მორდველთა წინაპარი ფინურ-უგორული ტომები ახალ წელთაღრიცხვამდე ვოლგისა და ოკის შუამდინარეთში ცხოვრობდნენ. ძველ-მორდვული ტომების ორ ენობრივ ჯგუფად დაშლა ახ.წ. პირველ ნახევარში დაიწყო. ერთიანი ეთნოსის ორ ენობრივ ჯგუფად (ერზი და მოკში) დაყოფა, მეცნიერთა ვარაუდით, ვრცელ ტერიტორიაზე განსახლებამ განაპირობა. გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე ისინი ერთმანეთს ნაკლებად ეკონტაქტებოდნენ. ამავე დროს, მორდველთა ორი ტომობრივი ერთეულის ურთიერთობას მათ შორის განსახლებული სხვა ეთნოსებიც უშლიდნენ ხელს. ამ გარემოებამ ერზისა და მოკშის კულტურული და ყოფითი თავისებურებების განსხვავებამდე მიგვიყვანა. ეს განსხვავება ანთროპოლოგიურ ტიპშიც კი აისახა.

მორდველებს პირველად სახელწოდებით „მორდენს“ გოთი ისტორიკოსი იორდანი (VI საუკუნე) მოიხსენიებს. X საუკუნის ბიზანტიელი იმპერატორი კონსტანტინე VII საუბრობს მორდის ქვეყანაზე, რომელიც პაჭანიკების ქვეყნიდან ათი დღის სავალზე ყოფილა. რუსულ წყაროებში ეთნონიმი „მორდვა“ პირველად XI საუკუნის ქრონიკაში გვხვდება. რაც შეეხება ტერმინებს „ერზი“ და „მოკშა“ ისინი პირველად, შესაბამისად, X და XIII საუკუნეების წყაროებშია სახელდებული.

ისტორიიდან ცნობილია, რომ მორდველთა ქვეყანაში ჯერ ხაზარები, შემდეგ კი კიევის რუსები ლაშქრობდნენ. როგორც ერთ, ისე მეორე დამპყრობელს ისინი ხარკს უხდიდნენ. ყაზანის სახანოს დაცემის შემდეგ (1552 წელი) მორდველების რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლა დაიწყო. რუსეთთან მორდველების შეერთებას არაერთი მორდველის გარუსება მოჰყვა, რაც განსაკუთრებით შეძლებული მოსახლეობის წარმომადგენლებზე შეიძლება ითქვას. ამის ერთ-ერთ მაგალითად რუსი თავადური გვარის – მორდვინოვების დასახელებაც საკმარისია.

მორდველთა მეურნეობას სიმბიოზური ხასიათი ჰქონდა. განვითარებული იყო როგორც მიწათმოქმედება, ისე მესაქონლეობა. ძველი მორდველებისათვის ცნობილი იყო მეტალურგია და მეტალების დამუშავება. მორდველები ტრადიციულ სახლებს ხისაგან აგებდნენ. განვითარებული იყო ხალხური შემოქმედება. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ საიუველირო ნაკეთობების ორნამენტირებით. მკვლევრები იმასაც აღნიშნავენ, რომ მორდველებს შექმნილი ჰქონდათ მრავალხმიანი სიმღერები, რომლებიც არა მხოლოდ ფინურ-უგორულ სამყაროში, არამედ მსოფლიოს მუსიკალურ კულტურაშიც უნიკალურობით გამოირჩეოდა.

XX საუკუნის დასაწყისამდე მორდველთა შორის შემორჩენილი იყო სასოფლი თემი. ყველა მორდოვული ტომი რამდენიმე გვარს შეიცავდა, რომლის შემადგენლიბაში, თავის მხრივ, პატრიარქალური ოჯახები შედიოდა. ძველად მორდველებში სყიდვითი ქორწინება და პოლიგამია ყოფილა განვითარებული. ქრისტიანობის მიღების შემდეგ, მოგვიანო ეტაპზე, **პოლიგამია ბიგამიამ (ორცოლიანობა) შეცვალა.** ტრადიციული იყო მცირეწლოვანი ვაჟების ასაკით უფროს გოგონებზე დაქორწინება.

ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენებიდან ყურადღებას იქცევს ქალური ღვთაებების დიდი რაოდენობა. ისიც აღსანიშნავია, რომ მათ სალოცავები ჰქონდათ ცალკე მამაკაცებისა და ცალკე ქალებისათვის, თუმცა ზოგიერთ სალოცავში ისინ ერთადაც ლოცულობდნენ.

2.59. უდმურტები

უდმურტების თვითსახელწოდებაა **უტმორტ, უკმორტ**. უფრო ადრე რუსები მათ **ვოტიაკებს** უწოდებდნენ. უდმურტთა საერთო რაოდენობა 746 ათასი კაცია, რომელთაგანაც უდმურტეთში ცხოვრობს 497 ათასი, ანუ მხოლოდ 67%. მკვიდრობენ აგრეთვე ბაშკირეთში, თათრეთში, მარიელში. 1719 წელს 48,1 ათასი იყო აღრიცხული, 1795 წელს – 135 ათასი, 1858 წელს – 251 ათასი, 1897 წელს – 421 ათასი, 1921 წელს – 504 ათასი. უდმურტების შემცირება ამ პერიოდში სამოქალაქო ომითა და 1921 წლის შიმშილობით იყო გამოწვეული. უდმურტული ენა ურალურ ენათა ოჯახის ფინურ-უგრულ ჯგუფში შედის. უდმურტების მხოლოდ 70,8% თვლის უდმურტულ ენას მშობლიურ ენად. ადრე უდმურტებს მიაკუთვნებდნენ **ბესერმიანებს, რომლებსაც XX ს-ის 90-იანი წლებიდან განიხილავენ როგორც ცალკე ეთნოსს**. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, ბესერმიანები პაჭანიკების ნაშთს წარმოადგენდნენ. დამწერლობა აქვთ რუსული გრაფიკის საფუძველზე. უდმურტების უმეტესი ნაწილი მართლმადი-

დებელია. არიან ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრებიც. უდმურტთა ავტოქტონურ მოსახლეობას სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა რაოდენობით შეერივნენ ირანული, თურქული, სლავური ტომები. რუსულ წყაროებში უდმურტები პირველად XIV-XVI საუკუნეებში იხსენიებიან. უფრო ადრე კი XII საუკუნის არაბ ავტორებთან არიან ფიქსირებულნი. ცენტრალიზებული რუსეთის შემადგენლობაში ჯერ შევიდა (1489 წ.) მისი ჩრდილოეთი ნაწილი, შედარებით გვიან კი სამხრეთი ნაწილი (1558 წ.). ეს უკანასკნელი რეგიონი ჯერ ბულგარელთა, შემდეგ ოქროს ურდოსა და ბოლოს ყაზანის სახანოს მფლობელობაში იყო. ანთროპოლოგიურად უდმურტები აღმოსავლეთ ევროპეიდებს მიეკუთვნებიან. გვხვდება ევროპეიდულ-მონღოლური შერეული ჯგუფებიც. უდმურტები ორ დიდ ჯგუფად იყოფიან: ჩრდილოეთის და სამხრეთის. პირველ მათგანზე დიდი გავლენა რუსეთის ჩრდილოეთმა იქონია, მეორეზე – თურქულმა სტეპების სამყარომ.

უდმურტთა მეურნეობა XX საუკუნის დასაწყისში სიმბიოზური იყო, თუმცა წამყვანი ფუნქცია მაინც მიწათმოქმედებას ჰქონდა. ძირითადი მარცვლეული კულტურები იყო ჭვავი, ქერი, შვრია, აგრეთვე – ხორბალი, ფეტვი და ასლი. 1913 წელს მარცვლეულ კულტურებს ფართობის 93% ეკავა, სელს – 4,1%, კარტოფილს – 2%. უდმურტეთის ტრადიციული მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი იყო მეცხოველეობაც. გამოყვანილი ჰყავდათ ცხენისა და ცხვრის ადგილობრივი ჯიშები. ზაფხულში ცხვარს საძოვარზე მწყემსის გარეშე უშვებდნენ. მისდევდნენ მონადირეობასა და მეთევზეობას. იცოდნენ ძაღლებით მორეკვითი ნადირობა. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში უდმურტებს თაფლი და ცვილი გაჰქონდათ გასაყიდად.

ტრადიციული უდმურტული საზოგადოების ძირითადი სოციალური უჯრედი იყო სასოფლო თემი. თემის სტრუქტურა გამსჭვალული იყო ნათესაური ურთიერთობებით. ის, ჩვეულებრივ, რამდენიმე ოჯახის ნათესაურ გაერთიანებას წარმოადგენდა. პატარა ოჯახებთან ერთად შემორჩენილი იყო გაუყოფელი დიდი ოჯახებიც. ფართოდ იყო გავრცელებული სანათესაო და სამეზობლო ურთიერთდახმარება. სამოთხ ოჯახს საერთო აბანო და ჭა ჰქონდა.

უდმურტთა ტრადიციული საცხოვრებელი მორებისაგან აგებული ქოხი იყო. ის ზამთრის საცხოვრებელს წარმოადგენდა. ზაფხულობით ცხოვრობდნენ ერთ ან ორსართულიან საკუჭნაოში. ყველა ეზოში ჰქონდათ ოჯახის სამლოცველო საკულტო ნაგებობა.

მართალია, უდმურტები მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, მაგრამ მათში შემორჩენილი იყო ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენებიც, განსაკუთრებით აგრარულ-მაგიური წეს-ჩვეულებები. ზამთრის ნაბუნიობას დღესასწაულით აღნიშნავდნენ. ამ დროს იხდიდ-

ნენ ქორწილებს, იწვევდნენ სტუმრებს. ამ დღეებისათვის დამახასიათებელი იყო სამასკარადო ტანსაცმლით მორთვა და მკითხაობა. გვალვის დროს იცოდნენ წვიმის გამომწვევი მაგიური წეს-ჩვეულებების შესრულება. აღსანიშნავია უდმურტთა საოჯახო გვაროვნული კულტები.

უდმურტთა ფოლკლორში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ხალხური სიმღერები. ლიტერატურაში განსაკუთრებული ხაზი აქვს გასმული მონადირეთა და მეფუტკრეთა რიტუალური სიმღერების არსებობას. ჩრდილოეთ უდმურტებს ჰქონდათ სპეციალური სამგლოვიარო მელოდიები. სიმღერებს და ცეკვებს მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით ასრულებდნენ.

უდმურტები ქორწინებისას ეგზოგამიას იცავდნენ. ნათესავთა ეგზოგამიურ გაერთიანებას, რომელთაც საერთო წინაპარი ჰყავდათ, ერთობლივი მფარველი – **ვორშუდი** ჰყავდა. მფარველ ვორშუდის პატივსაცემად რეგულარულ ლოცვებს ასრულებდნენ. უდმურტების ღვთაებათა პანთეონისათვის დამახასიათებელი იყო ღმერთების, ღვთაებების, სულების და სხვა მითოლოგიური არსებების დიდი რაოდენობა (დაახლ. 40): ცის ღმერთი, მიწის ღმერთი, ამინდის ღმერთი...

უდმურტული ენის პირველი გრამატიკა 1775 წელს გამოქვეყნდა, 1889 წელს კი დაიბეჭდა პირველი ლექსები. 1980-იანი წლების ბოლოს შეიქმნა უდმურტული კულტურის საზოგადოება, რაც განპირობებული იყო ნაციონალური თვითშეგნების გამოღვიძებით.

2.60. მარიელები

მარიელთა (თვითსახელწოდება **მარი** – „ადამიანი“, „კაცი“) ადრეული რუსული ეთნონომია **ჩერემისელები**. რუსეთში მარიელების საერთო რაოდენობა 645 ათასი კაცია, მათ შორის, მარიელის რესპუბლიკაში – 325 ათასი ცხოვრობს. ისინი ცხოვრობენ ბაშკირეთშიც (106 ათასი), სადაც გადმოსახლდნენ XVI-XVII საუკუნეებში. მარიელების ენა ურალურ ენათა ოჯახის ფინურ-უგრულ ჯგუფში შედის. მარიულ ენაში რამდენიმე კილოთქმას გამოყოფენ. მარიელები იყოფიან სამ ეთნოგრაფიულ ჯგუფად: მთიელებად, ბარელებად და აღმოსავლეთ მარიელებად. მთიელ მარიელებს უკავიათ ვოლგის მარჯვენა სანაპირო, ბარელებს – ვეტლუჟ-ვიატსკის მდინარისპირეთი; აღმოსავლეთ მარიელები მდინარე ვიატკის აღმოსავლეთით ცხოვრობენ. დამწერლობა შექმნილი აქვთ რუსული ანბანის საფუძველზე. მარიელები ძირითადად მართლმადიდებლები არიან. მასობრივად გაქრისტიანდნენ XVIII-XIX საუკუნეებში. გვხვდებიან ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენების მიმდევრებიც. ახლი წელთაღრიცხვის I ათას-

წლეულში ძველმარიული ეთნოსის ფორმირების ძირითადი ბირთვი იყო ვოლგა-ვიატკას აუზებში მცხოვრები ფინურ-უგორული ტომები. X საუკუნეში მარიელები ხაზარულ დოკუმენტებში ჩერემისელების სახელით მოიხსენიებიან. მარიული ეთნოსის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მათმა კონტაქტებმა თურქულენოვან ხალხებთან. კულტურულ-ყოფითი თვალსაზრისით მარიელებს ბევრი საერთო აქვთ ჩუვაშებთან. **რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მარიელები 1551-1552 წლებში შევიდნენ.** ანთროპოლოგიურად მარიელები აღმოსავლეთევროპული რასის ევროპეიდები არიან (მათ შორის, "ურალური" მინარევებით).

მარიელთა ტრადიციულ სამეურნეო საქმიანობას სახვნელი მიწათმოქმედება წარმოადგენდა. ძირითადი კულტურები იყო ჭვავი, შვრია, ქერი, ფეტვი, ასლი, წიწიბურა, კანაფი, სელი, აგრეთვე – ხახვი, კომბოსტო, სტაფილო, კარტოფილი.

მარიელებში განვითარებული იყო მხატვრული ხელოსნობა, განსაკუთრებით ქარგვა, ხეზე კვეთა და საიუველირო საქმე. ტრადიციული იყო ხის დამამუშავებელ საწარმოებში გარე სამუშაოზე სიარული.

მარიელთა სოფლები გაფანტული სახის იყო. საცხოვრებელი სახლები ძირითადად ხის მორებისაგან ჰქონდათ აგებული. ზაფხულობით საცხოვრებლად გადადიოდნენ საზაფხულო სამზარეულოში, რომელიც ასევე ძელური ნაგებობა იყო. მისი იატაკი მიწატკეპნილს წარმოადგენდა. საკუჭნაოს გარდა კარ-მიდამოში ჰქონდათ სარდაფი, ბოსელი, ფარდული, ეტლების ფარდული, აბანო. ორსართულიანი საკუჭნაოს პირველ სართულზე სურსათს ინახავდნენ, მეორეზე – ტანსაცმელსა და დგამ-ჯურჭელს. ზაფხულში აქვე აწვენდნენ ახალდაქორწინებულებს.

მარიელთა სასოფლო თემი, ჩვეულებრივ, რამდენიმე სოფელს მოიცავდა. არსებობდა ეთნიკურად შერეული (მარიულ-რუსული, მარიულ-ჩუვაშური) თემები. ჰქონდათ პატარა მონოგამიური ოჯახები. არსებობდა დიდი გაუყოფელი ოჯახებიც. იცოდნენ ურვადი, მზითევი. იშვიათი არ იყო შერეული ქორწინებები ჩუვაშებსა და რუსებთან.

„მარიელთა სარწმუნოებასა“ და წარმართულ რწმენა-წარმოდგენებში არსებობდა წინაპართა და სხვადასხვა ღმერთების კულტი (უმაღლესი ღმერთი, საზოგადოების ღმერთი, მშვიდობის ღმერთი, ცის ღმერთი, სატომო ღმერთი და სხვა). წინაპართა კულტის არქაულ თავისებურებად მიაჩნიათ მიცვალებულის საზამთრო ტანსაცმლით დაკრძალვა; ზაფხულშიც კი მიცვალებულის სასაფლაოზე ციგით მიტანა. ბოლო წლებში ხდება „მარიული რწმენისა“ და რწმენა-წარმოდგენების აღორძინება, რისთვისაც შექმნილი აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მარიელთა ინტელიგენცია XIX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. პირველი პერიოდული გამოცემა მარიულ ენაზე 1907 წლით თარიღდება. 1992 წელს მარიელებმა აღადგინეს საერთო მარიული საბჭო, რომლის მიზანია ნაციონალური თვითშეგნების განვითარება.

2.61. კომელები

კომელების ადრინდელი რუსული სახელწოდებაა **ზირიანელები** (თვითსახელწოდება **კომი მორტ** და **კომი ვოიტირ** – „კომი ადამიანი“, „კომი ხალხი). რუსეთში მათი რაოდენობა 336 ათასი კაცია, მათ შორის, კომში ცხოვრობს 292 ათასი. ისინი კომი-პერმელებისა და უდმურტების მონათესავენი არიან. ლაპარაკობენ კომი (ზირიანულ) ენაზე, რომელიც ფინურ-უგრულ ენათა ოჯახში შედის. კომი-ზირიანულ ენაში რამდენიმე დიალექტს გამოყოფენ. შესაბამისად იყოფიან ეთნოგრაფიულ ჯგუფებად. დამწერლობა აქვთ XIV ს-ის II ნახევრიდან, რომელიც XVII ს-დან რუსულ ანბანს ეფუძნება. კომლთა უმეტესობა მართლმადიდებელია. არიან სტაროვერებიც. ანთროპოლოგიურად კომელები ჩრდილო ევროპეიდებს (ბელომორულ-ბალტიური რასა) მიეკუთვნებიან.

კომი-ზირიანელთა ფორმირებაში რამდენიმე ხალხმა მიიღო მონაწილეობა. ესენი იყვნენ: ვეპსები, ძველი მარიელები, ობის უგრთა წინაპრები, აღმოსავლეთ სლავები და სხვა.

XII საუკუნემდე კომელთა წინაპრები ძირითადად მონადირეობას, მეთევზეობას, მესაქონლეობას და გაკაფული და გადამწვარი ტყის ადგილას არასახვნელ მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ. XII საუკუნიდან დასავლეთით მცხოვრები მეზობელი ხალხების გავლენით გავრცელდა სახვნელი მიწათმოქმედება.

რუსულ წყაროებში თავდაპირველად კომელები პერმელთა სახელით მოიხსენიებოდნენ. XVI–XVII საუკუნეებში კომელებს განსახლების არეალი შეუცვლიათ. კომელთა ეთნოგრაფიული ჯგუფები სწორედ ამ მოძრაობა-გადასახლების დროს არიან ჩამოყალიბებული. მათი განსახლების აღმოსავლეთი საზღვარი ურალის ქედამდე აღწევს. ჩრდილოეთით ეთნიკური ტერიტორიის გაფართოება XIX საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა, თუმცა კომელებს გამოკვეთილი ეთნიკური საზღვრები მაინც არა აქვთ ჩამოყალიბებული. ჩრდილოეთ კომელების ნაწილი ნენეტთან ერთად ერთ ტერიტორიაზე ბინადრობს. კომელთა ეთნოგრაფიული ჯგუფები ძირითადად ბუნებრივ-გეოგრაფიულ ფაქტორთა გავლენით ჩამოყალიბდა. სამხრეთით მცხოვრები ეთნოგრაფიული ჯგუფებისათვის უპირველეს საქმიანობას უპირატესად მიწათმოქმედება და აგრეთვე მეცხოველეობა წარმოადგენ-

და. რაც შეეხება ჩრდილოეთით განსახლებულ ეთნოგრაფიულ ჯგუფებს, მათთვის მეთევზეობასა და მონადირეობას ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. კომელების ეთნოგრაფიული ჯგუფი – იუმელები ძირითადად შემგროვებლობასა და მეირმეობას მისდევდნენ.

რუსეთის ფედერაციაში კომელებს ავტონომიის სტატუსი ჰქონდათ. 1992 წლიდან მას კომის რესპუბლიკა ეწოდება. 1989 წლის მონაცემებით, კომელები ამ რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ 23,3% შეადგენდნენ.

კომელთა სოფლები თავდაპირველად პატარა იყო. ისინი ძირითადად მდინარეთა ნაპირებზე იყო განლაგებული. გვიან პერიოდში პატარა სოფლები ერთმანეთს შეერწყა და ამ გზით დიდი დასახლებული პუნქტები წარმოიქმნა. ტრადიციული საცხოვრებელი ხის მორებისაგან ჰქონდათ აგებული.

კომელებში შემორჩენილი იყო წარმართულ რწმენა-წარმოდგენები: წინაპართა კულტი, ხის კულტი, ცეცხლის კულტი და ცხოველების კულტი.

2.62. კომი-პერმელები

რუსეთში მოსახლე **კომი-პერმელების** რაოდენობა 147 ათასია. ძირითადად განსახლებული არიან კომი-პერმელთა ავტონომიურ ოკრუგში (95,4 ათასი). XX საუკუნის 20-იან წლებამდე მათ „პერმიაკებს“ (პერმელებს) უწოდებდნენ. ირგვლივ მცხოვრები რუსები დღესაც ამ ეთნონიმს გამოიყენებენ. ტერმინები „პერმი“ და „პერმელები“ რუსებმა ვეპსებისაგან ისესხეს. ის მომდინარეობს სიტყვებისაგან „პერა მაა“ და აღნიშნავს „საზღვრის იქით მდებარე მიწას“. კომი-პერმელთა ავტონომიურ ოკრუგში ტიტულოვანი ეთნოსის რაოდენობა 63%-ია. ოკრუგის გარეთ კომი-პერმელთა ორი კომპაქტური ჯგუფია ჩამოყალიბებული. იაზვინელი კომი-პერმელები პერმის ოლქში მდინარე იაზვის აუზში ცხოვრობენ. უკანასკნელი მონაცემებით ამ ეთნოგრაფიული ჯგუფის რაოდენობა 2000 კაცია (1960 წელს – 4000). ზიუზდინელი კომი-პერმელები კიროვის ოლქში მკვიდრობენ, რომლებიც XX საუკუნის 50-იან წლებში 7000 კაცს აჭარბებდნენ. დღეისათვის ისინი გაქრობის ზღვარზე იმყოფებიან (1970 წელს სულ 700 კაცს ითვლიდნენ; 1989 წელს ისინი რუსებად ჩაწერეს).

კომი-პერმელთა ენა ფინურ-უგრულ ენათა ოჯახში შედის და კომი-ზირიანულ და უდმურტულ ენებს ენათესავება. მას ოთხი თქმა აქვს. დამწერლობა რუსულ ანბანს ეფუძნება. სოფლის მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა თავისუფლად ლაპარაკობს მშობლიურ ენაზე, რასაც ვერ ვიტყვით ქალაქში მცხოვრები კომი-პერმელების

შესახებ. ქალაქის მკვიდრთა დაახლოებით მეოთხედი ამ ენას საერთოდ არ ფლობს.

ანთროპოლოგიურად ევროპეიდული რასის აღმოსავლურ-ევროპულ ტიპს მიეკუთვნებიან. შეიმჩნევა მონღოლოიდური მინარევიც.

ძირითადად მართლმადიდებლები არიან. გვხვდებიან სტაროვერებიც. რუსულ წყაროებში პერმელები პირველად XII საუკუნეში იხსენიებიან. XV საუკუნეში კამისპირეთში მცხოვრებ კომელებს მთავარი მართავდა. კომი-პერმელების ნაწილი 1463 წელს ეპისკოპოს იონას მოუნათლავს. **1472 წელს კომი-პერმელთა მიწა მოსკოვის სახელმწიფომ შეიერთა.** ამის შემდეგ ამ მიწა-წყალზე რუსების ინტენსიური დასახლება დაიწყო. მართალია შედარებით გვიან, XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში კომი-პერმელები, თავის მხრივ, მცირემიწიანობის გამო, უფრო აღმოსავლეთით, ძირითადად ციმბირში გადასახლდნენ.

კომი-პერმელთა მეურნეობის ტრადიციული დარგები იყო: სახვნელი მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, მონადირეობა და მეთევზეობა. ხელოსნობისა და შინამრეწველობის დარგებიდან განვითარებული იყო ფეიქრობა, მეთუნეობა, ხის დამუშავება; მარცვლეული კულტურებიდან თესავდნენ: ქერს, ჭვავს, შვრიას. ხორბალი მათთვის საერთოდ უცნობი იყო. მეცხოველეობა ფაქტობრივად მიწათმოქმედების დანამატი იყო. მოშენებული ჰყავდათ ძირითადად ძროხა, ცხვარი და ცხენი. შინაური ცხოველები საძოვრებზე და ტყეებში თავისუფლად – მწყემსის გარეშე ჰყავდათ გაშვებული.

კომი-პერმელთა სოფლები ძირითადად ერთი გვარის ხალხით იყო დასახლებული. ტრადიციული საცხოვრებელი ძელური ქოხები იყო, რომლებსაც ფუნდამენტის გარეშე აგებდნენ.

2.63. ვეპსები

ვეპსები რუსეთში კარელიის რესპუბლიკის სამხრეთში ცხოვრობენ. მკვიდრობენ აგრეთვე ლენინგრადისა და ვოლოგდის ოლქებში. მათი საერთო რაოდენობა 12 ათასზე მეტია. 1850-იან წლებში ვეპსები 15,6 ათასის ფარგლებში იყვნენ, 1870-იანი წლების დასაწყისში – დაახლოებით 12,5 ათასი, 1897 წელს – 16,1 ათასი. 1926 წლის აღწერამ ვეპსების რაოდენობის მატება გამოავლინა (25 ათასი), მაგრამ 1959 წლისათვის ისინი 16,4 ათასამდე შემცირდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში ვეპსების რაოდენობის მკვეთრი შემცირება ძირითადად ორი მიზეზითაა ახსნილი: მეორე მსოფლიო ომისდროინდელი დიდი დანაკარგით და რუსების მიერ ასიმილაციით. ვეპსების თითქმის ნა-

ხევარი (47,6 %) კარელიაში მკვიდრობს, 34,2 % – ლენინგრადის ოლქში.

ვეპსური ენა ურალურ ენათა ოჯახის ფინურ-უგორულ ჯგუფში შედის, რომელსაც სამი დიალექტი აქვს. ვეპსები ძირითადად რუსულ ენაზე ლაპარაკობენ. მშობლიური ენა მხოლოდ 37,5%-მა იცის. ვეპსები XI-XII საუკუნეებიდან მართლმადიდებლები არიან. ანთროპოლოგიურად ჩრდილოეთ ევროპეიდებს მიეკუთვნებიან. ვეპსების წინაპრები მოხსენიებული ჰყავს VI საუკუნის გოთ ისტორიკოს იორდანს. ვეპსებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს კარელიელთა, ჩრდილოეთში მცხოვრები რუსებისა და კომელთა ეთნოგენეზისში.

ვეპსებს რამდენიმე ენდოეთნონიმი აქვთ. ესენია: **ბეპსია, ვეპსი**, **ლიუდინიკადი, ტიაგალაჯეტი**. XX საუკუნის 20-იან წლებამდე რუსები ვეპსებს **ჩუდებს** უწოდებდნენ.

წარსულში ვეპსების განსახლების არეალი უფრო ვრცელი იყო.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ვეპსების მცდელობა დამწერლობის შექმნისათვის წარუმატებელი აღმოჩნდა. XX საუკუნის 30-იან წლებში კვლავ იყო მცდელობა სკოლაში ვეპსურ ენაზე სწავლებისა. **მხოლოდ 1989 წელს საზოგადოების ინიციატივით შეიქმნა ვეპსური დამწერლობა, გამოიცა ანბანი,** პირველი და მეორე კლასების ვეპსური ენის სახელმძღვანელოები, ვეპსურ-რუსული და რუსულ-ვეპსური ლექსიკონები, რამდენიმე მხატვრული წიგნი. 1994 წლიდან დაიწყო ყოველთვიური გაზეთის გამოცემა.

ვეპსთა ეკონომიკის საფუძველს ძველთაგანვე მიწათმოქმედება წარმოადგენდა. XVIII საუკუნის II ნახევარში ხე-ტყის დამზადების ადგილებში გარე სამუშაოზე გასვლა დაიწყო. ტრადიციული საცხოვრებელი და მატერიალური კულტურა ჩრდილორუსულის მსგავსი იყო.

ვეპსებში სასოფლო თემი და მისი ყრილობა თითქმის კოლექტივიზაციამდე არსებობდა. გავრცელებული იყო დიდი ოჯახიც. ვეპსების გვარსახელები რუსული გვარსახელების ანალოგიურია.

2.64. იჟორელები

მათი თვითსახელწოდებაა **იჟორა, კარიალაინ, იზური**. რუსეთში ლენინგრადის ოლქში ცხოვრობს 450 კაცი, ესტონეთში – 306. საერთო რაოდენობა 820 კაცია. იჟორელთა ენა ფინურ-უგორულ ენათა ოჯახს მიეკუთვნება, რომელსაც ოთხი დიალექტი აქვს. ერთ-ერთ დიალექტში ლინგვისტები ვოდური ენის სუბსტრატს პოულობს. **დამწერლობა არა აქვთ. ის ლათინური ანბანის საფუძველზე მხოლოდ**

1930-იან წლებში ფუნქციონირებდა. ფიქრობენ, რომ იჟორელები სამხრეთკარელიელებს გამოეყვნენ I და II ათასწლეულების მიჯნაზე. წერილობით წყაროებში პირველად XIII საუკუნეში არიან მოხსენიებულნი. ესაა ჰენრიხ ლატვიელის ქრონიკა, რომელშიც საუბარია იჟორელთა მიწასა („ნგარია“) და მის მცხოვრებლებზე – ინგრებზე („ინგაროს“). 1241 წლის რუსულ წყაროში მოხსენიებულია იჟორელი უხუცესი პელგუი, რომელმაც ალექსანდრე ნეველს ფინეთის უბის სანაპიროზე შვედების გადმოსხმა აუწყა. იჟორელთა განსახლების ტერიტორია ნოვგოროდის რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა. სლავებსა და ვოდებს შორის ისინი შერეულად იყვნენ განსახლებულნი, რამაც ბევრად განსაზღვრა მათი შემდგომი სვე-ბედი. იჟორელებმა სლავური კულტურის დიდი გავლენა განიცადეს. XVII საუკუნიდან იჟორელები შვედების მფლობელობაში იყვნენ. მხოლოდ 1721 წელს დაიბრუნა რუსეთმა ინგერია. XIX საუკუნის შუა ხანებში აღრიცხული იყო 17 ათასი იჟორელი. იჟორელების დიდი ნაწილი ასიმილირებულია. დღესაც **იჟორელთა მხოლოდ 41,0%-მა იცის მშობლიური ენა.** იჟორელთა რაოდენობის შემცირება ასიმილაციურმა პროცესებმა განაპირობა. ამ თვალსაზრისით გარკვეული როლი სასკოლო განათლებამაც ითამაშა. სანეცნიერო ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ XX საუკუნის 40-50-იან წლებში იჟორელები ცდილობდნენ რუსებად ჩაწერას.

იჟორელები ანთროპოლოგიურად მიეკუთვნებიან ჩრდილოელ ევროპეიდებს (ატლანტიურ-ბალტიური რასა). სარწმუნოებით მართლმადიდებლები არიან. იჟორელთა ნაწილმა XVII ს-ში ლუთერანობა მიიღო. მათ დროთა განმავლობაში ეთნიკური თავისთავადობა დაკარგეს და ფინელებად იქცნენ.

იჟორელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაწილი პეტერბურგის ბაზარზე გაჰქონდათ გასაყიდად. ზღვის სანაპიროზე მცხოვრებნი მეთევზეობას მისდევდნენ. თევზს ძირითადად ზამთარში იჭერდნენ და მას პეტერბურგელ ვაჭრებზე ყიდდნენ. განვითარებული იყო ხელოსნობა – გასაყიდად გაჰქონდათ თვლები, საზიდავები, მარხილები, სართავი ჯარა.

იჟორელებში შემორჩენილი იყო ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები; ეთაყვანებოდნენ წმინდა კორომებს, ცალკეულ ხეებს, წყაროებსა და ქვებს. ამ სალოცავებს მოსავლის პირველ მარცვალს სწირავდნენ. ზოგიერთ კალენდარულ დღესასწაულზე იცოდნენ ლუდის მოხარშვა.

2.65. ვოდები

ვოდების თვითსახელწოდებაა **ვადიალაინ.** რუსეთის ფედერაციაში უკანასკნელი მონაცემებით ვოდების რაოდენობა ას კაცზე ნაკლებია. ცხოვრობენ ლენინგრადის ოლქის კინგისეპის რაიონში. ვოდური ენა ურალურ ენათა ოჯახის ფინურ-უგორულ ჯგუფში შედის. მას აქვს ორი დიალექტი. ვოდურ ენას დამწერლობა არა აქვს. დღეისათვის ვოდების უმეტესობა რუსულ ენაზე ლაპარაკობს. ვოდური ენა მხოლოდ უფროსო თაობის ცალკეულმა წარმომადგენლებმა იციან.

ვოდები აღმოსავლეთ ევროპის ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიის უძველესი მკვიდრნი არიან. ვოდების ეთნოსი ახლომონათესავე ჩრდილო-აღმოსავლეთ ესტონურ ტომებს ა.წ. პირველ ათასწლეულში გამოეყო. პირველივე ათასწლეულის შუა ხანებში ვოდების განსახლების ტერიტორიაზე სლავური ტომები შეიჭრნენ.

ვოდებით განსახლებული ტერიტორია არა უგვიანეს XII საუკუნისა ნოვგოროდის რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა. მათ ამავე დროს მიიღეს ქრისტიანობა. ვოდების ტერიტორიისა და რაოდენობის შემცირება X-XI საუკუნეებიდან დაიწყო. ვოდების ნაწილის ასიმილირება სლავურმა და იჟორულმა მოსახლეობამ მოახდინა. სამხედრო შეტაკებებმა, შიმშილობამ და ეპიდემიებმა ვოდების მასობრივი ამოწყვეტა გამოიწვია. მათ შემცირებას მიგრაციებსაც უკავშირებენ. მაგალითად, XV საუკუნეში გერმანელმა რაინდებმა ვოდების დიდი ჯგუფი თანამედროვე ლატვიის ტერიტორიაზე ძალით გადაასახლა. აქ ამ ეთნოსმა თავი XIX საუკუნის შუა ხანებამდე შემოინახა. ლატვიელები ვოდების ამ ჯგუფს **კრევინგების** სახელით იცნობდნენ.

XIX საუკუნის შუა ხანებში ვოდების რაოდენობა 5000 კაცის ფარგლებში იყო, 1926 წელს – 500 კაცის.

მიუხედავად იმისა, რომ ვოდებმა საკმაოდ დიდი ხნის წინ მიიღეს ქრისტიანობა, ყოფასა და სხვადასხვა სადღესასწაულო რიტუალებში შემორჩენილი ჰქონდათ ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენების გადმონაშთები; ეთაყვანებოდნენ წყაროებს, ხეებს, ქვებს.

2.66. ნენები

ნენების საერთო რაოდენობა 34,5 ათასია. ცხოვრობენ რუსეთის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში; აგრეთვე ციმბირში. მათი თვითსახელწოდებაა „**ნენეც“, „ხასოვ“** („ადამიანი“), **სამოედები, იურაკები**. ლაპარაკობენ ურალურ ენათა ოჯახის სამოიდური ჯგუფის ნენურ ენაზე. ნენურ ენას ორი დიალექტი აქვს. არხანგელსკის ოლქში მცხოვრები ნენები ძირითადად რუსულ

ენაზე მეტყველებენ. ნენურ ენაზე დამწერლობა 1930-იან წლებში შეიქმნა. ნენები მართლმადიდებლები და ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები არიან. ნენების უმეტესობა ანიმიზმის მიმდევარია. ნენების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის პირველი ცდები XIX საუკუნის დასაწყისში იყო.

ანთროპოლოგიურად შუალედურ რასას მიეკუთვნებიან. ნენების პირველ მიგრაციას აზიიდან ევროპის ჩრდილოეთში ჰუნების შემოსევას უკავშირებენ. საისტორიო წყაროებში პირველად მოხსენიებულნი არიან XI საუკუნეში. ნენების ტრადიციული საქმიანობა ნადირობა და მეთევზეობა იყო. მისდევენ მეირმეობას. ამ ეთნოსის ძირითად სოციალურ უჯრედს პატრიარქალური გვარი წარმოადგენდა. **ნენების ნათესაობის სისტემისათვის დამახასიათებელი იყო ძირითადად დედის გვარის წარმომადგენელზე დაქორწინება.** რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში გაბატონებული იყო რწმენა სულების შესახებ.

2.67. თურქები

თურქები თურქეთის სახელმწიფოს მკვიდრნი არიან. მათი თვითსახელწოდებაა „**თიურქ**“. ბოლო მონაცემებით, თურქეთში ცხოვრობს 70 მილიონი ადამიანი. აქედან სამ მილიონ ნახევარზე მეტი განსახლებულია თურქეთის ევროპულ ნაწილში, რომლებიც აქ ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებზე თურქთა ბატონობის ეპოქაში – XIV-XVIII საუკუნეებში დასახლდნენ. თურქები ცხოვრობენ აგრეთვე გერმანიაში (1 მილიონ 350 ათასი კაცი), ბულგარეთში (750 ათასი), მაკედონიაში (110 ათასი). თურქების შემადგენლობაში შედიან მესაქონლე-მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე სუბეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ამა თუ იმ ტომს მიეკუთვნებიან და ადგილობრივ მოსახლეობას არ ერევიან; მათ შემოინახეს პატრიარქალური წყობა. ესენი არიან **იურიუქები, თურქმენები, ტახტაჯები, აბდალები, ზეიბექები, ჩეპნები.** მათი ნაწილი თურქებს შეერია და ასიმილაცია განიცადა.

დღევანდელ თურქეთში მოსახლეობის 90% თურქია. დანარჩენი 10% სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები არიან – ქურთები (დაახლოებით 12 მილიონი ეთნიკური ქურთი კომპაქტურად ქვეყნის აღმოსავლეთ პროვინციებში მკვიდრობს. სხვათა შორის, ძირითადად მათ დაიკავეს ისტორიული დასავლეთ სომხეთის ტერიტორია), არაბები, სომხები, ჩერქეზები, ებრაელები და, რა თქმა უნდა, ქართველები (ლაზებთან ერთად), რომელთა მნიშვნელოვან რაოდენობას დედაენა კვლავ შენარჩუნებული აქვს. თურქეთის მოსახლეობის თითქმის აბსოლიტური უმრავლესობა მაჰმადიანი სუნიტია. მოსახლეობის

მხოლოდ 2%-ს შეადგენენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, კათოლიკეები, პროტესტანტები, იუდეველები და მონოფიზიტები.

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით თურქები ერთგვაროვანნი არ არიან. ძირითად ანთროპოლოგიურ ტიპს წარმოადგენს ბალკანურ-კავკასიური რასა (წინააზიური ვარიანტი). თურქთა ანთროპოლოგიური დახასიათება რამდენიმე მეცნიერმა მოგვცა. ინგლისელი ჯ. რეიდი მათ სამ ტიპს გამოყოფდა: თურქ-მონღოლოიდებს, რომლებიც, მისი აზრით, ჩინგის-ხანის თათრების შთამომავალნი არიან; თურქ-ევროპეიდებს, რომლებიც მცირეაზიელი ისლამიზებული და გათურქებული მოსახლეობის ჯგუფებისაგან წარმოიშვნენ და „შერეული“ თურქები, რომლებიც ორი დასახელებული ჯგუფის მეტისაციის შედეგად გაჩნდნენ. სხვა ავტორთა აზრით, მონღოლოიდური ელემენტები თურქებში მხოლოდ უმნიშვნელოდაა გამოხატული და ის დაკავშირებულია არა მონღოლოიდებთან, არამედ შუა აზიის ადრე შუა საუკუნეების თურქებთან. მონღოლოიდური ელემენტი, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან სუსტად იყო გამოხატული შუა აზიისა და კავკასიის მოსახლეობასთან შერევის შედეგად, მცირე აზიაში ოღუზებმა და თურქმენმა ტომებმა მოიტანეს. მცირე აზიაში ადგილობრივ ევროპეიდულ მოსახლეობასთან შერევის შედეგად ოღუზთა და თურქმენთა მონღოლოიდური ნიშნები ევროპეიდულ მასაში თითქმის სრულიად განზავდა. ნ. არისტოვის აზრით, თურქთა სხვადასხვა ტიპების არსებობა იმ თურქთა მეტისაციის შედეგია, რომლებიც შუა აზიიდან მცირე აზიაში გადმოსახლდნენ არა უადრეს ცხრა საუკუნის წინ. საერთო სარწმუნოებისა და ენის მატარებელი, მაგრამ სხვადასხვა მხარის თურქები თავისი ფიზიკური ტიპით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რასაც სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობა და ნაჯვარებში თურქთა სისხლის სიხშირე განაპირობებს.

ბ. ჩებოქსაროვი თურქებს შორის გამოყოფს სამხრეთ ევროპეიდების ხმელთაშუაზღვისპირულ-ბალკანურ ჯგუფს. თურქთა შორის სამხრეთ ევროპეიდების სხვა ჯგუფიცაა გავრცელებული – წინააზიური (სხვანაირად – არმენოიდული, ასიროიდული ანუ ანატოლიური). ამ ჯგუფის წარმომადგენლები უმეტესად ქვეყნის აღმოსავლეთში გვხვდებიან. მონღოლოიდური ელემენტი თურქებში თითქმის გაქრა. მხოლოდ ზოგიერთ ლოკალურ ჯგუფში გვხვდება სუსტად გამოხატული ეპიკანტუსი.

ვ. ბუნაკი მიიჩნევს, რომ თურქთა ფიზიკური ტიპის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა არანაკლებ ოთხი ძირითადი კომპონენტი. ეს შემდეგი ანთროპოლოგიური ტიპებია: **ჭოროხ-რიონული, პონტო-ზაგროსული, ბალკანურ-დინარული** (როგორც ადგილობრივი უძველესი მცირეაზიური და ბალკანური ელემენტი) და **კასპიისიქითა** ტიპი, რო-

მელიც ადგილობრივი წარმოშობისა არაა. ჭოროხ-რიონული ტიპი ძირითადად თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთშია გავრცელებული. ამასთანავე ისინი გაფანტულად გვხვდებიან მთელ ანატოლიაში. დაკავშირებულები არიან ასიმილირებულ ლაზებსა და ქართველებთან. ფიქრობენ, რომ ამავე ანთროპოლოგიური ტიპის წარმომადგენლები იყვნენ მცირე აზიის ძველი ხალხები – ხეთები, ლიდიელები, კარიელები და სხვ.

პონტო-ზაგროსული ტიპი (წინააზიური, არმენოიდული, ასიროიდული) ძირითადად აღმოსავლეთ ანატოლიაში მკვიდრობს. ისიც უძველეს მცირეაზიურ ტიპს მიეკუთვნება და დაკავშირებულია ურარტუს სახელმწიფოსთან. ბალკანურ-დინარული ტიპი დამახასიათებელია დასავლეთ ანატოლიისა და აღმოსავლეთ თრაკიის რაიონებისათვის. ის გავრცელებულია აგრეთვე ბალკანეთის ხალხებში (ბერძნები, ბულგარელები, სერბები...). თურქებთან ამ ხალხების ნაწილი თურქიზაციის შედეგად მოხვდა. კასპიისიქითა ტიპს თურქეთში განსაზღვრული ლოკალური ტერიტორია არ მოეპოვება, რადგან ის ძირითადად გაქრა და მხოლოდ რიგი ნიშნები შეინარჩუნა. მისი გავრცელება ანატოლიაში სელჯუკთა დაპყრობების პერიოდს უკავშირდება. ისტორიული და ლინგვისტური მონაცემებით თურქ-სელჯუკები ძალიან ახლოს იყვნენ თურქმენებთან, რომლებიც კასპიისიქითა ტიპის თანამედროვე წარმომადგენლები არიან.

თურქებს შორის გვხვდება აგრეთვე სხვა ტიპებიც, მაგალითად, ცისფერთვალება, ქერა და აგრეთვე თითქმის აფრიკული იერ-სახის, ძალიან მუქი პიგმენტაციის, შავგვრემანი ხალხი. ყოველივე ეს თურქთა განსაკუთრებულ ჰეტეროგენულ წარმომავლობაზე მიუთითებს.

სისხლის ჯგუფების გამოკვლევის შედეგებით თურქები ევროპულ და აზიურ რასებს შორის შუალედურ ჯგუფს ქმნიან. ამრიგად, თურქები ანთროპოლოგიურად, პირველ რიგში, ბალკანეთის („სელჯუკებამდელ“, „ოსმალებამდელ“), მცირე აზიის ადგილობრივ მოსახლეობასა და მოსულ, ძირითადად შუა აზიელ ოღუზურ-თურქმენულ, ელემენტებთან არიან დაკავშირებულნი.

თურქები ლაპარაკობენ ალთაურ ენათა ოჯახის თურქული ჯგუფის თურქულ ენაზე. გამოიყოფა ანატოლიური ჯგუფის დიალექტები (სამხრეთ-დასავლური, ცენტრალური, აღმოსავლური, ჩრდილო-აღმოსავლური, შავიზღვისპირული, სამხრეთ-აღმოსავლური, კასტამონუიური, კარამანული) და რუმელიური, ანუ აღმოსავლეთთრაკიული ჯგუფი. თურქული ენის შესწავლაც ააშკარავებს, რომ თურქი ხალხის ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელ კომპონენტს თურქული ტომები წარმოადგენენ. XIII ს-დან თურქებს დამწერლობა არაბული ანბანის გრაფიკულ საფუძველზე ჰქონდათ, 1928 წლიდან კი ლათინურ გრა-

ფიკას ეფუძნება. თურქული ენის ლექსიკური ფონდის ერთეულთა უმეტესობა თურქულია. თურქული ლექსიკა თურქულ ენაში ძირითადად ოგუზური სიტყვებითაა წარმოდგენილი, მაგრამ სხვა ხალხების ასიმილაციამ თავისი კვალი მასაც დააჩნია. ასიმილირებული ენებიდან თურქულ ენაში არაერთი სიტყვა შევიდა. დიდი რაოდენობითაა არაბიზმები. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ისინი ისლამის მიმდევარ ყველა ხალხში ვრცელდებოდა. ამდენად, არაბიზმები თურქულ ენაში (სამეტყველო ენაში – 30%, სალიტერატურო ენაში – არანაკლებ 50%-ისა) არაბების თურქთა ეთნოგენეზისში მონაწილეობის შედეგი არაა. თუმცა დღევანდელ თურქულ ეთნოსში არაბული კომპონენტიცაა, მაგრამ არა იმ რაოდენობით, როგორითაც ბერძნული, სომხური, ქართული, ქურთული, სლავური... ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის შედეგად თურქი მომთაბარენი ბინადარ ცხოვრებაზე გადადიოდნენ და ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიწათმოქმედებისა და ბინადარი ცხოვრების ჩვევებს ითვისებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ სამეურნეო-კულტურული ასიმილაციის თვალსაზრისით ადგილობრივი ხალხები იმარჯვებდნენ, რომლებიც უფრო დიდი საბინადრო და სამიწათმოქმედო კულტურის მიმდევრები იყვნენ, მაგრამ ენობრივი თვალსაზრისით გამარჯვება თურქულ დიალექტებს რჩებოდათ, თუმცა ადგილობრივებისაგან დიდი რაოდენობით სესხულობდნენ ლექსიკურ ერთეულებს.

ენობრივი ასიმილაციის თვალსაზრისით თურქული ენის გამარჯვება იმან განაპირობა, რომ თურქები იყვნენ გაბატონებულები და, ბუნებრივია, მათი ენა იქცა ეროვნებათა შორის ურთიერთობის ენად. ამასთანავე, უცხოენოვანი მოსახლეობისათვის თურქული ენა ადვილად შესათვისებელი იყო. ის ფონეტიკურად მარტივია; მარტივია მისი გრამატიკა; განსაკუთრებით კი სამეტყველო ენა.

თურქულ ენაში შეიძლება რამდენიმე სუბსტრატი გამოვყოთ. ბერძნებმა, განუსაზღვრელად დიდი წვლილი შეიტანეს თურქულ კულტურაში. ბევრი ბერძნიზმია საზღვაო, მეთევზეობის, სამიწათმოქმედო, აგრეთვე მატერიალურ კულტურასა და საცხოვრებელ სახლებთან დაკავშირებულ ტერმინებში. თურქთა ეთნოგენეზისში ბერძნების დიდ წვლილზე მიუთითებს ბევრი ბერძნული სიტყვის შეღწევა კონსერვატიული ლექსიკიდან, როგორიცაა ინტიმური, სხეულისა და ორგანიზმის ნაწილთა სახელწოდებანი. მეცნიერები თურქულ ენაში პოულობენ სომხურ და ქურთულ პლასტებს, ქართულ ლექსიკას (სიტყვები „ქოთანი“, „მოდგამი“, „ნახირჯი“). თურქულ ენაში არაერთი სიტ-ყვაა შესული ირანული ენიდან.

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ეთნოსები და სახელმწიფოები რამდენჯერმე შეიცვალა. ძველი წელთაღრიცხვის დაახლოე-

ბით 3000 წელს აქ ტროას ცივილიზაცია არსებობდა, XVII- XIII საუკუნეებში – ხატუსას (ხეთების) ცივილიზაცია. თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში არსებობდა ურარტუს სახელმწიფო (ძვ. წ. IX-VI საუკუნეები). სხვათა შორის, აქვე ჭოროხის ხეობაში ჩაეყარა საფუძველი ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ცივილიზაციას. შუა საუკუნეებში თურქეთის სახელმწიფო ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე ჩამოყალიბდა. მათი წინაპრები ცენტრალური აზიიდან მოვიდნენ, ხოლო ეთნოსის ჩამოყალიბების არეალი დიდი ჩინური კედლის დასავლეთით მდებარეობდა. თურქულენოვანი ტომების მიგრაცია აქედან ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში დაიწყო. იმდროინდელი თურქები ანიმიზმის მიმდევრები იყვნენ – ეთაყვანებოდნენ მიწას, ცას, წყალს, თუმცა ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში გადმონაცვლების შემდეგ სხვადასხვა დროს განიცადეს ბუდიზმის, იუდაიზმის და ქრისტიანობის გავლენა. 1037-დან 1300 წლამდე ისინი წარმატებით მართავდნენ სახელმწიფოებს, რომლებიც ავღანეთიდან ხმელთაშუაზღვამდე იყო გადაჭიმული. საბოლოოდ ეს სახელმწიფოებრივი ერთეულები მონღოლთა დაპყრობებისა და შინაომების მსხვერპლი შეიქმა. სახელმწიფოებრიობა მხოლოდ მცირე აზიაში რუმის სელჯუკებმა შეინარჩუნეს. იმ დროს, როდესაც თურქული სახელმწიფოები ეცემოდა, ტომთა რამდენიმე მებრძოლი ჯგუფი ანატოლიაში დამკვიდრდა. თურქეთის სულთნები ნახევრად ლეგენდარული ბეგი ოსმანის (1289-1324) შთამომავლები იყვნენ, რომლებმაც XIV-XV საუკუნეების განმავლობაში შეძლეს თავისი ხელისუფლების ქვეშ გაეერთიანებინათ მცირე აზიის ყველა თურქული სამთავრო და კონსტანტინოპოლიც დაიპყრეს (1453 წელი). ბიზანტიის დედაქალაქის დაპყრობიდან სულ ცოტა ხანში, ის, ფაქტობრივად, თურქულ ქალაქად იქცა. 1477 წელს სტამბოლში 60-70 ათასი კაცი ცხოვრობდა, რომელთაგან 9753 ოჯახი თურქული იყო; აქ მკვიდობდა აგრეთვე ბერძენთა 3743 კომლი, ებრაელთა – 1647 ოჯახი, სომხების – 818 კომლი, ყირიმელი ქრისტიანების – 267 ოჯახი და ბოშა-მუსლიმების – 31 კომლი. ასი წლის შემდეგ სტამბულის მოსახლეობამ 500 ათასს მიაღწია, რომლის 58% იყო მუსლიმი. მაჰმადიანმა თურქებმა ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ თითქმის ყველა სოფელსა და ქალაქში ეკლესიების უმეტესობა მეჩეთებად გადაქცეს. XIV საუკუნის ბოლოს ოსმალეთის იმპერია, ფაქტობრივად, ევროპის ტერიტორიაზე უფრო მეტ ტერიტორიებს ფლობდა, ვიდრე აზიაში (მცირე აზიის ტერიტორიების დაპყრობა მათ მხოლოდ 1390 წლიდან სულთან ბაიაზეთის დროს დაიწყეს. თურქების მიერ შექმნილმა ოსმალეთის იმპერიამ XX საუკუნის დასაწყისამდე იარსება და საბოლოოდ ის პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიშალა (1922

წელი). თურქი ხალხი (დღევანდელი სახით) XVI საუკუნის შუა ხანებში ორი ძირითადი ეთნიკური კომპონენტისაგან ჩამოყალიბდა: თურქული მესაქონლეობის მიმდევარი მომთაბარე ტომებისაგან, ძირითადად ოღუზებისა და თურქმენებისაგან, რომლებიც მცირე აზიაში აღმოსავლეთიდან გადმოსახლდნენ სელჯუკთა და მონღოლთა დაპყრობების დროს XI-XIII საუკუნეებში და ადგილობრივი მცირეაზიელი (ბერძნები, სომხები, ქურთები...) და კავკასიელი (ქართველები, ლაზები) ხალხებისაგან. თურქების ნაწილი მცირე აზიაში ბალკანეთიდან შეიჭრა (უზები, პაჭანიკები) სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ოსმალური დაპყრობების შემდეგ (XIV-XVI სს.). თურქთა ეთნიკურ ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სამხრეთ-სლავურმა ხალხებმა, ალბანელებმა, რუმინელებმა, მოლდოველებმა, უნგრელებმა.

თურქეთის მოსახლეობა (განსაკუთრებით ქალაქებისა) უკანასკნელ ხანს სულ უფრო „ევროპეიზირდება“. მათ დიდი ხანია ევროპული (თანამედროვე) ტანსაცმელი აცვიათ. კვების მხრივაც დიდი ხანია ევროპული გავლენა იგრძნობა, თუმცა ბევრი კერძი ნაციონალური თავისებურებებითა და სახელწოდებებით გამოირჩევა, მაგალითად: ფლოვი (ფლავი). კვლავ მკაცრად იკრძალება ღორის ხორცი, მაგრამ სპირტიან სასმელებს ისლამი თითქმის აღარ კრძალავს.

მეცნიერები შენიშნავენ სოფლის მეჩეთების არქიტექტურაზე ქრისტიანული საკულტო ნაგებობების გავლენას. მეჩეთებს აშენებდნენ ქრისტიანი მშენებლები, რომლებსაც სოფლის მცხოვრებნი მახლობელი ქალაქებიდან იწვევდნენ.

ბევრი არათურქული და მუსლიმამდელი წეს-ჩვეულებაა შემორჩენილი თურქთა რიგ ეთნოგრაფიულ ჯგუფში, მაგალითად, ტახტაჯებთან ქორწილში ნეფე და დედოფალი ღვინოს სვამენ; დაკრძალვის დროს მიცვალებულის კუბოს ყვავილებით რთავენ. ქელისას რაიონის თურქმენებში საქორწილო დროშაზე ხშირად ჯვარს გამოსახავენ. ჯვრის გამოსახულება გვხვდება ხალხურ ნაქარგობაში, ხალიჩებზე.

ამრიგად, თურქ ხალხს, ისევე როგორც თითქმის ყველა სხვა ხალხს, არ ჰყავს მხოლოდ ერთი წინაპარი, არამედ ის ბევრი ეთნიკური კომპონენტისაგან შედგება. სხვათა შორის, საკმაოდ მცირერიცხოვანნი არიან **ქრისტიანი-თურქები, რომლებიც თავიანთ თავს „კარა-მანლი“-ს უწოდებენ. ესენი არიან გათურქებული მცირეაზიელი ბერძნები.** მათი ძირითადი ნაწილი თურქეთის ქალაქ კაისერის მახლობ-ლად ცხოვრობს. კარამანლებს დამწერლობა აქვთ ბერძნულ ანბანზე, აქვთ თავიანთი ლიტერატურა.

თურქები სარწმუნოებით მუსულმანი-სუნიტები არიან. საყურადღებოა, რომ **ნახევარმთვარის სიმბოლო ყველა მაჰმადიან ხალხში თურქებისაგან გავრცელდა, თურქებმა კი ბიზანტიელებისაგან მიიღეს. ქალაქ ბიზანტიონის (კონსტანტინოპოლის) დროშაზე ნახევარმთვარე და ვარსკვლავი იყო გამოსახული. ქალაქის აღების შემდეგ თურქებმა ეს დროშა დაიტოვეს, რადგან თავი ბიზანტიის მემკვიდრეებად გამოაცხადეს.** ეს სიმბოლიკა კი მაჰმადიან სამყაროში მას შემდეგ გავრცელდა, რაც თურქებმა მთელი ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა დაიპყრეს.

თურქთა უმეტესობა დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში.

შემორჩენილია პატრიარქალური და ისლამური წეს-ჩვეულებები. ძლიერია ოჯახში მამის გავლენა. ქორწინება პატრილოკალურია. ქორწინებანი ხშირად ადრეულ ასაკში ხდება ახალგაზრდების თანხმობის გარეშე. შემონახულია დიდი ოჯახები. ზოგიერთ ადგილას შემორჩენილია მუსულმანობამდელი რწმენა-წარმოდგენები.

ძველ თურქეთში წვერის ტარება სავალდებულო არ იყო, მაგრამ ყველა ცნობილი ადამიანი – მასწავლებლები, ჩინოვნიკები წვერით დადიოდა; ეს მათ ღირსებას მატებდა. თურქები თავს, ჩვეულებრივ, მთლიანად იპარსავდნენ. ბიჭების ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წინდაცვეთა წარმოადგენდა. წინდაცვეთა საერო მოვლენა იყო და მისი შესრულების დროს რაიმე განსაკუთრებული ლოცვა არ სრულდებოდა. ეს ოპერაცია ბიჭებს ძირითადად 7-8 წლის ასაკში უტარდებოდათ. წინდაცვეთის დროს ოჯახში სტუმრები იყრიდნენ თავს; ისინი ვაჟს მოწიფულობას ულოცავდნენ და, ამავე დროს, საჩუქრებიც მოჰქონდათ. თურქეთში ქორწინება მხოლოდ სამოქალაქო საქმედ ითვლებოდა; საკრალური წეს-ჩვეულებებისაგან ის თავისუფალი იყო. ქორწინებისათვის სასურველი დღეები პარასკევი და ორშაბათი იყო. ქორწილი მუსიკისა და ცეკვების თანხლებით მიმდინარეობდა. მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ **თურქული მუსიკა და ცეკვები საკმაოდ განსხვავდება სხვა თურქულენოვანი ხალხების მუსიკისა და ცეკვებისაგან. ამის მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ ის ძირითადად არაბული და ბერძნული ხალხური შემოქმედების სინთეზის შედეგადაა ჩამოყალიბებული.** თურქეთში ცოლს, ფაქტობრივად, გაყრის უფლება არ ჰქონდა, მაშინ, როდესაც მამაკაცს უბრალო ფორმულის წარმოთქმის შემდეგაც შეეძლო ცოლს გაყროდა.

ოჯახი ყოველთვის ცალკე სახლდებოდა. სახლში ავეჯი ცოტა ჰქონდათ, ხალიჩები კი დიდი რაოდენობით. ხალიჩები ეკიდათ კედლებზე, იყენებდნენ საწოლად, ლოცვისას იდებდნენ მუხლებქვეშ.

თურქებს ძალიან უყვარდათ და უყვართ ტკბილეულობა, მაგრამ მას, ჩვეულებრივ, საჭმელთან ერთად არასდროს არ ჭამენ. ტკბილეუ-

ლობის დასამზადებლად თაფლსა და ბარამბოს იყენებდნენ, აგრეთვე გადადუღებულ და შესქელებულ ყურძნის წვენს – „ბაქმაზს“.

სპორტის ნაციონალურ სახეობას მშვილდ-ისრით სროლა წარმოადგენდა. გამარჯვებულები ეროვნული გმირები ხდებოდნენ. პოპულარული იყო ცხენოსნობა. თესვის დაწყება და მოსავლის აღება ერთგვარი დღესასწაული იყო. სხვათა შორის, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **თურქებმა გაითავისეს ბერძენთა რელიგიური დღესასწაული – გიორგობა. მას თურქებმა ხიზრას ხსოვნის დღე დაამთხვიეს, რომელიც მათი წმინდა მფარველი იყო. მიაჩნდათ, რომ ამ დროს ყვავილები იფურჩქნებოდნენ, მოფრინავდნენ ბულბულები. მთელ ქვეყანაში იმართებოდა ბაზრობები. ამ დროს სადღესასწაულო პიკნიკებზე მიირთმევდნენ მაწონს, ტოლმას, ჰალვას, ყველს და სხვ.** თურქეთში ყავა პირველად 1543 წელს შეიტანეს. ძალიან მალე მან დიდი პოპულარობა მოიპოვა, თუმცა XVI და XVII საუკუნეებში ის ხელისუფლებამ რამდენჯერმე აკრძალა. ასევე რამდენიმეჯერ აიკრძალა თამბაქო, რომელიც თურქეთში 1601 წელს შეიტანეს.

თურქები დიდ პატივს მიაგებენ XIII საუკუნის პოეტსა და ფილოსოფოს **ჯალალედინ რუმს** (1207-1273), რომელსაც „ჩვენი მასწავლებლის“ სახელით მოიხსენიებენ. მან დააარსა სუფიური ორდენი „მევლევი“, რომლის მიმდევრები „მოცეკვავე დერვიშებად“ არიან ცნობილი (სუფიზმი – ისლამის მისტიური მიმდინარეობაა). თურქეთში საყოველთაო აღიარება აქვს მოპოვებული არქიტექტორ **კოჯა სინანს** (1451-1588 წლები). ის წარმოშობით ბერძენი იყო, გახდა სულთნის მთავარი არქიტექტორი. მისი პროექტებით აშენებულია დაახლოებით 300 არქიტექტურული ნაგებობა – მეჩეთები, სასახლეები, ქარვასლები, ბიბლიოთეკები, შადრევნები, აბანოები, ხიდები. სინანას შემოქმედების მწვერვალად ითვლება სტამბოლის შაჰზადეს და სულეიმანის და ედირნეს სელიმის მეჩეთები. მოგზაურმა, გეოგრაფმა და მწერალმა ევლია ჩელებიმ (1611-1682/3 წწ.) ათტომიანი „მოგზაურთა წიგნი“ შექმნა. მასში საყურადღებო მონაცემებია თავმოყრილი საქართველოსა და კავკასიის ხალხების შესახებ. თურქული ნაციონალური იდეის ყველაზე გამოკვეთილი წარმომადგენელი იყო ფილოსოფოსი და პოეტი **ზია ჰეკალპი** (1876-1924 წწ.). დღევანდელი თურქეთის სახელმწიფოს შემქმნელია გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე **მუსტაფა ქემალ ათათურქი** (1881-1938 წწ.). ნაციონალური გმირის, თურქეთის პირველი პრეზიდენტის – ათათურქის პორტრეტებით, ძეგლებით და გამონათქვამებითაა მოფენილი თურქეთის ტერიტორია. მწერლებს შორის ხშირად ასახელებენ პოეტ **ნაზიმ ჰიქმეთს** (1902-1963 წწ.).

2.68. ყირიმელი თათრები

ყირიმელი თათრების თვითსახელწოდებაა **კრიმ ტატლარ**. დღეისათვის განსახლებულნი არიან უკრაინაში (270 ათასი კაცი, ძირითადად ყირიმსა და ხერსონის ოლქში), რუსეთსა (21,3 ათასი კაცი) და უზბეკეთში (189 ათასი კაცი. ფერგანისა და ტაშკენტის ოლქებში). ყირიმელი თათრები ლაპარაკობენ ალთაურ ენათა ოჯახის თურქული ჯგუფის ყირიმულ-თათრულ ენაზე. ყირიმელი თათრების ენა ტიპოლოგიურად არაერთგვაროვანია. ის სამი დიალექტისაგან შედგება. უძველესი წერილობითი ძეგლი XIII საუკუნეს მიეკუთვნება. ძველი სალიტერატურო ენის რეფორმირება XIX საუკუნეში მოხდა შუა (მთის) დიალექტის საფუძველზე. ყირიმელი თათრები 1929 წლამდე არაბული ანბანით წერდნენ, შემდეგ – ლათინურით, 1938 წლიდან კი – რუსული ანბანით. 1992 წელს დაუბრუნდნენ ლათინურ ანბანს.

ყირიმელი თათრები სარწმუნოებით მუსლიმი-სუნიტები არიან. ისინი სამი ეთნოგრაფიული ჯგუფისაგან შედგებიან: სტეპის თათრების (ნოღაელი თათრები), მთისწინა თათრებისა (ტატი ანუ ტატლარი) და სამხრეთსანაპიროს თათრებისაგან. **ყირიმელი თათრები ძირითადად ჩამოყალიბდნენ ყირიმში მიგრირებული თურქულენოვანი მოსახლეობისა და აქ მცხოვრები ბინადარი ტავრების, კიმირიელების, ალანების და სხვათა შერევის შედეგად.** პირველად თურქულენოვანმა ჯგუფებმა ყირიმის ჩრდილოეთ ნაწილში VII საუკუნეში შემოაღწიეს (ხაზარები). XI-XII საუკუნეებში აქ პაჭანიკები მიგრირდნენ, XIII საუკუნის დასასრულს – მომთაბარე ნოღაელები. ყირიმის სამხრეთ სანაპირო სამხრეთიდან (საზღვაო გზით) იქნა თურქიზებული. **თურქულენოვან მიგრანტებს ყირიმში შეერწყნენ უფრო ადრე ან გვიან მოსული ბერძენ-ბიზანტიელები, სომხები, იტალიელ-გენუელები.** XIII-XV საუკუნეებში ყირიმის სამხრეთი სანაპირო ფაქტობრივად იტალიელთა (ჯერ ვენეციელების, შემდეგ გენუელების) მმართველობის ქვეშ იყო. ყირიმში IV ს-ში დასახლებულმა გუთებმა თავისთავადობა XVII საუკუნემდე შეინარჩუნეს. ნახევარკუნძულზე ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თურქ-ოსმალთა გავლენა. ყირიმის სახანო 1443 წელს წარმოიქმნა და 1475 წლიდან რუსეთთან შეერთებამდე (1783 წ.) ის ოსმალეთის იმპერიასთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ყირიმის სამხრეთი ნაწილი კი უშუალოდ შედიოდა მის შემადგენლობაში.

XVIII საუკუნის ბოლომდე ყირიმელი თათრები ნახევარკუნძულზე მოსახლეობის უმეტესობას შეადგენდნენ, მაგრამ რუსეთის კოლონიური პოლიტიკისა და ორი მიგრაციული ტალღის შედეგად (XVIII ს-ის 90-იანი წლები და 1850-1860 წწ.) ისინი უმცირესობაში აღმოჩნდნენ. 1897 წელს ყირიმელი თათრების რაოდენობა 186 ათასზე მეტი

იყო (მთელი მოსახლეობის 34,1%). 1921 წ. მათი რაოდენობა აქ 184,6 ათასი იყო (25,9%), 1939 წ. კი – 218,8 ათასი (19,4%).

რსფსრ-ის შემადგენლობაში ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა 1921 წელს შეიქმნა. 1944 წ. ყირიმელი თათრები (238,5 ათასი) ძალადობრივი პოლიტიკის შედეგად შუა აზიაში, ციმბირსა და შუა ვოლგისპირეთში გადაასახლეს. გადასახლებულთა 46% გზაში და ნაწილიც გადასახლებიდან რამდენიმე თვეში დაიღუპა. ყირიმელ თათრებს ყირიმში გადმოსახლების ნება 1960-იან წლებში დართეს, მაგრამ მათ დაბრუნებაში მაინც ხელს უშლიდნენ. ყირიმელი თათრების ყირიმში დაბრუნება მასობრივად XX საუკუნის 80-იან წლების ბოლოს დაიწყო. 1995 წლის ივნისის თვისთვის ყირიმში დაბრუნებული ყირიმელი თათრების რაოდენობას 270 ათასი იყო.

ყირიმის სტეპების ნაწილში XVIII საუკუნემდე შემონახული იყო მომთაბარე მეცხოველეობა. მოგვიანებით მისი მცხოვრებნი ბინადარ მიწათმოქმედებაზე გადავიდნენ. მთიან ნაწილსა და სამხრეთ სანაპიროზე ოდითგანვე გაბატონებული იყო მიწათმოქმედება, მევენახეობა, მებაღეობა; სანაპიროზე განვითარებული იყო მეთევზეობა.

2.69. გაგაუზები

გაგაუზები (თვითსახელწოდება) რამდენიმე ქვეყანაში ცხოვრობენ. ძირითადად განსახლებულნი არიან მოლდოვეთში (153,5 ათასი კაცი), აგრეთვე უკრაინაში (31,9 ათასი), რუსეთში (10 ათასი), ყაზახეთში, უზბეკეთში, ბელორუსიაში, ბულგარეთში (10 ათასი), რუმინეთში (3 ათასი), საბერძნეთში (3 ათასი), თურქეთში (5 ათასი). გაგაუზთა საერთო რაოდენობა 220 ათასი კაცია.

გაგაუზები დიდი ევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირულ რასას მიეკუთვნებიან. ზოგიერთ ჯგუფში მკვეთრად გამოიყოფა მონღოლოიდური ნიშნები. გაგაუზები ლაპარაკობენ გაგაუზურ ენაზე, რომელიც შედის ალთაურ ენათა ოჯახის თურქული ჯგუფის სამხრეთ-დასავლურ (ოღუზურ) ქვეჯგუფში. გამოყოფენ ცენტრალურსა და სამხრეთულ დიალექტებს. მათში გავრცელებულია აგრეთვე რუსული, მოლდოვური და ბულგარული ენები. დამწერლობა აქვთ რუსული ანბანის საფუძველზე. გაგაუზები მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან.

მოლდოვეთსა და უკრაინაში მცხოვრები გაგაუზები ბულგარეთიდან გადმოსახლებულთა შთამომავალნი არიან, რომლებიც XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთ-თურქეთის ომების დროს გამოიქცნენ. მეცნიერთა უმეტესი ნაწილი გაგაუზებს თურქულ ტომებს: ოღუზებს, პაჭანიკებს, ყივჩაყებს და სხვ.

მიაკუთვნებს, რომლებიც შუა საუკუნეებში შავიზღვისპირეთიდან ბალკანეთში მომთაბარეობდნენ. ისინი გადავიდნენ ბინადარ ცხოვრებაზე, მიიღეს მართლმადიდებლობა და სლავური კულტურის სხვა ნიშნები. სხვა მკვლევრები გაგაუზებს გათურქებულ ბულგარელებად მიიჩნევდნენ. თურქეთში პოპულარულია სელჯუკური თეორია, რომლის თანახმად გაგაუზები XIII საუკუნეში დობრუკაში თურქულენოვან კუმანებთან (ყივჩაყებთან) ერთად გადასახლებული მცირეაზიელი თურქების შთამომავალნი არიან. გაგაუზთა რუსეთში (ბესარაბიაში) გადასახლებამდე ისინი ორი ჯგუფისაგან შედგებოდნენ: **„ხასილ გაგაუზები“ (ნამდვილი გაგაუზები)** და **„ბულგარელი გაგაუზები„**. უფრო მეტად გაზიარებულია ის თეორია, რომლის თანახმადაც გაგაუზების საფუძველს თურქულენოვანი მომთაბარეები (ოღუზები, პაჭანიკები, ყივჩაყები) შეადგენდნენ. ევროპელ მკვლევრებს მათ წინაპრებად თურქულენოვანი პროტობულგარები მიაჩნიათ, რომლებიც VII საუკუნის 70-იან წლებში ბალკანეთში ვოლგისპირეთიდან მოვიდნენ. XIII საუკუნეში მათმა შთამომავლებმა ქრისტიანობა მიიღეს. ბესარაბიაში გადმოსახლებულ გაგაუზთა ნაწილი 1912-1914 წლებში ყაზახეთში გადასახლდა. კოლექტივიზაციის წლებში გაგაუზების ჯგუფი უზბეკეთში დასახლდა. აქ მოხდა მათი იდენტიფიკაცია ბულგარელებთან. 1994 წლის დეკემბერში მოლდოვეთში გაგაუზთა ავტონომია ჩამოყალიბდა.

გაგაუზებს მიეკუთვნება განსაკუთრებული ჯგუფი, ე.წ. ადრიანოპოლის გაგაუზები, რომლებიც ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ადრიანოპოლთან თხუთმეტამდე სოფელში ცხოვრობდნენ. ეთნონიმ „გაგაუზის“ გარდა, მათ ჰქონდათ აგრეთვე მეორე ეთნონიმი **– „სურგუჩი“,** რომელიც გვიან გაქრა. მათი ნაწილი (დაახლოებით 1,5-2 ათასი კაცი) 1913 წელს ბულგარეთის სამხრეთში გადასახლდა. ადრიანოპოლელი გაგაუზების – სურგუჩების სხვა დიდი ჯგუფი (დაახლოებით 7 ათასი კაცი) 1923 წელს ლოზანის ხელშეკრულების თანახმად საბერძნეთში გადაასახლეს.

მოლდოვეთიდან გადასახლებული გაგაუზები კითხვაზე ნაციონალური მიკუთვნილობის შესახებ, ხშირად თავს „ბულგარებს“ უწოდებენ და მხოლოდ შემდეგ აკონკრეტებენ: „გაგაუზი“.

გაგაუზების ტრადიციულ საქმიანობას წარმოადგენდა მეცხოველეობა (უპირატესობა ენიჭებოდა მეცხვარეობას) და მიწათმოქმედება (ხვნა-თესვა, მებოსტნეობა, მევენახეობა).

გაგაუზებში შემორჩენილია მგლის კულტი, რაც საშუალებას იძლევა ისინი ეთნოკულტურულად დავუკავშიროთ, ერთი მხრივ, ბალკანურ სამყაროს და, მეორე მხრივ, სტეპურ მომთაბარე ცივილიზაციებს.

2.70. თათრები

რუსეთის ევროპულ ნაწილში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსებს შორის **თათრები** თავისი სიმრავლით გამოირჩევიან. მათ რეოდენობას რუსეთში 5 მილ. 522 ათასი კაცით განსაზღვრავენ (თათრეთის რესპუბლიკაში – 1 მილ. 765 ათასი, ბაშკირეთში – 1 მილ. 120 ათასი...). თათრები ცხოვრობენ შუა აზიის ქვეყნებშიც, აგრეთვე აზერბაიჯანსა და უკრაინაში. მათი საერთო რაოდენობა 6 მილ. 710 ათასი კაცია. თათრები ანთროპოლოგიურად არაერთგვაროვანნი არიან. გვხვდებიან ევროპეიდები (მათ შორის, სამხრეთევროპეიდები) და ურალურ კომპონენტთან შერეული ევროპეიდულ-მონღოლოიდური ტიპები.

თათრებში სამ ძირითად ეთნო-ტერიტორიულ ჯგუფს გამოყოფენ: ვოლგა-ურალელ თათრებს, ციმბირელ თათრებსა და ასტრახანელ თათრებს. თათრული ენა, რომელიც თურქულ ენათა ჯგუფს ეკუთვნის, შესაბამისად, სამ დიალექტად იყოფა. ეს დიალექტებია: დასავლური, ანუ მიშარული, აღმოსავლური, ანუ ციმბირულ-თათრული და შუათათრული, ანუ ყაზანურ-თათრული. თავისებურ ენობრივ სპეციფიკას ინარჩუნებენ ყაზანელი თათრებიც. მათი, ანუ იურთული თათრების ენა წარმოიქმნა ნოღაური ენისა და ვოლგურ-ურალური თათრულის შერევის შედეგად. ყირიმელი თათრების ენა თათართა ყივჩაყურ დიალექტებს უახლოვდება, რომლებმაც XVI საუკუნისათვის შეწყვიტა არსებობა (ლიტველი თათრები ბელორუსულ ენაზე გადავიდნენ; XIX საუკუნის შუა ხანებში კი ინტელიგენციის ნაწილმა პოლონური და რუსული ენების გამოყენება დაიწყო). ლიტერატურული თათრული ენა ყაზანურ-თათრული დიალექტის საფუძველზე ჩამოყალიბდა, მაგრამ მასზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დასავლურმა (მიშარულმა) დიალექტმაც. XIX საუკუნის შუა ხანებამდე ფუნქციონირებდა ძველთათრული ანუ ვოლგისპირული თურქული ლიტერატურული ენა. ძველი თათრული ენის ყველაზე ძველი ლიტერატურული ძეგლი XIII საუკუნით თარიღდება. XIX საუკუნის II ნახევრიდან იწყება თანამედროვე ლიტერატურული თათრული ენის ფორმირება. 1905 წლიდან 1917 წლამდე პერიოდი თათართა ეროვნული აღორძინების ეპოქად ითვლება, როდესაც წიგნებისა და პერიოდული გამოცემების ბეჭდვა გაცხოველდა. ამ დროს მოქმედებდა თათრული ნაციონალური თეატრიც. თათრები 1927 წლამდე არაბული ანბანით წერდნენ. 1928 წლიდან 1939 წლამდე იყენებდნენ ლათინურ ანბანს, 1939 წლიდან დღემდე კი – რუსულ ანბანს.

თათრები მუსლიმი-სუნიტები არიან. მუსლიმი თათრების რელიგიური ცენტრი მდებარეობს ქალაქ უფაში (მუსლიმთა ევროპული სასულიერო მმართველობა 1789 წლიდან არსებობს). XVI-XVII საუკუ-

ნეებში **მონათლული თათრები (ე.წ. კრიაშენები) მართლმადიდებლები არიან.** მონღოლთა ოქროს ურდოს სახელმწიფოში არაერთი დაპყრობილი ტომი იყო, მათ შორის, თურქული ტომები, რომლებიც „თათრებად“ იწოდებოდნენ. XIII-XIV საუკუნეებში ოქროს ურდოში მიმდინარე რთული ეთნიკური პროცესების შედეგად რაოდენობრივად უფრო მრავალრიცხოვანმა ყივჩაყებმა დანარჩენი თურქულ-მონღოლური ტომების ასიმილაცია განაპირობეს, სამაგიეროდ კი შეითვისეს ეთნონიმი „თათარი“. თათრების ეთნოგენეზისში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თურქულენოვანმა ბულგარებმაც. თათრების ეთნიკურ ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ყაზანის სახანომ (1438-1552), რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. XV საუკუნის მეორე ნახევრიდან XVIII საუკუნის ჩათვლით ვოლგა-ურალის რეგიონში მიმდინარეობდა სხვადასხვა ჯგუფის თათრული ტომების მიგრაცია და ეთნიკური კონსოლიდაცია.

თანამედროვე თათრებისათვის ეთნონიმი „თათარი“ შედარებით გვიან წარმოქმნილი ეთნონიმია. წარსულში თათართა ყველა ეთნოტერიტორიულ ჯგუფს ლოკალური სახელწოდებები ჰქონდა. მაგალითად, ვოლგელ თათართა სხვადასხვა ჯგუფების ეთნონიმები იყო: **მესელმანი, ყაზანლი, ბოლგარი, მიშერი, ტიფტერი, კერეშენი, ნაგაიბეკი, კეჩიმი...** ასტრახანელებისა **– ნუგაი, ყარაგაში, იურთ თათლარი... ციმბირელებისა – სებერ თათლარი, ბარაბა, ბოჰარლი...** ლიტველი თათრებისა – **მესლიმი, ლიტვა (ლიფკა), თათარლარი.** ეთნონიმი „თათარი“ პირველად VI-IX საუკუნეებში მონღოლურ და თურქულ ტომებს შორის გაჩნდა. **თანამედროვე თათრებისათვის „თათარი“, როგორც საერთო ეთნონიმი, XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდა.** XIII საუკუნეში ოქროს ურდოს შემქმნელი მონღოლების შემადგენლობაში გამოიყოფოდა მათ მიერ დამორჩილებული ტომები, რომლებსაც თათრები ეწოდებოდათ. XIII-XIV საუკუნეებში ოქროს ურდოში მიმდინარე რთული ეთნიკური პროცესების შედეგად, ამ სახელმწიფოს ყველაზე მრავალრიცხოვანმა ყივჩაყებმა ასიმილირება მოახდინეს ყველა თურქულ-მონღოლური ტომისა, მაგრამ მათ შეითვისეს ეთნონიმი „თათარი“. ევროპელი ხალხები, რუსები და აზიის ზოგიერთი ხალხი ოქროს ურდოს მოსახლეობას თათრებს უწოდებდნენ. ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ, სხვადასხვა თათრულ სახანოში თათრებად თავდაპირველად მხოლოდ ზედა ფენა, სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი და ჩინოვნიკები იწოდებოდნენ. სწორედ მათ ითამაშეს დიდი როლი ეთნონიმ „თათრის“ გავრცელებაში. სახანოების დაშლის შემდეგ ტერმინი უბრალო ხალხზეც გავრცელდა. თუმცა ჯერ კიდევ XVI ს-ში

ვოლგელ და ურალელ თათართა შორის მას დამამცირებელი მნიშვნელობა ჰქონდა. XIX ს-ის II ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში ეროვნული თვითშეგნების ამაღლების გამო, ინტელიგენციამ უარი თქვა ლოკალურ თვითსახელწოდებებზე და შეირჩა ყველაზე უფრო გავრცელებული და გამაერთიანებელი ეთნონიმი – თათარი.

1920 წელს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა თათრეთის ასსრ, რომელიც 1991 წელს თათრეთის რესპუბლიკად გარდაიქმნა.

XVI საუკუნის II ნახევრიდან თათართა შორის, განსაკუთრებით ვოლგელ თათრებში, მასშტაბური მიგრაციული პროცესები მიმდინარეობდა. მათი გადასახლება ძირითადად აღმოსავლეთით მიიმართებოდა (ურალისპირეთი, ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი ყაზახეთი, დასავლეთ ციმბირი, შუა აზია). თათართა მეორე მიგრაციული მიმართულება რუსეთის ევროპული ნაწილის სამრეწველო რაიონები და კავკასია იყო.

ვოლგელ და ურალელ თათართა მეურნეობის ტრადიციული დარგი იყო სახვნელი მიწათმოქმედება. მოყავდათ შვრია, ჭვავი, ბარდა, ოსპი, ფეტვი, ასლი. ვოლგისპირელ თათრებში მეცხოველეობა მიწათმოქმედებისადმი იყო დაქვემდებარებული. ჰყავდათ როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონელი. საკვებად გამოიყენებდნენ ცხენის ხორცს. თათარი-კრიაშენები აშენებდნენ ღორს. ასტრახანელ თათრებში მეცხოველეობა თავისი მნიშვნელობით მიწათმოქმედებას არ ჩამოუვარდებოდა. თათრებისათვის დამახასიათებელი იყო ცხენისადმი დიდი სიყვარული. მისდევდნენ მეფრინველეობასაც. განვითარებული იყო სხვადასხვა სახის შინამრეწველობა და ხელოსნობა, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ტყავის დამუშავებით.

თათრები ოდითგანვე მისდევდნენ ვაჭრობას. XVIII საუკუნეში შუა აზიასა და ყაზახეთში თათარი ვაჭრები მოწინავეობდნენ.

თათართა სოფლები ძირითადად მდინარეთა გასწვრივ იყო განლაგებული. კარ-მიდამო ორ – წინა და უკანა ნაწილებად იყოფოდა. ჩვეულებრივ, უკანა ნაწილში ბოსტანი და კალო ჰქონდათ. თათართა ძირითადი სამშენებლო მასალა იყო ხე, თუმცა ჰქონდათ თიხის, აგურისა და ქვისაგან აგებული ნაგებობებიც.

XX საუკუნის დასაწყისში თათრები ძირითადად პატარა ოჯახებად ცხოვრობდნენ, თუმცა მივარდნილ ტყიან რაიონებში სამ-ოთხთაობიანი დიდი ოჯახებიც არსებობდა. ოჯახი ეფუძნებოდა პატრიარქალურ ურთიერთობებს. საქორწინო წეს-ჩვეულებებიდან აღსანიშნავია ურვადი. ქორწილი პატარძლის სახლში იმართეობდა და მას ნეფე-პატარძალი არ ესწრებოდა. ქალი მამის სახლში ურვადის გამოსყიდვამდე რჩებოდა. მას ქმარი კვირაში ერთხელ – ხუთშაბათობით სტუ-

მრობდა. ქმრის სახლში ცოლის გადასვლა ხშირად ბავშვის დაბადებამდე ჭიანურდებოდა.

თათრები მუსლიმები არიან, მაგრამ შემორჩენილი იყო ხალხური დღესასწაულებიც. დღესასწაულების კულმინაციას სირბილში შეჯიბრი, ხტომა, ჭიდაობა და დოღი წარმოადგენდა.

2.71. ჩუვაშები

ჩუვაშები (თვითსახელწოდება **ჩავაშ**) რუსეთის ევროპულ ნაწილში მცხოვრები ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი თურქულენოვანი ხალხია. მათი საერთო რაოდენობა 1 მილ. 773 ათასია, მათ შორის, ჩუვაშეთში – 907 ათასი, თათრეთსა და ბაშკირეთში, შესაბამისად, 132 ათასი და 118 ათასი ჩუვაში მკვიდრობს. ჩუვაშური ენა ორ დიალექტს შეიცავს. ჩუვაშური ენის ლექსიკაში მნიშვნელოვანია აგრეთვე სხვა თურქული ენების, მონღოლური, ფინურ-უგორული, ირანული, არაბული, რუსული ენის პლასტები. შესაბამისად **ჩუვაშები რამდენიმე ეთნოგრაფიულ ჯგუფად იყოფიან. ქვემო ჩუვაშებში ძირითადად ბულგარული კომპონენტია შენარჩუნებული,** ხოლო ზემო ჩუვაშეთში – უფრო ფინურ-უგორული (ძირითადად მარიული) ელემენტი ჭარბობს. ჩუვაშური დამწერლობა შექმნილია რუსული ანბანის საფუძველზე.

ანთროპოლოგიურად არაერთგვაროვანნი არიან. გვხვდებიან ევროპეიდები და ურალური კომპონენტით შერეული ევროპეიდულ-მონღოლოიდური ტიპები.

ჩუვაშები ძირითადად ქრისტიანი მართლმადიდებლები არიან. ქრისტიანობა აქ XVIII საუკუნის შუა ხანებში გავრცელდა. ზოგიერთ სოფელში წარმართ ჩუვაშთა ჯგუფებიც გვხვდება. ჩუვაშეთის საზღვრებს გარეთ მცხოვრებმა ჩუვაშებმა ისლამი მიიღეს და გათათრდნენ. **ჩუვაშების ეთნოგენეზში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს VII-VIII საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიისა და აზოვისპირა სტეპებიდან გადმოსახლებულმა თურქულენოვანმა ბულგარებმა, რომლებსაც ადგილობრივი ფინურ-უგრული მოდგმის ხალხი შეერია.** ფინურ-უგორული და თურქული ტომების კონსოლიდაციაში მნიშვნელოვანი როლი X საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებულმა ბულგარულმა სახელმწიფომ ითამაშა. 1236-1238 წლებში ეს სახელმწიფო თათრებმა გაანადგურეს. მას შემდეგ ის ოქროს ურდოს შემადგენლობაში შევიდა, მოგვიანებით – ყაზანის სახანოს შემადგენლობაში. ჩუვაშები რუსულ წყაროებში პირველად 1508 წელს იხსენიებიან. 1551 წელს ისინი რუსეთის შემადგენლობაში შევიდნენ.

ჩუვაშების ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. მოჰყავდათ შვრია, ჭვავი, ქერი; იშვიათად თესავდნენ ხორბალს, წიწიბურას და ბარდას. განვითარებული იყო მესვიეობა. მეცხოველეობას მხოლოდ დამხმარე ხასიათი ჰქონდა. ძველთაგანვე მისდევდნენ მეფუტკრეობას. ხელოსნობის დარგებიდან აღსანიშნავია ხეზე კვეთა, მეთუნეობა და ქარგვა.

ჩუვაშებს შორის სასოფლო თემი 1920-იან წლებამდე იყო შემორჩენილი. ეს თემი ორი ფორმის იყო: ა) უბრალო, რომელიც ერთი სოფლის მცხოვრებთ აერთიანებდა; ბ) რთული – მასში რამდენიმე დასახლებული პუნქტის გლეხობა იყო გაერთიანებული. ისინი მიწის საერთო ნადელს ფლობდნენ. არსებობდა ჩუვაშურ-რუსული და ჩუვაშურ-რუსულ-თათრული თემებიც. შემორჩენილი იყო სანათესაო და სამეზობლო ურთიერთდახმარება. ჩუვაშებში ადრე გავრცელებული იყო მრავალცოლიანობა, მაგრამ ქრისტიანობის მიღების შემდეგ ის თანდათანობით გაქრა. დიდი გაუყოფელი ოჯახები XVIII საუკუნეში უკვე იშვიათობას წარმოადგენდა. ქალიშვილი მშობლებისაგან ისევე იღებდა მემკვიდრეობას, როგორც ვაჟი. პირველ საქორწინო დამეს ახალდაქორწინებულები საკუჭნაოში, ანდა სხვა არასაცხოვრებელ ნაგებობაში ატარებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩუვაშები მართლმადიდებლები არიან, მათში შემორჩენილია წარმართობის ელემენტები.

ჩუვაშური დამწერლობა პირველად XVIII საუკუნეში შეიქმნა რუსული გრაფიკის საფუძველზე. პირველი წიგნი 1769 წელს დაიბეჭდა; ეს იყო ჩუვაშური ენის გრამატიკა.

ჩუვაშია სსრკ-ის რიგით მესამე კოსმონავტი **ანდრიან ნიკოლაევი**, რომელიც ავიაციის გენერალ-მაიორი გახდა.

2.72. ბაშკირები

ბაშკირების თვითსახელწოდებაა **ბაშკორტ**. რუსეთში მათი საერთო რაოდენობა 1 მილ. 345 ათასი კაცია (მათ შორის, ბაშკირეთში 863 ათასი). გარდა რუსეთის ფედერაციისა, ბაშკირები მკვიდრობენ აგრეთვე ყაზახეთში, უზბეკეთში და შუა აზიის სხვა ქვეყნებში. ბაშკირების საერთო რაოდენობას 1 მილ. 450 ათასზე მეტ კაცს ანგარიშობენ. ბაშკირები ანთროპოლოგიურად არაერთგვაროვანნი (შერეული ევროპეიდულ-მონღოლოიდური ტიპები) არიან. ისინი ლაპარაკობენ ალთაურ ენათა ოჯახის თურქული ჯგუფის ბაშკირულ ენაზე. სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა მხოლოდ 1917 წლის შემდეგ ბაშკირული ენის ორივე დიალექტის საფუძველზე. 1939 წლიდან ბაშკირებს აქვთ დამწერლობა რუსული გრაფიკის საფუძველზე. მათ

შორის გავრცელებულია თათრული ენაც. ბაშკირები მუსლიმი-სუნიტები არიან; ისლამი მათ XIV საუკუნეში მიიღეს, როდესაც ოქროს ურდოს მიერ იყვნენ დაპყრობილები. ამ დროს ბაშკირებს შეერია ზოგიერთი ბულგარული, ყივჩაყური და მონღოლური ტომი. ბაშკირების ფორმირებაში გადამწყვეტი როლი სამხრეთციმბირულმა და ცენტრალურაზიური წარმომავლობის თურქულმა ტომებმა ითამაშეს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არალისპირეთში და სირდარიის სტეპებში მომთაბარეობდნენ და რომლებსაც კონტაქტი ჰქონდათ პაჭანიკურ-ოღუზურ და ყივჩაყურ ტომებთან. ამ რეგიონში ისინი IX საუკუნის საისტორიო წყაროებში არიან დაფიქსირებული. IX საუკუნის ბოლოსა და X საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდნენ სამხრეთ ურალსა და მის მიმდებარე სტეპებსა და ტყე-ველების სივრცეებში. **ეთნონიმს „ბაშკირი“ საფუძვლად უდევს IX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი მხედართმთავრის სახელი, რომლის მეთაურობითაც ბაშკირები ერთიან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში გაერთიანდნენ და ბაშკირების განსახლების თანამედროვე ტერიტორია დაიკავეს.**

ბაშკირთა წინაპრებმა ჯერ კიდევ მათი თანამედროვე განსახლების არეალში – მდინარე კამის შენაკად ბელაიას აუზში – დასახლებამდე თუნგუს-მანჯურიელთა და მონღოლთა მნიშვნელოვანი გავლენა განიცადეს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ანთროპოლოგიურ ტიპსა და გვაროვნულ-ტომობრივ ნომენკლატურაში აისახა. დღევანდელი განსახლების არეალიდან ბაშკირთა წინაპრებმა ფინურ-უგორული და ირანული (სარმატულ-ალანური) ტომები შეავიწროვეს და ნაწილობრივ მათი ასიმილაციაც მოახდინეს.

მონღოლ-თათართა შემოსევების დროს, XIII საუკუნის ბოლოს დამთავრდა ბაშკირთა ეთნიკური იერ-სახის ფორმირება. X საუკუნის შუა ხანებიდან ბაშკირთა შორის ისლამმა დაიწყო გავრცელება, რომელიც XIV საუკუნეში გაბატონებულ რელიგიად იქცა. ისლამთან ერთად ბაშკირებში არაბულმა დამწერლობამაც მოიკიდა ფეხი.

ყაზანის დაცემის შემდეგ (1552 წ.) ბაშკირები რუსეთის ქვეშევრდომები გახდნენ. **XVII საუკუნესა და, განსაკუთრებით, XVIII საუკუნეში ბაშკირები არაერთხელ აუჯანყდნენ ცარიზმს.** 1773-1775 წლებში რუსეთის სახელმწიფომ ბაშკირთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გატეხა.

ბაშკირთა რაოდენობა პირველი მსოფლიო ომის, სამოქალაქო ომისა და 1921-1922 წლების შიმშილობის შედეგად თითქმის განახევრდა. მათი შემცირება ნაწილობრივ თათართა მიერ ასიმილაციამაც გამოიწვია. რევოლუციამდელ რაოდენობას ბაშკირებმა მხოლოდ 1989 წელს მიაღწიეს.

ბაშკირთა ტრადიციული სამეურნეო დარგი ნახევრად მომთაბარე მესაქონლეობა იყო. ძირითადად აშენებდნენ ცხენებს, ცხვარს და მსხვილფეხა რქოსან საქონელს. სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში აქლემებიც ბევრი ჰყავდათ. საქონელთან ერთად მოსახლეობაც მომთაბარეობდა. ისინი სეზონის განმავლობაში განსახლების ადგილს – იორტს რამდენჯერმე იცვლიდნენ. მისდევდნენ აგრეთვე ნადირობასა და მეთევზეობას. მიწათმოქმედებაზე გადასვლა ძირითადად XVII საუკუნიდან დაიწყეს. მომთაბარეობამ თავისი პოზიციები ბაშკირეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთში XX საუკუნის დასაწყისამდე შეინარჩუნა.

ბაშკირებში გვიან პერიოდამდე იყო შემორჩენილი პატრიარქალურ-გვაროვნული ყოფის გადმონაშთები. **ამ თურქულენოვან ხალხში დაახლოებით 40 სატომო ერთეულს ითვლიდნენ**. თითოეული ტომი რამდენიმე გვარს მოიცავდა, რომლებშიც, ისლამის მყარად გავრცელების მიუხედავად, შემორჩენილი იყო ეკზოგამია, ურთიერთდახმარება. ბაშკირებში უმეტეს შემთხვევაში დიდი ოჯახები არსებობდა. მდიდრებს შორის მრავალცოლიანობაც გვხვდებოდა. საქორწინო ურთიერთობებში შემორჩენილი იყო ლევირატის წეს-ჩვეულება, მცირეწლოვანი ბავშვების დანიშვნა.

დასახლების ტრადიციული ფორმა – აული მდინარეთა და ტბების ირგვლივ იყო განლაგებული. **მომთაბარე ცხოვრების წესის გამო, ყოველ აულს რამდენიმე დასახლება ჰქონდა: ზამთრის, გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომის.** მოგვიანებით მუდმივი ბინადრობის ადგილები საზამთრო განსახლების ადგილებში წარმოიქმნა.

ბაშკირთა ტრადიციული საცხოვრებელი იყო ქეჩის იურტა.

ძირითად ხალხურ დღესასწაულებს გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდებში აღნიშნავდნენ. დღესასწაულების დროს იცოდნენ სპორტული შეჯიბრებების მოწყობა (დოდი, სირბილი, მშვილდ-ისრით სროლა). შემორჩენილი იყო ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების ელემენტები.

2.73. ყალმუხები

ყალმუხების თვითსახელწოდებაა **ხალმგ**. რუსები მათ **კალმიკებს** უწოდებენ. რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში ეს ეთნონიმი XVI საუკუნის ბოლოს გაჩნდა. ცხოვრობენ რუსეთის სახელმწიფოს ყალმუხეთის რესპუბლიკასა და, ნაწილობრივ, ასტრახანის, როსტოვის ოლქებსა და სტავროპოლის მხარეში. ყალმუხების (რუს. კალმიკების) საერთო რაოდენობა 177 ათასია. ყალმუხური ერთ-ერთი მონღოლური ენაა. 1925 წლიდან დამწერლობა აქვთ რუსული ანბანის სა-

ფუძველზე. ანთროპოლოგიურად ყალმუხები ჩრდილოელ მონღოლოიდებს მიეკუთვნებიან.

XII საუკუნეში ყალმუხების წინაპრები – დასავლეთ მონღოლები ბაიკალისპირეთსა და მდინარე ენისეის ზემო წელში იყვნენ ლოკალიზებულნი. XIII საუკუნეში ისინი დასავლეთ მონღოლეთსა და მის მიმდებარე ალტაის ზოგიერთ რაიონსა და შუა აზიაში გადაადგილდნენ. XV–XVI საუკუნეებში ყალმუხების წინაპრებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უხდებოდათ აღმოსავლეთ მონღოლებთან, ჩინეთთან და შუა აზიის თურქულ სახანოებთან. ყალმუხები ვოლგისპირეთში აღმოსავლეთიდან მოვიდნენ XVII საუკუნის შუა ხანებში. ყალმუხთა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი – ყალმუხეთის სახანო 1664 წლიდან 1771 წლამდე არსებობდა. 1771 წელს რუსეთის ხელისუფლებით უკმაყოფილო დაახლოებით, 125 ათასმა ყალმუხმა ვოლგისპირეთი დატოვა და ჯუნგარიაში გადასახლდა, რომელთა დიდი ნაწილიც გზაში დაიღუპა. ამის შემდეგ ცარიზმმა ყალმუხეთის სახანო გააუქმა და მათი განსახლების ტერიტორია ასტრახანის გუბერნიას დაუქვემდებარა. 1917 წლის რევოლუციამ და სამოქალაქო ომმა ყალმუხები ორ მტრულ ბანაკად გაყო. ერთმა ნაწილმა რევოლუცია და ახალი წყობა მიიღო, მეორე ნაწილი თეთრგვარდიელთა შორის იბრძოდა. 1943 წელს ყალმუხები იძულებით იყვნენ დეპორტირებულები ციმბირსა და შუა აზიაში. ამ დროს ყალმუხების 1/3 დაიღუპა. 1957-1958 წლებში ყალმუხები უკან დააბრუნეს. დღეს ყალმუხეთი რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი რესპუბლიკაა.

მათი ტრადიციული საქმიანობა იყო მომთაბარე მეცხოველეობა. XIX საუკუნის II ნახევარში ისინი ბინადარ მიწათმოქმედებაზე გადავიდნენ. ყალმუხთა ტრადიციულ დასახლებას წრიული ფორმა ჰქონდა. თავდაცვის თვალსაზრისით ასეთი დასახლება მომთაბარე ცხოვრების პირობებში ყველაზე ხელსაყრელი იყო. წრის შუაგულში ღამით საქონელს აბინავებდნენ. აქვე ინახავდნენ ქონებას და ატარებდნენ საერთო კრებებს.

ყალმუხები ძირითადად ხორცით, რძითა და რძის პროდუქტებით იკვებებოდნენ. ცხვრისა და საქონლის ხორცთან ერთად ჭამდნენ ცხენის, აქლემის, ღორის ხორცსაც.

რუსეთში დასახლებისას – XVII საუკუნეში ყალმუხების ოჯახი ძირითადად დიდ პატრონომიულ ერთეულს წარმოადგენდა. ისინი დიდ, საშუალო და მცირე ეთნოტერიტორიულ ერთეულებად იყოფოდნენ. ყველაზე დიდი ულუსის სახელს ატარებდა. ყოველი ულუსი რამდენიმე აიმაკისაგან შედგებოდა, ხოლო აიმაკები ხოტონებად იყოფოდნენ. ქალიშვილებს ხოტონის ფარგლებს გარეთ ათხო-

ვებდნენ. ქორწინება უპირატესად აიმაკის ფარგლებში ხდებოდა. ახალდაქორწინებულებს ცალკე კიბიტკას უმზადებდნენ.

ყალმუხები ძირითადად ბუდისტები არიან; გვხვდებიან მართლმადიდებლებიც. ბუდიზმი ყალმუხების წინაპრებმა ჯერ კიდევ XIII საუკუნეში მიიღეს. XVI საუკუნეში ამ რელიგიის ერთ-ერთი მიმართულება – ლამაიზმი ყალმუხების ნაციონალურ რელიგიად იქცა. 1917 წლისათვის ყალმუხეთში 92 ხურული (ტაძარი) და სამი სასულიერო აკადემია მოქმედებდა.

2.74. ევროპელი ებრაელები

ებრაელების თვითსახელწოდება ივრითზე არის **იეგუდიმ,** იდიშზე – **იიდ აიიდ**. ებრაელთა ძველი თვითსახელწოდება იყო **იისრაელ, ბენი-იისრაელ**. დღეისათვის მსოფლიოში ებრაელთა რაოდენობა 13 მილიონ 620 ათასით განისაზღვრება: აშშ-ში (5,835 მილიონი), ისრაელში (4 მილიონზე მეტი), საფრანგეთში (535 ათასი), რუსეთში (551 ათასი), უკრაინაში (487 ათასი), დიდ ბრიტანეთში (300 ათასი), არგენტინაში (228 ათასი), კანადაში (325 ათასი), ბრაზილიაში (150 ათასი), სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში (120 ათასი), ბელორუსიაში (112 ათასი). რამდენიმე ათეული ათასი ებრაელი ცხოვრობს აგრეთვე: უნგრეთში, ბელგიაში, იტალიაში, ნიდერლანდებში, გერმანიაში, მოლდოვეთში, ირანში, მექსიკაში, ავსტრალიაში, შვეიცარიაში, რუმინეთში, ინდოეთში, თურქეთში, ურუგვაიში, ჩილეში. უფრო მცირე ჯგუფები სხვა ქვეყნებშიც ცხოვრობენ. **მეორე მსოფლიო ომის წინ ებრაელთა 90% აშქენაზების ჯგუფს მიეკუთვნებოდა** (აშქენაზი, ძველებრაული „აშქინაზ“ – გერმანია). **სეფარიდები არიან შუა საუკუნეების ესპანეთში მცხოვრებ ებრაელთა შთამომავალნი.** ისინი ცხოვრობდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მახლობელ აღმოსავლეთში, მაროკოში, მცირე რაოდენობით დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში. გამოიყოფიან აგრეთვე **არაბულენოვანი ებრაელები** (მახლობელ აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში), **სპარსეთის ებრაელები, შუა აზიელი ებრაელები, ქართველი ებრაელები, კრიმჩაკები, ქურთისტანის ებრაელები (ლახლუხები), იტალიელი ებრაელები** და სხვ. ებრაელთა ზოგიერთი პერიფერიული ჯგუფები (**დრავიდულენოვანი ებრაელები, მაატხაენოვანი ბენისრაელები...)** მკვეთრად განსხვავდებიან ებრაელთა ძირითადი მასისაგან და მათი ებრაული წარმოშობა ზოგჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ზოგიერთ ქვეყანაში შემორჩენილია ებრაელთა შთამომავლების ჯგუფები, რომლებიც სხვა რელიგიაზე არიან მოქცეულები (**„ახალი ქრისტიანები“ – პორტუგალიაში, „შუეტასი“ – ბალეარის კუნძულებზე, „დუადიდები“ – ირანში...).**

ებრაელთა საერთო ენად ითვლება ივრითი (ანუ ძველებრაული). ის აფროაზიურ ენათა ოჯახის სემიტურ განშტოებაში შედის. მასზე დაწერილია ბიბლია. ძველი ისრაელის სალაპარაკო ენად მას ებრაელები ახ.წ. I საუკუნემდე იყენებდნენ. **ივრითი არამეული ენით ძვ.წ. V-IV სს-ში შეიცვალა.** უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ივრითი გადაიქცა ისრაელელების სალაპარაკო ენად. ებრაელთა დიასპორებში ძირითადად გავრცელებულია იდიში (აშკენაზების ენა), სხვაგან – ჟუდეზმი, ანუ ჟუდეოსპანოლი (ისრაელი, თურქეთი, ბულგარეთი, მაროკო).

ებრაელები სარწმუნოებით იუდეველები არიან. *იუდეველებში ეთნიკური და რელიგიური თვითშეგნება ერთმანეთთანაა შერწყმული.* ტრადიციული შეხედულებით ებრაელთა სხვა რელიგიაზე გადასვლა სხვა ეთნოსისადმი მიკუთვნებულობას უთანაბრდება, ხოლო ის ხალხები, რომლებიც იუდაიზმს მიიღებდნენ, ებრაელებად ითვლებოდნენ.

ძველებრაული ეთნოსი ძვ.წ. II ათასწლეულის განმავლობაში ქანაანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა (თანამედროვე ისრაელი) სემიტურენოვანი მომთაბარე-მესაქონლეებისა და ქანაანის ოაზისის მიწათმოქმედთა ინტეგრაციის შედეგად. ძვ.წ. II და I ათასწლეულების მიჯნაზე წარმოიქმნა პირველი ძველებრაული სამეფო. ამავე დროს ჩამოყალიბდა ებრაელთა მონოთეისტური რელიგია – ქურუმთა იუდაიზმი.

ებრაელები ევროპაში პალესტინიდან მოსულთა შთამომავალნი არიან. ამ დროს ისინი თითქმის მთელ მსოფლიოში განსახლდნენ. დღეისათვის ებრაელები თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის მოსახლეობის ნაწილს შეადგენენ. ფაშისტთა მიერ ებრაელთა მასობრივი გაუჯლეტის შემდეგ მათი რაოდენობა ორჯერ შემცირდა. ევროპის ქვეყნების ებრაული მოსახლეობის ნაწილი ისრაელში გადასახლდა. ევროპაში ებრაელებმა იმ ხალხების ენების შეთვისება დაიწყეს, რომელთა შორისაც დასახლდნენ. ესპანეთში სეფარიდელ ებრაელთა (სეფარად – ძველებრაულად "დასავლეთის ქვეყანა", ესპანეთი) ენად რეკონკისტის შემდეგ იქცა ესპანური ენის კასტილიური მეტყველება, საფრანგეთის სამხრეთში – პროვანსალური მეტყველება, საფრანგეთის ჩრდილოეთში – ძველფრანგული ენა და ა.შ., მაგრამ რა ენაზედაც არ უნდა ელაპარაკათ ებრაელებს, დამწერლობის ენად ძველებრაულს ინარჩუნებდნენ.

ევროპაში ებრაელთა პირველი კოლონიები ძვ.წ. II-I სს-ში წარმოიქმნა იტალიაში. პალესტინაში ტიტუს ფლავიუსისა (70-71 წწ.) და იმპერატორ ადრიანეს მიერ (134 წ.) აჯანყებების ჩახშობის შემდეგ ეს კოლონიები მნიშვნელოვნად გაიზარდა და ებრაელმა გადასახლებულებმა შეაღწიეს გალიაში, გერმანიასა და ესპანეთში. ებრაული კოლონიების მაცხოვრებელნი ძირითადად ხელოსნობასა და ვაჭრობაში

იყვნენ დასაქმებულნი. რომის იმპერიის დაცემამ და ევროპის ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებში კათოლიკობის გავრცელებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ევროპელ ებრაელთა მდგომარეობაზე. ერთიანი რომის იმპერიის მოქალაქეებიდან ისინი სხვადასხვა სახელმწიფოების მოქალაქეებად გადაიქცნენ, რაც მათ ერთმანეთთან ურთიერთობას ხელს უშლიდა. სხვა სარწმუნოების ადამიანების მიმართ კათოლიკური ეკლესიის შეუწყნარებლობამ და სახელმწიფო პოლიტიკამ ებრაელთა მიმართ ისინი ყველა ქვეყანაში ცალკე ჯგუფად აქცია, რომლებშიც ძალიან დიდხანს შემოინახა ძველი წეს-ჩვეულებები.

ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობა სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში სხვადასხვაგვარი იყო, მაგრამ XI საუკუნის დასასრულიდან ის ყველგან მკვეთრად – უარესობისკენ შეიცვალა. ბაზრისათვის ბრძოლა ხელოსნებსა და ვაჭრებს შორის რელიგიურ მტრობაში გადაიზარდა. კათოლიკე სამღვდელოებისა და მათი მრევლის თვალში ებრაელები ისეთივე "ურჯულონი" იყვნენ, როგორც არაბები და თურქები, რაც ებრაელთა საშინელი დარბევებით გამოვლინდა. ეს მოვლენები XI საუკუნის ბოლოს დაიწყო. **1215 წელს მეოთხე ლატერანიის კრებამ ებრაელებისათვის სხვა დამამცირებელ შეზღუდვებთან ერთად ტანსაცმელზე განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშანი შემოიღო, რომლითაც ქრისტიანულ მოსახლეობასთან ურთიერთობა ეკრძალებოდათ.** XIII-XIV ს-ში ებრაელები გააძევეს დასავლეთ ევროპის რიგი ქვეყნებიდან და მათი ძირითადი მასა გერმანიისა და აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაკენ გაემართა.

ფეოდალიზმის დროს ებრაელთა სოციალური წყობა ასეთი იყო: **ისინი უპირატესად სახლდებოდნენ ქალაქების განსაკუთრებულ კვარტლებში (გეტო).** თავდაპირველად დასახლების ამ პრინციპს ებრაელები ყველაზე მოხერხებულად თვლიდნენ, შემდეგ კი ევროპულ სახელმწიფოთა საეკლესიო და სამოქალაქო დადგენილებებით ებრაული კვარტლების იზოლაცია დაკანონდა. გეტოს შიგნით ყოველი ებრაელი, როგორც თემის წევრი, სრულუფლებიან მოქალაქედ ითვლებოდა. თემის სასულიერო საქმეებს რაბინთა კოლეგია განაგებდა, რომელიც რაბინებისა და დაიანებისაგან (მოსამართლეებისაგან) შედგებოდა. თემის ამ სასამართლოს გადაწყვეტილებებს ცნობდა სახელმწიფო ხელისუფლებაც. ბენდიტას (სასამართლოს) ხელში ძლიერი იარაღი იყო ხარემი – თემიდან მოკვეთა განსაზღვრული დროით ან სამუდამოდ. თემის ჩაკეტილი ცხოვრების პირობებში განსაკუთრებულ როლს საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფაში ებრაელთა რელიგია – იუდაიზმი თამაშობდა. **იუდაიზმის საფუძველს წარმოად-**

გენს ცისა და მიწის შემქმნელი ერთი ღმერთის აღიარება და რწმენა იმისა, რომ ღმერთმა ხალხებს შორის ებრაელები გამოარჩია.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მცხოვრები ებრაელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ემიგრაციას, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაძლიერდა. ებრაელები მიემგზავრებოდნენ ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიასა და, განსაკუთრებით, ამერიკაში, ე.ი. იმ ქვეყნებში, რომელთა კანონმდებლობა მათ უკეთეს პირობებს უქმნიდა. მეორე მსოფლიო ომმა ებრაელ ხალხს დიდი უბედურება მოუტანა. მიახლოებითი გამოანგარიშებით ფაშისტებმა 6-7 მილიონი ევროპელი ებრაელი გამოასალმეს სიცოცხლეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაძლიერდა ებრაელთა მიგრაცია ევროპის ქვეყნებიდან პალესტინაში, რომელიც უფრო ადრე, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო.

ევროპელ ებრაელთა უმეტესობამ ყოფაში ნაციონალური თავისებურებანი უკვე დაკარგა. მათ მიიღეს იმ ხალხების კულტურა, რომელთა შორისაც ცხოვრობდნენ. ერთადერთი, რაც მათ განასხვავებს ირგვლივ მყოფი მოსახლეობისაგან, ესაა რელიგია და აქედან გამომდინარე ზოგიერთი აკრძალვა. ეს განსაკუთრებით კვებას ეხება. ებრაელებს ეკრძალებათ ღორისა და კურდღლის ხორცის ჭამა. საკვებად თევზის ხმარება არ შეიძლება ქერცლის გარეშე. ცხოველის დაკვლის შემდეგ ხორცი აუცილებლად უნდა დაიცალოს სისხლისაგან, რადგან ებრაელებს სწამთ, რომ ცხოველის სისხლი მისი სულია. არ შეიძლება ხორციანი კერძი რძიან კერძს ეხებოდეს. არსებობს საწესჩვეულებო საჭმელი, მაგალითად მაცა.

ებრაელთა ყოფაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, შემორჩენილია ლევირატის წეს-ჩვეულება (უშვილო ქვრივი ქალის მაზლზე გათხოვება).

ებრაელებში დღესაც ძირითადად ძველებრაული სახელებია ტრადიციული. ამას გარდა, ინდივიდუალური სახელები ნასესხები ჰქონდათ ძველეგვიპტური (მოშე, პინხას), არამეული (ეზრა, აკიბა, შამაი), ბერძნული (ალექსანდრე, ტოდრეს), ლათინური (მარკუსი, მარგოლიტი) და სხვა ენებიდან. ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან ებრაელებში წინაპრების პატივისცემას გარდაცვლილთა სახელების ბავშვებისათვის დარქმევაში გამოხატავდნენ. ყველაზე პოპულარულია ბიბლიის (ებრაულად – „ტახან“) პერსონაჟთა სახელები: იოსეფ, იიცხაკ, ბინიამინ, რახელ, დვორა და სხვა. სახელები მომდინარეობს საზოგადო სიტყვებიდან: ასაფ – ამკრეფი, პნინა (პენინა) – მარჯანი, იონა – მტრედი. ბევრი ებრაული სახელი სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებით ევროპელ ხალხთა ანთროპონიმიაში შევიდა. მაგალითად, **იოჰანაანიდან მომდინარეობს – Иван, Johann, John, Jean, Juan,**

Joao. ებრაელებს გვარსახელები ძირითადად XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნიდან დაუმკვიდრდათ. გვარების უმეტესობა პროფესიასა და დასაქმებულობას აღნიშნავს.

2.75. კარაიმები

კარაიმების სამშობლო ყირიმია. 1800 წელს ყირიმში 4 ათასი კარაიმი იყო აღრიცხული; 1914 წელს მათმა რაოდენობამ 8 ათასს მიაღწია. ამ წელს რუსეთში კარაიმების საერთო რაოდენობა 14 ათასს უახლოვდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს, 1921 წლის დასაწყისში ყირიმში 5564 კარაიმი მკვიდრობდა. კარაიმების შემცირება განპირობებული იყო ორი ომით, შიმშილობით, ეპიდემიებით. 1979 და 1989 წლების აღწერებით საბჭოთა კავშირში შესაბამისად 3341 და 2803 კარაიმი ცხოვრობდა, მათ შორის, ყირიმში – 1200 და 898. დღეისათვის ყირიმში მხოლოდ 800 კარაიმია დარჩენილი. გარდა ყირიმისა, ისინი ცხოვრობენ რუსეთის ფედერაციაში, ძირითადად მოსკოვსა და პეტერბურგში (აქ 1989 წელს აღრიცხული იყო 680 კარაიმი). კარაიმთა მცირე ჯგუფები განსახლებული არიან უკრაინის ქალაქებში (მაგ., კიევში), ლიტვაში, პოლონეთში, საფრანგეთში. დღეისათვის მათი ძირითადი ნაწილი (20 ათასი კაცი) თავმოყრილია ისრაელში.

ლიტვასა და დასავლეთ უკრაინაში კარაიმები XIV საუკუნის დასასრულს დასახლდნენ. 1392 წელს ლიტვის დიდმა მთავარმა ვიტოვტმა ყირიმელი თათრები დაამარცხა, მაგრამ ბახჩისარაის მახლობლად არ აიღო კარაიმთა ციხესიმაგრე და შესთავაზა 300 კარაიმ მეომარს პირად დაცვაში ჩარიცხვა, რადგან მოიხიბლა მათი მამაცობით, გულადობით და დისციპლინით. კარაიმთა ბევრი ოჯახი ვიტოვტმა დაასახლა ტრაკაიში, ვილნიუსის რაიონში, ლუცკში, ალიციაში და ლვოვის მახლობლად. აქედან მოგვიანებით კარაიმები ლიტვის სხვა ქალაქებში გადასახლდნენ.

აღიარებდნენ რა იუდაიზმს, კარაიმები ადგილობრივ ებრაულ თემებთან დაახლოებულნი იყვნენ. მდგომარეობა ერთგვარად შეიცვალა ყირიმის (1783 წელი) და ლიტვის (1793 წელი) რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ. კარაიმებმა, ებრაელებისაგან განსხვავებით, მიიღეს საგადასახადო შეღავათები და მიწის შეძენის უფლება, რამაც ყირიმში დარჩენილ ზოგიერთ კარაიმს შესაძლებლობა მისცა გამხდარიყო მსხვილი მიწათმოქმედი და მრეწველი. გალიციელმა კარაიმებმა ასევე მიაღწიეს ფაქტობრივ თანასწორუფლებიანობას ქრისტიანებთან, მას შემდეგ რაც პოლონეთი გაიყო და გალიცია ავსტრიის ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადავიდა (1772

წელი). ამან დასაბამი მისცა კარაიმულ და ებრაულ თემებს შორის გაუცხოებას, რაც დღესაც კი გრძელდება.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, ყირიმელი კარაიმების გარკვეული ნაწილი ვრანგლერის ჯართან ერთად რუსეთიდან პოლონეთში, საფრანგეთში, გერმანიასა და თურქეთში (სტამბოლში) ემიგრირდა. დღეისათვის კარაიმები კომპაქტურად ცხოვრობენ ყირიმის ქალაქებში – ევპატორიასა და საკახში. ევპატორია ყირიმის კარაიმთა ცენტრია. აქაა მათი ცენტრალური სალოცავი – **კენასა,** რომელიც XIX საუკუნის არქიტექტურული ძეგლია. კენასა საბჭოთა ხელისუფლების დროს დახურეს, მაგრამ ხელახლა გაიხსნა 2005 წლის 13 სექტემბერს. ევპატორიაშივეა ძველი კარაიმული ბიბლიოთეკა „კარაი-ბიტიკლიგი“. მცირე კარაიმული თემი არის კიევშიც, სადაც 1900 წელს აგებული კენასა მოქმედებს.

2002 წელს რუსეთში 366 კარაიმიღა იყო აღრიცხული.

კარაიმების ენდოეთნონიმია **კარაი** (მხ.რ.), **კარაილარ, კარაიტ** (მრ.რ.). ეთნონიმის შესახებ მეცნიერებაში ორი სრულიად განსხვავებული შეხედულება არსებობს, ერთი თურქული და მეორე – ებრაული. პირველი შეხედულებით, ეთნონიმი კარაიმი მომდინარეობს ძველთურქული ეთნონიმიდან კირეი – კირეიტ. აღნიშნავენ, რომ „კარა“ ბევრი თურქული ეთნონიმის შემადგენელი ნაწილია (მაგ., ყარაჩაელები, ყარახაზარები...). თურქულ ენაზე „ყარა“ ნიშნავს შავს, ჩრდილოეთს, უბრალო ხალხს. მეორე შეხედულებით ეთნონიმი კარაიმი მომდინარეობს ივრითიდან, რაც სიტყვასიტყვით „მკითხველებს, წმინდა წერილის მკითხველებს“ ნიშნავს. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია კარაიმების მეორე ეთნონიმის შესახებაც. აღნიშნულია, რომ ისინი თავიანთ თავს უწოდებენ „**ბნეი-მიკრასაც“,** რაც ნიშნავს „საღვთო წერილის ხალხს“.

ანთროპოლოგიურად **კარაიმები ევროპეიდები არიან**, მაგრამ მეცნიერები **კარაიმებში აფიქსირებენ მონგოლოიდურ ნიშნებსაც**. არიან საშუალო სიმაღლის, ჯმუხები, ფართო სახიანები, შავგვრემანნი. ხშირად გვხვდებიან ცისფერთვალებიანებიც, რასაც ზოგიერთი მკვლევარი ყირიმელი გუთების შერევით ხსნის. სხვათა შორის, თურქთა მიერ გუთების ასიმილაციის ფაქტად მიაჩნიათ ყირიმელ თათრებში გვარსახელის – გოტოს არსებობა.

კარაიმული ენა, ისევე როგორც ყირიმელი თათრებისა და კრიმჩაკების ენები, თურქულ ენათა ყივჩაყურ ჯგუფს მიეკუთვნება. კარაიმულ ენაში სამ დიალექტს გამოყოფენ: ჩრდილოური (ტრაკული), სამხრეთული (გალილციური) და ყირიმული. საბჭოთა პერიოდში კარაიმული ენა დავიწყებას ეძლეოდა, რის დამადასტურებელი ის გარე-

მოებაა, რომ 1989 წლის აღწერაში საბჭოთა კავშირში მცხოვრებმა კარაიმთა მხოლოდ 19,3% მიუთითა მშობლიურ ენად კარაიმული.

კარაიმები იუდაიზმის მიმდევრები არიან. უფრო სწორად რომ ვთქვათ, **კარაიმიზმი იუდაიზმის სექტაა**. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად კარაიმთა რელიგიას იუდეველთა პროტესტანტიზმის სახელით მოიხსენიებენ. კარაიმული მოძრაობა ბაღდადელ ებრაელებს შორის გაჩნდა VIII საუკუნეში. მისი მეთაური იყო ანან ბენ დავიდი (740-800 წლები). კარაიმიზმის არსი ისაა, რომ **ისინი არ ცნობენ ზეპირ თორას.** კარაიმული მოძრაობის ფუძემდებლის სახელის მიხედვით, თავდაპირველად მის მიმდევრებს „ანანიტებსაც“ უწოდებდნენ. მათ თავის რიგებში მიუღიათ ებრაული სექტების – ისავიტების და იუდგანიტების ნარჩენებიც, რომლებიც ისლამის გარკვეულ გავლენასაც განიცდიდნენ, აგრეთვე ანტირაბინული ერესის მცირერიცხოვანი მიმდევრები, კერძოდ, თალმუმამდელი ეპოქის სადუკელთა მხარდამჭერნი. ანან ბენ დავიდის სექტის წარმომადგენლები აღარ მიმართავდნენ ექიმებს. ისინი თვლიდნენ, რომ დედამიწაზე არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი, რომელსაც თორაში თავის თავზე ნათქვამი აქვს: „მე ვარ უფალი მკურნალი“. ანან ბენ დავიდი თავის მოწაფეებს მიმართავდა: „საგულდაგულოდ ეძიეთ თორაში, ნუ დაეყრდნობით ჩემს აზრებს“. მოწაფეები კი ეძიებდნენ და სრულიად სხვადასხვა დასკვნებამდე მიდიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კარაიმებმა ზეპირ თორაზე უარი თქვეს, დროთა განმავლობაში მათაც შექმნეს საკუთარი ზეპირი გადმოცემები, თავიანთი „ზეპირი თორა“. ანან ბენ დავიდის მოძრაობამ ებრაული სამყარო ორად გაყო, მაგრამ არა ისე როგორც კათოლიკური ქრისტიანობა რეფორმაციამ. კარაიმები მცირერიცხოვანნი დარჩნენ. კარაიმიზმის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე იყო სახელგანთქმული ებრაელი მოაზროვნე საად გაონი, რომელიც მივიდა იმ აზრამდე, რომ თორა მაშინდელ სალაპარაკო არაბულ ენაზე ეთარგმნათ.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ყირიმელ თათრებთან ერთად, კარაიმები ყირიმის ავტოქტონ მოსახლეობადაა მიჩნეული. **მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ კარაიმები თურქულენოვანი ხაზარების შთამომავლები არიან.** ცნობილია, რომ ხაზარეთის სახელმწიფო რელიგია იუდაიზმი იყო. როგორც ჩანს, ხაზართა შორის კარაიმიზმიც გავრცელდა, რომლის აყვავების ხანაც VIII-XII საუკუნეები იყო. გარდა ხაზარეთისა, ის ირანის, სირიის, ეგვიპტის, ბიზანტიის ტერიტორიებზეც იყო გავრცელებული. სხვათა შორის, **ყირიმში სხვა თურქულენოვანი ებრაელებიც, ე.წ. კრიმჩაკებიც ცხოვრობდნენ, რომლებიც ასევე თურქულენოვანი ხაზარების, ოღონდ იუდაიზმის მიმდევარი ხაზარების შთამომავლები უნდა იყვნენ.** მეცნიერები არც იმას გამო-

რიცხავენ, რომ თურქულენოვანი ხაზარების შთამომავლებმა კარაიმიზმი მიიღეს ყირიმში XIII საუკუნეში ბიზანტიიდან მოსული ებრაელ-კარაიმებისაგან.

რაბინულ-თალმუდური ტრადიციების უარმყოფელ კარაიმებს საკუთარი სახლიც განსხვავებული აქვთ. ისინი ლოცულობდნენ ტაძრებში, რომელიც კენასას სახელს ატარებდა. კენასას ჩრდილოეთ ნაწილში გამოყოფილი იყო აივანი ქალებისათვის. მას ცალკე შესასვლელი ჰქონდა (გათხოვებამდე ქალები კენასაში არ დაიშვებოდნენ). ტაძარი მოფენილი იყო ხალიჩებით. მასში ფეხსაცმლის გარეშე შედიოდნენ. ლოცულობდნენ დილით და საღამოთი ფეხზე მდგომნი ან ჩამუხლულნი. ხალხში ღმერთი იწოდება ძველთურქული ღვთაების – თენგრის სახელით. კარაიმები სასულიერო და საერო მეთაურს – გახამს და მღვდელთმსახურებს – გახანებს ირჩევდნენ. გახამი სათავეში ედგა კარაიმთა სასულიერო მმართველობას (ქ. ევპატორია). მის დაქვემდებარებაში იყო რუსეთის დაახლოებით 40 თემი. კარაიმებმა 1841 წელს ევპატორიაში დაბეჭდეს კარაიმული ენის საინტერესო ლიტერატურული ძეგლი – ბიბლია 1676 წლის ხელნაწერის მიხედვით. „ძველი აღქმა“ კარაიმებს მეთერთმეტე საუკუნემდე უთარგმნიათ. მეცნიერები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ კარაიმთა ენაში უცხოენოვანი ნასესხობები ძალიან მცირე რაოდენობითაა, თუმცა მაინც გამოყოფენ არაბულ, სპარსულ და სლავურ დანაშრევებს; ძებნიან მონღოლურ პარალელებსაც. კარაიმულ ენაში არის ალანური ენის ელემენტებიც, რასაც თურქების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციით ხსნიან. კარაიმთა რელიქტურ ენაში განსაკუთრებით ბევრი ძველი სიტყვაა სოფლის მეურნეობის, მეფუტკრეობის, სამხედრო საქმის სფეროდან. თანამედროვე თურქულ ენებში ისინი ხშირად სხვა ენებიდან შესული ლექსიკური ერთეულებითაა შეცვლილი. შემთხვევითი არ იყო, რომ **1934 წელს სტამბოლში ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით თურქულ ენაში უცხო სიტყვების ნაცვლად 330 კარაიმული სიტყვა შეიტანეს.**

ევპატორიაში არსებობდა კარაიმთა სასულიერო სასწავლებელიც. რუსეთში კარაიმთა რელიგია დამოუკიდებელ, თვითმყოფად რელიგიადაა მიჩნეული, რომელიც თითქოსდა ახლოს დგას ადრეულ ქრისტიანობასთან. კარაიმები თურქულ და ებრაულ სახელებთან ერთად ქრისტიანულ სახელებსაც არქმევენ. ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ რუსეთის იმპერატორები და მართლმადიდებელი მღვდელთმთავრები ხშირად სტუმრობდნენ კენასებს და ღვთისმსახურებასაც ესწრებოდნენ. კარაიმებში შემორჩენილი ყოფილა ზოგიერთი წარმართული რწმენა-წარმოდგენაც. წარსულში დღესასწაულებზე სცოდნიათ ცხოველთა ნიღბების გაკეთება. დღევანდლამდე მოაღწია

მუხის კულტმაც. დაკრძალვისას იყენებდნენ შავ ქეჩას ანდა ტყავს, რომლებსაც კენასაში ინახავდნენ. კარაიმთა სახლებში საპატიო ადგილზე ხის ლურსმანზე ჩამოკიდებული ჰქონდათ დაირა, რითაც განთიადზე ავ სულებს აფრთხობდნენ.

კარაიმები ყირიმში ძირითადად მთასა და მთისწინეთში მკვიდრობდნენ. ებრაელებისაგან განსხვავებით, რომლებიც წვრილი ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ, კარაიმები მისდევდნენ მიწათმოქმედებას (მებაღეობა, მევენახეობა), მესაქონლეობას, სამხედრო საქმეს, ხელოსნობას, წვრილ ვაჭრობას. მათთვის უცხო არ იყო ცხვრის ფარებთან ერთად მომთაბარეობაც.

კარაიმები ნათესავებზე არ ქორწინდებოდნენ. უპირატესობას ანიჭებდნენ შორს მცხოვრებ გვართა წარმომადგენლებზე დაქორწინებას. **კარაიმები არ ქორწინდებოდნენ ორთოდოქს იუდეველებზე**. ქორწილი შვიდ დღეს გრძელდებოდა. ამ დროს საქმროს თავს პარსავდნენ, საცოლეს კი ინით თმებსა და ფრჩხილებს უღებავდნენ. დაბადებიდან მერვე დღეს იცოდნენ ვაჟების წინდაცვეთა. ქალიშვილის გაჩენას კი მეთოთხმეტე დღეს დღესასწაულობდნენ. ძველი წეს-ჩვეულებების მიხედვით, ახალშობილს უსახელოდ არ ტოვებდნენ. ხშირი იყო ორსახელიანობა.

კარაიმთა ტანსაცმელი აღმოსავლური ტიპის იყო, რომელიც წარსულში ყირიმის ყველა მცხოვრებთათვის დამახასიათებელი იყო. დღეისათვის კარაიმთა ნაციონალური ტანსაცმლის ცალკეული ელემენტები შემორჩენილია მხოლოდ პოლონეთში მცხოვრებ კარაიმთა შორის.

საჭმელებიდან კარაიმთა შორის ძალიან პოპულარული იყო ჰალვა, ცხვრის ხორცი, კატიკი (მაწვნის მსგავსი საჭმელი), შემწვარი ხორცი (ყავურმა), სუჯუკი (ცხვრის ხორცის ძეხვი). ვაზის ფოთოლში შეხვეული ტოლმა. საყვარელი საჭმელი იყო კარაიმული ყველი. იუდეველებისაგან განსხვავებით კარაიმები უარს არ ამბობდნენ რძის პროდუქტებისა და ხორცის ერთად ჭამაზე.

კარაიმები პირველად მხოლოდ მონღოლთა შემოსევების დროს – XIII საუკუნეში არიან მოხსენიებულნი. ისინი ყირიმელ ხანებს ექვემდებარებოდნენ, თუმცა შენარჩუნებული ჰქონდათ თვითმმართველობა. XVIII საუკუნის 50-იან წლებში **ყირიმში მცხოვრები კარაიმები ოთხ თემად იყოფოდნენ. ეს თემები იყო: ჩუფუთ-კალე, ევპატორია, მანგუპი და ფეოდოსია.** XIX საუკუნის შუა ხანებში ჩუფუთ-კალე და მანგუპი გაუდაბურდა. კარაიმები და რაბინისტები არც სოლხათში დარჩნენ. ამ დროიდან კარაიმთა ცხოვრების ცენტრად ევპატორია იქცა. 1918 წლისათვის ყირიმში არსებობდა კარაიმთა ცხრა თემი, თერთმეტი ტაძარი და ცამეტი სასწავლებელი. 1930-1940-იან წლებში ყი-

რიმში კარაიმთა ნაციონალური ორგანიზაციები ლიკვიდირებულ იქ-ნა; დახურეს კენასები. მას შემდეგ რელიგიურ დღესასწაულებს სახ-ლებში აწყობდნენ. ყირიმის ფაშისტებისაგან განთავისუფლების შემ-დეგ კარაიმთა ნაწილი დეპორტირებულ იქნა. მაშინ განადგურდა უნიკალური ეთნოგრაფიული მასალები. დღეისათვის უკრაინაში მცხ-ოვრებ კარაიმებს შექმნილი აქვთ ნაციონალური ორგანიზაცია – კა-რაიმთა კულტურის საზოგადოება. 1995 წელს დაიბეჭდა „კარაიმთა ხალხური ენციკლოპედია“. იუდაიზმში შეიმჩნევა ტენდენცია კარაი-მების ებრაელი ხალხის ნაწილად მიჩნევისა, ხოლო თურქული ინტე-რნეტ-საიტები კარაიმებს თურქებად აცხადებენ.

2.76. კრიმჩაკები

კრიმჩაკები ყირიმში მცხოვრები ებრაელთა მცირე ეთნოკონფესიუ-რი ჯგუფია. საბჭოთა კავშირში ისინი დამოუკიდებელ ხალხად ითვ-ლებოდნენ. მეორე მსოფლიო ომამდე კრიმჩაკები ძირითადათ ყირიმ-ში ცხოვრობდნენ. შემდეგ განსახლდნენ რუსეთსა (1989 წლის მონა-ცემებით –338 კაცი) და უზბეკეთში (1989 წელს – 173 კაცი). დღეისა-თვის ყირიმში კრიმჩაკების რაოდენობა 679 კაცია. საერთო რაოდე-ნობას კი 1448 კაცს ანგარიშობენ. დემოგრაფიული თვალსაზრისით კრიმჩაკებისათვის კატასტროფული იყო მეორე მსოფლიო ომი. გერ-მანელმა ფაშისტებმა ამ ეთნოსის დიდი რაოდენობა, დაახლოებით სამი მეოთხედი გაანადგურეს. 1941 წლისათვის კრიმჩაკების რაოდე-ნობა 10 ათასს კაცს შეადგენდა, რონელთაგანაც მხოლოდ 500-700 კაცი ცხოვრობდა ნახევარკუნძულის გარეთ – შავი ზღვის სანაპი-როზე რუსეთის საპორტო ქალაქ ნოვოროსიისკში და საქართველოს ქალაქ სოხუმში. XVI საუკუნეში კრიმჩაკების რაოდენობას 700 კაცს ანგარიშობენ. 1897 წლის რუსეთის პირველ საიმპერიო აღწერაში 3345 კრიმჩაკია აღრიცხული. 1912 წლისათვის ყირიმის ქალაქებში– ალუშტაში, ევპატორიაში, იალტაში, აგრეთვე ქერჩში – 7500 კრიმჩა-კი მკვიდრობდა. 1926 წლის საბჭოთა კავშირის მოსახლეობის პირვე-ლმა აღწერამ 6383 კრიმჩაკი დააფიქსირა, რომელთაგანაც ყირიმში 98,4% ცხოვრობდა.

XIX საუკუნის ბოლომდე კრიმჩაკები ძირითად თავმოყრილნი იყვ-ნენ ყარასუ-ბაზარში. შემდეგ ისინი ყირიმის სხვა ქალაქებშიც (სიმ-ფეროპოლი, ბახჩისარაი, ალუშტა, იალტა, ევპატორია) განსახლდნენ. XIX-XX საუკეების მიჯნაზე კრიმჩაკების გარკვეული რაოდენობა ის-რაელში და აშშ-ში გადასახლდა. კრიმჩაკების შემცირებაში ლომის წილი 1921-1922 წლების სამოქალაქო ომით გამოწვეულ შიმშილობა-

საც მიუძღვის. ამ დროს აღნიშნული ეთნოკონფესიური ერთობის დაახლოებით 700 წარმომადგენელი დაღუპულა.

ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე დარჩენილ კრიმჩაკთა მშობლიურ ენად დღეს ძირითადად რუსული ენა ითვლება. 1989 წლის აღწერით 1448 კრიმჩაკიდან კრიმჩაკულ ენას მშობლიურ ენად მხოლოდ 505 კაცი თვლიდა, ე.ი 34,9%, 900 კაცი კი – რუსულ ენას (62,2%). **საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კი კრიმჩაკები მხოლოდ კრიმჩაკულ ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც ყირიმელ თათართა ენასთან ძალიან ახლოს დგას. ზოგიერთი მეცნიერი კრიმჩაკულს ყირიმელ თათართა ენის დიალექტად მიიჩნევს.** XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ისრაელში გადასახლებული კრიმჩაკების ჯგუფმა სეფარიდული სამლოცველო მიმართულება აირჩია. 1981 წლამდე თელ-ავივში კრიმჩაკული სინაგოგა არსებობდა. ისრაელში კრიმჩაკები ცალკე თემად არ ჩამოყალიბდნენ და ძირითადად ადგილობრივ ებრაელ მოსახლეობას შეერივნენ, აშშ-ში მიგრირებული კრიმჩაკები კი აშკენაზ ებრაელებს შეერწყნენ.

ეთნონიმი **„კრიმჩაკი“** („ებრაელი კრიმჩაკები“) პირველად ოფიციალურ რუსულ დოკუმენტურ წყაროებში 1859 წელს გაჩნდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამის მიზეზად ისაა დასახელებული, რომ ისინი განესხვავებინათ რაბინისტ-ებრაელების, კარაიმებისა და აშკენაზებისაგან. ყირიმის რუსეთთან მიერთებამდე ყირიმელი ხანების საბუთებში კრიმჩაკთა წინაპრები უბრალოდ ებრაელებად მოიხსენიებოდნენ. თავდაპირველად მათი ენდოეთნონიმიც **ეიხუდი** ან **სრელ ბალალარი** („ისრაელის შვილები“) იყო. **1818 წლის კრიმჩაკთა პეტიციაში, რომელიც ალექსანდრე I-ს მიართვეს, კრიმჩაკები თავიანთ თავს „ბენი ისრაელს“ უწოდებდნენ.**

მეცნიერებაში კრიმჩაკთა წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული: ა) არიან შთამომავალნი ყირიმის ანტიკური ქალაქების ებრაული მოსახლეობის, რომელთა ძეგლებიც ახ.წ-ის პირველი საუკუნიდანაა ცნობილი; ბ) მათი წინაპრები იყვნენ ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ბიზანტიის იმპერიიდან დევნილი ებრაელები; გ) მომდინარეობენ ხაზარებისა და ხაზარეთის ებრაელებისაგან; დ) თათართა მიერ XIII საუკუნეში ტყვედ მოყვანილ ებრაელთა შთამომავლები; ე) თურქეთიდან მოსული ებრაელები, რომლებიც ყირიმში XV საუკუნის ბოლოს ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ მიგრირდნენ. გამოთქმულია „სინთეზირებული“ შეხედულებებიც, რომლებიც აერთიანებენ ყველა გამოთქმულ, ანდა რამდენიმე მოსაზრებას. **უფრო სამართლიანია შეხედულება კრიმჩაკების ხაზარული წარმომავლობის შესახებ.** თავდაპირველად ეს მოსაზრება 1920-იანი წლების დასაწყისში ცნობილმა თურქოლოგმა, ა. სამოილოვიჩმა გამ-

ოთქვა. ხაზარული კულტურული სამყაროსადმი კრიმჩაკთა მიკუთვნებულობის შესახებ დასკვნა მათი ლექსიკის შესწავლას ემყარებოდა. ანთროპოლოგთა გამოკვლევით კრიმჩაკები სემიტური მოდგმის ხალხებს არ მიეკუთვნებიან. კრიმჩაკების ხაზარული წარმომავლობის შესახებ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ხაზართა კაღანატის ხელისუფლება VII-X საუკუნეებში ყირიმის ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა. კრიმჩაკების ხაზარული წარმომავლობის დამადასტურებელია სულიერი კულტურის ისეთი ელემენტის შემორჩენა, როგორიცაა ძველი თურქული ღვთაება „თენგრი“. კრიმჩაკების ხაზარული წარმომავლობა, ბუნებრივია, არ გამორიცხავს მათ შორის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში მიგრანტ ებრაელთა მიერთებასაც. სხვათა შორის, კრიმჩაკებში გარკვეული რაოდენობით ყირიმელი გუთებიც იყვნენ შესულნი, რომელთა მცირე ნაწილის მიერ იუდაიზმის მიღება VIII-IX საუკუნეების საისტორიო წყაროებითაც არის დადასტურებული. მეცნიერები ყირიმში ადასტურებენ აგრეთვე ბიზანტიიდან დევნილ ებრაელთა დასახლებასაც. ცნობილია, რომ ბიზანტიაში ებრაელთა დევნა რამდენჯერმე მოხდა (843 წელი, 873-874 წლები, 943 წელი).

კრიმჩაკთა ისტორიისათვის საინტერესო უნდა იყოს ის, რომ 1239 წელს ყირიმის სტეპების რაიონი თათარ-მონღოლებმა დაიკავეს, რის შემდეგაც ის ოქროს ურდოს შემადგენლობაში შევიდა. 1266 წელს კი ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე გენუელთა რამდენიმე კოლონია დაარსდა (მაგ., კაფა). გენუელები ყირიმის აღმოსავლეთ მხარეს „გაზარიას“ (ხაზარეთს) უწოდებდნენ. გენუელთა წყალობით ყირიმი ვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრად იქცა, სადაც სხვადასხვა ქვეყნის (სპარსეთი, მცირე აზია, ეგვიპტე, იტალია, ესპანეთი) ებრაელობაც იყრიდა თავს. ამრიგად, ისტორიის ხანგრძლივ პერიოდში თურქულენოვანმა კრიმჩაკებმა სხვადასხვა თემებიდან გამოსულ ებრაელთა ასიმილაცია მოახდინეს.

კრიმჩაკების უმრავლესობა ძირითადად ხელოსნობას მისდევდა, მცირე ნაწილი – მიწათმოქმედებას, მებაღეობას, მევენახეობას, ვაჭრობას. XIX საუკუნის შუა ხანებამდე კრიმჩაკთა ოჯახებში შემორჩენილი იყო პატრიარქალური ურთიერთობები. კრიმჩაკებში მრავალცოლიანობა არსებობდა, რაც XIX საუკუნის დასაწყისში გაქრა. გოგონებს ადრეულ ასაკში ათხოვებდნენ. ძირითადად ერთმანეთზე ახლო ნათესავები ქორწინდებოდნენ. მაგალითად, ბიძა შეიძლებოდა დისწულსა და ძმისშვილზეც დაქორწინებულიყო. კრიმჩაკებს შექმნილი ჰქონდათ მდიდარი ფოლკლორი. კრიმჩაკთა გვარსახელების 30%-ს საფუძვლად უდევს პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინები. **არის ეთნიკური წარმომავლობის გვარსახელებიც (მაგ., გურჯი).** კრიმჩაკი მამაკაცების საკუთარი სახელები ძირითადად ბიბლიურია, ქალთა სა-

კუთარ სახელებად კი ხშირად გვხვდება სპარსული, არაბული, ბულგარული და ლათინური სახელები.

1989 წელს კრიმჩაკებმა შექმნეს ნაციონალური კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „კრიმჩახლარ“, რომლის მიზანი ეროვნული კულტურისა და თითქმის დაკარგული მშობლიური ენის აღორძინებაა.

2.77. ბასკები

ბასკები პირენეის ნახევარკუნძულის მკვიდრნი არიან. ისინი ცხოვრობენ კანტაბრიის მთების ორივე მხარეს (კალთებზე) და ბისკაის ყურის სამხრეთ სანაპიროზე. ფრანგულ-ესპანური საზღვარი ბასკების ტერიტორიას ორ არათანაბარ ნაწილად ყოფს: სამხრეთ – დიდ ნაწილად, რომელიც ესპანეთის საზღვრებშია და ჩრდილოეთ ნაწილად, რომელიც საფრანგეთს ეკუთვნის.

ბასკები, რომელთა თვითსახელწოდებაა **ეუსკალდუნაკ**, ესპანეთის ოთხ პროვინციაში მოსახლეობენ. ესენია **ბისკაის** (მთავარი ქალაქი ბილბაო), **გიპუსკუას** (მთავარი ქალაქი სან-სებასტიანი), **ალავას** (მთავარი ქალაქი ვიტორია) და **ნავარას** (მთავარი ქალაქი პამპლონა) პროვინციები. საფრანგეთში ბასკები ცხოვრობენ ლაბურას, სულისა და ქვემო ნავარას რაიონებში – ატლანტური პირენეის დეპარტამენტში. ბასკების რაოდენობას ესპანეთში 600 ათასიდან 1 მილ. 800 ათასამდე ანგარიშობენ, საფრანგეთში კი 90 ათასიდან 150 ათასამდე. ასეთი ცვალებადი რაოდენობა განპირობებულია შემდეგი კრიტერიუმებით: თვითშეგნებით, დაბადების ან საცხოვრებელი ადგილით, გენეტიკური წარმომავლობით, ბასკური ენის ცოდნითა და სხვ. რამდენიმე ათეული ათასი ბასკი ემიგრანტი ცხოვრობს ამერიკის ქვეყნებში: არგენტინაში, ბრაზილიაში, მექსიკაში, ვენესუელაში, ურუგვაიში, აშშ-ში.

ბასკები ეკუთვნიან დიდი ევროპეიდული რასის ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას.

ბასკური ენა იზოლირებული ენაა. ის რამდენიმე დიალექტის: ბისკაურის, ლაბურდინულის, სულეტინურის, ქვემო და ზემო ნავარულის, გუპუსკუანურის ერთობლიობას წარმოადგენს. ამ უკანასკნელის საფუძველზეა შექმნილი „ეუსკარა ბატუა“, რომელსაც ავტონომიაში ესპანურ ენასთან ერთად, ოფიციალური ენის სტატუსი აქვს. ბასკები ლაპარაკობენ აგრეთვე ესპანურ და ფრანგულ ენებზე. ბასკურ ენაში ფრანგულიდან და ესპანურიდან ნასესხები ბევრი სიტყვა, ბევრი ლათინიზმია, რაც შემორჩენილია რომის იმპერიის დროიდან, ნაწილი კი კათოლიკური ეკლესიის მიერაა შემოტანილი. ბასკურ ენ-

აში უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც დაიძებნება კელტური, გერმანული და არაბული ძირები. დამწერლობა დაფუძნებულია ლათინურ ანბანზე.

ბასკები კათოლიკეები არიან.

ესპანეთის ბასკონიაში მოსახლეობის სიმჭიდროვე არათანაბარია. ყველაზე უფრო მეტად დასახლებულია ბილბაოს ზღვისპირა სამრეწველო რაიონი და გიპუსკუას პროვინცია.

ბასკთა წარმოშობის საკითხი დღემდე არაა გადაწყვეტილი. ბასკური ენა, რომელიც თავისი წყობით ფლექსიურ-აგლუტინაციურია, დასავლეთ ევროპის ოდინდელი ენობრივი ფენის ერთადერთ ცოცხალ მოწმეს წარმოადგენს, რომელიც წინ უსწრებდა აქ ინდოევროპული ენების გამოჩენას. ამ ფენის ენათა უმეტესობა, როგორც ჩანს, ბასკთა ენის მონათესავე იყო და, როგორც ამას უძველესი ტოპონიმები მოწმობს, გავრცელებული იყო ესპანეთსა და საფრანგეთში, აგრეთვე ჩრდილოეთ იტალიაში. მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ბასკური და იბერიული ენები არამონათესავე ენები იყო. ძირითად არგუმენტად კი მოაქვთ ის, რომ იბერიული ტექსტები ბასკური ენის საშუალებით არ იხსნება. მეცნიერთა ნაწილის აზრით კი ბასკები ლიგურიული წარმოშობისანი არიან; ისინი ჩრდილო იტალიაში ცხოვრობდნენ.

უკანასკნელ ხანს წარმოიქმნა აგრეთვე თეორია ბასკურ-ქართული (კავკასიური) ნათესაობის შესახებ.

ანთროპოლოგიურად დასტურდება, რომ თანამედროვე ბასკები დასავლეთ ევროპული ენეოლითური მოსახლეობის შთამომავალნი არიან. ბასკთა წინაპრები იყვნენ ვასკონების, ვარდულების, კარისტებისა და სხვა ტომები.

რომაელთა ბატონობის დროს ბასკებმა, ისევე როგორც პირენეის ნახევარკუნძულის სხვა მოსახლეობამ, რომანიზაცია არ განიცადა. რომაელთა დაპყრობის შემდეგ ახ.წ. I ათასწლეულის მანძილზე ბასკებმა შეინარჩუნეს თავიანთი დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა როგორც ალანებისა და სვევებისაგან (V-VI სს.), ისე ვესტგუთებისაგან (V-VIIIსს.), ფრანკებისაგან (VIII-X სს.) და მავრებისაგან. კანტაბრიის მთები არა მარტო ვერ დაიპყრეს მავრებმა, არამედ ამ დროისათვის ის წარმოადგენდა თავშესაფარს პირენეის ნახევარკუნძულიდან გამოქცეული სხვა მოსახლეობისათვის.

ქვემო ნავარა და ბასკთა ჩრდილოეთი პროვინციები შუა საუკუნეების მანძილზე პოლიტიკურად დაკავშირებული იყო საფრანგეთთან. მას ფლობდა ხან ერთი, ხან მეორე ფრანგი ფეოდალი, ხან კაპეტინგი (ფრანგ მეფეთა დინასტია 987 – 1328 წლებში) მეფეები. 1154 წლიდან 1453 წლამდე ლაბურისა და სულის პროვინციები, რომლებიც

შედიოდა გიის საჰერცოგოში, ინგლისს ეკუთვნოდა. ბასკეთის სამხრეთი ოლქები XIII-XIV საუკუნეებში პოლიტიკურ კავშირში შევიდა კასტილიის სამეფოსთან, ალავა და გიპუსკუა – XIII საუკუნის დასაწყისში, ბისკაი – XIV საუკუნის დასასრულს, მაგრამ პოლიტიკური უნიის შემდეგაც (კასტილიის მეფეს ბასკეთის მმართველის ტიტული მიენიჭა) ბასკებმა ფაქტობრივი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს. მათი ქვეყანა განსაკუთრებულ პროვინციად იწოდებოდა და XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე შეინარჩუნეს თავისი ფუეროსი (სიტყვასიტყვით სამართალი), რომელიც უკვე IX-XI საუკუნეებში იყო ცნობილი. შუა საუკუნეებში ყველა ბასკურ პროვინციას ჰქონდა თავისი ფუეროსი. უმნიშვნელოვანესი საქმეების გადასაწყვეტად, რომელიც ყველა პროვინციას ეხებოდა, ნაციონალურ კრებას გუერნიკში იწვევდნენ, სადაც წარსულში წმინდა მუხის ქვეშ უხუცესთა საბჭო იკრიბებოდა.

ფუეროსის დეტალები სხვადასხვა დროს იცვლებოდა, მაგრამ, საერთოდ, მეფეს ბასკონიაში მიწის მფლობელობისა და მშენებლობის, აქ არმიისა და ფლოტის გაჩერების უფლება არ ჰქონდა. ბასკონიაში არ უნდა ყოფილიყვნენ ესპანელი ჩინოვნიკები – ყველა ადმინისტრაციულ ფუნქციას უხელფასოდ ადგილობრივი მოსახლეობისაგან არჩეული პირები ასრულებდნენ; ადგილობრივი მუნიციპალიტეტები არ იყვნენ დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე და ქვეყნის ფინანსების თავისუფალი განკარგვა შეეძლოთ. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ბასკეთში საკუთარი საბაჟო სისტემა არსებობდა. ტახტზე ასვლისთანავე ესპანეთის ყოველი ახალი მეფე ვალდებული იყო ბასკონიაში მისულიყო და ფიცით დაედასტურებინა (დაემტკიცებინა) ფუეროსი.

XVI საუკუნეში ბასკების ქვეყანა საბოლოოდ გაიყო საფრანგეთსა და ესპანეთს შორის.

ესპანეთის ბასკურ პროვინციებში საზოგადოებრივი წყობა არსებითად განსხვავდებოდა ქვეყნის სხვა ნაწილების საზოგადოებრივი ყოფისაგან. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ხდებოდა სახნავი მიწების გადანაწილება. XVIII საუკუნის ბოლომდე აქ საძოვარი, ტყე საზოგადოებრივ საკუთრებაში იყო. გვიან იქნა დადგენილ მათი გადანაწილების სისტემა თემის წევრებს შორის. თემში (ბალე, ბალლე – სიტყვასიტყვით „ველი“) გაერთიანებული იყო სოფლის ჯგუფები. ბასკონიაში ფეოდალთა კლასი გვაროვნული თემის ფარგლებში ყალიბდებოდა და მასთან იყო დაკავშირებული. ამ პროცესმა ასახვა პოვა თვით ბასკი ფეოდალის სახელწოდებაში – "pariente mayor", რაც სიტყვასიტყვით „უფროს ნათესავს“ ნიშნავს.

ბასკთა ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კათოლიკურმა ეკლესიამ: წვრილი სასულიერო პირები, რომლებიც ძირითადად გლეხური წარმოშობისანი იყვნენ, კასტილიის უმაღლეს სასულიერო პირებთან მუდმივად წინააღმდეგობაში იმყოფებოდნენ და სათავეში ედგნენ ბასკთა ბრძოლას ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ XIV საუკუნის შუა ხანებში ბასკებმა დაკარგეს ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა, ფუეროსი გაუქმებულ იქნა. ბასკონია დაემორჩილა საერთო ესპანურ კონსტიტუციას. XIX საუკუნის 40-50-იან წლებში ბასკონიაში გაძლიერებული ესპანიზაცია მიმდინარეობდა. ბასკების ქვეყანაში ესპანეთის სხვა პროვინციებიდან ასეულ ათასობით ადამიანის გადმოსახლებამ ესპანური ელემენტი გააძლიერა. XX საუკუნის შუა ხანებში ბასკონიის მცხოვრებთა მხოლოდ 20-25%-მა იცოდა ბასკური ენა, თუმცა მოსახლეობის სხვა, უმეტესი ნაწილიც თავს ბასკად თვლიდა. 60-70-იან წლებში მკვეთრად გაიზარდა ინტერესი მშობლიური კულტურისადმი, ისტორიისადმი, ძალზე მომრავლდა ბასკური ენის კერძო სკოლები. 70-იან წლებში ბასკური ენა უკვე გამოიყენებოდა მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში. 1970-1980 წლების მიჯნაზე, ბასკთა ქვეყანამ, შემდეგ კი ნავარამ, ავტონომიის სტატუსი მიიღო.

ბასკების ყველაზე ძველი საქმიანობაა მესაქონლეობა: ბისკაიასა და გიპუსკუაში – მსხვილფეხა მესაქონლეობა, ნავარასა და საფრანგეთის მიწაზე – მეცხვარეობა. ზღვაოსნობა და მეთევზეობა ბასკებში XIV საუკუნიდან განვითარდა. როგორც ზოგიერთი მკვლევარი ასკვნის, ბასკი მეზღვაურები ახალ სამყაროში კოლუმბამდე მივიდნენ. საფრანგეთის ბასკონიაში გლეხების უმეტესობა მცირემიწიანი და ღარიბია. მთიანი რაიონების ძირითადი კულტურა სიმინდია. **ევროპაში სიმინდის მოყვანა პირველად ბასკებმა დაიწყეს.** ბასკების ქვეყანაში ბევრი ბაღია, განსაკუთრებით ვაშლის. ტრადიციული საკვები შედგება ხორბლისა და სიმინდის პურისაგან, რძისაგან, ცხვრის ყველისაგან, ღორის ხორცის სხვადასხვა კერძისაგან. სასმელებიდან განსაკუთრებით გავრცელებულია ვაშლის სიდრი (ღვინო).

ბასკეთი ოდითგანვე განთქმული იყო თავისი ცეკვებით, რომელსაც ძირითადად მამაკაცები ასრულებდნენ. ბევრი მათგანი მომდინარეობს ძველი საბრძოლო ცეკვებიდან და კოლექტიურ ცეკვებს წარმოადგენს. ცეკვავენ ყვირილის, ფლეიტისა და დოლის აკომპანემენტით.

ბასკთა საოჯახო ყოფაში ძველი ყოფის ბევრი გადმონაშთია შემონახული. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გვხვდებოდა დიდი ოჯახები. ქალები და კაცები ერთად არ ჭამდნენ; მამაკაცები მაგიდასთან ჭამდნენ, ქალები – კერასთან. სადღესასწაულო თამაშების დროს აწყობდნენ სახუმარო ბრძოლას ქალებსა და მამაკაცებს შორის.

2.78. ბერძნები

ბერძნები საბერძნეთის სახელმწიფოს ძირითადი მკვიდრნი არიან. ბერძნული ეთნოსის წარმომადგენლები ცხოვრობენ კვიპროსშიც. საბერძნეთს უჭირავს ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი და ეგეოსის, ხმელთაშუა ზღვისა და იონიის ზღვების კუნძულები. საბერძნეთის ტერიტორიის 4/5 მთებს უკავია. საბერძნეთის ყველაზე მაღალ მთათა მასივია – ოლიმპი თესალიაში მწვერვალით ანო-ოლიმპოს (3 ათასი მ. ზღვის დონიდან), რომელსაც ძველი ბერძნები თავიანთი ღმერთების ადგილსამყოფელად მიიჩნევდნენ.

ბერძნების თვითსახელწოდებაა **ელინეს**. მათი საერთო რაოდენობა 12 მილ. 420 ათასი კაცია, მათ შორის საბერძნეთში 9 მილ. 725 ათასია. კვიპროსში მკვიდრობს 570 ათასი. ისინი განსახლებულნი არიან აგრეთვე: აშშ-ში – 550 ათასი, რუსეთში – 91,7 ათასი, გერმანიაში – 300 ათასი, კანადაში – 155 ათასი. ცხოვრობენ აგრეთვე ევროპის სხვა ქვეყნებში: უკრაინაში, საქართველოში, ყაზახეთში. ჯერ კიდევ ძველი დროიდანვე ბერძნები ბევრ ქვეყანაში იყვნენ განსახლებულნი. ანტიკურ პოლისებში იძულებითი ემიგრაციის სისტემა არსებობდა, რომელსაც კოლონიების პერიოდული მოწყობის ფორმა ჰქონდა მიღებული (განსაკუთრებით ინტენსიური იყო ბერძნული კოლონიზაცია ძვ.წ. VIII-VI სს-ში). ეს გადასახლებები გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეების განმავლობაშიც, განსაკუთრებით კი ბიზანტიის იმპერიის ეპოქაში. თურქთა ბატონობის პერიოდში (XV-XIX საუკუნეები) ბერძნული კოლონიები წარმოიქმნა ევროპის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის კავკასიაში, იტალიაში, ავსტრიაში და სხვაგან.

ჩრდილოეთ საბერძნეთში, ბერძნების გარდა, ცხოვრობენ მაკედონიელები (სლავები), ალბანელები, თურქები, არომუნები (ვალახი, ვლახი ანუ კუცო-ვალახი), ქალაქებში – სომხები და სხვ. საბერძნეთის მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 1922-1927 წლებში მცირე აზიიდან, საბერძნეთთან მოსაზღვრე ბულგარეთის რაიონებიდან და თურქეთის ევროპული ნაწილიდან მოსული ხალხით. მოსახლეობის გაცვლა მოხდა 1923 წლის ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულებით. ამ დროს სამშობლოში 1 მილ. 248 ათასი ელინი დაბრუნდა, რომლებიც განსახლდნენ მაკედონიაში, თრაკიაში, თესალონიაში. ქვეყნიდან კი წავიდა 370 ათასი მუსლიმი, ძირითადად თრაკიელი თურქები და მაკედონიის დაახლოებით 200 ათასი სლავურენოვანი მოსახლეობა.

ბერძნები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირულ რასას, ჩრდილოეთის ზოგიერთი ჯგუფი – ბალკანურ-კავკასიურ რასას. დღევანდელი **ბერძნები ლაპარაკობენ ახალბერძნულ ენაზე, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახში ცალკე ჯგუფს ქმნის.** სალიტერატურო ენის ნორმები ყალიბდება XIX საუკუნის შუა

ხანებიდან. ბერძნული ენის მნიშვნელოვანი დიალექტებია: ჩრდილო-აღმოსავლური, ჩრდილო-დასავლური, სამხრეთ-აღმოსავლური, სამხრეთ-დასავლური. ეს დიალექტები იყოფა შიდა სამეტყველო ჯგუფებად. ბერძნებს აქვთ ორიგინალური, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ბერძნული დამწერლობა, რომელიც ძველმა ბერძნებმა არქაულ პერიოდში (ძვ.წ. VIII ს. – 480 წ.) შექმნეს. ამ პერიოდში გაეცნენ ისინი ფინიკიელების ანბანურ დამწერლობას, რომლის საფუძველზე შექმნეს ბერძნული დამწერლობა; მათ ის გააუმჯობესეს იმ თვალსაზრისითაც, რომ არა მარტო თანხმოვნების, არამედ ხმოვნების აღმნიშვნელი ნიშნებიც შექმნეს.

ბერძნული ეთნოსის საფუძველს წარმოადგენს ძველი ბერძენი ხალხი, რომელმაც ჩამოყალიბება დაიწყო ძვ.წ. II ათასწლეულში ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთში, ეგეოსის ზღვის კუნძულებზე და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე პროტობერძნული ტომების – იონიელების, აქეელების, ეოლიელების, დორიელების გადასახლების შედეგად, რომლებმაც აქ მოახდინეს ავტოქტონური მოსახლეობის (პელასგების და სხვ.) ასიმილაცია. პელასგების წარმოშობის შესახებ ერთი აზრი არ არსებობს. ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ისინი აქ მკვიდრობდნენ ინდოევროპელებამდე და რომ ინდოევროპული ელემენტი ხმელთაშუაზღვისპირეთში შეიჭრა მხოლოდ ძველ ბერძენთა წინაპრების გადასახლებით.

იონიელები ცხოვრობდნენ ატიკასა და პელოპონესის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, აგრეთვე ბევრ კუნძულზე. აქეელებმა დაიკავეს თითქმის მთელი პელოპონესი და კრეტა. ეოლიელები განლაგდნენ დღევანდელ თესალიასა და შუა საბერძნეთში, ატიკის გამოკლებით. დორიელებმა პელოპონესისა და კრეტის აქეელები დაიმორჩილეს და ეგეოსის ზღვის რამდენიმე სხვა კუნძული დაიკავეს.

ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ძველი ბერძნებისათვის ეკონომიკური და კულტურული განვითარების პერიოდი იყო. მიწათმოქმედების, ხელოსნობის, ვაჭრობის დონის ზრდამ პატარა მონათმფლობელური ქალაქ-სახელმწიფოების (პოლისების) შექმნა გამოიწვია, სადაც ხელისუფლება ძველ გვაროვნულ არისტოკრატიას ეკუთვნოდა. პოლისები არ გაერთიანებულა და ხშირად მტრობდნენ ერთმანეთს. ამიტომაც, ტომებმა დიალექტები დიდხანს შეინარჩუნეს. კლასიკურ ეპოქაში თითოეულ მათგანზე შეიქმნა ლიტერატურა, განსაკუთრებით მდიდარი კი – იონიურ და ატიკურ დიალექტებზე.

პოლისები (ქალაქ-სახელმწიფოები) მხოლოდ ქალაქებს როდი მოიცავდა. პოლისებში ქალაქების მიმდებარე ტერიტორიებიც შედიოდა. ისინი თავისუფალი მოქალაქეებით იყო დასახლებული. თუკიდიდე წერდა, რომ „ქალაქი – ესაა ადამიანები და არა კედლები“. მოქალა-

ქეები სახალხო კრებებსა და მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობდნენ. საბერძნეთში მოქალაქეობის საფუძველი იყო ადამიანის ოჯახისადმი, ფრატრიისადმი და ფილესადმი მიკუთვნებულობა. სახელმწიფოს ცენტრი იყო მთავარი ქალაქი. ქალაქი-სახელმწიფოები ტერიტორიით, ფართობით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ყველაზე დიდი ფართობი სპარტას ეკავა (დაახლ. 8 400 კვ.კმ.), ატიკას – 2.650 კვ.კმ. ყველა დანარჩენი პოლისი 1000 კვ.კმ-ს არ აჭარბებდა. კორინთის ფართობი 880 კვ.კმ. იყო, სამოსისა – 470 კვ.კმ., ეგინასისა ძლივს აღწევდა 85კვ.კმ-ს. ზოგიერთი სახელმწიფოებრივი გაერთიანება რამდენიმე ცალკეული პოლისისაგან შედგებოდა. მაგალითად, ბეოტია, რომელსაც 2.580 კვ.კმ. ფართობი ეკავა, 10, გვიან კი 20 მინი-სახელმწიფოს ერთობლიობას წარმოადგენდა, ფოკიდის (1650 კვ.კმ.) შემადგენლობაში 22 პოლისი შედიოდა.

საბერძნეთის დაყოფა პოლიტიკური თვალსაზრისით ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დაყოფას ემთხვეოდა. პოლისების მეურნეობის სტრუქტურა ყველგან სხვადასხვაგვარი იყო. ზოგიერთში თუ წამყვანი კულტურები ქერი და ხორბალი იყო, ზოგიერთში მომგებიანი ყურძნისა და ზეთისხილის მოყვანა იყო. ზოგიერთი ქალაქ-სახელმწიფო კი მესაქონლეობითა და მეთევზეობით იყო განთქმული.

საბერძნეთის პოლისები პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით თავის თავში ჩაკეტილი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქალაქ-სახელმწიფოს თავისი დიალექტი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ორგანიზაცია, თავისი ღმერთები და გმირები, საკუთარი კალენდარი, საკუთარი მონეტა ჰქონდა, მათ მაინც დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნეს საერთო ინტერესები, საერთო ეთნიკური თვითშეგნება, ურთიერთლოიალური დამოკიდებულება. ეს გამოიხატა ტროას ომში საბერძნეთის ყველა მეფის მონაწილეობითაც. ამ ერთობის გამოხატვის ისტორიული მოწმობაა აგრეთვე ბერძნულ-სპარსულ ომებში მტრის წინააღმდეგ გაერთიანება.

საბერძნეთის ისტორიის ამ მნიშვნელოვან პერიოდს ეკუთვნის ე.წ. დიდი ბერძნული კოლონიზაცია. მრავალრიცხოვანი კოლონიები მოეწყო ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროებზე. კოლონიური მოძრაობის პირველი ტალღა მოსახლეობის ნამატით იყო გამოწვეული. ქალაქ-სახელმწიფოების ნამატი მოსახლეობა სამეურნეო საქმიანობისათვის უკეთეს პირობებს ეძებდა. გვიანდელი კოლონიზაცია ტომთა გადასახლების შედეგს წარმოადგენდა, როდესაც ისინი მოსულმა დორიელებმა შეავიწროვეს. ბოლოს გამარჯვებულმა დორიელებმაც დაიწყეს მიგრაცია კოლონიურ მიწებზე; მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბერძნები ახლო და შორეული საზღვაო

ქვეყნების კოლონიზაციას ვერ შეძლებდნენ ძლიერი ფლოტის გარეშე. **ისინი შესანიშნავი ზღვაოსნები იყვნენ.** ხომალდმშენებლობის ხელოვნებას კი ფინიკიელებისაგან დაეუფლნენ. საერთოდ, ბერძნებისათვის ბევრად უფრო ადვილი იყო შორეული ზღვისპირეთის ქვეყნებში მოგზაურობა, ვიდრე თვით საბერძნეთში. საოცარია ის ფაქტი, რომ **ბერძნებმა, რომლებმაც ტექნიკაში, არქიტექტურასა და ძველი მსოფლიოს ხელოვნებაში დიდ სიმაღლეებს მიაღწიეს, ისეთი გზები ვერ ააშენეს, როგორიც რომაელებმა.** ამ პერიოდში (ძვ.წ. VIII-VI სს-ში) ჩამოყალიბდა საერთო-ბერძნული კულტურული ერთობა საერთო სახელწოდებით ელინები. თავდაპირველად ელინები თესალიაში ერთ-ერთი ბერძნული ტომის სახელწოდება იყო, მაგრამ თანდათან ეს სახელწოდება (ეთნონიმი) გავრცელდა ყველა ბერძნულენოვან მოსახლეობაზე. ამ თვალსაზრისით, ელინელები პირველად ძვ.წ. VII საუკუნეში მოიხსენიებიან. **რომაელები ელინებს გრეკებს (Graeci) უწოდებდნენ. რომაელთა საშუალებით ეს ეთნონიმი ცნობილი გახდა მთელი ევროპისათვის.** თავდაპირველად „გრეკიც“ ჩრდილოეთ საბერძნეთის ერთ-ერთი ტომის სახელწოდება იყო. ელადის ქალაქ-სახელმწიფოების შეკავშირებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბერძენ-სპარსელთა ომებმა (ძვ.წ. V ს-ში). ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეტად განვითარებული ბერძნული პოლისი იყო ათენი, სადაც VI-IV საუკუნეებში აყვავებული იყო ხელოსნობა, მეზღვაურობა, ვაჭრობა. ათენი იქცა საბერძნეთის (ელადის) კულტურულ ცენტრად. პოლისების პირველობისათვის ხშირმა ურთიერთმტრობამ ბერძნული სახელმწიფოები დაასუსტა. ძვ.წ. IV საუკუნეში საბერძნეთი მაკედონიამ დაიპყრო. ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილი ვრცელი სახელმწიფო მოიცავდა ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და მახლობელი აღმოსავლეთის ბევრ ოლქს. ელინელი ხალხი თავისი ისტორიის ახალ ფაზაში შევიდა. ამ პერიოდში ბერძნული კულტურა ფართოდ გავრცელდა ყველა ელინურ სახელმწიფოში და აზიის სიღრმეშიც შეიჭრა. ელინისტურ პერიოდში, დაახლოებით ძვ.წ. III საუკუნეში, ჩამოყალიბდა და შემდეგ აღმოსავლეთ ზღვისპირეთში გავრცელდა საერთო-ბერძნული სალიტერატურო ენა – კოინე, რომლის საფუძველს ატიკური დიალექტი წარმოადგენდა. თანდათან კოინემ ლიტერატურიდან საოლქო დიალექტები განდევნა, რამაც ბერძნების შემდგომი შეკავშირება გამოიწვია. გვიან კოინედან შუა საუკუნეების ბერძნული ენა მივიღეთ.

ძველმა ბერძნებმა შექმნეს დიდი ანტიკური ცივილიზაცია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროპისა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურათა განვითარებაში.

ძვ.წ. 146 წელს საბერძნეთი რომმა დაიმორჩილა. ბერძნულმა კულტურამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა რომის იმპერიის ხალხების განვითარებაზე; ბერძნული ენა რომის მთელმა არისტოკრატიამ და ინტელიგენციამ იცოდა.

ახ.წ. IV საუკუნის ბოლოს, რომის იმპერიის ორ – დასავლურ და აღმოსავლურ ნაწილებად დაყოფის შემდეგ, საბერძნეთი აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის ბირთვად იქცა. ბერძნული ენა იმპერიის სალიტერატურო ენად რჩებოდა, მაგრამ თვით ბერძნები ამ დროიდან ოფიციალურად **რომეებად ანუ რომაელებად** იწოდებოდნენ. ბიზანტიელებმა დიდი გავლენა მოახდინეს ბალკანეთის ნახევარკუნძულის სხვა ხალხების კულტურისა და ხელოვნების ფორმირებაზე. IX-XIV საუკუნეებში აყვავდა ბიზანტიური სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა.

ბიზანტიის იმპერიის მოსახლეობა, რომელსაც პირობითად ბიზანტიელებს უწოდებენ, ეთნიკური თვალსაზრისით ერთგვაროვანი არ იყო. მის ძირითად ბირთვს ბერძნები შეადგენდნენ, თუმცა საუკუნეთა განმავლობაში, ადრეული შუა საუკუნეებიდან დაწყებული, ბერძენი ხალხის შემადგენლობაში შევიდნენ სხვადასხვაეროვანი ჯგუფები: რომანიზებული ვლახები, თრაკიელები, აგრეთვე ილირიელები და კელტები, ალბანელები, ნორმანები, გვიან – თურქები და მცირე აზიის სხვა ხალხები. მნიშვნელოვანი იყო სლავური ხალხების მინარევიც. VI-VIII საუკუნეებში სლავები თითქმის მთელ საბერძნეთში განსახლდნენ. თანამედროვე ბერძნები ძირითადად ძველი ბერძნების შთამომავალნი არიან, რომელთაც დროთა განმავლობაში უცხო-ეთნიკური ჯგუფებიც ერეოდნენ და ითვისებდნენ ბერძნულ ენას.

ბიზანტიის (აღმოსავლეთ რომის) იმპერიის ძირითად ეთნოსს ბერძნები შეადგენდნენ, მაგრამ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, **რომაელებად (ბიზანტიელთა თვითსახელწოდება) მხოლოდ ბერძნები არ იწოდებოდნენ. ამ ეთნონიმით სხვა ეთნოსებიც აღინიშნებოდნენ, რომლებიც მართლმადიდებლობას აღიარებდნენ.** საუკუნეთა განმავლობაში არაბერძნული ეთნოსები ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის სერიოზულ გავლენას განიცდიდნენ. თავიანთი ცხოვრების მანძილზე ბიზანტიელ ბერძნებს მუდმივად ესმოდათ ირგვლივ მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მეტყველება. იმპერიის ბევრი მცხოვრები ორენოვანიც იყო, მაგრამ ორენოვნება სავალდებულო არ იყო. კომპაქტურად მცხოვრებმა არაბერძნების დიდმა ნაწილმა არც იცოდა ბერძნული ენა. მიუხედავად ამისა, როგორც იმპერიის მცხოვრებნი და მართლმადიდებლები, ისინი რომაელებად ითვლებოდნენ. რომაელებად იმპერიის ის ქვეშევრდომები არ ითვ-

ლებოდნენ, რომლებიც მართლმორწმუნე ქრისტიანები არ იყვნენ (მაგალითად, იმპერიის ქვეშევრდომი არაბი-მუსლიმები, ბალკანეთში მცხოვრები პაჭანიკები და ყივჩაყები, პელოპონისელი და კონსტანტინეპოლელი ებრაელები, თრაკიელი სომეხი-მონოფიზიტები). მაგრამ X საუკუნის ბოლოდან ბიზანტიურ პრივილეგირებულ საზოგადოებაში უფრო ხშირად დაიწყეს ყურადღების მიქცევა ეთნიკურ წარმომავლობაზე. ამრიგად, არაბერძნული წარმოშობის „რომაელებისათვის“ (ბიზანტიელებისათვის) დამახასიათებელი იყო ეთნიკური ცნობიერების ერთგვარი დიხოტომია (გაორება). არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ბიზანტიურ სამოხელეო თანამდებობებზე არაერთი არაეთნიკური ბერძენიც დაწინაურებულა. მაგალითად, **ბიზანტიის იმპერიაში ერთ-ერთი ყველაზე უმდიდრესი ადამიანი იყო წარმოშობით ტაოელი ეთნიკური ქართველი, ალექსი I-ის მხედართმთავარი გრიგოლ ბაკურიანისძე (†1080), რომლის სამფლობელოები ფილიპოპოლთან და თესალონიკიაში მდებარეობდა.**

მუდმივმა ომებმა სპარსელებთან, არაბებთან, სლავებთან, ნორმანებთან, და სხვ., აგრეთვე ფეოდალურმა პოლიტიკურმა ანარქიამ იმპერია დაასუსტა. XIV-XV საუკუნეებში ბიზანტია თურქ-ოსმალებმა დაიპყრეს. ამით ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთი ქვეყნებისა და, მათ შორის, საბერძნეთის ეკონომიკური განვითარება დამუხრუჭდა. ბალკანეთში ოსმალთა ბატონობამ (XV-XIX ს. I ნახ.) თავისი გავლენა მოახდინა ბერძნულ ენასა და კულტურაზე. XVIII საუკუნის დასასრულს ბერძნებმა დაიწყეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რამაც ხელი შეუწყო ბერძენთა შორის სამხარეო განსხვავებულობის წაშლას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად 1829 წ. საბერძნეთის სახელმწიფო შეიქმნა.

თანამედროვე ბერძნულ (ანუ ახალბერძნული) ენას აქვს ორი მნიშვნელოვნად განსხვავებული ფორმა: ესაა **ხალხური ენა – „დიმოტიკა“ და ოფიციალური სალიტერატურო ენა – „კაფარევუსა“ (ე.წ. სუფთა ენა),** რომელიც თავისი ფესვებით დაკავშირებულია ელინისტური ეპოქისა და ბიზანტიის იმპერიის ენასთან. ბერძნულმა დამწერლობამ შეინარჩუნა ელინისტური ეპოქის ძველი ორთოგრაფია, ანბანი, მაგრამ ძველბერძნული ხმოვნების წარმოთქმა რამდენადმე შეიცვალა.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ბერძენი ხალხი ერთგვაროვანია. გამოიყოფა რამდენიმე ეთნოგრაფიული ჯგუფი. კულტურისა და ყოფის სპეციფიკური ნიშნებით გამოირჩევა კუნძულ კვიპროსის ბერძნული მოსახლეობა. ეგეოსის ზღვის პატარა კუნძულების მოსახლეობამ ყოფაში ბევრი არქაული ნიშანი შეინარჩუნა. თავისებურია თრაკიასა და როდოსის კუნძულზე გამუსულმანებული პატარა ბერძ-

ნული ჯგუფის ყოფა. ქვეყნის ჩრდილოეთში ცხოვრობს ბერძნების ერთი ჯგუფი, რომელსაც ირგვლივ მყოფი მოსახლეობა ვლახებს უწოდებს, რადგან მათ რომანიზებულ მესაქონლეებთან აიგივებენ. სარაკანელების ეს ჯგუფი ახალბერძული ენის განსაკუთრებულ კილოკავზე მეტყველებს. საზოგადოებრივ ურთიერთობებში კი გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის ნიშნები აქვთ შემონახული.

ბერძნებს მოჰყავთ მაღალხარისხოვანი სუბტროპიკული კულტურები, უპირველეს ყოვლისა, ზეთისხილი, ციტრუსები, აგრეთვე ყურძენი, კაკალი, თამბაქო და სხვ. მარცვლეულიდან – ხორბალი, ქერი, სიმინდი, შვრია. ძირითადი სამიწათმოქმედო რაიონებია: თესალია, მაკედონია, პელოპონესი და კუნძულები. მომთაბარე მესაქონლეობას (ძირითადად ეპირეში) აქვს ტრადიციული სახორცე-სამატყლე მიმართულება (ცხვარი, თხა). სანაპიროსა და კუნძულებზე ბერძნები მისდევენ მეზღვაურობას, მეთევზეობას. განვითარებულია ხალხური რეწვა და მხატვრული ხელოსნობა – მეთუნეობა, მჭედლობა, ქსოვა, მეხალიჩეობა.

ბერძენთა საკვები ძირითადად მცენარეული შემადგენლობისაა. საყვარელი საჭმელია ლობიო, რომელსაც ანელებენ ლიმონით, ზეითუნის ზეთით, ნივრით, ოხრახუშით. ამზადებენ **ტოლმას** პომიდორის, ბადრიჯნის, წიწაკის, გოგრის, ტკბილი წიწაკის ფარშისაგან, რომელსაც ახვევენ ვაზის ფოთოლში. რძის პროდუქტებიდან პოპულარულია ყველი და მაწონი. ალკოჰოლური სასმელებიდან სვამენ ღვინოს, ღვინის არაყსა და ლუდს.

IX-XII საუკუნეებში ბიზანტიაში, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ქალაქების მოსახლეობა საკმაო რაოდენობით იყო, თუმცა აქაც ქალაქის მკვიდრნი ჭარბობდნენ სოფლის მკვიდრთ. ბიზანტიაში სოფლები ქალაქების ირგვლივ იყო კონცენტრირებული. დიდი სოფლები იშვიათობას წარმოადგენდა. უფრო ხშირი იყო 10 – 20 – 30-კომლიანი სოფლები. გარდა ფეოდალებისა და სახელმწიფოსი, სოფლებს ეკლესიაც ფლობდა. შემორჩენილი იყო სასოფლო თემი. სასოფლო თემის წევრები საერთო-სასოფლო საკითხებს ერთად წყვეტდნენ. სახვნელი მიწები მემკვიდრეობით გადაეცემოდათ. სახლები ძირითადათ ქვისაგან ჰქონდათ აშენებული. არსებობდა ლელქაშისაგან აგებული სახლებიც. სახლები გადახურული იყო კრამიტით, ლელქაშით ანდა ჩალით. საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს აგებული ჰქონდათ სამეურნეო ნაგებობები, სარდაფები, ორმოები (ხაროები), მიწაში ჩაფლული ჰქონდათ ქვევრები – პიფოსები, რომლებშიც ინახავდნენ მარცვალს, ღვინოს, ზეითუნის ზეთს.

ბიზანტიელი ბერძნების ძირითადი სათესი კულტურები იყო ხორბალი და ქერი. თესავდნენ პარკოსნებსაც (ბარდა, ოსპი). ძვირფას

კულტურად ითვლებოდა სელი (სელის ქსოვილები მატყლის ქსოვილებზე ძვირი ღირდა), მაგრამ ის რწყვას თხოულობდა. სელი იმპერიაში არ ჰყოფნიდათ და ის, განსაკუთრებით გვალვიან წლებში, სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდათ. ყველაზე დიდ შემოსავალს ვენახები იძლეოდა. ვენახები ათჯერ ძვირი ღირდა, ვიდრე შესაბამისი ფართობის სახნავი მიწები. ვაზი ქალაქებშიც ბევრი ჰქონდათ გაშენებული. მას კონკურენციას მხოლოდ ზეთისხილი უწევდა. მცირე აზიაშიც და სამხრეთ ბალკანეთშიც ზეთისხილის დიდი ბაღები ჰქონდათ გაშენებული. ზეითუნის ზეთი და დამარილებული ზეთისხილი „რომაელების“ (ბიზანტიელების) ერთ-ერთი ძირითადი საკვები იყო.

ბიზანტიელ ბერძნებს შორის უაღრესად დაწინაურებული იყო მეცხოველეობა. ცხენი გლეხებს იშვიათად ჰყავდათ. თავისუფალი გლეხი ცხენს იმის გამო ინახავდა, რომ მის გარეშე სამხედრო სამსახური წარმოუდგენელი იყო. ცხენის დიდი რემები ძირითადად წარჩინებულთა ადგილ-მამულებში ჰყავდათ. სახელგანთქმული იყო არაბული ჯიშის ცხენი. ცხენს ძირითადად ქერით კვებავდნენ. ერთგვარად „პრივილეგირებული“ ცხოველი იყო ჯორიც. ადამიანები ძირითადად ჯორით გადაადგილდებოდნენ. ჯორითვე გადაჰქონდათ ბარგი. გლეხები ამ მიზნით უფრო სახედრებს გამოიყენებდნენ. გლეხის მეურნეობის ძირითადი გამწევი ძალა ხარი იყო. ოჯახის კეთილდღეობა არა მხოლოდ მიწის ნაკვეთების რაოდენობით, არამედ ხარების რაოდენობითაც განისაზღვრებოდა. დიდი რაოდენობით აშენებდნენ ცხვარს, თხას. ისინი იძლეოდნენ რძესაც, ხორცსაც, მატყლსაც. ბიზანტიელებს ჰყავდათ ბევრი ღორი, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც მუხის ტყეები არსებობდა.

ბიზანტიელთა მიწათმოქმედება ძირითადად სარწყავი იყო. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ურწყავი მიწები მოსავალს ნაკლებად იძლეოდა. საისტორიო წყაროებში მრავალჯერაა დაფიქსირებული, სარწყავი წყლის დეფიციტის გამო, სოფლის მკვიდრებს შორის კამათის, ჩხუბის, ცემა-ტყეპის ამბები. სასოფლო თემის წევრები, მეზობლები მიწის დასამუშავებლად ხშირად ერთიანდებოდნენ. ბიზანტიაში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში თავისუფალი მიწებიც ბევრი ყოფილა, რაზედაც ხელისუფლება უმიწო გლეხებს, ხშირად ტყვეებს და აგრეთვე პაჭანიკებს, უზებს, ყივჩაყებს, არაბებს ასახლებდა.

ბიზანტიის მკვიდრთა ტანსაცმელი საუკუნეთა განმავლობაში ცვლილებებს თითქმის არ განიცდიდა. მამაკაცები ძირითადად მოკლე ლაბადებს ატარებდნენ, რომელიც მხარზე ჰქონდათ გადაკიდებული. პერანგს უხეში ტილოსაგან კერავდნენ. **XI საუკუნის მინიატურების მიხედვით, მამაკაცები შარვლებს ჯერ კიდევ არ იცვამდნენ.**

კაბები მათ მუხლებამდე სწვდებოდათ. ქალები კი, ჩვეულებრივ, გრძელ კაბებს ატარებდნენ.

ბიზანტიელი ბერძენი გლეხის ძირითადი საკვები ქერის პური, წყლით განზავებული ღვინო და ბოსტნეული იყო.

ქალაქების მოსახლეობის მნიშვნელოვან ფენას ხელოსნები წარმოადგენდნენ. აქ ისინი სპეციალობების მიხედვით უბან-უბან იყვნენ კონცენტრირებული. ხელოსანთა და ვაჭართა გვერდით, ქალაქებში მოსახლეობის განსაკუთრებულ ფენას მონები და ინტელიგენტებიც შეადგენდნენ. დიდი მოთხოვნილება იყო ბიზანტიელი ოსტატების ხელიდან გამოსულ შედევრებზე – აბრეშუმის ფერად-ფერად, ნატიფი ნაყშებით მოსირმულ ქსოვილებზე, უცხოდ მომინანქრებულ, დიდებულ საიუველირო ნაწარმზე, თვალისმომჭრელად მოციმციმე მარგალიტებითა და პატიოსანი თვლებით მოოჭვილ სამკაულებზე, უნატიფესი ხელოვნებით ინკრუსტირებულ სპილოს ძვლის ნაკეთობებზე, ვერცხლით დაფერილ ბრინჯაოზე, ოქროცურვილ მინაზე. ფუფუნების, სიმდიდრის, სისალუქის ეს ჭეშმარიტი სასწაულებრივი ნაკეთობანი მთელს მსოფლიოში უბადლო შემოქმედთა სახელს უმკვიდრებდა ბერძენ ხელოსნებს. თავის დიდვაჭართა აქტიური საქმიანობის, სავაჭრო ფლოტის სიმძლავრისა და გაცვლა-გამოცვლის უთვალავი საშუალების წყალობით, რასაც იმპერიას მისი ნავსადგურები და უზარმაზარი ბაზრები სთავაზობდნენ, ბიზანტია მთელი მსოფლიოს საქონელს იძენდა. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გამავალი დიდი სავაჭრო გზების გასაყარზე თავისი ხელსაყრელი მდებარეობის წყალობით, კონსტანტინოპოლი თითქოს გრანდიოზული საწყობი იყო, სადაც მილეთის ხალხი იყრიდა თავს და მსოფლიოს ყველა კუთხიდან თავის ნაწარმს ეზიდებოდა.

შუა საუკუნეების კონსტანტინოპოლი იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს დედაქალაქად ითვლებოდა. წმინდა სოფიის ტაძარი ჰარმონიული მშვენიერებით და ბრწყინვალე რიტუალებით მომნუსხველ ზემოქმედებას ახდენდა ყველა მნახველზე. ქალაქის მეორე ცენტრად „წმინდა სასახლე“ ითვლებოდა, რომელიც არნახული სიდიადის იყო. მესამე ცენტრად იპოდრომი მიაჩნდათ. აქვე იყო ეკლესიების, მონასტრების ურიცხვი სიმრავლე, დიდებული სრა-სასახლეები, მდიდრული ბაზრები, ანტიკური ხელოვნების შედევრებით შემკული ქუჩები და მოედნები. ზოგიერთი მონაცემით კონსტანტინოპოლში 250 ეკლესია და 120-ზე მეტი მონასტერი იყო. ერთი რუსი მოგზაურის ცნობით (დაახლოებით 1200 წელი) **წმინდა სოფიას ტაძარს 3000 მღვდელთმსახური ემსახურებოდა.**

ბერძენ ხელოვანთა ნახელავი ბიზანტიის გარეთაც შენდებოდა (მაგალითად, ვენეციის სან-მარკოს ტაძარი თავისი ხუთი გუმბათით,

მარმარილოს ორნამენტთა დახვეწილობით, ოქრო-ვერცხლის სამკაულების სიუხვით, მოზაიკების სინატიფით, ოქროსფერად მოციმციმე თაღებით). სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზი აქვს გასმული იმას, რომ თვით რომანულმა ხელოვნებამაც კი ბიზანტიისაგან ისესხა თვისი არქიტექტურის ზოგიერთი ნიშან-თვისება და მრავალი დეკორატიული მოტივი. თვისი სიმდიდრით, მომხიბლავ ძეგლთა სიუხვით, სასახლეების ფუფუნებითა და ეკლესიებში დაცული რელიკვიებით კონსტანტინოპოლი მთელი მსოფლიოს აღტაცებას იწვევდა და მომნუსხველ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე. ბიზანტიის დედაქალაქი, ერთი მოსწრებული გამოთქმით, „შუა საუკენეების პარიზი იყო“.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ალბათ, გასაკვირიც არ უნდა იყოს ბიზანტიელი ბერძნებისათვის ნიშანდობლივი ეროვნული ხასიათი. **უცხოელი მოღვაწეები, რომლებიც ხშირად ხვდებოდნენ ბიზანტიელ დიპლომატებს, დიდებულებს მიუთითებდნენ მათი ქედმაღლობისა და კუდაბზიკობის შესახებ. აღნიშნავდნენ აგრეთვე ბერძნების ეშმაკობას, მლიქვნელობას, პირმოთნეობას, ანგარიშიანობას.**

რუსულ მეცნიერებაში ხშირად იმასაც აღნიშნავენ, რომ ბიზანტიურმა ცივილიზაციამ არა მარტო დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთზე, არამედ ბიზანტიამ, როგორც ევროპის ფორფოსტმა (რუსეთთან ერთად), ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ქვეყნები მომთაბარეთა ბევრი შემოსევისა და განადგურებისაგან იხსნა და ამით ევროპას განვითარების საუკეთესო პირობები შეუქმნა.

საბერძნეთში ბევრი ქალაქია, რომლებშიც მოსახლეობის 40%-ზე მეტი ცხოვრობს. ბევრი ბერძნული ქალაქი ცნობილია ანტიკური დროიდან. საბერძნეთის დედაქალაქ ათენში შეიქმნა ევროპაში პირველი თეატრი და დაიწერა "ილიადა" და "ოდისეა". ათენის აკროპოლი ბერძენთა ეროვნული სიამაყეა.

ბერძნულ ოჯახებში დღემდე ძლიერია პატრიარქალური ტრადიციები. მამაკაცები საბერძნეთში დაახლოებით 23 წლის, ხოლო ქალები – 18-20 წლის ასაკში ქორწინდებიან.

დაკრძალვის წინ მიცვალებულს ღვინით განბანენ და სუდარაში ახვევენ. ქუჩებში, სადაც დაკრძალვის პროცესია მიმდინარეობს, ყველა ფანჯარას ხურავენ, რათა ავი სულები მათ სახლებში არ შეიჭრნენ. არქიმანდრიტსა და უფრო მაღალი ხარისხის მქონე სასულიერო პირებს მჯდომარე მდგომარეობაში კრძალავენ. სასაფლაოდან დაბრუნების შემდეგ ყველა გამცილებელი მიდის გარდაცვლილის სახლში და იქ ყავასა და რაკს სვამენ.

საბერძნეთში ქრისტიანობა II-III საუკუნეებში გავრცელდა. 313 წლის მილანის ედიქტით ის მთელ რომის იმპერიაში დაკანონდა, მაგრამ ქრისტიანობამდელი ძველი კულტები და რწმენა-წარმოდგენე-

ბი დიდხანს არ გამქრალა. ქრისტიანული ეკლესიის გაყოფის (განხეთქილების) შემდეგ (1054 წელი) ბიზანტია იქცა აღმოსავლური (მართლმადიდებლური, ანუ ბერძნულ-მართლმადიდებლური) ეკლესიის ცენტრად. ბერძნების უმეტესობა მართლმადიდებელია. ბერძენთა მცირე ჯგუფი (დაახლ. 10 ათასი კაცი) სიროსის კუნძულსა და კიკლადის სხვა კუნძულებზე კათოლიკური აღმსარებლობისაა ე.წ. (გრეკო-კათოლიკეები).

ბერძნებმა შემოინახეს მდიდარი ისტორიული ფოლკლორი – სიმღერები, ზღაპრები, ხმით ტირილი. განვითარებულია საცეკვაო და მუსიკალური ხელოვნება.

საუკუნეთა განმავლობაში ბერძენთა ყოფამ და კულტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. ეთნიკური კულტურის ბევრი რეალია (ელემენტი) დაიკარგა. მაგალითად, ძველ ბერძნებში ძალიან იყო განვითარებული შრომის დროს შესასრულებელი სიმღერები. ძველ მწერალთა გადმოცემით, მინდორში ან ოჯახში ყოველგვარ სამუშაოს თან ახლდა ესა თუ ის სიმღერა. არსებობდა მეწისქვილეთა, მქსოველთა, მცხობელთა, წყლის მზიდავთა, მევენახეთა, მენიჩბეთა და ბევრი სხვა პროფესიული სიმღერა. მომღერლები ხშირად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ანტიკურ ელადაში წარმოიშვა თეატრი. ამავე დროს, აქ აშენდა ბევრი თეატრალური ნაგებობა, რომელთაგან არაერთი დღემდე შემორჩა. დიდი ხნის განმავლობაში საბერძნეთში არ იყვნენ პროფესიონალი, სამსახიობო სკოლაგავლილი მსახიობები. თეატრის სცენაზე პოეტები და კარგი ორატორები გამოდიოდნენ. შემდეგ, როდესაც გაჩნდნენ პროფესიონალი მსახიობები, ბერძნები ძალიან აფასებდნენ მათ, სახელმწიფო კი ზოგიერთ პრივილეგიას ანიჭებდა – გათავისუფლებულები იყვნენ სამხედრო სამსახურისა და გადასახადებისაგან. თავდაპირველად თეატრალურ წარმოდგენებს რელიგიურ-საწესჩვეულებო ხასიათი ჰქონდა. ისინი დაკავშირებული იყო საკულტო დღესასწაულებთან. ელინისტურ საბერძნეთში თეატრალურმა წარმოდგენებმა ეს ფუნქცია დაკარგა და ისინი მასობრივ სანახაობებად იქცა. ბიზანტიელებს თეატრალური ტრადიცია დაკარგული ჰქონდათ, მაგრამ თავისებური თეატრი მაინც არსებობდა. ქვეყანაში ბევრნი იყვნენ მოხეტიალე მსახიობები, მიმები, ოინბაზები, სანახაობებს აწყობდნენ იპოდრომზე. სანახაობის ძირითადი სახე იყო დოღი, ანუ ცხენის მართვის ხელოვნებაში შეჯიბრი. სანახაობისას იპოდრომზე თავისუფალი მოქალაქეები ადგილებს დილაადრიანვე იკავებდნენ. ეტლების რბოლის შემდეგ, იპოდრომზე გამოდიოდნენ აკრობატები, ფოკუსების მკეთებლები, მხეცების მომთვინიერებლები. ბიზანტიელი ბერძნები, ისევე როგორც ყველა ბიზანტიელი, საეკლესიო მართლმა-

დიდებლური დღესასწაულების კეთილსინდისიერი აღმსრულებელნი იყვნენ. ისინი აწყობდნენ აგრეთვე სახელმწიფოებრივ დღესასწაულებს. მაგალითად, 11 მაისი კონსტანტინოპოლის დაარსების (330 წელი), დედაქალაქად გომოცხადების დღესასწაული იყო. აღნიშნავდნენ იმპერატორის დაბადების დღეს. დიდი დღესასწაულით აღინიშნებოდა ბასილევსის კორონაცია, მისი ქორწილი, მემკვიდრის დაბადება. იმპერიის მთელი მოსახლეობისათვის საერთო დღესასწაულების გვერდით, ქალაქის მცხოვრებნი აწყობდნენ პროფესიულ, კორპორაციულ, საუბნო დღესასწაულებს. კონსტანტინოპოლელი ექიმები 27 ივლისს **წმინდა სამპსონის** დღეს აღნიშნავდნენ, რომელიც მათი მფარველი იყო. ისინი წმინდა სამპსონის ნეშტს **წმინდა მოკიას** ტაძარში ეთაყვანებოდნენ, შემდეგ კი სატრაპეზოდ იკრიბებოდნენ.

ძველი საბერძნეთი განთქმული იყო სპორტული თამაშებით. პირველ ცნობებს სპორტული ასპარეზობების შესახებ ვხვდებით ჰომეროსთან. სპორტულ თამაშებს თავდაპირველად ღმერთების პატივსაცემად აწყობდნენ, მაგრამ როდის დაიწყეს სპორტული შეჯიბრებების გამართვა და როდის გადაიქცა ის საერთო-ელინურ მოვლენად, დადგენილი არაა. ოლიმპიური თამაშების საწყის, ტრადიციულ თარიღად ძვ.წ. 776 წელი ითვლება, მაგრამ როგორც ირკვევა, ოლიმპიური თამაშები უფრო ადრეც იმართებოდა. თამაშები ძირითადად არისტოკრატიულ ხასიათს ატარებდა. სულისა და სხეულის სრულყოფას მხოლოდ არისტოკრატიის სამემკვიდრეო საქმედ მიიჩნევდნენ. თამაშებზე არ უშვებდნენ მონებს, უცხოელებს. თამაშებზე დასწრების უფლება არ ჰქონდათ გათხოვილ ქალებს. **ოლიმპიადების ტრადიციებიდან აღსანიშნავია ეკეხერიის წესი, რომლითაც ყველა ბერძნულ პოლისს ოლიმპიური თამაშების დროს ეკრძალებოდა ომის წარმოება.**

ოლიმპიური თამაშები ძველ საბერძნეთში ახ.წ. 393 წელს შეწყდა. მას წერტილი იმპერატორმა თეოდოსი I-მა დაუსვა, რომელიც ყოველგვარ წარმართულ წეს-ჩვეულებას ებრძოდა. საერთოდ, 1170 წლის განმავლობაში ოლიმპიური თამაშები 293-ჯერ გაიმართა.

საყოველთაოდ ცნობილია ძველ ბერძენთა სწავლისა და აღზრდის განსაკუთრებული წესები. უძველესი დროიდან შვილის აღზრდაში მამა ყოველთვის გადამწყვეტ როლს ასრულებდა. შვიდი წლიდან ბიჭები მამის მზრუნველობის ქვეშ იყვნენ. კრეტა-მიკენის ეპოქაში ბიჭი სწავლობდა მუსიკას, ცეკვას, ორატორულ ხელოვნებას, იარაღთან დამოკიდებულებას. ბიჭებს ამზადებდნენ პრაქტიკული ცხოვრებისათვის (მეურნეობის გაძღოლა, მინდორსა და ვენახში მუშაობა, პრაქტიკული მედიცინის გაცნობა). ასევე ადრე ეჩვეოდნენ შრომას გოგონებიც. დედის მზრუნველობის ქვეშ ისინი სწავლობდნენ რთვას, ქსო-

ვას, საოჯახო საქმეების გაძღოლას. კრეტაზე 14 წლის ასაკში ბიჭები იწყებდნენ სისტემატურ ფიზიკურ ვარჯიშებს, რაც მომავალ სამხედრო სამსახურთან იყო დაკავშირებული. ათენში, კლასიკურ ეპოქაში, სწავლება იურიდიულად არ იყო დაკანონებული, მას, ჩვეულებრივ, განიხილავდნენ, როგორც მშობლების მოვალეობას შვილებისადმი. ძვ.წ. V საუკუნეში, ათენელებს უკვე შეეძლოთ ეამაყათ იმით, რომ მათ შორის არ იყო არც ერთი გაუნათლებელი. საბერძნეთში სწავლების პროგრამა მოიცავდა ინტელექტუალურ, მუსიკალურ და ფიზიკურ სწავლებას.

ძველ ბერძენთა ყოფისა და კულტურის და ახალგაზრდების აღზრდის მნიშვნელოვანი ელემენტი იყო აგონისტიკა, რაც გულისხმობდა შეჯიბრებას, ცალკეულ პიროვნებებსა და ჯგუფებს შორის კეთილშობილურ პაექრობას.

სრულიად სხვაგვარი, ათენელებისა და სხვა ბერძნული პოლისებისაგან განსხვავებული, აღზრდის წესები არსებობდა სპარტაში, სადაც ფიზიკური აღზრდა ესთეტიკური და ინტელექტუალური აღზრდის ხარჯზე მიმდინარეობდა. სპარტელთა ფიზიკურ აღზრდაზე ყურადღების გამახვილება განპირობებული იყო იმით, რომ ქვეყნისათვის ძლიერი დამცველები, დისციპლინირებული მეომრები გაეზარდათ. სპარტაში ბიჭი შვიდი წლის ასაკიდან სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ ექცეოდა. აღზრდა 20 წლის ასაკში მთავრდებოდა. სპარტელთა ინტელექტუალური მომზადება მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნით, რამდენიმე სამხედრო და რელიგიური სიმღერითა და ტრადიციების ცოდნით შემოიფარგლებოდა. სპარტელებს მკაცრად აწრთობდნენ. ისინი უნდა ყოფილიყვნენ შეუპოვარნი, ამტანნი, გამძლენი, უნდა აეტანათ ნებისმიერი სიძნელე და გაჭირვება, შიმშილი, სუსხი, ტკივილი, მონაწილეობა უნდა მიეღოთ ნებისმიერ ლაშქრობაში, სპორტულ შეჯიბრებაში. ამისათვის აღზრდა ითვალისწინებდა გაროზგვას, ზამთარში ფეხით სიარულს, ლოგინის გარეშე ძილს, წლების განმავლობაში ახალგაზრდა დაეხეტებოდა მთებსა და ველებში, იმალებოდა ისე, რომ ვერავის ეპოვნა; თვითონ უნდა მოეპოვებინა საკვები, უნდა სძინებოდა ცოტა.

მთელი ელადისათვის დამახასიათებელი იყო მონოგამია (ერთქორწინება) და პატრიარქატი. ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ მრავალცოლიანობა ბარბაროსი ხალხებისათვის იყო დამახასიათებელი და ელინებისათვის ის არასაკადრისი იყო. ყველა პოლისში მცხოვრებ ბერძენს ერთნაირი წარმოდგენა ჰქონდა ქორწინებაზე. მარტოხელა, უცოლშვილო ადამიანები ისეთი პატივისცემით არ სარგებლობდნენ, როგორითაც ცოლშვილიანები. სპარტა ამ თვალსაზრისითაც გამოირჩეოდა. კანონით, რომელიც სპარტელ რეფორმატორ ლიგურკს მიეწერე-

ბა, ახალგაზრდები ვალდებულნი იყვნენ ცოლი ღარიბი ოჯახიდან მოეყვანათ. კანონის ამ მოთხოვნას ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რათა ერთი ოჯახის ხელში არ მოეყარა თავი სიმდიდრეს. VIII-VI საუკუნეებში გოგონას მამა თავისი ქალიშვილისთვის საქმროს რამდენიმე პრეტენდენტს შორის ირჩევდა. ის ერთსა და იმავე დროს ყველა პრეტენდენტს თავისთან სახლში იწვევდა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მასპინძლობდა, აკვირდებოდა მათი ქცევის მანერებს, ხასიათს, ფიზიკურ წრთობას, ამტანობა-გამძლეობას. ამ მიზნით საქმრო-პრეტენდენტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

ძველ ბერძნებში სისხლით ნათესაობა ცოლქმრობის დამაბრკოლებელ ფაქტორად არ ითვლებოდა. ზოგჯერ ქორწინება ერთი მამის შვილებს შორისაც ხდებოდა. კანონი მხოლოდ იმ პიროვნებებს შორის კრძალავდა ქორწინებას, რომლებიც დედით ერთნი იყვნენ. ათენში გოგონას საკმაოდ ადრე, 15 და 12 წლის ასაკშიც კი ათხოვებდნენ. ამ მხრივ განსხვავებული ვითარება არსებობდა ბიზანტიელ ბერძნებში. მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ ძველ ბერძნებში არსებული საქორწინო წეს-ჩვეულებები შეცვალა. კანონი გამორიცხავდა ქორწინებას ნათესავებს შორის მეექვსე მუხლამდე. XI-XII საუკუნეებიდან საქორწინო შეზღუდვა შვიდი თაობის ფარგლებში აიკრძალა. გადაულახავ წინააღმდეგობას ქმნიდა აგრეთვე სულიერი ნათესაობაც – ნათელმირონობა. ბიზანტიელ ბერძნებში (და,საერთოდ, ბიზანტიელებში) ქორწინება აკრძალული იყო აგრეთვე წარმართებთან, ერეტიკოსებთან, მუსლიმებთან, იუდეველებთან. ბიზანტიაში როგორც უმაღლეს, ისე უმდაბლეს სოციალურ წრეში, ინდივიდუალურ პატარა ოჯახებს დიდი ოჯახები სჭარბობდა. ცოლიანი ვაჟები იშვიათად ეყოფოდნენ თავიანთ მშობლებს. მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ვაჟებისათვის საქორწინო ასაკი 15 წლიდან განისაზღვრებოდა, გოგონებისათვის – 14 წლიდან. სცოდნიათ მცირეწლოვანთა დანიშვნაც. ისევე როგორც ჯვრისწერა, მცირეწლოვანთა დაწინდვაც საეკლესიო ცერემონიით მთავრდებოდა. ამავე დროს, ხელშეკრულებაც ფორმდებოდა, რომელშიც დათქმული იყო მზითევის რაოდენობა, საქმროს მიერ ქორწინების წინა ძღვენის ოდენობა, პირობა ქონების მემკვიდრეობის შესახებ; მითითებული იყო ქორწინებამდე საქმროს და საცოლის საცხოვრებელი ადგილები და სხვა. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოების შესახებაც. VIII საუკუნიდან, დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, ბიზანტიაში როგორც ვაჟებს, ისე ქალიშვილებს, მშობლების მემკვიდრეობაზე თანაბარი უფლებები ჰქონდათ.

ძველი ელინების უმეტესობა იცავდა დაკრძალვის წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს. ბერძნებში დაკრძალვის ორი ფორმა იყო მიღებული. გვამის მიწაში დამარხვა და კოცონზე დაწვა. დაწვის შემდეგ ნეშტს

ურნაში დებდნენ და მას ან მიწაში მარხავდნენ, ან აკლდამაში ათავსებდნენ. ბერძენი ავტორი ლუკიანი (ახ.წ. II ს.) წერდა, რომ ტირილი, მოთქმა და გოდება ყველა ხალხისათვის საერთოა, მაგრამ დამარხვის წეს-ჩვეულებებს შორის განსხვავებაა: **„ელინი მიცვალებულს წვავს, სპარსელი მიწაში მარხავს, ინდუსი გამჭვირვალე გარსს აცმევს, სკვითი შთანთქავს (ხეთქავს)“**. ლუკიანი თავისი დროის ბერძნების შესახებ ლაპარაკობს. კრეტა-მიკენის ეპოქაში მიცვალებულის სხეულს მიწაში მარხავდნენ, ჰომეროსის ეპოქაში დაღუპულ გმირებს კოცონზე წვავდნენ, მაგრამ ეს შეიძლება ომის პირობებითაც აიხსნას, რადგან მაშინ ტროა ალყაშემორტყმული იყო და ბერძნები სხვის მიწაზე იმყოფებოდნენ. შემდგომ დაკრძალვის ორივე ფორმა შეიცვალა; მამაკაცებს სამარეში იარაღს ატანდნენ, ქალებს – ძვირფას სამკაულებს. ხოცავდნენ ცხოველებსაც: ცხენებს, ძაღლებს, ჰომეროსის მიერ აღწერილ ეპოქაში კი – ადამიანებსაც.

მეგობრები და ნაცნობები მიცვალებულის სარეცელთან იკრიბებოდნენ და დასტიროდნენ მას, რისთვისაც ფლეიტაზე დამკვრელებსა და მომღერლებს, აგრეთვე მომტირლებს ქირაობდნენ. **ქალები ტიროდნენ, მოთქვამდნენ, მკერდზე ხელებს იცემდნენ, თმებს იგლეჯდნენ, ყბებს სისხლით იღებავდნენ. მგლოვიარენი ხშირად მიწაზე გორავდნენ და თავს ურტყამდნენ მას.** მიცვალებულთან შეხების შემდეგ ადამიანები აუცილებლად უნდა განწმენდილიყვნენ, რისთვისაც სახლის წინ წყლით სავსე დიდი ჭურჭელი იდგა.

ძველ საბერძნეთში მიცვალებულს გარდაცვალებიდან მეორე დღეს კრძალავდნენ. დაკრძალვა აუცილებლად მზის ჩასვლამდე უნდა მომხდარიყო. მიცვალებულის სახლში სულის მოსახსენიებელ აღაპს (ქელეხს) აწყობდნენ, სადაც სტუმრები თავზე გაკეთებული გვირგვინებით მოდიოდნენ.

გლოვის დროს მთელ საბერძნეთში ადამიანები შავი ან უბრალოდ მუქი ტანსაცმლით იმოსებოდნენ, მხოლოდ არგოსში იცვამდნენ თეთრს. ათენსა და არგოსში გლოვა ოცდაათი დღე გრძელდებოდა. სხვა პოლისებში უფრო მცირე ხანს გლოვობდნენ, მაგალითად, სპარტაში ის თორმეტი დღით განისაზღვრებოდა.

თავდაპირველად ბერძენთა ანთროპონიმიული მოდელი ორწევრიანი იყო. მისი პირველი ელემენტი ინდივიდუალური სახელი იყო, მეორე – მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაში. საკმაოდ გვიან ორწევრიან მოდელს ეთნიკური სახელის მაჩვენებელი (ეთნიკა) დაერთო. მესამე ელემენტი ძირითადად იმ ქალაქის სახელწოდებისაგან მომდინარეობდა, სადაც პიროვნება ცხოვრობდა. ყოველდღიურად ბერძნები მხოლოდ ინდივიდუალურ სახელს იყენებდნენ. სრული სახელწოდება (ანთროპონიმიის სამივე ჩამოთვლილი ელემენტი) მხოლოდ ოფიცია-

ლურ დოკუმენტებში – აქტებში, დეკრეტებში, გენეალოგიურ სიებში გვხვდება. ბავშვის სახელდება დაბადებიდან მეათე დღეს ხდებოდა. ხშირად ხასიათის ან გარეგნობის გამო ბერძნებს მეტსახელსაც არქმევდნენ. ნამდვილი სახელი კი მალე ავიწყდებოდათ. მაგალითად, ცნობილ პლატონს მშობლებმა თავდაპირველად არისტოკლეს დაარქვეს. დროთა განმავლობაში კი პლატონი უწოდეს ძლიერი, ფართო მკერდისა და მაღალი შუბლის გამო. დღეს ბერძენთა ანთროპონიმიული მოდელი სამწევრიანია, რომელიც შეიცავს ინდივიდუალურ სახელს, მამის სახელსა და მემკვიდრეობით სახელს (გვარსახელს). **ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებში ჯერ აღნიშნულია გვარსახელი, შემდეგ სახელი და მესამე ადგილზეა მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაში:** ***ცილიდის ნიკოლაოს ოდისეას.*** **კანონმდებლობით შვილს არ შეუძლია მამის სახელი ატაროს** (გამონაკლისი მხოლოდ მამის სიკვდილის შემდეგ დაბადებულ ბავშვებზე ვრცელდება). ბერძნულ გვარებს ფუძეებად ძირითადად საკუთარი სახელები აქვს. გვხვდება გვარები, რომლებიც პროფესიათა სახელებიდანაა წარმოქმნილი. ბერძნულ ენაში მამაკაცის გვარი გამოითქმის როგორც ცავახიდის, ქალისა – ცავახიდუ, შესაბამისად: ზარაბალასი და ზარაბალა, იოანიდისი და იოანიდი.

საკუთარ სახელზე პატრონიმიკონის, ანუ მამის სახელის დამატებით თავისუფალი მოქალაქეები მონებისაგან განსხვავდებოდნენ. მონებს მხოლოდ სახელით მოიხსენიებდნენ, უფრო ხშირად სახელის ნაცვლად ეთნონიმისაგან ნაწარმოებ მეტსახელს იყენებდნენ: სირ – „სირიელი“, ლიდ – „ლიდიელი“. საინტერესოა, რომ ელინიზმის ეპოქაში, როდესაც ადამიანი ოფიციალურ პირს წერილობით მიმართავდა, ვალდებული იყო სახელთან ერთად ასაკი და რაიმე განსაკუთრებული ნიშანი მიეთითებინა: „სენფეი, 30 წლის, მარჯვენა ხელის მაჯაზე ნაჭრილობევი“; „ავრელი პაკისი, 50 წლის, შრამი მარცხენა მუხლზე“.

თანამედროვე საბერძნეთის მოსახლეობის უმეტესობას ბერძნები შეადგენენ. ეთნიკურ უმცირესობათაგან შეიძლება დავასახელოთ ალბანელთა, მაკედონელთა, სომეხთა, თურქთა უმნიშვნელო ჯგუფები. საბერძნეთის მოსახლეობის 98% მართლმადიდებელია. თანამედროვე საბერძნეთი აწარმოებს ზეთისხილს, ზეითუნის ზეთს (რომლის წარმოებით ესპანეთისა და იტალიის შემდეგ მესამე ადგილზეა), თამბაქოს, ღვინოს, წვენებს, ხილს, ბოსტნეულს. საბერძნეთის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია ნაოსნობა. ქვეყანაში 156 პორტია. უცხოური კომპანიების მიერ საზღვაო ხომალდების არენდას დიდი შემოსავალი – ერთ მილიარდზე მეტი – მოაქვს. დიდ შემოსავალს იძლევა ტურიზმიც. ყოველწლიურად ქვეყანაში 10 მილიონი ტურისტი შე-

დის, რაც ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობას უტოლდება. ტურიზმის შემოსავალი 1,6 მილიარდი ამერიკული დოლარია.

2.79. ალბანელები

ალბანელები ალბანეთის მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენენ. მათი თვითსახელწოდებაა **შკიპტარ, შჩიპტარ** სიტყვა „**შჩიპ**“-იდან, რაც ნიშნავს: **„ლაპარაკობს გასაგებად**“. იტალიაში თავიანთ თავს უწოდებენ **„არბრეში**“-ს, საბერძნეთში **– „არვანიტეს**“-ს. ქვეყნის სახელი **„ალბანეთი**“ პირველად XI საუკუნეში ბიზანტიელებმა დანერგეს. თავდაპირველად ის ცენტრალური ილირიის ერთ-ერთი კლანის (გვარის) ტერიტორიის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ალბანეთში ცხოვრობს 3 მილ. 250 ათასი კაცი (მთელი მოსახლეობის 96,8%). ცხოვრობენ აგრეთვე სერბეთში – კოსოვოს ავტონომიურ მხარეში (1 მილ. 985 ათასი), მაკედონიაში (500 ათასი), ალბანეთის მოსაზღვრე საბერძნეთის რაიონებში (80 ათასი), იტალიაში (სამხრეთსა და კუნძულ – სიცილიაზე 150 ათასი), თურქეთში (15 ათასი), ბულგარეთში, რუმინეთში, უკრაინაში, აშშ-ში (115 ათასი). მათი საერთო რაოდენობა 5 მილიონზე მეტია.

ალბანეთში, ალბანელების გარდა, ცხოვრობენ ბერძნები (55 ათასი), ვლახები (15 ათასი), ბოშები (5 ათასი), მაკედონიელები (15 ათასი), ჩერნოგორიელები (5 ათასი). ვლახები აქ ორენოვანნი არიან. ისინი ლაპარაკობენ მშობლიურ ენაზე (რუმინულთან ახლოს მდგომი) და ალბანურზე. სარწმუნოებით ვლახები მართლმადიდებლები არიან.

ალბანელები მიეკუთვნებიან დიდი ევროპეიდული რასის ბალკანურ-კავკასიური რასის დინარის ტიპს. ალბანური ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახში ცალკე ჯგუფს ქმნის. ალბანურ ენაში გამოიყოფა გეგიური (ჩრდილოური) თქმა და ტოსკსური დიალექტი. დამწერლობა შექმნილი აქვთ ლათინური ანბანის საფუძველზე. ალბანურ ენაზე დამწერლობის პირველი ძეგლები XV და XVI საუკუნეებით თარიღდება.

ალბანელები ბალკანეთის ნახევარკუნძულის ძველი მოსახლეობის შთამომავლები არიან. ზოგიერთი მეცნიერი (მათ შორის, ალბანელები) **ალბანელთა ეთნიკური ბირთვის საფუძვლად ილირიულ ტომებს მიიჩნევს, სხვები – თრაკიელებს.**

ძვ.წ. III საუკუნეში ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთი სანაპირო რომაელებმა დაიპყრეს და ორი საუკუნის განმავლობაში ილირიელები თანდათან დაიქვემდებარეს. ილირიის ჩრდილოეთი ნაწილის მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა რომანიზაცია განიცადა,

მაგრამ ილირიის სამხრეთმა ნაწილმა, რომელშიც თანამედროვე ალბანეთის ტერიტორია შედიოდა, თავისი ენის შენარჩუნება შეძლო. ალბანელთა ენასა და კულტურაზე რომაელთა ბატონობამ მაინც მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია (ძვ.წ. II ს. – ახ.წ. IV ს.). I ათასწლეულსა და II ათასწლეულის დასაწყისში ალბანეთმა ბიზანტიის იმპერიის კულტურული გავლენაც განიცადა. ურიცხვ დამპყრობთა შემოჭრის მიუხედავად (რომაელები, ბიზანტიელები, სლავები), ალბანელთა ადგილობრივი კულტურა არსებობას განაგრძობდა.

XI საუკუნის დასაწყისისათვის სხვადასხვა ალბანური ტომების შერევა დამთავრდა და ალბანელები შეკრულ ეთნიკურ ერთობად ჩამოყალიბდნენ, რაც საერთო ენასა და ნათესაობის შეგნებაზე იყო დაფუძნებული. ამ დროიდან ალბანეთის მოსახლეობის აღსანიშნავად დამკვიდრდა ეთნონიმი „ალბანელი“. XII საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ალბანეთის სახელმწიფო.

ოსმალთა იმპერიის ბატონობამ (XV საუკუნის დასასრული – 1912 წ.) ალბანელთა ინტენსიური ემიგრაცია გამოიწვია (ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ოლქში, იტალიაში, რუსეთსა და სხვ.). ალბანეთის მხარეებს შორის დაირღვა სამეურნეო კავშირები, ყოფასა და მეურნეობაში პრიმიტიული ტრადიციები დაკონსერვდა, გაღრმავდა დიალექტური განსხვავებანი. XVII-XVIII საუკუნეებში, ქრისტიანული მოსახლეობის დისკრიმინაციის გამო, ალბანელთა უმეტესმა ნაწილმა ისლამი მიიღო. მთიან რაიონებში, სადაც შედარებით უფრო შემოინახა თვითმყოფადობა და გვარტომობრივ კავშირთა ელემენტები, მოსახლეობა მართლმადიდებლობისა (სამხრეთში) და კათოლიკობის (ჩრდილოეთში) მიმდევარი იყო. ეთნონიმი „არბერი“ თანდათან – „შკიპტარ“-ით (შჩიპტარ) შეიცვალა, რომლითაც „გასაგებად მოლაპარაკეებს“ თურქულ ენაზე მოლაპარაკე დამპყრობთაგან განასხვავებდნენ. იტალიაში გადასახლებულებმა შემოინახეს ეთნონიმის შუასაუკუნეობრივი ვარიანტი – „არბრეში“. XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა ალბანელთა ორი ეთნოგრაფიული ჯგუფი: **ტოსკები** (სამხრეთში, ტოსკერიას ოლქი) და **გეგები** (ჩრდილოეთში, გეგერიის ოლქი).

XIX საუკუნის შუა ხანებში ალბანელთა ეთნიკური კონსოლიდაცია გაღრმავდა; ამაღლდა მათი ნაციონალური თვითშეგნებაც. XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა თანამედროვე სალიტერატურო ენა (ტოსკური დიალექტის საფუძველზე). 1912 წელს გამოცხადდა ალბანეთის დამოუკიდებლობა.

ალბანეთის ბარის რაიონებისათვის ტრადიციული სამეურნეო დარგია მიწათმოქმედება (ხორბალი, ბრინჯი, თამბაქო, ზეითუნი, სამხრეთში – ციტრუსები), მთებში – მომთაბარე მესაქონლეობა (ცხვარი,

თხა). ალბანელთა გეგების ეთნოგრაფიულ ჯგუფში მიწათმოქმედებას მამაკაცები სამარცხვინო საქმიანობად თვლიდნენ. აქ სამიწათმოქმედო საქმიანობას ქალები მისდევდნენ, მამაკაცები კი მომთაბარე მეცხვარეობაში იყვნენ დაკავებულნი.

ალბანელთა ძირითადი საკვებია სიმინდისა და ხორბლის პური. უპირატესობას ანიჭებენ ბოსტნეულისა და რძის ნაწარმისგან დამზადებულ კერძებს.

ალბანეთში ხელოსნობის ტრადიციული დარგებია: ვერცხლის დამუშავება, ქვასა და ხეზე კვეთა, მეხალიჩეობა. ალბანელ ხელოსანთა ნახელავი მხატვრული ღირსებებით გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ XIII-XIV საუკუნეებში ალბანეთის ქალაქებში – შკოდერში, დურესსა და ბერატში ხელოსანთა 40-ზე მეტი გილდია არსებობდა. ალბანელთა საცხოვრებელი სახლი ადრეც და ახლაც ორსართულიანი ნაგებობა იყო. ცხოვრობდნენ ზედა სართულზე, ქვედა სართულს კი საქონლის სადგომად იყენებდნენ. ალბანეთში შემორჩენილია მასიური კოშკები. დღემდე ბევრი ალბანელი ტრადიციული ტანსაცმლით იმოსება. მაგალითად შეიძლება მამაკაცის თექის ქუდი დავასახელოთ. თურქთა გავლენით ალბანელ ხალხში აღმოსავლური სამზარეულო გავრცელდა.

შემონახულია ალბანელთა ძველი რწმენა-წარმოდგენები (ბუნების მოვლენების თაყვანისცემა, განსაკუთრებით დამახასიათებელია მზის, მცენარეების, წყლის, მთების კულტი), რაც აისახა თანამედროვე კალენდარულ და საოჯახო წეს-ჩვეულებებში.

მეორე მსოფლიო ომამდე ალბანელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ძირითადი ერთეული სასოფლო თემი იყო. ჩრდილოეთ ალბანეთის მთიან რაიონებში, სადაც ერთ დასახლებულ ადგილას კომპაქტურად იყო განსახლებული გვაროვნულ-ტომობრივი დაჯგუფება – ფისი (ფის), სასოფლო თემმა შემოინახა გვაროვნული თემის გადმონაშთები. ფისი ესაა ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთს ენათესავებიან მამაკაცის ხაზით. ისინი თავიანთ თავს ერთი წინაპრისაგან წარმოშობილად მიიჩნევენ და მკაცრად იცავენ ეგზოგამიას. ჩრდილოეთ ალბანეთის უმეტეს ადგილებში ფისს, რომელსაც უჭირავს განსაზღვრული ტერიტორია და სადაც არ ცხოვრობენ სხვა ფისის წარმომადგენლები, შენარჩუნებული აქვს გარკვეული სახის ეკონომიკური ერთობა: საძოვრების, ტყეების, წყალსაცავების სათემო მფლობელობა, აკრძალულია სხვა ფისის წევრებზე მიწის ნაკვეთის მიყიდვა. ჩრდილოეთში მცხოვრები ალბანელებისათვის, ეგზოგამიის გარდა, დამახასიათებელია აგრეთვე: სისხლის აღება, სტუმართმოყვარეობა, დაძმობილება, ჩვეულებითი სამართალი, დიდი ოჯახი. XIX

საუკუნის მოგზაურები არაერთხელ მიუთითებდნენ აქ 50-სულიანი (და უფრო მეტი) ოჯახების არსებობას.

მთელ ალბანეთში ქრისტიანობა II-III საუკუნეებიდან გავრცელდა. ალბანეთის ქრისტიანული ეკლესია VIII საუკუნემდე რომზე იყო დამოკიდებელი, შემდეგ კი კონსტანტინოპოლის მფარველობის ქვეშ მოექცა. XII-XIII საუკუნეებში სამხრეთ ალბანეთში მართლმადიდებლური ეკლესია დომინირებდა, ჩრდილოეთში კი – კათოლიკური; თურქების მიერ ალბანეთის დაპყრობის შემდეგ (XV ს.) ისლამი გავრცელდა. საყურადღებოა, რომ ერთი გვარის (ფისის) შიგნით შეიძლებოდა შეგხვედროდათ რამდენიმე „ძმობა“, რომელთაგანაც ნაწილი ისლამს აღიარებდა, რამდენიმე კი ქრისტიანად იყო დარჩენილი. მუსულმანებს ახსოვდათ, რომ მათი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ. სხვადასხვა სარწმუნოებამ (ისლამმაც და ქრისტიანობის ორმა შტომ – მართლმადიდებლობამ და კათოლიკობამ) ვერ აღმოფხვრა ალბანელი ხალხის ღრმა ეთნიკური თვითშეგნება. 1927 წლის მონაცემებით მართლმადიდებლები მოსახლეობის 23%-ს შეადგენდნენ, კათოლიკეები – 12%-ს. დღევანდელი მონაცემებით მაჰმადიანებს, მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის შეფარდება ასეთია: 7:2:1. თურქები ალბანელთა შორის ხშირად ჯარისკაცებსაც ქირაობდნენ, რომელთა უმეტესობამაც აქ ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა. ამიტომაა, რომ თურქთა ზედაფენაში ბევრი იყო ალბანური წარმოშობისა.

ალბანელები ამაყობენ თავიანთი ეროვნული გმირით – **გიორგი კასტრიოტით (სკანდერბეგით)**. იგი იყო დიდი ფეოდალი და XV საუკუნის II ნახევარში სათავეში ედგა ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას. სხვათა შორის, საბჭოთა რეჟისორმა სერგეი იუტკევიჩმა სკანდერბეგზე მხატვრული ფილმი გადაიღო, რომელშიც მთავარ როლებს ქართველი მსახიობები – ვ. ანჯაფარიძე, ა. ხორავა და ს. ზაქარიაძე ასრულებდნენ.

2.80. მალტელები

მალტელები დასახლებულნი არიან ხმელთაშუა ზღვის ცენტრში მდებარე კუნძულ მალტაზე – 400 ათასი კაცი. ცხოვრობენ აგრეთვე ავსტრალიაში (85 ათასი), დიდ ბრიტანეთში (35 ათასი), კანადასა (15 ათასი) და აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში. მალტელები ანთროპოლოგიურად არაერთგვაროვანნი არიან. საერთოდ, დიდი ევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირულ რასას მიეკუთვნებიან. ლაპარაკობენ მალტურ ენაზე, რომელიც აფროზიულ ენათა ოჯახის სემიტურ ჯგუფში შედის. გავრცელებულია აგრეთვე ინგლისური და იტა-

ლიური ენები. XIX საუკუნიდან აქვთ ლათინური ანბანის საფუძველზე შექმნილი დამწერლობა. რელიგიით კათოლიკეები არიან.

მალტელები ფინიკიელთა შთამომავალნი არიან, რომლებმაც კუნძულის კოლონიზაცია ძვ.წ XIII საუკუნეში მოახდინეს. მალტა იყო კართაგენელების (ძვ.წ. VI-III საუკუნეები), რომაელების (ძვ.წ. 210 - ახ.წ. 395 წ.), ბიზანტიელების (395-870 წწ.), არაბების (870-1091), ნორმანების (რომლებმაც მალტა 1091 წ. სიცილიას შეუერთეს), იოანიტების ორდენის, ანუ მალტელების (1530 წლიდან), ინგლისელების (ინგლისელებმა მალტა დაიპყრეს 1800 წელს და მას ინგლისის კოლონიის სტატუსი ჰქონდა 1964 წლამდე) მმართველობის ქვეშ. 1974 წლის 31 დეკემბრიდან მალტა დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. ბუნებრივია, დამპყრობლებმა მალტელთა ენასა და კულტურაზე სხვადასხვაგვარი გავლენა მოახდინეს.

მალტური ენა სემიტურია და ახლოს დგას არაბული ენის მაღრიბულ დიალექტთან. ტუნისის მცხოვრებთ მალტელების ლაპარაკი ესმით. ყველა ფიქრობს, რომ მალტელთა ენა, ესაა საკუთრივ ძველფინიკიური, რომელმაც გვიან არაბული ენის გავლენით ცვლილება განიცადა. სემიტოლოგი სეიდინი ფიქრობს, რომ მალტურ ენაში არის არაბულის ორი ფენა: ადრეული, არაბთა დაპყრობების დროინდელი და საკმაოდ გვიანდელი – მალტისა და ჩრდილოეთ აფრიკის სავაჭრო კავშირების დროინდელი (ნორმანთა და გვიანდელი პერიოდის). მალტური ენის ლექსიკაზე დიდ გავლენას ახდენს იტალიური ენა, განსაკუთრებით სიცილიური დიალექტი. თვეთა დასახელება იტალიურია, მაგრამ კვირის დღეებისა – არაბული.

საყურადღებოა, რომ მალტელთა გვარსახელების უმეტესობა არასემიტურია. წარმოშობით ისინი რომანულია, რაც იმას მოწმობს, რომ არაბთა მმართველობისას აქ მოსახლეობის ცვლა არ მომხდარა. მისი მცხოვრებნი მხოლოდ ენით იქნენ არაბიზებულნი. მალტის მოსახლეობის ერთი მეექვსედი იტალიურად ლაპარაკობს, განსაკუთრებით კი ინტელიგენცია, ვაჭრები. იტალიურია საშუალო და უმაღლესი სკოლის სალიტერატურო ენა. ინგლისური ენა კი არის პარლამენტის, სასამართლოს, საქმისწარმოების ენა.

მალტელები კათოლიკეები არიან. საოჯახო ყოფა მთლიანად რელიგიური წესებისადმია დაქვემდებარებული. კუნძულზე არაა სამოქალაქო ქორწინება, არაა დაშვებული გაყრა. ეკლესიის მიერ მკაცრადაა აკრძალული ორსულობის საწინააღმდეგო ქმედებანი, რაც ძალზე მაღალი შობადობის ერთ-ერთი ფაქტორთაგანია. საოჯახო ყოფაში დიდხანს შემორჩა ძველი პატრიარქალური ტრადიციები. დიდხანს იყო შემორჩენილი ქალის განდეგილური ყოფა. მალტელთა გა-

გებით ქალი მხოლოდ ორჯერ შეიძლება გამოვიდეს საზოგადოებაში: ქორწილისა და დაკრძალვის დროს.

მალტელების ძირითადი სამეურნეო საქმიანობებია: მებოსტნეობა (მათ კარტოფილი საექსპორტოდ გააქვთ), მებადეობა, მევენახეობა. გავრცელებულია მესაქონლეობა, მეთევზეობა და ზღვაოსნობა. მალტაზე მდინარეები, ტბები არაა. წვიმა ხშირად არ მოდის. ამიტომ წყლის უკმარისობა აქ სერიოზული პრობლემაა. კუნძულის მცხოვრებნი ხშირად წვიმის წყალსაც აგროვებენ. იყენებენ მიწისქვეშა წყლებსაც, მაგრამ ის ძირითადად მარილიანია. გვალვიან წლებში წყალი სიცილიიდან შემოაქვთ. მიწის სიმწირის გამო, მალტელები მხოლოდ მთელი ტერიტორიის ნახევარს ამუშავებენ. მოწყობილი აქვთ ტერასები. დღემდე მიწა დასამუშავებელ ნაკვეთებში კალათებით შეაქვთ. წარსულში კი უცხოურ ხომალდებს, რომლებიც მალტაში შედიოდნენ, აუცილებლად უნდა გადაეხადათ „არაჩვეულებრივი“ გადასახადი – მატერიკიდან მოტანილი მიწა. მიუხედავად ამისა, სუბტროპიკული ჰავის გამო, აქ წელიწადში რამდენიმე მოსავალი მოჰყავდათ. მალტელებს თავიანთი მოწეული მარცვლეული არ ჰყოფნით. მას საზღვარგარეთ ყიდულობენ.

მალტის დედაქალაქია ვალეტა. ქალაქში ძირითადად ორსართულიანი სახლებია, რომელთა პირველი სართულები მაღაზიებს უკავია. დედაქალაქში მხოლოდ რამდენიმე მონუმენტური შენობაა (ნაციონალური ბიბლიოთეკა, საისტორიო მუზეუმი, XVI საუკუნეში აგებული სან-ჯოვანის ეკლესია, ინგლისის გუბერნატორის ყოფილი შენობა). აქვეა 1769 წელს დაარსებული უნივერსიტეტი. მალტელები ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე მუსიკალურ ხალხად ითვლებიან. მოსახლეობის თითქმის 60% მომსახურების სფეროშია დასაქმებული. ტურისტულ ბიზნესთანაა დაკავშირებული ქვის მხატვრული დამუშავება.

2.81. ბოშები (აწინკნები)

ბოშების (აწინკნების) თვითსახელწოდებაა **რომა**, მხ. რიცხვში **რომ.** ისინი ცხოვრობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ბოშებს სხვადასხვა ხალხები სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: ინგლისელები – **Gypsies** („ეგვიპტელები“), ესპანელები – **Gitanos**, უნგრელები – **Cigany-Pharao nepek** („ფარაონის ტომი“), ფრანგები – **Bohemiens** (ბოჰემელები) ან **Tsiganes**, იტალიელები – **Zingari**, ჰოლანდიელები – **Heidens** („წარმართები“), ფინელები – **Mustalainen** („შავები“) და სხვ.

ბოშების საერთო რაოდენობა სხვადასხვა მონაცემებით 6-დან 10 მილიონამდეა, მათ შორის, უნგრეთში 400 ათასი კაცი, სლოვაკეთში

– 300 ათასი, ჩეხეთში – 120 ათასი, რუმინეთში – 260 ათასი, ბულგარეთში – 220 ათასი, იუგოსლავიაში – 120 ათასი, რუსეთში – 153 ათასი. ბოშები ლაპარაკობენ ბოშურ (აწინკნურ) ენაზე, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახის ინდოარიულ ჯგუფში შედის. ბოშურ ენას აქვს დიალექტები. მათი უმეტესობა ფლობს ირგვლივ მყოფი მოსახლეობის ენას.

მორწმუნე ბოშები რუსეთში ძირითადად მართლმადიდებლები არიან, ბალკანეთის ქვეყნებში – მუსლიმი-სემიტები, ევროპის ქვეყნებში – კათოლიკეები. გავრცელებულია აგრეთვე ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები.

ბოშების წინაპრებმა, როგორც ჩანს, ინდოეთი პირველი ათასწლეულის ბოლოს დატოვეს. თავდაპირველად დასახლდნენ წინა აზიაში (ირანის ტერიტორიაზე) და ეგვიპტეში, ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ განაპირა მხარეებში. მეორე ათასწლეულის დასაწყისში გადაინაცვლეს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. XV-XVI საუკუნეებში ბოშები ევროპაში განსახლდნენ, სადაც პირველად ისინი ეგვიპტიდან მოსულებად მიიღეს, გვიან ისინი ჩრდილოეთ აფრიკაში განსახლდნენ, XIX საუკუნეში კი – ამერიკის კონტინენტსა და ავსტრალიაში.

ევროპაში თავდაპირველი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ბოშების (აწინკნების) მიმართ მათი, როგორც მაწანწალების, დევნით შეიცვალა. ბოშებს აცხადებდნენ კანონგარეშე მოსახლეობად, ასახლებდნენ სახელმწიფოთა საზღვრებს გარეთ. მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპაში დაახლოებით 500 ათასი ბოშა გაწყვიტეს. ომის შემდეგ ბევრი მათგანი ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდა.

კაცები ძირითადად ცხენების ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი, ქალები – მკითხაობით. მამაკაცის სამუშაო, როგორც წესი, სეზონური იყო. ოჯახში ყოველდღიური შემოსავალი ქალებს შემოჰქონდათ. ბოშები განთქმულნი არიან როგორც მუსიკოსები, მოცეკვავეები, მომღერლები.

ბოშები გაერთიანებულნი არიან მომთაბარე ბანაკებად, რომლის წევრებიც შეიძლება სისხლით ნათესავები არ იყვნენ. ბანაკები ითვლიან 5-დან 25-მდე კარავს. შრომა კოლექტიურია. გამომუშავებული თანხა ბანაკის ყველა წევრზე იყოფა. ბანაკს ხელმძღვანელობს წინამძღოლი, რომელიც უფროსი თაობის წარმომადგენელია და კარგად იცის ირგვლივ მყოფი მოსახლეობის ენა.

ბოშები (აწინკნები) მიწათმოქმედებას არ მისდევდნენ. XVI საუკუნიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე მხოლოდ რუმინეთში გაუთანაბრეს ყმა გლეხებს ბოშათა ის ნაწილი, რომელიც სასოფლო მეურნეობას მისდევდა. ბოშებში უმეტესად განვითარებული იყო სამჭედლო საქმე (ინგლისი, ესპანეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა).

უნგრელი ბოშებისათვის დამახასიათებელია ბოშა მამაკაცის გადასვლა ცოლის საგვარეულო ჯგუფში, რასაც შესაბამისად გვაროვნული სახელის შეცვლა მოსდევს. დღემდე ბოშებში ყველგან შემორჩენილია სისხლის აღების წეს-ჩვეულება. ახალდაბადებულ ბავშვს ცივ წყალში აბანავებენ, შემდეგ კი ჰკიდებენ ცეცხლის თავზე. ისინი ძალიან ადრე ქორწინდებიან: ვაჟი 14-18 წლის ასაკში, გოგონა – 13-15 წლის ასაკში.

დევნის თავიდან აცილების მიზნით, ბოშები იღებდნენ იმ ხალხის რელიგიას, რომელთა ქვეყანაშიც ცხოვრობდნენ, მაგრამ, ფაქტობრივად, ყოველთვის ინარჩუნებდნენ თავიანთ რწმენა-წარმოდგენებს. ბოშებს სწამთ უზენაესი არსების – „დელ“-ის, „დევლ-ისა“ (შესაძლოა ის მომდინარეობდეს სანსკრიტული „დევ“-იდან – კეთილი სული). ღმერთის ატრიბუტებია – ელვა და ჭექა-ქუხილი. ბოშათა რწმენა-წარმოდგენებში ზოროასტრიზმის ნიშნები და ცეცხლის კულტი გვხვდება. არსებობს წინაპართა კულტიც.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა 5

ნაწილი I – ეთნოსთა კლასიფიკაციის საფუძვლები 7

1.1. ხალხები (ზოგადი მიმოხილვა) 7
1.2. ენა – ეთნოსის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი 8
1.3. ენათა კლასიფიკაცია 10
1.4. ტერიტორია – ეთნოსის ერთ-ერთი ნიშანი 15
1.5. ეთნიკური კულტურა – ხალხთა ერთ-ერთი ნიშანი 17
1.6. ხალხთა სახელწოდებანი – ეთნონიმები 19
1.7. მოსახლეობის მიგრაციები და ეთნოსები 29
1.8. რელიგია და ხალხები 33
1.9. ადამიანთა რასები 36

ნაწილი II – ევროპის ხალხები 44

2.1. ევროპა და ევროპელები 44
2.2. პორტუგალიელები 51
2.3. გალისიელები 56
2.4. ესპანელები 58
2.5. კატალონიელები 70
2.6. ანდორელები 73
2.7. პროვანსალელები (ოქსიტანელები) 74
2.8. ფრანგები 76
2.9. ვალონიელები 94
2.10. რეტორომანელები 94
2.11. კორსიკელები 96
2.12. იტალიელები 99
2.13. სარდინიელები 112
2.14. რუმინელები 115
2.15. მოლდოველები 119
2.16. შვეიცარიელები 120
2.17. ინგლისელები 124
2.18. ჰოლანდიელები 138
2.19. ფრიზები 145

2.20. ფლამანდიელები 147
2.21. გერმანელები 148
2.22. ავსტრიელები 160
2.23. ლიხტენშტეინელები 165
2.24. ლუქსემბურგელები 166
2.25. ელზასელები 168
2.26. ისლანდიელები 169
2.27. ფარერელები 175
2.28. ნორვეგიელები 178
2.29. შვედები 181
2.30. დანიელები 185
2.31. შოტლანდიელები 191
2.32. ირლანდიელები 197
2.33. ოლსტერელები 202
2.34. უელსელები (ვალიელები) 203
2.35. ბრეტონელები 206
2.36. ლატვიელები 207
2.37. ლიტველები 210
2.38. პოლონელები 213
2.39. ჩეხები 217
2.40. სლოვაკები 219
2.41. ლუჟიელები 220
2.42. ბულგარელები 221
2.43. მაკედონიელები 228
2.44. ბოსნიელები (მუსლიმები) 230
2.45. სერბები 232
2.46. ხორვატები 236
2.47. ჩერნოგორიელები 239
2.48. სლოვენები 241
2.49. რუსები 244
2.50. უკრაინელები 262
2.51. ბელორუსები 265
2.52. ფინელები 269
2.53. ლოპარები (საამები) 272
2.54. კარელიელები 274
2.55. ესტონელები 275
2.56. ლივები 278

2.57. უნგრელები 279
2.58. მორდველები 285
2.59. უდმურტები 287
2.60. მარიელები 289
2.61. კომელები 291
2.62. კომი-პერმელები 292
2.63. ვეპსები 293
2.64. იჟორელები 294
2.65. ვოდები 296
2.66. ნენები 296
2.67. თურქები 297
2.68. ყირიმელი თათრები 305
2.69. გაგაუზები 306
2.70. თათრები 308
2.71. ჩუვაშები 311
2.72. ბაშკირები 312
2.73. ყალმუხები 314
2.74. ევროპელი ებრაელები 316
2.75. კარაიმები 320
2.76. კრიმჩაკები 325
2.77. ბასკები 328
2.78. ბერძნები 332
2.79. ალბანელები 348
2.80. მალტელები 351
2.81. ბოშები (აწინკნები) 353

The Ethnology of Europe

ევროპის
ეთნოლოგია

გამომცემლობის რედაქტორი	მარინე ვარამაშვილი
გარეკანის დიზაინი	თინათინ ჩირინაშვილი
კომპ. უზრუნველყოფა	ნათია დვალი

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.

www.press.tsu.ge (25-14-32)